114
1957/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

4

აპრილი

1957

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 34-ე № 4 აპრილი, 1957 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

გვ.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ლენინის ძეგლი, ლექსი . . . 3
ვახტანგ გორგანელი — ლენინი პეტროგრადში, ლექსი . . . 3
გრიგოლ აბაშიძე — ლაშარელა, რომანი, დასასრული . . . 4
იოჰან ვოლფგანგ გოეთე — ლირიკა . . . 113
ნიკოლოზ ნადირაძე — მიუწვდომელი, ლექსი . . . 115
მურმან ქოიავა — განვლილი გზები, პოემა . . . 116
მიხეილ ლაკერბაი — მოთხრობები, თარგმანი მამია ასათიანისა . . . 123
ჯანსუღ ჩარკვიანი — ლექსები . . . 133
ემელიან ქურდიანი — ლექსები . . . 134

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ი. ტუღუშელაშვილი — ლენინური „ისკრის“ ბრძოლა ლიტერატურის პარტიულობისათვის . . . 136
ლუი არაგონი — ქართული სიმღერა . . . 140
აბელ კიკვიძე — „ქართლის ცხოვრება“ თუ „ახალი ქართლის ცხოვრება?“ . . . 151
რევაზ კვერენჩხილაძე — სიუჟეტი და მხატვრული სახე . . . 159

### ლიტერატურული მემკვიდრეობა

ელენე შაფათავა — კარლო გოლდონი . . . 164

### ხელოვნების საკითხები

მ. გიუიმურელი — რეჟისორის ფანტაზიის შესახებ . . . 167

### მეცნიერება

ილია თავაძე — მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა დამუშავების საკითხისათვის . . . 170

იხ. მე-2 გვ.

სახელგამი ★ თბილისი

## წიგნების მიმოხილვა


გვ.

თამარ ოქროშიძე — ქართული ხალხური ნოველები . . . . . . . . . . 183

გიორგი ციციშვილი — ნ. ოსტროვსკი ქართულად . . . . . . . . . . 185

დავით კომახიძე — პარმენ ლორიას რომანი „შვილები“ . . . . . . . . . . 186

ჯ. ჭანტურაია — ოთარ მამფორიას ლექსები და პოემა . . . . . . . . . . 189

ხტ. ჩხენკელი — ქართული ენის სინტაქსი . . . . . . . . . . 192

ახალი წიგნები — . . . . . . . . . . გარეკანის მესამე გვ.



ეროვნული ბიბლიოთეკა


---


რედაქტორი ს. ჩიქოვანი

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო  კ ო ლ ე გ ი ა:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი),
გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/IV-57 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 180.
უე 01450. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12^1/_2$. ქაღალდის ზომა $70 \times 108$. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат Печати Главполиграфиздата Министерства Культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თეიმურაზ ჯანგულაშვილი

★

### ლენინის ძეგლი

განა ქვა არის ცივი და მუნჯი? —
მისებრ ღიმილი, აბა, ვინ იცის...
ქვეყანას ქარგავს სიცოცხლის ფუნჯით
მარად მაღალი ძეგლი ილიჩის.

დიდი ძეგლის წინ მზე გულს გადაშლის,
დილა ყვავილებს ვერცხლისწყლით
ნამავს
და იღიმება თბილის-ქალაქში
ყველა ქალაქის კეთილი მამა.

---

## ვახტანგ გორგანელი

★

### ლენინი პეტროგრადში

აპრილის ღამე, აპრილის ღამე,
ნევის ნაპირზე ზათქი და შფოთი
დგას მოლოდინში ყოველი წამი,
როგორც ჩახმახზე შემდგარი თოფი.

ვაჟკაცის მკერდი ადის და ჩადის,
ფიქრებს ზღვასავით არ უჩანს ძირი.
ამხედრებული დგას პეტროგრადი,
როგორც სანგარში ჩამჯდარი გმირი.

საცაა აფრას დაუშვებს ბინდი,
მისწვდება ელვა ხმელეთის კიდეს
და გაზაფხულის პირველი კვირტი
უხილავ ძალით იფეთქებს კიდეც.

არა, დუმილი არ გასტანს დიდხანს,
ეს ღამე ღელვას დასაბამს მისცემს,
საკმარისია ლენინის სიტყვა
და ქარიშხალი გაარღვევს სივრცეს...

დღეს უკუნეთი პირველად შეკრთა
დააწვა შიში სასახლის თაღებს,
დღეს გაზაფხული ლენინთან ერთად
სიცოცხლის კარებს ამაყად აღებს.

და აი, მოდის ლენინი ბრძენი,
ხალხი თითებზე ნაბიჯებს ითვლის.
— სალამი ლენინს!
— სალამი ლენინს!
გულიდან გულში გადადის ზვირთი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

★

# ლაშარელა*

• • •

ფუნდუკთან ცხენოსნები გაჩერდნენ.

გაქაფულ ცხენებს მტვერი და ოფლი მიხმობოდათ და ცხენოსნებსაც ტანფეხი მტვერში ამოგანგლოდათ.

დასადავებული ცხენები ჭიშკართან შემოგებებულ ბიჭს დაუტოვეს და დაქვეითებულნი ფუნდუკისკენ გაემართნენ. ფუნდუკში სუფრას კახელები უსხდნენ.

— რა ვქნა, ეს ლუხუმა არ არი? — იკითხა ერთმა და ახლად მოსულებს დაჟინებით მიაჩერდა.

— სწორედ ის არი... აგე, ჩვენი ილოც! — წამოიძახა მეორემ.

ლუხუმი მეფუნდუკესთან შევიდა. მისმა მხლებლებმა ფუნდუკს მოავლეს თვალი და ცალკე მაგიდაზე აპირებდნენ დასხდომას, რომ ილომ მეზობლები იცნო და მიესალმა.

— ჩვენთან დასხედით! — მიიპატიჟეს დამხვდურებმა და მოსულებიც მცირე ყოყმანის შემდეგ მათ სუფრას შემოუსხდნენ.

— ომში გავიმარჯვეთ. ნახჭევანი ავიღეთ და მახარობლები ვართ, მეფისკენ ვიჩქარით. თქვენ გაგიმარჯოთ, მეზობლებო! — თქვა ილომ და ღვინო გადაჰკრა.

— ჩვენსკენ რა ამბავია, ხომ მშვიდობა? — იკითხა საჭმლით პირგამოვსებულმა ილომ.

— ჩვენსკენ... მშვიდობა, — უპასუხა მეზობელმა, მერე ილოსკენ მოიწია და ხმადაბლა ჰკითხა — ლუხუმმა არაფერი იცის?

— რისა, ზაქრო? — გაიკვირვა ილომ, წამით ჩქარი ლუკმა შეანელა და გაოცებით შეხედა.

— სახლისა არაფერი იცის? მეფემ ცოლი წაჰგვარა.

— ???... — აღმოხდა გაურკვეველი შეძახილი ილოს და ლუკმა ყელზე დაადგა.

— მეფემ ცოლი წაჰგვარა. — უფრო ახლო მიიწია ზაქრო.

— რას ამბობ, ზაქრო?! ეგ რა მითხარი! — შეწუხდა ილო.

— ეგრე ჰქნა, მაშა!

— როგორ დავიჯერო. თავდადებით ნამსახურსა და ერთგულ ყმას ამას ემართლებოდა?!

ლუხუმმა მეფუნდუკეს ცხენების სწრაფად გამოცვლა დაავალა, კერძი შეუკვეთა და თავისი ხალხისკენ წამოვიდა.

მის მოახლოებაზე საუბარი შეწყვიტეს.

— თქვენ უკვე შეექცევით? ჩვენები ყოფილან! — გაეხარდა მეზობლების დანახვა ლუხუმს, — ზაქროს გაუმარჯოს! სანდალას გაუმარჯოს!

სათითაოდ მიესალმა ყველას მიგრააული და ისიც მათთან ჩამოჯდა.

— რა ყურები ჩამოგიყრიათ? გამარჯვების ამბავი მოგვაქვს და თქვენ რალად მოგიწყენიათ?! — შეუძახა დამხვდურებს ლუხუმმა და ლუკმას შეუპატიებლად მისწვდა.

ერთხანს ჩუმად იყვნენ, მარტო დამშეული ლუხუმი ჭამდა მადიანად და მისი ხლაჭა-ხლუჭი ისმოდა.

ცოტა სული რომ მოითქვა, ლუხუმმა სავსე სასმისი აიღო.

— თქვენ გაგიმარჯოთ, ბიჭებო! — უთხრა იქ მყოფთ, გადაჰკრა და ულვ-

---

* დასაწყისი იხ. „მნათობი" № 1, 2, 3.

შები რომ მოიწმინდა, მეზობლებს ჰკითხა, — ჩვენკენ რა ამბავია? ხომ მშვიდობა?

— მშვიდობა! — თავაუღებლად, მძამედ უპასუხა ზაქრომ.

— ჩვენებისა არაფერი იცი?

— არაფერი, ჩვენ თქვენზე ადრე ვართ წამოსულნი. — იცრუა ზაქრომ და დანარჩენებს წარბის მოძრაობით ანიშნა, რომ არაფერი დასცდენოდათ.

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

ლუხუმმა სასმისი აილო.

— ეს ჩვენ მეფეს გაუმარჯოს! დღეგრძელობა და ძლევა ნუ მოუშალოს! — წარმოთქვა და სასმისი დასცალა.

— ხემწიფეს გაუმარჯოს! — ხმადაბლა, დამნაშავეებივით წაილაპარაკეს დანარჩენებმა, ერთმანეთს გადახედეს და სასმისები მძიმედ ასწიეს.

— ცხენები მზად გახლავთ. — მოახსენა მეფუნდუკემ ლუხუმს.

— ახლავე მოვდივართ... ჩვენს წასვლას და თქვენს დარჩომას! — წარმოთქვა ლუხუმმა. ფეხზე წამომდგარმა სასმისი მოიყუდა და მხლებლებს შეუძახა:

— აბა, წავიდეთ, ბიჭებო!.. გმადლობთ, მეზობლებო!

ლუხუმმა ჯიბიდან ფული ამოიღო და სუფრაზე გააბნია.

— ეს ჩვენი ხარჯისა იყოს.

დაბნეულმა მასპინძლებმა წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოიფიქრეს, ლუხუმი ხელის ჩამორთმევით გამოემშვიდობა ყველას და მხლებლებს ცხენებისკენ წაუძღვა.

დარჩენილებმა თვალი გააყოლეს ცხენებზე შემსხდარ მეფის მაცნეებს.

— ვაი მაგის დაბრუნებას! — ამოიგმინა სანდალამ და ყველას შეკავებული ოხვრა აღმოხდა.

* * *

იმ დილას ლილეს მუცელი ეძრა. ნაყოფის პირველ შენძრევაზე შეკრთა, შიშისაგან გული კინაღამ წაუვიდა. მაგრამ მალე მიხვდა, რაც იყო, დამშვიდდა და გაიხარა.

მეორედ რომ შეიძრა ნაყოფი, ლილემ ლაშას ხელი აილო, მუცელზე მიიდო იმ ადგილას, სადაც ბავშვი ფართხალებდა და სული განაბა.

ნაყოფი ისევ შეირხა და მოულოდნელობისაგან მეფეც შეხტა.

— რა იყო? — გაოცებით იკითხა მეფემ.

— ბალღია!.. მუცელი მეძრა!.. — დარცხვენით წაიჩურჩულა ლილემ, ლაშას მოეხვია და თავი მკერდში ჩაუმალა.

ორივენი ბავშვებივით იყვნენ აღტაცებულნი. უნდოდათ ვისმესთვის ეთქვათ, მაგრამ საიდუმლოს გამხელა ვერ გაებედათ და ერთმანეთს თვალებაციმციმებული შესცქეროდნენ.

— მაცნე მოვიდა ახალციხელისაგან! — აცნობეს მეფეს და ლაშა დარბაზში გამობრძანდა.

ტახტზე დაბრძანებულმა მეფემ გვერდით ლილე დაისვა და იქ მყოფთ მიესალმა.

ლაშას მახარობლისაგან ქართველთა გამარჯვების ამბავზე მეტად ლუხუმის ბედი აწუხებდა.

კანონიერი ქმრის — ლუხუმის სიკვდილი ლილეს ხელს გაუხსნიდა და სატრფოზე მეფის დაქორწინებას გააადვილებდა.

მეფემ იცოდა, რომ ნახჭევნელებმა თავგამოდებით იბრძოლეს ოროტის სიმაგრესთან. ბიბლა გურკელის მონდომებასა და ერთგულებაში ეჭვი არ შედიოდა და ამიტომ თითქმის დაიმედებული იყო, სჯეროდა, რომ ბიბლას მისი დავალება უკვე ასრულებული ექნებოდა. იგი ლუხუმს უკვე დაღუპულად თვლიდა და ბრძოლის ველიდან მის დაბრუნებას აღარ ელოდა.

დარბაზის თავში მტვერში ამოგანგლული მაცნე გამოჩნდა. რამდენიმე ნაბიჯი წარდგა და მუხლზე დაეცა.

— გამარჯვების მახარობელი ვარ, მეფევ! — შესძახა მაცნემ და მეფეს ხმა ეცნაურა.

გველნაკბენივით შეტოკდა ლაშა.

მახარობელი ჩოქვით წამოვიდა მეფისკენ და თავი რომ აილო, სახტად

დარჩა: მეფის გვერდით ლილე დაინახა სალი ცალი თვალით ლუხუმმა. მომეჩვენა, იფიქრა და ის იყო თვალი მოიფშვნიტა, რომ ლილემ შეჰკივლა და გულწასული გადაქანდა.

მეფე ფეხზე წამოიჭრა. ცალი ხელი გულშემოყრილს შეაშველა და მეორე ხელით ხმალი გააძრო.

დაბნეული, გაოგნებული შეჰყურებდა აცახცახებული ლუხუმი დაუჯერებელ სანახაობას. გონდაკარგულს ვერ გაეგო თუ სად იყო და რას ნიშნავდა ყოველივე.

— შეიპყარით! გაიყვანეთ!

ბრძანა მეფემ და ლუხუმს მაშინვე ეგარსლანი მივარდა ოთხი შეიარაღებული ვაჟკაცით.

ხელები გადაუგრიხეს, ფეხზე წამოაყენეს და წინ გაიგდეს.

შუბმოღერებულებს მიჰყავდათ გაძაგრული მახარობელი.

გაბრუებულ ლუხუმს წინააღმდეგობის გაწევა არც კი უცდია, მთვრალივით მიჰყვებოდა და თვითონაც არ იცოდა რა ხდებოდა, სიზმარი იყო ნახული და განცდილი, თუ შორეული მგზავრობით დაღლილის წამიერი ჩვენება.

*

* *

ნახევრად ბნელ საკანში შეაგდეს ლუხუმი და რკინის მძიმე კარი მიუხურეს.

ქვის უმზეო სარდაფში სიგრილე უნდა ყოფილიყო, აქ კი ბული იდგა და სუნთქვა ჭირდა. ეტყობოდა, საკანი პატიმრებით იყო სავსე.

დაღლილი ლუხუმი ფეხზე ძლივს იდგა. ცხელი ჰაერით სულშეხუთული შეტორტმანდა და კინაღამ წაიქცა.

თავი როგორც იყო შეიმაგრა, დამხვდურები მისწი-მოსწია და კუთხეში გადებულ ძელზე ჩაიმუხლა.

ერთხანს ასე იყო. მერე თანდათან დახშული საკანის ბუღსა და მკრთალ სინათლეს შეეჩვია, თავი აიღო და იქ მყოფები შეათვალიერა.

ბევრნი იყვნენ. ტუსაღებს დასაჯდომი და წამოსაწოლი არ ყოფნიდათ და უმრავლესობა ფეხზე იდგა.

ერთადერთ ცალფეხა სკამზე ლეჯებ-გაჩაჩხული ტუსაღი იჯდა და ლუხუმს კამბეჩივით უბღვერდა. ბრტყელი, გადახოტრილი თავი ნაჭრევებით ჰქონდა დასერილი.

თავხოტორამ ისეც ვიწრო შუბლი შეიკრა და გადაბმული სქელი შავი წარბები თითქმის თმის ძირებთან მიიტანა.

— კაცი მოკალი? — შეუღრინა ლუხუმს.

— არა! — გაიქნია თავი ლუხუმმა.

— მა, იქურდე?

— არა! — ისევ იუარა მიგრიაულმა.

— შენ ეი, ჭკუაზე მოდი და სწორე ილაპარაკე!

შეუტია თავხოტორამ, ნელა წამოდგა, წიხლით სკამი წააქცია და ლუხუმის წინ ჯიბეებში ხელჩაყოფილი აიტუზა.

— მამა აბრამის ბატკნად ნუ მოგაქვს თავი. აქ წირვა-ლოცვიდან არავინ მოჰყავთ, ან კაცს მოჰკლავდი, ან გზაზე ვისმეს გაძარცვავდი... თქვი, რაც იყო, აქ შენზე ნაკლები ნურავინ გეგულება. რად დაგიჭირეს, აბა, დაფქვი!

— არ ვიცი... მე თვითონაც არ ვიცი. — ისევ თავის ქნევით ამოიოხრა ლუხუმმა.

— ლათაიებს თავი ანებე! არ იტყვი და ჩვენ თვითონ გავიგებთ... ფული გაქვს?

ლუხუმმა, თითქოს კარგად ვერ გააგონა, გაოცებით შეხედა უცნობ ტუსაღს.

— ჰო, ნუ გიკვირს. რაცა გაქვს ამოლალე. აქ ეგეთი წესია!

— ჩემს ფულთან შენ რა ხელი გაქვს? — ისევ გაიოცა ლუხუმმა.

— რაცა მაქვს, ახლავე ნახავ! აბა, ნემსა, კრუხისპალო, კარგა გაწმინდეთ.

თავბრტყელი ტუსაღის დაძახილზე, ორი პატიმარი წამოხტა, ერთი მართლა ნემსივით წვრილი და გრძელი იყო, მეორე ჯირკივით დაბალი და ჩასხმული.

ორივენი ლუხუმს მისცვივდნენ და ჯიბეებზე ეცნენ.

— დამეხსენით, მე ჩემი ჯავრიც მყოფნის!

ღონიერი ხელებით მისწია ორივე მიგრიაულმა და ფეხზე წამოდგა.

— ვაი, ვიცანი! გამოცანა მეკუთვნის! — წამოიძახა სიღრმეში მდგარმა ტუსაღმა და წინ წამოიწია, — ეს მეფის მცველი ლუხუმა არი, ცალთვალა ლუხუმა! ჩვენი ბუნაგის აკლებაზე ეგეც იყო, შავსარქისა მაგან დაიჭირა, დავითაანთ ბიჭს რომ...

— უფრო კარგი! მეფის მცველს ბევრი ფული ექნება! აბა, მიდი!

შეუძახა ისევ თავგადახოტრილმა და ნემსა და კრუხისპალო კვლავ ლუხუმს მიეტანენ.

ლუხუმმა ისევ მშვიდად სცადა აბეზარი პატიმრების მოშორება, მაგრამ ისე იოლად როდი მოეშვნენ, წელში შეუვარდნენ და ძალით დაუწყეს ჯიბეების გადმობრუნება.

— მაშ, არ დამეხსნებით?!

შესძახა მიგრიაულმა, კრუხისპალო ბურთივით აიტაცა და საკანის ბოლოსკენ ისროლა.

ამასობაში ნემსამ ჯიბიდან ქისის ამოღება მოასწრო, ბრტყელთავას მიურბენინა, ხელში ჩასჩარა და თვითონ ბნელი კუთხისკენ მოუსვა, თავს უშველა.

ლუხუმი თავის ქისას მისწვდა და სწორედ ამ დროს ბრტყელთავა ტუსაღმა მუცელში ერთი ისეთი წიხლი ჩააზილა, რომ იქვე ჩაიკეცა. მიგრიაული იმწამსვე წამოხტა და წელში ეცა. თავხოტორას ნეკნებმა ტკაცანი მოიღო, მეტი ველარაფერი იღონა, ქისა კუთხეში ისროლა და ჯიბისკენ წაიღო ხელი დანის ამოსაღებად.

მეფის მცველყოფილმა აღარ აცალა, ხელფეხაფართხალებული მოწინააღმდეგე მაღლა ასწია და კარისკენ გასტყორცნა.

რკინის კართან გატენილ გუდასავით დაეცა ბრტყელთავა და საკანში მტვერი დააყენა. ცოტა ხანს ასე იყო, მკვდარივით უძრავი და სუნთქვა შეკრული. იქ მყოფები თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდნენ თავიანთი მეთაურის შერცხვენას.

— ვაჰ! ეგ შენა ხარ?! ვინ კუნძა და ვინ დამარცხება! — ჩასძახა ნემსამ.

კუნძა დახვეულ ლოკოკინასავით ნელა გაიშალა, საფეთქელთან ხელი მოისვა — სისხლი სდიოდა, სახელოთი მოიწმინდა, ჯიბიდან დაკეცილი დანა გააძრო, გაშალა და ლუხუმისკენ გახელებული მოზვერივით თავჩაღუნული წამოვიდა.

— დადექ-მეთქი, ჩამომეხსენ! — შესძახა ლუხუმმა და ის იყო მოქნეული გრძელი დანა მუცელში უნდა მოხვედროდა, რომ სკამის ხელის დავლება და წინ აფარება მოასწრო. დანა სკამის ფიცარს შეერჭო. გამოქანებულმა კუნძამ თავი ველარ შეიმაგრა და ისიც სკამზე გადაწვა. ლუხუმმა ორი ხელი რკინის სალტედ მოსდო დანას ჩაფრენილ კუნძას, ზურგზე მოიდო და ქვის იატაკზე დაანარცხა. კუნძამ ზღართანი გაიღო და მერე აღარ განძრეულა.

დანარჩენი ტუსაღები სახტად იდგნენ, გაოცებული შეჰყურებდნენ ცალთვალა გოლიათს და ხმის ამოღება ვერ გაებედათ.

ნემსამ ლუხუმის ქისა მოძებნა, ფეხაკრეფით მივიდა, პატრონს შორიახლო დაუგდო და ისევ კუთხეში მიიყუჟა.

მიგრიაულმა ქისა უბეში ჩაიდო და ლოგინად გადებული ძელისკენ წავიდა. ძელზე მსხდომი შეშინებული ტუსაღები ფეხზე წამოცვივდნენ და ლუხუმს საწოლი გაუთავისუფლეს.

მიგრიაული ერთხანს იჯდა და მძიმედ სუნთქავდა. თავი ტკიოდა და დაღლილობისაგან გაბრუშებული სახსრები აღარ ემორჩილებოდა. უცებ ძილმა თავი მოსწყვიტა, თვალები მიელულა და ხის საწოლზე გაიშალა.

ნაშუაღამევს გამოეღვიძა. თვალი მოიფშვნიტა და ირგვლივ მიმოიხედა. ტუსაღები აღარსად ჩანდნენ და საკანი ცარიელი იყო. მხოლოდ ერთი პატიმარიღა დარჩენილიყო—მხრებში მოხრილი მოხუცი.

თავჩაღუნული, ზურგზეხელებდაწყო-

ბილი მოხუცი ბოლთას სცემდა და მცარე საკანში აღელვებული გადი-გამოდიოდა.

— სადა ვართ? — იკითხა ჯერ კიდევ გამოურკვეველმა ლუხუმმა.

— მეფის საპყრობილეში. — მშვიდად მიუგო მოხუცმა და ბოლთა განაგრძო.

— მართალია... აკი გუშინ შემომაგდეს ამ საკანში — გაიხსენა მიგრიაულმა, — მაგრამ აქ ხომ სხვებიც იყვნენ...— გაოცებით შეხედა საკანში დარჩენილ ერთადერთ პატიმარს ლუხუმმა და ძელზე წამოჯდა.

— იყვნენ და ბლომადაც იყვნენ, — დაუდასტურა მოხუცმა პატიმარმა და ლუხუმის გვერდით ძელზე ჩამოჯდა.— წუხელ რომ მათ მეთაურს სცემე, დანარჩენებმაც შიშით სხვა საკანში გადაყვანა ითხოვეს.

ლუხუმს გაახსენდა გუშინდელი უსიამოვნება.

— რას მემართლებოდნენ, უნამუსოები!ფუ, მაგათ კაცობას! — წაილაპარაკა ლუხუმმა და ქვის იატაკზე გადააფურთხა.

— მაგათ ნამუსი და კაცობა სად გააჩნიათ! მთელი ცხოვრება კაცის კვლასა და ძარცვა-გლეჯაში აქვთ გატარებული, საპყრობილეში საკუთარი სახლივით არიან არხეინად.

— ის ვინ იყო, მე რომ ამიხირდა? — იკითხა მიგრიაულმა.

— ქალაქის ჯიბგირების მეთაურია. მაგისი ნამდვილი სახელი და გვარი არავინ იცის, ჯიბგირები მეტსახელად კუნძას ეძახიან. საპყრობილეში ისე შედის და გამოდის, როგორც გიჟი ქორწილში. რამდენჯერ ჰქონდა ძელზე გასმა მისჯილი, მაგრამ ვერ იქნა და ვერაფერი დააკლეს.

— მაინც რა დანაშაული აქვს?

— მაგის დანაშაულს ვინ მოთვლის! ჯერ კიდევ თხუთმეტი წლისას დედა მიუსწრია საყვარელთან, თავში ცული დაურტყამს, მოუკლავს და სახლიდან გაქცეულა. ერთხანს ქალაქ-ქალაქ უწანწალნია. მერე რომელიღაც მონასტერში მსახურად დამდგარა. იქ კარგად ყოფილა, მაგრამ ბოლოს ბერებში [illegible] დაუწყია, დანაშაულზე დაუჭერიათ და საპყრობილეში ჩაუგდიათ. ძველი და ახალი ცოდვა ძელზე გასასმელად ყოფნიდა, მაგრამ საპყრობილედან გაქცეულა და თავი ქალაქის ბუნაგებისათვის შეუფარებია. თავზეხელაღებულობითა და გამჭრიახობით ჯიბგირებისა და მძარცველების, ყომარბაზებისა და კაცისმკვლელების მეთაური გამხდარა. მთელ ქალაქს შიშის ზარს სცემდა. მაგის უცნობლად ქალაქში არც ვისმეს გაძარცვავდნენ, არც ვისმეს მოკლავდნენ და არც სახლი ან ქულბაქი გატყდებოდა. ყველა ქურდსა და მეკობრესთან, ყველა მძარცველსა და ყომარბაზთან წილი ჰქონდა და მაგის სიტყვას ვერავინ გადავიდოდა. მაგის ხელშემდებელი ჯერ არავინ გამოჩენილა და ღმერთმა მარჯვენა გიკურთხოს, გული მომფხანე. ცოცხალმკვდარი გაიტანეს, ისე რომ საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა.

— ახია! რამდენი ვეხვეწე, რომ ჩამომხსნოდა, მაგრამ არ დაიშალა და მეც კაცი ვარ, გამწარებულმა ხელი გამოვილე.

— მაგის მაგალითით შეშინებულები სხვებიც აიბარგნენ.

— შენ რაღად დარჩი, ძია კაცო?

— მე იმათთან რა მესაქმება, ამ ხნის კაცი ვარ და არმად ნაშოვნი ლუკმა არ ვიცი, რა არი.

— მერე აქ როგორ მოხვდი პატიოსანი კაცი?

— ეგ გრძელი ამბავია. მე თვითონ ამ ციხისთავი ვიყავი. ორმოცდაათ წელზე მეტი მეფეებს ერთგულად ვემსახურე და ბოლოს, აი, ამით გადამიხადეს. ციხიდან პატიმარი გაიპარა და მართალი კაცი სიბერის დღეს თავათ გამომამწყვდიეს ციხეში.

— ეგ როგორ, მართალსა და ნამსახურ კაცს რას გერჩოდნენ?

— მეფისაგან ჩემი რად გიკვირს, როცა თავისი პირადი მცველისთვის, მისთვის მრავალგზის თავგანწირული ყმისათვის ოჯახი დაუნგრევია, ცოლი წაუ-

გვრია და როგორც ამბობენ, მოუკლავს კიდეც...

— არა, ჯერ არ მოუკლავს, მაგრამ სჯობდა კი, რომ მოეკლა! — ამოიგმინა ლუხუმმა და მოხუცმა ტუსაღმა შეამჩნია, თუ როგორ გადმოუგორდა სადღი თვალიდან უცნობ პატიმარს ცერის სისხო ცრემლი.

საკანი გაილო. ტუსაღებმა საუბარი შეწყვიტეს. ციხის კაცებმა ლუხუმს ხელ-ფეხზე ბორკილები დაადვეს და დილეგიდან გაიყვანეს. ათიოდე სხვა პატიმართან ერთად ბორკილების ჩხარუნით გაუყენეს გზას მიგრიაულიც.

განთიადისას მიაღწიეს ქარაფოვან კლდეზე აღმართულ უზარმაზარ ციხეს მონასპით გარშემორტყმულმა ტუსაღებმა.

ბნელი და პირქუში საპყრობილე შორიდანვე ზარავდა მნახველს. ნესტისაგან დასველებულ ქვის სქელ კედლებს ხავსი მოსდებოდა და აქა-იქ დატანებულ ვიწრო სარკმლებს რკინის ბადეები აბნელებდა.

გამყოლებმა ციხის უფროსს ტუსაღები მიუთვალეს. ციხის უფროსმა პატიმრები საკნებში გაანაწილა და ბოლოს ლუხუმს გაუძღვა წინ. მიწისქვეშა კიბეებით დაეშვნენ რამდენიმე სართულზე და ბოლოს რკინის კართან შეჩერდნენ.

სამიოდე რკინის ბოქლომი გახსნეს და მძიმე კარი გაჭირვებით შეაღეს. ბნელ ჯურღმულში ოდნავ ბჟუტავდა სანთელი.

ციხისკაცებმა ლუხუმს ხუნდები შეხსნეს და კედელზე ჯაჭვით დამაგრებული მძიმე ბორკილები დაადეს. ხელფეხზე ბორკილების დადება არ აკმარეს, წელზეც რკინის სალტეები შემოარტყეს და ასე, სამმაგი ჯაჭვით ნადირივით დაბმული მიატოვეს.

ეხამუშა, გაუჭირდა სამმაგი საბელის შეჩვევა მიგრიაულს. რამდენზედაც ბორკილები და მოკლე ჯაჭვები ნებას აძლევდა, გახელებული დაბმული ნადირივით იწყო წინ და უკან სიარული.

ცივ საკანში სული ეხუთებოდა და სისხლი თვალებში აწვებოდა.

მერე თანდათან მოიქანცა, ნაბიჯს უკლო და თითქოს ბრაზიც გაუნელდა. ზულოს, ძაღლურ სიკვდილს შერიგებულმა, სიმწრით ამოიგმინა და ქვის იატაკზე ჩაიკეცა.

— ქრისტიანი ხარ? — ჩაესმა ოდნავ წათვლემილ ლუხუმს და მეფის მცველყოფილმა ყური სცქვიტა.

— ქრისტიანი ვარ. შენ ვინა ხარ? — თავის მხრივ შეეკითხა ლუხუმი და პირი საკანის იმ კუთხისაკენ იბრუნა, საიდანაც კაცის ხმა მოესმა.

— მე ერთი უბირი მონა ვარ, სახელად ნადირა, ალბათ, არ გეცნობები. სად დავიბადე და სადაური ვარ, თავათ არ ვიცი.

— აქ როგორ მოხვდი?

— ქართველებმა რომ ხორასანი დალაშქრეს, ცამეტი წლის ბიჭი ვიყავი. ყაზვინში შემიპყრეს და სხვა ტყვეებთან ერთად საქართველოში მომიყვანეს. ტყვეები რომ დაარიგეს, მე ქართლის ერისთავმა მიმითვალა სხვებთან ერთად, თავის მონად გამიხადა და ქრისტიანული წესით მომნათლა. ერისთავი იმ დროს ფიტარეთის ტაძრის შენებას იწყებდა და მშენებლები უჭირდა. ჩემდა საუბედუროდ, ცოტა ხელობა ვიცოდი და როგორც კი გავაცხადე, ტაძრის მშენებლობაზე გამგზავნეს.

ერთ საღამოს, შაბაშს რომ ცოტაღა გვიკლდა, გზად მეფის დას რუსუდანს და ივანე მხარგრძელს გამოუვლიათ და ტაძრის მშენებლობის ნახვა მოუსურვებიათ. ჩვენთვის არავის არა უთქვამს რა. ქვედა ხარაჩოზე ვიდექი და ზემო ხარაჩოზე მდგარ ოსტატს აგურს ვაწოდებდი. ის გუმბათის ქვას აწყობდა და ორივენი ჩვენთვის დინჯად ვმუშაობდით. დაბლიდან აგური ვესროლე. ის იყო ოსტატს უნდა დაეჭირა, რომ ხარაჩოზე ფეხი დაუსხლტა და კინაღამ იმ სიმაღლიდან გადმოვარდა. მეორე ხელი სწრაფად წაატანა ხარაჩოს ბოძს და როგორც იყო თავი შეიმაგრა. მაგრამ ჩემი ნასროლი აგური ველარ დაიჭირა, ძირს ჩავარდა და იმ დროს გუმბათის ქვეშ მდგარი რუსუდანისა და მხარგრძელის ფეხებთან

დაეცა. მხარგრძელი ბეწვზე გადარჩა სიკვდილს. მშენებლობაზე ერთი განგაში ატყდა. სტუმრებს გარს შემოერტყნენ და ტაძრიდან გაიყვანეს. მე ხარაჩოდან ჩამომათრიეს და ბრალი დამდეს, აგური განზრახ ისროლე მეფის დისა და მხარგრძელის მოკვლა გინდოდაო. უარმა და ფიცმა არ გასჭრა. ბორკილები დამადეს და ამ ციხეში შემომაგდეს. უკვე აღარც ვიცი, მას აქეთ რამდენი წელია, სათვალავი დავკარგე. აქ რომ დამამწყვდიეს, პირზე ღინღლი არ მქონდა, ახლა კი... — ამოიოხრა ნადირამ.

ბორკილგაყრილი ტუსაღები საუბარს შეჰყვნენ, ერთიმეორეს გულები გაუხსნეს და ბოლოს მიგრიაულმა ერისთავის მონას თავისი თავგადასავალიც უამბო.

კვირაში ერთხელ ტუსაღები ჯურღმულებიდან ამოჰყავდათ და ხელფეხდაბორკილებს რამდენიმე წუთით ჰაერზე ატარებდნენ ციხის ეზოში.

ვინ არ ნახა ლუხუმმა იმ ეზოში: კაცის მკვლელები და მეამბოხეები, ქურდები და ყაჩაღები. მათ თავგადასავალს რომ ისმენდა, პირველად დანაშაულის სიმძიმე შეაკრთობდა და შეჰზარავდა. მერე დანაშაულის მიზეზს ღრმად რომ ჩაუკვირდებოდა, ბოროტების ჩამდენი ეცოდებოდა. დამნაშავეთაგან უმრავლესნი მასავით ალალ-მართალი მშრომელები, ცოლ-შვილისა და ოჯახის მოყვარული კაცები იყვნენ. მათთვის ცხოვრების უკუღმართობას, ამ ქვეყნის ძლიერთა გულქვაობასა და არაადამიანურ მოპყრობას, გაბატონებულ უსამართლობასა და უკანონობას ეკრა ხელი ბოროტებისაკენ, ბუნებით კეთილშობილი და წრფელი ადამიანები ცოდვაში ჩაეგდო და დამნაშავეებად ექცია.

პატიმართაგან ერთმა მიიპყრო ლუხუმის განსაკუთრებული ყურადღება. ციხესა და ბორკილებს იმ ტუსაღის ხორცი დაედნო, მაგრამ ჯერ ძვლებს ვერ მორეოდა, მაჯები, მხარ-ბეჭი და გულ-მკერდი ისევ ფართო ჰქონდა, ხოლო გაძვალტყავებულ შუბლქვეშ ღრმად ჩამჯდარი დიდი შავი თვალები უბრწყინავდა. ტუსაღი ხელობით მჭედელი იყო და სახელად არსენას ეძახდნენ.

ეროვნული

არსენასთან ბატონს ქურდობაზე ექვმიტანილი ბიჭი მიეყვანა და მჭედლისთვის შანთის გახურება ებრძანებინა. არსენას შანთი ისე გაეხურებინა, არ სცოდნია, თუ რისთვის უნდოდა ბატონს. რკინა რომ კარგად გაწითლებულა, ბატონს ბიჭის დადაღვა მოუნდომებია. შეშინებული ყმა არსენას ფეხებში ჩავარდნია, ატირებულა და შებრალებას შეხვეწნია. მჭედელს შეცოდებია და ხელი არ უხლია. მაშინ, გაბრაზებულ ბატონს თვითონ დაუვლია ხელი შანთისთვის და საცოდავი ბიჭისთვის შიგ თვალში უტაკებია.

თვალდამწვარის გმინვაზე თავათ არსენასაც გული დასწვია, გონება დაბნელებია, ხელში რომელიღაც რკინა მოჰყოლია და იმ გულქვა ბატონისთვის თავში უხეთქია.

მჭედელი თავისი ფეხით მისულა ციხეში და მის მიერ ჩადენილი დანაშაული თვითონვე განუცხადებია.

იმ დღიდან აგერ რამდენი წელი გასულა, არსენა ამ ციხეში გდია, მისი ღონიერი სხეული ჟანგის ლუკმად ქცეულა და ბორკილების ტარებისაგან ხელ-ფეხი დაწვრილებია.

არსენას ერთი ჩვეულება შენიშნა ლუხუმმა: ყველა ტუსაღის ჯაჭვს და ბორკილს ათვალიერებდა და სინჯავდა, თან თავის ქნევით ამბობდა: ივარგებს... გამოდგება...

ლუხუმს რომ ბორკილები გაუსინჯა და იგივე გაიმეორა, მიგრიაულმა გაკვირვებით ჰკითხა:

— რისთვის ივარგებს, რის ოხრობისთვის გამოდგება?

არსენამ შუბლი უნდოდ შეიკრა და არაფერი უპასუხა. მერე, როცა ერთმანეთს უფრო დაუახლოვდნენ, ფრთხილად უთხრა:

— ერთი აქედან გამიყვანა და მე ვიცი, რისთვისაც ივარგებს და გამოდგება!..

ეს იყო და ეს, მიგრიაულმა არსენას მეტი ვეღარაფერი ათქმევინა, ვერც მის

სურვილს ჩასწვდა და ვერც განზრახვა გაუგო.

*
* *

სასახლეში თავდაპირველად ლილეს ვინაობა არავინ იცოდა და მაინც და მაინც არც ვისმე აინტერესებდა. ყველას ეგონა, ჭაბუკ მეფეს ჩვეულებრივ მოსწყინდებოდა ლამაზ ხარჭასთან განცხრომა, მერე რომელიმე თავის ერთგულ ყმას გადაულოცავდა, სასახლიდან გაუშვებდა და გულისთქმას აყოლილი ახალ მიჯნურს გაიჩენდა.

კარისკაცთა ვარაუდი არ გამართლდა. რაც დრო გადიოდა, მეფე მით უფრო მეტ სურვილს იჩენდა ლილესადმი, მეტი კრძალვითა და პატივით ეპყრობოდა და სხვებისგანაც ამასვე მოითხოვდა.

როცა მეფემ ნახევნის გმირი და გამარჯვების მახარობელი საპყრობილეში ჩააგდებინა, დიდებულებმა ლუხუმის ამბავი გამოიკითხეს და ლილეს ვინაობა გაიგეს.

გამჟღავნებულმა ყველანი ღრმად აღაშფოთა.

— ერთგულ ყმასა და თავდადებით ნამსახურს ცოლი როგორ წაჰგვარა?!

— გლეხის ქალი უნდა გაგვიდედოფლოს და გუშინდელ მოახლეს ჩვენი ცოლები ათაყვანოს, სად თქმულა და გაგონილა!

— ყმა გლეხის ცოლი, როგორ უნდა გახდეს ჩვენი და ჩვენი ცოლების მბრძანებელი! არა თავს ვიდებთ გლეხის ქალის დედოფლობას.

კათალიკოსი ხომ სულ გადარია გვირგვინის ქმრისათვის სიცოცხლეშივე ცოლის წაგვრამ.

— ქრისტეს უარმყოფელი მეფე ქორწინების კანონსაც მისწვდა და ყმისათვის ჯვარდაწერილი, სჯულიერი ცოლის წართმევას ბედავს. ამას კი ვეღარ თავს ვიდებთ, რომ საწოლისა და ცოლქმრობის სიწმინდე შეაგინოს!

დრტვინავდნენ და აშკარად გამოდიოდნენ დიდებულები და სამღვდელონი მეფის წინაამდეგ.

მეფესთან მიჰქონდათ დიდებულებისა და ხუცების ნალაპარაკევი, მაგრამ მათ ნათქვამს ლაშა არაფრად აგდებდა და ანგარიშს არ უწევდა. პირიქით, ლილე უფრო თამამად გამოჰყავდა დარბაზობასა და მეჯლისებზე, თავის გვერდით ისვამდა და დიდსა და მცირეს იძულებულს ხდიდა მისთვის დედოფლის ღირსი პატივი მიეგო.

დიდებულებმა ჯერ კარის მოძღვარი მიუგზავნეს მეფეს. მოძღვარმა დიდხანს უქადაგა: ქორწილი წმიდა არს და საწოლი შეუგინებელი. არა წეს არს ქრისტეანეთაგან გვირგვინის ქმრისაგან სიცოცხლეში ჯვარდაწერილი ცოლის გაყრა. ხოლო მეძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან. არა ჯერ არც რათამცა მხევალი გესვას და არა ცოლი...

მეფემ მოძღვრის შეგონება ცალ ყურში შეუშვა და მეორეში გამოუშვა. მოძღვარმა რომ სათქმელი დაასრულა, მეფემ თავის მხრივ შესთხოვა:

— წმინდა გულით მიყვარს ლილე. იგი სიძვის დიაცი როდია ჩემთვის. არაშემძლებელ ვარ მისი კიდეგანობით ცხოვრებისა. ამიტომ შევთხოვ სიწმინდესა შენსა და ყოველსა ეკლესიასა საქართველოსასა, დასტური დასცე ნებასა ჩემსა, რათა ვიქორწინო მასთან, ვითარც სჯულიერსა მეუღლესა თანა.

კარის მოძღვარმა დარბაზისა და კათალიკოსის აზრი იცოდა და მეფის ნათქვამი შორს დაიჭირა. თავის მხრივ გადაჭრით განუცხადა: არა წეს არსო მეფეთაგან უბრალო მხევალთა მოყვანება დედოფლად. ნებას არ დაგრთავს წმინდა ეკლესია ჯვარდაწერილ ქალზე გვირგვინის ქმრის სიცოცხლეში ქორწინებისასო. დავით წინასწარმეტყველისა და აშოტ კურაპალატის მაგალითი გაახსენა. ამ ქვეყნიური შეჩვენებითა და იმქვეყნიური ჯოჯოხეთით დააშინა მეფე.

მაგრამ მეფეს არც ბერ-მონაზნების შეჩვენებისა ეშინოდა და არც განკითხვის დღის სატანჯველის. იგი თავის გადაწყვეტილებაზე მტკიცედ იდგა და მოძღვარს შეუვალად განუცხადა:

— არა ვექორწინო მეუღლესა სხვასა, თვინიერ ლილესა, ხოლო თუ უარჰყოფს ტაძარი წმიდა ქორწინებასა

ჩემსა, ვეგო ეგრედ უქორწინებლად დღემდის სიკვდილისა ჩემისა!

* * *

ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ახალციხელმა მისი მახარობლის ამბავი რომ გაიგო, შეძრწუნდა. უსაზღვროდ თავდადებულ ერთგულად ნამსახური ყმისადმი ესოდენ უკეთურად მოპყრობაში შალვამ ქვეყნის ძლიერებისა და ტახტის სიმტკიცის შერყევის ახალი ნიშანი დაინახა. ახალციხელი ადრეც კარგად ხედავდა მეფის უგვან მოქმედებას, გაუთავებელ მემთვრალეობას, გემოს მიმყოლობასა და მეფისათვის შეუფერებელ ქცევას. აქამდის კიდევ სჯეროდა, რომ რაც მეფე ასაკში შევიდოდა, ბუნებრივი კეთილშობილება და მეფური ქცევა თანდათან დაჩრდილავდა ბოროტისა და უმსგავსისადმი მიდრეკილებას.

ახალციხელის ამ რწმენას ლაშას უკანასკნელმა მოქმედებამ ლახვარი ჩასცა. ქვეყნის ძლიერებისათვის მოღვაწე, გულწრფელი მამულიშვილი, ხედავდა, რომ ლაშას უკეთურება და მეფისათვის შეუფერებელი მოქმედება სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის მის შრომასა და ზრუნვას საფუძველს აცლიდა. მეფის ესოდენი უმადურობა საფრთხეში აგდებდა ახალციხელის რჩეულ ოცნებას საქართველოს ახალ რომად ქცევაზე.

ლაშას აღვირახსნილობით აღშფოთებული, ლაშქრობიდან დაბრუნებული ახალციხელი მეფეს არც კი ეახლა, შეურაცხყოფილი შინ ჩაიკეტა და თვალით არავის ეჩვენა.

ამასობაში ლუხუმის შერცხვენისა და პატიმრადყოფის ამბავი ომგადახდილ ლაშქარსაც მოედო. ჯარში ჯერ ჩუმი შფოთი დაიწყო და ბოლოს მღელვარებამ იფეთქა.

ლუხუმის მეთაურობით ნაომარი ათასეული ქალაქში გამოვიდა, ახალციხელის სახლს შემოერტყა და მხედართმთავარს თავისი წინამძღოლის გათავისუფლება მოსთხოვა.

ლუხუმის ბედით თავადაც უსაზღვროდ შეწუხებულმა ახალციხელმა ათასეულს სიტყვა მისცა, რომ მეგრიაულს გაათავისუფლებინებდა.

შალვამ ერისთავებს ჩუმჩუმად გააყვანინა ქალაქიდან თავთავიანთი სადროშო ჯარები, მეამბოხე მეომრები დააშოშმინა, სამეფოს სამხედრო აჯანყების საფრთხე ააშორა.

* * *

ლაშა ახალციხელის ცუდი მოკავშირე იყო, არა მარტო დიდებულების წინააღმდეგ ბრძოლაში. მისმა თავაშვებულებამ და წინდაუხედაობამ მარცხი განაცდევინა ისეთ ღონისძიებასაც კი, როგორიც სახელმწიფოს ძლიერებისათვის ყივჩაღთა დაქირავებული ჯარის გამოსხმა იყო. მაგრამ მეფის უკანასკნელი მოქმედება მის ყველა ადრინდელ უგვანობას სჭარბობდა. მეფე თავისი ერთგული ყმის ესოდენ დამცირებითა და შეგინებით ახლა უკვე მთელ ერს იკიდებდა მტრად. ლუხუმის მაგალითით ხალხი აშკარად დაინახავდა, რომ უმადური მეფისათვის თავდადება და ერთგული სამსახური კეთილს არაფერს მოუტანდა, პირიქით, უწყალოდ დაამდაბლებდა და საქვეყნოდ შეურცხვენდა სახელსა და კერას სიწმინდეს.

ნაწყენი დიდებულების მოვლა და დათრგუნვა, მათთვის ლაგამის ამოდება თუ ძნელი იყო, მეფეზე გულაყრილი ხალხის, მეფისაგან შეურაცხყოფილი ერის გულის მობრუნება ახალციხელს უკვე შეუძლებლად ეჩვენებოდა. მეფე ხალხის სიყვარულის ჩაუგდებლობით ცეცხლს ეთამაშებოდა, ტახტისა და ქვეყნის ძლიერებას ფესვებს აჭრიდა.

ახალციხელმა კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა სამეფო დროშისადმი ხალხის ერთგულება და ნდობა. სანამ ეს ნდობა ძლიერი და ურყევი იყო, ქართველ მხედრობას თამამად შეეძლო მთელი ახლო სამაჰმადიანოს პირისპირ დგომა მოსაზღვრე ქვეყნების თავგასული სულთნებისა და ამირების ალაგმვა და დაჩოქება.

მაგრამ ვაი ქართველთა ძლიერებას, თუ ხალხის ეს ნდობა და ერთგულება უნდობლობითა და ორგულობით შეი-

ცვლებოდა! მეფე თუ სარდალი, რომელიც ხალხში სიძულვილს დათესდა ხალხისავე რისხვასა და მტრობას მოიმკიდა, მისი ყოველი ნაბიჯი, ლაშქრობასა, თუ ქვეყნის მართვაში დასაღუპავად განწირული იქნებოდა, რადგანაც ყოველი ქვეყნის მხედრობა ხალხის შვილთაგან შედგებოდა. ხალხის მხარდაჭერას მოკლებულ სამეფოს დაკნინება და დაღუპვა არ ასცდებოდა.

უთვალავი თაობის ნაოცნებარი და ნაშენები ძლევამოსილი საქართველო, ერთი მხრივ, დიდებულთა თავკერძობის, ხოლო მეორე მხრივ — ჭაბუკი მეფის უგუნურების გამო, თანდათან, ყოველდღიურად უფსკრულს უახლოვდებოდა. საჭირო იყო ძლიერი ხელი, რომელიც ამოდენა სიმაღლიდან დაგორებულ სამეფოს ეტლს შეამაგრებდა და შეაჩერებდა.

ახალციხელი მზად იყო, მარტო, თავისი მკერდით აღდგომოდა წინ თავქვე დაქანებულ ბორბალს, მაგრამ ხედავდა, რომ უძლური იყო. მცირე იყო მარტო მისი ღონე საჭემიშვებული მანქანის შესაჩერებლად, რომელსაც ასე თავგამეტებით აწვებოდნენ აღვირახსნილი ერისთავები.

გრძნობდა ახალციხელი თავის მცდელობის უშედეგობას, მაგრამ უმოქმედობა და გულზე ხელისდაკრეფაც არ შეეძლო.

საგანგებოდ დარბაზი მოაწვევინა შალვამ. ვაზირებმა, კათალიკოსმა და ეპისკოპოსებმა მეფის მოქმედება დაგმეს და ახალციხელის მეთაურობით მოციქულები მიუგზავნეს ლაშას.

დარბაზი ორ მოთხოვნილებას უყენებდა მეფეს:

— უდანაშაულოდ დასჯილი მიგრიაულის გათავისუფლებასა და წაგვრილი ცოლის მისთვისვე დაბრუნებას.

პირადი ბედნიერებით განებივრებულმა ამპარტავანმა ლაშამ დარბაზის ეს გადაწყვეტილება მეფის წინააღმდეგ შეთქმულებად და მის პირად საქმეში უკანონო ჩარევად ჩათვალა, ახალციხელს ქვეყნის ამშლელი, ათაბაგთან და სხვა დიდგვაროვან დიდებულებთან მეფის წამკიდებელი უწოდა საჯაროდ.

გულის სიღრმემდე შეურაცხყოფილმა ახალციხელმა სასახლე დატოვა და თბილისიდან წავიდა.

მეფემ დარბაზის პირველი მოთხოვნილება აღასრულა — ლუხუმი პატიმრობიდან გაუშვა, მეორეზე კი — გადაჭრით უარი განაცხადა:

— წარიღონ ტახტი და გვირგვინი სამეფოი და არა მივსცე ლილე თავითა ჩემითა ცოცხალითა...

## თავი მეჩვიდმეტე

## არსად კანონი, არსად სამართალი

> თუ ყმამ ბატონს გაჯავრებით ან ჯოხი კრას, ან ხელით სცემოს, ხელი მოეკვეთოს, ან იმ კაცის ხელის ფასი წაერთოს... ვისაც შერისხდეს ღმერთი, თავის ბატონი მოკლას, ან დაჭრას, ამისი სისხლი არ გაჩნდების, ამისთვის, რომე ყმისა ყველა ბატონისა არის.
>
> ვახტანგის სამართლის წიგნი.

საპყრობილედან გამოშვებულ ლუხუმს ცხენი მოჰგვარეს, შეიარაღებულმა მონასპამ ქალაქის კარს იქით მიაცილა. უკან არ მობრუნდეო, გააფრთხილეს და შუა გზაზე მიატოვეს.

თმამოშვებული, დიდი ხნის წვერგაუპარსავი გაჰყვა გზას მიგრიაული. მიდიოდა და თვითონაც არ იცოდა, სად და რატომ მიდიოდა პატივაყრილი მეფის მცველყოფილი. თითქოს ფიქრში იყო წასული და კი არაფერზე ფიქრობდა. თავი ჩაექინდრა და სადავემიშვებული ცხენის ნებას მიჰყოლოდა. გაოგნებულს დრო და დრო ცხენის ფრუტუნი გამოარკვევდა. გზისპირა ბალახისკენ კისერწაწვდილ ცხენს სადავეს მოსწევდა და გზაში რომ ჩააგდებდა, ისევ ნებაზე მიუშვებდა.

ბიბლიოთეკა

გომბორის აღმართს რომ შეუდგა, მთის ნიავმა შუბლი გაუგრილა, ოდნავ გამოაფხიზლა.

მეფის დიდებულ ამალასთან ერთად მგზავრობა გაახსენდა, ალექსი კომნენის სტუმრობა, მეფეების გომბორზე გადასვლა. სწორედ აქ, გადასასვლელზე შემოეგება მეფეებს დედათა მონასტრის წინამძღვარი მონაზნების გუნდით. რა ამოდ მღეროდნენ მონაზნები! ახლაც შორეულად ჩაესმის მათი შეწყობილი გალობა, ახლაც ჩვენებებივით თვალწინ უდგას თეთრად შემოსილი, ბნელი სენაკებიდან გამოსული ფერმკრთალი ქალიშვილები. როგორ გაახარა მაშინ ლუხუმი წყაროს მკაზმავი ხიზანას ქვრივობლებისათვის ჭაბუკი მეფის თავგამოდებამ. იმდენად დაუბნელა თვალი და გონება ალტაცებამ, რომ მეფის მიერ იქვე ჩადენილი ბოროტმოქმედებას—ორი ულამაზესი მონაზნის გამორჩევასა და გაპარებას ყურადღებაც არ მიაქცია. არც მაშინ დაფიქრებულა მიგრიაული მონაზნების ბედზე, როცა მესამე დღეს მეფეთა კარვებიდან გამოშვებულები დაინახა ისინი: ნამუსახდილი, თმაგაწეწილი და ტირილით თვალებდასიებული მონაზნები ორ ცხენოსანს გაუგდეს წინ და უკანვე, მონასტრისკენ გაუყენეს გზას.

მაშინ მონაზნების დარდი არ ჰქონდა ლუხუმს, ნასყიდაანთ ქარუმას ბედი აწუხებდა და იმაზე ფიქრობდა, თუ რით ეშველა საბრალო ბიჭისათვის.

ნასყიდაანთ ქარუმას გახსენებამ კიდევ ახალი ფიქრი აუშალა მიგრიაულს. მოაგონდა თავისი მაშინდელი განსჯა, მეფის კარვის წინ რომ გადი-გამოდიოდა და თავში ეს ფიქრი უტრიალებდა: მაინც რამ აფიქრებინა იმ საცოდავს კვიცის ყიდვა, სხვა აღარა აკლდა რა უსახლკაროსა და უმიწაწყლო ობოლს? მერე, ისიც ეგეთი კვიცი რამ აყიდინა, რომ მთელ ქვეყანას ზედ რჩებოდა თვალი! განა არ იცოდა, რომ ქვეყანა ხარბი და შურიანია? მეფის საკადრისი კვიცი რა უგვაროსი და უმიწაწყლოს საქმე იყო? ამ ქვეყნად ყველას მასზე მეტი ძალა ჰქონდა და როგორ უნდა შეენარჩუნებინა ისეთი საუნჯე, რომელიც ყველას თვალს სჭრიდა და გულს შურით უვსებდა!

როგორ ადვილად სჯიდა სხვის ბედს მაშინ მიგრიაული და არკი იცოდა, რომ მალე თვითონ ქარუმაზე უარეს დღეში ჩავარდებოდა.

ან მას რამ შეართვევინა იმისთანა ცოლი, რომ მთელ ქვეყანას ზედ რჩებოდა თვალი! განა მას ქარუმაზე უკეთ არ უნდა სცოდნოდა, რომ, სოფელი ხარბი შურიანია? მეფის საკადრისი ქალი რა მისებრ უგვაროსი და უნათესაოს საქმე იყო, სად უნდა დაემალა, როგორ უნდა შეენარჩუნებინა ისეთი საუნჯე, რომელიც ყველას თვალს სჭრიდა და გულს შურით უვსებდა.

ჰაი, ჰაი, რომ ეგრე იყო ,მაგრამ მაშინ ხომ არც ლუხუმი ფიქრობდა ასე და არც ქარუმა. ამ ქვეყნად სიცოცხლისა და სიყვარულის, ოცნებისა და მოწოდენების უფლება ყველას ერთნაირი ჰქონდა, თვალი ხედვისათვის როგორ დაევსო, ან გული როგორ უნდა დაეხშო ტრფობისა და წრფელი სიყვარულისათვის. რა ვუყოთ, რომ ყმა გლეხი იყო, განა სიცოცხლის მოტრფიალე გრძნობა და თვალი იმის მიხედვით ზომავს, თუ რა გვარისა და შეძლების არის კაცი? ან მდიდარსა და გვარიანს, თუ გინდ მეფესაც, მასზე ან ქარუმაზე მეტად შეუძლია მშვენიერების ტრფიალი და დაფასება? ადამიანები ხომ დედის მუცლიდან ერთნაირად შიშველ-ტიტველნი იბადებიან, თან არც ძოწეული მოჰყვებათ, არც გლეხის ტყაპუჭი ,არც მეფის გვირგვინი და არც მონის უღელი! ცხოვრება თავათ ადამიანებმა მოაწყეს ისე, რომ ერთნი ფუფუნებისა და განცხრომის ტახტზე სხედან, მეორენი ტანჯვისა და წამების ორმოში არიან ჩაცვენილნი. რად უნდა იყოს ასე? როდემდის უნდა იყოს ქვეყანა აგრე უკუღმართად მოწყობილი?!.

უცებ ვიღაცამ ტყიდან დასტვინა, მეორე მხრიდანაც საპასუხო სტვენა გაისმა.

ლუხუმმა ფიქრებიდან გამორკვევაც ვერ მოასწრო, რომ გზის ორივე მხარეს იარაღასხმული ცხენოსნები გამოცვივდნენ ტყიდან და მგზავრს შემოერტყნენ.

— შეჩერდი! — უბრძანა პირისპირ მომდგარმა მხედარმა და შემართული შუბი მოუღერა. ლუხუმმა სადავე აკრიფა და ცხენი შეაყენა.

შუბმოშვერილი ცხენოსანი მიუახლოვდა. ერთმანეთს დააკვირდნენ.

— ქარუმა ხომ არა ხარ? — იკითხა ლუხუმმა.

— მე ვარ! შენ... — ახლა ქარუმა მიაშტერდა ცალთვალა ცხენოსანს,—ლუხუმა არა ხარ?

— ჰო, ლუხუმი ვარ, ქარუმ! — თავისქნევით დაუდასტურა მიგრიაულმა.

მერე წყენითა და გაოცებით მოავლო თვალი იარაღმომარჯვებულ ცხენოსნებს და კუშტად იკითხა:

— ჩემგან რა გინდათ?

— შენგან არაფერი... აქ სხვა ვინმეს გამოვლას ველოდით და შენ კი შეგვრჩი ხელთ.

ლუხუმმა თავით ფეხებამდი აათვალიერა ქარუმა: დარახტულ ქურანზე იჯდა დავაჟკაცებული, წვერულვაშდამშვენებული ნასყიდაანთ ბიჭი. კომნენის ნაჩუქარი ფული რომ შეაძლია მიგრიაულმა გულმოკლულ ქარუმას, იმ დღის შემდეგ აღარსად შეხვედრია, ჰორად იცოდა, ტყეში გავიდა და გაყაჩაღდაო, მაგრამ არ სჯეროდა და ახლა კი თავისი თვალით ნახა.

— მაშ მართალია, ქარუმ? ასე ჩემნაირ მგზავრებს ხვდები შარაგზაზე?— წყენითა და სინანულით ჰკითხა ლუხუმმა.

— არა, ტყუილია, ლუხუმ, შენისთანა მგზავრებს რას ვემართლები, შენ თავათ ჩემზე უბედური ხარ და მიუსაფარი! — ქარუმას ხმა აუკანკალდა, შუბლი შეიკრა და ლუხუმს სახე მოარიდა, — ჩამოხდი ცხენიდან, ძია ლუხუმ, დავსხდეთ, პური ვჭამოთ და ერთი მეორეს გული გავუხსნათ.

ქარუმამ ლუხუმის თანხმობას არ დაუცადა, ცხენზე თვითონ პირველი ჩამოხდა. ლუხუმიც თითქოს თავისდაუნებურად ჩამოქვეითდა. მეკობრეთა ალყა გაიხსნა და ქარუმა ტყისკენ წაუძღვა ლუხუმს.

ლაგამწაყრილ ცხენებს მწყემსები მიუჩინეს და ბალახზე მიუშვეს. ყველანი ჩამოსხდნენ, მწვანეზე სუფრა გაშალეს, ხურჯინებს თავი მოხსნეს და ტიკჭორიდან ღვინო ჩამოასხეს.

— ეს ალალ ხალხს გაუმარჯოს! — თქვა პირველი სადღეგრძელო ქარუმამ. დალია, რქა აავსო და ლუხუმს მიაწოდა. ლუხუმმა გაოცებით შეხედა ბნელი ტყის ყაჩაღს, შუბლშეკრულმა სასმისი ასწია და სადღეგრძელო თქვა:

— მართალ კაცს გაუმარჯოს, ვინც ალალ ლუკმასა სჭამს!..

სასმისი ჩამორიგდა, ზოგმა ჩუმად დალია, ზოგმაც ქარუმასა და ლუხუმის ნათქვამი გაიმეორა. მხოლოდ ერთი გაუკვირდა ლუხუმს — ეს სადღეგრძელო ისე არხეინად, დამშვიდებით დალია ყველა ყაჩაღმა, რომ წარბიც არ შეუტოკდა არც ერთს.

— აგერ რამდენი წელია, ლუხუმ, ტყეში ვარ, ნაძარცვითა და მოტაცებულით ვცხოვრობ, მაგრამ ჯერ პატიოსანი კაცისთვის არა წამირთმევია რა. ბატონებსა და ერისთავებს ვესხმი თავს, გასუქებული ეპისკოპოსების ქონებას ვეტანები და ხომ იცი, ქურდის ქურდი არ წაწყდება... — მწარედ ჩაიცინა ქარუმამ და სხვებმაც ჩუმად ჩაიქირქილეს.

— ამბობენ, ვითომ ბაკურ ერისთავის სახლი შენ დაგეწვას.. — სხვათაშორის თქვა ლუხუმმა და თვალი თვალში გაუყარა ნასყიდაანთ ობოლს.

— მე დავწვი... შევუთვალე კიდეც ბაკურს, ჯერ ეგ იყოს და მერე სხვა-მეთქი...

— მთაში მიდენილ ბაკურის ჯოგას გატაცებასაც შენ გაბრალებენ.

— ეგეც ჩემი საქმეა...

— ეფრემა ეპისკოპოსს გზაზე შენ დახვდი?

— დავხვდი და გავწმინდე კიდეცა.

ქვრივ-ობლების ნაძარცვზე ხელი ავაღებინე, ჯერ ეს ბიჭები დავალოცვინე და ვაკურთხებინე, მერე დედაშობილა ცანგალა ვაცეკვე და ისე გავუშვი.

— შენგან არა მჯეროდა. ეგ გზა პატიოსნების გზა არ არი, ქარუმ, მაგ გზას არ უნდა დასდგომოდი.

— ჰმ... მეც ვიცი, რომ არ უნდა დავდგომოდი. თავათაც არ მინდოდა, მაგრამ რაკი ამ ქვეყანაზე კანონი არა ყოფილა და სამართალსაც სხვა გზა არა ჰქონია, მეც ამ გზაზე გამოვედი. თვითონ ცხოვრებამ გამომაგდო, ლუხუმ, ამ გზაზე, თორემ შენ თავათ უკეთ იცი, ობლობაში სამადლო ლუკმით გავიზარდე, სიყრმიდან სიბეჩავისა და ჯაფის მეტი არა ვიცი რა. როგორც კი ცოტა მოვიყარე, მოჯამაგირედ დავდექი, ხუთ წელიწადს ვემსახურე უადამიანო ადამიანს, ცემატყეპა მე არ მაკლდა და დაცინვა, ღამე ძილი არ მქონდა და დღე სულისმოთქმა. მერე ამდენი ხნის ნაწვავ-ნადაგი ფულით ის კვიცი ვიყიდე და შენც იცი, რაც მომივიდა. ვერსად სამართალი ვიპოვე და ვერსად კანონი, ცხოვრებამ მომიძულა და აი ამ გზაზე გამომაგდო... და განა მარტო მე. აგე, ხოსიტა, გაღმამხრელი ზაზიაშვილი, ჰკითხე, რათ გამოსულა ტყეში... ჰერეთის ერისთავმა სახლი დაუქცია და ფუძე გადაახნევინა. მერე რათაო? იმისი მწევარი გაცოფებულიყო, სოფელში შემოვარდნილიყო და მაგის ბაღლებს რომ მიჰტანებიყო, მოეკლა... მა, არ უნდა მოეკლა? სეირისთვის ექცირა, როგორ დაუკბენდა და დაუცოფიანებდა ბაღლებს... გეკითხები, არ უნდა მოეკლა?

— უნდა მოეკლა! ოხვრით დაუდასტურა თავჩაღუნულმა ლუხუმმა...

— ჰოდა, მეც მანდა ვარ! რომ მოჰკლა, მერე ეს მოუვიდა, სახლკარი დაუქციეს და გადაუხნეს... სამართალი ვერ იპოვა და უსამართლობამ აქ გამოაგდო...

ხმალზე დაყრდნობილ ხოსიტას თვალები მოწყლიანებოდა და ცრემლს თითქოს ოდნავ მოელბო მისი მკაცრი სახე. ლუხუმმა შეხედა უბედურ ვაჟკაცს, ერთი კიდევ ამოიოხრა და თავი ბრალდებულივით ჩაღუნა.

— ან აგე, მაჩხანელი არჩილას ამბავი იკითხე — აღგზნებული განაგრძობდა ქარუმა, — მამა ხორნაბუჯელმა კალოზე მოუკლა. თურმე დედა რომ შეუგინა საწყალს, სიტყვა შეუბრუნებია, — მეც ისეთი დედა მყავს, როგორიც შენაო, რაც ჩემს დედას, ის შენსასაო... ეგ იყო და ეგა, მოხუცს დაყვირება ვერ მოუსწრია ბატონს თავში აფთი უცია და საცოდავს ტვინი გალეწილ ხვავში გაჰრევია. არჩილა იმ დროს შინისკენ ურმით მიდენილა, ეგ ამბავი რომ გაუგია, გაცეცხლებულს ხორნაბუჯელისათვის თავს დაუვლია, ვიწრო ხეობაში კლდის თავზე ჩასაფრებია, დიდი ლოდი უსვრია და ბატონი ცხენიანა ნაპრალში გადაუჩეხია...

— მა, არ უნდა გადაეჩეხა?.. შენ გეკითხები, არ უნდა გადაეჩეხა?! — ჩააცინდა ისევ ლუხუმს ქარუმა — უნდა გადაეჩეხა! — დაბეჯითებით თქვა ლუხუმმა და არჩილას შეხედა: არჩილა პირმოკუმული და წარბშეკრული იჯდა, ფიქრში წასული სადღაც შორს გაიყურებოდა და სახეზე ისეთი აღშფოთება გამოჰხატვოდა, თითქოს ახლა ხედავდა ხორბლის ხვავზე ტვინდათხეულ მოხუც მამას და ცხენით არხეინად მიმავალ ხორნაბუჯელს.

— ხომ ამბობ, რომ უნდა გადაეჩეხა, მეც მანდა ვარ! — განაგრძო ქარუმამ, — გადაჩეხა და რაღა კარგი მოუვიდოდა, სოფელში საღლა დაედგომებოდა!.. აილო და ტყეში გავიდა.

ქარუმას სავსე რქა მიაწოდა ახოვანმა ვაჟკაცმა, ქარუმამ ჩამოართვა და პირდაპირ რომ შეხედა, თითქოს ახლა გაახსენდა მისი აქ ყოფნაო, მხარზე ხელი დაჰკრა და წამოიწყო:

— აბა, ამას შეხედე, ლუხუმ... ცუდი ვაჟკაცია? თვალად დაიწუნება თუ ტანად, გოგიაი?

ლუხუმმა გოგიას შეხედა, მართლაც იშვიათი თვალტანადი ვაჟკაცი იყო.

— ჰოდა, ამ გოგიას თავისავით კოხტა ცოლი ჰყავდა, — განაგრძო ქარუ-

მამ, — მაგის ბატონს გულში ჩაუვარდა ლამაზი ქალი... შეუჩნდა. და რა არ მოიგონა, რა არ დაავალა და სად არ გაგზავნა გოგია. მარა ზღაპარში რო იტყვიან, სწორედ ისე უძვრებოდა ბატონის დაგებულ მახეებს გოგია, მის ყველა დავალებას ასრულებდა, შინ მალე ბრუნდებოდა და რაკი ქალიც ნამუსიანი ჰყავდა, ბატონი პირშიჩალაგამოვლებული რჩებოდა.

ბოლოს ადგა ის ბატონი, გოგიას შარი მოსდო, ქურდობა შესწამა და ციხეში ჩააგდო. სოფელი გოგიას ქურდობას როგორ დაიჯერებდა,. მაგრამ ბატონი სოფელს რას დაგიდევდა! ეგ ბიჭი თავიდან მოიშორა და თავის წადილის ასრულებას შეუდგა. ღამე მიუხტა გოგიას ცოლს და ძალად ნამუსი ახადა. ამასობაში გოგიამ ბევრი იმეცადინა, ციხიდან გაპარვა მოახერხა და შინ სწორედ მაშინ დაბრუნდა, როცა ბატონისგან პატივახდილი დალურჯებული პერანგშემოხეული ცოლი კედელს სიმწრისაგან თავს ახეთქებდა.

გულუბრყვილო გოგია თბილისში მეფესთან წავიდა საჩივლელად, ეგონა მეფე უშველიდა.. ის კი არ იცოდა, რომ მეფე თვითონ აძლევდა ერისთავებს ყმათა ცოლების ნამუსის ახდისა და გაუპატიურების მაგალითს...

ლუხუმს სახე გაუფითრდა და ბრაზისაგან ქვედა ყბა მოექცა. ქარუმა მიხვდა, რომ მიგრიაულის სატკივარს დააჭირა ფეხი, შეწუხდა, ცოტახანს გაყუჩდა და სასმისი ასწია.

— ეს ჩვენსავით ცხოვრებით დაჩაგრულებსა და სამართლის მძებნელებს გაუმარჯოს! — ჯავრიანად თქვა ქარუმამ, რქა დაცალა და ისევ ლუხუმს გადააწოდა.

— გაუმარჯოს! — მოკლედ თქვა სახემოღუშულმა ლუხუმმა, იქ მყოფებს მრისხანებით სავსე სალი თვალი მოავლო და ყანწი დაცალა. სავსე სასმისი ლუხუმმა გოგიას გადასცა. გოგიამ რქა ჩამოართვა და თავჩაღუნული რაღაცას დაელოდა.

— ხომ გაგიგონიათ, თევზი თავიდან აყროლდებაო, როგორიც მეფე გვყავს, ისეთი ბატონები არიან, გარყვნილები და უადამიანოები. მეფესთან გოგია რა სამართალს იპოვიდა, სასახლის ახლოსაც არ მიუშვეს და შინ უფრო ჯავრიანი დაბრუნდა. სოფელში მეგობრებს გაენდო, ბატონის ერთადერთი გასათხოვარი ქალი გზაზე დაიჭირა, ძალით ნამუსი ახადა. მხეც ბატონს ამით სამაგიერო გადაუხადა და ტყეში გავარდა. ამასაც არ დააჯერა, სახლი გადაუწვა. მაშ არ უნდა გადაეხადა სამაგიერო?.. მაშ არ უნდა გადაეხადა? — ისევ ჩააცივდა ლუხუმს ქარუმა, მაგრამ ლუხუმი პასუხის გაცემას აღარ აპირებდა, ისეთ გუნებაზე იყო ან უნდა ეტირნა, ან ვინმე უნდა დაეხრჩო თავისი ხელით, ბრაზისაგან სახეზე მიწისფერი ედო და ერთიანად კანკალებდა, იქ ყოფნა აღარ შეეძლო, ფეხზე წამოდგა, კალთა დაიფერთხა და სახეშეშლილმა ხმადაბლა თქვა დამნაშავესავით:

— გმადლობთ, მე უნდა წავიდე.

— სად მიხვალ, ლუხუმ? — თვალი გააყოლა ქარუმამ.

— შინისკენ... — უკან მოუხედავად თქვა ლუხუმმა და ნაბიჯი წადგა.

— შინ რაღა დაგრჩენია, შე უბედურო! — ოდნავ გასაგონად თქვა ქარუმამ და ამოიოხრა.

ლუხუმი შედგა, მრისხანე სახე წამით იბრუნა ქარუმასკენ, თითქოს შეყოყმანდა კიდეც, მაგრამ უცებვე შებრუნდა და მტკიცე ნაბიჯით წავიდა. ცხენზე რომ შეჯდა, დამრჩომებს ქუდი მოუხადა:

— მშვიდობით იყავით, გაგიმარჯოთ!

— შენც გაგიმარჯოს, ლუხუმ! — შესძახეს დარჩენილებმა.

ქარუმა ფეხზე წამოდგა და მიმავალ ლუხუმს დაადევნა:

— თუ ჩვენი თავი დაგჭირდეს, ამ ტყეში გვიპოვი, ლუხუმ!..

*

* *

ველისციხეში შემოსულ ლუხუმს ორღობეში ჯოგი შემოეფეთა: ცხენები, ხარ-ძროხა და ხბორები ჯგროდ მოდიოდნენ ვიწრო ორღობეში. უკან ცხენოს-

ნები მოჰყვებოდნენ და შოლტის ცემითა და შეძახილით აჩქარებდნენ.

ლუხუმის ცხენის დანახვაზე ჯოგის ცხენებმა ჭიხვინი ასტეხეს და მისკენ წამოვიდნენ. ლუხუმის ცხენმაც საპასუხოდ შესჭიხვინა და ტორების ცემითა და კისრის წევით დაითრია სადავე.

ჯოგი შედგა, შეჩოჩქოლდა და შენივთდა. უამრავ ხარ-ძროხის მონათლებულ ვეებერთელა თვალებს გაოცებით უყურებდა ლუხუმი. ჯოგის თავში მდგარმა დიდრონ რქებიანმა ნიშა ძროხამ პატრონი იცნო, ერთი შეზმუვლა და ხაოიანი გრძელი ენით ხზოს დაუწყო სლექვა.

— რა ამბავია, ლექსო, ჩემს საქონელს სად მიერეკები? — ჰკითხა წინ წამომდგარ ცხენოსანს ლუხუმმა.

— ბატონის ბრძანებაა.. — მიუგო ლექსომ.

— რომელი ბატონის!

— ბაკურ ერისთავის ბრძანებაა..

— ბაკურ ერისთავს ჩემს საქონელთან რა ხელი აქვს?

— არ ვიცი, ლუხუმ, ჩვენ გვიბრძანეს და გავრეკეთ, გვიბრძანებენ და უკან მოვრეკავთ... — მიუგო ლექსომ, ცხენიდან მიგრიაულისკენ გადაიწია და შეწუხებულმა უთხრა — აგერ ბიჭი დამეწია და იმან გვითხრა, დედაშენს უბედურება შემთხვევია, იჩქარე, იქნებ ცოცხალს მიუსწრო...

მრისხანებისაგან ალეწილ ლუხუმს უცებ ეცვალა ფერი, მხოლოდ ახლა დაინახა ლობესაკრული, თვალდასიებული თანდო ბიჭი... თანდოს ლუხუმის დანახვაზე ტირილი წასკდა, თვალზე ხელი აიფარა და სლუკუნით უკან გაიქცა.

— რაღას მიუსწრებ ბეჩავს... უკვე სული აღარ დგმია. — ჩაილაპარაკა ვილაცამ.

ლუხუმს თითქოს თავში რაღაც მძიმე დაჰკრესო, თვალთ დაუბნელდა, ცხენს სადავე მოსწია და კედლად მომდგარ ჯოგს მიაწყდა გასასვლელად. ბაკურის ყმებმა დაიქვეითეს და შოლტების ტყლაშუნითა და პირუტყვის ერთი მეორეზე ხეთქებით ლუხუმს გაჭირვებით გზა გაუკვლიეს.

ცხენხეთქით მიიჭრა ლუხუმი ჭიშკართან. ეზოში ხალხი ირეოდა, სახლის კიბე და დერეფანიც ხალხით იყო გაჭედილი.

ლუხუმის დანახვაზე დედაკაცებმა ვიშვიშსა და მოთქმას უმატეს, მუხლებზე ხელისცემა და თავის აქეთ-იქეთ ქნევა გაახშირეს, კაკლის ხესთან შეჯგუფულებმა წრე გახსნეს და ლუხუმმა დიდ ტოტზე ჩამოკიდებული მოქანავე თოკი დაინახა, თოკის ქვეშ წაქცეული სკამი ეგდო.

ლუხუმის ცალ თვალში ცრემლი და თოკი ერთმანეთში აირია, სადავეს ხელი უშვა და მუხლმოჭრილი კიბეზე სულმოუთქმელად ავიდა. მეზობლებმა მაშინვე გზას მისცეს.

დერეფანში ტახტზე ქეთევანი ესვენა, საოცრად ჩამომჭკნარი და დაპატარავებული, ჯავრისა და ტკივილისაგან სახეგაკერპებული.

ლუხუმმა ტახტამდის ფეხები ძლივს მიათრია, მოჭრილივით ჩაიკეცა, თავი გაციებული დედის მკერდს დაადვა და დასაკლავი ხარივით აბღავლდა. აბღავლდა და სიბრალულით გულდამწვარი ქალების მოთქმაც აჰყვა. გულაჩუყებულ ვაჟკაცებს თვალები დაუწითლდათ, ოხვრით შებრუნდნენ და თავით აივნის სვეტებს მიეყრდნენ.

ტიროდა ლუხუმი, კი არ ტიროდა, ღმუოდა და გაურკვეველ ხმას თუ ტირილს ჯიგარს ატანდა, ეხვეოდა, ხელებსა და ძუძუებს უკოცნიდა უკვე გაციებულსა და უგრძნობელ დედას, ერთადერთსა და უკანასკნელ ადამიანს, ბოლომდის მის ერთგულსა და მოყვარულს.

— მოაშორეთ, ეყოფა, ადამიანო. — ვიღაცა წაელაპარაკა მეორეს.

— გაუშვი, იტიროს! მაგის მეტი ვინღა რჩება დასატირებელი! — გაიგონა პასუხი ლუხუმმა და გული უფრო მეტად ამოუჯდა...

მართლაც და სხვა ვინღა რჩებოდა ლუხუმს ქვეყანაზე დასატირებელი, შვილი არ გააჩნდა და ნათესავი, ცოლი წაართვეს და მეგობრებმა ზურგი აქციეს.

ეს-ღა ჰყავდა — საყვარელი დედა, სიკვდილამდე ერთგული და გამტანი, გაჩენის დღიდან მასზე გადაყოლილი და ბოლოს მისთვის მკვდარი. რა გაჭირვებასა და ტანჯვაში ჰყავდა აღზრდილი ღარიბსა და უნათესავო ქვრივს ლუხუმი, როგორ დაჰკანკალებდა ერთადერთ ვაჟს, როგორ დაჰხაროდა ძლივს ფეხზე დამდგარ ოჯახს, როგორ უყვარდა მისი საყვარელი ლილე და როგორ ჩუმად, უთქმელად იკლავდა გულში მისგან წყენასა და უპატიობას, რომ ლუხუმს არ გაეგო და ცოტაც არის, გული არ ტკენოდა. და თურმე მთელი სიცოცხლე სულ იმისთვის უწვალია უბედურს, რომ ბოლოს ზიარება და თავის ლოგინში ადამიანური სიკვდილიც არ ღირსებოდა, და ჯავრისაგან გამწარებულს, მთელ ქვეყანაზე გულგატეხილს, მარყუჟში გაეყო ესოდენ ნატანჯი თავი.

როგორც იყო, ლუხუმმა ტირილით გული მოიჯერა. მეზობლებმა მხრებზე ხელი მოხვიეს, დაამშვიდეს და ნუგეში სცეს.

— ვაი, დედა! — ერთი კიდევ აღმოხდა ლუხუმს, სახელოთი ცრემლიანი სახე მოიწმინდა და ფეხზე წამოდგა. მისი უბედური სახის დანახვაზე ერთხელ კიდევ აწრიალდნენ მეზობლის ქალები. ლუხუმი სკამზე ჩამოსვეს და ნელ-ნელა უამბეს მომხდარი:

ლილე რომ მეფეს წაუყვანია, ქეთევანი ლოგინზე ყოფილა მიკრული. მეზობლებს მიუხედნიათ, ექიმები მოუყვანიათ და წამალი მიუციათ. სნეული თანდათან მობრუნებულა, ფეხზე დამდგარა და რძლის ძებნა დაუწყია. რკინის ჯოხი აუღია დედაბერს და რკინის ქალამანი ჩაუცვამს, მეფის კარამდე უვლია, მაგრამ ვერც მეფე უნახავს და ვერც სამართალი. მერე ბოლმისაგან გაკერპებული შინ მობრუნებულა, ოჯახს ისევ თავში ჩადგომია და იმის ცდაში ყოფილა, შვილს კერა მაინც არ დავახვედროთ გაცივებულიო. ბოლოს, ლუხუმის პატიმრობის ამბავი მოსულა. ბაკურ ერისთავს ხმა დაურხევია, ლუხუმი მეფის მოღალატეა და შინ მოსვლა აღარ უწერიაო. როცა ბაკური თავის ნათქვამში თვითონაც მტკიცედ დარწმუნებულა, ჯერ ლუხუმის ზვარი წაუღია თავისად, დღეს კი მის მოურავს საჩეხიდან მიგრიაულის ჯოგი გამოულალავს და გაურეკია. ქეთევანს მოურავისთვის ცოცხალი თავით პირუტყვი არ დაუნებებია, მაგრამ ვერაფერს გამხდარა. გონთ რომ მოსულა, სხვა ველარაფერი მოუფიქრებია, კაკლის ტოტზე თოკი ჩამოუბამს და თავი ჩამოუხრჩვია. მეზობლებს რომ შეუტყვიათ, უკვე გვიან ყოფილა — საწყალი ქეთევანი თოკიდან გაცივებული ჩამოუღიათ.

ლუხუმმა დედის ამბავი მოისმინა. გულს ჩაიმჯილა და თავი გმინვით ასწია: სასტუმრო ოთახის კარი ღია იყო, კედელზე ჩამოშვებულ ნოხზე ირმის რქები იყო მიკრული. ირმის რქებზე ლუხუმის ჯაჭვის პერანგი, ფარ-ხმალი, მშვილდი და ისრებით სავსე კაპარჭი ეკიდა. ლუხუმი დაჟინებით მიაშტერდა იარაღს. თვალწინ გომბორის ტყეში შეხვედრილი მეკობრეები დაუდგა და თავში ნასყიდაანთ ქარუმას დაჟინებული კითხვა ჩაუჯდა:

— მა, არ უნდა მოეკლა? მა, არ უნდა გადაეჩეხა? მა, არ უნდა გადაეხადა სამაგიერო?!..

— უნდა გადაეხადა... უნდა მოეკლა და გადაეჩეხა!

ხმამაღლა, თავის ქნევით გასცა პასუხი ლუხუმმა აკვიატებულ კითხვებს და ფეხზე წამოდგა.

მეზობლის ქალებმა ერთმანეთს გაოცებით გადახედეს, ხომ არ გაგიჟდაო. ერთმანეთსვე თვალით უთხრეს: ან კი რა გასაკვირი იქნებაო და პირჯვარი გადაიწერეს.

ლუხუმი დინჯი ნაბიჯით შევიდა ოთახში.

ირმის რქიდან იარაღი ჩამოიღო, აისხა და დერეფანში გამოვიდა.

მეზობლებმა გაკვირვებით შეხედეს ქირისუფლისთვის შეუფერებლად შექუხრვილ მიგრიაულს.

ლუხუმმა უბიდან სავსე ქისა ამოიღო, ტახტზე დააგდო და მეზობლებს მიმართა:

— მე არაფრის თავი აღარა მაქვს, მომეხმარეთ. დახარჯეთ და თადარიგი ისე გასწიეთ, რომ დედაჩემის გასვენებას არა აკლდეს რა. პატიოსანი სიკვდილი არ ეღირსა და პატიოსნად მაინც დავასაფლავოთ!.. მე ხუცესს მოვიყვან...

ლუხუმი დინჯად გავიდა, კიბეებზე ნაბიჯს მოუჩქარა, ცხენს მოახტა და ადგილიდანვე ჭენებით დასძრა.

*

* *

ბინდდებოდა, ბაკურ ერისთავის კარმიდამოს რომ მიუახლოვდა ლუხუმი. შორიდანვე ჩანდა გაჩირაღდნებული სასახლე, მუსიკისა და სიმღერის ხმა სოფლის ბოლომდე მოდიოდა. დაქვეითებული ლუხუმი ბაკურის დიდ ეზოს მიუახლოვდა.

გრძელ, განათებულ თალარში სუფრა იყო გაშლილი, ბაკურს სტუმრები ჰყავდა.

ლუხუმი ღობეს გაეკრა და სულგანაბული მიაჩერდა: ბაკურმა მემუსიკეებს გაჩუმება ანიშნა, დიდი ყანწი აიღო და გრძელი სადღეგრძელოს წარმოთქმა დაიწყო.

ლუხუმს მის სახლში მეფის საბედისწერო სტუმრობა მოაგონდა. მაშინაც ბაკურ ერისთავი იყო თამადად, ალავერდს მასთან გადადიოდა და რაკი მეფის ახლობლად თვლიდა ერთგულებასა და სიყვარულს ეფიცებოდა. მერე, მეფემ რომ საქვეყნოდ შეარცხვინა და მოიძულა, სიკვდილის ამბავსაც არ დაუცადა, ცოცხალ კაცს ზვარი მისტაცა და ჯოგი წაართვა.

მაშინაც ასე ენამზეობდა გაუტანელი ერისთავი, მაშინაც ასევე უგულოდა და ყალბად სვამდა ქართველი ხალხის სადღეგრძელოს, როგორც ახლა.

ბაკურმა სიტყვა დაამთავრა და ყანწი რომ პირისკენ წაიღო, ლუხუმმა მშვილდზე ისარი გამართა.

ვეებერთელა ყანწს დაეწაფა ბაკური. სუფრაზე მსხდომთ ხმა გაკმიდეს და აღტაცებით მიაჩერდნენ ბაკურს.

ნახევარი არ ექნებოდა დალეული, რომ ბაკურის აწეულ ყელს, ზედ ხორხში ისარი გაერჭო და ერისთავს ხელიდან ყანწი გაუვარდა. მოულოდნელობისაგან დაბნეულებს, ერთ წამს ენა წაერთვათ მერე უცებ გონს მოეგნენ, აიშალნენ და სოფელი წივილ-კივილმა შესძრა.

ლუხუმი ცხენს მოახტა და ჭენებით გაქანდა ქარუმას მეკობრეების სამყოფელ ტყისკენ.

*

* *

ბაკურ ერისთავის სიკვდილი ერთხანს საიდუმლოებით მოცული დარჩა. ლუხუმის უეცარ გამოჩენასა და კვალწმინდად გაქრობას ეჭვით ბევრი უკავშირებდა ბაკურის მკვლელობას, მაგრამ სანამ ლუხუმის ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, ეჭვი ეჭვად რჩებოდა.

კვლევა-ძიებამ მკვლელობის კვალი ვერ აღმოაჩინა, მაგრამ სულ მალე ლუხუმი თავად გამოჩნდა და სამეფო კარს თავზარი დასცა: ბაკურის დასაფლავებაზე მიმავალ დიდებულებს გზაზე ღამით მეკობრეები დახვდნენ. წინააღმდეგობის გაწევისას ორი მოკლეს, დანარჩენებს იარაღი აჰყარეს, ცხენები წაართვეს და თავსლაფდასხმულები ფეხით გაუშვეს.

დიდებულებმა ცალთვალა ლუხუმის მრისხანე სახე დანახვისთანავე იცნეს, მიგრიაულის გაყაჩაღების ამბავი თბილისში ჩაიტანეს და მთელ სამეფოს მოსდეს.

*

* *

ლუხუმის გათავისუფლებიდან ორი დღეც არ გასულიყო, რომ მიწისქვეშა საკანში ახალი ტუსაღი გამოამწყვდიეს და მიგრიაულის სამმაგი საბელით დააბეს. კაცთან ლაპარაკს დანატრებულმა

ნადირამ მაშინვე გაუბა საუბარი: თავისი თავგადასავალი უამბო და მისი გამოჰკითხა.

ყაზვინელი მონის გაოცებას საზღვარი აღარ ჰქონდა: სხვები, ამ ციხეში ჩაგდებული პატიმრები, თავბედს იწყევლიდნენ, ეს ტუსაღი კი, პირიქით, კმაყოფილებას გამოთქვამდა: მართალია, პატიმარი ვარ, მაგრამ აქ უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს, ვიდრე გარეთ. ამ პატარა საკანში, რაზეც მინდა, იმაზე ვიფიქრებ და ჩემს ნებაზე აზროვნებას ვერავინ დამიშლისო. თუ კაცს შენს ნებაზე ფიქრისა და აზროვნების უფლება არ გაქვს, თავისუფალი მაინც არა ხარ და განა სულ ერთი არ არის, ციხეში დაჯდები, თუ სამუშაო დაზგასთანო?

ეს უცნაური ტუსაღი ზომაზე მეტად თავმოყვარე ეჩვენა ნადირას.

— მე ოლთისარი აზნაურის შვილი ვარ, ხელობით მხატვარი, — უამბო უცნობმა ნადირას. — სწავლა კონსტანტინოპოლში დავასრულე და კარგა ხანს ანტიოქიასა და იერუსალიმში ვმუშაობდი. ამ ერთი წლის წინათ დავბრუნდი სამშობლოში. მეფემ კარის მხატვრად მიმიწვია, მაგრამ მე თავისუფლება ვარჩიე და ავადმყოფობის მომიზეზებით პატივსა და მეფის კარზე ცხოვრებაზე უარი ვთქვი. ჩემზე იმდენი რამ სმენოდა, რომ მეფე მაინც არ ჩამომეხსნა, თავისი სახის დახატვა შემომთავაზა და ამის უარი ხომ აღარ შეიძლებოდა! შევუდექი ხატვას. რაც დრო გადიოდა, მეფე ეჭვის თვალით უყურებდა ჩემს ნამუშევარს, ეტყობოდა, არ მოსწონდა, რადგან ნებივრობით თავგასულსა და მალემრწმენს ვხატავდი. ბოლოს, ცოტაღა რომ მიკლდა დასრულებას, პირდაპირ მითხრა: ამდენ ხანს შენც ამაოდ დაშვერ და მეც ტყუილად მომაცდინე, ეგ ნახატი მე არა მგავსო. ამაზე მე გავწიწმატდი და მკვახედ ვუპასუხე, ადამიანი თავისთავს ვერ ხედავს და სხვის თვალს უნდა დაუჯეროს. მე ასე გხედავ და სხვანაირად როგორ დამეხატე-მეთქი. მეფე გაბრაზდა, ნახატს ხელი დაავლო და ზედ ფეხით შედგა.

სისხლი ყელში მომაწვა, გონება დავკარგე და ხელმწიფეს ვეცი.

— მეფის ურჩობა და შებმა როგორ გაჰბედე! — გაიოცა ნადირამ.

— შენ ამას ვერ გაიგებ, ნადირა, — მშვიდად უთხრა მხატვარმა, — შენ სიყრმიდან მონობას ხარ შეჩვეული, მე კი ბალღობიდან სიამაყესა და თავმოყვარეობას მინერგავდნენ. თავისუფალი კაცი მონისაგან იმითაც განსხვავდება, რომ შეურაცხებასა და დამცირებას არ ითმენს. როცა კაცი სხვისაგან დამდაბლებას იტანს და სხვისი კარნახით მოქმედებს, იგი მონად იქცევა, რადგან თავისუფალი მხოლოდ ის არი, ვინც თავის ნება-სურვილზე მოქმედებს და მძლავრობის წინაშე ქედს არ იხრის. მით უფრო მხატვარი, ნადირ! იგი თუ სხვისი თვალით ხედავს და ხატავს, შემოქმედი აღარ არის. მხატვარმა საკუთარ თვალსა და გულისთქმას უნდა დაუჯეროს და მხოლოდ ისე ხატოს, როგორც თვითონ ფიქრობს, როცა მეფეს ვხატავდი, სახის უბრალო გადმოღებას კი არ ვცდილობდი, მისი შინაგანი ბუნებისა და ხასიათის შთაწვდომა და გამოტანა განვიზრახე მიზნად. ასე მასწავლიდნენ ჩემი ბიზანტიელი მასწავლებლები და სხვანაირად, თუნდაც მეფის სურვილის მიხედვით, ხატვა არ შემეძლო. მაგრამ შენ ამას ვერ მიმიხვდები, ნადირ. მხოლოდ ერთი იცოდე, ღვთისა და სიმართლის წინაშე მეც ისევე უბრალო ვარ, როგორც შენ. — დაასრულა ოლთისარმა და გაჩუმდა. ეს იყო და ეს... მხატვარს ხმა აღარ ამოუღია, აღარც თვითონ უკითხავს რამე ნადირასთვის და არც მის კითხვაზე გაუცია პასუხი.

უკანასკნელ დღეებში ოლთისარმა მხატვარმა მოსვენება დაკარგა. ერთთავად შფოთავდა და ხმამაღლა სუნთქავდა. ბოლოს ხველებას უმატა და კვნესაც დაიწყო.

ნადირა ხვდებოდა, რომ მხატვრის საქმე თანდათან უკან მიდიოდა, სნეულება ერეოდა და მშველელი არავინ ჰყავდა. მის თვალწინ თავდებოდა კაცი

და თავათ ვერაფერს ეხმარებოდა. წუხდა ნადირა, მაგრამ ნუგეშის მეტი არა გააჩნდა რა, ხოლო დასნეულებული მხატვარი, კარგა ხანია, იმ ნუგეშსაც ყურს აღარ უგდებდა.

ნაშუაღამევს ხმაური ჩაესმა ნადირას.

— ოსტატო, გძინავს? — ჩაჰკითხა ნადირამ ავადმყოფს, მაგრამ მხატვარი არც განძრეულა.

— ხმაური არ გესმის, ოსტატო? — ისევ იკითხა ნადირამ და სმენად ქცეულმა ყური მიუგდო თანდათან მოახლოებულ ხმაურს.

მხატვარი ისევ უძრავად იწვა და ნადირას კითხვაზე ხმას არ იღებდა.

ნადირა წამოიწია, ავადმყოფისკენ გაიხედა.

ახლო გავლილი სიკვდილის სიცივე იგრძნო და ტანში ჟრჟოლამ დაუარა.

დაძახება უნდოდა, მაგრამ ხმას ვეღარ იღებდა... ხმაური კი მატულობდა და ახლოვდებოდა. ხმაური კი არა, ხალხის ყიჟინა და ყაყანი ახლოვდებოდა და ნადირა — ყურს არ უჯერებდა.

ბოლოს, ეტყობოდა, საკანის კართან შეჩოჩქოლდნენ, რკინის კარის ჭუჭრუტანებიდან შუქმა შემოაღწია და პატიმარმა კლიტეების ჩხარუნი გაიგონა.

მერე უცებ რკინის კარი ფართოდ გაიღო და კიბეზე უამრავი ჟინჟღილების შუქზე ხმალშემართული მიგრიაული გამოჩნდა.

— ლუხუმ! — აღმოხდა ნადირას და ის იყო ასადგომად წამოიწია, რომ გალეული სხეულით მძიმე ჯაჭვები ვეღარ აითრია და იქვე ულონოდ ჩაიკეცა.

ყაჩაღები საკანში შემოვიდნენ.

— ცოცხლად დაუმარხავთ უბედურები! — თავის ქნევით თქვა ქარუმამ და საკანს თვალი მოავლო.

— ნესტისა და ჟანგისთვის შეუჭმევიათ! — კბილის ღრჭენით დაუმატა ხოსიტამ.

მიგრიაული მუხლზე ჩაიკეცა და ნადირას გადაეხვია. გულამომჯდარ ნადირას მოხვევა უნდოდა, მაგრამ დაბორკილ ხელებს ვერაფერს უხერხებდა და ცრემლით დასველებულ სახეს ხან მხარზე ადებდა, ხან მკერდში უმალავდა მიგრიაულს.

ლუხუმი წამოიწია. აკანკალებულ ციხის უფროსს ერთი მგლურად შეხედა და შეუძახა:

— რა მამიჩემის მოკითხვას უცდი! აჰყარე რკინები...

ციხის უფროსმა ჩაიჩოქა. ნადირას ბორკილები შეხსნა. ძირს დაცვენილმა ჯაჭვებმა ჩხრიალი მოიღო.

ფეხზე დამდგარმა ნადირამ ხელები ნელ-ნელა გამართა, თითებს გაოცებული შლიდა და ღუნავდა, თითქოს პირველად სწავლობდა მათ მოხმარას.

მერე რამდენიმე ნაბიჯი ფეხის კანკალით წადგა და ისევ ლუხუმს გადაეხვია.

ერთიმეორის ხვევნით რომ გული იჯერეს, ორივე უძრავად მწოლარე მხატვრისკენ შემობრუნდა. ლუხუმის ნაბამი ჯაჭვი შეხსნა ხელებზე ოლთისარ მხატვარს ციხის უფროსმა. გაციებული ხელები მოჭრილივით დაეცა ქვის იატაკზე და ლუხუმმა გაოცებით შეხედა ნადირას.

— მომკვდარა! ღლისით კიდევ სუნთქავდა უბედური! — ამოილუღლუღა ნადირამ და ლოყაზე ცრემლი დაუგორდა. ჟინჟღილების შუქზე დახედა ლუხუმმა მკვდარს და სახე მაშინვე ეცნაურა.

— მეფის მხატვარი! ილარიონ ოლთისარი! — აღმოხდა გაოცებით.

— სწორედ ის არი! — დაუდასტურა ნადირამ და ლუხუმს თვალწინ დაუდგა სიცოცხლით სავსე, შნოიანი ვაჟკაცი.

რამდენი რამ იცოდა ამ კაცმა, როგორი მოწიწებით მიდიოდნენ მასთან ახალგაზრდები და რა გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს მისი ყალმის მოძრაობას.

მეფის ხატვას რომ მორჩებოდა ხოლმე, მცირე ხნით ლუხუმს დაიტოვებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და გატაცებით ხატავდა მის გონჯ სახეს. უკვირდა ლუხუმს, რით იზიდავდა, ან რად უნდოდა მისი დამახინჯებული სახის დახატვა სახელგანთქმულ ოსტატს, მაგრამ უფრო მეტად ის აკვირვებდა, რომ ილარიონის სახელოსნოში შემოსულები მეფის სურათთან დიდხანს არ ჩერდებოდნენ, ხოლო მისი სურათის წინ საათობით იდგნენ და აღფრთოვანებასა და განცვიფრებას ხმამაღლა გამოთქვამდნენ.

რა ხელი ჰქონდა მაინც ამ ცხონებულს! ერთი მოსმით გაფრენილ ჩიტს ან გაჭენებულ ცხენს გამოიყვანდა, რამდენიმე ხაზით კაცის სახეს ისე დახატავდა, ნახატის ყოველი ნაკვთი სიცოცხლით მეტყველებდა, ადამიანურ სევდას თუ სიხარულს გადმოსცემდა.

ახლა ეს მარჯვენა უძრავად ეგდო ქვის იატაკზე, ხოლო ფერებისა და შუქ-ჩრდილების თამაშით გატაცებული, მუდამ მოუსვენრად მოძრავი თვალები უაზროდ გაყინულიყვნენ, მათ აღარც ფერი იზიდავდა, აღარც სითბოსა და სიცივის გრძნობა შერჩენოდათ.

*

* *

ლუხუმი და ნადირა ციხიდან გამოვიდნენ.

ეზო სავსე იყო ცხენებზე ამხედრებული ქინქლილებიანი ყაჩაღებითა და განთავისუფლებული პატიმრებით.

ლუხუმი ცხენზე შეჯდა, ხელი მაღლა ასწია და ხალხს გაჩუმება ანიშნა.

მაშინვე სიჩუმე ჩამოვარდა.

— ძმებო, მეც თქვენსავით უდანაშაულოდ ვიყავი ამ ციხეში დატუსაღებული. აქედან გასულმა დავიფიცე, თქვენც გამეყვანეთ ამ ჯურღმულიდან. რაც ტყეში გავედით, თქვენი განთავისუფლებისათვის ზრუნვა არ დამიკლია. ახლა თავისუფალნი ხართ და ვისაც საით ურჩევნია, იქით წავიდეს.

— სად წავალთ? შინ უნდა წავიდეთ!

— მა, სხვაგან სადა?! ღმერთმა იცის, დანაშაული არა გვაქვს რა, — აყაყანდნენ უფრო მოხუცები და უღონოები.

— ჩვენ სად წავიდეთ, ვისაც მიწაწყალი წაგვართვეს და სახლ-კარიდან აგვყარეს?!

— შენს იქით ვერსადაც ვერ წავალთ, სულერთია, ბატონები არ დაგვეხსნებიან, ან მოგვკლავენ, ან ისევ აქ დაგვაბრუნებენ, — აყვირდნენ ახალგაზრდები და ლუხუმს ირგვლივ შემოერტყნენ.

— ჩვენ შენთან დარჩენა გვინდა, ლუხუმ!

— ჩვენ სამაგიეროს გადახდა გვინდა ჩვენი გამმწარებლებისათვის!

— შენთან წაგვიყვანე, ლუხუმ, ჩვენც შენთან ვიბრძოლებთ! — შესძახოდნენ მუშტალმართული ვაჟკაცები.

— ეგრე იყოს, ვისაც ჩვენთან ერთად უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა გადაუწყვეტია, ჩვენთან დარჩეს, ვისაც წასვლა უნდა, წავიდეს...

წამსვლელები ნელ-ნელა გამოეყვნენ დამრჩომებს. მიგრიაულს და მის რაზმელებს მადლობა გადაუხადეს და თავთავის გზას დაადგნენ.

დარჩენილები ლუხუმის ირგვლივ წრედ შეიკრნენ.

— ძმებო, ჩვენ ხომ იარაღი გვინდა! — დაიძახა უცებ არსენა მჭედელმა და ყველამ მისკენ მოიხედა.

— გვინდა, მაშა!

— უიარაღოდ რა ყაჩაღები ვიქნებით! — შესძახეს აქეთ-იქიდან.

— ჰოდა, წამოდით, იარაღი მოვიტანოთ!

არსენა ციხისკენ შებრუნდა და თან ლუხუმთან დარჩენის მსურველი ნაპატიმრალებიც მიჰყვნენ.

ცოტახნის შემდეგ მეკობრეები უკან მობრუნებულების დანახვამ გააოცა.

ნატუსაღარებს წინ არსენა მოუძღოდათ, თან ჯაჭვები და ბორკილები მოჰქონდათ.

არსენა მიგრიაულს მიუახლოვდა,

ბორკილები მის წინ დაჰყარა, იქ მყოფებს გადახედა და ხმამაღლა დაიძახა:

— ძმებო, ჩვენ ქვეყნისა და ხალხის წინაშე მართალნი ვართ! უდანაშაულოდ გამოგვალპეს ციხეში და ჩვენი სხეული ამ ბორკილებს შეაჭამეს!

— ცოცხლად დაგვმარხეს იმ უღმერთოებმა!

— მაგ ბორკილების ზიდვას სიკვდილი სჯობდა და როგორ გავუძელით!— გაისმა სხვადასხვა მხრიდან.

— ჰოდა, ამ ბორკილებისგან გამოჭედილ ხმალს შურისგების სურვილი არ მოასვენებს, — განაგრძობდა არსენა,— ეს ბორკილები ხმლებად გადავადნოთ და მათ მომგონებს ჩვენისთანა მართალი ხალხის მჩაგვრელებს სამაგიერო მივაგოთ.

— სამაგიერო მჩაგვრელებს!

— სიკვდილი ხალხის დამმონებლებს!

აგუგუნდნენ ნატუსაღარები, ჯაჭვ-ბორკილები მაღლა ასწიეს და ლუხუმს ერთხმად შეჰფიცეს მჩაგვრელებთან ბრძოლაში სიკვდილამდის თანადგომა.

* * *

მეკობრეებმა კახელი მემამულეების რბევა გაახშირეს.

ერთხელ დღისით-მზისით ქალაქ ხორნაბუჯში შემოცვივდნენ. ვაჭრებმა და ხელოსნებმა ქულბაქებისა და სახელოსნოების დაკეტვა ვეღარ მოასწრეს.

ბაზარში ცხენოსანი მეკობრეები შემოვარდნენ, წინ ცალთვალა გოლიათი მიუძღოდათ.

არსენა მჭედელთა უბანთან ჩამოხდა, მჭედლებს წინ ჯაჭვ-ბორკილები დაუყარა და თვითონაც სახელოები დაიმკლავა.

დანარჩენი მეკობრეები ბაზარს მოედვნენ... უხვად და დაუნანებლად აძლევდნენ ყველაფერში მემამულეებისა და ეპისკოპოსების ნაძარცვ ფულს, ვაჭრებსა და ხელოსნებს უფასოდ, ან ძალით არაფერს ართმევდნენ.

უკან მობრუნებული ლუხუმი სამჭედლოს წინ შეჩერდა, მჭედლები გაცხარებული მუშაობდნენ, გაღვივებულ ქურაში ბორკილები ეყარა, არსენა გავარვარებულ რკინას გრდემლზე ატრიალებდა და ზედ უროს სცემდა.

ნატუსაღარს სახეზე ღვარი გადადიოდა, შუბლზე და სქელ კისერზე, ლოყებზე და ნიკაპზე ოფლის წვეთები ესკვნებოდა და ისედაც გაბრწყინებულ სახეს კიდევ უფრო უბრწყინებდა.

— აკი გეუბნებოდი, ლუხუმ, გამოდგება-მეთქი! ამ ბორკილებისაგან გამოჭედილ ხმალს ჯაჭვი და ბეგთარი ვერ დაუდგება... ნახონ და იწვნიონ ბორკილების გამკეთებლებმა, ნახონ და გამოცადონ ამ რკინის ძალა, ვინც ეს ბორკილები დაგვადო. — ქაქანებდა თავათაც გავარვარებულ რკინასავით სახეაწითლებული არსენა და უკვე ხმლად ნაწრთობ ლითონს პირს უკვერავდა.

მეკობრეები გარს ეხვეოდნენ მჭედლებს, აღგზნებული თვალებით შეჰყურებდნენ ბორკილებისაგან ხმლების ჭედვას.

მიგრიაულის ცალი თვალი გაღვივებულ ქურას ჩაშტერებოდა და სისხლისა თუ რისხვისაგან იმ ქურასავით გაწითლებულიყო. ყველანი ერთი ფიქრითა და გრძნობით დაჰყურებდნენ ხმლების წრთობას. იმ წუთს ყველა ერთს ფიქრობდა და გული ყველას ერთსულოვნად უცემდა, თავიანთ მომთხრელებზე და სახლკარიდან ამყრელებზე მართალი ხალხის მჩაგვრელებზე და გამმწარებლებზე მალე დაეტრიალებინათ ბორკილებისაგან გაჭედილი ხმლები.

* * *

მიგრიაულის რაზმი თანდათან იზრდებოდა და დიდდებოდა. ბედისაგან დაჩაგრული, უსამართლობისა და უკანონობისაგან გამწარებული, ბატონებისა და მეფის ხელისუფლებისაგან გაბოროტებული ყველა ვაჟკაცი მიგრიაულის

რაზმს უერთდებოდა და ბორკილებისგან გაჭედილი მახვილით უხდიდა სამაგიეროს მათი ნამუსისა და კაცობის შემგინებლებს.

მეკობრეები ნაძარცვის დიდ ნაწილს ქვრივ-ობლებსა და ღარიბებს უნაწილებდნენ, ჩაგრულებს აშკარად ექომაგებოდნენ და თავიანთ განაჩენს წინასწარ უთვლიდნენ სასტიკ ბატონებსა და გაუმაძღარ ხუცებს.

თუ თავის ძალითა და ვაჟკაცობით დაიმედებული რომელიმე მემამულე ყმის ჩაგვრაზე ხელს არ აიღებდა, მიტაცებულს არ დააბრუნებდა, ან პატიოსანი ოჯახის შერცხვენას არ დაეხსნებოდა, მიგრიაულის ბიჭები განაჩენს დანიშნულ ვადაზე, მთელი ქვეყნის დასანახავად უსრულებდნენ—ბატონს სახლკარს უწვავდნენ, ცოლსა და ქალიშვილებს უუპატიურებდნენ, ან თვითონაც აძაღლებდნენ.

უბრალო კაცის სისხლსა და ძარცვას სასტიკად სდევნიდნენ მიგრიაულის კაცები და არათუ თავად არავის ერჩოდნენ, სხვებსაც მკაცრად უსწორდებოდნენ მართალი და უდანაშაულო ხალხის აწიოკებისათვის.

ხალხი ყოველნაირად ხელს უმართავდა თავის მოსარჩლეებს. წინასწარ აფრთხილებდა მოსალოდნელი საფრთხისაგან. მალავდა და იფარავდა ცალკე რაზმელებს.

სოფელი ხომ ეხმარებოდა მეკობრეებს, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ხელისუფლებაც უნიათოდა და უგულოდ ეძებდა მათ ბუდე-სამყოფელს. მეფის დამსჯელი რაზმები თითქო განგებ გაურბოდნენ მეკობრეებთან შეტაკებას. თითქო წინასწარ განზრახვით უტოვებდნენ იარაღითა და სურსათ-სანოვაგით სავსე ბანაკს უბრძოლველად.

სამაგიეროდ მეფის კარზე უზომოდ აზვიადებდნენ მიგრიაულის ძალასა და სისასტიკეს, მისი რაზმის მრავალრიცხოვნობასა და მტრებისადმი შეუბრალებლობას.

მეკობრეებს აშკარად ვიღაც უმართავდა ხელს, ჩუმად შველოდა მიგრიაულის გაძლიერებას, ხელს უწყობდა მისი სახელის გაფენასა და მეფის კარზე შიშის დათესვას.

ბიბლიოთეკა

მეკობრეები მეფის დამსჯელი რაზმების უმოქმედობას იმით ხსნიდნენ, რომ მეფის ჯარიც ყმა გლეხებისა და ხალხის შვილებისაგან, შედგებოდა რომელთაც გუნებაში, ალბათ, ახარებდათ კიდევაც კახეთის ბატონების ესოდენ შევიწროება და მეფის ერთგული მსახურის — მიგრიაულის შურისგება.

*

* *

ბაკური უძეოდ გადაეგო, რადგან ერისთავის ზეხრეკი ცოლი ბერწიც იყო. რა არ ილონა და როგორ არ იწამლა, მაგრამ არ ეშველათ და შვილი არ მიეცათ. ბაკურს მამულისა და ქონების დახარბებით ჰყავდა შერთული შეძლებული მემამულის ართვალი ქალი. გული მისკენ ადრეც არ მიუდიოდა და ბოლოს ხომ დასანახავადაც ველარ იტანდა.. ქეიფისა და ქალების მოყვარული ბაკური დროს მეტწილად სახლგარეთ, სხვა ქალებთან ატარებდა. კახეთის თითქმის ყოველ სოფელში საყვარელი ჰყავდა და უკანონო შვილებიც ბლომად დატოვა.

რაკი ერისთავს კანონიერი მემკვიდრე არ დარჩა, მეფემ ბაკურის მამული რამდენიმე მოცილეს გაუყო და მისი მოზრდილი ნაწილი ბაკურის ციხითურთ თავის ერთგულ ყმას ეგარსლანს უბოძა.

ამიერიდან მეფის გვარდიის უფროსი ეგარსლანი ბაკურციხელ ერისთავად იწოდა.

ეგარსლანმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი ბაკურის მემკვიდრეობას. ხარბმა ბაკურმა მამულისა და ქონების შოვნა იცოდა, თორემ მის მოვლასა და პატრონობაზე შემდეგ დიდად აღარ ზრუნავდა.

უმიწაწყლო, მონაყოფილ ეგარსლანს შრომისმოყვარეობასა და მუყაითობასთან ერთად მიწის დიდი სიყვარული გამოაჩნდა. დიდხანს ნაგროვები ფუ-

ლით მამულისა და საქონლის მატებას მიჰყო ხელი და მეფის ნაბოძების სანიმუშოდ მოვლა-პატრონობა ცხოვრების აზრად გაიხადა.

მამულისა და ქონების მატებისათვის ზრუნვაში, ბუნებრივია, რომ ეგარსლანმა კახელი მეკობრეების თავაშვებულ თარეშს მიაქცია ყურადღება. ცალკერძ საკუთარი დოვლათის უშიშროების უზრუნველყოფისა და ცალკერძ მეფის გულის მოსაგებად ეგარსლანმა მეკობრეთა წინააღმდეგ თავიდანვე შეურიგებლობა გამოიჩინა. მის სამფლობელოს ახლო არ გაკარებიან მეკობრეები, მაგრამ ეგარსლანი თვითონ გადავიდა შეტევაზე და კახეთის რჩეული აზნაურებით იწყო მათი დევნა და შევიწროება.

ლუხუმსა და ეგარსლანს მეფის კარზე კარგი მეგობრობის მეტი არაფერი აკავშირებდა. ორივე უგვარო იყო და მეფის უსაზღვროდ ერთგული. ორივე ერთნაირად განიცდიდა დიდგვარიანთა დაუმსახურებელ უპირატესობასა და უგვაროთა მიმართ დამამცირებელ ზვიადობას.

მდგომარეობით ერთნაირი მეფის ორი მსახური ხასიათით დიდად განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან.

ლუხუმი მშვიდი იყო და ბედით კმაყოფილი. მეფეს ალალი გულით ემსახურებოდა და მისი ბრმა ერთგულება ჰქონდა. იგი აღზევებასა და განდიდებაზე არ ოცნებობდა და რაც გააჩნდა, მისთვისაც მეფის უზომოდ მადლობელი იყო.

ეგარსლანი პატივმოყვარე იყო, ცოტას არ სჯერდებოდა და თვალი სულ მაღლა ეჭირა, განდიდებისაკენ. მეფეს ისიც წრფელი გულით ემსახურებოდა, ლაშასადმი ერთგულებაც სხვაზე მეტი ჰქონდა, მაგრამ მის თავგამოდებას დიდებისაკენ შინაგანი ლტოლვაც ამოძრავებდა.

გამჭრიახმა ეგარსლანმა ხელისუფლებისათვის მიმდინარე ჩუმ ბრძოლას თავიდანვე აუღო ალღო და მისი აქტიური მონაწილე გახდა.

მეფის თვალი და ყური იყო ეგარსლანი. მხარგრძელისა და სხვა დიდგვარიანი მთავრების წინააღმდეგ ბრძოლაში ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა მეფეს და ლაშაც მისი ამაღლებისა და დაწინაურებისათვის ყველაფერს აკეთებდა.

ეგარსლანი ტყავში ძვრებოდა და მეფის გულის კიდევ მეტად მოგებასა და ნდობის განმტკიცებას ცდილობდა.

ნახჭევნიდან მახარობლად მოსული ლუხუმი რომ შეიპყრო ეგარსლანმა, ისე მოექცა, ვითომ ადრე თვალითაც არ ჰყოლოდეს ნახული. მეფის მცველყოფილისადმი გასაოცარი გულცივობა გამოიჩინა, ძაღლივით ხმაც არ გასცა და საპყრობილის ყველაზე უარეს საკანში შეამწყვდევინა.

ახლა, როცა ეგარსლანი კახეთის ერისთავი გახდა, პირველმა მან მოინდომა ტყეში გადავარდნილი მეამბოხე გლეხების თარეშის აღკვეთა, მეკობრეების კვალს ჩაუდგა და თუ ვისმე სადმე მოახელებდა, ცოცხალს აღარ უშვებდა.

*

* *

საღამო ხანი იყო.

ეგარსლანი თბილისიდან ბაკურციხისკენ ბრუნდებოდა. თან მხოლოდ ორიოდე მსახური ახლდა კახეთის ახალ ერისთავს.

ტყიანს რომ გაუსწორდა, გზაზე მტვრის სვეტი შენიშნა. ფეხის მტვერი თანდათან მოახლოვდა და ეგარსლანმა კარგად გაარჩია თავით ფეხებამდე შეიარაღებული ცხენოსნების დიდი რაზმი.

ცხენოსნებს ცალთვალა მხედარი მოუძღოდათ. ეგარსლანს მიგრიაულის დანახვაზე ემცხეთა, ხელი უნებურად ხმლისაკენ წაიღო, მაგრამ ლუხუმის მრავალრიცხოვან რაზმს რომ გახედა, გუნება იცვალა.

უკან შემობრუნება აღარ შეიძლებოდა, თავი ჩაღუნა და უბრად გვერდის ავლა დააპირა.

— რას მემდური, ეგარსლან, პირს რას მარიდებ! — ჩაესმა ბაკურციხელს და თავი რომ ასწია, გზაზე წინ გადამდგარი, ცხენზე დოინჯშემოყრილი ლუხუმი დაინახა.

ეგარსლანმა ხმა არ გასცა, ცხენს სადავე მოსწია და წინ გადაღობებული მიგრიაულის გზის ავლა სცადა.

— სად გეჩქარება, პასუხის ღირსადაც აღარ მხდი? — აუწია ხმას ლუხუმმა, ეგარსლანის ცხენს აღვირში სწვდა და მოსწია.

— გზა მომე, ლუხუმ! ღმერთმა იცის, შენი ცუდი არ მინდა!

— თუ ჩემთვის ცუდი არ გინდოდეს, ჩემს ხალხს რად სდევნი?

— მე ჩემს მამულს ვიცავ და ყაჩაღებს შუბლზე არ აწერია, ვისი მოგზავნილები არიან.

— ჩემი ყაჩაღები შენ რას გიშავებენ. შენს მამულს და ქონებას ახლო არ ეკარებიან.

— არ გეკადრება, მიგრიაულო, მეკობრეების მფარველობა და მეთაურობა. — ხმადაბლა უთხრა აღელვებისაგან აკანკალებულმა ეგარსლანმა, ისე, რომ მისკენ არც გაუხედავს.

— შენ კი გეკადრება შენსავით ყმა-გლეხებისა და მონების დევნა-შევიწროება?!

— გავიწყდება, რომ კახეთის ერისთავს ელაპარაკები. — აუწია ხმას ბაკურციხელმა.

— კახეთის ერისთავი დღესა ხარ, თორემ გუშინ ყმა-გლეხზე უარესი იყავი, უსახლკარო და უგვარტომო მონა.

შიგ გულში მოხვდა ახლად აღზევებულ მდაბიოს ლუხუმის ნათქვამი და ბრაზისაგან გაფითრდა.

— გზა მომე-მეთქი, სალაპარაკოდ არ მცალია! — შეუძახა ეგარსლანმა და ხელი ისევ ხმლისაკენ წაიღო. ლუხუმმა ეგარსლანის მარჯვენას თვალი გააყოლა და ბაკურციხელის წელზე ის ხმალი იცნო, რომელიც მეფემ მას აჩუქა ლაშარის ხატობაში.

რამდენხანს ემსახურა მეფეს ამ ხმლით მიგრიაული!

რამდენჯერ სიკვდილს გადაარჩინა ლაშა!

ბოლოს უდიერად აჰყარეს პატივახდილ მცველყოფილს მეფის ერთგულებაში ნამსახური ხმალი და თურმე აგერ, ეგარსლანისათვის გადაულოცავთ!

— მაგ ხმლის იმედად ნუ ხარ, ეგარსლან! მეც დიდხანს მერტყა ეგ ხმალი, მაგრამ ხომ ნახე, ბოლოს რა სიკეთეც მომიტანა.

დამცინავი ღიმილით უთხრა ლუხუმმა, ცხენს ქუსლი ჰკრა და ბრაზისაგან ამღვრეულ ბაკურციხელს გაშორდა.

ცოტა რომ გაიარა, ცხენზე შემობრუნდა და იმავე ადგილას გაქვავებულ ბაკურციხელს გამოსძახა:

— არც მე გერჩი და შენც ჩამომეხსენ, ეგარსლან, თორემ მეორედ რომ შემხვდები, ასე აღარ გაგიშვებ!

ეგარსლანი შეტოკდა. შეურაცხყოფისა და ბრაზისაგან გაფითრებულმა ცხენი შემოაბრუნა, მაგრამ უკვე გვიან იყო — გაჭენებული ცხენების მტვერს დაეფარა მიმქროლავი ლუხუმი და მისი რაზმი.

## თავი მეთვრამეტე

## უკანონო მემკვიდრე

მეფეს გუმანით ეჭვი ჰქონდა, რომ ვიღაც მისი ძლიერი მტერთაგანი ხელს უშლიდა მეფის დამსჯელი ჯარების მოქმედებას, არ სჯეროდა რომ მიგრიაულის მეკობრეების ალაგმვა შეუძლებელი ყოფილიყო და თვითონ უნდოდა თავისი მონასპით მათი განადგურება. მაგრამ ცალმხრივ ლილეს დატოვების შიში და ცალმხრივ მეფური ღირსება ნებას არ აძლევდა ლაშას მეკობრეებისათვის ედია ტყეებსა და სოფლის შარაგზებზე. ლილესაგან შიში მუდამ არხეინსა და უშიშარ ლაშასაც გადაედებოდა ხოლმე და მეფე კრთოდა არა მიგ-

რიაულის ძალის, არამედ მისი სიმართლისა და საკუთარი სინდისის სიბნელის წინაშე.

მიგრიაულის თავგასული მეკობრეები კახეთის სოფლებსა და ქალაქებს აღარ სჯერდებოდნენ, დედაქალაქამდის სწვდებოდნენ და ხელისუფლების ცხვირწინ დაუსჯელად დათარეშობდნენ. ათაბაგი და ვაზირები მხრებს იჩეჩავდნენ, თავს იმართლებდნენ, ხელფეხი შეგვიკრა მეფის უზნეობამ და უკანონობამო და ლუხუმის მოქმედების სამართლიანობას ხმამაღლა აღიარებდნენ.

ბოლოს ხმა გაავრცელეს: ლუხუმი დიდძალი მეკობრეებით აპირებს თბილისზე თავდასხმას და თავისი კანონიერი ცოლის ძალით დაბრუნებასო. დედაქალაქს, განგებ, მეფის გულში შიშის ჩასანერგავად, მაგრება დაუწყეს, და დაცვა გააძლიერეს. ისედაც შეშინებულ ლილეს სასოწარკვეთა, სისხლიანი ლუხუმი ელანდებოდა, ყოველ გაფაჩუნებაზე მტრედივით კრთოდა, მეფეს სასახლიდან გარეთ არ უშვებდა და ცდილობდა კაბაზე გამობმულივით მუდამ გვერდით ჰყოლოდა.

როცა მეფის კარზე ლუხუმის მოსალოდნელი თავდასხმის ამბავი გავრცელდა, ლილემ ძილი და მოსვენება დაკარგა.

იგი უკვე კარგა ხნის ფეხმძიმე იყო და იმდენად თავისთავისა არ ეშინოდა, რამდენადაც თავისი სიყვარულის პირველი ნაყოფისა და ტახტის მომავალი მემკვიდრის დაღუპვის.

მეფეს შეევედრა, ლიხთიმერეთს წავიდეთო და ხელმწიფეც მაშინვე დასთანხმდა.

ჯერ მესხეთი განვლეს და ერთხანს კოლას განისვენეს. იქიდან ზღვის პირს გავიდნენ, ზღვა-ზღვა ნავებით ამოჰყვნენ და ბოლოს ქუთაისის სასახლეში მობრძანდნენ.

ლიხთიმერეთის დიდებულები: დადიანი და შარვაშიძე, სვანეთის, რაჭისა და არგვეთის ერისთავები ძღვენითა და პატივით ეახლნენ და ეთაყვანენ მეფეს.

დიდებულების ცოლები მოუთმენლად ელოდნენ მეფის ლამაზი ხარჭის ნახვას. საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულნი წარდგნენ სასახლეში, ფარულად თუ ცხადად აათვალ-ჩაათვალიერეს ლილე. სინატიფე და მიხვრა-მოხვრა, სახის იერი და ტანის ნაკვთი დაწვრილებით გაუსინჯეს და გაუჩხრიკეს და თუმცა მეფის კრძალვა და რიდი ჰქონდათ, მეფის სატრფოს წინაშე თავი ქედმაღლად დაიჭირეს.

ლილეს ცოტა-ღა დარჩენოდა მშობიარობამდე. მის ტანს ადრინდელი კენარობა დაკარგვოდა, მოძრაობაში სიმძიმე და მოუქნელობა შეჰპარვოდა და სახეზეც აქა-იქ ორსულობის ტალები დასდებოდა. მის დღეში სხვა ქალი უამური შესახედავი იქნებოდა. მას კი ადრინდელი დიდებულებისა და მშვენიერებისაგან კიდევ იმდენი შერჩენოდა, რომ გამკილავსა და ქვეგამხედვარ თვალს შურის აღსაძრავად ჰყოფნოდა.

დიდებულთა ცოლები და ასულები ლილეზე ტუჩაბზუებით ჩურჩულებდნენ, მის ტანწერწეტობასა და სახის სინატიფეზე ქირქილებდნენ, მაგრამ გულში ჩაბუდებული შური თავს ვერ მალავდა და ყოველ ნაბიჯზე მჟღავნდებოდა.

უფრო სამართლიანები ლილეს მშვენიერებაზე თვალს არ ხუჭავდნენ, გამკილავი თავადის ქალების დანახულ ნაკლს მისი ორსულობით ხსნიდნენ და მეფის არჩევანს იწონებდნენ.

დიდებულთა ქალებს უფრო საკუთარი იმედების გაცრუება აკაპასებდათ. ბევრი მათგანის ოცნება იყო საქართველოს დედოფლობა და იშვიათი მოყმისა და რაინდის ლაშას თანამეცხედრეობა. ამის უფლებას ერისთავთერისთავების ქალებს თავიანთი დიდ-დიდი და ძველი გვარები აძლევდათ. ეს გვარები თავისი წარსული დიდებით ბაგრატიონებს არ ჩამოუვარდებოდნენ, ხოლო ამჟამად თუმცა საქართველოს მეფის ყმებად ითვლებოდნენ, თავიანთ სა-

ერისთაოებში თავად იყვნენ „მეფეთა ადგილზე მჯდომელნი“ და „ქვეყნის უცილობლად მქონებელნი“.

ადრე დიდებულებს ეზარებოდათ მეფის ლიხთიმერეთში გადასვლა და მასთან მთელი სახლობით ხლება. მეფე მათ გასათხოვარ ქალებს ურცხვად და ულირსად უცქერდა ხოლმე, თვალით ისე ჩხრეკდა, თითქოს საქვეყნოდ გაეხადოს და გაშიშვლებული სხეულის სიავკარგეს უსინჯავდესო. მეფის ურცხვი და დაჟინებული ცქერა აშფოთებდა და აფორიაქებდა ზვიადსა და ქედმაღალ დიდებულებს. თვალი კარისკენ ჰქონდათ და მოუთმენლად ელოდნენ ხოლმე დარბაზობის დამთავრებას. დარბაზობა რომ დამთავრდებოდა, ლიხთიმერეთიდან მეფის წასვლამდე გული უტრიალებდათ, ვაითუ ლაშას თვალში მოუვიდა ჩემი ცოლი, ან ასული და ვინ იცის, რა ხერხით სცადოს ჩემი გვარისა და ნამუსის შერცხვენაო.

დიდებულთა ამპარტავან ცოლებს, პირიქით, სწორედ თავიანთი ასულებისადმი მეფის ყურადღება მოსწონდათ; მისი თავხედური, მაგრამ გამორჩეული ცქერა ახარებდათ და ამით მეტოქეებთან თავი მოჰქონდათ.

ამჯერად მეფის დარბაზობიდან დიდებულები და მათი ცოლები სხვადასხვა გუნებაზე ბრუნდებოდნენ. ქალბატონები შეურაცხებულად გრძნობდნენ თავს, რადგან გლეხის ქალის გვერდით მდგარმა ჭაბუკმა მეფემ ძველებური გატაცებით, ვნებითა და ნდომით გამოხედვა ერთხელაც არ აღირსა მისი ყურადღების მნატვრელ ერისთავების ლამაზ ასულებს. თავიანთ მთელ რისხვასა და აღშფოთებას „უგვარო ხარჭას“ ატეხდნენ თავს და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, როგორ გვაკადრა პატიოსან ბანოვნებს სიძვის დიაცის ხლებაო.

დიდებულები ჩუმად, მაგრამ გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს მეფის ყოველ გამოხედვას მათი ცოლებისა და ასულებისაკენ და რაკი მასში ადრინდელი ურცხვობისა და სიმსუნაგის კვალსაც ვეღარ პოულობდნენ, კმაყოფილები და დამშვიდებულები გამოდიოდნენ მეფის დარბაზობიდან.

ისინი მეფის უგვარო, მაგრამ ლამაზი ხარჭის ხლებით დამცირებას უფრო ადვილად ურიგდებოდნენ, ვიდრე საკუთარი ქალების გაბახებასა და გვარის შერცხვენას. მეფესთან უფრო ლაღად იყვნენ და წრფელი გულით სთხოვდნენ წვევასა და სტუმრობას.

ლაშაც ხან ერთ ერისთავთან ილხენდა ხან მეორესთან. აჯამეთის ტყესა და კოლხეთის ჭალებში ნადირობასა და პურობას ბოლო აღარ უჩანდა.

ქუთაისში დაცხა და მეფემ ლილე გელათის აგარებში გაიყვანა. აქ ტყიანში უფრო გრილოდა და ფეხმძიმე თავს უკეთ გრძნობდა. ქეიფით და დროსტარებით დაღლილ ლაშასაც მალე ისევ მყუდროება მოუნდა და გაცალკევება არჩია. მთელი დღეები ლილესთან იყო, ან თავის მეგობრებთან ერთად გელათის აკადემიაში მიდიოდა და ფილოსოფოსებთან და რიტორებთან საუბარსა და კამათში ებმებოდა.

*

* *

გაშლილ ზღვაში ნავი ოდნავ ირხეოდა.

მენავეები ისე წყნარად უსვამდნენ ნიჩბებს, თითქოს ლურჯი ზღვის მყუდროების დარღვევას ერიდებიანო.

ნავში გულაღმა გაშოტილი, ნახევრად ტანშიშველი მეფე იწვა, თავთან საჩრდილობელი ედგა და ოდნავ მოხუჭული თვალებით საოცრად გამჭვირვალე ლაჟვარდს გაჰყურებდა. მზიანი დღე იდგა და ცაც და ლაჟვარდიც ზღვასავით ლურჯი და დაუსაბამო იყო.

ლაშამ თითქმის მთელი ლიხთიმერეთი მოიარა.

ქეიფსა და მოგზაურობისაგან დაღლილი ახლა ზღვაზე ისვენებდა და ტკბილად გატარებულ დროს იგონებდა. როგორი მრავალფეროვანი იყო მისი სამეფო. ამ ერთმტკაველ მიწაზე როგორ მალ-მალე იცვლებოდა ბუნება, ჰავა, მკვიდრთა კილოკავი, ზნე-ჩვეულება, ხასიათი და სიმღერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინო და სიმღერები აოცებდა ყველაზე მეტად ლაშას. ჯერ იყო და აჭარულ-გურულმა ჩხავერმა და კრიმანჭულმა მოხიბლა, მერე — იმერულმა ცოლიკაურმა და სუფრულმა, შემდეგ რაჭის ხვანჭკარამ და ფერხისულმა და, ბოლოს, ტკბილმა მეგრულ-აფხაზურმა და ზვიადმა სვანურმა სიმღერამ ხომ სულ დაატყვევა.

მეფეს მთებში გამომწყვდეული ქუხილის ნაზმევს უფრო აგონებდა სვანთა ძველისძველი საგმირო სიმღერები. წარღვნისაგან მაღალ მთებზე გამორიყულს ჰგავდა სვანთა კოშკებიანი სოფლები და ლაშას ის აოცებდა, რომ სვანეთისა და მთარაჭის სიმღერებში ქართლ-კახური სიმღერების მსგავსებას პოულობდა.

ჯიხვებზე ნადირობითა და ნაირნაირი ღვინოების ჭაშნიკით დაღლილი მეფე ახლა აფხაზეთის სანაპიროზე ისვენებდა და იმ აზრზე იდგა, რომ ზღვას მაინც არა სჯობს რა. აქ სხეული და სული ორივე ერთად ისვენებდა, ცისა და ზღვის განუყოფლობასა და უსასრულობას უერთდებოდა და ამქვეყნიური ზრუნვისაგან თავისუფლდებოდა.

„ამოდენა სანაპირო გვაქვს, შავი ზღვის აღმოსავლეთის დიდი ნაწილი საქართველოსია და ქართველები ჯეროვნად ვერ ვსარგებლობთ ამ ზღვისა და მზის სიკეთით, — ფიქრობდა თვალმილულული მეფე.—რამდენი ქართველი ისე მოკვდება ლიხს იქით და ლიხს აქეთაც კი, რომ ამ ულამაზეს ზღვას ერთხელაც თვალს ვერ შეავლებს და მის ტალღებში სხეულს ვერ დაასვენებს“.

ეს ფიქრიც მოსწყინდა ლაშას, პირქვე გადაბრუნდა, თავი მკლავებში ჩარგო და იმ დაუსაბამო ლაჟვარდისა და ზღვის მსგავსად უძრავად გაიტრუნა. ნირვანაში გადასულივით იყო ლაშა, იმ წუთში აღარც ლილე და ლუხუმი ახსოვდა, აღარც ტახტი და მხარგრძელი.

უცებ შორეული სტვენა და ბუკის ხმა მოესმა. თვალი გაახილა. მენავეები ფეხზე წამომდგარიყვნენ და შუბლზე ხელმოჩრდილებულნი ნაპირისაკენ იხედებოდნენ.

ლაშა წამოიწია. ნაპირს გახედა: თეთრტაიჭოსანი მოყმე ზღვის ნაპირას გადი-გამოდიოდა, ბუკს აყვირებდა და თეთრი ალმის ქნევით ნავში მსხდომთ რაღაცას ანიშნებდა.

ზღვის ნაპირას თანდათან ხალხი გროვდებოდა.

— წავიდეთ რაღაც ამბავია!—ბრძანა ლაშამ და ჩაცმას შეუდგა. სასწრაფოდ ჩაიცვა. ნავის ცხვირთან დადგა, მენავეს ნიჩბები გამოართვა და ღონივრად მოუსვა. ნავი ისარივით გასრიალდა ნაპირისაკენ.

ნაპირს რომ მიუახლოვდა, მეფეს დამხვდურთა აღტაცებული ყიჟინა მოესმა:

— ტახტის მემკვიდრე უფლისწულს გაუმარჯოს!

— მეფის ძეს გაუმარჯოს!

მეფეს გულის ცემამ უმატა. მენავეების ფაციფუცს აღარ დაუცადა და ნავიდან პირდაპირ ისკუპა ნაპირზე.

მუხლზე დაცემულმა მოყმემ მეფეს ტახტის მემკვიდრის დაბადება ახარა.

ბავშვივით აღტაცებული მეფე მაშინვე ცხენს მოახტა და, უზომოდ გახარებულმა არგვეთს მიაშურა.

ერისთავები და მთავრები მეფეს ვაჟის შეძენას ზომიერად და თავშეკავებით ულოცავდნენ და ტახტის მემკვიდრის დაბადებაზე განზრახ არაფერს ამბობდნენ. სამაგიეროდ, სოფლებასა და ქალაქების გზებზე გამოსული ხალხი გლეხები და ღარიბი აზნაურები, ვაჭრები და ხელოსნები — მეფეს გულწრფელად ესალმებოდნენ და ხმამაღლა გაკიოდნენ: ტახტის მემკვიდრეს გაუმარჯოსო.

• • •

ფეხისწვერებზე შემდგარი ლაშა ფრთხილად შევიდა ლილეს საწოლში, ლილეს არ ეძინა, მის დანახვაზე ოდნავ წამოიწია და სახე ღიმილმა გაუბ-

რწყინა. ულიმოდა თვალი და ტუჩი, წარბ-წამწამი და ლოყების პაწაწინა ფოსოები, სახის ყოველი ნაკვთი და კუნჭული. ამ ღიმილში რაღაც ახალი გამოკრთოდა, რაიც ლილეს სახესა და გამოხედვას უჩვეულო სილბოთი და სინაზით ანათებდა. ეს ახალი — დედობრიობის გრძნობის პირველი განცდა იყო, შვილიერების პირველი სიხარული

და იგი არა მარტო სხეულს უვსებდა ბედნიერებით, მის გონებასაც ვარდისფერ ბურანში ხვევდა და ათრობდა.

ლილემ წამით თვალი თვალში გაუყარა ლაშას და მის თვალებშიც რომ ბედნიერება ამოიკითხა, თავი გვერდზე იბრუნა და ხელით ანიშნა აკვანში მწოლარე ჩვილ ყრმაზე.

ლაშა ფეხაკრეფით მივიდა, ჯერ ლილეს აკოცა ნაზად, თითქმის ტუჩმიუკარებლად, მერე ყრმისკენ დაიხარა.

ლილე იდაყვებზე წამოიწია და ამაყი იერით ასწია ყრმას საფარველი. ძოწეულის წითელი არტახებით აკვანში მაგრად ჩაკრულმა ჩვილმა უცებ სახე სატირლად დაჭყანა და კნუტივით დაიკნავლა.

უცხო კაცს უშნო და უსიამოვნო მოეჩვენებოდა, ჯერ კიდევ ნაკვთებჩამოუყალიბებელი ორი დღის ბალღი. მაგრამ სილამაზის ფასის ესოდენ მცოდნე ლაშაც, ლილეს მსგავსად, უდიდესი სიამოვნებითა და აღტაცებით დაჭყურებდა ამ პატარა ხორცის თითქმის უფორმო ნაგლეჯს.

— სულ შენა გგავს! — ჩურჩულით უთხრა ლილემ, სიხარულის ღიმილად დაიღვარა და მკერდზე მიეკრა მეფეს.

— შენცა გგავს! თვალები შენი ექნება, — შავი და გაზიდული. — უთხრა ლაშამ და დააკვირდა ჩვილს, რომელსაც ნამდვილად ჯერ არც თვალების ფერი ეტყობოდა და არც მოყვანილობა.

— ლაშა, სახელზე არ გიფიქრია, რა დავარქვათ?

— არა, არ მიფიქრია... რა დავარქვათ?... — თავისთვის იკითხა ლაშამ, თავი ასწია და ფიქრში წავიდა, ალბათ, სახელებს თუ იგონებდა.

— შენი დიდი პაპის სახელი მოუხდება. ღმერთმა მისებრ შემძლებელ ყოს ტახტისა და ქვეყნის პყრობად!

ამას ენით ამბობდა ლილე, მაგრამ გულში თავისი დაღუპული მამის სახელს სთავაზობდა ლაშას პირმშოს დასარქმევად, მამამისსაც დავითი ერქვა.

— კარგია! დავითი დავარქვათ, ჩემი დიდი პაპისა და ჩემი გვარის დიდი წინაპრის სახელი. — დაუდასტურა ლაშამ, დაიხარა და ჩვილის შავ ღინღლს ნაზად ეამბორა.

ლიხთიმერეთის დიდებულებმა მძიმედ და თავშეკავებით იწყეს მილოცვა. სიტყვა და სიხარული აწონილი იყო, ძლვენი და მოსაკითხი — ზომიერი. მეფე ხედავდა, რომ მის სიხარულს ტახტის მემკვიდრის დაბადების გამო ლიხთიმერეთის დიდებულები არ იზიარებდნენ, მაგრამ ლაშას ის უფრო აწუხებდა, რომ თბილისიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა მემკვიდრის დაბადების გამო.

ჯერ მარგველმა და მერე მეფემ ზედიზედ აფრინეს თბილისს მახარობლები. თბილისიდან ყოველდღე მოდიოდნენ მალემსრბოლები, მეფესთან ქვეყნისა და სამეფოს ახალი ამბები მოჰქონდათ, ათაბაგი და ვაზირები ათას წვრილმანსა და მნიშვნელოვანს ატყობინებდნენ მეფეს, მაგრამ მისთვის ესოდენ დიდ ამბავზე, პირმშოს შეძენაზე, განგებ კრინტს არ სძრავდნენ. არათუ არ ულოცავდნენ, თავს ისე იჭერდნენ, თითქოს ეს ამბავი არ იცოდნენ, ან მათ სულაც არ ეხებოდათ.

ვაჟის გაჩენის სიხარულით გაბრუებული ლაშა პირველად მაინცდამაინც არ აქცევდა ყურადღებას სამეფო კარის, ვაზირებისა და დიდებულების გულგრილ დამოკიდებულებას ტახტის მემკვიდრისადმი.

მეფეს ახლა კი ნამდვილად საპატიო

მიზეზი ჰქონდა ლხინისა და ქეიფისათვის. აულეველ სუფრებზე პატარა დავითის მომავალს ლოცავდნენ, მგოსნები მეფისა და მისი ყრმის ქებას თხზავდნენ და მეფის საამებლად სუფრაზე მღეროდნენ.

ბურთაობა, ცხენოსნობასა და ნადირობას გადაება, ქეიფი — ქეიფს, ღამე დღეს და კვლავ ძველებურად უნაღვლოდ და უდარდელად წარემართა ხელმწიფის ცხოვრება.

პირველ ხანებში ლილე უამრავ ძიძებსა და გამზრდელებს არ ენდობოდა და ბავშვის ზრუნვითა და მოვლით თავად იყო გართული. პატარა დავითის მოვლა-პატრონობაში გამოუცდელ ლილეს მხოლოდ არგვეთის ერისთავის ცოლი თაფლო შველოდა, ამდენ ქალთა შორის არგვეთის ერისთავის ცოლი ერთადერთი იყო, რომელსაც ლილე უშიშრად ანდობდა შვილის მოვლასა და საკუთარ გულის ნადებსაც.

მარგველის ცოლიც თავად ღარიბი აზნაურთაგანი იყო და ლილე იმთავითვე მოხიბლა თავისი უბრალოებითა და უშუალობით. თავის დროზე თაფლოს მოყვანასაც ასე შეხვდნენ ერისთავის კარზე: დიდებულთა ცოლებმა ტუჩი აუბზუეს და მედიდურად დაუწყეს ცქერა. ზოგიერთი იქამდისაც მივიდა, რომ მარგველის კარზე ფეხი ამოიკვეთა და თავისი კარიც სამუდამოდ დაახშო ერისთავის „უგვარო“ ცოლისათვის.

უჭირდა პირველად მარგველის მეუღლეს დიდებულთაგან ასეთი ათვალისწუნება, უძნელდებოდა, მაგრამ ქმრის სიყვარულის ურყევობამ და შვილებზე ზრუნვამ გააძლებინა და აატანინა ბევრი დაცინვა და დაუმსახურებელი შეურაცხყოფა.

ახლა ლილეს მდგომარეობას საკუთარ შეჭირვებასავით განიცდიდა თაფლო, „დედოფლის“ ნაგრძნობი უთქმელად ესმოდა და ყოველნაირად ცდილობდა მისი სადარდელის შემსუბუქებას.

*

* *

ელექტრონული ბიბლიოთეკა

იმ დღიდან, რაც ლილეს სილამაზის უპირატესობა იგრძნო სამეფო კარზე სიტურფითა და მდგომარეობით პირველობას შეჩვეულმა რუსუდანმა, მეფის სატრფო თვალში ამოიღო და შეიძულა. პატივმოყვარე რუსუდანი საყვარელი ძმის ცოლად უკანასკნელ მაწანწალასაც კი მიიღებდა და საკუთარზე მეტად შეიყვარებდა, რძლის ყოველგვარ თვისებასა და ხარისხს შეეგუებოდა, ოღონდ მის ერთადერთ სიამაყეს — სწორუპოვარ სიტურფეს არ შეხებოდა. ყოველმხრივ განებივრებულსა და სილამაზით განთქმულ რუსუდანს მასზე ტურფა და მშვენიერი ვერც კი წარმოედგინა. სიტურფით მასზე აღმატებულს იგი, ალბათ, საქართველოს სამეფოს შორეულ კუთხეშიც ვერ მოითმენდა და ახლა მეფის კარზე თავისივე რძლის სილამაზის ჩრდილში დგომას როგორ შეურიგდებოდა!

რუსუდანი თავის ყველაზე დიდ სიამაყეს თვლიდა დამცირებულად და დამდაბლებულად, გუნებაში გაკაპასებული შურით იხრჩობოდა და იმას კი არ კითხულობდა, რომ ლილეს მის წინაშე არავითარი ბრალი არ ჰქონდა.

რძალზე გაბოროტებულმა უსაზღვროდ საყვარელ ძმაზედაც გული აიყარა. მეფესთან სიახლოვეს განერიდა, საკუთარ პალატებში ჩაიკეტა და სასახლიდან მეფის „უგვარო ხარჭისა“ და „სიძვის დიაცის“ გაძევებაზე მზრუნველ დიდებულებს დაუწყო ჩუმად წაქეზება.

ვაჟის შეძენის ამბავმა, სიხარულის მაგივრად, რუსუდანს ახალი დარდი მოუტანა. იგი გრძნობდა, რომ ლილეს მდგომარეობა სამეფო კარზე მტკიცდებოდა, მეფეს იგი აქამდისაც გაგიჟებით უყვარდა, ამის შემდეგ ხომ კიდევ მეტად შეიყვარებდა და ტახტის მემკვიდრის, თუნდაც უკანონო მემკვიდრის, დედას ეგრე ადვილად ვერავინ მოიცილებდა სასახლიდან.

მამიდას ტახტის მემკვიდრის გაგონებაც არ უნდოდა და მისი გაჩენის დღიდანვე უდანაშაულო ყრმისადმი გულში მხოლოდ ერთი გრძნობა ჰქონდა. ეს გრძნობა სიძულვილიც იყო, მტრობაც და შურიც.

წესით, უფლისწულის აღზრდა ათაბაგს უნდა ეკისრა. მხარგრძელის ეს ახალი წოდება მეფეთა შვილების აღმზრდელობას გულისხმობდა და ივანემ ათაბაგობის პატივი სწორედ ამ საბუთით გამოსთხოვა თამარს.

ივანე ათაბაგს თავად მეფე არ ეხატა გულზე და მისი უკანონო შვილის აღმზრდელობა სულაც არ ეპრიანებოდა, პირიქით, მემკვიდრის დაბადებამ კიდევ უფრო აღძრა მხარგრძელი მეფის მემრუშეობისა და „სიძვის დიაცის“ სასახლეში ყოფნის წინააღმდეგ.

ტახტის მემკვიდრის გაჩენა მხარგრძელის გეგმებსა და ოცნებას ჩაშლას უქადდა. ამიტომ ათაბაგი არა მარტო არ სცნობდა ლაშას ძის უფლისწულობასა და ტახტის მემკვიდრეობას, არამედ მის ცოლ-შვილს სჯულისა და კანონის გარეშე აცხადებდა და, ერთი მხრივ, რომ დარბაზს სამეფო კარიდან „ხარჭის“ გასაძევებლად ამხედრებდა, მეორე მხრივ, ჩუმად მიგრიაულს უგზავნიდა კაცებს და კანონიერი ცოლის დაბრუნებისათვის სამოქმედოდ აქეზებდა მეფის წინააღმდეგ.

*

* *

რაკი მეფის კარზე ტახტის მემკვიდრის აღზრდისა და პატრონობისათვის ყურს არავინ იბერტყავდა, ლილემ და ლაშამ სიამოვნებით მისცეს უფლისწული შემოხვეწილ მარგველსა და მის ცოლს ასაზრდელად.

მემკვიდრის გაჩენის შემდეგ ლილე ღრმად ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას. თუ მანამდის მხოლოდ მეფის ტრფობითაც ბედნიერი და კმაყოფილი იყო და ამიტომ კარის დამოკიდებულებას დიდად არ დაგიდევდა, ახლა, როცა მეფისაგან ძე შეეძინა, ძველებურად გაურკვეველსა და საეჭვო მდგომარეობაში დარჩენა აღარ შეეძლო. ლილეს პირველი საზრუნავი კანონის მიერ ტახტზე მემკვიდრის უფლების ცნობა და აღიარება იყო. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუ ეკლესია მისსა და ლაშას ცოლქმრულ კავშირს სჯულიერი ქორწინებით დააკანონებდა. ლილეს ფიქრი ისევდაისევ ეკლესიასა და მის მეთაურს — მკაცრსა და შეუვალ კათალიკოსს სწვდებოდა. კათალიკოსს მეფის „ხარჭის“ გაგონებაც არ უნდოდა. ამბინიდან ყველას გასაგონად სიძვის დიაცებს წყევლიდა და კრულავდა. ლილეს მოციქულებს უგზავნიდა, ეშმაკის გზიდან გადასვლას და სჯულიერ ქმართან დაბრუნებას უქადაგებდა, თან ღვთის რისხვით, საუკუნო წაწყმედითა და ჯოჯოხეთის ცეცხლით აშინებდა.

ურჩი და ამპარტავანი მეფე დიდხანს არ სცნობდა კათალიკოსის ძალასა და უფლებას, მაგრამ სიყვარულმა მის ზვიადობას ფრთა შეაკვეცა და იძულებული გახადა ეკლესიისა და მისი მესაჭის მფარველობა ეძებნა. კათალიკოსი ხარობდა, წინასწარ ტკბებოდა, მის წინაშე სახვეწრად დაჩოქებულ მეფეს რომ წარმოიდგენდა. საგანგებო საეკლესიო კრება მოიწვია, ეპისკოპოსები და მღვდელ-მთავრები გააფრთხილა და მეფეს საქორწინო გვირგვინისკენ გზა შეუკრა. რაც უფრო ძლიერი იყო მეფის სიყვარული და სატრფოსთან ქორწინების სურვილი, მით უფრო მეტ სიკერპესა და შეუვალობას იჩენდა კათალიკოსი, რომელიც მხარგრძელთან და მეფის სხვა ფარულ მტრებთან შეთანხმებით მოქმედებდა. მეფისგან პირველივე მცდელობა ლილესთან დაქორწინებაზე გარდუვალ წინააღმდეგობას წააწყდა. ლაშას მაშინ დიდად თავი აღარ გამოუდვია და ხუცესების დასტურის გარეშეც სრულად ღებუ-

ლობდა სატრფოსთან განცხრომის სიამეს

ტახტის მემკვიდრე უფლისწულის დაბადების შემდეგ მეფისაგან კანონისა და სახელმწიფო სამართლის უგულებელყოფა აღარ შეიძლებოდა. ლილეს იმდენად უკვე თავის უუფლებობა კი აღარ აწუხებდა, რამდენადაც იმის შიში, რომ მისი ძე კანონგარეშე არ დარჩენილიყო და ტახტს ლაშას შემდეგ სხვა ვინმე არ დაჰპატრონებოდა. ლილემ თავის უპირველეს ფიქრად და ცხოვრების მიზნად უფლისწულისათვის ტახტის უზრუნველყოფა, კანონის მიერ მისი მემკვიდრეობის უფლების დადასტურება გაიხადა.

თავისი საზრუნავი უფლისწულის დედობილს გაანდო. მემკვიდრის ბედით შეწუხებული არგვეთის ერისთავის ცოლი მაშინვე დატრიალდა.

ერისთავის კარის ეკლესიის ხუცესმა მეფის დაქორწინებაზე გადაჭრილი უარი ვერ გაუბედა, მაგრამ ქუთათელის ნებართვა ითხოვა.

არგვეთის და რაჭის ერისთავთა ცოლები ქუთათელს ეახლნენ დიდი ძღვენითა და შესაწირავით და მეფისა და ლილეს ქორწინების ნებართვა და თანხმობა სთხოვეს...

ქუთათელმა ერისთავთა ქალბატონები პატივით მიიღო, ძღვენი და შესაწირავიც მადლით მიითვალა, მაგრამ მათ სათხოვარზე შეუვალი უარი განაცხადა:

— არა წეს არს მეფეთაგან ყმათა გვირგვინის მეუღლესთან ქორწინება, არცა მეძავობა და მრუშობა. არა ხელმეწიფების, დავშალო სრულიად საქართველოს დარბაზისა და ეკლესიის გადაწყვეტილება!

მტკიცედ მოსჭრა ქუთათელმა.

ერისთავთა მეუღლეები გაწბილებულნი დაბრუნდნენ ლილესთან.

სასოწარკვეთილი ქალი იმითღა ანუგეშებს, დრო გავა, კარი ტახტის მემკვიდრეს შეეჩვევა და შეიყვარებს, მეფისა და შენი სათნო ქცევით კათალიკოსები მოლბებიან, ბოლოსდაბოლოს ჯვარს დაგწერენ და უფლისწულსაც ტახტის უფლებას დაუმტკიცებენო.

* * *

მოულოდნელად ლიხთიმერეთში კათალიკოსი გამოჩნდა. რაჭის ერისთავისა და ქუთათელის წვევით კათალიკოსი რაჭისაკენ მიემგზავრებოდა ახლად აგებული ეკლესიის საკურთხებლად. გზად კათალიკოსმა მარგველის მამულზე გაიარა. მეფის იქ ყოფნა იცოდა, მაგრამ შეჩერება განზრახ არ ინება.

არგვეთის ერისთავმა დიდად იწყინა კათალიკოსისაგან მისი ჩაუგდებლობა, მაგრამ საქართველოს ეკლესიის მეთაურის მოქმედების მიზეზს რომ მისწვდა, შეურაცხება ადვილად დაივიწყა. ლილეს რომ არა, მეფეს კათალიკოსის მოგზაურობა და მის დიდებულებისათვის გვერდის ავლა შეუმჩნეველიც დარჩებოდა. ლილეს კათალიკოსის გამოჩენამ იმედი ჩაუსახა, იქნებ როგორმე გული მოვულბო და ქორწინების ნებართვა გამოვთხოვოო.

ღამით, ძილის წინ, მეფეს ალერსის დროს შეაპარა: კათალიკოსს ვეახლოთ, შენდობა და პატიება ვთხოვოთ და ჯვრისწერის დასტურს შევეხვეწოთო.

მეფეს კათალიკოსის ჯიუტობა კარგად ჰქონდა გამოცდილი, ერთხელაც ინანა მასთან ხლება და ჯვრისწერაში შეწევნის თხოვნა. მაშინ სიცოცხლის ვნებისაგან დაშრეტილმა მოხუცმა გულისყური დაიხშო ჭაბუკი მეფის სახვეწარის შესასმენად, სასტიკად გაკიცხა და შეაჩვენა „მრუშობისა და ღვთის უარმყოფლობისათვის“. მეფე იმდენად აღაშფოთა ბერიკაცის ესოდენ თავდაუჭერლობამ, რომ კინაღამ მისი მაღალი ღირსება დაივიწყა და ცოტა გაწყდა „გვირგვინის ქმრის მოღალატე სიძვის დიაცის“ მაწყევარს წვერში არ სწვდა.

ადრეც არ უყვარდა ეს ჯიუტი და გულქვა მოხუცი ლაშას და იმ დღიდან ხომ დასანახავადაც შეიძულა.

— მეორეჯერ მკვდარს თუ მაჩიტანენ კათალიკოსთან, თორემ ცოცხალი როგორღა მივალ. მაგრამ ნურც ამისი იმედი ექნება, რადგან თავს მის დაულოცავადაც კარგად ვგრძნობ და მაგის კათალიკოსობაში სიკვდილს არ ვაპირებო, — დაცინვით, მაგრამ ცივად დაასრულა ამ საგანზე ლაპარაკი მეფემ.

ლილე დარწმუნდა, რომ მეფე თავის გადაწყვეტილებას არ შეიცვლიდა. ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, თვითონ ხლებოდა კათალიკოსს დიდი ძღვენითა და პატივით, მეფე და ტახტის მემკვიდრე შეევედრებინა, თავისი და ლაშას უზომო სიყვარულის სიწმინდით მისი გული მოელბო და სჯულიერი ქორწინების ნებართვა ეთხოვა.

თავისი განზრახვა ლილემ მარგველის ცოლს გაანდო. თაფლომ განზრახული მოუწონა და ორივენი კათალიკოსის სანახავად გამგზავრების თადარიგს შეუდგნენ.

მეფე და მარგველი მთაში სანადიროდ გაისტუმრეს და ორივე ქალბატონი კათალიკოსის სანახავად, ქმრების უჩუმრად გაემგზავრნენ.

გრძელი გზით დაღლილი კათალიკოსი მღვიმის მონასტერში შეჩერებულიყო. ცხენზე მსხდომმა ქალებმა მალე მიაღწიეს მონასტერს, წირვას დაესწრნენ და წირვის ბოლოს წინამძღვარი მიუგზავნეს კათალიკოსს. კათალიკოსმა „მეფის ხარჭას“ ნება დართო ხლებოდა, მაგრამ კარის ზღურბლს იქით ფეხი არ გადაადგმევინა, შორიდანვე შესძახა, როგორ გაბედე ბიწიერებით ალსავსემ აქ მოსვლა და ამ წმიდა ადგილის შებღალვაო. ხმა არ ამოაღებინა და სავედრებლის თქმა არ აცალა, წყევლა-კრულვით შეხვდა და სამგზის შეაჩვენა, ვითარცა ეშმაკეული და მაცდუნებელი სატანა.

ლილე გაფითრებული ისმენდა მოხუცის ქოქოლას, შიშით კრთოდა მის წინაშე და მუხლები უკანკალებდა. მაინც თავს იმაგრებდა, უნდოდა მორჩილად აეტანა დაუმსახურებელი კიცხვა და შეჩვენება, რომ ბოლოს თავისი სათხოვარი ეთქვა და გულმხურვალე ხვეწნით ეცადა მისი გაქვავებული გულის მოლბობა.

„სიძვის დიაცის“ უდრტვინველმა მორჩილებამ, უცრემლობამ და ხმის ამოუღებლობამ კიდევ უფრო გააკაპასა ბერიკაცი, ურცხვი და უტიფარი უწოდა, ზედ მიეჭრა და თმაში სწვდა, როგორც უკანასკნელ მხევალს.

ლილე პირქვე დაეცა და ამდენი ხნის შემაგრებული ქვითინი წასკდა.

ხმაურზე წინამძღვარი შემოვიდა. ძირს დაცემული, ატირებული ლილე რომ დაინახა, შეწუხდა და მაშინვე ის გაიფიქრა, ვაითუ მეფის რისხვა მეც თავს დამატყდესო, კათალიკოსის წინაშე დაიჩოქა და შეევედრა:

— ნუ ინებებს თქვენი უწმიდესობა, ნუ ხელ ყოფს დედოფალს...

„დედოფალის“ გაგონებაზე კათალიკოსი შეკრთა, უცებ გონს მოეგო და მიხვდა, აღელვებულს როგორ შორს შეეტოპა: ეს ქალი, მართალია, უკანონო, მაგრამ მეფის ცოლი იყო, ყოველ შემთხვევაში, თავდავიწყებით საყვარელი ხარჭა და სატრფო მაინც, მისი შეგინება და მით უფრო ხელის შეხება კათალიკოსს შეიძლება სიცოცხლედაც დასჯდომოდა.

— განვედ, სატანა! განვედ! — შეჰღაღადა კათალიკოსმა. პირჯვარი სამგზის გადაიწერა და ოდნავ დაშოშმინებულმა წინამძღვარს უბრძანა.

— განაძე საყდრისაგან ღვთისა მხევალი ესე, ცოდვილ უმეტეს ყოველთა სხვათა სიძვის დიაცთა...

მოძღვარმა მტირალი ლილე ფეხზე წამოაყენა და კათალიკოსის სამყოფელიდან გაიყვანა...

გულმოკლული, იმედგადაწყვეტილი დაბრუნდა ლილე მარგველის სახლში. მონასტერში მომხდარი ამბავი საიდუმლოდ შეინახა და ნადირობიდან მხიარულად შემოქცეულ მეფეს არაფერი აგრძნობინა. მაგრამ ქვეყანას დიდი თვალი და ყური აქვს, ლილეს და თაფლოსაგან დამარხული საიდუმლო როგორღაც მონასტრის კედლებს გას-

ცდა და მეფის ყურამდის მივიდა.

მეფის აღშფოთებას საზღვარი აღარ ჰქონდა.

გაბრაზებულ გულზე მონასტერში უნდოდა მივარდნილიყო და ღილეს შეურაცხმყოფელი კათალიკოსი წვერით ეთრია. ცოტა რომ დაწყნარდა, ამ ფიქრზე ხელი აიღო, იმ ღამეს გვიან დაეძინა და ნაშუაღამევს გაეღვიძა. ფიქრმა ძილი არ დაანება მეფეს. ისევ ეკლესიაზე და თავის სიყვარულზე, უზომოდ შეურაცხმყოფელ კათალიკოსზე და საკუთარ უძლურებაზე ფიქრობდა ლაშა.

ეკლესიას თითქმის განუსაზღვრელი ძალა ჰქონდა საქართველოში. ქართველი მეფეების მრავალმა თაობამ, ზოგმა ნებით და ზოგმა უნებლიეთ, იმდენად გაზარდეს ეს ძალა, რომ ბოლოს თვით მეფის ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ ეკლესიის მეთაურები. მათი ნებართვისა და დასტურის გარეშე ხელმწიფის კარზე მნიშვნელოვანი არაფერი წყდებოდა და ხშირად ძლიერი და მტკიცე ნებისყოფიანი კათალიკოსები მეფეებს კანონებს თვითონ კარნახობდნენ.

ქართველთა მეფეებს ზვიადი ფეოდალების ალაგმვაზე მეტად ეკლესიის თავგასული მეთაურების დათრგუნვა უძნელდებოდათ და ზოგჯერ ძლიერი და მორჭმული ხელმწიფეებიც კი უძლურნი იყვნენ კათალიკოსების თავნებობის წინაშე. თვით ლაშას ნეტარი დედაც, დიდი თამარიც კი, რომელიც გარეშე და შინაურ მტრებს წარმატებით იგერიებდა, უღონო იქმნა უაღრესად გაძლიერებულისა და აღზევებული კათალიკოსის მიქაელ მირიანის ძის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიქაელმა მზაკვრობით მწიგნობართუხუცესობაც მიიღო და ორთავ ხელისუფლებას—საეკლესიოსა და საეროს — დაეპატრონა.

რა არ იღონა თამარმა, რა ხერხს არ მიმართა, საეკლესიო კრებაც კი მოიწვია მიქაელის წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერს გახდა ძლიერი და ჭკვიანი მღვდელმთავრისა და მწიგნობართუხუცესის წინააღმდეგ.

თამარი ქალი იყო, ნაზი და გულმოწყალე, ამიტომ, შეიძლება, გადამწყვეტ ნაბიჯს ვერ დგამდა წმინდა ეკლესიის მეთაურის წინააღმდეგ, მაგრამ ვახტანგ გორგასალი ხომ მტკიცე და შეუპოვარი ვაჟკაცი იყო, ქართველ მეფეთაგან უძლიერესი და უფლებაგანუსაზღვრელი! სწორედ ამ ძლევამოსილ მეფესა და თავზეხელაღებულ მხედარს რაოდენ უპატიობა და დამდაბლება შეჰკადრა ერთმა თავგასულმა ეპისკოპოსმა, რომლის გადაყენებაც მან საიდუმლოდ განიზრახა.

„და მივიდა მეფე, — გაიხსენა ლაშამ მემატიანის მოთხრობა, — და გარდახდა სახედარსა, რათამცა შეემთხვია ფერხთა ეპისკოპოზისათა, და განხადა მან ფერხი და მიამთხვია პირსა მეფისასა, ფანდაკითა შემუსრა კბილი მისი“.

უძლეველსა და უსასტიკეს მეფეს, რომლის წინაშეც არა ერთი გვირგვინოსანი კრთოდა შიშით, ამ უბირმა, მაგრამ ღვთის ძალას მინდობილმა მოხუცმა წყევლა-კრულვა არ აკმარა, ფეხზე ქოში გაიძრო და ხელმწიფეს კბილი ჩაუმტვრია.

შემდეგ ვახტანგს საგანგებო დესპანებისა და იმ ჩამტვრეული კბილის გაგზავნა დასჭირდა კონსტანტინოპოლს, რომ უდიერი მიქაელი ეკლესიის საჭესაგან განეყენებინა.

ლაშას ფიქრში გვირგვინოსან წინაპართა მთელმა წყებამ გაიარა და თვალწინ კვლავ დავით აღმაშენებელი დაუდგა. როგორი თანმიმდევრობითა და დაჟინებით, გამჭრიახობითა და გონიერებით ებრძოდა დავითი თავისი წინააღმდგომთ! ურჩი დიდებულების დასამორჩილებლად ეკლესიის მეთაურებს იშველიებდა, ხოლო არასასურველი მღვდელმთავრების დასამხობად გავლენიან ერისთავებს ამხედრებდა. ამქვეყნიური ზრუნვით გატაცებულ ხუცესებს ტახტისა და სამშობლოსათვის თავდადებულ ეკლესიის მსახურებს უპირისპირებდა.

მას კი, საქართველოს ახლანდელ მეფეს, ვერც ერთი მოწინააღმდეგე დაეთრგუნა და ვერც მეორე, ვერც ურჩი დიდებულები დაეჩოქებინა და ვერც თავგასული ხუცესები აელაგმა!

დავითი ცივსისხლიანი იყო, ალბათ, პირად ცხოვრებაში ზომიერი და შეზღუდული. მისი სიცოცხლის აზრს მარტოდენ ტახტის სიმტკიცე და სამშობლოს ბედნიერება შეადგენდა. ლაშასაც უყვარს სამშობლო, ტახტის სიმტკიცეზე ზრუნვაც თავის მოწოდებად და უპირველეს დანიშნულებად მიაჩნია, მაგრამ რა ჰქნას რომ მესამე ხატიც ჰყავს, ორივეზე ძლიერი და სასწაულთმოქმედი. ეს ხატი მისი სიყვარულია. იგი ისე დაუფლებია მეფის გონებასა და მთელ არსებას, რომ სხვა კერპების სამსახურისთვის ღონე წაურთმევია, სამშობლოს და ტახტის წინაშე ვალდებულებაზე ხელი აუღებინებია. სწორედ ამ ძლიერი ღვთაების სამსახურსა და მორჩილებას უშლიან ლაშას დიდებულები და ეკლესიის მეთაურებიც.

გზას ულობავენ და ხელ-ფეხს უკრავენ, რომ მის წმინდა ცეცხლზე არა მარტო საკუთარი გული მიიტანოს, არამედ სამეფოსათვის ზრუნვაც მას დაუმორჩილოს.

მეფის წინააღმდეგ ამ ბრძოლაში საქვეყნოდ განთქმულ ბუმბერაზებზე, სპასალარებზე და ერისთავებზე ძლიერი ეს სუსტი მოხუცია, თითქმის უკვე მიხრწნილი, მაგრამ მტკიცე და შეუვალი, სხეულით უღონო, მაგრამ ნებისყოფითა და რწმენით უძლიერესი — საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

თითქოს სულის შებერვა კმარა ამ მოფამფალებული ბერიკაცის წასაქცევად, მაგრამ ბასრი მახვილი უძლურია საუკუნოს შიშის წინაშე, ხოლო ხელისუფლება და ჯარის სიმრავლე — სარწმუნოების წინაშე.

რა დიდი ვაჟკაცობა უნდა ამ დაჩაჩანაკებული მოხუცის გაქრობას, მაგრამ მასზე ხელის აღმართვა საფუძვლებამდე შეარყევს მთელ სამეფოს და ის, რაც ადრე არც ერთ ხელმწიფეს არ უკადრებია, მან, ბუნებით რაინდმა და სუსტთა მოსარჩლე მეფემ, როგორ უნდა იკადროს! იგი ხომ პირველი არაა მეფეთაგან, რომელთაც სჯულის დამცველები აღდგომიან წინ ტრფიალების ცეცხლის დასაშრეტად, აღდგომიან და უძლევიათ კიდევაც! და განა მარტო სუსტნი და უნებისყოფონი!

მათ, ძაძაში გახვეულმა, მიხრწნილმა ბერებმა არ მოსტაცეს სატრფო უძლეველსა და უბედნიერეს მეფეს აშოტ კუროპალატს?! აშოტსაც ხომ თავდავიწყებით უყვარდა თავისი სატრფო, მაგრამ უღონო იქმნა ქრისტეს ჯვრის წინაშე და ესღა აღმოხდა დამარცხებულს: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო“.

იქნებ არც დავით აღმაშენებელი იყო ამ ადამიანურ გრძნობას მოკლებული; იქნებ მის გულშიც გაეკვესა სიყვარულის უწმინდეს ცეცხლს და იქნებ მასაც ლაშასავით წინაღუდგნენ და ხელი აალებინეს გულისწადილზე! განა აშოტმა ხელი არ აიღო ესოდენ სასურველ სატრფოზე?!

ამ ფიქრთა გაგრძელებას რომელიღაც ლოგიკურ დასკვნამდე მიჰყავდა მეფე. იმ დასკვნისა წინასწარ შეეშინდა, შეციებულივით გააჟრჟოლა, ლილე გაალვიძა და მოეხვია. უსაყვარლესი ქალის ალერსში ჩაიკარგა, გაქრა აბეზარი ფიქრი და საზრუნავი.

*

* *

მიგრიაულის მეკობრეები თანდათან ძლიერდებოდნენ. ბუდე მიუვალ მთებში ჰქონდათ და იქიდან ესხმოდნენ თავს მიზანში ამოღებულთ. სამეკობროდ უკვე კახეთი აღარ ჰყოფნიდათ, დროდადრო სომხითსა და ქვემო ქართლსაც სწვდებოდნენ, იქაც შევიწროებულ გლეხებს შორის მომხრეებს პოულობდნენ, თავადების მამულებს არბევდნენ, ქონებას სტაცებდნენ და ისევ მთებსა და ტყეებში იმალებოდნენ.

სანამ მეკობრეების მოქმედება კახეთს

არ სცილდებოდა, ხელისუფლება მშვიდად იყო, მეფის წინააღმდეგ განწყობილ ვაზირებსა და დიდებულებს გუნებაში უხაროდათ კიდეც ლაშასაგან გამწარებული მცველყოფილის შურისძიება და, რაც შეიძლებოდა, ცდას არ აკლებდნენ, რათა პირადად მეფის წინააღმდეგ წარემართათ ყაჩაღების შფოთი და შურისგება.

მაგრამ, როცა მეკობრეები დიდ-დიდი დიდებულებისა და მეფის ვაზირების მამულებსა და ქონებასაც მისწვდნენ, მაშინ კი შეშფოთდნენ ქვეყნის გამგებლები.

ყველაზე მეტად ხელისუფლება საქარავნო გზებზე მიგრიაულის გამოჩენამ შეაშფოთა: მეკობრეებმა ჯერ ირანიდან მომავალი დიდი ქარავანი გაძარცვეს, ქარავნის შეიარაღებული მცველები დახოცეს და დიდძალი ქონება წაიღეს. ნადავლის სიმდიდრემ მეკობრეებს მადა გაუღვიძა, თითქმის ყველა მთავარი საქარავნო გზა შეკრეს, ზედიზედ რუსეთიდან, ტრაპიზონიდან და ბაღდადიდან მომავალ ქარავნებს დახვდნენ, მცველები გაჟლიტეს და აურაცხელი სიმდიდრე გაიტაცეს.

ირანიდან და ბაღდადიდან მომავალი ორივე ქარავანი მხარგრძელს ეკუთვნოდა. საქართველოს ამირსპასალარის ქარავნებს, სამაგიეროს გადახდის შიშით, აღმოსავლეთის დიდ გზებზე უცხოთაგან ხელის ხლებასა და წინააღდგომას ვერავინ უბედავდა, ყველგან პატივით უღებდნენ კარსა და თავისუფალ ვაჭრობასა და მისვლა-მოსვლას ვერსად უშლიდნენ.

ათაბაგის სიმდიდრისა და ძლიერების წყარო უსაზღვროდ დიდ მამულებზე მეტად მისი ქარავნები იყო, რომელთა ნამდვილი რიცხვი და შემოსავალი თავათ ივანეს მეტმა არავინ იცოდა.

იმ დროის ძლიერი სახელმწიფოების თითქმის ყველა ჭკვიანი მეთაური ფარულად ვაჭრობასაც მისდევდა და მთელ მსოფლიოში მოქარავნე ვაჭართა ავლადიდების უჩინარი პატრონებიც უმთავრესად ისინი იყვნენ.

მხოლოდ საქართველოს მეფე — ლაშა-გიორგი რჩებოდა ბოლომდე ვაჭრობისადმი გულგრილი, და თუმცა მისი პირადი და სამეფოს სალაროს შემოსავალი დღითიდღე კლებულობდა, ანგარიშითა და ვაჭრობით გართულ ხელისუფლებს მეფე ზიზღით უყურებდა, ხოლო თავის ამირსპასალარს ჩუმად, დაცინვით „ქარავანბაშს“ ეძახდა.

საქარავნო გზებზე მეკობრეების გამოსვლამ და ქარავნების გაცარცვამ ისე იმოქმედა ათაბაგზე, თითქოს გულში დასცეს ლახვარიო.

პირველივე გაძარცული ორი ქარავანი მას ეკუთვნოდა. გაცოფებული ათაბაგი ბრაზისაგან თმა-წვერს იგლეჯდა, თვალთაგან ცეცხლსა ჰყრიდა და მზად იყო დამნაშავეების დასასჯელად ქვესკნელში ჩასულიყო.

ქარავნების დაცვა გააძლიერა, გამყოლი რაზმების რიცხვი ერთიორად გაზარდა და მთელ სამეფოში გატაცებული ქონების ძებნა გამოაცხადა.

კვალმა მძებნელი ლუხუმის მეკობრეებთან მიიყვანა.

მხოლოდ ახლა მიხვდა მხარგრძელი, თუ რა შორს შეეტოპა მეფისადმი ორგულობაში.

მეფის მტრობით დაბრმავებულმა ათაბაგმა თავის დროზე თვითონ შეუწყო ხელი მეკობრეთა დაუსჯელად პარპაშსა და ლუხუმის გაძლიერებას. ის კი ვერ იანგარიშა საერთოდ ანგარიშიანმა და წინდახედულმა ათაბაგმა, რომ მეფის უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხებული ყმაგლეხები მხოლოდ მეფესთან პირადი ანგარიშის გასწორებას არ დასჯერდებოდნენ, თავიანთ რისხვას საერთო უსამართლობისაკენ, სამეფოს სხვა მდიდართა და ძლიერთა წინააღმდეგაც მიმართავდნენ.

მეკობრეებისაგან შეჭირვებული მხარგრძელი იქამდეც კი მივიდა, რომ ყაჩაღებს მოციქული მიუგზავნა: საქარავნო გზებს ჩამოეხსენით და რასაც თხოულობთ, ხელისუფლებას შეატყობინეთო.

მიგრიაულს კარგად შეიარაღებული მეკობრეების მთელი ლაშქარი ჰყავდა, ნაძარცვი სურსათი და ქონება იმდენი ჰქონდათ, მთელ წელიწადსაც ეყოფოდათ. იოლი გამარჯვებებითა და ხელისუფლების უნიათო წინააღმდეგობით გალაღებულმა მეკობრეებმა მოციქულს უკან ასე დააბარეს:

— თქვენთან სათხოვარი არა გვაქვს რა, მეფე და მთავრები ერთნაირად უსამართლოები ხართ და ყველას ერთნაირად გაგისწორდებით. არც ქარავნების ძარცვას მოვიშლით, არც თქვენი მამულების კლებასა და ოხრებასო.

მხარგრძელს მოციქულის მიერ მიტანილი პასუხით აშლილი ბოლმა ჯერ კიდევ განელებული არ ჰქონდა, რომ ამბავი მოუვიდა, ხორასნიდან მომავალი ქარავანი გაძარცვეს, აქლემები და ჯორები წაასხეს და მცველების უმრავლესობა გაწყვიტესო.

ეს უკვე ათაბაგის მესამე ქარავანი იყო, მხარგრძელი აშკარა განადგურების წინაშე იდგა და ლოდინი აღარ შეიძლებოდა.

ამირსპასალარი იმ დღესვე წაუძღვა ჯარს მიგრიაულის ბუდისაკენ.

*
* *

სამეფოს შემოსავალმა თანდათან იკლო. ყმადნაფიცი ქვეყნების ხარკის მუდმიობა მერყეობდა, ზოგჯერ სულაც წყდებოდა. მტრული სახელმწიფოების დალაშქვრასა და რბევაზე ხელის აღებამ მარტო სახელმწიფო საჭურჭლე კი არ გამოაცალიერა. მთავრებისა და დიდებულების შემოსავლის მთავარი წყაროც დაპყრობილ ქვეყნებში ნადავლი და ნატყვენავი იყო და მათი სალაროებიც მაშინვე გამოიბერტყა, როგორც ამ შემოსავალმა იკლო. სამეფო კარი და დიდებულები, ერისთავთ ერისთავები და მთავრები სულაც არ დაგიდევდნენ შემოსავლის კლებას, მადა და მოთხოვნილება ძველებურად განუსაზღვრელი ჰქონდათ და, რაკი დანაკლისის შესავსებად ერთადერთი საშუალება, მოსახლეობის დაბეგვრა რჩებოდათ, გლეხობას ისედაც აუტანელი საგადასახადო მარწუხები უფრო მაგრად მოუჭირეს და სულის ამოსვლამდე მიიყვანეს.

გზებზე ხელგაწვდილი მათხოვრებისა და მაწანწალების, ხოლო ტყეებსა და მთებში ყაჩაღად გავარდნილების რიცხვმა არაჩვეულებრივად იმატა.

მიგრიაულის მაგალითს ლიხთიმერეთშიაც ბევრმა მეამბოხემ მიბაძა. მემამულეებზე თავდასხმა და მათი ქონების ძარცვა გახშირდა, ბატონებს მოსვენებული ცხოვრება და მშვიდი ძილი დაეკარგათ.

*
* *

მეფე სულ მუდამ შიშში იყო, რომ ვეზირები უკანონო ცოლს წაჰგვრიდნენ, თანაც იმის ფიქრი არ ასვენებდა, ვაითუ მიგრიაული ლილესა და უფლისწულს გადაეყაროს სადმეო.

ეს მუდმივი შფოთი და მოუსვენრობა კიდევ უფრო აძლიერებდა მეფის სიყვარულს ლილეს მიმართ. სხვანაირად, ამდენხანს იქნებ მოსწყენოდა კიდეც ლილე, მაგრამ სატრფოს დაკარგვის გამუდმებულმა შიშმა ლილეს ლანდად აქცია, გვერდიდან არ იშორებდა ლილესა და ყრმა უფლისწულს. ორივეს მცველები მიუჩინა და სასახლიდან ისე არ უშვებდა, თუ თან მცველთა საიმედო რაზმი არ გაჰყვებოდათ.

მეფეს თანდათან უძნელდებოდა ასეთი მდგომარეობის ატანა: ქალი, რომელიც მთელ ქვეყანას ერჩია და რომლის მეტი ცოლად არავინ უნდოდა, კარსა და დიდებულებს აბუებული ჰყავდათ, უბრალო ხარჭასავით ექცეოდნენ და მოუთმენლად ელოდნენ სასახლიდან მის წასვლას. ხოლო ყრმა მემკვიდრეს, რომელიც საკუთარ თავზე

მეტად უყვარდა, ბუშად თვლიდნენ და მის მომავალზე ჩუმად ქირქილებდნენ. ლილეს ესმოდა მითქმა-მოთქმა მის უგვარობაზე, ძლივს იკავებდა თავს, რომ თავისი ნამდვილი ვინაობა არ გამოემჟღავნებინა. თავისი წარმოშობისა და დიდებულების შესაფერისად თავი მაღლა, გამომწვევად ეჭირა. მისი ასეთი ქცევა კიდევ უფრო აბრაზებდა ისედაც გაბოროტებულ დიდებულთა ცოლებს, რომელთაც „მდაბიო ხარჭის" ნამდვილი ვინაობისა არაფერი იცოდნენ, მის გასაგონად იგესლებოდნენ და უგვან ანდაზას ხმამაღლა იმეორებდნენ: ღორის ტილი ფეხზე დაისვი, თავზე დაგაჯდებაო.

ლილეს უნდოდა თავისი ვინაობის გამხელა, დიდებულთა ქალებისგან შეურაცხყოფილს ბევრჯერ კინაღამ დასცდენია თავისი გვარიშვილობის თაობაზე, მაგრამ ენას კბილს დროზე აჭერდა და მემკვიდრის მომავლის გულისათვის საიდუმლოს კვლავ გაუმხელად ინახავდა.

•

* *

მეკობრეების შესაპყრობად და დასასჯელად წასული მხარგრძელი ხელცარიელი დაბრუნდა, ლუხუმისთვის მსტოვრებს ადრე ეცნობებინათ ლაშქრის გამოსვლა, მეკობრეები აყრილიყვნენ და მიუვალ მთებში გახიზნულიყვნენ. ჯერ კიდევ ზამთრის მიწურული იყო და უგზოობამ მხარგრძელის ლაშქარს პირში ჩალა გამოავლო. ათაბაგმა თოვლ-ყინულიან, მიუვალ მთებში ბილიკებით ასვლა ვერ გაბედა და გაწბილებული უკან შემოიქცა.

ბოლმისაგან გაცეცხლებული მხარგრძელი შინ იყო ჩაკეტილი და არავის იკარებდა, როცა მეფისაგან დარბაზის კრებაზე წვევა მოუვიდა. ვაზირებში გამოიკითხა, თუ რა საქმეზე იწვევდა მეფე დარბაზს, მაგრამ ვაზირებმა თავად არაფერი იცოდნენ და ათაბაგს რას ეტყოდნენ.

დარბაზის წინაშე მეფემ თავი დაიმდაბლა და ბოდიში მოითხოვა, პირად საქმეზე გაგსარჯეთ, მაგრამ ჩემი პირადი საქვეყნო საქმეც არის; რადგანაც ტახტისა და გვირგვინის ბედს ეხებაო. შემდეგ თავისი მდგომარეობის შეუსაბამობაზე ილაპარაკა, აგერ სამი წელია თანამეცხედრე მოვიყვანე, მემკვიდრე უფლისწულიც შემეძინა და დღემდე თქვენ დასტურს ვუცდი, რომ კანონიერად ვიქორწინო სჯულიერ მეუღლესთანო.

შეურაცხყოფილი დარბაზი ღელავდა და დრტვინავდა. მეფის უკანასკნელი სიტყვები — დარბაზს ვთხოვ, ქორწინების და უფლისწულის თანამოსაყდრედ დასმის დასტური დამცესო, აღშფოთებულ დიდებულთა გუგუნმა დაფარა.

ათაბაგმა და ვაზირებმა პირში უთხრეს მეფეს: შენმა მემთვრალეობამ, უწესო კაცთა მიყოლამ და მემრუშეობამ საქვეყნოდ გამოგვაჭენა. ერთგულად ნამსახური ყმის მიგრიაულის ესოდენ დამდაბლებამ ხალხში მეფის ხელისუფლებას სახელი გაუტეხა და გლეხობა სამტროდ აგვიშალა, ტყეში გასული მეამბოხეები მამულებს გვირბევენ, სახლ-კარს გვიწიოკებენ და გზებზე ქარავნებს ძარცვავენ, საქმე იქამდის მივიდა, რომ აღმოსავლეთის უძლიერეს სულთნებთან და მეფეებთან ბრძოლებში სახელგანთქმული ქართველი მხედართმთავრები მთებსა და ტყეებში მეკობრეებს დავდევთ დასაჭერადო. ხარჭა დაუყოვნებლივ თავის გვირგვინის ქმარს დაუბრუნე, რომ ქვეყანაში შფოთი და ხალხის უკმაყოფილება დაცხრეს, მეფეთა ღირსი ცოლი მოიყვანე, რათა სამეფოს კანონიერი მემკვიდრე შესძინო და სასახლეში კვლავ შენი ნეტარი დედის დიდი თამარის კეთილი წესები აღადგინე, თუ ჩვენი სამსახური გსურსო, ერთხმად მოახსენეს მეფეს ვაზირებმა და კათალიკოსმა.

— არცა ერთს ვიქმ თქვენის ნებითაო! — მტკიცედ მოუჭრა გაჯიუტე-

ზულმა მეფემ. გაალმასებული დიდებულები ფეხზე წამოდგნენ და ერთხმად განუცხადეს:

— არა თავს ვიდებთ შენსა მეფედ ყოფას, უკეთუ არა განეყენო ბოროტთა სიახლესა და უწესოებას, რომელთა ჰყოფ!

ამ სიტყვებით დიდებულებმა დარბაზი დატოვეს და მეფე კვლავ მარტო დარჩა: თავს გვირგვინი ედგა და ხელთ სკიპტრა ეპყრა, მაგრამ ზვიადი დიდებულების თავგასულობის წინაშე ძალა არც ერთს ჰქონდა და არც მეორეს.

შეურაცხყოფილი, სასოწარკვეთილი მეფე კედელს თავს სცემდა, ბრაზისაგან ცახცახებდა.

იმ ღამეს ლაშას თვალი არ მოუხუჭავს. დიდებულთა და ვაზირთაგან ზურგშექცეულ მეფეს ხელმწიფის სახელის მეტი აღარაფერი შერჩენოდა, მის სიტყვასა და მოქმედებას სასახლისა და საკუთრივ სამეფო მამულს იქით ძალა და გავლენა აღარ ჰქონდა. კარიდან გამდგარნი და თავთავიანთ მამულებსა და ციხეებში ჩაკეტილი ვაზირები და ერისთავები ამიერიდან სრულიად საქართველოს მეფის უფლებას გარეგნულადაც აღარ სცნობდნენ, ჯარი მათ ხელთ იყო და სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი, მეფეს არც ერთი გააჩნდა და არც მეორე, რომ დიდებულთა განდგომა არაფრად ჩაეგდო.

ამ დღისათვის უნდოდა ლაშას ყივჩაღთა დაქირავებული ჯარი. ახლა რომ მისი დიდი პაპის მსგავსად მის ხელქვეით ყივჩაღთა ორმოციათასიანი ლაშქარი ყოფილიყო, დიდებულები კარიდან განდგომას ვერ გაბედავდნენ, ხოლო თუ რომელიმე მათგანი მაინც გათავხედდებოდა, მეფეს მისი დამხობა მამულისა და ციხეების აკლება და იავარყოფა ნეკის გაქნევადაც არ დაუჯდებოდა.

თურმე ამ დღისათვის ემზადებოდნენ დიდებულები, როცა ყივჩაღთა ლაშქრის გამოყვანას შლიდნენ და მეფის ძალაუფლებას ძირშივე ფრთას აკვეცდნენ. როგორ ერთხმად აღმდგარან მაშინაც დიდებულები მეფის წინააღმდეგ.

მაშინ ერთი ახალციხელი მაინც ეგულებოდა მეფეს თავის მხარეზე. ახალციხელი ძლიერიც იყო და გონიერიც და მეფეს გულს კიდევ უმაგრებდა მომავალი ბრძოლებისათვის რამდენიმე თანაგამზრახის მხარში დგომა და ერთგულება. ახლა ახალციხელი სხვა დიდებულებზე ადრე იყო მეფისაგან გამდგარი, თავის მამულში გახიზნული და ციხეებში ჩაკეტილი.

მეფე ახლა სრულიად მარტო იყო, თავისი თანამესუფრეებისა და მოქეიფე თანამოასაკეების ამარა. ამ უკანასკნელთ არც ჯარი ჰყავდათ და არც მამულები გააჩნდათ. იმათ ვერც ვაზირებად დასვამდა და ვერც ქვეყნის საქმეს მიანდობდა. ან კი რა უნდა განებრჭოთ და გადაეწყვიტათ მეფის ახალ ვაზირებს, როცა მეფეს საკმაო არც საჭურჭლე გააჩნდა, არც ლაშქარი და ძალაუფლება.

სამეფო საზღვრები და უღელტეხილებიც მენაპირე დიდებულების ხელთ იყო. მათ უნებურად საქართველოს მიწა-წყალზე ჩიტიც ვერ გადმოფრინდებოდა და მეფეს მათი დასტურის გარეშე ყმადნაფიცთა ჯარის წვევაც არ შეეძლო.

ყველა გზა მოჭრილი იყო და ყველა ღონე წართმეული. მეფეს ორთაგან ერთი უნდა აერჩია: ან ლილეზე უნდა აეღო ხელი, ან ტახტზე და მეფის გვირგვინზე. არც ერთი შეეძლო მეფეს და არც მეორე. სანამ სული ედგა, ვერცერთ გზას ვერ დაადგებოდა ლაშა და რაკი სხვა მესამე გზა არ ჩანდა, მეფის სასოწარკვეთას საზღვარი არ ჰქონდა.

მეფის ურვას კიდევ ის უფრო ამძიმებდა, რომ საზრუნავი ვერავისთვის გაენდო, რჩევა ვერავისთვის ეკითხა და გული ვერავისთვის გადაეშალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი მეცხრამეტე

## ხალხის მოციქული

სასახლის გალავანს ცხვრისტყაპუჭიანი მოხუცი მოადგა, ზურგზე გლახაკის ხალთა ეკიდა და ხელში ვეება კომბალი ეპყრა.

ცხვრისტყაპუჭქვეშ ფშაური ტალავარი ეცვა მოხუცს. გაბუძგული თეთრი თმაწვერი მხრებზე და გულ-მკერდზე უწესრიგოდ დაჰფენოდა. ხანხალით მიმავალ მოხუცს მოტეხილი სხეული ძლივს მიჰყვებოდა, წელში მოხრილი კომბალს ებჯინებოდა და ხშირი სვენებ-სვენებით მიბაკუნობდა.

გალავნის კართან შედგა მოხუცი, ქვაზე ჩამოჯდა და მოღლილი კომბალს დაეყრდნო.

სასახლის რკინის კართან მდგარმა გუშაგებმა მაშინვე შენიშნეს ტალახში ამოგანგლული პაჭიჭებიანი მოხუცი.

— აქ რასა იქმ, მოხუცო?

ჰკითხა მიახლებულმა გუშაგმა.

— მეფეს ვუცდი...

მოკლედ მოუჭრა მოხუცმა.

— მეფე შინ არ არის და დღეს არა განიკითხავს გლახაკთა.

— არა წყალობის მთხოვნელ ვარ, არამედ თვით მოსულვარ განკითხვად მეფისა. — მიუგო მოხუცმა, თავი აიღო და გაგონილით გაოცებულ მცველს მაღალ შუბლქვეშ ცეცხლივით მოკიაფე თვალები მიანათა.

გუშაგი უკან მიბრუნდა და ათისთავს მოხუცის ნათქვამი გადასცა. ათისთავი სათვალთვალო კოშკიდან გამოვიდა, მოხუცს მიუახლოვდა და აგდებულად უთხრა:

— რასა იტყოდი მეფეთა აუგსა. არა იცია, რამეთუ მეფის აუგისათვის საჯნეს კაცი ყოველი სამეფოსა საქართველოსა?

— არა აუგად მეტყველ ვარ, არამედ მოსულვარ განკითხვად აღზრდილისა ჩემისა.

მშვიდად მიუგო მოხუცმა და იღლიაში კომბალი მოინაცვლა.

ათისთავს არ გაჰკვირვებია მოხუცის ნათქვამი, მაწანწალა დერვიშები და მოგზაური ბერები, ჩვეულებრივად, მეფეთა და მთელი ერის მამებსა და აღმზრდელებს უწოდებდნენ თავიანთ თავს და მარტო მეფის კი არა, მთელი სამეფოსა და ადამის მოდგმის განკითხვად მოსვლას იჩემებდნენ ხოლმე.

— უკუ დექ კართაგან. არა წეს არს მეფეთა კართან ახლო ეგრე ჯდომა. — მკვახედ უთხრა ათისთავმა.

მოხუცი წამოდგა, კომბალი დაიბჯინა და კარიდან რამდენიმე ნაბიჯით გადაინაცვლა.

ათისთავი ცალი თვალით უყურებდა მოხუცებულს: ახლა გზისპირას მოირთხა მოხუცმა. მათარიდან წყალი მოსვა, ხალთიდან ხმელი პური ამოიღო და მშვიდად დაუწყო ღეჭნა.

სასახლის კართან სამჯერ გამოიცვალა გუშაგი. მოხუცი ისევ იქ იჯდა და ყველას ერთსა და იმასვე უპასუხებდა:

— არა წყალობის მთხოვნელ ვარ, არამედ თვით მოსულვარ განკითხვად მეფისა და აღზრდილისა ჩემისა.

ბოლოს და ბოლოს გლახაკის ნათქვამმა მეფემდის მიაღწია და ხელმწიფემ უცნაური მოხუცის სანახავად გამოსვლა ინება.

მეფის წინ პატარა უფლისწული მოხტოდა.

გვერდით ლილე მოჰყვებოდა ლაშას.

მოხუცმა მეფეს და მის მცირე ამალას შეხედა. ლილეს დანახვაზე აქამდე რულად მიქცეული თვალები უცნაურად აუციმციმდა, ერთ წამს გამოშტერებული მიაჩერდა. ის იყო, შეინანა მეფის სამხილებლად მოსვლა და კინაღამ ხალთას ხელი წამოუსვა, რომ უკან გაბრუნებულიყო.

თავს მალევე სძლია მოხუცმა. მზეთუნახავს თვალი მოაშორა, სახე მოიღუშა და თავდახრილი დაელოდა მეფის მოახლოებას.

— დაგვლოცე, მამაო, უფლისწული გვიკურთხე! — შეევედრა ლილე და მოხუცს ნათქვამი ზღაპრული სირინოზის გალობად ჩაესმა. ამ ხმამ სადღაც ნაცარწაყრილი მძინარე ღველფი გაუღვიძა მოხუცს, მთელ სხეულში სითბო იგრძნო და თავისდაუნებურად მოლბა.

— ღმერთმა გიკურთხოთ უფლისწული, გაზარდოს და გააძლიეროს!

ომახიანი ხმით თქვა მოხუცმა და მისი გაბურძგვნილი თმა-წვერის გაოცებით მზირალ ყრმას პირჯვარი გადასახა.

ლაშას ეცნაურა მოხუცის ხმა. ტყაპუჭქვეშ ფშაური ტალავარიც ენიშნა.

— ვითარ მოვედ განკითხვად ცოდვათა ჩემთა, ანუ ვითარ ხარ აღმზრდელი ჩემი?

ჰკითხა ლაშამ და მოხუცს უფრო ახლო დააკვირდა.

— ჟამმან შესცვალა სახე ჩემი, ხოლო ბუნებაი იგივე არს, ბუნებაი შენი შეცვლილ, ხოლო სახეცა იგივე ჰგიეს...

კუშტად უთხრა მოხუცმა და მეფე კიდევ უფრო დააკვირდა.

— ჩალხია... ჩალხია ფხოველი! — წაიჩურჩულა მეფემ და სახეზე ღიმილი გადაეფინა.

— მიცანი. ჩალხია ვარ, ფხოველი, აღმზრდელი შენი. მაგრამ ვერა გცნობ აღზრდილსა ჩემსა ლაშასა, სიბოროტედ მიდრეკილს. თავის წინა მსურს უბნობა შენთან და დედასთან ძისა შენისა, განკითხვად საქმეთა შენთა.

მკაცრად უთხრა ფხოველმა.

— მობრძანდით, პალატთა შინა ვიუბნოთ... — უთხრა შეშინებულმა და დაბნეულმა ლაშამ და ხელკომბლიანი, ტყაპუჭგაქონილი მოხუცი მოწიწებით წინ გაატარა.

— გამოცვლილხარ ფრიად, მოძღვარო, მიმცხოვნება შეგტყობია ადრეულად.

პირველმა მეფემ დაარღვია სიჩუმე, როგორც კი მცირე პალატში განმარტოვდნენ ლილესთან ერთად.

— ხრწნადი არს სხეული ჩვენი, ხოლო სული ჩვენი სიკეთისა მოქმედი უცვალებელი და ჭაბუკ უკუნითი უკუნისამდე. ნეტარ არიან მოღვაწენი უკვდავებისათვის სულისა.. ხოლო შენ უარჰყავ სამსახური სულისა, განსძღე და განსუქნი, შეუდექ მღერასა და სიღოდასა და ნაყროვანებამან სიბილწესა, უმეტეს გარდაგრია.

ფხოველი ფეხზე წამოიჭრა, ხმას აუწია და ცეცხლის მკვესავი თვალები რისხვით მიაპყრო შიშისაგან გაფითრებულ ლაშასა და ლილეს.

— რაი არს ცოდვა ჩემი, მოძღვარო. არა მე ვარ გამოცვლილ, არამედ უფროს-ღა ვხედავ ცვალებასა შენსა, რამეთუ სხვასა მასწავებდი სიყრმესა ჩემსა ჟამსა დამოწაფებისა შენისა... — შეჰლუღლუღა დაბნეულმა და შემდრკალმა ლაშამ.

— უმჯობეს არს ყოველი გასაგონი ყოველსა გამგონესა. გეტყვი შენ, ვითარცა კაცსა მსოფლიოსა, რამეთუ დახშულ გაქვს სასმენელ ენამზეობისათვის ბრძენთასა. აწ გეტყოდე იგავსა და მომიგე მე სამართალი, ვითარ დავით მეფემან წინასწარმეტყველსა ნათანს:

ორი კაცი იყო ერთსა ქალაქსა შინა, ერთი მდიდარი და ერთი გლახაკი. და მდიდარისა სამწყსო იყო რემები ხართა მრავალთა ფრიად. ხოლო გლახაკსა არა რაი აქვნდა, თვინიერ ერთი კრავისა მცირესი, რომელსა სცვიდა და ზრდიდა ძეთა მისსათანა ერთად, პურისაგან მისისა ჭამდა და სასუმელისაგან მისისა სუემდა და წიაღსა შინა მისსა განისუენებდა, და იყო მისსა ვითარცა ასული და მივიდა ვინმე მგზავრი სტუმრად მდიდარ კაცთან.

მდიდარმან არა ინება დაკლვად საკლავისა რემათაგან თავისთა მგზავრისათვის სადილად, არამედ მოიყვანა კრავი გლახაკისა და უქმნა სადილი მგზავრსა მის სტუმრად მისულს.

ფხოველი შეჩერდა, თვალი თვალში გაუყარა მეფეს და ჰკითხა:

— საჯე, მეფეო, რისა ღირს არს კაცი იგი მდიდარი ამისა მყოფელი?

— ღირს არს სიკვდილისა ჭეშმარიტად კაცი მყოფელი ამისი, — აღშფო-

თებით მიუგო მეფემ, — და კრავი უზღოს შვიდ წილად მას გლახაკსა.

— შენ ხარ კაცი, რომელმან ჰყავ ესე! — პირდაპირ მიახალა ფხოველმა მეფეს, — შენ წაჰგვარე გვირგვინის ცოლი მსახურსა შენსა ლუხუმსა, რომელი შთააგდე ჯურღმულსა საპყრობილისა და ჰქმენ ბოროტ.

მეფე გაშრა და აცახცახდა.

— არა გეშინის წინაშე უფლისა, — განაგრძო ფხოველმა, — რომელმან გსაჯოს, ვითარცა წინასწარმეტყველი დავით, აღადგინოს ბოროტი სახლსა შენსა ზედა, მიგიღოს ცოლი და მოკვდეს სიკვდილით ძე შენი?

— ნუ იყოფინ, უფალო! — შეკივლა ლილემ და ფეხთ ჩაუვარდა ფხოველს, — ჩვენ გვსაჯოს, ცოდვათათვის ჩვენთა. მე მსაჯოს მარტო, რამეთუ მე ვარ ცოდვილ უფროის ყოველთა... შეჰვედრე, მოძღვარო, უფალსა, რამეთუ განარინოს ძე ჩვენი სასჯელისაგან, ვითარცა კრავი უცოდველ და მეფე ჩვენი უბრალო...

თვალცრემლიანი ეხვეწებოდა ლილე, ტალახიან ფეხებზე ეხვეოდა და ხელაპყრობილი ევედრებოდა გაკერპებულ ფხოველს...

— არა ეგრე მქადაგებდი, მოძღვარო, ჟამსა ჩემისა სიყრმისასა. შენ არა მეტყოდი, სიყვარული აღგვამაღლებსო?.

შეჰბედა მეფემ და მოძღვარს თვალი გაუსწორა.

ფხოველი შეაკრთო მეფის ნათქვამმა, წუთით დაიბნა და პასუხი ვეღარ მოძებნა. მერე პალატში გაიარ-გამოიარა, ისევ შეჩერდა და ისე განაგრძო, უკვე თვალით მეფისკენ აღარ გაუხედავს.

— მე წრფელ სიყვარულს ვუქადაგებდი მოწაფეთა ჩემთა, ამაღლებულ სულთა წმიდა კავშირს ვუსახავდი მაგალითად და არა მრუშებასა და სიძვას.

— არა მრუშება და სიძვა არს ჩემი ნდომა ლილესთან ყოფნის, არამედ სიყვარული წმინდა და ბიწმიუწდომელი. ორი სულის სწრაფვა ურთიერთის მიმართ, კვლავ ერთ არსებად ქცევისათვის, ვით არ მასწავლიდი მოძღვარო.

— არა ხარჭად გყავს ქალი ეგე ცოლყოფილი მიგრიაულისა?

გაიოცა ფხოველმა.

— არა, მოძღვარო, ცოლად მსთნავ საუკუნოდ და აქამდისაც სჯულიერად ვიქორწინებდი მეუღლესა ჩემსა თანა, უკეთუ ნება იყო კათალიკოსთა და ვაზირთა ჩემთა.

— არა ნებას დართავს რჯული სხვათა გვირგვინის ცოლის შერთვას სიცოცხლესა შინა გვირგვინის ქმრისა, — თავისთვის ოდნავ გასაგონად თქვა ფხოველმა, თავი გადააქნია და შეკავებული ოხვრით უბრალოდ, მსოფლიოთი ენაზე მიმართა მეფეს, — რადა შენი ყმის ცოლს ეტრფიალე, უბედურო?.

— სიყვარულმა განა გარჩევა იცის? შენ არა გითქვამს ჩემთვის, ბრმა არის მიჯნურთა თვალი ხედვად და ყური დახშულიო სმენად?!

— შენ მეფე ხარ, ქვეყნის მამა და წინამძღვარი, არა გმართებს განურჩევლად აყოლა გულისა და ნდომის...

— დაღა თუ მეფე ვარ, მეც კაცი კაცთაგან ვარ და მეც გულისთქმა მაქვს, ვითარცა ყოველთა.

— არა წეს არს მეფეთაგან ყოველთა მსგავსად ქცევაი.

— მაშ რადღა არს მეფე უმაღლეს ყოველთა, თუ უმცირეს სხვათა აქვს უფლებაი გულისა თქმისათვის თვისა.

— მეფეთა არა ეკუთვნით თავი ოდენ, ხელმწიფე განწესებულ არს მამად და მსახურად ერისა და სიკვდილმდე უნდა სიკეთისათვის ქვეყნისა ილვწოს, დამვიწყებლად ვიეთთამე გულისთქმათა და დათრგუნვად საწადელთა უწესოთა. ოდეს მეფე ამა წესთა გადავალს, შფოთი და აღრევა მოიცავს ქვეყანასა და არა იქნება დაწყნარებაი სამეფოსა მისსა, ვითარცა შენ ჰყავ შფოთი და აღრევა ერსა ამასა.

ლაშამ ამოიოხრა და ვერაფერი თქვა ფხოველის საპასუხოდ.

— არა ბოროტ ქმენ ერთგულისა ყმისა შენისა ლუხუმის მიმართ? — ჰკითხა უცებ ფხოველმა.

— ბოროტ ვქმენ, მოძღვარო. — წაიდუდღუნა თავჩაღუნულმა მეფემ.

— ხოლო თუ წადიერ ხარ დაწყნარებასა და დამშვიდებასა სახლსა და სამეფოსა შენსა, მიეც ქალი იგი ქმარსავე მისსა.

ლილემ თავი აიღო და შეშფოთებული თვალი მიაპყრო ჯერ ფხოველსა და მერე მეფეს.

— არა შემძლებელ ვარ მოშორებასა მიჯნურისა და მეუღლისა, ძისა ჩემის დედისა! — გადაჭრით განაცხადა მეფემ, ლილეს ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა.

ფხოველმა წამით შეხედა მუდმივ შფოთსა და ერთიმეორის დაკარგვის შიშში მყოფ მშვენიერ წყვილს, ერთი მეორის მიმსგავსებულად ეჩვენა, ორივე უზომოდ ლამაზი და მიმზიდველი, თავისთვის გაიფიქრა, ერთმანეთისთვის არიან გაჩენილიო, და მაშინვე პირი მიჰრიდა.

— აქამდისაც განვიშორებდი, თუ შემძლებელ ვიყავ... — დაუმატა მეფემ და ბავშვივით მიიკრა გულზე აკანკალებული ლილე.

— სიყვარული უმსხვერპლოდ არ იქნების, მეფევ, არცა ქალისა, არცა ღვთისა, და არცა დიდისა რამე საქმისა ამაღლებულისა, ან ტახტი უნდა გასწირო სიყვარულისათვის და ვითარცა მორწმუნე შეუდგე გულისა შენისა ოდენ სამსახურს, ან ტრფობა უნდა დასთმო ერისა შენისა სამსახურისათვის.

— არცა ერთისა შემძლებელ ვარ. — ისევ თავის ქნევით, მშვიდად განაცხადა მეფემ.

— მაშინ არა დაცხრება შფოთი ქვეყანასა ამას, წინაღდგებიან მთავარნი სამეფოსნი და ერი უმრავლესი აღდგება დამხობად ტახტისა შენისა და მეფობისა.

— იყავნ ნება მათი, თუ არა განიკითხვენ საწადელსა ერთსა ოდენ ღვთივცხებულისა მეფისა.

— ესე არს სიტყვა შენი, უკანასკნელ?

— ესე არს, უკანასკნელ და არა პირველ, რამეთუ მრავალნი მოსულან თქმად ამისავე ვაზირთა და მთავართაგან ჩემთა, კათალიკოსთა და ეპისკოპოსთაგან ეკლესიისათა. ვგონებ, რომელ შენცა მოგზავნილ ხარ, მოძღვარო, მთავართაგან სამეფოისა.

— მოგზავნილ ვარ არა მთავართაგან, არამედ ერისაგან მრავლისა. წარმომგზავნეს ფხოველთა და მთეულთა ყოველთა ლაშარის ყმათა თანადგომად, ყმისავე მის ხატისა, — მცველყოფილისა შენის მიგრიაულისა. უკეთუ არა განიშორებ ცოლსა მისსა და არა მის-ცემ უკანვე ქმარსა სჯულიერსა, განდგებიან ფხოველნი და ყოველნი მთეულნი ტახტისაგან შენისა ბრძოლად და შეწევნად მიგრიაულისა.

ლაშა ჩააფიქრა ფხოველის ნათქვამმა, მაგრამ ოდნავაც ვერ შეარყია და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ თავის ქნევით წართქვა:

— არცა მაშინ განვიშორებ ლილეს, ოდეს სრულიად საქართველოს შვიდი სამთავრო აღდგეს დამხობად მეფობისა ჩემისა.

— მას შინა მეც, შენი მოძღვარიც, მტრად მიმითვალე და ვიბრძოლებ წინააღმდეგომ შენსა ხმლითა და სიტყვითა ხალხთან ერთად...

— იყავნ ნება შენი... — მშვიდადვე მიუგო გაცოფებულ მოხუცს ლაშამ.

— პასუხი ეც ღმერთსა შენსა, ოდეს მოაწევის ბოროტი სახლსა შენსა და ძესა, ვითარცა ძესა დავითისა წინასწარმეტყველისასა.

ხელაპყრობით შეჰღაღადა მოხუცმა, ხალთას და კომბალს ხელი დაავლო და უკანმოუხედავად გავიდა მეფის პალატიდან.

* * *

აღშფოთებისაგან ძალმოცემული, ღონიერი ნაბიჯებით მიდიოდა ფხოვე-

ლი. რაც უფრო შორდებოდა მეფის სასახლეს, თანდათან ნაბიჯს უკლებდა, გაბრაზება უნელდებოდა და გონიერი განსჯის უნარი უბრუნდებოდა.

მის გონებაში მთლიანად აღდგა მეფესთან წელანდელი სიტყვა-მიგება და ფხოველს თავისი თავი ამ კამათში მოეჩვენა უმეცარ ხუცესად, უბირ ასკეტად, რომელსაც არც თავათ ჰყვარებია ვინმე, არც რამე სმენია ამაღლებული და წრფელი სიყვარულის შესახებ.

ახლა მისი გული და გონება იხრებოდა მისივე აღზრდილისკენ, რომელსაც ყრმობის ჟამს დიდი გზნებითა და გატაცებით ასწავლიდა რაინდულ კეთილშობილებასა და ამქვეყნიური სიყვარულის ღვთაებრიობას, სულთა მარადიულ სწრაფვას მსგავსისა და ნათესავისაკენ, სიყვარულის ყოვლისშემძლეობასა და გარდუვალობას.

მიდიოდა ფხოველი და გრძნობდა, რომ მას არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერი ძალაც აღარ ექნებოდა წრფელი გულით გამიჯნურებული მეფის წინააღმდეგ თავის ხალხთან ერთად ბრძოლისათვის.

* * *

ღამდებოდა. პირველი ფიქრი, რომელიც მოხუცის შეჩვენებისაგან ზარდაცემულ ლილეს მოუვიდა, ის იყო, შვილს არაფერი ხიფათი შემიმთხვიონო.

წამსვე უფლისწული მოიკითხა და თავისთან მოაყვანინა. ყრმა რომ ხელთ აიტაცა და აკოცა, ბავშვის ლოყა ცხელი ეჩვენა.

— არაფერია, უფლისწული თამაშით დაიღალა, — ანუგეშა ძიძამ შეშფოთებული დედა და ყრმა საწოლისკენ წაიყვანა.

დიდებულთა გადაწყვეტილება ლილესთვის არ ჰქონდა მეფეს გამხელილი, მაგრამ ლილემ დარბაზის სხდომის დამთავრებისთანავე უმისოდაც იცოდა ყველაფერი.

ახლა ფხოველის ნათქვამმა კიდევ უფრო ნათლად დაანახვა, თუ რა საფრთხეში იყო მეფისა და მისი ბედნიერება და ტახტის მემკვიდრის მომავალი.

უფსკრული ხელმწიფესა და დიდებულებს შორის ლილეს უკიდურესად გაღრმავებულად ეჩვენებოდა. ამ უფსკრულის მეორე ნაპირზე, მარტო დიდებულები კი არა, თურმე მთელი ხალხიც მდგარა და ეს საშინელი სიღრმე არა მარტო მეფის ბედნიერებას, მთელ ერს უქადდა დანთქმასა და დაღუპვას.

იწვა ლილე და არ ეძინა. თავისთავს აღარ დაეძებდა და იმაზე ფიქრობდა, თუ რით ეშველა მეფისა და უფლისწულისთვის. ერთი ფიქრი ის მოუვიდა, რაკი დარბაზი მის უგვარობას იმიზეზებდა, იქნებ ვინაობის გამხელამ უხ გვაროვნების გაცხადებამ გვიშველოსო, რომ აწონ-დაწონა, ეს ფიქრიც უკუაგდო და შეუძლებლად ჩათვალა. იგი ტახტისა და სახელმწიფოს მოღალატედ გამოცხადებული გვარის ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი წარმომადგენელი იყო. მეფის ვაზირები მისი გვარის დამხობისა და ამოწყვეტის უშუალო მონაწილენი იყვნენ, ლილეს მამულები და სარჩო-საბადებელი მათ ჰქონდათ მიტაცებული და ერთი წუთით როგორ დაუშვებდნენ ლილეს გადედოფლებასა და მისი შვილის ტახტის მემკვიდრედ აღიარებას.

წყეულიმც იყოს ეს სასახლე თავისი დიდებულებითა და ვაზირებით! რამდენი სიმწარე და დამცირება ნახა ლილემ ბაგრატიონთა ამ საოცნებო სასახლეში! სადმე ღარიბ ქოხში გაცილებით უფრო ბედნიერი იქნებოდა, ვიდრე მეფის ბრწყინვალე პალატებში იყო საბრალო ქალი. დედოფლის დამადლებულ ოქროს ტახტს იგი ნაჯახით გაჩორკნილ სამფეხა გლეხურ სკამზე გაცვლიდა სიამოვნებით, ოღონდ ამ დაწყევლილ სასახლეს, დიდებულთა მტრობისა და შურლის ბუდეს გაცლოდა, რუსუდანისა და ერისთავთა ცოლებისაგან აბუჩად აგდებას, მათ კილვასა და

ღვარძლით სავსე გამოხედვას გაშორებოდა.

გლეხის ქოხზე ფიქრმა თავისი ადრინდელი ყოფა გაახსენა. განა რამე აკლდა ლილეს ლუხუმის სახლში? განა ცოტა შენატროდა მის ბედნიერებას? მაგრამ კაცის გული მართლაც რომ აღუვსებელი საწყაული ყოფილა. ლილე ბედის მიერ მოცემულს არ დასჯერდა, მეფის შეძლებული მსახურის მყუდრო და უშფოთველი ცხოვრებით არ დაკმაყოფილდა და თავი ამ დაუწყნარებელ ღელვასა და ორომტრიალში ჩაიგდო.

ცუდი მოყმე იყო ლუხუმი? სახელი აკლდა თუ სიმდიდრე? მერე როგორ უყვარდა ამ უებრო ვაჟკაცს თავისი ცოლი, როგორ თვალში შესციცინებდა ლილეს დიდი და პატარა მიგრიაულის სახლში. მაშ რაღა ჭირად უნდოდა მეფის კარი და ყველასაგან დაყვედრებული „დედოფლობა?!".

ამ ფიქრმა თვალწინ ისევ გაქანჯული, ერთადერთი ქალიშვილის გადედოფლებაზე ნიადაგ მეოცნებე დედა დაუყენა ლილეს და თავის სიცოცხლეში პირველად მიხედა საყვედურით საყვარელი დედის აჩრდილს ბედის უმადურმა, მონანიე შვილმა. დედის მუდმივმა ჩაძახებამ და ჩაგონებამ უქცია გამუდმებულ საზრუნავად ლილეს მეფის ნახვა, მასთან პირისპირ შეყრა და შემდეგ მასთან სამარადისოდ შეერთება.

ლუხუმს რომ ლილეს რჩევით მეფე არ ეწვია, ხომ ყველაფერი ძველებურად წყნარად და ტკბილად იქნებოდა მიგრიაულების ოჯახში. რა ვუყოთ, რომ განძის ომიდან დაბრუნებული ლუხუმი ესოდენ დასახიჩრებული და დაუშნოებული იყო. განა თავის შნოცა და თვალის ჩინიც მეფესა და სამშობლოს არ ანაცვალა ამ გულალალმა ვაჟკაცმა!

განა სხვა ქალისათვის მისი ქმრის გმირობა და თავდადება საქვეყნოდ საამაყო არ იქნებოდა, სულიერად უფრო სპეტაკად, კეთილშობილად და ლამაზად არ მოეჩვენებოდა იგი?! განა თვითონ მასაც ასე არ ეჩვენებოდა თავისი უეშმაკო ქმარი, იმ ღამეს, როცა ჭრილობებისაგან განკურნების შემდეგ მის მკლავზე უზრუნველად იწვა და თავს თითქმის ბედნიერად თვლიდა?!

მაგრამ სწორედ იმ ღამემ დაღუპა ლილეც და ლუხუმიც. რაღაც ეშმაკად იმ ღამეს შეუჩნდა ლილე თავის გულუბრყვილო ქმარს, მეფე ვაწვიოთო, ქმარმაც გაუგონა და მერე ხომ ყველაფერი ისე დატრიალდა, რომ უკან მიბრუნებისა კი არა, უკან მიხედვის ძალა და სურვილიც დაკარგა აბობოქრებულ დინებას მიყოლილმა ქალმა. ხვდებოდა ლილე თავის დანაშაულს, გრძნობდა, რომ ქმარს უკეთურად მოექცა, ნანობდა, მაგრამ შეცდომის გასწორება გვიან იყო და არც უნდოდა. ლაშას სიყვარულით მისი გაბრუება ძლიერი და გამოუსწორებელი იყო. ეს სიყვარული ჰგავდა აზარტულ თამაშობასა ან ლოთობაში ჩათრეული იმ ახალგაზრდის თავდავიწყებას, რომელსაც დაღუპვა უწერია, მაგრამ გამოსწორება — აღარასოდეს.

მას შემდეგ რაც მან ლაშას სიყვარული იგემა და განიცადა, იგი თავისთავს აღარ ეკუთვნოდა, მისი ცხოვრების ერთადერთ აზრს ლაშას სიყვარული შეადგენდა... ამ სიყვარულზე უარის თქმა მისთვის გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე სიცოცხლეზე ხელის აღება.

მან ცდუნების პირველი ნაბიჯი შეიცნა, მაგრამ გატეხილის გამთელება აღარ შეიძლებოდა, ლუხუმის გაუბედურების ცოდვა თავს იდო, მაგრამ ამ ცოდვის გამოსყიდვაზე ფიქრი მის ძალღონეს აღემატებოდა. ლილეს ლაშასთან განშორებისა და ლუხუმთან დაბრუნების ფიქრიც კი შეუძლებლად მიაჩნდა. მთავარი მისთვის ლაშასთან ყოფნა, მისი სიყვარული იყო. მეფისაგან განშორება მისთვის ცოცხლად ჯოჯოხეთში ჩავარდნა იქნებოდა და სულ ერთი იყო, ჯოჯოხეთს რომელიმე სხვა ხელმწიფის სასახლე ერქმეოდა თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუხუმის სახლი. ლილეს ლაშას კიდეგან ცხოვრება არ შეეძლო, მისი სიყვარულის წართმევას ვერ აიტანდა, თორემ მეფის სასახლის ბრწყინვალება და დედოფლობის პატივი უკვე აღარ იზიდავდა.

ლილე გუდას უყოყმანოდ აიკიდებდა, ცალ ხელში ყავარჯენს დაიჭერდა, მეორეს თავის პატარა დათუნას ჩაჰკიდებდა და თუგინდ მათხოვრად გაჰყვებოდა თავის სათაყვანებელ ლაშას ქვეყნის კიდემდე.

მათხოვრობასა და სოფელ-სოფელ წანწალშიაც ბედნიერი იქნებოდა ლილე თავის ქმართან და შვილთან, იქ, სასახლის გარეთ, მათი სიღარიბე არავის შეშურდებოდა, მას და მის შვილს უკანონოებს, ხარჭასა და ბუშს არ დაუძახებდნენ და მცირე ნაწყალობევითა და ნამუშაკევითაც სამივენი ბედნიერი იქნებოდნენ.

აქ გატყდა ლილეს ფიქრის სწორი მიმართულება. თვითონ კი იქნებოდა ლილე ბედნიერი, მაგრამ შეძლებდა მეფე ტახტისა და გვირგვინის დაგდებას, სასახლის დატოვებასა და უბრალო მდაბიოთაგანივით, ან თუნდაც მემამულესავით ცხოვრებას? ეყოფოდა დიდებისა და პატივისაგან განძარცულს, ფუფუნებასა და ნებივრობას შეჩვეულ მეფეს ერთადერთ სიმდიდრედ მისი სიყვარული?!

არა! ალბათ, არა!

და რომ ეკმარა კიდევაც ლაშას მარტოოდენ მისი ტრფობა, განა ცოდვა არ იქნებოდა, ჯერ კიდევ ჭაბუკი, ჯანღონით სავსე, სახელისა და უფლების უსაზღვროდ მოყვარული მეფე დიდების მწვერვალიდან ცხოვრების ფსკერზე, სიღარიბის ჭუჭყში რომ დამხობილიყო მისი სიყვარულის წინაშე? ღირდა მეფისათვის მისი ტრფობა ესოდენ დიდ ფასად? გადაწონიდა კი მეფური ცხოვრების აურაცხელ სიკეთეს მარტოდენ მისი სიყვარული? განა ჰქონდა იმის უფლება ლილეს, რომ არა მარტო მეფისათვის, არამედ უფლისწულისათვისაც დაეკარგვინებინა საქართველოს სამეფო ტახტი?

მამის ანდერძი და დედის ფიცი, ყველაფერი ერთად გაახსენდა წამით ლილეს და ღარიბი ცხოვრების ბედნიერებაზე ოცნებაც უმალვე გაქრა. არა, მას უფლება არ ჰქონდა, მისი უბედური მშობლების ძლივსხორცშესხმული ოცნების ასე უგუნურად დანგრევისა! დეე, მას ნუ ჰყოფენ დედოფლობის ღირსად, ოღონდ მის შვილს ნუ მისტაცებენ მეფობის უფლებას, ოღონდ ლაშამ და მისმა შვილმა იმეფონ ბედნიერად და თუნდაც უმისოდ.

მაგრამ აცოცხლებენ კი უკანონო უფლისწულს ლილესა და ლაშას მტრები? არაფერ ხიფათს შეამთხვევენ ხარჭასაგან გაჩენილ ბუშს, დედის თვალსა და ზრუნვას მოკლებულ დავითს, შურითა და ღვარძლით სავსე ბოროტი დიდებულები? რომ მოწამლონ? რომ მოკლან?

— ვაი!

წამოიკივლა ფიქრით შეშინებულმა ლილემ და ფეხზე წამოვარდა.

— რა იყო, ლილევ?

— არაფერი, ცუდი სიზმარი ვნახე... — იცრუა ლილემ. ლოგინიდან გადმოვიდა, ოქრომკედით ნაქარგ ფოსტლებში ფეხი წადგა და კარისკენ წავიდა. ლაშამ ლოგინიდან წამოიწია.

— სად მიხვალ? — გაოცებით ჰკითხა მეფემ.

— ბალღს მინდა დავხედო. ახლავ დავბრუნდები. დაიძინე, გენაცვალე... — ხმადაბლა უთხრა ლილემ და ოთახიდან გავიდა.

ლილე აღარ დაბრუნდა. მეფეს ლოდინით გული გადაელია. შეშფოთებული ადგა, ხალათი წამოისხა და ისიც უფლისწულის საწოლისკენ წავიდა.

ფეხაკრეფით, ფრთხილად შეაღო კარი ლაშამ და ზღრუბლთან გაქვავდა.

უფლისწულის ლოგინის გარშემო გამდელები ფუსფუსებდნენ, ძილგატეხილი ბავშვი ჩქარა და ხმამაღლა სუნთქავდა, ლოყები ნაკვერცხლებივით წითლად ჰქონდა ალეწილი და მიბნე-

დილ თვალებს უაზროდ ატრიალებდა.

სასთუმალთან ლილე უჯდა ბავშვს. ძიძას ხელთ წყლით სავსე თეფში ეპყრა, ლილე წყალში ტილოს ასველებდა და სიცხით გათარანებულ ბავშვს შუბლზე ადებდა.

ლილესა და ძიძას თვალებში შიში ჩასდგომოდათ, ბავშვს თავს დაჰკანკალებდნენ და ლოგინს არ შორდებოდნენ.

სიცხიანმა ყრმამ კართან მდგარ მამას წამით თვალი მიაშტერა, ბაგესთან, ის-იყო, ღიმილი გამოესახა, მაგრამ უცებ რაღაც გულზე მოაწვა და თავის აწევა ვერ მოასწრო, რომ პირიდან შადრევანი წასკდა.

— მიშველეთ! —შეკივლა ლილემ და ნარწყევს რომ არ დაეხრჩო, ბავშვს თავი მაღლა აუწია. ძიძა და გამდელები მაშინვე მიეშველნენ, ზოგმა ბავშვს დაუწყო ტუჩების წმენდა, ზოგი ლოგინს ასუფთავებდა.

ლოგინთან დახრილ ლაშას ვერაფერი მოეხერხებინა, გულისრევისაგან მისუსტებულ ბავშვს შეშინებული დასცქეროდა და მის გათეთრებულ თვალებში ეძებდა მანუგეშებელსა და გამამხნევებელს.

— დათუნა, შვილო დათუნა... — ბუტბუტებდა ლაშა და თითებით ნაზად ეხებოდა ბავშვის შავსა და რბილ ქოჩორს.

— მომიკლეს ბავშვი! ნამდვილად მომიკლეს, მომიწამლეს ულვთოებმა!— შესძახა ლილემ და ქვითინით დაემხო ლოგინზე.

## თავი მეოცე

### გათავებული სიჭაბუკე

ვაჰ, მკვდარო ვაჟკაცობაო,
ცოცხლად დამარხვავ თავისა!
ვაჟა-ფშაველა

ორი დღის შემდეგ გულისრევამ გაუარა უფლისწულს. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ბავშვი მოწამლული არ იყო, მაგრამ ავადმყოფობა ვერ გაარკვიეს და წამლებით ვერაფერი არგეს. მესამე დღეს სნეულს სიცხემ უმატა, თონესავით გახურდა ბავშვი, პირში ნერწყვი გაუშრა და თვალებმა გაელმება დაუწყო, ღამე კრუნჩხვა მოუვიდა და კინაღამ გათავდა.

ჯვარცმასთან დამხობილი, თმაგაშლილი ლილე მხურვალე ლოცვით ევედრებოდა მაცხოვარს შვილის გადარჩენას.

წამით თითქმის სულისმღაფავ ყრმას მოხედა, თვალები ისევ ცრემლით აევსო და ჯავრისაგან გამშრალ, თვალებგამოფიტულ ლაშას შეაცქერდა. თითქოს უცებ რაღაც გაახსენდა, ლაშას ხელი წაავლო, ჯვარცმასთან მიიყვანა და მუხლზე ძალით დააჩოქა.

— ილოცე, ლაშა! შეეხვეწე მაცხოვარს, არ გაგვწიროს... შენ უფრო გაგიგონებს მირონცხებულსა და დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალს... შეევედრე, ნუ დაღუპავს ჩვენს პირმშოს ჩვენი ცოდვებისათვის... ილოცე სულით წმიდით და გულით წრფელით.

ეჩურჩულებოდა ლილე და მუხლებზე დამხობილი, ცრემლით დალტობილი სახით შეჰყურებდა და შეჰღაღადებდა ღვთისმშობლის ხატს.

ხელაპყრობილი ლაშა განწირული ადამიანის ძრწოლითა და სასოწარკვეთით ევედრებოდა უბედურებისაგან ხსნის ერთადერთ იმედს. იგი ჰექა-ქუხილითა და წარღვნით თავზარდაცემულ ურწმუნოს ჰგავდა, რომელსაც გადარჩენის ყველა ნუგეშის წარწირვისას ერწმუნებინა ღმერთი და მთელი იმედი განგების გულმოწყალეობაზე დაემყარებინა.

გარედან ძელის ცემის ხმამ მოაღწია. რეკდენ ურიცხვი, დიდი და მცირე ძელები, ბოხი და წვრილი ხმები, გაბმითა და ერთიმეორის შენაცვლებით: ქალაქის ეკლესიებში ლიტანიობა იყო, ღმერთს მშობლების უსჯულოების მიტევებასა და უფლისწულის გადარჩენას ევედრებოდნენ.

ზარების შორეული ხმა სულში სალბუნად ეღვრებოდა ლაშას, ამაღლებდა და მიწიერ ღელვას ავიწყებდა, ღვთაების განცდასა და რელიგიურ გზნებაში გადაჰყავდა მეფე.

სარკმელთან მდგარმა მჭმუნვარე ბექამ თორელს გადულაპარაკა. მერე ორივე უფლისწულს დააცქერდა, რაღაც თვალებით ერთიმეორეს უთხრეს და ბექა ოთახიდან გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ჯაყელი უკანვე შემობრუნდა. საწოლში საკმელის სუნი შემოვიდა, ბექას კარის მოძღვარი მოჰყვა საცეცხლურის ქნევითა და აიაზმის სხურებით.

მოძღვარი საწოლთან მივიდა, ილოცა და უფლისწული აზიარა.

წესი რომ აღასრულა, დიაკონს ძვირფას ყდაში ჩასმული წიგნი ჩამოართვა.

— დავით წინასწარმეტყველის წიგნი მოვართვი, დედოფალს ებრძანებინა! — წაილუღლუღა და წიგნი მაგიდაზე დადვა. მერე იქაურობას ჯვარი გადასახა, კუთხეში ჩამოჯდა და ბუტბუტით განაგრძო ლოცვა.

ლაშას თვალი უნებურად წარსტაცა ძვირფასად შემკულმა წიგნის ყდამ: მუხლმოყრილი დავით წინასწარმეტყველი ქნარს უკრავდა და ამღერებდა. ურიათა მეფის უკან წაფერდებული მთა იყო ამართული. მთის წვერზე, ფარივით მოქნეულ ფრიალოზე, ქოჩორა ხე იდგა და ხის ტოტებში შეყუჟული სამოთხის ჩიტები მონასმენით გაოცებას გამოხატავდნენ.

ღრუბლებში ანგელოსები სმენად ქცეულიყვნენ და დავითის საგალობლით მოხიბლულთ ფრენა შეეჩერებინათ. ყველაფერი სულგანაბული იყო და სმენით მოჯადოებული, ხეზე შემომჯდარი ყელმოღერებული სამოთხის ჩიტები, თუ ნაპრალთან შეჩერებული ყურდაცქვეტილი ნიამორი, გადასახტომად ატოტებული ვეფხვი, თუ გუბეზე დახრილი ყვავილი, უსულო თუ სულიერი, მოძრაობით თუ გამოხედვით, მოსმენილით მიღებულ სიამოვნებასა და განცვიფრებას გამოხატავდა.

ყოველივე ეს ოსტატს ოქროში გამოეკვეთა და ძვირფასი ლითონი მუსიკის ამაღლებულ განცდაზე იშვიათი ხელოვნებით აემეტყველებინა.

ლაშამ დახედვისთანავე იცნო ბექა ოპიზარის ნახელავი და ხელი კვლავ უნებურად წასცდა.

წიგნი იმ გვერდზე გადაიშალა, სადაც აბრეშუმის ფართო ზონარი იყო ჩატანებული.

წიგნის კაბადონები შესანიშნავი მინიატურებით იყო შემკული.

ლაშას თვალი მთავრულმა დონმა მიიპყრო: ორი ფარშავანგი ოსტატურად გადაება ერთიმეორეზე მხატვარს. მათი მოღერებული ყელები ერთიმეორეში გაეყარა და ორი კლანჭი ერთიმეორეზე გადაეხლართა. ფრინველთა ყელები და გულმკერდი ცისფრად დაეხატა, ხოლო ფრთები და ფეხები აქაიქ წითელჩართული ყვითელი ფერით გამოეყვანა. ფარშავანგთა შავი ბოლოების ფონზე ყვითელი ხაზები გაევლო და ზედ ლურჯი რგოლები აესხა.

ერთხანს მოჯადოებულივით უყურა მეფემ გადამწერის, თუ მხატვრის საოცარ ნამუშევარს, მისმა მოთმინებამ და გულისმოდგინებამ იმდენადვე განაცვიფრა და აღაფრთოვანა, რამდენადაც გამომგონებლობამ, ფერთა შეგრძნობისა და შეხამების ოსტატობამ.

თვალი ამ საოცარ დონს გასცდა და ბწკარი ბწკარს მიჰყვა.

მეფე უხმოდ კითხულობდა:

„... და წარავლინა უფალმან ნათან წინასწარმეტყველი დავითის მიმართ და შევიდა მისსა და ჰრქვა მას: მომიგე მე, მეფეო, აწ სამართალი: ორნი კაც-

ნი იყვნეს ერთსა შინა ქალაქსა, ერთი მდიდარი და ერთი გლახაკი. და მდიდარისა სამწყსოი იყვნეს დარემაკები ხართა მრავალი ფრიად. და გლახაკისა იყო არარაი, არამედ გარნა ერთი კრავი მცირე, რომელი მოეგო, დასცვიდა და გამოზრდიდა მას და აღორძინდა მასთანა, და ძეთა მისთა თანა ერთად, პურისაგან მისისა სჭამდა და სასუმელისაგან მისისა სუემდა და წიაღსა შინა მისსა განისვენებდა, და იყო მისსა ვითარცა ასული. — ლაშამ წამით თავი აიღო წიგნიდან, თვალწინ თმა-წვერგაბუძგული ფხოველი დაუდგა. აი თურმე საიდან მოუყვანია იგავი მთიელთაგან სინდისსა და სამართალზე მის მოსაქცევად წარმოგზავნილ ფხოველს.

— ხმამაღლა იკითხე, მეფევ. მეც გამაგონე!—შესთხოვა ლილემ. მეფემ წაკითხული ხელახლა, ხმამაღლა გადაიკითხა.

ლილე ავადმყოფს თვალს არ აშორებდა და სულგანაბული უსმენდა.

— და მოვიდა ვინმე გზით კაცისა მიმართ მდიდრისა და არა ინება მოყვანებად სამწყსოსაგან თვისისა და ხართა რემათაგან თვისთა, ქმნად სადილისა მგზავრისა მისდა მიმართ მისრულისა, არამედ მოიყვანა კრავი გლახაკისა მის და უქნა სადილი კაცსა მისრულსა მისდა მიმართ. და განარისხნა რისხვითა ფრიად დავით კაცსა მას ზედა, და ჰრქუა დავით ნათანს: ცხოველ უფალი, რამეთუ ძე სიკვდილისა არს კაცი მყოფელი ამისი. და კრავი მიუბრუნოს შვიდ წილად ამისწილ, რამეთუ ყო საქმე ესე, და მისწილ რამეთუ არა რიდა. და ჰრქვა ნათან დავითს: შენ ხარ კაცი, რომელმან ჰყავ ესე, აწ ამას იტყვის უფალი ღმერთი ისრაელისა: მე ვარ, რომელმან გცხე შენ მეფედ ისრაელსა ზედა, და მე ვარ მხსნელი შენი ხელთაგან საულისათა. და მოგეც შენ სახლი უფლისა შენისა, და ცოლნი უფლისა შენისანი წიაღსა შენსა, და მოგეც შენ სახლი ისრაელისა და იუდასი, და უკეთუ მცირე შენდა არს ესე შეგძინო შენ მათთანა. და რაი არს, რამეთუ ეცრუე სიტყვასა უფლისასა, რომელ ქმენ ბოროტი წინაშე თვალთა მისთა. მოჰკალ ჰურია ქეტელი მახვილითა, და ცოლი მისი მიიყვანე თავისა შენისა ცოლად...

ლაშამ წამით კითხვა შესწყვიტა. მიწისძვრისაგან დაზიანებული დავით აღმაშენებლის პალატები, ლუხუმის ომში გაგზავნა და გურკელისათვის საიდუმლო დავალების მიცემა გაახსენდა. როგორ უიღბლოდ ჩაიარა იმ ომმა! გურკელი რომ შემთხვევით არ დაღუპულიყო და ლუხუმი მოეკლათ, ხომ ყოველივე სხვაგვარად დატრიალდებოდა, გაიფიქრა მეფემ და მაშინვე მიხვდა, ვცოდავო. პირჯვარი გამოისახა და სულთმობრძავი ყრმისკენ გაიხედა.

ფერწასულ, თითქმის სიცოცხლის ნიშანწყალდაკარგულ უფლისწულს მიაჩერდა ლაშა და თვითონვე გაუკვირდა, თუ როგორ შეძლო ასეთ ძნელ წუთებში წიგნის კითხვა.

ერთი კი მძიმედ ამოიოხრა მეფემ და თვალი ისევ წიგნისკენ გაექცა.

— და იგი მოკალ მახვილითა ძეთა ამონისათა, — განაგრძობდა კითხვას ლაშა, — და აწ არა მიიქცეს მახვილი სახლისაგან შენისა უკუნისამდე, ვინათგან შეურაცხმყავ მე, და მოიყვანე ცოლი ჰურია ქეტელისა ცოლად თავისა შენისა. ამას იტყვის უფალი: აჰა, მე აღვადგინო შენ ზედა ბოროტი სახლისაგან შენისა, და მიგიღო ცოლნი შენნი წინაშე თვალთაგან შენთა, და მივსცე მოყვასსა შენსა, და დაწვეს იგი ცოლთა შენთა თანა წინაშე მზისა. რამეთუ შენ ქმენ ფარულად, ხოლო მე ვყო საქმე ესე წინაშე ყოველთა ისრაელთა, და წინაშე მზესა ამას. და ჰრქუა დავით ნათანს: ვცოდე უფლისა მიმართ: და ჰრქუა ნათან დავითს: და უფალმან აღილო ცოდვა შენი შენგან, არა მოჰკუდე. გარნა რამეთუ აღმოხვით აღმოხვენ მტერნი უფლისანი სიტყვითა ამით, და ძე შენი რომელი იშვას შენდა სიკვდილით მოკვდეს.

ლაშას ტანში გააჟრჟოლა, თმები აებუძგა, ერთი კიდევ ამოიოხრა და

თვალი ისევ ლამაზად ნაწერ სტრიქონებს გააყოლა:

— და წარვიდა ნათან სახლსა თვისსა და შემუსრა უფალმან შვილი, რომელი უშვა ცოლმან ურიისაგან დავითს...

— ნუ იყოფინ, უფალო! — შეჰკივლა ლილემ და ხატის წინ დაემხო აქვითინებული.

ლაშას თვალთაგან ცრემლები მოსწყდა, წიგნი დახურა და სულთმობრძავ შვილს მიაჩერდა.

— ნუთუ შემუსრავს ყრმასაცა ჩემსა ცოდვათა ჩემთათვის უფალი... ღმერთო, ნუ იყოფინ... ღმერთო, ნუ იყოფინ... — ბუტბუტებდა თავისთვის ლაშა და თვალს ავადმყოფს არ აცილებდა.

— ღმერთო ძლიერო, ლაშარის წმინდა გიორგი! — ჩაესმა ლაშას ლილეს ხმამაღალი ვედრება და წამსვე პირი მისკენ იბრუნა.

— შენ გევედრები მთიელთა მფარველო და მტერ-მოყვარეთაგან დამცველო, — განაგრძობდა ლილე, — გმირო და უძლეველო მხედარო, ლაშქრის წინამძღოლო, შენ გევედრებით შენი ყმები, მოხედე შვილსა ჩვენსა, განკურნე სენისაგან და ულხინე სატკივრისაგან. შენი წამლისა და შველის სახსრად ფეხშიშველი მივალ ხმელგორს, თაყვანს ვცემ შენს ხატს და ას ზროხასა და ათას ცხვარს შევსწირავ... ოღონდ გადამირჩინე ჩემი დავითი.

ლილემ პირჯვარი სამგზის გადაიწერა, მერე წელზე სარტყელი მოიხსნა, ყელზე საბელივით მოიდვა და ლაშასაც მოსდვა. მეფე დაუფიქრებლად მიჰყვებოდა ლილეს ნებას. შვიდგზის ჩოქვითა და ლაშარის ვედრებით შემოუარეს სნეულის საწოლს ორივემ.

დასაკლავი ცხვარივით მორჩილად მიჰყვებოდა საღვთო რიტუალის შესრულებით გატაცებულსა და აღგზნებულ ცოლს მეფე. იგი საცოდავი იყო თავის მორჩილებასა და ურწმუნო კაცის, ნაძალადევ ღვთისმოსავობაში. ჩოქვით შემოვლას რომ მორჩნენ, ლაშამ საბელი მოიხსნა, ფეხზე წამოდგა და უზომოდ დაღლილი ლოგინზე მიესვენა.

ლილემ ახლა ჯვარცმის წინაშე ჩაიკეცა. დიდხანს ილოცა, ბოლოს გაბრუებული და ქანცგაწყვეტილი წამოდგა.

მკურნალი გულის ძილში იყო და არხეინად ფშვინავდა. ლაშას გაშლილ წიგნზე ჩასძინებოდა. მოძღვარი, თორელი და ციხისჯვარელი პალატში აღარ იყვნენ.

უფლისწულის ფერხთით ძიძა ყვინთავდა, ძილს ებრძოდა და ველარ ერეოდა.

ზედიზედ სამი ღამის უძილობით ლილეს თავი უხურდა, საფეთქლებთან სისხლი ისე აწყდებოდა, თითქოს უროს სცემდნენ. თვალთ უბნელდებოდა და ფეხები აღარ ემორჩილებოდა.

უფლისწულის საწოლთან ფარდაგზე ჩაიკეცა ლილე, თავი ლოგინის ბოლოზე დადვა და უცებ ბანგმიცემულივით დაეძინა.

ძილში სახიერი მოხუცი გამოეცხადა, მაღალმა შაოსანმა ბერმა კარი შემოაღო, თავს დაადგა და ტკბილად უთხრა:

— არა ჟამი არს ძილისა, შეუდექ გზასა ჩემსა და მე აღვადგინო ძე შენი და ავაღორძინო სახლი შენი...

ლილემ სიზმარში თავი ასწია და შაოსან ბერს გაოცებით შეხედა...

— შეუდექ გზასა ჩემსა და მე გიხსნა ცოდვათაგან შენთა.

გაუმეორა შაოსანმა მოხუცმა და ხელნაჭერი ვეცხლის მცირე ჯვარცმა მაღლა აღმართა.

— მიხსენ, მამაო! — ჩაუვარდა ფეხქვეშ ლილე, — მიხსენი განსაცდელისაგან, შეჰვედრე უფალს შვილი ჩემი, კრავი უმანკო და მორჩი ახალი, არა გარდმოავლინოს რისხვა სამეფოსა და სახლსა ზედა, არა წარწყმიდოს ძე ჩემი ტახტის მემკვიდრე!

— შეუდექ გზასა ჩემსა და მე თავს მდებ გექმნე ქრისტეს მიმართ, რათა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდვნეს ააღორძინოს ნერგი შენი და აცხონოს ძე შენი და მისცეს მას და შვილთა მისთა პყრობად ტახტი სამეფოი უკუნითი უკუნისამდე. — მიხსენ, მამაო, მფარველმექმენ უფლისა ღმრ-

თისა წინაშე. რამეთუ უსჯულოებათა ჩემთათვის მსაჯნეს მე და სალბუნ ეყოს ძესა ჩემსა უბრალოსა. ნუ გარემიიქცევს პირსა უფალი ჩემგან...

— ნუ გეშინინ, შვილო! მიგიტევნენ შენ ცოდვანი შენნი! —

— ვითარ, მამაო, ვითარ შემინდობს უფალი ცოდვათა ჩემთა მძიმეთა, წინაშე ქმრისა გვირგვინისასა და ჯვარისა დაწერილისა და ბეჭდისა დაბეჭდულისა?

— ნუ გეშინინ, ასულო! სარწმუნოებანმან შენმან გაცხოვნოს შენ და ძე შენი. ვითარ ჰგონებ შენ? კაცსა თუ ვისმეს ედგას ასი ცხოვარი, და შესცთეს ერთი მათგანი, არამე დაუტევნესა ოთხმეოცდაცხრამეტნი იგი მთათა ზედა, და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი? და რა ჟამს ჰპოვოს იგი, ამინ გეტყვი შენ, უფროს უხაროდეს მის ზედა, ვიდრე ოთხმეოცდაათცხრამეტთა მათ, რომელნი არა შეცთომილ იყვნეს. შვილო! იქმენ მორჩილი სიტყვათა ჩემთა, შეუდექ გზასა ჩემსა და აღვადგინო ყრმა შენი ცხონებითა...

— ვითარ დავუტევო სნეული განსაცდელსა მას? — ამოიდგა ენა შიშისაგან აცახცახებულმა ლილემ.

— არა ღამესა ამას დაუტევო, არამედ ილოცვიდე და იმარხვიდე დღესა ყოველსა და მე მოვალ მსგეფსსა ერთსა წაყვანებად შენსა, ოდეს აღდგომილ იყოს ძე შენი ცხედრისაგან მისსა.

— წმინდაო, მამაო, ხელთა შენთა ვარ, უმჯობესი შვილისა ჩემისა და სულისა ჩემისა იზრუნე!

მოხუცმა ლილეს ჯვარი გადასახა და ლოცვით სნეული უფლისწულისკენ წავიდა ლოცვით.

— ვინა ხარ, მამაო? მარქვი სახელი შენი, რამეთუ საცნაურ იყოს დღესა მოსვლისა შენისა.

— არა სახელსა ეძიებდე ჩემსასა. არამედ ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა... აღსდექ და იხილე ძე შენი განკურნებად მოსულ! აღსდექ და იხილე ძე შენი ღვთივ განკურნებულ, ხოლო დღესა მეშვიდესა აღსდგეს იგი ცხედრისაგან და მე მოვიდე წაყვანებად შენსა მხევლად ქრისტეს მიმართ, — წმინდანმა სამგზის ჯვარი დასწერა ლილეს.

— აღსდექ და იხილე ძე შენი განკურნებად მოსულ, აღსდექ და იხილე ცოდვანი შენი შენდობილ!

ლილეს გაეღვიძა, მიმოიხედა: შაოსანი მოხუცი აღარსად იყო.

— აღსდექ და იხილე ძე შენი ღვთივ განკურნებად მოსულ! აღსდექ და იხილე ცოდვანი შენნი შენდობილ! — ესმოდა ისევ სიზმრიდან ჯერ კიდევ კარგად გამოურკვეველ ლილეს. ფეხზე წამოდგა და უფლისწულს დახედა: მშვიდად ეძინა აქამდე განუწყვეტლად მშფოთვარე სნეულს, შუბლზე ოფლის ცვარი დაჰყროდა და მანამდე სანთელივით გაფითრებულ ლოყებს ვარდისფერი შეჰპარვოდა.

— ღმერთო, დიდებულო! ღმერთო, დიდებულო, ღმერთო, დიდებულო! — იმეორებდა ლილე ბუტბუტით და უფლისწულს დაჰყურებდა იმედით და სიხარულით გაბრწყინებული თვალებით.

ექიმს უკვე ეღვიძა, უფლისწულის სასთუმალთან იჯდა და ხელთ ავადმყოფის მაჯა ეპყრა.

— გადარჩა! განსაცდელმა განვლო! — ახარა მკურნალმა, — წამალმა გასჭრა და ულხინა უფლისწულს, — ამაყად თქვა ექიმმა და ავადმყოფის მაჯას ხელი უშვა.

ლილე სხვაგვარად ფიქრობდა და სხვა ძალისა სჯეროდა.

— ღმერთო, დიდებულო! ღმერთო, დიდებულო! ღმერთო, დიდებულო! დიდ არს ძალი შენი, რამეთუ შემინდე მე ცოდვილსა ბრალნი ჩემნი. და ვმსახურებდე დღეიდან სიკვდილამდის გულითა წრფელითა და სარწმუნოებითა ურყევით, აღარა გულმითქვამდეს ცხოვრებასა წარმავალსა და ვეგო მხევლად შენდა უკუნითი უკუნისამდე.

ჩურჩულებდა ჯვარცმის წინაშე დამხობილი ლილე.

ბიბლიოთეკა

*

* *

დილით ისევ შემოვიდნენ უფლისწულის ამბის გასაგებად. მეფეს ისევ ეძინა გაუხდელად და თორელმა შენიშნა პირველმა: მეფის შავი თმა თითქოს ვილაცას შეეცვალა, ლაშა წისქვილში ღამენათევივით ერთიანად გათეთრებულიყო.

მეფემ თვალი გაახილა და ზე წამოიწია.

თორელმა ვეღარც მეფის გამოხედვა იცნო: უპეები ნაგვემივით ჩაშავებოდა, ჩაცვენილი თვალების მიმქრალ ცეცხლს ცხოვრებისაგან დაღლილობის ფერფლი წაჰყროდა და ჯანღონით სავსე ოცდახუთი წლის ვაჟკაცი ბერიკაცივით წელში მოხრილიყო.

თორელი მეფის დანახვამ შესძრა. იგი მიხვდა: მეფის ახალგაზრდობა იმ ღამეს გათავებულიყო.

*

* *

მეფის სასახლიდან გაბრუნებული, გაზრდილისაგან გაწბილებული ფხოველი ქვეყნისა და მეფისათვის უკეთესის ფიქრსა და რჩევაში ნელა მიჰყვებოდა არაგვის ხეობას.

აქეთობას მომავალი ჩალხია დაიმედებული იყო, რომ მეფეს შეაგონებდა, სიძვის დიაცზე ხელს აღებინებდა და ლაშარის ხატის მომჩივარ გვირგვინის ქმარს თავის ცოლს უკანვე მიჰგვრიდა.

მეფესთან საუბარმა და უფრო მეტად ლილეს მშვენების განცდამ ფხოველი დაარწმუნა, რომ მიჯნურობისაგან გაგიჟებული ლაშა ცოცხალი თავით სატრფოს არ დათმობდა, მეფის უარი მთიელებს ფეხზე დააყენებდა და მთის ახალი ამბოხება იფეთქებდა.

ამიტომ ეძნელებოდა ფხოველს ლაშარის ხატში დაბრუნება, ფეხს ითრევდა და გზას იგრძელებდა, რომ გამოსავალი მოეძებნა.

ამ ფიქრში მიმავალს გზად ჩარდახიანი ურემი წამოეწია, ურემს ორი ცხენოსანი მოჰყვებოდა და უკან ფეხშიშველა, თმაგაშლილი შეთქმული მოსდევდა.

სალამს კითხვა-პასუხი მოჰყვა.

ხვედურელ აზნაურს შიშზე ენაჩავარდნილი შვილი ხევის მონასტერში მიჰყავდა სასწაულთმოქმედებით საქვეყნოდ განთქმულ წმიდა საბასთან განსაკურნავად.

საბას სახელის გაგონებაზე ფხოველის გონება იმედის სხივმა გაანათა. ამ წმინდა მოღვაწის სახელი და გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ მეფეები და ვაზირებიც კი ხშირად აკითხავდნენ ლოცვა-კურთხევისათვის და გართულებული სახელმწიფო საქმეების გადასაწყვეტად მის აზრს იშველიებდნენ ხოლმე.

რაც მე სამეფოს კარზე წარმართად და მეკერპედ აღიარებულმა მოხუცმა ვერ შევძელ, იქნებ მან, ქრისტეს სჯულის მმოსავმა, სასწაულთმოქმედებით ცნობილმა ბერმა შესძლოსო, გაიფიქრა ფხოველმა და ხავსმოკიდებული წყალწაღებულივით მთელი იმედი მარტომყოფის ამაღლებულ გონებასა და გავლენაზე დაამყარა.

საბა მარტომყოფი ჩალხიასთან ერთად კონსტანტინოპოლში სწავლობდა, მაშინ ფხოველის ახლო ამხანაგი იყო და ყველაზე მძიმე განსაცდელის ჟამსაც კი მისთვის ზურგი არ შეუქცევია და მასთან შორიდან მეგობრობას განაგრძობდა.

დროდადრო ერთმანეთს იხსენებდნენ ცხვირის ტყაპუჭში გახვეული, თავისუფლად მოაზროვნე მთიელი და ბერის ძაძით შემოსილი საუკუნო ცხოვრებისათვის მოღვაწე მარტომყოფი.

ფხოველმა გადაწყვიტა საბას ნახვა, მისი მეფესთან მიგზავნა და ეკლესიისა და მღვიმელის პირადი გავლენით ლაშაზე ზედმოქმედება.

— მეც თქვენი გზა მაქვს, საბა მარტომყოფთან მივდივარო. — უთხრა მონასტრისაკენ მიმავალთ, დაღლილი ურმის კოფოზე დაჯდა და ხვედურელი აზნაურის სახლობას გაჰყვა.

საბამ ფრიად გაიხარა ფხოველის ნახვით.

ტაბლა რომ მოიღეს და ისერეს, სულის სასარგებლო საუბარი გააბეს, ძველი მოიგონეს და ახალი თქვეს. ბოლოს ჩალხიამ თავისი მოსვლის მიზეზი გაუმხილა და სჯულისა და ზნეობის სიმტკიცისათვის მებრძოლ საბას მეფის საქმეში ჩარევა სთხოვა.

მარტომყოფს ფრიად ეძნელა ურწმუნო და თავნება მეფის წინააღდგომა, საკუთარ ძალასა და რწმენის სიმტკიცეში დაჯერებულ მოძღვარს ეეჭვებოდა, რომ მისი სიტყვა და შეგონება კეთილად იმოქმედებდა ბოროტებისა და უსჯულოებისკენ მიდრეკილ ხელმწიფეზე.

ფხოველმა გრიგოლ ხანძთელისაგან აშოტ კუროპალატის ძლევა მოაგონა და წმინდა ბერის გონება ერისა და ტახტის საშველად აღძრა.

მეორე დღეს ჩალხიამ თავისი გუდანაბადი აიკრიფა, საბას ამბორისყოფით გამოემშვიდობა და თვალცრემლიანმა უთხრა:

— ალბათ, უკანასკნელად გხედავ, ნეტარო მამავ.

— მაგის ბრძანებას რათ ინებებ, მოძღვარო, კვლავ გვესტუმრე და ღირსგვყავ შენი ხილვისა და საუბრის.

— ფხოველებთან ხელმწიფისაგან ცუდი ამბით ვბრუნდები, საბა. მთიელები თავის ნათქვამს აღასრულებენ, მეფის წინააღმდეგ აღსდგებიან და მეც ჩემ ხალხთან ყოფნა და სიკვდილი მიწერია.

საბა დაფიქრდა და შუბლი შეიკრა.

— ესწრაფე, საბა, მეფის ნახვას, ვინძლო შენმა სიწმინდემ და ძალამ გასჭრას, ხალხისა და სამეფოს ბედი შენს იმედზე-ღა არი!

ერთხელ კიდევ შეეხვეწა ჩალხია. საბას დამჭკნარი ფაფუკი ხელი დაკოჟრებულ, გაძვალტყავებულ ხელში დიდხანს დაიჭირა, მერე უცებ შემოტრიალდა და კომბალშემართული გზას გაუდგა.

## თავი მეოცდაერთე

## დევის ხვრელი

ფხოველები ძველებურად სიღარიბესა და გაჭირვებაში ცხოვრობდნენ, ძველებურად ათასგვარ ბეგარას იხდიდნენ და თვალი ისევ ურჩობისა და ამბოხებისაკენ ეჭირათ.

ლაშარის ხატში მეფის მისვლას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მეფის დაპირება დაპირებად დარჩა, მთიელებს არც ბეგარა შეუმცირეს, არც სახნავსათესი მისცეს. ეს იყო, რომ ცოტა ხანს წარმართობის დევნა შეასუსტეს და ქრისტიანობაზე მთიელთა ძალით მოქცევისაგან დროებით ხელი აიღეს.

ფხოვში მეფის მოსვლა, რაზედაც მთელი მთიანეთი ამოდენა იმედს ამყარებდა, ლაშასათვის თურმე უბრალო გასეირნება და გართობა იყო. ლაშამ წარმართობის გამოსარჩლებასაც ისევე მალე ანება თავი, როგორც მთიელებისთვის მიცემული მრავალი აღთქმა დაივიწყა. მთაში ქრისტიანობამ კვლავ ძალა მოიკრიფა, მეფის წაყრუებით ისარგებლა და კვლავ შეტევაზე გადავიდა.

მთა ისევ დრტვინავდა და შფოთავდა, მცირე ნაპერწკალი-ღა უნდოდა, რომ კვლავ ხანძარს ეფეთქა. ეს ნაპერწკალი მალე გაჩნდა — იგი მეფისგან ლაშარის ყმის ლუხუმ მეგრიაულის გაუბედურება იყო.

როცა მეფესთან ხალხის მოციქულად მიდიოდა, ფხოველების მეთაურ ჩალხიას კიდევ ჰქონდა აჯანყების შეჩერების იმედი. ჩალხია იმასაც ფიქრობდა,

მეფეს მთიელთა უკიდურეს გაჭირვებას დავუხატავ და გადასახადის ტვირთს ცოტა მაინც შეგვიმსუბუქებსო. ფხოველთა მთავარ მოთხოვნაზე რომ ცივი უარი მიიღო, გალატაკებული მთიელებისათვის შეღავათზე ჩალხიას სიტყვაც აღარ ჩამოუგდია.

ფხოველი სატახტოდან ხელცარიელი დაბრუნდა. მთა აჯანყდა და, სწორედ, იმ დროს ბარიდან უკანდახეულ მიგრიაულის მეამბოხეებს შეუერთდა.

მეფის ჯარებისა და ერისთავებისაგან ბარში შევიწროვებულმა მიგრიაულმა ბანაკი მიუვალ მთებში დაიდვა.

ბანაკს წინიდან მიუდგომელი კლდეები იფარავდა, უკან ზურგში აჯანყებული მთა ედგა. მეკობრეები პირველყოფილი ადამიანების ნაბინავარებში ცხოვრობდნენ — გამოქვაბულებსა და ხვრელებში.

სათვალთვალოები შორს ჰქონდათ გაწეული და მთისკენ მომავალ გზებზე ციხე-კოშკებში თავიანთი კაცები ჰყავდათ. მტრის გამოჩენისას იმ კოშკების თავზე ცეცხლი ენთებოდა, მაღალ კლდეებზე მდგარ გუშაგებს მოსალოდნელი საფრთხისაგან აფრთხილებდა და ბანაკი დროზე ღებულობდა საჭირო ზომებს.

*

* *

ზაფხულის წყნარი ღამე იყო. აქაიქ ჩანავლებული ცეცხლი ოდნავღა ბჟუტავდა. ნაბდებქვეშ გაწოლილი მეკობრეები ხვლიკებივით გაჰკვროდნენ ხავსითა და სუროთი დაფარულ კლდეებს.

სადღაც ფანდურის ღუღუნი მისწყდა, ვიღაცამ ხმამაღლა დაამთქნარა და ქარაფებში სიჩუმე გამეფდა. ბანაკს ეძინა.

დევის ხვრელში კვარი ენთო. დათვის ტყავზე პირქვე დამხობილი მიგრიაული გაშლილ წიგნს ერთადერთი თვალით ჩაჰყურებდა, ტაბიკივით მსხვილსა და მოუხეშავ თითს წვრილ ნაწერს აყოლებდა და ასო-ასო, ამოთვლით კითხულობდა.

რაც მიგრიაულის ბანაკს ფხოველები შემოუერთდნენ, ჩალხია ლუხუმის უპირველესი მრჩეველი გახდა, უმისოდ ნაბიჯს არ დგამდა და მხოლოდ მისი დასტურით მოქმედებდა. ფხოველმა წერა-კითხვის სწავლა ურჩია მეამბოხეთა მეთაურს და მიგრიაული ბეჯითი ბავშვის მონდომებით დაეწაფა ჩალხიას გაკვეთილებს — დღისით არ ეცალა და წიგნზე ღამეებს ათენებდა, ირმის ტყავზე უშველებელ ხელს დააზოზინებდა და სასაცილო ბატიფეხური გამოჰყავდა.

მასწავლებელი მუყაითობას უქებდა და როგორც კითხვას ან ნაწერს მოუწონებდა, მოწაფეს თვალი სიხარულისაგან ბალღივით ბრწყინდებოდა, სწავლის სურვილი უორკეცდებოდა და ღამის ტეხვისაგან გაბრუებული, ფხოველის წიგნებს ისე უყურებდა, თითქოს მათ შთანთქმას ჩქარობსო.

— შენი ქალი არაღ მინდა, გაათხოვე გამარიდე;
ინდოეთი ჩემი არის, არვის მივცე, ჩემგან კიდე.

მარცვალ-მარცვალ, ბურტყუნით კითხულობდა ლუხუმი. უცებ გუშაგების ყივილი მისწვდა. თავი აიღო და მიაყურადა. ძახილი მისწყდა.

ბანაკი სდუმდა.

ლუხუმმა კითხვა განაგრძო:

ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა აღშოფხვრიდე;
სხვად მეშველსა გარეგანსა, მომკალ ვისცა ვინატრიდე!

ისევ ხმაურმა აალებინა წიგნისაგან თავი მიგრიაულს. ცხენების ფრუტუნსა და ფეხისხმას ჩოჩქოლი მოჰყვა.

მიგრიაული წამოიწია.

დევის ხვრელში ქარუმა შემოვიდა, ნამძინარევი თვალები უცნაურად უციმოდა. ლუხუმთან მივიდა, დაიხარა და ღიმილით უთხრა:

— სამახარობლო მეკუთვნის, ლუხუმ!

— რა ამბავია?

— ხოსიტას რაზმი დაბრუნდა...

— მერე?

— ისეთი ნანადირევით დაბრუნდა, რომ...

— ბატონს, ან ხუცესს შეიპყრობდა!..

— ვერ გამოიცან! დედოფალი მოიყვანა!...

— ვინ დედოფალი?!—წამოხტა ლუხუმი და ქვედა ყბა მღელვარებისაგან აუკანკალდა.

— დედოფალი უნდა იყოს, შენი...— ნაცოლარიო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ეს სიტყვა შეურაცხმყოფელად ეჩვენა და უბრალოდ უთხრა — შენი ლილე.

ლუხუმი ჯერ გაფითრდა, მერე სახეზე მიწისფერი დაედო და ბოლოს ერთიანად წამოწითლდა.

ქარუმა „დედოფლის“ შემოსაყვანად გავიდა.

ლუხუმი ლილესთან შეხვედრას არ ელოდა უცებ დაიბნა.

ტყეში რომ გავარდა და მეკობრეებს შეუერთდა, იმ დღიდან, იმისთვისაც იბრძოდა, რომ თავისი კანონიერი ცოლი გარყვნილი და დაუნდობელი მეფისათვის უკანვე წაერთმია, მაგრამ ის კი არასოდეს უფიქრნია, თუ როგორ შეხვდებოდა თავის ნაცოლარსა და მეფის ნახარჭალს.

ახლა, როცა გულმა ასე დაუწყო ბაგაბუგი, საფეთქლებში ცეცხლი მოაწვა და თავგზადაბნეულმა ადგილი ველარ მონახა. ლუხუმი მიხვდა, რომ ლილე ისევ ძველებურად ჰყვარებია.

ქარუმამ ანთებული ჟინჟღილით შემოაბიჯა დევის ხვრელში და უკან ქალების გუნდი მოჰყვა. აუხსნელი შიშისაგან აცახცახებულმა მიგრიაულმა სალი თვალი გააპარა კარისკენ და უცებ ცივი წყალი გადაესხა: მისკენ მეფის დაი, რუსუდანი მოდიოდა, უკან ქართლის ერისთავის ასული ნათია და რამდენიმე შიმუნვარი მოჰყვებოდა.

*

* *

ბანაკი აშლილიყო, მეკობრეებს მიმქრალი ცეცხლი გაეღვივებინათ და ჯგუფ-ჯგუფად გარს მისხდომოდნენ.

— ვაი, რა ქალებია! — ნერწყვის ყლაპვით იძახდა ნადირა და გულში მჯიღს იცემდა.

— ძალიან ქალი ყოფილა ლუხუმის ცოლი! — თავის ქნევით თქვა არჩილამ და ცეცხლში გადააპურჭყა.

— სწორედ რომ მეფის ღირსი ყოფილა! — კვერი დაუკრა გოგიამ და უცებვე დაუმატა, — მეფისა და კაი ვაჟკაცის ღირსი ყოფილა!..

— ნეტა ლუხუმი რას იზამს, ჰა? — იკითხა ხოსიტამ.

— როგორ? — ცქვიტეს ყური დანარჩენებმა.

— როგორ და ცოლი ხომ დაიბრუნა!

— დაიბრუნა, მერე?...

— თავისი საწადელი აისრულა და ალბათ, ჩვენ თავს დაგვიკრავს...

— ეგ როგორ? — შეშფოთდნენ დანარჩენები.

დევის ხვრელიდან ქარუმა გამოვიდა, გვერდით ქართლის ერისთავის ატირებული ასული მოჰყვებოდა, უკან რუსუდანის შიმუნვარები მოდიოდნენ.

— ძმებო, ხოსიტას ნანადირევი დედოფალი არ ყოფილა! — დაიძახა ქარუმამ და ცეცხლთან მსხდომნი გაოცებამ წამოშალა.

— რას ამბობ?

— მა, ვინა ყოფილა? — აყაყანდნენ ყაჩაღები.

— მეფის და, რუსუდანი ყოფილა.

— რუსუდანი?

— მეფის დაი? — გაიკვირვეს მეკობრეებმა.

— მეფის და, დედოფლისაგან როგორ ვერ გაარჩიე?

— რუსუდანი როგორ ვერ იცანი? — დააცხრნენ ხოსიტას.

— მაიცა... მაიცა... მე ადრე არც დედოფალი მინახავს და არც მეფის და, აბა, საიდან ვიცნობდი! — იმართლა თავი ხოსიტამ, — რატომ თქვენ ველარ იცანით?

— არც ჩვენ გვინახავს არც ერთი!

— მა, მე რაღას მემართლებით?! — გადიხარხარა ხოსიტამ და ყველანი

ერთად ახარხარდნენ, ერთიმეორეს მიაწყდნენ და სიცილით გული იჯერეს.

— მეფის ცოლი თუ არა, მეფის და ხომ არი! ეგეც მეფის სისხლია და ლუხუმზე ალალია! — დაიბუხუნა გოგიამ.

— ალალია, მაშა!

— ზიარებასავით შეერგება!

დაამოწმა ყველამ.

— ჰოდა, მეფის და თუ ლუხუმზეა ალალი, არც ჩვენ დაგვწვავს პირს მისი მეგობრები და მოახლეები, ეს მე — თავისკენ მიიწია ერისთავის ქალი ქარუმამ, — ეს მე და ესენი თქვენ! — დანარჩენ ქალებზე მიუთითა და მეკობრეები მეფის დის შიმუნვარებს შემოეხვივნენ.

— ავახშმეთ და პატივი ეცით. კაცის უნახავი არც მაგათი ქალბატონია და არც ეგენი იქნებიან! — ჩაიქირქილა ქარუმამ, რუსუდანის მხლებელ ქალებს დამცინავი ღიმილით თავი დაუკრა, ნათიას ხელი მოჰხვია და თავის კარვისკენ წაიყვანა.

კარვისკენ მიმავალ ქარუმას ჩალხია შემოეფეთა. გამოუძინებელ მოხუცს თვალები დაწითლებოდა და თმა-წვერი გაჩეჩოდა. ფხოველისთვის იმ წუთს ეთქვათ რუსუდანისა და ერისთავის ქალის დატყვევების ამბავი. ბერიკაცი მაშინვე ბუნაგიდან წამოვარდნილიყო და ახლა ლუხუმისკენ მირბოდა, რომ მეკობრეთა წინდაუხედავ მოქმედებას რამე უბედურება არ მოჰყოლოდა.

რუსუდანის შეპყრობამ ათასგვარი ფიქრი აღუძრა ჩალხიას. მეფის დაი ისეთი მარგალიტი იყო, რომლის ფასადაც ხელისუფლება თითქმის ყველაფერს გაიღებდა, ხოლო ათაბაგი თავსაც დადებდა და საკუთარ სიცოცხლეს არ დაზოგავდა.

თავდაპირველად ის გაიფიქრა, მხარგრძელთან კავშირი დაემყარებინა, გაყაჩაღებულ გლეხებს დიდებულების თანხმობით მეფედ რუსუდანი გამოეცხადებინათ და გლეხთა რისხვისათვის ახალი მიმართულება მიეცა. ეს ნაბიჯი მეამბოხეებს ბევრ გავლენიან მომხრეს უშოვიდა. მხარგრძელი მაშინვე მათ მხარეზე დადგებოდა და ბევრ ხელისუფალთან ერთად მხედრობასაც რუსუდანისკენ გადაიბირებდა. ფხოველმა იცოდა, რომ მხარგრძელის ოცნება, სწორედ, რუსუდანის ტახტზე აყვანა იყო, ათაბაგი თავათ ჩაუდგებოდა მეკობრეების მიერ დაწყებულ ბრძოლას სათავეში და ლაშას დასამხობად აშკარად გამოვიდოდა. ფხოველის ამ განზრახვას იქნებ არც ისე ძნელად შესხმოდა ხორცი, მაგრამ ტახტისათვის ბრძოლის დაწყება ქვეყანას ორად გაჰყოფდა, ქართველებს ერთიმეორეზე აშლიდა. მერე, ვინ იცის, ძმათა სისხლის ღვრა როდის შეწყდებოდა, საქმე კი იმით გათავდებოდა, რომ ტახტზე ან ლაშა დარჩებოდა, ან რუსუდანი ავიდოდა, ხოლო მეამბოხე გლეხებს არც ერთი დაურიგებდა მამულებს და არც მეორე, აჯანყების სათავეში ჩამდგარი დიდებულები ყმებს ერთი მეორის სისხლს დაალვრევინებდნენ და ბოლოს, როგორც დამარცხებულების, ისე გამარჯვებულების მხარეზე მებრძოლ ყმებს ძველებურად მონის უღელს დაადგამდნენ, „მეკობრეებს“ ძველ ცოდვებს არ აპატიებდნენ და სამსახურის ჯილდოდ სახრჩობელის თოკს, ან რკინის ბორკილებს მიუგდებდნენ.

რუსუდანის შეპყრობა მაინც ბედნიერი შემთხვევა იყო მეამბოხეებისათვის და ამ შემთხვევის გამოყენების მეორე გზაც არსებობდა: მეკობრეებს რუსუდანისა და ძლიერი ერისთავის ქალისათვის ხელი არ უნდა ეხლოთ. ღირსეული პატივით უნდა შეენახათ და მეფესა და დარბაზთან მოლაპარაკება გაემართათ.

მეამბოხეებს შეეძლოთ მეფის დის გათავისუფლებისათვის კარგი ფასი დაედვათ: ლუხუმისათვის კანონიერი ცოლის დაბრუნება, გლეხებისათვის გადასახადისა და ბეგრის შემცირება, უმიწაწყლოებისათვის სახნავ-სათესის მიცემა, მეკობრეებისათვის ჩადენილი დანაშაულის პატიება და მათი გამაუბედურებელი ბატონების დასჯა მოეთხოვათ.

ხელისუფლებას მეამბოხეების წინააღმდეგ დიდი ლაშქრის გასაგზავნად ხელ-ფეხი შეკრული ექნებოდა, მეკობრეებს ბრძოლას ვერ გაუმართავდნენ, რადგან მეფის დის სიცოცხლეს საფრთხეში ვერ ჩააგდებდნენ.

მეფე უეჭველად დათმობაზე წავიდოდა, ტყეში გასული გლეხები სახლკარს დაუბრუნდებოდნენ, შფოთი დაცხრებოდა და ქვეყანა მოისვენებდა.

მიზანი თითქოს ადვილად მისაღწევი ეჩვენებოდა ფხოველს, მხოლოდ უნდა ეჩქარა, რომ მეკობრეებს გაუფრთხილებელი მოქმედებით წაღმა მობრუნებული საქმე უკუღმა არ დაეტრიალებინათ, მეფის დასა და ერისთავის ასულს უპატიოდ არ მოპყრობოდნენ.

სწორედ ამ ფიქრით გადაეყარა ჩალხია თავის კარვისკენ ერისთავის ასულთან ერთად მიმავალ ქარუმას.

— რას სჩადი? სად მიგყავს? — შესძახა აღშფოთებულმა ფხოველმა და ქარუმას წინ გადაუდგა.

ქარუმამ გაოცებით შეხედა ფხოველს და არხეინად უთხრა:

— ვახშმად მიმყავს ერისთავის ქალი, ნამგზავრია და მოსვენება უნდა.

— ახლავე მობრუნდი, ლუხუმი გეძახის! — მკაცრად უთხრა და მკლავში მოსწვდა. ლუხუმისაგან იმ წუთს გამობრუნებულ ქარუმას გაუკვირდა, რად უნდა მეძახდესო, მაგრამ მოხუცის აფორიაქებულ სახეს რომ შეხედა, მორჩილად შემოტრიალდა და უკან მიჰყვა.

*

* *

ლუხუმს ლილეს დაკარგვის დღიდან მტკიცედ სწამდა, რომ მისი სათაყვანებელი ცოლი უბრალო იყო და მისთვის არასდროს უღალატნია. მას გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ლილეს გულწრფელად უყვარდა იგი და არც ოდესმე დათმობდა, თუ მეფეს არ ეცთუნებინა, სიმდიდრით არ დაებრმავებინა და არ მოეტაცნა. ამიტომ ლილეს დაბრუნების იმედი არასოდეს დაწმენდია და მასთან კვლავ შეყრაზე ფიქრი არასოდეს გაშორებია.

რუსუდანის დანახვაზე ლუხუმს პირველად გულზე მოეშვა. ვაჟკაცისთვის ნებისყოფა წაერთმია იმის გამო შიშსა და თრთოლვას, თუ როგორ უნდა შეხვედროდა ამდენი ხნის უნახავ, უზომოდ საყვარელ ცოლს, ლილეს მაგივრად რომ დევის ხვრელში რუსუდანი შემოვიდა და ყველაზე დიდი განსაცდელისგან თავი დახსნილად იგრძნო, ჯერ თითქო გაეხარდა, მაგრამ მაშინვე გული ღრმად ჩაწყდა, ქვეყანა ისევ დაცალიერებული და სიცოცხლე აზრდაკარგული ეჩვენა.

აღარც ახსოვდა, როგორ შეხვდა დიდი თამარის ასულს, რას ამბობდა, ან რა განკარგულებებს იძლეოდა.

ამოდენა განცდისაგან გაბრუებულს გონი ნელნელა და მძიმედ უბრუნდებოდა. თავი პირველად სიზმარში ეგონა. ახლა, როცა ზმანება გავლილი იყო მდგომარეობას თანდათან ეჩვეოდა და მომხდარ ამბებში გარკვევას ცდილობდა.

ლუხუმმა ნამთვრალევივით გაიხსენა, როგორ გაანაწილა ხოსიტას „ნადავლი“: შიმუნვარები რაზმელებს დაუთმო, ერისთავის ქალი ქარუმას დაულოცა და თავისთვის მეფის და დაიტოვა. ერთის მხრივ გუნებაში არც სწყინდა რომ ხოსიტას ნანადირევი ლილე კი არა რუსუდანი აღმოჩნდა. რუსუდანი მეფის და იყო და მისი გაუპატიურებით მეფესა და მის კარს მცირე სამაგიეროს მაინც მიუზღავდა.

ყოველი ყმაგლეხის მუდმივმა ნატვრამ და ოცნებამ — თავის მკლავზე გაგორებული ენახა ბატონის თეთრი ქალი, მიგრიაულს ნდომა აუშალა, მხეცური ჟინით მოუნდა ამპარტავანი მეფის დის უაღრესად დამდაბლება და გაქელვა.

* * *

შეგვიანებით სეირნობიდან მობრუნებულ რუსუდანს არაგვის ხეობაში გადაეყარენ მიგრიაულის რაზმელები. ჯერ გაძარცვა უნდოდათ, მაგრამ გამჭრიახი ხოსიტა მაშინვე მიხვდა, რომ უბრალო აზნაურის ქალებთან არ ჰქონდა საქმე, მეკობრეები ნებაზე არ მიუშვა, ტყვეები უკან შემოაბრუნა და ლუხუმის ბანაკისაკენ გაუყენა.

პირველად შეშფოთდა რუსუდანი, მაგრამ, როცა გაიგო თუ სად მიჰყავდათ, დამშვიდდა და ესიამოვნა კიდეც ხიფათებით სავსე მოგზაურობა ფათერაკების მოყვარულ მეფის დას.

ლუხუმის ნახვამ და მასთან ნადირთა ბნელ სამყოფელში მარტო დარჩენამ გაახარა და ცნობისმოყვარეობა აღუძრა მწვავე განცდების მაძიებელს.

იგი ახლა პირისპირ იყო პირველყოფილ ადამიანთა თუ დევთა ბუნებაში იმ კაცთან, რომელიც დიდიხანია სწორედ თავისი პირველყოფილობითა და დევის ძალღონით იზიდავდა.

ლუხუმი ნდომითა და ვნებით სავსე ერთადერთი თვალით სჭამდა, სახე სურვილით ალეწოდა და გამალებული სუნთქავდა.

რუსუდანს თავადაც გადაედო ვაჟკაცის ვნება.

— ლუხუმ! — გაისმა უეცრად ფხოველის ძახილი.

სადღაც ყინული დაეცა ლუხუმის გახელებულ ნდომას, უცებ ცივმა ქარმა დაჰბერა და შეკავებული ვნებისაგან აცახცახებულმა ვაჟკაცმა პირი იბრუნა ქალისაგან.

ლუხუმს თავი დამღვეოდა და თვალი ერეოდა. ნელა წამოდგა და ბარბაცით გაიარა ხვრელის სიღრმეში. კედელთან შედგა, ნაჟურით გაცივებულ კლდეს მიაყრდნო შუბლი. სიგრილე იამა და ოდნავ შვება იგრძნო.

— ადექი! ტანთ ჩაიცვი! — ზურგშექცევით უბრძანა რუსუდანს.

მიგრიაულის ნათქვამი ისარივით მოხვდა გულში მეფის დას. ალერსით რომ გაეძლო, ცალთვალა გლეხისა და ყაჩაღის სიტყვით, თუნდაც ცეკვას დაუვლიდა რუსუდანი, მაგრამ ამ გაუთლელმა ტყისკაცმა უარი თქვა ალერსზე. მერე ვის ალერსზე? დიდი თამარის ასულის ალერსზე, რომლის ფეხთა მტვერსაც გვირგვინოსანი მეფეები კოცნიდნენ და რომლის ერთი იმედიანი გამოხედვის დასამსახურებლად კეთილშობილი რაინდები ხმალში აწყდებოდნენ ერთმანეთს.

— ადექი და ჩაიცვი, ვიდრე ვინმე შემოვა! — დინჯად, მტკიცე ხმით გაუმეორა ლუხუმმა და რუსუდანმა უკვე თავი ვეღარ შეიმაგრა: დაუკმაყოფილებელი ვნება და შეურაცხყოფის გრძნობა ერთად სწვდა ყელში და ქვითინი აუვარდა.

* * *

დევის ხვრელთან ჩალხია მოდგა. შემოაბიჯა თუ არა, ქალის გულამომჯდარი სლუკუნი გაიგონა და ტყავზე გაშოტილი რუსუდანი დაინახა. დავიგვიანე, უკვე მოუსწრია ამ დათვსო, ვაიფიქრა და შედგა.

დევის ხვრელს თვალი მოავლო, სიღრმეში ლუხუმი გაარჩია, მეფის დისაგან პირი იბრუნა და მიგრიაულს გასძახა:

— ლუხუმ, გარეთ მოდექ, საქმე მაქვს.

ლუხუმი მძიმე ნაბიჯით დაიძრა და ორივენი ხვრელიდან გავიდნენ.

* * *

იმ ღამეს რუსუდანთან დევის ხვრელში მხოლოდ ნათია იყო.

დათვის ტყავზე მარტო დაგდებულმა, მიგრიაულისაგან უდიერად მიტო-

ვებულმა რუსუდანმა მთელი ღამე ტირილით გაათენა.

მეორე დღეს მეფის დამ შენიშნა, რომ ლუხუმი თავს არიდებდა თავის სამყოფელ დევის ხვრელს ახლო არ ეკარებოდა და არც სხვა მეკობრეებს აჰქანებდა იქითკენ.

დილის საუზმე რომ მიირთვა რუსუდანმა, ჩალხია ფხოველი ეახლა. თამარის ასულს ესიამოვნა დედის კარის ექიმისა და ძმის აღმზრდელი მასწავლებლის ნახვა. რუსუდანი იმან კიდევ უფრო გაახარა, რომ ჩალხიამ მეკობრეთა მტკიცე გადაწყვეტილება აცნობა, მეფის დას არას ვავნებთ და მალე სასახლეში დავაბრუნებთო.

როცა დატყვევებული აქეთ მოდიოდა, გულუბრყვილო და ცნობისმოყვარე რუსუდანს მიმზიდველი ფერებით ეხატებოდა ყაჩაღთა ბუნაგში ყოფნა, მოსალოდნელი ფათერაკები და ხიფათები. სინამდვილე მკაცრი აღმოჩნდა და ულმობელი. რუსუდანს ახლა იქაურობა სძაგდა, ყველაფერი, რაც ლუხუმსა და მასთან შეხვედრას აგონებდა სძულდა და დასანახავად ეზარებოდა. ყაჩაღთა ბუნაგში ჰაერი აღარ ყოფნიდა და იქ დარჩენა აღარ შეეძლო.

ამიტომ იყო, რომ იგი უყოყმანოდ დაეთანხმა ფხოველს, მეფისა და ათაბაგისათვის წერილი მიეწერა და მეკობრეთაგან უვნებლად გაშვების პირობები შეეტყობინებინა.

დათვის ტყავზე მორთხმულ რუსუდანს გარს მეკობრეები შემოჰხვეოდნენ. მეფის დას ცალთვალა მეკობრის სიახლოვე ზარავდა და თავს არ იღებდა, რომ მისთვის არ შეეხედნა.

ფხოველის კარნახით სწერდა თავისი ტყვეობის ამბავს რუსუდანი: მეკობრეები ჯერჯერობით პატივითა და კრძალვით მექცევიან, როგორც ჩემს ღირსებას შეეფერება, მაგრამ თუ მეფისა და ათაბაგისაგან თავიანთ მოთხოვნილებებზე თანხმობა არ მიიღეს, არ ვიცი რა მელისო. თავჩაღუნული ფხოველი ფიქრში წინადადებას აყალიბებდა, ჩვეწავ-და და ისე, კარნახობდა [illegible] და აუღელვებლად.

— პ ი რ ვ ე ლ ი... — უკარნახა ფხოველმა და რუსუდანმა მსხვილი ასოებით გამოიყვანა — პ ი რ ვ ე ლ ი...

— ყმაგლეხებიც ისეთივე ღვთისშვილები არიან, როგორიც ბატონები. ამიტომ მოვითხოვთ გლეხების მიმართ ადამიანურ მოპყრობას...

— მონებისაც ჩააწერინე, ჩალხია! — შეაწყვეტინა ნადირამ.

— ხელოსნებისაც! არც ხელოსნები ვართ კარგ დღეში! — დაუმატა არსენა მჭედელმა.

— სწორია, ხელოსნებზე და მონებზეც ჩავწეროთ! — დაამტკიცა ლუხუმმა.

— ყმა გლეხები, ხელოსნები და მონები, — გაასწორა ფხოველმა — ისეთივე ღვთისშვილები არიან, როგორიც ბატონები. ამიტომ მოვითხოვთ მათ მიმართ ადამიანურ მოპყრობას. კანონით აიკრძალოს ყმის, ხელოსნის და მონის დარბევა, გაყიდვა, მწევარ-მეძებრებზე გაცვლა, უღელში შებმა, მიწა-წყლიდან აყრა და სხვა მსგავსი უადამიანო სასჯელი.

მ ე ო რ ე — შეუმცირდეს გადასახადი და ბეგარა გლეხებსა და ხელოსნებს. სრულიად გათავისუფლდნენ ბეგარისაგან მთიელები და აგრეთვე ბარში მცხოვრები ღარიბი და უქონელი გლეხები.

რუსუდანმა ნაკარნახევი დაწერა, ღრმად ამოისუნთქა და თავი წამოიღო. უნებურად ლუხუმს შეხედა: მიგრიაული დათვის ტყავზე გაშლილ წიგნს დაშტერებოდა, თვალს ნელა აყოლებდა და ეტყობოდა თავისთვის ჩუმად კითხულობდა. ეს წიგნი გუშინაც ასე გაშლილი ეგდო დათვის ტყავზე. მაშინ რუსუდანს სხვა დარდი ჰქონდა და წიგნისთვის სულაც არ დაუხედია.

ახლა, ვიდრე ფხოველი სდუმდა და ფიქრში შეამბოხეთა მოთხოვნილებებს აყალიბებდა, რუსუდანს ცნობისმოყვარეობამ სძლია და თვალი ამ წიგნისკენ გაექცა:

შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე,
გამარიდე;
ინდოეთი ჩემი არის, არვის მივცე ჩემგან
კიდე.
ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა
აღმოვფხვრიდე;
სხვად მეშველსა გარეგანსა მომკა'ლ ,ვისცა
ვინატრიდე!

რუსუდანმა რუსთველის ნაცნობი სტრიქონები ამოიკითხა და ჩალხიას ხმაც ჩაესმა:

— მ ე ს ა მ ე, — კარნახობდა ფხოველი, — მეფემ დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს ჩვენს მეთაურს, ლუხუმ მიგრიაულს თავისი კანონიერი ცოლი...

რუსუდანს ხელი აუკანკალდა. მისი გათავისუფლების ერთ-ერთ მთავარ პირობად ლილეს დაბრუნებას აყენებდა მიგრიაული და ამან კიდევ უფრო გაამწარა, ისედაც უკიდურესად შეურაცხყოფილი მეფის და. მიგრიაული თავის მოღალატე ცოლზე, მეფის ხარჭაზე ცვლიდა დიდი თამარის ასულს, დაბადებით ლაშას სწორსა და სილამაზით განთქმულ რუსუდანს.

მისთვის ეს უაღრესად დამამცირებელი პირობა თავისი ხელით უნდა დაეწერა მეფის ამაყ ასულს. ეს უკვე მეტის მეტი იყო და მის ძალღონეს აღემატებოდა...

— შენი ქალი არად მინდა გაათხოვე,
გამარიდე...

მოხვდა ისევ, საცრემლოდ გამზადებულ თვალში რუსუდანს რუსთველის სტრიქონი. ალბათ, ეს წიგნი ჩემთვის საგანგებოდ გადაშალა მიგრიაულმა, სწორედ, ამ ადგილზე და ახლა, თვითონ რომ ჩურჩულით კითხულობს, ამით მე მანიშნებს თავის გულის პასუხსო, გაიფიქრა და უფრო აღშფოთდა.

ცრემლი და ბოღმა ყელში მოებჯინა რუსუდანს, ბატის ფრთა ხელიდან გაუვარდა და გულამომჯდარი ატირდა.

*
* *

ავადმყოფის განსაცდელის გავლა და გარდატეხა ლოცვისა და უძილობისაგან დაღლილ და აღგზნებულ ლილეს ჩვენებას დაემთხვა: უფლისწულმა მომჯობინება იწყო და გამოკეთების გზაზე დადგა.

ამ დამთხვევამ ბავშვობიდან ღვთისმოშიში ლილე განგების ძალასა და ღვთის დახმარებით მემკვიდრის განკურნებაში მტკიცედ დაარწმუნა.

თვალწინ სულ სიზმრად ნახული მოხუცი ედგა და გულის ფანცქალით ელოდა მისი მოსვლის ჟამს. ჩვენების ნახვის დღიდან დაუცადებელი ლოცვა და დაურღვეველი მარხვა ჰქონდა ლილეს, მეფეს სრულიად განერიდა, თუმცა თვალი და გული ზოგჯერ მაინც თავისას ცდილობდა. ნებისყოფაგანმტკიცებული ლილე ლაშას დამდურებულივით პირს არიდებდა და მის სიახლოვეს გაურბოდა.

დღეებს ითვლიდა ლილე. აღთქმისამებრ, მეშვიდე დღეს უნდა მოსულიყო წმინდა მამა, მწყემსის ცხვართაგან მოწყვეტილ, შეცთომილ და გზააბნეულ კრავის წასაყვანად. ლილეს სწამდა, რომ მისი მოხუცი მეგზური და ქრისტეს წინაშე თავსმდები უსათუოდ მოვიდოდა. სწამდა, რადგან სარწმუნოეყო წმინდანის სიტყვა, რომელმაც ლოცვითა და კურთხევით განკურნა მისი შვილი. მოხუცის მისვლას ისე ელოდა, როგორც რაღაც დიდსა და გონებით მიუწდომელ გარდატეხას თავის ცხოვრებაში, იმ დღის დადგომა ეჩქარებოდა და თავს იმის ანგარიშს არ სთხოვდა თუ როგორი იქნებოდა მისი

შემდგომი ბედი. ერთი კი სჯეროდა ლილეს, რაკი ღმერთმა უფლისწული სიკვდილისაგან იხსნა და მოხუცის ბაგით მისი ტახტზე დამკვიდრება აღუთქვა, მასაც სამაგიერო მსხვერპლი უნდა გაეღო, ამქვეყნიური ბედნიერებისათვის ზურგი უნდა ექცია და საუკუნოს მოგებისათვის ზრუნვაში ეპოვნა ბედნიერება. ლაშას მეფური ღირსებისათვის, ტახტზე მისი განმტკიცებისათვის ლილეს სასახლიდან წასვლა ბოლოსდაბოლოს აუცილებელიც იყო. ქრისტესაგან შენდობილი მხევალი გულმხურვალედ ილოცებდა თავისი საყვარელი ლაშარელას ცოდვების მიტევებისათვის და საკუთარი ბრალისა და ცოდვებისაგან განწმენდილი, თავის მხრივ, ისიც თავსმდებად დაუდგებოდა ქმარსა და მიჯნურს ქრისტეს წინაშე.

ლილეს ამქვეყნიური ყველა ოცნება თითქმის ასრულებულად ეჩვენებოდა: მისი ძე საქართველოს მეფე გახდებოდა, და სულ ათიოდე წლის შემდეგ ბაგრატიონთა ლომებს ხმალზე გაფრენილი კვიცი გვერდით ამოუდგებოდა, მისი მიჯნური მეფე ძალასა და უფლებას შეიმატებდა და თავისა და სამეფოს მტრებს შემუსრავდა. ერთი-ღა რჩებოდა დასანანებელი, ისე მიდიოდა ამ ქვეყნიური ცხოვრებიდან, რომ ლაშას ტრფობით ბოლომდე ვერ გაძლებ·და.

მაგრამ განა ეს დანაკლისი იმდენი სიკეთის პირისპირ სასწორზე დასადები იყო, რასაც ღვთისნიერი მამა ჰპირდებოდა ქრისტეს წინაშე თავმდებობით?! რწმენითა და შთაგონებით ქრისტეს მხევლად და სძლად გამზადებული ლილე გასათხოვარი ქალივით თითებზე ითვლიდა დღეებს. დათქმული ვადა რომ მიიწურა, სასახლისკენ მომავალი გზისკენ ცქერა გაახშირა და ერთთავად ან ბანზე იდგა, ან ჯვარცმის წინაშე დამხობილი ლოცულობდა.

მსგეფსზე, სწორედ მეშვიდე დღეს, როცა განკურნებული უფლისწული უკვე ფეხზე დადგა, ლილემ სასახლის ბანიდან ასეთი სურათი დაინახა: უფლისწულის მორჩენით გამხიარულებული და დაარხეინებული ცხენზე ამხედრებული მეფე ამალითა და ქორ-მეძებრებით სანადიროდ მიდიოდა.

სასახლიდან ცოტა მოშორებით ჯვარაპყრობილი შაოსანი მოხუცი მოდიოდა მეფის პირისპირ.

მოხუცს უამრავი ხალხი მოსდევდა, კურთხევას თხოვდნენ და კალთაზე სამთხვევად ეტანებოდნენ.

მეფემ ერთი დამცინავად მიხედა მიხრწნილ მოხუცს, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ კურთხევას არიგებდა, ვიღაცას რაღაც ჰკითხა, პასუხი მიიღო და ალბათ, ბერის პირისპირ შეხვედრა რომ თავიდან აეცილებინა, ლურჯას გვერდზე მოსწია და სხვა მიმართულებით გაუხვია.

მოხუცმა ზურგშექცეული მეფისკენ მიმართა მზერა, ჯვარაპყრობილი, ეტყობოდა, რაღაცას დაექადა და ხალხით გარშემორტყმულმა კვლავ სასახლისკენ განაგრძო გზა.

სასახლეს რომ მოუახლოვდა, ხალხს ჯვარი გადასახა და დაითხოვა.

ხალხი ნელნელა შემოეფანტა. მოხუცი მარტო წამოვიდა სასახლისკენ. რაც უფრო ახლოვდებოდა შაოსანი ბერი, მით უფრო უმატებდა ლილეს გულის ძგერა და მღელვარება.

— ღმერთო, როგორ ჰგავდა იგი იმღამინდელ ჩვენებას! არა, კი არ ჰგავდა, ის იყო! ნამდვილად ის იყო! და ლილე პალატში მიიქცა, უბიდან გამზადებული ბარათი ამოიღო, დაკეცა, და ფოთლის ოდენად რომ აქცია, ყელზე დედისეული ყელსაბამი მოიხსნა, მედალიონი გახსნა და ბარათი შიგ მოათავსა. სასწრაფოდ უფლისწული მოძებნა, ის ყელსაბამი ყელზე ჩამოჰკიდა, ხელში აიტაცა, კოცნა, კოცნა და კოცნა. მერე უცებვე ბავშვი ძირს დაუშვა, ცრემლიანი სახე მოარიდა და სანამ უფლისწული გონს მოვიდოდა, პატარა ფუთას ხელი დაავლო და გარეთ გავარდა.

ჯვარაღმართული მოდიოდა საბა მარტომყოფი.

ალაყაფის კარს იქით გაეგება ლილე და მოხუცს ფეხქვეშ ჩაუვარდა, მოეხვია და ხამლი დაულტო ცრემლითა და ამბორით.

— ვინა ხარ, შენ, ასულო და რას ითხოვ ჩემისაგან გლახაკისა?

— მე ვარ ცოდვილი, თანამეცხედრე მეფისა, არასჯულიერ...

— შვილო, ფრიად არიან ცოდვანი შენნი...

— მილხინე, მამაო, ცოდვათაგან ჩემთა და მფარველ მექმენ უფლისა ღმრთისა წინაშე. რამეთუ უსჯულოებათა ჩემთათვის მსაჯნეს მე და სალბუნ ეყოს ძესა ჩემსა და მეფესა უბრალოსა. ნუ გარემიიქცევ პირსა ჩემგან...

— ნუ გეშინინ, შვილო! მოგიტევნენ, შენ, ცოდვანი შენნი! შეუდექ გზასა ჩემსა და მე თავსმდებ გექმნე ქრისტეს მიმართ, რათა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შეგინდვნეს...

— წმინდაო, მამაო, ხელთა შენთა ვარ, უმჯობესი სულისა ჩემისა იზრუნე...

საბა გაოცდა, იგი დიდი ბრძოლისა და ქადაგებისთვის იყო შემზადებული სულიერად. ციხე რომ უბრძოლველად აიღო, თავისი ღონისა და აღჭურვილობის უცდელობა დაენანა და ცოტა შეწუხდა კიდეც. ღვთისნიერი მოხუცი მალე დამშვიდდა: ასე იოლად მიზნის მიღწევაში ნეტარმა საბამ განგების ხელი დაინახა, მუხლზე დაიჩოქა, ღმერთს მადლი შესწირა.

მერე ლილეს ჯვარი გადასახა, ფეხზე წამოაყენა და ჰრქვა:

— შვილო ჩემო, დღეს იქმნა ცხორება სულისა შენისა, რამეთუ სანატრელისა დედისა ირინეს წინაშე წაგიყვანებ შენ: წარემართე და ვიდოდე წინაშე ჩვენსა.

ზურგზე ფუთამოკიდებული ლილე თავდახრილი გაუდგა გზას, უკან მისი სულიერი მეგზური, ძნელი საქმის ღვთივ ბედნიერად დაგვირგვინებით გახარებული მარტომყოფი მიჰყვებოდა.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილეს გაქრობას დღისით იმდენად არავინ შეუწუხებია, მაგრამ, რომ დაღამდა და შუაღამეც გადავიდა, სასახლეში შეშფოთდნენ.

უფლისწულს გაეღვიძა და დედა მოიხმო. დედა არსად იყო და ატირებული ბავშვი ვეღარაფრით დააწყნარეს.

ძიძამ მემკვიდრის ყელზე დედის ყელსაბამი შენიშნა. ადრეც მოსწონდა ლილეს მაღალ ყელზე ლამაზად მბრწყინავი ყელსაბამი. ხელი შეახო, დააკვირდა. მერე მედალიონი გახსნა, შიგ დაკეცილი ბარათი რომ ნახა, შეეშინდა, ეგარსლანი მოძებნა და მიურბენინა.

ბაკურციხელმა წერილი გაშალა და წაიკითხა.

„ესე წიგნი მზისა ჩასულისა — აღმოსავლეთით ახლად ამოსრულსა მზესა; აოხრებულისა და გამხმარისა ვენახისა — ახალშენსა სამოთხისაებრ წალკოტსა; დასაწყლებულისა და დაბეჩავებულისა — ყოვლისა ქვეყნისა მორჭმულსა ხელმწიფესა წინაშე დამიწერია ესეთი წიგნი, ესეთსა ყოფასა შინა მყოფსა, რომელ ტანი სულისაგან აბეზარ მიქნია და სულისა ცხოვრების გზასა შედგომილვარ საუკუნოსა...

უწყი მეფევ, რამეთუ ღმერთმა ლოცვათა ჩემთათვის ყრმასა ჩემსა ულხინა და აცხოვნა, ხოლო მე აღთქმა დავდევ, რათა შევუდგე გზას უფლისასა. აჰა, მოიწია ჟამი იგი და მომიწოდა ქრისტემ მსახურად და მხევლად თვისად... უმჯობეს არს მეფობისათვის შენისა და ძისათვის ჩვენისა მემკვიდრისა, რათა არა ვეგო პალატებსა მეფეთა...

დალათუ მთავარნი და ვაზირნი ჰგონებენ უგვარობასა ჩემსა, საცნაურ იყოს მათთვისაცა, რომელ მე ვარ ძე მარტოი ერისთავთერისთავისა დავითისა სიჩჩოით მთასა გახიზნული და ზრდილი ერთგულთა მისთა ყმათა-

გან, შემდგომად სრულიად წარწყმედისა მეფეთაგან მის გვარისა დიდისა და ამაღლებულისა. არარაი სიკეთე მომიპოებია პალატთა შინა, დიდებულთა თანაყოფითა, თვინიერ სიყვარულისა შენისა და ძისა ჩვენისა დავითისა. ვსცოდე მე ფრიად, უმეტეს დედაკაცთა ყოველთა გაწირვითა ქმრისა ჩემისა გვირგვინისასა, მოვაყივნე თავი ჩემი და სული ჩემი.

აწ მომხედა ღმერთმან მაღალმან წყალობისა თვალითა შენდობად ცოდვათა და ბრალთა ჩემთა, რამეთუ ისმინა ლოცვა ჩემი და აღადგინა ძე ჩემი უფლისწული. და მე ვმსახურებდე ქრისტესა და თავსმდებგექმნე ქრისტეს მიმართ, მეფევ, რათა მან ყოველნი ბრალნი შენი შეგინდვნეს და აცხოვნოს ძე შენი და მისცეს პყრობად ტახტი სამეფო შვილთა მისთა უკუნითი უკუნისამდე.

აწცა ამას გაფიცებ ჩემსა სიყვარულსა და თვით დამბადებელსა ცისა და ქვეყნისა გაფიცებ, არა ეგო ქორწინებად სჯულიერსა ცოლსა თანა და არა შესძინო მემკვიდრე სხვაი სამეფოსა თვინიერ ძისა შენსა დავითისა.

უკუნისამდე იმედიანი ვარ და არცა გარდავიწყვეტ იმედსა შენგან, რომელ სულნი დამრჩომიან, ვიდრე სრულად არ დამელივნენ.

ამასცა გაფიცებ, რომელ არღარა ეძიებდე გზასა ჩემსა და სამყოფელსა. ნუ ოდეს მოელი ჩემგან შეყრასა, ნურცა რას ამისითა ფიქრითა იჭირვი"..

ეგარსლანმა ბარათი ჩაიკითხა და უბეში შეინახა.

*

* *

იმ დილას მხარგრძელის სასახლეს ქართლის ერისთავის ქალი მიადგა და ათაბაგის ნახვა ითხოვა.

მხარგრძელი მაშინვე გაეგება რუსუდანის მეგობარსა და ძლიერი ერისთავის ასულს.

ნათიამ მეკობრეთაგან მეფის დისა და მისი ამალის დატყვევება უამბო და რუსუდანის ხელით დაწერილი ბარათი გადასცა.

მხარგრძელი გაფითრდა და ენა ჩაუვარდა. მსგავსი განსაცდელი თავს არასდროს დასტყდომია ათაბაგს. მეფისაგან ავუგად ხსენება და ჩაუგდებლობა, მეკობრეთაგან მისი ქარავნების გაძარცვა და უკანასკნელ დროს შეხვედრილი სხვა უსიამოვნება სახსენებელიც არ იყო იმ ზართან, რომელიც ახლა დაეცა. იცოდა, რომ ჯიუტი მეფე ღვიძლი დის, რუსუდანის სიცოცხლის ფასადაც არ დასთმობდა თავის სატრფოს, ხოლო რუსუდანის დაკარგვა მხარგრძელისთვის მისი უკანასკნელი გეგმებისა და სიცოცხლის აზრის დაღუპვას ნიშნავდა.

ბრაზისა და მღელვარებისაგან აცახცახებულ ათაბაგს თვალწინ დაუდგა კერპი და თავნება მეფე, წარმოიდგინა მისი გადაჭრილი პასუხი: არცა ერთსა ვიქმ თქვენის ნებითაო, და წამით ისე მოეჩვენა, თითქოს ლაშა ახლაც ისე გამეტებით სწვდა წვერში, როგორც ერთხელ პატარაობისას გეგუთის სასახლეში.

მხარგრძელს თვალებში სიმწრის ცეცხლი და ცრემლი ერთად მოადგა და პირველად თავის სიცოცხლეში მოახლოებული განსაცდელის წინაშე უღონოდ ჩაიკეცა.

დიდხანს იჯდა დამბლა დაცემულივით ათაბაგი, ბოლოს, როგორც იყო ძლიერი დარტყმისაგან გამოფხიზლდა. დრო არ ითმენდა, მდგომარეობა სისწრაფესა და გონიერებას მოითხოვდა.

მეკობრეთა ყველა მოთხოვნილების შესრულებაზე თანხმობის მიცემა შეიძლებოდა (შეასრულებდა თუ არა, ამას შემდეგ მოიფიქრებდა), მხოლოდ ერთი პირობა — ლუხუმისათვის ცოლის დაბრუნება — იყო შესასრულებლად ძნელი და თითქმის შეუძლებელი.

ათაბაგს ყოველი ღონე უნდა ეხმარა, რომ მიზნისთვის ძალის გამოუყენებლად მიეღწია, მაგრამ ძალა, შეიძლება, ყოველ წუთს დასჭირებოდა და მზად უნდა ჰყოლოდა.

მაშინვე ჯარის უფროსები დაიბარა და თვითონ, მათ მოსვლამდის კათალიკოსთან მოსათათბირებლად გაემართა.

მეფე შინ არ ეგულებოდა, ეს საქმეს ცოტა აადვილებდა. უფლისწული უკვე განკურნებული იყო. თუკი ლილეს სასახლიდან როგორმე გამოიტყუებდნენ, შეიძლებოდა მისი გატაცების მოწყობა, და ხმის გავრცელება, ვითომ მეფის სატრფოს მიგრიაული დასხმოდეს თავს.

ლილეს სასახლიდან გამოყვანა ყველაზე ადვილად კათალიკოსს შეეძლო, რადგან უფლისწულის ავადმყოფობის შემდეგ მეფის უკანონო ცოლი გამუდმებით დადიოდა წირვა-ლოცვაზე.

მხარგრძელს ათასგვარი ფიქრი ეროდა თავში, ერთი ცხადი და გადაჭრილი იყო: რადაც უნდა დაჯდომოდა, მეფისათვის ლილე უნდა წაეგვარა და რუსუდანი მეკობრეთა ტყვეობიდან უნდა გამოეხსნა.

აფორიაქებული შევიდა ათაბაგი კათალიკოსის პალატებში.

კათალიკოსი სახეგაბადრული შეხვდა მხარგრძელს.

— ალბათ, არ იცის, რაც მოხდაო, — გაიფიქრა ორივემ. კათალიკოსმა ღიმილი შეაგება განრისხებულ ათაბაგს.

— სამახარობლო მეკუთვნის, ივანე ბატონო, სამახარობლო!

ივანემ გაოცებით შეხედა.

— ბოლოს მაინც ჯვარმა და ქრისტეს რჯულმა იხსნა ტახტი და სამეფო შფოთისა და აღრევისაგან. ჯვრის ჩაგონებით მეფის ხარჭა ქრისტეს გზას შეუდგა და თავისივე ნებით დააგდო პალატები სამეფოი.

ძლიერ შთაბეჭდილებასა და ამდენ დაძაბულობას ველარ გაუძლო მხარგრძელმა, მუხლებმა უსუსტა და გაოცებისგან პირდაღებული სავარძელში უღონოდ ჩაესვენა.

*
* *

რუსუდანმა თვალი თანდათან შეაჩვია მეკობრეებს. თუ ლუხუმი დასანახავად ეზარებოდა, ზოგიერთი მათგანის შეხვედრა სიამეს ჰგვრიდა და ცალთვალასაგან მიყენებულ წყენას აივიწყებდა.

განსაკუთრებით ყაზვინელ მონას დაადგა თვალი რუსუდანმა.

ნადირა მეკობრეთაგან ყველაზე ახალგაზრდა იყო და ლუხუმმა მას დაავალა მეფის დის სამსახური.

რუსუდანი წვრილმან დავალებებს აძლევდა თავის ახალ მსახურს, ხან წყალს მოატანინებდა, ხან ფხოველთან რამე სათხოვარზე გაგზავნიდა. ნადირა ხალისით ასრულებდა „დედოფლის" ყველა ბრძანებას. რუსუდანმა სიამოვნებით შენიშნა, რომ სხვებთან თამამი და გაბედული ვაჟკაცი, მასთან მიახლოებისას უჩვეულოდ წითლდებოდა, თავს მორცხვად ხრიდა და თვალს ვერ უსწორებდა. მარტოობით მოწყენილმა მეფის დამ მუშტრის თვალით დაუწყო ყურება გარეგნობითა და უშუალობით მიმზიდველ ვაჟკაცს და დარწმუნდა, რომ მომხიბვლელი ნადირა მისდამი გულგრილი არ უნდა ყოფილიყო.

მონაყოფილი დღისით დევისხვრელში შესვლას ეკრძალებოდა და რუსუდანის დაუძახებლად ზღურბლზე ფეხს არ დგამდა; ღამით ხვრელის კართან იწვა და მეფის დის სიმშვიდეს დარაჯობდა.

ერთხელ ნაშუაღამევს გაეღვიძა რუსუდანს. სევდიანი აღმოსავლური სიმღერა ჩაესმა და ყური მიუგდო. ზედ მის კართან ვიღაც ხმადაბლა, გატაცებით მღეროდა ნაღვლიანსა და ტკბილ სიმღერას.

რუსუდანი მოჯადოებულივით უსმენდა. სიმღერა რომ მისწყდა, ერთხანს ელოდა, იქნებ კიდევ იმღეროს უხილავმა მომღერალმაო, მაგრამ ამაოდ. გულდაწყვეტილმა ლოგინზე წამოიწია და თავის მსახურს გასძახა:

— ნადირა!

დევის ხვრელში ფერდაკარგული ნადირა შემოვიდა, მუხლებზე დაეცა და აკანკალებული ხმით შეევედრა:

— მაპატიე, ქალბატონო, გამოგაღვიძე!

— აქეთ მოდი, აქ დაჯექ! — მშვიდად უთხრა რუსუდანმა და ტახტზე ჩამოჯდომა ანიშნა მოულოდნელი დახვედრისაგან დაბნეულ ნადირას.

— მოდი, ნუ გეშინია! — გაუმეორა რუსუდანმა. ნადირა ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა, მეფის დის საწოლზე ჩამოჯდომა ვერ გაბედა და თავდახრილი გაჩერდა.

— დაჯექ, ნუ გერიდება! — უთხრა რუსუდანმა, მკლავზე ხელი მოკიდა და მოკრძალებული მსახური თითქმის ძალით დაისვა საწოლის ნაპირზე.

— მიმღერე, ნადირ! კარგი სიმღერა გცოდნია! — ხვეწნის კილოთი უთხრა მეფის დამ.

ნადირამ თავი აიღო და, ხომ არ მცდისო, დაეჭვებით შეხედა ქალბატონს.

— რა ტკბილად მღეროდი, ძილში ნანასავით ჩამესმა! — აღტაცებით ეუბნებოდა მეფის და გაოგნებულ მონას და თან თვალებით სიმღერას თხოვდა.

ნადირამ თავის მბრძანებელს ბევრი აღარ ახვეწნინა, თავი აიღო და წელანდელზე უფრო მომხიბლავად წამოიწყო შორეული ხორასნის სევდიანი, მაგრამ ტკბილი სიმღერა.

*

* *

რუსუდანს თავდავიწყებით შეუყვარდა უთვისტომო ჭაბუკი. მისი გულისთქმა ადრინდელ გატაცებას არ გავდა, იგი უფრო ღრმა იყო და წმინდა. არც თავათ მას და არც მისი სიყვარულით თავგზადაკარგულ ნადირას საზღვრის გადალახვა არ უფიქრიათ. ერთმანეთს კრძალვით შეჰყურებდნენ და ხანმოკლე შეხვედრისას მხოლოდ კეთილშობილ, ამაღლებულ სიყვარულზე ესაუბრებოდნენ ერთიმეორეს.

რუსუდანი გააზნაურებასა და მეფის კარზე აღზევებას, სასახლეში თავის ქმრად მიყვანას აღუთქვამდა ტრფიალებით ისედაც გაბრუებულ მონას და ამ უდიდესი ბედნიერების სანაცვლოდ მისგან მხოლოდ სიყვარულსა და ერთგულებას თხოულობდა.

სიყვარულით ფრთაშესხმულ მიჯნურებს მეკობრეთა ბუნაგიდან გასვლა ერთადერთ საფიქრალად ქქცათ.

მეფის დის ოქროს სამაჯურებისა და თვალმარგალიტის ყელსაბამებისთვის მეკობრეებს ხელი არ ეხლოთ. რუსუდანმა დაუნანებლად წაიყარა მკლავებიდან უსწორო ოსტატების ნახელავი ოქრო და გუშაგების მოსასყიდლად გადასცა ნადირას.

იმ ოქროთი ნადირამ ერთი მეკობრეთაგანი მოისყიდა და ღამით, როცა ლუხუმი და მისი ერთგული რაზმელები შორს დაიგულა, რუსუდანი ბანაკიდან გააპარა.

*

* *

მხარგრძელი საგონებელში იყო. სასახლიდან ლილეს წასვლამ პირველად გაახარა, მაგრამ, როცა მდგომარეობას კარგად ჩაუკვირდა, ამ ამბავში სანუგეშო ვერაფერი დაინახა. მონასტერი შეუვალი იყო, მონაზნად აღკვეცილი — ამ ქვეყნის ხელისუფალთაგან თავისუფალი და დევნისათვის მიუწვდომელი. ნებით ან ძალით მეფის სატრფოს გატაცება სასახლიდან გაცილებით იოლი იქნებოდა. მონასტრისა და აღკვეცილის მიმართ რაიმე ძალის ან ხერხის გამოყენება, ფიქრშიც კი დაუშვებელი იყო ღრმად მორწმუნე ათაბაგისათვის.

იმედის ერთი ნატამალი კიდევ შერჩენოდა მხარგრძელს: ამიერიდან მიგრიაულის ცოლყოფილი აღარც მეფეს ეკუთვნოდა და ამ გარემოებას, ეგებ ცოტა მაინც გაენელებინა შეურაცხყოფის მწვავე გრძნობა თავმოყვარე მეკობრისათვის. საჭირო იყო მიგრიაულთან მოლაპარაკება, მისი დამშვიდება, იმით, რომ მან, ათაბაგმა წაჰგვარა მეფეს ლუხუმის ცოლი და უშიშარ ადგილას, მონასტერში დააბინავა. მეკობრეთა დანარჩენ მოთხოვნილებებზე ხელისუფლების თანხმობას იქნებ ყაჩაღთა ერთი პირი დაეშალა და მეკობრეებს

დატყვევებული რუსუდანი მიგრიაულის სურვილის წინააღმდეგაც გაეთავისუფლებინათ.

ამ ფიქრსა და გამორჩევაში რომ იყო მხარგრძელი, რუსუდანის სასახლეს ორი ცხენოსანი მიადგა. ივანემ თვალს არ დაუჯერა, ეს დროული კაცი თავქუდმოგლეჯილი გავარდა გარეთ და სულმოუთქმელი სირბილით მიიჭრა მეფის დის ალაყაფთან. რუსუდანის მოულოდნელი გამოჩენით გონდაკარგულ ათაბაგს თავი სიზმარში ეგონა. ბავშვივით გახარებული ჰკოცნიდა და ეხვეოდა, ყოველ ნაკვთს ხელით უსინჯავდა, რომ კარგად დაეჯერებინა რუსუდანის უვნებლად მობრუნება.

შავ-შავი, თვალტანადი ჭაბუკი, თვალებგაბრწყინებული შეჰყურებდა თავისი სათაყვანებელი „დედოფლისა" და ათაბაგის მამაშვილურ ხვევნას და საოცრად ეჩვენებოდა ადამიანების ბედი: იგი რომ „მხარგრძელისა და რუსუდანის მოკვლის განზრახვისათვის" ციხეში არ ჩაეგდოთ, მერე ამ ციხიდან არ გაქცეულიყო, მეფის და ახლაც მეკობრეების ტყვე იქნებოდა და იქნებ სიკვდილს მართლაც ველარ გადარჩენოდა!

*

* *

მეხუთე დღეს დაბრუნდა ნადირობიდან მეფე.

სასახლეში შესვლისთანავე მსახურთა უჩვეულო სიჩუმე და გაკრძალულება არ ეჭაშნიკა.

მაშინვე ის იფიქრა, უფლისწულს სნეულება ხომ არ შეუბრუნდაო. მემკვიდრე მოაყვანინა. ატირებული ბავშვი დედას თხოულობდა.

ლაშამ ლილე მოიკითხა.

ციხისჯვარელმა და ეგარსლანმა უამბეს: თქვენ რომ სანადიროდ წასვლა ინებეთ, იმ დღეს გაჰქრა და აღარ გამოჩენილაო.

მეფეს დაცეცხლა. პირველად თავში ის მოუვიდა, ვაი თუ ლუხუმმა გაიტაცაო.

ეგარსლანმა გამოუთქმელი ეჭვი მაშინვე გაუფანტა.

— იმ დღესვე ყოველივე ამბავი ვიძიე და სარწმუნოდ შევიტყე — საბა მარტომყოფს გაჰყოლია დედოფალი. ეს წერილი ვიპოვეთ და, ალბათ, აქ ყოველივე საცნაურ იქნებაო.—უთხრა ეგარსლანმა, უბიდან დაკეცილი ბარათი ამოიღო და მეფეს გადასცა.

მეფემ ბარათი გახსნა და ლილეს ნაწერს თვალი სწრაფად გააყოლა.

წერილი სულმოუთქმელად წაიკითხა, ხელები ულონოდ მუხლებზე ჩამოუვარდა და გამოშტერებული თვალებით რომელიღაც წერტილს უაზროდ მიაჩერდა.

ეგარსლანი დაიხარა და ჩურჩულით უთხრა:

— დედუფლის სამყოფელი ვიკვლიე მეფევ, ყოველივე გავიგე...

— სადა არს?—გამოცოცხლდა უცებ გამოფხიზლებული ლაშა.

— ყოვლადწმინდის დედათა მონასტერსა შინა არს, არაგვის ხეობასა.

— ცხენები! ჩქარა ცხენები! შესძახა მეფემ და ფეხზე წამოიჭრა.

*

* *

მარტომყოფი საბა წინასწარ იყო მოლაპარაკებული ყოვლადწმინდის დედათა მონასტრის წინამძღვართან, სიწმინდითა და მოღვაწეობით განთქმულ ირინესთან.

საღამო ხანს მიაღწიეს საბამ და ლილემ მონასტერს. ირინე ჭიშკართან გამოეგება მოძღვარს.

— იღვაწე ცოდვილი ესე ჯერისაებრ, რა ჟამს ძიება ჰყოს მეფემან, — უთხრა საბამ და ლილე წინამძღვარს ჩააბარა.

ქრისტემან კეთილად იზრუნოს მხევლისა თვისისათვის, რომელიცა ჰპოვა შენს მიერ ღირსო მამაო.

მიუგო ირინემ და მოძღვარი შინ შეიწვია.

იმ ღამეს საბა მონასტერში დარჩა, ირინესთან დიდხანს ისაუბრა და წინამძღვარი იმ ბრძოლაში სიმტკიცისათვის გაამხნევა, რომელიც მას უნდა

გადაეხადა ამ ქვეყნიერი მეფის წინააღმდეგ ორთავ ქვეყნის მეუფის ჩაგონებითა და სახელით.

ირინე მკაცრად შეხვდა ლილეს. მუშტრის თვალით აათვალიერა და გაუჩხრიკა სახისა და ტანის ყოველი ნაკვთი, მოეწონა, მაგრამ თავს არ გაუტყდა და გუნებაში ის გაიფიქრა, არანაკლებ მშვენიერი ვიყავი მეც ამ ხუთიოდე წლის წინათო.

ღარიბი აზნაურის ქალი იყო ირინე.

ხელმოკლე მშობლებმა თავიანთი მეშვიდე ქალი შუამთის მონასტერში შეაყენეს.

მონასტერში დამშვენდა და დაქალდა ირინე. მისი იშვიათი სიტურფე მონასტრის დებსა და წმინდა დედებს შურით გულს უსიებდა, ბნელსა და ნესტიან სენაკში, ნახევრად მშიერი ჰყავდათ, მაგრამ ირინეს ჯანმრთელი და ლამაზი სხეული მაინც არ ითრგუნებოდა და „ეშმაკის მსგავსი მაცთუნებელი სილამაზე“ სულ უფრო სრულყოფისა და უნაკლობისკენ იხრებოდა. მონასტრას სანახავად და დასათვალიერებლად მოსული მზრუნველები და ეპისკოპოზები პირჯვრის წერით თვალს არიდებდნენ „სატანის მსგავსად მაცთუნებელ“ მონაზონს და ჩურჩულით არიგებდნენ ისედაც სასტიკ წინამძღვარს, თუ როგორ უნდა ემოქმედნა მონასტრის წესისა და სიწმინდის შეულახავად დაცვისთვის. ირინეს სილამაზის ხმა მონასტრის ბნელ კედლებს კარგა ხანია გაცდენოდა და წუწკი, დედათა მოყვარე ერისთავები და აზნაურები არც ისე იშვიათად მოდიოდნენ მონასტრის ბაღებში მოსეირნე მზეთუნახავის შორიდან მაინც დასანახავად. ჰერეთში ტახებზე სანადიროდ მიმავალმა მეფემ და ტრაპიზონის იმპერატორმა რომ გზად გამოიარეს, ლაშამ თვალი დაადგა მონაზონთა გუნდში მგალობელ ულამაზეს მხევალს. იმ დღესვე ირინე და მონასტრის დებში სილამაზით გამორჩეული მეორე მონაზონი თეკლე დაიკარგნენ.

სამ დღეღამეს ჰყავდათ მეფესა და იმპერატორს თავიანთ კარვებში „ქრისტეს სძლები“.

მეფის მიერ ძალით ნამუსახდილი ირინე პირველ ღამეს სტიროდა, მეორე დღეს თავის ახალ, გაცილებით უფრო მიმზიდველ და ამაღლებულ მდგომარეობას შეეგუა და მესამე დღეს, ლამას გასაოცარი სინატიფით მოხიბლული და მეფეზე გულწრფელად შეყვარებული, უკვე საქართველოს დედოფლობაზე ოცნებობდა. თავისი სწორუპოვარი სილამაზე და საქვეყნოდ ცნობილი მეფის გულის ამყოლობა ამის საფუძველს აძლევდა, მაგრამ მეფეებმა ქინი დაიკხრეს, ლამაზი მონაზვნები მოყირჭდათ და შეგინებული, შერცხვენილი „ქრისტეს მხევლები“ უკანვე, მონასტერში გააბრუნეს.

უკან გასტუმრებისას მეფემ ძვირფასი საჩუქრით სცადა ირინეს გულის მოგება. უცებ სხვა ვერაფერი მოიგონა, ყელზე დავით აღმაშენებლისეული მთავარანგელოსის ოქროს ხატი მოიხსნა და ატირებულ მხევალს ჩამოჰკიდა. ეს ის ხატი იყო, რომელმაც დავითი იხსნა სიკვდილისაგან, როცა „ციხესა, რომელსამე ჰბრძოდეს, ქართლს, და მეფე კარავსა თვისსა დგა, პერანგითა ოდენ მოსილი, შუადღე, და ციხით ვინმე შემოსტყორცა ისარი, და ჰკრა ხატსა მთავარანგელოზისასა, რომელი ეკიდა ყელსა, ოქროსა მცირე, და ძალმან საღმრთომან განარინა მშვიდობით“. ამ სასწაულთმოქმედების შემდეგ მთავარანგელოსის ხატი საქართველოს მეფიდან მეფეზე მემკვიდრეობით გადადიოდა. ბაგრატიონთა რამდენიმე თაობის მფარველი ხატი ისე გააჩუქა ლაშამ, თითქო უბრალო რამ ნივთი ყოფილიყოს. ირინეს იმ მძიმე წუთებში დამცირებადაც ეჩვენა მეფის საჩუქარი, მაგრამ შემდეგ, როცა დრო გავიდა და მწვავე ნატკენი მიუყუჩდა, როცა მეფესთან გატარებული ღამეები უტკბეს მოგონებად ექცნენ, იმ ხანმოკლე ბედნიერების ერთადერთი მოწმე—მთავარანგელოზის ხატი უზომოდ შეიყვარა სამუდამოდ გაუბედურებულმა მონაზონმა.

თეკლემ იმპერატორისაგან დამდაბლება, საქვეყნოდ თავის მოჭრა და მონასტრის დათაგან ათვალწუნება ვერ აიტანა და თავი ჩამოიხრჩო.

ირინემ უზომო წყენას და გამწარებას, შეურაცხყოფასა და საქვეყნოდ გამოჭენებას გაუძლო, გულში ჩაიკლა და ყოველივე მტკიცედ გადაიტანა.

უბედურებისაგან გაკერპებული, თავის მდგომარეობას შეეჩვია და ამ ქვეყნიერი მეფის მიმართ შურის საძიებლად უზენაესი მეუფის წინაშე სიწმიდითა და მოღვაწეობით ამაღლებისათვის ზრუნვას შეუდგა.

მალე ირინე სამაგალითო გახდა თავისი ასკეტური ცხოვრებით, ლოცვითა და მარხულობით, სამონასტრო წესების დაცვისათვის თავის გამოდებითა და სიწმინდით.

სულის ცხონებისა და ხორცის დათრგუნვისათვის გამუდმებულმა ზრუნვამ ახალგაზრდა მონაზონის გარეგნობას კვალი მალე დააჩნია: ოცდაათი წლის ქალი წელში მოიხარა და სიტუოფით განთქმული სახე ნაოჭებით ადრე დაელარა.

დედა ირინეს წმინდა მოღვაწეობამ მალე მიიქცია სამონასტრო საქმის მესვეურთა ყურადღება, იგი შუამთის მონასტერშივე გამოარჩიეს და სხვა დათაგან მეტად აღამაღლეს, ხოლო შემდეგ არაგვის ხეობაში გადაიყვანეს და ყოვლადწმინდის დედათა მონასტრის წინამძღვრობა ჩააბარეს.

სულის სიწმინდისათვის საკუთარ გულთან და სხეულთან ძნელი და გაუთავებელი ბრძოლა ირინემ იმის იმედით გამხნევებულმა გადაიტანა, რომ ოდესმე ღვთის ძალით ამაღლებული და ძალმოცემული შეხვდებოდა მის გამაუბედურებელსა და დამდამბლებელს, მისი სილამაზის ზურგისშემქცევსა და უარისმყოფელ საქართველოს მეფეს.

ამ დღისათვის ემზადებოდა ამდენ ხანს ირინე, ამ დღეზე ოცნებით აიღო მან ხელი სააქაო ცხოვრების ნეტარებაზე, თორემ მეფის კარავიდან მონასტერში დაბრუნებულს კიდევ ბევრი მაცდუნებელი წერილი მოდიოდა კახელი ჭაბუკებისაგან, კიდევ ბევრი იყო მზად, ირინეს თანხმობისთანავე, მონასტრიდან მის გასატაცებლად და მასთან ამქვეყნიური ბედნიერებით დასატკბობად.

როცა საბა მარტომყოფმა თავისი განზრახვა გაანდო ირინეს, ყოვლადწმინდის დედათა მონასტრის წინამძღვარმა ფრიად გაიხარა. ირინემ ღვთის მიერ ჩაგონებით ახსნა საბა მარტომყოფისაგან ამ ღვაწლისათვის მისი ამორჩევა.

იგი ლოცვად დადგა, ღმერთს მეფესთან ბრძოლისათვის სიმტკიცესა და მხნეობის მინიჭებას, მასზე ძლევის მიცემას ევედრებოდა.

ლოცვით, ღამის თევითა და მარხულობით გულგამაგრებული და ნებისყოფაგანმტკიცებული ირინე მეფესთან შეხვედრის სამზადისს შეუდგა.

ლილეს მშვენიერება რომ იხილა, თავისი დათრგუნვილი ახალგაზრდობა და ცოცხლად დამარხული სიტურფე შეენანა, ბნელში უსიამოდ გაფრენილ საუკეთესო წლებზე გული დაწყდა და შეკავებული ოხვრა აღმოხდა.

მეფე, ალბათ, მალე ამოაკითხავდა და ირინეს არ უნდოდა ლილეს სიყვარულით გაგიჟებულ ლაშას უსახურად და ართვალად ჩვენებოდა. ძნელი და შეუძლებელი იყო იმ სილამაზის დაბრუნება, რომელმაც ას მონაზონში გამოარჩევინა მეფეს მისი თავი, მაგრამ ირინეს თვალებში ჯერ კიდევ კიაფობდა წინანდელი ცეცხლის ნაპერწკლები, წვრილ წარბებქვეშ კიდევ ამაყად გამოიყურებოდნენ შავი თვალები, ხოლო პატარა ტუჩებს კიდევ შერჩენოდა ძველებური ეშხი და მიმზიდველობა.

მონასტერში მისვლის დღიდან მას სახეს ფერუმარული არ მიჰკარებია და მის თვალს სარკეში საკუთარი ორეული არ დაუნახავს. იმის გაკეთება, რაც ახალგაზრდასა და ცთუნებით სავსეს ვერ გაებედნა, ახლა უკვე, თითქმის წმინდანად აღიარებულ მოღვაწეს მოუნდა: მონასტრის დედათაგან ფარულად სარკის წინაშე მოირთო და მოიკაზმა.

საკუთარი მოკაზმვას რომ მორჩა, ლილე გაიხსენა. რა უნდა ყოფილიყო წლობით ნატანჯი ირინეს გარეგნობა ლილეს აყვავებული მშვენების წინაშე! როგორ გამოიხედავდა უკვე ხანგადასული წინამძღვრისაკენ მზეთუნახავი სატრფოს სიყვარულით გაგიჟებული მეფე.

ირინეს წყურვილის მოკვლასავით მოუნდა ლილეს სილამაზისათვის ჩრდილის მიყენება, იმის დაჩქარება, რაც წლებსა და ხორცის გამუდმებულ ტანჯვას უნდა გაეკეთებინა.

მეფისათვის ლილე უთუოდ აღკვეცილი უნდა დაეხვედრებინა, ლილე აზიარა, ხელში დიდი სანთელი მისცა და მონაზონთა გუნდის გალობასა და ლოცვაში მეფის სატრფოს ულამაზეს თავზე მაკრატელი დაადებინა.

ლილეს თავზე ჯვრისებურად გაიარა მაკრატელმა და ძაძით შემოსილი დედოფლის მხრებს მოჭრილი შავი კულულები ბურბუშელებად დაეფინა.

ლილეს თვალთაგან დიდხანს შემაგრებული ცრემლი მოსწყდა და ღონეწართმეული მხევალი მუხლზე ჩაიკეცა.

ნაშუაღამევს გააღვიძეს ძილფხიზლად მწოლარე წინამძღვარი.

მონასტრის გალავანს ქინძილებანთებული ცხენოსნები შემორტყმოდნენ და კარებს გასატეხად აწვებოდნენ.

ირინემ პირჯვარი გადაიწერა, ღმერთს ერთხელ კიდევ სიმტკიცე და მხნეობა შესთხოვა და წარბშეკრული გამოვიდა.

— ვინ არღვევს მყუდროებასა ტაძარსა ღვთისასად.

იკითხა სარკმელთან მომდგარმა წინამძღვარმა.

— კარი გააღეთ. ხელმწიფე მობრძანდა.

— რისათვის დამაშვრალა მეფე სამეფოისა წარმავალისა წინაშე საუკუნოსა მეუფებისა?

— ხელმწიფის სახელით გიბრძანებთ, კარი გააღეთ!

შემოსძახა ეგარსლანმა და რკინის კარს შუბი მიურახუნა.

— არა უწყია მეფემ, რომელ ხელარაეწიფების ტაძარსა ღვთისასა?

— კარი გააღე, ვიდრე შევლეწავ! — შესძახა მოთმინებადაკარგულმა მეფემ და მცველებს კარის შეტეხვა ანიშნა.

მეფის სპა რკინის კარს მიაწყდა. საიდანღაც დიდი მორი მოიტანეს და ზედიზედ სცეს ურდულით დახშულ კარს.

კარი შეზანზარდა და შეირყა.

წინამძღვარი ვიწრო სარკმელში გაჰქრა და აღარ გამოჩენილა.

მეფის გვარდიელები გამეტებით სცემდნენ ვეება ძელს უკვე მორყეულ კარს. ძელის ცემასა და სპის ყვირილში უცებ გაისმა გალობა და მეფის კაცები წამით შედგნენ.

ეგარსლანმა ჯარისკაცებს შეუძახა. ერთხელ კიდევ გამეტებით აძგერეს ძელი და რკინის კარმა პირი დააღო.

მონასტრის ეზოში შევარდნილ მეფესა და მის სპას მონაზონთა გუნდი დახვდა კართან.

თეთრად შემოსილი მონაზნები საამოდ მღეროდნენ და მეფე შედგა. სიმღერა ნაცნობად მოეჩვენა, თითქო უკვე ერთხელ სადღაც გაეგონა და ეს მონაზნებიც სადღაც ენახა.

— რაი არს სურვილი შენი უკეთური?! — გადაუდგა წინ ჯვარშემართული ირინე.

მეფემ ცხენს ალვირი მოსწია.

— უკუ დექ გზისაგან, დედაბერო! — ზედაც არ შეხედა, ისე შეუძახა მეფემ და ცხენს ქუსლი ჰკრა.

„დედაბეროს“ გაგონებამ ირინეს წონასწორობა დააკარგვინა. ბრაზისაგან ანთებული მეფის ცხენს ავჟანდში სწვდა და ლურჯა ადგილზე გააქვავა.

მაშ, ამაო ყოფილა ირინეს გულმოდგინება, ფერუმარილსა და სარკეს წლობით მარხულობისა და ლოცვით ღამეების თევის კვალის წაშლა არ შეძლებია! იგი უშნო დედაბრად ეჩვენა მეფეს, ზედაც არ შეხედა სატრფოსკენ მოსწრაფე მიჯნურმა და ამან კიდევ უფრო ცეცხლი მოუკიდა წინამძღვარს.

— გარემიიქეც უკეთურო, სახლისაგან ღმრთისა. არა იძიო რისხვა მეუფისა ცათა და ქვეყანათა!

— გზა მეთქი! — უდიერად მიუგდო ლაშამ წინგადაღობებულ ირინეს და ცხენის დაძვრა სცადა.

ამასობაში ეგარსლანს მონასტრის დავლა მოესწრო, სენაკები დაერბინა და ლილეს თავს წადგომოდა.

პირველად ვერ ეცნო ფლასით შემოსილი, თავგადაპარსული „დედოფალი“ ეგარსლანს.

მეფის მოსვლის მიზეზი რომ გაეგო, გულგადატრიალებულ ლილეს სენაკას კარი ურდულით დაეკეტნა. თავგადახოტრილ, დაუშნოებულ მხევალს არ უნდოდა ლაშას ჩვენებოდა, თუმცა მეფის ერთი შეხედვისათვის სიცოცხლეს სიამოვნებით დასთმობდა. ეგარსლანის წინაშე ხატზე დაეფიცნა, თუ მეფე ძალით წაყვანას და კარის შემტვრევას მომინდომებს, აქვე თავს ჩამოვიხრჩობო.

ეგარსლანს მაინც მეფის წადილის ასრულების იმედი არ დაეკარგა, ლაშასთან მოირბინა და ახარა:

— აქ არს დედოფალი, მეფევ, სენაკსა შინა, თავის წინა.

მეფემ ცხენი რომ ველარ გამოგლიჯა წინამძღვარს ხელიდან, უცებ უზანგებში ფეხები გამოიღო, უნაგირზე შედგა და გრძელი ნახტომით ისკუპა. გადამხტარი, გაქცეული მეფის დანახვაზე ბერნაზნები შეჩოჩქოლდნენ. წინამძღვარი არ დაიბნა, მოკლე გზით თავს დაუარა და მეფეს ლილეს სენაკის კართან დაუხვდა.

— მოსულხარ წარტყვევნად მხევალთა წმიდათა, რამეთუ დაიცხრო გულისთქმა კარავთა შინა! — ანჩხლად შესძახა მიახლოებულ მეფეს და ისევ გაისმა მონაზონთა გალობა.

— არა წინააღუდგე ხატსა ამასა სასწაულთმოქმედსა — თვალთაგან ცეცხლის ფრქვევით განაგრძო ირინემ და ყელზე გრძელი ძეწკვით დაკიდებული მთავარანგელოსის ხატი მაღლა აღმართა.

— არა განსცადო უფალი შენი! არა იძიო რისხვა ღმრთისა, ძალდიდებულისა.

აღმაშენებლისეული ხატის დანახვამ ლაშა ადგილზე გააქვავა. ფერფური წაუვიდა და კინაღამ იქვე ჩაიკეცა.

ყინქლილების შუქით განათებულ წინამძღვრის სახეს დააცქერდა მეფე.

დააცქერდა და ეცნაურა.

წამით გაჩუმებულმა მონაზნების გუნდმა ისევ გალობა იწყო და მეფე ნელნელა გამოერკვა: მას უცებ გაახსენდა გომბორის მთაზე მგალობელი გუნდი, წინამძღვრის სახეს თითქო ნელ-ნელა ნაოჭები მოცილდა და მის წინ ისევ მშვენიერი ირინე გაცოცხლდა — ჯერ მონაზონთა გუნდში მომღერალი, მერე მის მკლავზე მწოლარე და ბოლოს კარვიდან ტირილით გასტუმრებული, მთავარანგელოსის ხატით დასაჩუქრებული.

ლაშამ ნელ-ნელა უკან დაიწია.

— ვითარ მოხველ წარტაცებად მხევალთა ქრისტესათა, დაცხრომისათვის გულისთქმისა შენის? — დაჰკიოდა თავდახრილ მეფეს წინამძღვარი და ნაბიჯნაბიჯ უკან ახევინებდა.

— არა მხევალთა წარტაცებად მოვსულვარ. დედოფალი ლილე წარუტყვევნიათ მონასტერსა ამას და მოველ წაყვანებად მისისა. — ლუღლუღით მიუგო გამტყდარმა, მაღლა ამართული ხატისა და საკუთარი სინდისის წინაშე ქედდადრეკილმა მეფემ.

— ნებითა თვისითა და ჩაგონებითა ღმრთისათა მოსულ არს ხარჭა მეფისა ლილედ წოდებული, აწ აღკვეცილი მხევალი ღვთისა. განვედ სახლისაგან უფლისა, ეშმაკისაგან აღძრულო ბიწიერებავ; განვედ, სატანავ, ძალითა ღმრთისათა!.. განვედ!.. — მისძახოდა და მისდევდა გაკაპასებული, ძალამოცემული წინამძღვარი, საცოდავად მობუზულ, მუშტისოდენადქცეულ ლაშას, რომელიც ლასლასითა და ფეხისთრევით, მაგრამ მაინც უკანმოუხედავად მიდიოდა გასასვლელისაკენ.

ქიშკრამდე ბარბაცით მისული მეფე ცხენზე ძლივს შეჯდა. თავჩაქინდრულმა ლურჯას სადავე ნებაზე მიუგდო და მონასტერს გაშორდა. გზისკენ კუშტად მაცქერალმა ირინემ მძიმედ ამოიოხრა. უკან რომ მოიხედა, წელანდელ წინამძღვარს აღარ ჰგავდა, ანჩხლსა და მრისხანეს სახის ნაკვთები მოშვებოდა და თვალთაგან ცრემლები ღაპა-ღუპით სცვიოდა. თავი ველარ შეიმაგრა, ყრუ ქვითინი წასკდა და მუხლებზე დაეცა. იქ მყოფთაგან არავინ იცოდა, რას დასტიროდა წინამძღვარი — ლაშასა და ლილეს უიღბლობას, თუ ცოცხლად დამარხულ საკუთარ ახალგაზრდობას.

*

* *

კარზე აკრული ლილე სულგანაბული უსმენდა მეფისა და წინამძღვრის წელანდელ საუბარს. გული ბაგა-ბუგით უცემდა, ყურები უბჟუოდა და ნახევარი არ ესმოდა, მაგრამ გაგონილიც ეყო უბედურ ქალს.

როგორი საცოდავი იყო ლაშა, მისი საყვარელი ლაშარელა, როგორ უმწეოდ ელაპარაკებოდა მკაცრ წინამძღვარს! შეებრალა, უზომოდ შეეცოდა მისგან ასე უმიზეზოდ გაუბედურებული, გატეხილი და დაბეჩავებული მეფე. ნებისყოფა სტოვებდა ლილეს და ცოტა კიდევ რომ გაგრძელებულიყო მეფისა და წინამძღვრის ლაპარაკი, ცოტა კიდევ რომ გაეგონა ლაშას საბრალობელი ნაუბარი, ლილეს ნამდვილად ღონე აღარ ეყოფოდა კარს უკან დგომისათვის, აკანკალებული ხელით ურდულს გასწევდა და ფეხქვეშ ჩაუვარდებოდა მისთვის ესოდენ თავგადადებულ მიჯნურს.

მაგრამ ლაშას ხმა ჩაუწყდა, ხოლო წინამძღვრის ხმას ზარი მოემატა. ლაშა მონასტრიდან წავიდა და ლილე ისევ მარტო დარჩა, ამიერიდან უკვე ადრინდელზე უბედური, რადგან ლაშას მოსვლამ რწმენის სიმტკიცე შეურყია და ისევ ცხოვრების სიამისათვის აღუძრა მიძინებული, ფერფლწაყრილი სურვილი. ის ღამე ტირილში გათენდა და მეორე დღეც ტირილში მიიწურა.

საღამო ხანს მეფის ლურჯას ჭიხვინი მოესმა ლილეს და გული ჩიტივით აუფართქალდა.

ცოტა ხნის შემდეგ ლაშას ესოდენ ნაცნობმა და საყვარელმა ხმამ მოაღწია ახლად შემონაზნებულის ყურამდე.

ქარაფზე დაშენებული მონასტრის ძირში, მდინარის პირას, დაბლა, ძლიერ დაბლა, ვაჟკაცი სტიროდა დაგუბული ხმით. ეს ხმა გულის შემძვრელი იყო, როგორც, საერთოდ, არის ხოლმე ვაჟკაცის ტირილი, წრფელი და გულის სიღრმიდან მომდინარი.

— ლილე! ვაი, ლილე!..

ყრუდ მოესმოდა შორეული გოდება თავათაც გულამომჯდარ ლილეს და ქვის იატაკზე დამხობილი მეფის სატრფო მხურვალე კოცნით ათბობდა მდინარის პირისკენ მიქცეულ მონასტრის ნესტიან კედელს.

*

* *

ლილეს მტკიცე გადაწყვეტილებისა და მონასტრის შეუვალობის წინაშე ულონოქმნილ მეფეს სასოწარეკვეთა. მოქმედების მიზანი და ცხოვრების აზრი დაეკარგა. ყოველგვარ საქმესა და საზრუნავზე ხელი აიღო.

სამაგიეროდ, გამოუფხიზლებელ სმას მიჰყო ხელი ლაშამ და ღვინის გარდა ამ ქვეყნად ყველა და ყველაფერი დაივიწყა.

უაღრესად დანაღვლიანებული მეფე ღვინოში აღრჩობდა ჯავრს. ხედავდნენ ახლობლები მეფის უნუგეშობას და ებრალებოდათ უბედური. რაკი მისი შველა და დარდის შემსუბუქება არ შეეძლოთ, სმას არ უშლიდნენ და პირიქით, ხელსაც უწყობდნენ სევდის უკუყრასა და თავდავიწყებაში.

მხოლოდ დაუცხრომელი და მუდმივ მოქმედი ეგარსლანი ფიქრობდა მეფისათვის ყველაზე დიდი საზრუნავის შემოვლას, მისი განუკურნებელი სატ-

კივრის შველასა და ამით ერთხელ კიდევ ლაშასადმი თავისი უსაზღვრო ერთგულების დამტკიცებას.

მეფესთან ერთად ხელცარიელა მობრუნების შემდეგ ერთ საფიქრალს-ღა ფიქრობდა ეგარსლანი: მონასტრიდან როგორმე გამოეტყუებინა ლილე, მეფისათვის უკანვე მოეგვარა, ხელმწიფე გაეხარებინა და მისი ახალი წყალობა დაემსახურებინა.

იმდენი უტრიალა მონასტერს ეგარსლანმა, რომ მონაზნებში ერთი დედაბერი მოისყიდა და ლილეს შეუჩინა.

დედაბერმა ორჯერ გადასცა ლილეს ლაშას საიდუმლო წერილი.

გულმოკლული მიჯნური ცრემლით აბრალებდა თავს უმიზეზოდ გამწირველ სატრფოს, ერთად გატარებულ სიამეს ახსენებდა და უკანვე იხმობდა თავისაკენ.

ლილე ცრემლებით ალბობდა მეფის ბარათებს, გულში იხუტებდა და კოცნიდა, მაგრამ სიმტკიცეს იჩენდა, პასუხს არ სცემდა ლაშას და მონასტრიდან დაბრუნებაზე ფიქრს ძალისძალით თავიდან იშორებდა.

არ ტყდებოდა, მაგრამ უჭირდა ლილეს საკუთარი გულისთქმის წინააღმდეგ ბრძოლა. ღამეებს ჩუმი ტირილით ათენებდა. როგორც კი თვალს წაატყუებდა, მაშინვე მეფე ან უფლისწული დაესიზმრებოდა და მათთან ალერსის ნეტარებას ეძლეოდა. გამოღვიძებულს სიზმრის დასრულება ენანებოდა და ლოცვასა და ვედრებაზე გული აღარ ჰქონდა.

მონასტრის წინამძღვარს თვალში ჰყავდა ამოღებული ლილე. იმის მაგივრად, რომ მისთვის მონასტრის წესების სიმძიმე შეემსუბუქებინა, ირინე, პირიქით, რითაც კი შეეძლო, ტვირთს უმძიმებდა სუსტსა და უსასო მხევალს და მისდამი განსაკუთრებულ მომთხოვნელობასა და სისასტიკეს იჩენდა.

დაუსრულებელი ლოცვისა და მარხულობისაგან, ჯავრისა და უძილობისაგან გახდა, გაიცრიცა და თავისსავე ლანდს დაემგვანა ლილე.

გრძნობდა, რომ ღონე ელეოდა და მარტო ღონე კი არა, სულიერი სიმტკიცეც ღალატობდა. იგი უკვე უძლური იყო. უწყალოდ დაჭრილი მიჯნურის ხვეწნისა და მუდარის წინაშე და მცირე ბიძგი-ღა უნდოდა, რომ უკანვე ამ ქვეყნიური ცხოვრების სიტკბოებისაკენ ებრუნებინა პირი.

თვეზე მეტი გასულიყო.

მეფეს ერთგული ყმის დაპირებისა აღარ სჯეროდა და ეგარსლანსაც ამაო ლოდინით გული გადალეოდა.

მეფის მსახურმა უკიდურესი ღონისძიება იხმარა და ძნელად გასაბედავი გაბედა: ლილეს მეფის ბარათების გზავნა შეუწყვიტა და როცა მიჯნურის წერილის დაგვიანების გამო ახლად შემონაზნებულის ღელვა და შეშფოთება შეიტყო, მიჩენილ დედაბერს საიდუმლოდ ათქმევინა — მეფე დასნეულებულა და ლოგინად ჩავარდნილაო.

ამ ამბავმა ერთიანად ააფორიაქა ლილე. თავის თავს დაუწყო გამტყუნება, რწმენის სიმტკიცე ვერ გამოვიჩინე, მეფისა და უფლისწულისათვის ლოცვა-ვედრებას დავაკელი და ყოველივე ჩემი ბრალიაო.

ისედაც გრძელ მარხვასა და ლოცვას უმატა და თვალთაგან ღლის შუქი მოიკვეთა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ეგარსლანის მიერ შეჩენილმა მონაზონმა ჩუმი ტირილით უთხრა: შემებრალე და ვერ გაგიმხილე, მეფე კი არ არის ავად, უფლისწულს შებრუნებია სნეულება და პირვანდელზე უფრო ცუდად ყოფილაო.

ამაზე ხომ სულ გადირია ლილე. ის ღამე თეთრად გაათენა, ლოცვამ და ვედრებამ ვეღარ დაუმშვიდა შეშფოთებული სული. მეორე დღეს თავს იკავებდა, თორემ გაგიჟებას აღარაფერი უკლდა, ღღისით რომ გაქცევა შეძლებოდა, ერთ წუთსაც არ დაფიქრდებოდა და მონასტერს მიატოვებდა.

თვითონ მოძებნა ამბის მცნობელი მესაიდუმლე და თავათვე დაუწყო იმაზე ჩურჩული, თუ როგორ შეიძლებოდა სნეული უფლისწულის სანახავად ერთი ღამით მონასტრიდან გაპარვა.

დედაბერმა გაიხარა. იმ ღამესვე ფარულად ტანსაცმელი მიუტანა ლილეს და ეგარსლანის ფულებით მონასტრის დარაჯები მოისყიდა, რომ ღამით დაუბრკოლებლად გაეტარებინათ გადაცმული მხევალი.

*

* *

ლილეს დარდით მეფეს ქალაქში გული აღარ უდგებოდა. ერთთავად არაგვის ხეობაში დაეხეტებოდა და გამვლელ-გამომვლელებს ხევის მონასტრის ამბავს ეკითხებოდა.

მიმწუხრისას ცხენდაცხან მარტოდმარტო მოხეტიალე მეფე მოქეიფეებს გადაეყარა. მტკვრის პირას, ხის ქვეშ მწვანეზე გაშლილ სუფრას უსხდნენ ქალაქელი ნაძირალები.

კუნძამ შორიდანვე იცნო ლაშა, თავის თანამეინახეებს ანიშნა. მეფეს მიეგებნენ, მის ცხენს ფეხქვეშ ჩაუვარდნენ და ლაშას სუფრაზე წვევა თხოვეს.

ჯავრიან მეფეს ღვინო წყუროდა, მთხოვნელებს ბევრი აღარ ახვეწნინა და მათ სუფრაზე ჩამოხდა.

დიდ-დიდი სასმისები მოართვეს მეფეს.

ლაშა დახარბებული ცლიდა და მალე დათვრა.

ნაძირალები ეხვეოდნენ და ლოშნიდნენ. ისიც სანაცვლოდ კოცნიდა და ძმობას ეფიცებოდა.

ბოლოს, ღვინით რომ თავი მოსწყვიტეს, მეფე იქვე მიწვა და დაიძინა.

კუნძამ მეფე გაწმინდა, ტან-ფეხსამოსის გარდა, სხვა აღარაფერი დაუტოვა, ფული ამოაცალა და, საიდანაც კი შეიძლებოდა, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვლებიააძრო.

საქმეს რომ მორჩნენ, გაძარცული მეფე მიატოვეს და მტკვარს აღმა აჰყვნენ დასამალავად.

დიდი გზა ჰქონდათ გავლილი.

ცას მტრედისფერი ეპარებოდა, წინ რომ მარტო მომავალი ქალი შემოხვდათ.

თავპირახვეული ქალი მთვრალი კაცების დანახვაზე დაფრთხა. გზის აქცევა დააპირა, მაგრამ გადასახვევი არსად იყო.

საცოდავად მოიბუზა და ბუჩქნარს აეკრა იმ იმედით, ჯერ კიდევ სინათლე არ არის და ჩქნებ ვერ შემამჩნიონო.

კუნძამ შორითვე დაინახა მარტო მომავალი ქალი. ბიჭებს ანიშნა არ გაუშვათო და მთვრალი ნაძირალები irgvliv შემოერტყნენ შიშისაგან აცახცახებულ მგზავრს.

— აბა, პირი გვიჩვენე, მზეთუნახავო! — ღრეჭით უთხრა კუნძამ და ხელის ღონიერი გაკვრით ქალის სახეს საბურველი მოგლიჯა.

გასაოცრად ლამაზი ქალის დანახვაზედ კუნძას ღვინისაგან არეული თვალები უცნაურად აუთამაშდა, პირზე ნერწყვი მოადგა და ხელგაშლილმა მოსახვევად გაიწია.

ქალი მაგრად დაუხვდა, უქალიანდებოდა, ფრჩხილებით პოტნიდა და კბილებით კბენდა ჯირკივით ჩასხმულსა და თავბრტყელ კუნძას, მაგრამ ვნებასაგან გაგიჟებულსა და სიმთვრალით გადარეულ მხეცთან, რას გააწყობდა!

ბოლოს, რომ აღარაფერი გაუვიდა, ქალმა უკანასკნელ ღონეს მიმართა:

— რას ჩადი... დედოფალი ვარ! მეფის თანამეცხედრე... სიკვდილით დაგსჯით მეფე! — განწირულად შეჰყვირა, მაგრამ გამხეცებულ კუნძას მისი აღარაფერი ესმოდა.

— უფრო კარგი! მეფეს ყველაფერი ავცანცლეთ და ახლა ცოლის ნამუსსაც ავართმევთ! — ქირქილით თქვეს ნაძირალებმა და მეთაური წააქეზეს:

— მიდი კუნძაჯან! მიდი! დედოფალი ყოფილა და ჩვენც ერთხელ მეფეები ვიყოთ!

კუნძამ ბანჯგვლიანი ხელები მაგრად მოხვია და ის იყო ქანცგაწყვეტილი ქალი უნდა წაექცია, რომ ლილე ხალათშემოხეულ მოძალადეს კბილებით ბეჭზე დააფრინდა. გამწარებული ქალის კბილებმა თითქმის ძვლამდე ჩაატანა. კუნძა ტკივილისაგან დაიგრიხა და წამით სალტედ შემოჭდობილი ხელი უშვა. ლილემ უკანასკნელად მოიკრიფა ძალ-

ღონე, მოძალადეს გაუსხლტა და მაღალი კლდიდან თვალმოუსწრებლად გადაუშვა მორევში.

გათენებულზე მეფე ხალხის ყაყანმა გამოაღვიძა.

მაინც პირზე წყლის შესხმა უნდოდა და მტკვრისკენ წავიდა.

მეთევზეებს მტკვარში დამხრჩვალი ქალი ეპოვნათ, წყლის პირას ამოეყვანათ და თავს დახვეოდნენ.

ლაშა ნელ-ნელა მიუახლოვდა.

შორიდანვე რაღაც შიშმა შეიპყრო, უკან გაბრუნება უნდოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა, თუ რაღაც სხვა განცდა ან გრძნობა უკან მიტრიალების ნებას არ აძლევდა და წინ მიერეკებოდა.

პირველ დანახვაზე ვერ იცნო მეფემ თავგადაპარსული, გამხდარი ქალი. მაგრამ ახლო რომ დააკვირდა, თვალთ დაუღამდა. „ლილეო", ერთი დაკლულივით შეჰღრიალა და რეტდასხმული მკვდართან ჩაიკეცა.

## თავი მეოცდაორე

## დამშრალი წყარო

„...შენ მიწაში ხარ,
მე მიწაზე დავიარები..."

ქალაქური ფოლკლორიდან.

ქალაქის საგოდებელზე დამარხეს ლილე, მდაბიოთა და უბრალო მოქალაქეთა გვერდით.

გელათის სამეფო სამარხი არავის უხსენებია და თვითონ ლაშასაც ხმა არ ამოუღია ლილეს დასაფლავებაზე ბაგრატოვანი დედოფლების გვერდით. სიცოცხლეში არ აღირსეს მის ცოლს მეფური დიდება და ლაშასათვის ახლა სულ ერთი იყო, როგორ პატივსაც მიაგებდნენ გარდაცვლილს.

სასაფლაოდან გათავებული მობრუნდა ლაშა — მხრებმოხრილი და მიწისფერი, სიცოცხლემოძულებული ბერიკაცივით მოდიოდა უკან და კი არ იცოდა, რად ან რისთვის-ღა ბრუნდებოდა შინ.

თავისი ცხოვრების ყველაზე დიდი სიხარული აქ, ამ უბირ საგოდებელზე მიაბარა მიწას და ახლა უაზროდ, ფეხების თრევით მოლასლასებდა სასახლისაკენ.

სულ, რაღაც, ერთი თვის წინ, ხალხი მისი ბრწყინვალების საჭვრეტლად ეფინებოდა ქუჩებსა და ბანებზე, ამაყი და ნებიერი მოათამაშებდა ხოლმე ამ გზებზე ოქროთი და პატიოსანი თვლებით დარახტულ ლურჯას და უდარდელი ღიმილით იხედებოდა წინ, ულრუბლო მომავლისაკენ.

ნადირობიდან და ქეიფიდან შემოქცეული მხიარული მეფის ცქერას შეჩვეული თბილისელები თანაგრძნობით შეჰყურებდნენ უიღბლო სიყვარულისაგან დაჩაგრულსა და გაუბედურებულ ჭაბუკ მეფეს, რომელსაც სიჭაბუკისა აღარა ეტყობოდა რა, დარდისაგან დალეული იყო და მიწაში ჩასაძრომად გამზადებულ თხუნელას დამგვანებოდა.

გარინდებული მეფე მთვრალივით მოდიოდა. ვერც თვალით ხედავდა რამეს, წინდადებული გზის გარდა და არც ყურით ესმოდა რამე გაურკვეველი შუილის მეტი.

ასე უაზროდ იგი მთვრალი ბრუნდებოდა ხოლმე შინ, ნაქეიფარი, მარტოდმარტო, უგონო და მთლიანად აზრგამორთული, როცა ქვეშეცნობილად დგამდა ხოლმე ნაბიჯს და ამ ნაბიჯს შეუცდომლად მოჰყავდა სასახლეში. მეორე დღეს თვითონვე უკვირდა ხოლმე გამოფხიზლებულ ლაშას, თუ როგორ მოაღწია სასახლეში. ახლაც, როცა მის წინაშე გალავნის დიდი კარი გაიღო და თავდახრილმა გუშაგებმა მეფეს გზა მისცეს ლაშამ სიმთვრალისაგან გამოფხიზლებულივით შეხედა იქაურობას და გაოცებით შეეკითხა თავის თავს, როგორ და რამ მოიყვანა აქამდის!

გულმოკლულმა მოიხედა უკან და ისევ მანქანასავით უგრძნობლად და უაზროდ გაჰყვა გზას უზარმაზარი ჯავრისაგან დაყრუებული და გონდაკარგული.

სასახლეში მოსული ჰირისპურს მიუჯდა და დამშეულივით ეცა საჭმელს.

სუფრიდან რომ წამოდგა, თვითონვე გაუკვირდა, როგორ შეძლო საჭმლისათვის პირის გახსნა და თავისთავი თვითონვე შეეზარა, როცა გაიხსენა, როგორ ცხოველივით გლეჯდა მშრალად მოხარშულ ხორცსა და შოთ პურებს.

ლოგინზე გაუხდელად დაეგდო. რამდენიმე ღამის უძილობითა და დარდით ქანცგაწყვეტილს მაშინვე მკვდარივით ჩაეძინა.

ნაშუაღამევს ხმა ჩაესმა მძინარს:

— ლაშა... ლაშარელა!..

ლილე ეძახდა.

შეშლილი წამოიჭრა ლოგინიდან, იქაურობა მოათვალიერა, მერე ლილეს ცარიელ ლოგინთან მივიდა, მუხლზე ნელა ჩაიჩოქა და საწოლს ზედ დაემხო. ტიროდა.

ვიღაც სადღაც მღეროდა თუ ლაშას მკვდარი გული მღეროდა, თვითონაც ვერ გაეგო მტირალ მეფეს, ოღონდ საგალობელი კი ესმოდა და თვითონაც ამ სიმღერის ხმათა საოცარი ფრთებით სადღაც მიფრინავდა მზიურისა და მიმზიდველისაკენ, დაუვიწყარისა და უკვდავისაკენ.

— აჰა, კეთილხარ მახლობელო ჩემო — მღეროდა სადღაც სხვა ვიღაც, თუ ლაშას მოკლული გული, — აჰა, კეთილხარ, თვალნი შენნი, ვითარცა ტბანი ესებონსა შინა, თმა შენი, ვითარცა არვეთხათა, ბაგენი შენნი, ვითარცა ნაქრცვენი ვარდისა, ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი თიკანნი მარჩბივნი ქურციკისანი, რომელი სძოვდეს შორის შროშანთა, მუცელი შენი, ვითარცა ხვავი იფქლისა, გარემოცული შროშანთა შინა... აჰა, კეთილხარ, მახლობელო ჩემო, აჰა, კეთილხარ... რაბამ გაშვენდეს ძუძუნი შენნი უფროს ღვინისაგან, და სულნელება სამოსელთა შენთა, უფროს ყოველთა ნელსაცხებელთა. გოლი მოსწვეთის ბაგეთა შენთა, სძალო, თაფლი და სძე ქვეშე ენასა შენსა და კეთილსუნელება სამოსელთა შენთა, ვითარცა კეთილსუნელება ლიბანისა, მტილი დახშული და ჩემი სძალი, მტილი დახშული, წყარო დაბეჭდული...

— ვაი! — დაიგმინა ლაშამ, სადღაც შორს თუ მისსავე გულის სიღრმეში გალობა მისწყდა და კვლავ ლილეს ძახილი ჩაესმა მეფეს, ტკბილი და ალერსიანი:

— ლაშა.. ლაშარელა!..

მეფე ფეხზე წამოდგა, კარი გააღო და გარეთ გავიდა.

გარეთ ქარი იყო და სადღაც ზარები რეკდნენ, არა, ზარები კი არა, ლაშარის ხატის კურატების ეჟვნები და ხმელგორის ბერმუხაზე შებმული შიბები წკარუნობდნენ და რეკდნენ და ადიდებული არაგვი, თუ საომრად მიმავალი ლაშქარი გუგუნებდა:

— ლაშარელაის ლურჯასა
ფაფარი სხავის გიშრისა,
შაჯდება, გაემართება,
კოტორ გაჰყვება ნისლისა,
თავის ყმათ მიეშველება,
ხან რომ არ იყოს მისვლისა...

მოლაშქრენი მღეროდნენ თუ ზარები რეკდნენ, კარგა ხანს ესმოდა ლაშას ყურში გუგუნი და ქარიშხლის შხუილი.

მკერდგაღეღილი და თმებაშლილი ლაშა საგოდებელთან გამოფხიზლდა. თვითონვე გაუკვირდა, როგორ გაჩნდა ნაშუაღამევს სასაფლაოზე.

ხისქვეშ მესაფლავეები ისხდნენ, პურსა სჭამდნენ და სადღეგრძელოებს ამბობდნენ.

— ძალიან ქელეხი გადაიხადა მეფემ, ჩვენც კარგი სუფრა გაგვიშალა, ჩიტის რძე არ დაგვაკლო!

— ქალაქში ჭირი გაჩნდაო, ამბობენ და თუ მართალია, ეს ჩიტის რძე კარგახანს არ მოგვაკლდება.

— ღმერთმა ჰქნას და მართალი იყოს! მაშინ ხომ ჩვენს ბედს მართლა ძაღლიც არ დაჰყეფს!

მეფეს შეაჟრჟოლა მესაფლავეების ნათქვამის გაგონებაზე. ეს საცოდავები

ჭირისა და ჟამიანობის გავრცელებაზე ოცნებობდნენ, რომ ლუკმა პური ან „ჩიტის რძე“ არ დაჰკლებოდათ.

აი, თურმე რა ყოფილა ჩიტის რძე! და ლაშას გაახსენდა თავისი ბავშვობის ერთი შემთხვევა:

ძიძა ზღაპარს უამბობდა თურმე ხუთი-ექვსი წლის ლაშას. ზღაპარი ასე დაუსრულებია ძიძას: შინ მოსულმა ქაჩალმებატემ ისეთი ქორწილი გადაიხადა, ჩიტის რძე არ აკლდათო.

ჟინიანმა უფლისწულმა აიჩემა თურმე ჩიტის რძე მინდა და ჩიტის რძეო...

თამარ მეფესა და დავით სოსლანს შვილის ჟინის ასრულება უცდიათ, მთელ ქვეყანაზე მძებნელები გაუგზავნიათ, ისეთი ჩიტის საშოვრად, რომელსაც რძე ექნებოდა: რანაირი სირი არ მოუყვანიათ ინდოეთიდან თუ ხატაეთიდან, არაბეთიდან თუ ბნელეთიდან, ფერად-ფერადი და უცხო-უცხოდ მგალობელი ადამიანივით მოლაპარაკე და ამბის მიმტანი, მაგრამ ისეთი ფრინველი კი ვერსად აღმოუჩენიათ, რომელსაც რძე ჰქონოდეს.

დაღონებულან მეფეები და დიდებულები. ატირებული უფლისწული ამათლა დაუმშვიდებიათ: ის ჩიტი მზესა ჰყავს დატყვევებული, შენ რომ გაიზრდები და გამეფდები, მზეზე ახვალ, უცხო ფრინველს თავათ ინადირებ, შენს ხალხს მოჰგვრი და ქართველებს ჩიტის რძე არასოდეს აღარ მოაკლდებათო.

რამდენჯერ უოცნებია ლაშას იმ დღის შემდეგ ჩიტის რძეზე, მზეზე ასვლასა და უცხო ფრინველის მონადირებაზე! და თურმე, რა ამაოდ ეძებდა იგი ცაში საოცნებო ფრინველის რძეს!

ჩიტის რძე აქ, მიწაზე ყოფილა. იგი მცირე ლუკმით კმაყოფილთ, ამ მესაფლავეებსავით უბრალო ხალხს ჰქონია, ხოლო ამ ქვეყნის მეუფეთა და მბრძანებელთა მდიდრულ სუფრას ზღაპრული ჩიტის რძე მუდამ ჰკლებია, რადგან ეფეები ღვთისა და ხალხის მოცემულით კმაყოფილნი არასოდეს ყოფილან და მათ აღუვსებელ საწყაულში დაუკმაყოფილებელი სიხარბისა და შურის გვერდით კმაყოფილებისა და მოსვენებისათვის ადგილი აღარ იყო.

— საწყალი მეფე! — თქვა მესაფლავემ და ლაშა მაშინვე გამოერკვა ფიქრიდან — საწყალი მეფე! ძალიან კი ჰყვარებია ლილეი. როგორ დაჯავრიანდა, თითქო დაბერდა კიდევაც!

— ეჰ, ჩემო, ნიკა! — ჩამოართვა მეორემ — მეფე სხვასაც კიდევ ბევრს იშოვის, იმ საცოდავმა ლუხუმამ რა ჰქნას, ახლა რომ საფლავზე გდია და დაჭრილივით ღმუის!

— მაშ... მაშა!.. — დაეთანხმა ნიკა — ცოცხალი წაართვეს და, მკვდარს მაინც აღარ შეეცილებიან, მკვდარი ხომ მისია და მისი. მაგას ყვარებია თავისი ცოლი, თორემ მეფე ამ შუაღამეში ძილს არ გაიტეხს მკვდარი ხარჭის დასატირებლად.

მეფეს ეკალივით მოხვდა გულზე უკანასკნელი სიტყვები.

— ეგ კი არა, რომ ნახონ, მაგასაც არ დააცლიან, ცოცხალი ხომ არ მისცეს და მკვდარსაც არ დაანებებენ ლუხუმს სატირლად.

— მერე რა უფლებით უნდა დაუშალონ.. რა სამართლით ემართლებიან?!

— ეჰ, შენც ლაპარაკობ, კანონ-სამართალს ცოცხალზე არ გააჭრევინეს და მკვდრებისთვის სად იშოვნიან.

მეფე ნაცემივით მოიბუზა. იქაურობას ნელა გაშორდა და ლილეს საფლავისკენ წავიდა.

საფლავზე უზარმაზარი ლანდი დამხობილიყო.

ლაშას ვაჟკაცის ღმუილი ჩაესმა და რეტიანივით წაბარბაცდა. იქვე, ვიღაცის საფლავზე მდგარ კიპარისს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო, ღონე მოიკრიფა და მგოდებელს გახედა.

ლილეს საფლავზე ლანდი წამოიმართა, თავი აიღო და ლაშამ მთვარის შუქზე კარგად დაინახა საკინძჩამოხეული ლუხუმი.

მიგრიაული რაღაცას დაჭრილი ღათვივით ბურდღუნებდა. გაურკვევლად, გულამომჯდარი სლუკ-სლუკებდა და მისი სიტყვები ლაშას ყურამდე ვერ აღწევდა.

ხანდახან მჯილს დაირტყამდა გულში, მერე ისევ საფლავს დაემხობოდა და დასაკლავი ხარივით იწყებდა ხელახლა ზმუილსა და ბღავილს.

ლუხუმმა ერთხელ კიდევ აილო თავი.

ლაშას საოცრად ლამაზი და წმინდა ეჩვენა იმ წუთს ეს ხმლით დაგონჯებული კაცი, რომელსაც ცოლისაგან განწირვისა და ღალატის მიუხედავად, ამდენი სიყვარული და კეთილშობილება კიდევ შერჩენოდა, რომ საქვეყნოდ შემარცხვენელსა და მომძულებელ ცოლს ასე გულით დასტიროდა.

ლაშას უნდოდა მისულიყო, მოხვეოდა, ეკოცნა და მასთან ერთად ეტირნა, რადგან ორივეს ერთნაირი ძალით, ზეადამიანური ძალით ჰყვარებიათ ლილე, რადგან ლილეს შემდეგ არც მათ რჩებოდათ სანუგეშო ამქვეყნად, არც ლილეს დარჩენია მათსავით ერთგული და მათებრ თავდავიწყებამდე მოყვარული.

ის იყო, ფეხი უნდა გადაედგა ლუხუმისაკენ, რომ მესაფლავეების წელანდელი სიტყვები გაახსენდა.

— ცოცხალი წაართვეს და მკვდარს მაინც აღარ შეეცილებიან, მკვდარი ხომ მისია და მისი!..

აფორიაქებული ლაშა შეყოყმანდა, მიხვდა, რომ მისი გამოჩენა ლუხუმის სულს აღაშფოთებდა და შეურაცხყოფდა.

— ცოცხალი ხომ არ მივეც და მკვდარსაც არ დავანებებ სატირლად?! რა უფლებით... რა სამართლით ვემართლები!..

იმეორებდა მესაფლავეების სიტყვებს თავისთვის ლაშა.

მპარავივით ჩუმად შეტრიალდა მეფე და ფეხაკრეფით წავიდა ღამეში ურჩხულივით ატოტებული რკინის ჭიშკრისკენ.

მოდიოდა ლაშა და თითქო უკან ვიღაც მოსდევდა და მოუთხრობდა:

— ორნი კაცნი იყვნეს. ერთსა შინა ქალაქსა. ერთი მდიდარი და ერთი გლახაკი. და მდიდრისა სამწყოსოი იყვნეს დარემაკები ხართა მრავალი ფრიად. და გლახაკისა იყო არარაი არამედ გარნა ერთი კრავი მცირე...

ლაშამ შეშფოთებულმა მოიხედა უკან, თითქო მართლა ვინმე მოსდევდა.

ნაბიჯს აუჩქარა და თითქო იმ უხილავი მთხრობელის პასუხად, ახლა სხვამ, მეორემ წამოიწყო ჩურჩულით:

— ძლიერ არს, ვითარცა სიკვდილი სიყვარული, ფიცხელ, ვითარცა ჯოჯოხეთი — შური. ფრთე მისა — ფრთე ცეცხლისა, ნაკვერცხალი ცეცხლისა ალი მისი. არ ძალუძს წყალსა მრავალსა დაშრეტად სიყვარულისა და მდინარე ვერ წარღვნის მას.

— ღმერთო მიხსენი!.. ღმერთო მიხსენი!.. — ბუტბუტებდა ლაშა და პირჯვრის წერით უახლოვდებოდა საგოდებლის ჭიშკარს.

*

* *

მეფის კარზე ლხინი და მუტრიბთა მღერა აღიკვეთა, ნადირობა და ბურთაობა დაიშალა.

მემთვრალეებმა უმეფოდ მოიწყინეს და სასახლეს გაეცალნენ. უსაქმობით შეწუხებული მონადირეები დაითხოვეს. მეფის უამრავი მწევარ-მეძებრები და ქორ-მიმინოები, დოლის ცხენები და გასახედნი კვიცები ბუკის ხმასა და მათრახის დაკვრას დანატრულდნენ.

ჯანითა და სულით გატეხილმა მეფემ ზურგი აქცია თავის საყვარელ წეს-ჩვეულებებს, გარემიჰრიდა პირი ამ ქვეყნის ამაოებათა და შემონაზნებულივით მარხვად და ლოცვად მიდრკა.

წესად დაიდო სიონში ყოველდღე სიარული, წირვის მოსმენა და ზიარების მიღება.

ეკლესიებსა და მონასტრებს მამულებისა და ყმების შეწირვა გაუხშირა, ქვრივ-ობლებს წყალობა გაუმრავლა. უკვე დაწყებულის დასრულებასა და ახალი ტაძრების მშენებლობას მიჰყო ხელი. წულუკლაშენისა და ფიტარეთის ტაძრების დამთავრებისათვის, გელათისა და იყალთოს გაფართოებისათვის იწყო ზრუნვა.

ქრისტეს სარწმუნოებაზე მეფის მოქცევით გახარებული, ერთდროს ლაშას მაწყევარი კათალიკოსი ცას ეწეოდა, საქვეყნოდ მეფის ქებასა და ლოცვაში იყო, ლაშას მარხვასა და თმენას უქადაგებდა, საუკუნო ცხოვრებასა და სამოთხეს აღუთქვამდა.

მეფემ ლილეს საფლავზე ფიტარეთის მშენებელ ხუროთმოძღვარს, სახელგანთქმულ ქაჩიბაისძეს სარკოფაგი გააკეთებინა.

ნაღვლიანი, ნაცრისფერი მარმარილოსაგან ნაკვეთ სარკოფაგზე ბოლნისის ქვის მაღალი სვეტები აღამართვინა და ზედ გუმბათი ოქროს ფურცლით გადაახურვინა.

სარკოფაგზე აღმართული მოწყალე ღვთისმშობლის ქანდაკისკენ ხელგაშვერილ, თმა გაწეწილ, ფეხშიშველ ლილეს გაავებული ძაღლები მისდევდნენ. ლილეს ლამაზი სახე ერთსა და იმავე დროს გაცოფებული ძაღლების წინაშე შიშსა და სასოწარკვეთას გამოხატავდა, ღვთიშობელს გადარჩენას, მოწყალე კალთის გადაფარებას ევედრებოდა.

სარკოფაგის ბოლოში მწყურვალე ირემი იყო გამოქანდაკებული: წყარო დამშრალიყო და დაქანცული, პირგამშრალი ირემი უნუგეშოდ შეჰყურებდა ზეცას, რომელსაც მისთვის სიცოცხლის უკანასკნელი სახსარი — წყაროს თვალი წაერთმია.

მნახველები დამშრალ წყაროზე დაჩოქებულ მწყურვალე ირემში ლილეს სიკვდილით სასოწარკვეთილ ლაშას სცნობდნენ, ხოლო ძაღლებდადევნებულ ლილეს იგავს ათასგვარად ხსნიდნენ.

ერთი ყველასათვის ცხადი იყო: მოქანდაკეს ლილეს ამქვეყნიურ ცხოვრებაში მუდმივი დევნა და ძრწოლა გამოეხატა და მის სიკვდილში — ღვთიშობლის კალთას მიახლოვებაში მისთვის ერთადერთი ხსნა დაენახა.

დადევნებულ ცოფიან ძაღლებში ზოგი ლილეს ამქვეყნიურ ცოდვებს ხედავდა, ზოგნიც დიდებულების მიერ დედოფლის მუდმივ დევნასა და შევიწროებას. ამ უკანასკნელ აზრზე მდგარნი ხმამაღლა ლაპარაკს ვერ ბედავდნენ, ერთიმეორეს ჩურჩულით ეუბნებოდნენ და შეშინებული არიდებდნენ თვალს გახელებული ძაღლების დაღებულ პირებს, რომ მათში რომელიმე კარისკაცის ან მღვდელმთავრის სახის მსგავსება არ ეპოვნათ.

მეფემ საგოდებელი მთლიანად გაამშვენებინა, ზღუდე მოავლო, ლილეს საფლავისკენ მიმავალი გზები მოაკირწყვლინა და მწვანითა და ყვავილებით შეამკობინა.

მშენებლობა რომ დასრულდა, კათალიკოსი აწვია საფლავის საკურთხევლად.

კათალიკოსის ყურამდის სარკოფაგის ქანდაკების გამო მითქმა-მოთქმა უკვე მიღწეული იყო, მაგრამ მეფის ესოდენ სათნო ქცევით კმაყოფილმა ეკლესიის მესაჭემ ჭორებისათვის თვალი და ყური დაიხშო, ლილეს საფლავის ნაშენობა აკურთხა და თვითონ ლილეს სულისთვისაც ილოცა.

*

* *

ლილეს სიკვდილის შემდეგ ვაზირები ნელ-ნელა დაუბრუნდნენ კარს. თუმცა მეფე დარბაზის მოთხოვნილებას არ დაემორჩილა და უკანონო ცოლი არ განიშორა, დიდებულების წადილი მაინც ასრულდა, მეფის ხარჭა გარდაცვლილი იყო და საქართველოს ტახტს უგვარო გლეხთაგანის გადედოფლების საფრთხე აღარ ელოდა.

თვითონ მეფე სწორედ ისეთი გამხდარიყო, როგორზედაც მისი დიდგვარიანი ვაზირები ოცნებობდნენ.

ნებისყოფადაკარგული და სულიერად გატეხილი, იგი ყოველივეს ამაოებათაამაოებად სთვლიდა, აღარც ხელისუფლება იზიდავდა, აღარც სახელმწიფო საქმეებზე ზრუნავდა.

ლოცვისა და ობოლ-სნეულთა განკითხვისაგან თავისუფალ დროს საღვთო წიგნების კითხვას ანდომებდა და რაც

უფრო ღრმად უკვირდებოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, მით უფრო იმსჭვალებოდა მათდამი ინტერესითა და აღტაცებით. უკვირდა მეფეს, რატომ აქამდე არ იყო ჩამწვდარი ქრისტეს სარწმუნოების სიღრმესა და სილამაზეს. ნანობდა რომ ამდენხანს მოკლებული იყო ამ უდიდესი პოეზიის განცდასა და დღედაღამ კითხვით ცდილობდა თავისი სულიერი ცხოვრების ამ ხარვეზის ამოვსებას.

უიღბლო სიყვარულისა და თავსდამტყდარი უბედურებისაგან მოტეხილი და დაგლახაკებული მეფე გრძნობდა, რომ ქრისტეს სარწმუნოება უბედურთა და ყოვლგნით ხელაღუპყრობელთა სარწმუნოება, სასომიხდილთა ერთადერთი ნუგეში და სალხინებელი იყო. ამიტომ მისდევდნენ ქრისტეს ქადაგებას ასე თავგამოდებით მათხოვრები და დავრდომილები, ღარიბნი და უქონელნი.

ლილეს სიკვდილის შემდეგ, ლაშაც ერთი ულარიბესთაგანი და გლახაკთაგან უგლახაკესი იყო. ამ ქვეყნად გასახარელი აღარა ებადა რა და მთელ იმედს იმაზე-ღა ამყარებდა, რომ ლოცვითა და მარხვით ქვრივ-ობლების განკითხვითა და ღარიბთა მოწყალებით თავისსა და ლილეს ცოდვებს გამოისყიდდა და იქ, საუკუნო ცხოვრებაში შეხვდებოდა თავის საყვარელ ცოლსა და სატრფოს.

## თავი მეოცდასამე

## ჯვრის სახელით

სწორედ მეფის ამ რელიგიური აღგზნების დროს და მთელ საქართველოში ეკლესიის გაძლიერების ჟამს, საქართველოს მეფეთ-მეფეს დამიეტიდან პაპის ლეგატის კარდინალ პელაგიოსის ელჩი მოუვიდა.

ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობა სულს ღაფავდა.

ვითომ „მაცხოვრის კუბოს დასახსნელად“ და „წმინდა ადგილების გასათავისუფლებლად“ მოლაშქრე ჯვაროსნებს ნამდვილად სულ სხვა მიზნები ამოძრავებდათ.

მსხვილი ფეოდალები აღმოსავლეთში ახალი სამფლობელოებისა და სიმდიდრის შეძენით სამშობლოში თავიანთი გავლენის გაფართოებას ფიქრობდნენ.

უმიწაწყლო, გაკოტრებული რაინდები აღმოსავლეთის მდიდარი ქვეყნების გაძარცვაზე, მამულებისა და მონების შოვნაზე ოცნებობდნენ.

ჩრდილო იტალიის ქალაქების — გენუის, ვენეციისა და პიზის მესვეურებს, ხმელთაშუაზღვის სავაჭრო გზებზე გაბატონება, სელჯუკებისათვის სირიისა და პალესტინის წართმევა და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებიდან ძლიერი მეტოქის ბიზანტიის განდევნა ჰქონდათ განზრახული.

ჯვაროსანთა ლაშქრობის სულისჩამდგმელი რომის ეკლესია იყო.

აღმოსავლეთის ზღაპრულ სიმდიდრეს დახარბებულ რომის კურიას აზიაში თავისი ხელქვეითი ქრისტიანული სამფლობელოების შექმნა, გავლენის სფეროს გაფართოება და საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დამორჩილება სურდა.

წმინდა ადგილების გათავისუფლების იდეამ მოსახლეობაში რელიგიური ფანატიზმი გააღვივა და სახელის უამრავ მაძიებლებს, ფეოდალური უღლისაგან განაწამები და გაქცეული ღარიბ-ღატაკი გლეხობაც შეუერთდა.

ჯვაროსანთა ლაშქრობის დასაწყისიდან ას წელზე მეტი იყო გასული.

ძალთა უდიდესი დაძაბვის მიუხედავად, ამ ხნის განმავლობაში, ჯვაროსნებმა ვერ შესძლეს სარკინოზთა დამორჩილება და აღმოსავლეთის დაპყრობა.

ქონებისა და სახელის მოხვეჭაზე გაგიჟებულმა დასავლეთის კოლონიზატორებმა ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის

დროს შორეული და ძნელად დასაპყრობი სირიისა და პალესტინის დარბევაზე ეფემერულ ოცნებას ბიზანტიის იმპერიის გაძარცვა არჩიეს და მისი აურაცხელი სიმდიდრის დატაცებას შეუდგნენ.

1204 წელს ჯვაროსნებმა იერიშით აიღეს და გაძარცვეს ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი.

ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობას უკვე აშკარა დაპყრობითი ხასიათი ჰქონდა.

ჯვაროსნებმა, ამ ჯერად, წმინდა ადგილებზე პირდაპირ შეტევას სარკინოზებისათვის ზურგიდან დარტყმა არჩიეს და მუსულმანთა არმიების ეგვიპტიდან შემოვლა აშჯობინეს.

მუსულმანთა ზურგის კომუნიკაციების გასაღები და მნიშვნელოვანი სიმაგრე ეგვიპტეში, ნილოსზე მდებარე ციხექალაქი დამიეტა იყო. აქედან ღებულობდნენ სარკინოზები სურსათისა და ჯარის შევსებას.

ქალაქი ბუნებრივად მიუვალ ადგილზე იყო გაშენებული და ირგვლივ სამმაგი ზღუდე ერტყა. დამიეტას ციხე-კოშკი ჰქონდა, რომელიც ერთის მხრივ ხმელეთიდან ამაგრებდა, ხოლო მეორეს მხრივ ზღვიდან მისასვლელს ჰკეტავდა. ჯვაროსნებმა მიზანში პირველად სწორედ ეს ციხე-კოშკი ამოიღეს და მის გარემოცვას შეუდგნენ.

დამიეტას ალყა გეგმიანად, დაჟინებითა და მოთმინებით ხორციელდებოდა და ბოლოს გამარჯვებით დაგვირგვინდა.

მეციხოვნეებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს და სიმაგრე ჯვაროსნების ხელთ გადავიდა.

ჯვაროსნებმა ბოლოს თვით ქალაქს შემოარტყეს ალყა. ხანგრძლივი გარემოცვის შემდეგ დამიეტა დაეცა.

ჯვაროსნებმა დამიეტის აღებით ეგვიპტის პოზიციების გასაღები იგდეს ხელთ, მაგრამ მოქმედება ნილოსის ველზე არ გაავრცელეს და ამით თავიანთი სამხედრო წარმატების მნიშვნელობა არ გააფართოვეს.

ჯვაროსანთა ერთმა ნაწილმა, დამიეტის აღების შემდეგ, ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა და სამშობლოში დაბრუნდა.

ეროვნული

იერუსალიმის მეფემ იოანემ დამიეტის თავის სამეფოსთან შეერთება მოინდომა, რასაც ჯვაროსანთა ამ ლაშქრობის ფაქტიური ხელმძღვანელი რომის პაპის ლეგატი პელაგიოსი წინაღუდგა.

ამ შინააღრევასა და უთანხმოებაში ჯვაროსნებმა ხელსაყრელი დრო გაუშვეს, შექმნილი მდგომარეობა არ გამოიყენეს წარმატების გასავითარებლად და თავისი უმოქმედობით მტერს ძალის მოკრების საშუალებაც კი მისცეს.

ახალი მაშველი ძალების უიმედო მოლოდინში იყო კარდინალი, როცა საქართველოდან მოსულმა მინორიტების ორდენის მღვდელ-მონაზონმა იაკობ როგსანელმა ჯვაროსანთა ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობის სურვილი შეატყობინა.

საქართველოში კარგა ხანს ნამყოფმა მინორიტმა ბერმა პაპის ლეგატს ქართველთა სამეფოს ძლიერება და სიმდიდრე, მისი ხალხისა და მეფის სიმხნე და ქრისტეს სარწმუნოებაზე მტკიცედ დგომა აცნობა.

— „იბერიელი ქრისტიანები, რომლებიც გიორგეანებად იწოდებიან ას წელზე მეტია, დიდძალი ცხენოსანი და ქვეითი ჯარით წარმართებზე ლაშქრობენ. ამ ხნის განმავლობაში მაჰმადიანთა მრავალი ქვეყანა დაიპყრეს, აურაცხელი ციხეები დალეწეს და ქალაქები დაიჭირეს. დაპყრობილ ქვეყნებს ხარკი დაადეს და იქ ქრისტეს რჯული გაავრცელეს.

ქართველთა წარჩინებული მეფე ჯერ კიდევ ჭაბუკია.

იგი ალექსანდრე მაკედონელსა ჰგავს ვაჟკაცობითა და სათნოებით, მაგრამ არა სარწმუნოებით, რადგან ქრისტეს სჯულს აღიარებს.

ქართველთა მეფე დიდძალი ჯარით ფიქრობს იერუსალიმის წმინდა მიწაწყლის განთავისუფლებას და წარმართთა მთელი სამყაროს დამორჩილებას. ჭაბუკ მეფეს სურს თავისი დედის, ქართველთა უძლიერესი მეფის თამარის ნეშტის წამოღება. მეფეთა-მეფე თამარს თავის დროზე იერუსალიმს წასვლის

დამცალდეს, ჩემი ძვლები ქრისტეს საფლავზე წაიღეო. შვილს მტკიცედ ახსოვს დედისათვის მიცემული სიტყვა და ახლა იმაზე ფიქრობს, თავის დიდებულებთან ერთად, ჯვაროსნობა მიიღოს, რომის ეკლესიის ლოცვა-კურთხევით სარკინოზებზე გამოილაშქროს და წმინდა ქალაქში დედის ძვლები გადმოასვენოს".

იაკობ როგსანელის ნაამბობმა პაპის ლეგატი და ჯვაროსანთა ლაშქრობის მეთაურები აღაფრთოვანა.

სარკინოზთა წინააღმდეგ ახალი ძლიერი ძალა ჩნდებოდა, რომელიც ჯვაროსანთა პირისპირ მებრძოლ წარმართებს ზურგიდან დაჰკრავდა და გაანადგურებდა.

კარდინალმა აღარ დააყოვნა, საქართველოს მეფეს წერილი მოსწერა და იმავე ბერს გამოატანა:

„მისი უწმიდესობის რომის პაპის ლეგატი კარდინალი პელაგიოსი ჯვაროსანი ლაშქრის მხედართმთავარი.

საქართველოს უბრწყინვალეს მეფეს გიორგის.

მამობრივი სახიერებით მივიღეთ და დიდათ გავიხარეთ თქვენის ერთგულებით ჩვენდამი და რომის ეკლესიისადმი, რომელიც არის დედა და მოძღვარი ყოველთა ქრისტეანეთა.

გვახარებს თქვენი მორწმუნოება, რომელიც გაქვთ უფლის იესო ქრისტეს სჯულისა და რომელიც დიდათ სათნო საყოფელია, რადგან მას იცავთ ურწმუნოთა შორის, რომლებთანაც ცხოვრებთ და ბრწყინავთ, ვითა ნათელი ბნელში და შროშანი ეკალთა შორის.

ფრიად გვასიამოვნა თქვენმა სურვილმა, მონაწილეობა მიიღოთ წმინდა ადგილების დახსნაში, იმ ადგილებისა, სადაც გამოუთქმელის სიყვარულით ჯვარზე სიკვდილი ინება უფალმა იესო ქრისტემ კაცთა ნათესავის სამარადისო სიკვდილისაგან დახსნისა და ცხოვრებისათვის.

საქებურია აღთქმა თქვენი და მოსაწონი განზრახვა — აღასრულოთ თქვენი ნეტარხსენებული დედის ანდერძი.

აღიჭურვეთ და განაწყვეთ სარკინოზთა წინააღმდეგ ლაშქარი, რათა რომის ეკლესიის კურთხევისა და ღვთის მადლით კარგად იბრძოლოთ საღმრთო ბრძოლაში წმინდა ადგილების დასახსნელად.

გაცნობებთ, რომ ჩვენ უკვე დიდი ზიანი მივაყენეთ წარმართებს, ზურგიდან შემოვუარეთ, ავიღეთ მათი უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქი დამიეტა, რამაც იმდენად შეაშინა მუსულმანთა ურწმუნო სულთანი ალმელიქ ალადინი, რომ ჯავრით გული გაუსკდა და თავის უსჯულოებათათვის საუკუნოდ წაწყმედილი ჯოჯოხეთს შთავიდა.

ამჟამად ვემზადებით ახალი შეტევისათვის, რათა საბოლოოდ გავანადგუროთ სარკინოზები.

ისწრაფეთ ლაშქრის წვევა და წარმოემართეთ პირისპირ უსჯულო წარმართთა, რამეთუ ისარგებლოთ სარკინოზებზე ჩვენი შეტევით და ბრძოლით აიღოთ პალესტინის ქალაქები. უფლისა მიერ გაგონებთ და გამხნევებთ, რომ თანახმად თქვენი საქებური დაპირებისა, ეცადოთ და თქვენის დიდებულების საკადრისი სამსახური მიაგოთ იესო ქრისტეს.

ამ დიდისა და წმინდა საქმისათვის, თუ თქვენ და თქვენი დიდებულნი კარგად და გულმოდგინებით მოემზადებით, დიდ სასყიდელს მიიღებთ უფლისაგან.

ვაუწყებთ თქვენს დიდებულებას, რომ ვინც ამ შრომაში მიიღებს მონაწილეობას, ან თვით წავა, ან სხვას გაგზავნის, ან ფულით შეეწევა და ან სხვისი ხარჯით გამოვა, მათ ყოველთა ვანიჭებთ მოციქულებრივის შენდობით ყველა ცოდვის მიტევებას, უკეთუ ჰეშმა-

რიტად შეინანებენ და აღსარებას იტყვიან.

აწ თქვენ ეს წიგნი წააკითხეთ ყოველთა თქვენთა ქვეშევრდომთა, რომელთაც თქვენი თხოვნისამებრ ვანიჭებთ მოციქულებრივ კურთხევასა და აღგითქვამთ თქვენ და მათ ჩვენს პატივსა და მფარველობას, ვითარცა შეჰფერის სამოციქულო საყდარსა ჩვენსა"...

პაპის ლეგატის წიგნმა დიდი აღფრთოვანება და საერთო გამოცოცხლება გამოიწვია საქართველოს სამეფოში.

მეფემ დარბაზი შეკრიბა და კარდინალის წერილი გააცნო.

ახალ დავლასა და სახელისდანატრებული დიდებულები ახლა კი სიხარულით შეხვდნენ შორეულ ლაშქრობაში წვევას, რომელიც მათ ზღაპრული სიმდიდრით განთქმული ქვეყნების ძარცვასა და რბევასთან, ქონებისა და მონების შეძენასთან ერთად, საუკუნო ცხონებასაც უქადდა.

თვითონ ივანე მხარგრძელსაც მოსწყენოდა ამდენი ხნის უქმად ყოფნა. ჯვაროსნების მიერ ზურგიდან შეპირებულ სარკინოზებზე ლაშქრობა მის სახელსა და ძლევამოსილებას ერთხელ კიდევ განფენდა საქვეყნოდ და აღმოსავლეთის სავაჭრო გზებზე მოვაჭრე მის ქარავნებს ძველ პატივსა და შეღავათს აღუდგენდა.

მხარგრძელის სავაჭრო საქმეები ბოლო დროს ძალზე ცუდად მიდიოდა, სწორედ ქართველთა ლაშქრის უმოქმედობის გამო.

მუსულმან სულთნებსა და ემირებს უკვე დავიწყნოდათ ქართველთა ხმლის სიმწვავე, სამაგიეროს გადახდის შიში აღარ აწუხებდათ და არა მარტო სავაჭრო გზებზე არბევდნენ მხარგრძელის ქარავნებს, არამედ ბაზრებზედაც ძველ უპირატესობას უსპობდნენ და მომატებული ბაჟითა და გამოსაღებით ავიწროვებდნენ.

ასეთ პირობებში მხარგრძელს გონივრულად და აუცილებლადაც მიაჩნდა მეზობელი სამაჰმადიანოს მორჩევა, თავგასული სულტნებისა და მელიქებისათვის ზარის მიცემა და ახალი მიწებისა და სიმდიდრის შეძენა.

ამ დიდი და შორეული ლაშქრობისათვის პირობები მეტად ხელსაყრელი იყო, მიზეზი ფრიად საპატიო ჩანდა: ქართველები მათი ნეტარი დედოფლის ძვლებს წაიღებდნენ იერუსალიმს და უსჯულოთაგან წმინდა ადგილების გამოხსნაში მიიღებდნენ მონაწილეობას.

ურთიერთ ჩხუბითა და დაქსაქსულობით დასუსტებული მუსულმანი მელიქები და სულტნები ზურგში მომდგარი ჯვაროსნებისაგან იყვნენ შეპირებულნი. ასეთ პირობებში ქართველთა ძლიერ ლაშქარს ახალი დიდი გამარჯვებები, დიდება და სახელი ელოდა.

ერთ დროს ამაყი და ურჩი მეფე იმდენად გატეხილი და სულიერად მოუძლურებული იყო, რომ ამ დიდების სახელიცა და სარგებელიც უმთავრესად ქართველთა ამირსპასალარს შეხვდებოდა.

ასეთი ხელსაყრელი მდგომარეობის ხელიდან გაშვება არცერთი თვალსაზრისით არ შეიძლებოდა, არც სახელმწიფოებრივით და არც პირადით.

ამიტომ ათაბაგმა ჯვაროსანთა სალაშქროდ წვევას თავგამოდებით დაუჭირა მხარი, თუმცა კი დიდი ბრძოლა და შეგონება არ დასჭირებია, რადგან სხვა ქართველ დიდებულთაც იგივე ანგარიში ამოქმედებდა, რაც თავათ მხარგრძელს, მათაც ახალი მიწების, სიმდიდრისა და ქონების ხელში ჩაგდება და თავიანთი გამოცარიელებული სალაროების გავსების სურვილი უკარნახებდა წმინდა ადგილების გამოსახსნელად ლაშქრობას.

მეფემ და მისმა დიდებულებმა ჯვაროსნობა მიიღეს და დიდი და ხანგრძლივი ლაშქრობისათვის სამზადისს შეუდგნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი ოცდამეოთხე

## ჩინგიზის ქოფაკები

თემუჩინის ეს ოთხი ქოფაკი ადამიანის ხორცითაა გამოკვებული. მან ეს ქოფაკები ჯაჭვით დააბა. მათ რკინის შუბლები, დალესილი კბილები, სადგისისებური ენები და ქვის გულები აქვთ. მათრახის ნაცვლად მათ მოღუნული ხმლები უპყრიათ ხელთ; ისინი დილის ნამს სვამენ და ქარს დააჭენებენ. ომში კაცის ხორცს სჭამენ. ახლა ეს ქოფაკები აუშვეს, პირს დორბლი მოსდით და გახარებული არიან. ეს ოთხი ქოფაკია: ჯებე, ყუბილაი, ჯელმე და სუბუდაი.

**მონგოლური ეპოსიდან**

იერუსალიმზე დიდი და შორეული ლაშქრობისათვის საჭირო იყო მრავალრიცხოვანი ქვეითი და ცხენოსანი ჯარის კარგად აღჭურვა და სურსათ-სანოვაგით მომარაგება.

ყოველივე ეს დიდ ხარჯსა და ზრუნვას მოითხოვდა.

მთავრობა ადრე ნაცად გზას დაადგა: მოსახლეობას ახალი გადასახადი შეაწერა და ყმადნაფიც ქვეყნებს ხარკი ერთიორად გაუდიდა.

ხარკის გადიდება და მოხარკის კარზე ჯარის მიყენება ერთდროულად მოხდა:

დამორჩილებული ქვეყნის მმართველებს დანა ყელზე მიაბჯინეს, წინააღმდეგობისა და ურჩობის ღონე წაართვეს და სრული განადგურება და ტყვედ წასხმა რომ თავიდან აეცდინათ, საჭურჭლეები გამობერტყეს და ქართველთა მეფეს არნახული ხარკი მოართვეს.

მოხარკე და ყმადნაფიცი ქვეყნების დასაშინებლად და მომავალი ლაშქრობის გზების დასაზვერავად ქართველთა მხედრობამ ახალციხელების მეთაურობით სამხრეთისაკენ ილაშქრა, რამდენიმე ფიცხელი ბრძოლა გადიხადა და ბოლოს კერჩული აიღო.

ისე შორს წავიდნენ, დაპყრობილი და აკლებული ქვეყნების მოსახლეობას მანამდე ქართველთა ნათესავის სახელიც არ სმენოდა.

დიდძალი ტყვითა და ნადავლით დამძიმებული ქართველები ძლევამოსილად შემოიქცნენ უკან.

ამ ლაშქრობამ ქართველთა სარდლობას საისლამოს სრული არევ-დარევა, დაქსაქსულობა და დიდი ომისათვის მოუმზადებლობა დაანახვა.

ხელისუფლება, ერთის მხრივ, მოხარკე ქვეყნებს აშინებდა და ნადავლით სახელმწიფო საჭურჭლეს ავსებდა, მეორეს მხრივ, გლეხობისა და მშრომელი მოსახლეობისაგან ახალ-ახალ გადასახადებს ჰკრეფდა, ურჩ გადამხდელებს სასტიკად უსწორდებოდა, უკანასკნელ სახსარს ართმევდა და მკაცრად სჯიდა.

ქართველები რომ ამ ყოფაში იყვნენ, აღმოსავლეთში რაღაც დიდი და საშინელი მზადდებოდა.

საქართველოს სამხრეთი ქვეყნები განაბულნი და მიჩუმებულნი იყვნენ. ეს სიჩუმე დიდი ქარიშხლის წინა სიჩუმეს ჰგავდა, ტყეზე რომ ხვატი ჩამოწვება ხოლმე, ჰაერი შეიხუთება და ფრინველები ჟივილ-ხივილს სწყვეტენ. ამ სიჩუმეში ყველაფერი დიდი გრიგალისა თუ ხანძრის მოახლოვებას მოასწავებდა და როგორც ფრინველები და ცხოველები გრძნობენ ხანძრისა თუ გრიგალის მოახლოებას და თავს გაქცევით შველიან, ისე ვაჭართა ქარავნები, მლოცველთა და მოხეტიალე დერვიშთა გუნდები დაიძრნენ შუა აზიიდან, ახლო აღმოსავლეთში მყუდრო თავშესაფრის საძებნელად.

ჯერ შორეული ხანძრის ბოლი არ ჩანდა, არც დიდი ავდრის ღრუბლები აბნელებდნენ მოწმენდილ ცას, მაგრამ ხანძრისა თუ წარღვნის სიახლოვე და

გარდუვალობა ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა.

მჩხიბავები და რამლისმყრელები ვარსკვლავთა უცნაურსა და უჩვეულო ურთიერთ მიმართებაში მომავალი უბედურების გარდუვალობას კითხულობდნენ, ხოლო მაწანწალა დერვიშთა და მკითხავ-ქადაგთა წინასწარმეტყველებით შეშინებული უბრალო ხალხი ყოველ უჩვეულო მოვლენას ღვთიური განგების გამოცხადებად და მომავალი საშინელების მომასწავებლად სთვლიდა.

შუა აგვისტოში ცაზე კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდა. იგი პირველად კვირაძალს შენიშნეს. ვარსკვლავის კუდის სიგრძე და შუქი დღითიდღე იზრდებოდა და მატულობდა.

ეს უცნაური ვარსკვლავი ჯერ დილდილობით ჩნდებოდა, შემდეგ მხოლოდ შუადღისას ჩანდა და ბოლოს საღამოობითღა ენთებოდა.

მნათობი აღმოსავლეთიდან ამოდიოდა. პირველად მისი შუქი ძლივს აღწევდა დედამიწამდე, მერე თანდათან იმატა და იმდენად გაბრწყინდა, რომ მხილველები შიშმა და ძრწოლამ მოიცვა.

საშინელი ვარსკვლავის სხივები საოცარი სისწრაფით იზრდებოდა და დამაბრმავებლად კაშკაშებდა.

მნათობმა ვსება დაასრულა, ლახვრის სახე მიიღო და შუქით სხვა მნათობებს ელვარება დაუკარგა.

ამ ვარსკვლავის გამოჩენის წინაშე შიშს ზედ ახალი უბედურება დაემატა: მთელ სამეფოში უდიდესი მიწისძვრა მოხდა. წირვის დროს სომხითის ერთი ტაძარი დაინგრა, ქვეშ ოთხი ხუცესი მოჰყვა და ოთხივე ცოცხლად დაიმარხა.

ეკლესიამაც და ეტლის მჩხრეკელებმაც ორივე ეს ნიშანი იმის მომასწავებლად აღიარეს, რომ მტრის ლახვარი ქვეყნის მშვიდობას დაარღვევდა.

*

* *

მშვიდობა და ზავი კი, საქართველოსაგან შორს, კარგა ხნის დარღვეული იყო.

თვალუწვდენელი ველებიდან და უღრანი ტყეებიდან გამოსული, დაუშქედელ ცხენებზე ამხედრებული უცნობი ხალხი უდაბნოს ქარივით მოდიოდა და მთელ მსოფლიოს წალეკვას უქადდა.

ამ ველურ ხალხს სათავეში ჭკვიანი და გამჭრიახი მხედართმთავარი ედგა. თათარ-მონგოლთა სასტიკსა და ულმობელ მბრძანებელს ჩინგისხანს ბავშვობა გაჭირვებასა და განსაცდელში გაეტარებინა, გზა საკუთარი ნიჭითა და ვაჟკაცობით გაეკაფა, წინააღმდგომნი დაემარცხებინა და მოესპო და მანამდე მომთაბარე ტომები ერთ ძლიერ ხალხად გაეერთიანებინა.

ამ ხალხმა ომისა და ნადირობის გარდა არა იცოდა რა. ცხენზე არ იბადებოდნენ, თორემ მთელ სიცოცხლეს ცხენოსნობაში ატარებდნენ, უმაგრესი მშვილდით უცდომრად ისროდნენ და მათ ნაკრავ ისარს ვერავითარი საჭურველი ვერ უდგებოდა.

თვითონ წერა-კითხვის უცოდინარმა, უწიგნური და ველური ხალხის მეთაურმა ჩინგიზმა მონგოლთაგან ძლიერი მხედრობა შექმნა. ამ მხედრობით მაშინდელი აღმოსავლეთის უძლეველი არმიები გაანადგურა, ქალაქები მიწასთან გაასწორა, მიუდგომელი ციხე-სიმაგრეები დალეწა და ტახტზე მორჭმით მჯდომარე სვიანი და განათლებული ხელმწიფეები დაამხო.

მონგოლებმა ჯერ ციმბირში მცხოვრები ხალხები დაიმორჩილეს, შემდეგ უიღურებზე გაბატონდნენ და ბოლოს ხატაეთი დაიპყრეს.

ამის შემდეგ შუა აზიის ქვეყნების ჯერი დადგა.

ჩინგიზი ხვარაზმის საზღვრებს მიადგა და ხვარაზმშასთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა გააბა.

ჩინგიზი თავისი მსტოვრების საშუალებით გულმოდგინედ ზვერავდა და სწავლობდა ხვარაზმის უზარმაზარი სახელმწიფოს ძლიერსა და სუსტ მხარეებს და ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა ქვეყნის ასაკლებად.

შემთხვევაც მალე მიეცა: ხვარაზმელებმა ჩინგისხანის დიდი ქარავანი დააკავეს, გაძარცვეს და ვაჭრები დახოცეს. ხვარაზმშა მუჰამედის წინდაუხედავი მოქმედება ჩინგიზხსათვის ომის საბაბად იქცა.

განრისხებული მონგოლთა მბრძანებელი ხვარაზმს შეესია.

უკვე მიმცხოვნებული, განცხრომას შეჩვეული ხვარაზმშა მუჰამედი მტრის წინააღმდეგ უნებისყოფოდ და დაბნეულად მოქმედებდა. იმის მაგივრად, რომ დიდძალი ჯარით მონგოლებს პირისპირ შებმოდა, მუჰამედმა ცალკე ქალაქების გამაგრება არჩია და მთელი იმედი თავისი უზარმაზარი სამფლობელოს სიდიდესა და ქალაქების სიმტკიცეზე დაამყარა.

თათართა ურდო გრიგალივით მოდიოდა და ყოველგვარ ზღუდეს მიწის პირისაგან ჰგვიდა. იქ, სადაც ალყა და მუქარა არ სჭრიდა, სიმაგრეებს მანქანებით დიდრონ ქვებსა და ცეცხლმოკიდებულ ნავთიან ქოთნებს უშენდნენ, ანგრევდნენ, ან ხანძარს უჩენდნენ. ხოლო, სადაც არც ერთი შველოდა და არც მეორე, სარწყავი არხების რაბებსა და საგუბრებს ხსნიდნენ და ქალაქებს მოვარდნილ წყალში სძირავდნენ.

ცოცხლად ჩავარდნილ ტყვეებს სიმაგრეებზე იერიშისას წინ იმძღვარებდნენ.

ასაღები ქალაქის მცხოვრებთ ერთიმეორესვე აულეტინებდნენ, დახოცილთა გვამების გორებს ზღუდეებზე მაღლა დგამდნენ, ზედ „ურრასა“ და „კხუკხუს“ გიჟური კივილით გადარბოდნენ და ალმოდებულ ქალაქებს ხელჩართული ბრძოლით იღებდნენ.

დაპყრობილი ქალაქების მოსახლეობას უმეტეს შემთხვევაში მთლად ერთიანად, დიდიან პატარიანად ჟლეტდნენ, ქალებს ჯერ ნამუსს ხდიდნენ და მერე ხოცავდნენ. ტყვეთაგან მხოლოდ ხელოსნებს ინდობდნენ, სამყოფთაგან ჰყრიდნენ და ზურგში მიერეკებოდნენ.

მკვდრებსა და ცოცხლებს, ყველას ერთნაირად ძარცვავდნენ. ყველაფერი, რის წაღებაც შესაძლებელი იყო, თან მიჰქონდათ, დანარჩენს სპობდნენ — და ანადგურებდნენ.

ქალაქებს რომ მიადგებოდნენ, წინააღმდეგობის გაუწევლობასა და მორჩილებას თხოულობდნენ, მაგრამ ნებით დამორჩილებულებსაც ისეთივე სისასტიკით უსწორდებოდნენ, როგორც წინააღმდეგობის გამწევთ.

მონგოლთა უძლეველობისა და სისასტიკის ხმა სწრაფად გავრცელდა და ხალხებს გარდუვალი უბედურების წინაშე შიში და ძრწოლა მოედვა. მეფეთა და ამირათაგან ბედისანაბარა მიტოვებული ქალაქები ზედიზედ ეცემოდნენ. მოსახლეობის თავგანწირვა ამაო და უშედეგო იყო ფეოდალების გამცემობისა და ძლევამოსილი მტრის მოძალების წინაშე.

ქვეყნის თავდაცვაში გეგმიანობა, ერთი აზრი და ნება არ იყო.

ლტოლვილმა ხვარაზმშამ ამუდარიაზე გადასვლისას გაიგო ბუხარისა და სამარყანდის დაცემა. შეშინებულსა და დაბნეულ მუჰამედს სწორედ ამ დროს აცნობეს საიდუმლოდ კიდევ უფრო საშინელი ამბავი: დიდებულები შეთქმულიყვნენ და მას მოკვლას უპირებდნენ. შეთქმულების გამცემისაგან გაფრთხილებულმა ხვარაზმშამ კარავი დასტოვა და ღამე სხვა ადგილას გაათია.

დილით კარავი ისრებით დაცხრილული ნახეს.

ღალატითა და მტრის მოახლოვებით შეშინებული მუჰამედი სამეფოს სიღრმისაკენ ილტვოდა, დიდებულთა და ახლობელთაგან აღარავის ენდობოდა, ყველას ეჭვით უცქერდა და ყველას რჩევა მტრულ განზრახვად ეჩვენებოდა.

არც ერთ ადგილას დიდხანს არ რჩებოდა, მისული არ იყო, რომ კვლავ იყრებოდა და ქალაქის მესვეურებს საჩქაროდ ზღუდისა და ციხე-გალავნის გამაგრებას ურჩევდა. მოსახლეობას მეფის ეს რჩევა და სწრაფი აყრა მოსალოდნელი უბედურების შიშს უორკეცებდა და გადარჩენის იმედს უკარგავდა.

ჩინგიზხანმა ლტოლვილ ხვარაზმშას თავისი ორი მხედართმთავარი ჯებე ნოინი და სუბუდაი ბაღათური დაადევნა, თითო დუმანი ჯარი მისცა და მკაცრად უბრძანა:

— კვალში ჩაუდექით და მისდიეთ ხვარაზმშას. სადაც წამოეწევით, თუ შეატყობთ რომ მორევნის ძალა არ შეგწევთ, დაუყოვნებლივ მაცნობეთ. თუ სუსტი იყოს, შეებით და სძლიეთ! რაკი მისი შიშისა და ძრწოლის ამბავი გამუდმებით მოდის, ეტყობა, უძლურია ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ვიდრე ხვარაზმშას ხელთ არ იგდებთ, უკან არ დაბრუნდეთ. უკეთუ თქვენი დევნით ქანცგაწყვეტილი ხვარაზმის მბრძანებელი რამდენიმე კაცით მიუვალ მთაში ან მიუდგომელი კლდის ხვრელში დაგემალებათ ან ადამიანის თვალთაგან უხილავი სულივით გაქრება, მის სამფლობელოში ქარიშხალივით შეიჭერით და გრიგალივით დალეწეთ ყოველი!

ჩინგიზხანის ნაცადი ქოფაკები ჯებე და სუბუდაი ქალაქს ქალაქზე იღებდნენ, კვალდაკვალ მოსდევდნენ ლტოლვილ მუჰამედსა და სულის მოთქმას არ აცლიდნენ.

იმდენად ჩქარა მოქროდნენ ხვარაზმშას მდევრები, რომ ზოგჯერ ცეცხლის დანთებისა და ხორცის მოხარშვისათვის დრო არ რჩებოდათ.

სასოწარკვეთილი ხვარაზმშა ხან ერთ კუთხეს აწყდებოდა, ხან მეორეს, ხან ბაღდადში ფიქრობდა თავის შეფარებას ხან გილანში, ყოყმანსა და ბჭობაში მონგოლები ეწეოდნენ და მუჰამედი კვლავ თავგზააბნეული გარბოდა.

ბოლოს, მაზანდარანის დიდებულებმა ხვარაზმშას კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე გახიზნვა ურჩიეს. მუჰამედი რჩევას დაჰყვა და ერთხანს კუნძულზე დაიმალა.

მდევრების მეწინავე ჯარმა მუჰამედის კვალი ზღვასთან დაკარგა. ამ დევნაში, მონგოლებმა ხვარაზმშას ჰარემისა და საჭურჭლის ადგილ-სამყოფელს მიაკვლიეს, უკან შემობრუნდნენ, მუჰამედის ცოლები და განძეულობა ხელთ იგდეს და ნაალაფარი მთლიანად ჩინგისხანს აახლეს.

ბიბლიოთეკა

ისეც სიცოცხლემოძულებულ ხვარაზმშას ამ საშინელი ამბის გაგონებამ ბოლო მოუღო.

ერთ დროს ამაღლებულსა და სვესვიან ხელმწიფეს, უზარმაზარი და უმდიდრესი ქვეყნის განუყოფლად მფლობელ მუჰამედს უკაცურ კუნძულზე ამოხდა სული.

რაც უფრო ცუდად მიდიოდა ხვარაზმელების საქმე, რაც უფრო ახლოვდებოდა მონგოლთა ურდოების ყოვლის წამლეკავი ტალღა, მით უფრო იბნეოდნენ და სასოწარკვეთას ეძლეოდნენ იმ ქვეყნების მეთაურნი, რომლებსაც, სადაც იყო მონგოლთა ეს შეუჩერებელი ტალღა უნდა მოსწყდომოდა.

ჩინგიზის ჯაშუშებმა მთელ აღმოსავლეთს მოჰფინეს ხმა: ღმერთმა სრულიად ქვეყანა მისცა დასაპყრობად მონღოლთა მბრძანებელს, იგი ღვთის განგებით მოქმედებს, მის დავალებას ასრულებს და ამიტომ ამაოა მისთვის წინააღმდეგობის გაწევაო.

მონგოლთა დაუჯერებელი გამარჯვებებით შეშინებულნი, მათი ხმლის უძლეველობის წინაშე მოცახცახე, უნებისყოფო სულტნები და ათაბაგები განწირულნი გაიძახოდნენ: ცოდვათა და უსჯულოებათა ჩვენთათვის მიგვცა ღმერთმა მოსპოლვად უცხო ტომსო. გონდაკარგულნი და დამფრთხალნი სრულ უმოქმედობას იჩენდნენ მრისხანე და დაუნდობელი მტრის დასახვედრად.

ყივჩაღეთისა და რუსეთის ველებისკენ მიმავალმა მონგოლებმა ადარბადაგანს რომ მოაღწიეს, შორიდან მათ გზაზე მდებარე საქართველოს ძლიერი სამეფოს გამსტორვასა და დაზვერვას შეუდგნენ. საქართველო მაწანწალა დერვიშებითა და მოხეტიალე ქრისტიანი ბერებით აივსო. ერთნიც და მეორენიც ხმას ავრცელებდნენ: მონგოლები ქრისტეანები არიან, მაჰმადის ცრუ სარწმუნოებას ებრძვიან და უსჯულოთაგან წმინდა ადგილების გასათავისუფლებლად მოდიანო.

ამ მონაგონის დასამტკიცებლად მონგოლთა ჯაშუშები საქართველოს მეფესა და დიდებულებს ათასგვარ ზღაპარსა და ჭორს მოუთხრობდნენ.

ერთნი დარწმუნებით ჰყვებოდნენ:

„— ხოლო ვითარ მოიწყო თემურჩინმა თათარნი, გამოჩნდა კაცი ვინმე საკვირველი, ესე მივიდა ყაენს წინაშე და ეტყოდა: მე მას მთასა, რომელსა უწოდენ ბალიუ, წარვალ, ღვთისა სიტყვა მესმის. ამას ბრძანებს ღმერთი, ყოველი ქვეყანა თემურჩისა და მისთა ლაშქართათვის მიმიცია, და სახელადაც ჩინგის ყაენი ერქვას"...

მეორენი მხილველთაგან ნაამბობს ფიცით ამტკიცებდნენ და ნამდვილ ამბად ასაღებდნენ:

„— ხოლო იქმნა რა ყაენად ჩინგიზ და მივიდა ხატაეთს და შევიდა ხილვად ქრისტეანეთა ეკლესიასა, იხილა მუნ ხატი მაცხოვრისა იესო ქრისტესი. მეყსეულად თაყვანი სცა და ჰრქვა. „აჰა კაცი იგი, რომელი მთასა ჩინეთისასა ვიხილე. ამა სახითა იყო, ამან მასწავა ყოველი ესე წესი". ესე შეიყვარა ყინგიზ ყაემან ქრისტე ღმერთი და მაცხოვარი მას აკურთხევდის, და ამისი მცნება რაოდენიცა ამცნო ყოველივე მტკიცედ დაიცვა. ჯვარისა წამძლვარებითა და ქრისტეს განგებით წარვალს ყაენი იგი მოსპოლვად უსჯულო წარმართთა და სალხენად ყოველთა ქრისტეანთა და ჭეშმარიტი ღმერთის იესოს მავედრებელთა..."

ქართველები შორიდან ხედავდნენ, თუ როგორ ანადგურებდნენ მონგოლთა ურდოები სამაჰმადიანო ქვეყნებს, როგორ ნგრევასა და შეშფოთებას მისცემოდა მთელი საისლამო. ნახული და გაგონილი სარწმუნოს გავდა და საქართველოს სამეფოს მესვეურებმა გულუბრყვილოდ დაიჯერეს მონგოლთა ქრისტიანობა.

მათ ერთი-და აწუხებდათ: ვაი თუ ჩვენ ვერ მოვასწროთ ლაშქრის დროზე მომზადება და ქრისტეანეთა ახალმა ტომმა უჩვენოდ დაიხსნას უსჯულოთაგან მაცხოვრის საფლავიო.

ცხოვრებაზე გულაყრილს, ქეიფსა და მემთვრალეობას გადაყოლილ ლაშას თავისი ჯვაროსნობის ამბავი თითქმის დავიწყებულიც ჰქონდა და დიდად აღარ აწუხებდა თუ როდის და ვინ დაიხსნიდა ქრისტეს საფლავს. მონგოლთა უცხო ტომის ამბებს, ზღაპარივით ისმენდა, ერთ ყურში შეშვებულს მეორედან უშვებდა და არავითარ ანგარიშს არ უწევდა იმ დიდ მოვლენებს, რომლებმაც მთელი აღმოსავლეთი შესძრეს და რომელთა პირველი ტალღა უკვე საქართველოს კართან იყო მომდგარი.

*
* *

რუს და ქართველ ვაჭართა ქარავანი ადარბადაგანიდან საქართველოსკენ მოეშურებოდა.

სამხრეთში შეგვიანებულ ტიხონს მონგოლთა ლაშქრის მოწევისა ეშინოდა და საქართველოს მიწა-წყალზე შემოსწრებას ჩქარობდა.

ტიხონთან ერთად კაციტაისძეც სამშობლოსკენ მოიჩქაროდა.

უკვე საქართველოს საზღვრებს უახლოვდებოდა დიდძალი საქონლით დატვირთული ქარავანი. მექარავნეთა სიცოცხლე ხიფათს გადარჩენილი ეგონათ, რომ მოულოდნელად ვაჭრები მონგოლთა მეწინავე რაზმს წააწყდნენ.

მონგოლებმა გზა გადაუღობეს ქარავანს, მექარავნეებს იარაღი აჰყარეს, ხელები შეუკრეს და უკან შემოაბრუნეს.

წინააღმდეგობის გაწევისას რუსი დიდვაჭარი მძიმედ დაჭრეს და აქლემზე შესვეს რომ მონგოლთა ბანაკამდე ცოცხალი ჩაეყვანათ.

რანის ფართო ველზე ტყვედ წასხმულ რუს და ქართველ ვაჭრებს თვალწინ საოცარი სანახაობა გადაეშალათ: მინდორი თეთრი რიყის ქვას თუ უთვალავ თეთრ სოკოს დაეფარა.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ მექარავნეები, ეს რიყე თუ სოკოები თანდათან იზრდებოდნენ, მაღლდებოდნენ და მრგვალდებოდნენ.

ბოლოს მათ თვალწინ ქეჩის უთვალავი თეთრი იურტები აღიმართნენ.

ათ-ათი იურტა წრედ იდგა და ერთ რგოლს ან კურენს შეადგენდა. კურენის შუაში ათისთავის ხარგა იდგა.

ასე ცალკე კურენებად და იურტებად გაშლილი მონგოლთა ბანაკი ორ დუმანად ანუ ორ ათიათასეულად იყო გაყოფილი. როგორც ერთი, ისე მეორე დუმნის შუა, მეტი სითეთრისათვის, კირით შეფეთქილი თითო იურტა იდგა. ორივე იურტის სახურავს შუაში სვეტი ჰქონდა აღმართული. ამ სვეტს კამბეჩის რქები და ცხენის ძუები ამშვენებდა.

ეს კარვები დუმნების მეთაურებს ჩინგიზის სახელგანთქმულ მხედარ-მთავრებს — ჯებე ნოინსა და სუბუდაი ბაღათურს ეკუთვნოდათ.

ტახტზე წამოწოლილი ჯებეს მხარქვეშ ნაგაზს გამოეყო თავი.

ჯებეს გაწყვეტაზე ჰქონდა ჭიანჭველასავით წვრილი წელი, ხოლო მხრები ბრტყელი და ფართო, იმდენად ფართო, რომ წამოწოლილი ჯებეს მხარქვეშ მის საყვარელ ნაგაზს „მერგენს“ თავისუფლად შეეძლო გაძრომა.

როგორც პატრონს ტახტზე წამოწოლილს დაინახავდა, მერგენი მხარქვეშ შეუძვრებოდა, მის იღლიაში მოიკალათებდა ხოლმე და ყურებდაცქვეტილი მისჩერებოდა კარს, რომ უცხო არავინ შემოსულიყო.

კბილებდალესილი მერგენი ღრენით აყოლებდა თვალს ტახტზე წამოწოლილი ნოინის წინ რიგრიგად ჩატარებულ უცხო ქალებს.

იმ დილით ქადან ბაღათურის რაზმს საქართველოს სამხრეთ რაიონში — გაგში ერთ-ერთი მონასტერი აეკლო, მონასტრის სიმდიდრე დაეტაცნათ, საქონელი გამოერეკათ და ლამაზი მონაზვნები ტყვედ წამოესხათ.

მონაზვნები ჯებესა და სუბუდაისთვის მიეყვანათ.

სარდლებს თანასწორად მიეთვალათ, როგორც ნაძარცვი, ისე ტყვე ქალები და ახლა ჯებესთან ცალ-ცალკე შემოჰყავდათ მისი წილხდომილი მონაზვნები. ჯებე ნოინს ერთი შეხედვით გამოჰქონდა მსჯავრი. ორი წლის მანძილზე ლტოლვილი ხვარაზმშას ძებნაში იმდენ ლამაზ ქალს გაევლო მის ხელში, რომ უკვე მოყირჭებულიც ჰქონდა ხვარაზმელი და ერაყელი, ხორასნელი და გურგანელი, მაზანდარანელი და ადარბადაგანელი ტურფების ხვევნა.

იგივე უკვე ორმოცდაათ წელს იყო მიწევნილი, ხოლო ამ ჰასაკში მონგოლთა წესი თითქმის უკრძალავდა ჩინგიზის მეომრებს ქალთან კავშირს.

თვითონ ჩინგიზი თავისი პირადი მაგალითითა და რჩევით მუდამ აფრთხილებდა მონგოლ მხედრებს, რათა ლაშქრობისა და ბრძოლის წინ ქალებისაგან შორს დაეჭირათ თავი.

ახლა, როცა მონგოლები შორეული და უცნობი ქვეყნის საზღვრებში იყვნენ შემოსულნი, სადაც ძლიერი და ფიცხელი ბრძოლები ელოდათ, ჯებეს ჩვეულებრივი ქალის ალერსი დროის დაკარგვად მიაჩნდა. ტყვე ქალებს, იქვე, თავის ათასისა და ასისთავებს ურიგებდა.

ხარგაში ახალ-ახალი ქალები შემოჰყავდათ, ყველაზე ლამაზებსა და თვალტანადებს ჯებე იქვე აშიშვლებინებდა და სირცხვილით დამწვარ მონაზვნებს მუშტრის თვალით სინჯავდა. ორი წლის წინ ამ ქალთაგან თვითეულისათვის ჯებე ნოინი მთელ ჯოგს მისცემდა, ახლა კი მათ დიდხანს ცქერასაც არ კადრულობდა.

უკანასკნელად თვალქუქუნა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალიშვილი შემოუყვანეს ჯებეს, გოგონას თმები ჩამოშლოდა და ხელგაკავებული ამაოდ ცდილობდა მტირალი სახე მხრებში ჩაემალა.

მონაზონს წერწეტი ტანი და ახლად აშლილი მკერდი ჰქონდა. იგი არ გავდა არც ერთს, ჯებესაგან მანამდე ნახულ აღმოსავლელ ქალს, მისი თეთრი კანი საოცარი ძალით იზიდავდა ვაჟკაცის

თვალს და ის იყო ჯებეს ტურღაუდისათვის ქალის გაშიშვლება უნდა ენიშნებინა, რომ მოულოდნელად იკითხა:

— სულ ეს არის, ქადან?

— ეს გახლავთ უკანასკნელი.

— თავდახრით უპასუხა მთვრალმა ქადან ბაღათურმა, წაბარბაცდა და იურტის კედელს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო.

— იმ ბებერს, ალბათ, უკეთესები შეხვდა! — ჩაილაპარაკა ჯებემ და კბილები დაახრჭიალა.

ქადან ბაღათურს გაეღიმა, იქ მყოფთ თვალი მოავლო და ჯებეს ჩურჩულით უთხრა:

— სუბუდაი ბაღათურს ერთი გურჯი-ხათუნი შეხვდა, ჯებე ნოინის საუკეთესო ცხენად ღირს.

— უკვე ჰყავდა? — იკითხა შურით გაბერილმა ჯებემ.

— არა, სუბუდაი ბაღათური დილით მოყვანილი მექარავნეებით იყო გართული და მაგისთვის ჯერ არ ეცალა, — მამებელი ქირქილით თქვა ქადანმა და ბარბაცით აედევნა იურტიდან გასულ ჯებე ნოინს.

*

* *

მონგოლთა ბანაკში შემოსულმა დატყვევებულმა მექარავნეებმა მცველების რამდენიმე წყება გაიარეს.

მონგოლთა ნუკერების ერთმა ნაწილმა საქონლით დატვირთული აქლემები ცალმხარეს წაასხა, ხოლო თავათ მექარავნეები სუბუდაი ბაღათურის კურენისაკენ წაიყვანეს, შემოღობილ ბაკში შერეკეს და მცველები მიუყენეს.

კამეჩის რქებითა და ცხენის ძუით შემკული იურტიდან ორი კაცი გამოვიდა.

ერთი ზორბა, მაგრამ წელში ოდნავ მოხრილი იყო. მწითურ სახეზე ცალი თვალის ადგილას თეთრ-წითელი ხვრელი აჩნდა და წარბს ზემოთ და ამაღლებული ღაწვის თავზე ღრმა ნახმლევის კვალი ეტყობოდა. მეორე საღი თვალი ყვრიმალისკენ გაზიდვოდა და ისე მიწურვოდა, თითქო ჭუჭრუტანიდან იცქირებაო. სუბუდაი ბაღათურს გამხმარი მარჯვენა მოღუნვოდა და გაშეშებოდა, კოჭლობით მოდიოდა და ვეება სხეული რწევით მოჰქონდა.

მონგოლ სარდალს უკან მასავით კოჭლი და ღიპგასიებული ქონდრის კაცი მოსდევდა. ტიხონმა და შიომ მაშინვე იცნეს თბილისელი ვაჭარი ჰამადავლე, ერთმანეთს გადახედეს და რაღაც თვალით ანიშნეს.

— რა ვქნა, ეს მაჯლაჯუნაც მეცნობა. — გადაულაპარაკა შიომ ტიხონს.

— მეც მეცნობა, თითქო სადღაც მინახავს და, ვერ კი გამიხსენებია ვინ უნდა იყოს...

უფრო რომ მოუახლოვდნენ, შიო სუბუდაის მიაჩერდა და უცებ რაღაც გაახსენდა

— მეფის მცველი ლუხუმია, ტიხონ, გავიხსენე, სწორედ ის არის...

— არა, ის არ უნდა იყოს...

— ღმერთო, როგორა ჰგავს!.. — აღმოხდა შიოს, ტურღაუდის მუჯლუგუნზე ხმა გაჰკმიდა და თავი ჩაღუნა.

სუბუდაი ბაღათური და ჰამადავლე ტყვეებს მიუახლოვდნენ და მათ პირისპირ შედგნენ.

ჰამადავლემ მაშინვე იცნო ორივე დიდვაჭარი.

— გამარჯობათ! აქ საიდან გაჩნდით? — ჰკითხა ვითომ შეწუხებულმა ჰამადავლემ.

— აქ შენ რა გინდა, თორემ ჩვენი კი გეცოდინება. — კუშტად უთხრა შიომ და წარბშეკრულმა შეუბღვირა უგვარტომო ქონდრის კაცს.

ჰამადავლემ მაშინვე თვალი აარიდა ტყვეებს, სუბუდაისკენ მობრუნდა და ხმადაბლა მოახსენა:

— კარგად უნადირიათ შენს ნუკერებს. ერთი რუსი დიდვაჭარია, მეორე — საქართველოს მეფის ახლო კაცი.

სუბუდაი ბაღათურის მოჭუტულ საღ თვალში კმაყოფილების შუქმა გაიელვა.

სუბუდაიმ ერთხანს უცქირა ტყვეებს, მერე უცებ ზურგი შეაქცია და ხველე-

ბითა და კოჭლ ფეხზე რწევით თავისი იურტისკენ წავიდა.

ცოტახნის შემდეგ ბაკში ასისთავმა შემოიხედა და ნუკერებს ტიხონის გამოყვანა ანიშნა. ოთხმა ვაჟკაცმა ძლივს წამოაყენა ფეხზე დაჭრილი ტიხონი. სისხლისაგან თითქმის დაცლილი ტიხონი მთლად გათეთრებულიყო, ღონე მიხდოდა და ფეხები აღარ ემორჩილებოდა. ნუკერები მხარში შეუდგნენ და დაჭრილი ისე წაიყვანეს.

იურტაში ორნი იყვნენ — სუბუდაი ბაღათური და ჰამადავლე. წინ ნახაზებითა და წარწერებით აჭრელებული ეტრატი გაეშალათ და ორივე ბეჯითად ჩაჰკირკიტებდა.

— დაჯდეს! — მიუთითა სუბუდაიმ ისე, რომ თავი არ აუღია და ეტრატისათვის თვალი არ მოუცილებია.

ტიხონი ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ მაინც დაჯდომა არ ინდომა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

— გაწყენინეს, რუსო, ჩვენმა ნუკერებმა? — ეშმაკური ღიმილით შეეკითხა სუბუდაი.

ჰამადავლემ ნათქვამი მაშინვე სპარსულად უთარგმნა რუს ვაჭარს. ტიხონმა მხოლოდ ამოიოხრა და ბაგეები ბრაზით მოკუმა.

— შენ ჩვენ ნუკერებსა და ჩვენ ბრძანებას არ დამორჩილდი. წინააღმდეგობა გაგვიწიე და ხალხი დაგვიხოცე. ასეთი თავხედობისათვის ჩვენ სიკვდილით ვსჯით — სუბუდაიმ სახე მოჭმუხნა და რუს ვაჭარს რისხვით შეხედა, — მაგრამ ჩვენ ვაჭრებს არ ვძარცვავთ და არ ვხოცავთ, — განაგრძო სუბუდაიმ, — ჩინგიზ ყაენის უნაპირო სამფლობელოში ქარავნები თავისუფლად მოგზაურობენ და ვაჭრები დიდ სარგებელს ნახულობენ. ჩვენ გადავწყვიტეთ შენი საქონელი დაგიბრუნოთ და მთელ დუნიაზე თავისუფალი ვაჭრობისა და მოგზაურობის ნიშანი — იარლიყი მოგცეთ. ტიხონი გაოცებული შეაჩერდა ცალთვალა ნოინს.

ასეთი წყალობისათვის შენც მცირე სამსახური გმართებს.

სუბუდაის ეშმაკურად გაეღიმა და ცალი წვრილი თვალი მთლად მიეჭუტა. მონგოლმა სარდალმა ხელით ანიშნა ტიხონს, ახლო მოწეულიყო და დაბლა დახრილიყო.

ტიხონმა ზურგზე გაკრული ხელები დაჭიმა, მკერდი წინ წამოსწია და თავგადაგდებულმა ამოიძახა:

— წყალი!

— ხელი გაუხსენით და კუმისი მიართვით! — ბრძანა სუბუდაიმ.

ნუკერებმა წამსვე ხელები გაუხსნეს ტყვეს და შუშხუნა კუმისით სავსე სასმისი მიაწოდეს. ხელებგათავისუფლებულმა ტიხონმა თითქო გაიზმორაო, მკლავები გაშალა და გაბრუშებული თითები აამოძრავა. კუმისი ტუჩთან მიიტანა, მოსვა. უსიამოვნო გემომ სახე დაუჭყანა. სასმისი იქვე დადვა და პირი აარიდა.

სუბუდაის არც შეუხედია, ისე გაუმეორა:

— აქეთ მოიწი!

ტიხონმა ფეხი წარსდგა და ეტრატზე დაიხარა.

— ეს გურჯების ქვეყანაა, — უშველებელი თითით შემოხაზა ეტრატზე სუბუდაი ბაღათურმა, — ჩინგიზ ყაენს მთელი მსოფლიო უნდა დაემორჩილოს... გურჯისტანის შემდეგ დიდი მთაა, — სუბუდაიმ გრძელი ჩხირი დადვა ეტრატზე, — ამ მთის გადაღმა დიდი ველებია — დეშტიპყიფჩაღი... მერე თქვენი ქვეყანაა..

ტიხონი უხმოდ ჩაჰყურებდა არაბული ასოებით აჭრელებულ რუქას და თავში ათასგვარი ეჭვი და ფიქრი უტრიალებდა.

— ყივჩაღთა ველს იქით, ერთ მხარეს თქვენი ქვეყანაა, მეორე მხარეს ჩვენი. — სუბუდაიმ თავი აიღო და ტიხონს შეხედა.

— ეგრე არ არი, რუსო?!

ტიხონმა პირი მოარიდა და არაფერი თქვა.

— ამ დიდ მთას ხომ ხვრელები აქვს! იმ ხვრელებში გასასვლელი გზები შენ კარგად იცი.

ტიხონმა ტუჩზე იკბინა და თვალი მოხუჭა.

— ეს გზები შენზე კარგად არავინ იცის, რამდენჯერ გივლია, — ჩაერია ჰამადავლე, — ვაჭარი კაცი ხარ და ისე მოიქეცი, რომ სარგებელი ნახო.

ტიხონმა თავი ჰამადავლესკენ ოდნავ მოაბრუნა და შეუბღვირა.

— ამ მთისა და ზღვის შუა რკინის კარი ყოფილა. ეს კარი შენ უნდა გაგვატარო და კიევის ქვეყანაში მიგვიყვანო. სუბუდაიმ ჩაახველა და სალი წვრილი თვალი ტიხონის მრისხანე თვალებს ნემსივით გაუყარა.

— წინ უნდა წარუძღვე და კიევის გზა უჩვენო, — განმარტა სარდლის ნათქვამი ჰამადავლემ.

— ჩემს სამშობლოზე გავუძღვე მტერს და გზა ვუჩვენო? — აღშფოთებით ჰკითხა სახეშეშლილმა ტიხონმა.

— ჰო, უნდა გაუძღვე და გზა უჩვენო, ქარავანს და ქონებას დაიბრუნებ და სხვა სარგებელსაც ბევრს ნახავ.

— აი, ჩემი სარგებელი! — შესძახა ტიხონმა, კუშისით სავსე სასმისს ხელი დასტაცა, მთელი ძალით მოიქნია და ჰამადავლეს ტიტველ თავზე ჩამოამხო.

ნუკერები მაშინვე ტიხონს მისცვივდნენ, ხელებში ეცნენ და გადაუტრიალეს. ღონეგამოლეული ვაჟკაცი ერთხანს ბრდღვინავდა, მძიმედ სუნთქავდა და შფოთავდა.

განრისხებული სუბუდაი გაკავებული ტიხონის წინ აღიმართა და გაანჩხლებულმა ჰროლა სალი თვალი დააშტერა.

— ეს არი შენი მადლობა, რუსო?

— ეს არი! — ამოიძახა ტიხონმა და სუბუდაი ბაღათურს შიგ თვალში შეაფურთხა.

— გაათრიეთ! სცემეთ! — იყვირა სუბუდაიმ და ფურთხით ავსებულ სალ თვალზე სახელო მიიფარა.

ტიხონი ნუკერებმა იურტიდან გაათრიეს, გააშიშვლეს და ძირს დასცეს. წამოქცეულ დიდვაჭარს ფეხით შედგნენ სუბუდაის ნუკერები და უწყალოდ დაუწყეს გვემა.

გულის ჯავრი რომ იყარეს, ცემისაგან დაოსებული, სულთმობრძავი ტიხონი ისევ ბაკში შემოაგდეს. იგი თითქმის ცოცხალ-მკვდარი იყო და შიოსთან, ალბათ, იმიტომ დააბრუნეს, რომ მონგოლთა ურჩობის მაგალითით ქართველი ტყვე დაეშინებინათ.

ხელ-ფეხშეკრული შიო ხოხვით მიუახლოვდა ტიხონს და დასისხლიანებულ, წამოსიებულ სახეში ჩააცქერდა.

— ტიხონ! ტიხონ! როგორა ხარ? — ჩასძახა შიომ.

გაბერილი ქუთუთოები ოდნავ შეირხნენ და ტიხონმა გალურჯებული თვალებით ამოხედა შიოს.

— მომკლეს ურჯულოებმა, შვილო... შენ მაინც ეცადე, რომ გადარჩე და აქედან როგორმე თავი დააღწიო. თქვენ მეფეს და კიევის მთავარს აცნობე, რომ ჩვენ ქვეყნებს დიდი უბედურება ელით, წალეკვა და განადგურება ელით. მონგოლებს რუსეთში გადასვლა სურთ და მე გზის ჩვენებას, მეგზურობას მაკისრებდნენ. ჯილდო და პატივი აღმითქვეს, მაგრამ ჩემ ქვეყანას როგორ გავყიდდი. ვაი... ვაი! — ამოიკვნესა ტიხონმა, ტკივილისაგან სახე დაეღმიჭა და თვალი ისევ მიხუჭა. — როგორმე აქედან თავი დაიძვრინე. ქართველთა მეფე ნახე, მერე რუსეთს გადადი. კიევის მთავარსა და ყივჩაღთა ხანს უთხარი, საქართველოს მოეშველონ... მონგოლები საერთო ძალით გაანადგურონ.. ეს ხალხი თუ კავკასიონს გასცდა და ძნელად გასასვლელი მთები გაიარა, მერე ველებზე მას ველარავინ გაუმკლავდება და ჩვენს ხალხს დიდ უბედურებას დაატეხს თავს.

ტიხონმა ოხვრასა და სუნთქვას უმატა, სული ყელში ებჯინებოდა და კიდევ მაინც რაღაცის თქმას ცდილობდა.

— წა.. წადი აქედან.. როგორმე გაიქეცი.. თავი დაიხსენი.. — ლუღლუღით ამოთქვა და თვალი გაახილა, მაგრამ თვალებში აზრი და სიცოცხლე აღარ ჰქონდა.

დიდვაჭარი დადუმდა. ერთხანს კიდევ გამალებით სუნთქავდა, მერე სუნთქვაც შეუნელდა და სულის ღაფვად ექცა.

შიოს თვალთაგან ცრემლი გადმოცვივდა, ხელებშეკრულს იმის ღონეც აღარ ჰქონდა, რომ თავისი მეგობრისათვის თვალი დაეხუჭა. მკვდრის გადატრიალებულ, გაქვავებულ თვალებს ვეღარ უყურა და ტუჩების კვნეტით პირი იბრუნა.

ბაკის კარი გაიღო. მონგოლი ნუკერები შემოვიდნენ. შიო ფეხზე წამოაგდეს და სუბუდაი ბაღათურის იურტისკენ წაიყვანეს.

სუბუდაი ვახშამს შეექცეოდა. ცხვრის უმ ხორცს მგელივით გლეჯდა და დროდადრო ზედ შუშხუნა კუმისს აყოლებდა. კუთხეში თავშეხვეული ჰამადაველე იჯდა მობუზული.

ტურღაუდებმა შიო იურტაში შეაგდეს და ხელებშეკრულ ტყვეს აქეთიქით გუშაგებად ამოუდგნენ.

— მოკვდა რუსი ვაჭარი? — იკითხა სუბუდაიმ. შიომ მონგოლთა სარდლის ნათქვამი გაიგო, მაგრამ მაინც ჰამადაველესკენ გაიხედა, ჰამადაველემ მაშინვე თარგმნა ნათქვამი. შიომ არაფერი უპასუხა.

— იმ სულელს ეგონა, ჩვენი ურჩობა შერჩებოდა... ტყუილად თავი შეგვაკლა. დარუბანდის კარს ჩვენ უმისოდაც გავივლით, მან კი თავისი უგნურებით სიმდიდრისა და ჩვენი წყალობის გარდა, თავიც წააგო.

სუბუდაიმ ცხვრის გახრული ბეჭი პირში გამოივლო და შორს გასტყორცნა. მერე ხელები ჰამადაველეს გულმკერდზე შეიწმინდა და ნუკერის მიერ მირთმეული კუმისი გადაჰკრა.

— შენ ახალგაზრდა კაცი ხარ.. რუსეთში გივლია..

თანხმობის ნიშნად შიომ თავი დაუკრა და ირანულად დაუდასტურა:

— მივლია. ბევრჯერ ვყოფილვარ.

— გურჯების ქვეყანას ჩვენ არ ვავნებთ, მხოლოდ გზად გავივლით და დეშტიყიფჩაღში გადავალთ, რომ იქიდან მთელი ქვეყნის მბრძანებელს ვეახლოთ. საქართველოსთან ჩვენ საქმე არა გვაქვს, ჩვენც თქვენსავით ქრისტეანები ვართ, ურჯულო მაჰმადის მიმდევრებს გვძულს და ვებრძვით. ჩვენ გვინდა, მარტო შენი კი არა, რუსთა ქარავნის მთელი სიმდიდრეც შენ დაგიბრუნოთ და სხვა ჯილდოც მოგცეთ თუ...

სუბუდაიმ სალი წვრილი თვალი მთლად მიწურა და ისარივით ჩაასო თვალში შიოს. შიოს ბრაზისაგან ქვედა ყბა აუძაგძაგდა. თავით დაძგერება და ამ ცალთვალა მონგოლი სარდლის ქვეშ მოგდება სიცოცხლეს ერჩია, მაგრამ ყურში მომაკვდავი ტიხონის უკანასკნელი სიტყვები ესმოდა:

— როგორმე აქედან გაიქეცი.. საქართველოს მეფეს და კიევის მთავარს აცნობე, რომ მონგოლებს საერთო ძალით დახვდნენ...

ხელშეკრულმა ტყვემ მღელვარებას სძლია, გადაწყვიტა ყველაფერი აეტანა, ყველაფერზე თანხმობა მიეცა, ოღონდ აქედან ცოცხალი გასულიყო, რუსი დიდ ვაჭრის ანდერძი შეესრულებინა და თავისსა და ტიხონის სამშობლოს ცოტა მაინც წადგომოდა.

შიომ ჰამადაველესკენ გაიხედა და სუბუდაი ბაღათურს უთხრა:

— ამ საუბარზე მონგოლთა მბრძანებელს მგონი მოწმე არ სჭირდება.

სუბუდაი მიუხვდა ტყვეს და ნუკერებს ჰამადაველეზე ანიშნა. ჰამადაველე თვითონ წამოდგა ფეხზე გახარებული, რომ ქართველი ტყვის თვალების ბრიალს მაინც გადარჩა და იურტიდან ქურდივით გაიპარა.

ცოტა ხნის შემდეგ სუბუდაი ბაღათურს წელგამართული და ხელგაშლილი ესაუბრებოდა შიო. მის სუფრაზე იჯდა და მისი ნუკერების მიერ მოწოდებულ ადარბადაგანის ღვინოს მიირთმევდა.

შიო ყველაფერზე დათანხმებულიყო და სუბუდაისთვის დარუბანდის კარისკენ მეგზურობა აღეთქვა. საუბრის დასასრულს სუბუდაი ბაღათურმა ყელზე ოქროსფერი პაიცა გადაჰკიდა შიოს, კარებამდი მოაცილა და მისთვის განკუთვნილი იურტისკენ ნუკერები ახლა.

*

*   *

დილით ხმაურმა გააღვიძა შიო. მის იურტაში ჰამადავლეს მეტი არავინ იყო. ამ მახინჯის გვერდით ყოფნა არაფრად ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია შიომ, მიესალმა და ამბავი ჰკითხა.

ჰამადავლემ უამბო: ღამით ქადან ზალათური მომკვდარიყო გულის რევისა და მუცლის ტკივილისაგან. სიკვდილის წინ ქადანს ეთქვა, მონასტერში წინამძღვარმა სუფრა გამიშალა და ნამდვილად იქ მომწამლესო. ჯებეს და სუბუდაის ცხენოსანთა რაზმი ეფრინათ და მონასტრის მოხუცი წინამძღვარი შეეპყროთ. დაკითხვისას მოხუცს ეთქვა: მონგოლები საპატიო სტუმრებივით მივიღე, ცხვრები დავუკალი და ზედაშენის ღვინო ვასვიო.

ნოინები ჩასციებოდნენ, ალბათ, სასმელ-საჭმელში საწამლავი შეურიეო. მოხუცი ფიცით უარყოფდა, მსგავსი ბოროტება ღვთისა და ქრისტეს სჯულის წინააღმდეგია, ჩვენ მონასტრის წმინდა მსახურები ამას როგორ ჩავიდენდითო.

— მონგოლებმა სმა-ჭამის ზომა არ იციან, გაძღომას ვერ გებულობენ. ალბათ, მეტისმეტმა ღორმუცელობამ მოჰკლა ქადანი. მოხუცის თავის მართლება არ დაიჯერეს და ახლა ტყუილად აწამებენ... — დაამთავრა ჰამადავლემ და შიო იურტიდან გაახედა: მონგოლი ნუკერები მიწაში პალოებს ასობდნენ. შიო გაფაციცებით ადევნებდა თვალს მათ სწრაფ მოქმედებას.

რამდენი რამ გაეგონა შიოს ამ ხალხზე, საშინელი და უცნაური. ნაამბობი ყოველთვის გაზვიადებული ეგონა, საკუთარი თვალით დანახული, მაგრამ სინამდვილე კიდევ უფრო უცნაურად და დაუჯერებლად ეჩვენა.

მხარბეჭიანები და ახოვნები იყვნენ მონგოლები. კამეჩივით დიდ თავზე ხშირი შავი თმა ემოსათ. დაბალ, ბრტყელ შუბლ ქვეშ წიწილის ვიწრო თვალები ვერცხლის წყალივით მოუსვენრად დაურბოდათ. ცხვირი კატასავით მოკლე ჰქონდათ, ლაწვებზე დაბლა გართხმოდათ და ნესტოები ძლივს ეტყობოდათ. წვერი ან სულ არ ესხათ ან რამდენიმე გრძელი ღერი ეკიდათ. ტანით მოკლე, მაგრამ ბოძივით მაგარი ფეხებით სწრაფად დარბოდნენ და ერთიმეორეს არწივისებური გამყივანი ხმით გასძახოდნენ.

მოედანზე ხელფეხშეკრული მონასტრის წინამძღვარი გამოიყვანეს.

ჯებე და სუბუდაი ამაღლებულ ადგილებზე დასხდნენ.

დატყვევებული მონაზნები მოაყვანინეს, შუა მოედანზე დააყენეს და წინამძღვრის თვალწინ გააშიშვლეს.

მოხუცმა ვეღარ უყურა მონაზნების შერცხვენას, ხელები ცისკენ აღაპყრო და ჩიფჩიფით იწყო ლოცვა. გვერდში მდგარმა ტურღაუდმა მოხუცს წვერში წაავლო ხელი და მაგრად აჰქაჩა, რომ წინამძღვარს მონაზნების შეგინება დაენახა.

წამით საშინელი სურათი წარმოუდგა თვალწინ მოხუცებულს: მონგოლებს აწიაქებული ტიტველი ქალები იქვე წაექციათ და საჯაროდ, საერთო სიცილსა, ყვირილსა და ხორხოცში ხდიდნენ ნამუსს.

— ღმერთო მიჰრიდე თვალი ჩემი ბიწიერებისაგან და მიიღე სული ჩემი მართალი!.. — შეჰღაღადა მოხუცმა და ცრემლიანი თვალები დახუჭა, რომ საშინელებისათვის არ ეცქირნა.

ლოცვითა და ვედრებით სურდა ჩაეხშო წინამძღვარს ქალების გულგამგმირავი კივილი, გამხეცებული კაცების ცხოველური ქლოშინი და სეირის მაყურებელთა აღტყინებული ღრიანცელი.

როგორც იყო ქინმოკლულმა ნუკერებმა, ღონემიხდილი, ჩვრებივით მოთელილი მონაზნები გაიყვანეს.

წინამძღვარი წააქციეს და მიწაში ჩასობილ ოთხ პალოზე მიაკრეს მხრებითა და ფეხებით. მოხუცს ქვეშ ცეცხლი შეუნთეს, თანდათან შეუკეთეს და ბოლოს კოცონი ააბრიალეს.

თმააბურძგნული და სახეშეშლილი შეჰყურებდა საშინელ სურათს შიო. ამ ხალხის პირველყოფილ ადამიანებისებურ უშუალო ქცევაში არავითარი პი-

რობითობა არ იყო, რიდი და სირცხვილი, დანდობა და სიბრალული მათთვის გაუგებარი და მიუწვდომელი უნდა ყოფილიყო.

ამ ხალხს მართლაც შეეძლო მთელი ქალაქების დაწვა და წყალში ჩაძირვა, ბავშვებისა და ქალების ერთიანად გაჟუჟვა, უდანაშაულოდ დახოცილი ადამიანების გორებზე ცხენების ჭენება.

— ეს ხალხი თუ კავკასიონს გასცდა, მერე ველებზე მათ ველარავინ გაუმკლავდება და ჩვენს ქვეყნებს დიდ უბედურებას დაატეხენ... — ჩაესმოდა საიდანღაც თუ ხსოვნაში მეორდებოდა ტიხონის ნათქვამი.

— წადი აქედან, როგორმე გაიქეცი.. ხელიდან დაუსხლტი!—ჩასძახოდა ყურში მომაკვდავი ტიხონი და შიომ, თითქო უცებ სიზმრიდან გამოერკვაო, იქაურობას თვალი მოავლო. ყველანი, მისთვის მიჩენილი ტურღაუდებიც, ჰამადავლეც, წინ წასულიყვნენ და სეფერის მაყურებლებს შერეოდნენ.

შიო იურტის კედელს აეკრა და შეუმჩნევლად წავიდა ბანაკის სიღრმისკენ.

რამდენიმე კურენს რომ გასცდა, წინ ნუკერები შემოხვდნენ, გულზე დაკიდებული პაიცა რომ დაუნახეს, გზა მისცეს.

იურტების რიგი თხელდებოდა, შიომ ნაბიჯს უჩქარა.

განაპირა იურტას რომ გასცდა, ფორნის ჰალაზე გამობმულ ცხენს მოახტა. წამით შეყოყმანდა. ჩრდილოეთით საქართველოსკენ გზა მოკლე იყო, მაგრამ უიმედოდ ეჩვენა, რადგან მონგოლთა მთელი ბანაკი უნდა გაევლო. მხედარმა დაუჭედელ მონგოლურ ცხენს ქუსლი ჰკრა, სადავე მიუშვა და სამხრეთისაკენ გაჰქროლა.

## თავი მეოცდახუთე

## ლახვარჩაცემული ძლიერება

რა ამოწყდეს გლეხი კაცი,
საქართველო დაძაბუნდეს...

**არჩილი.**

ლილეს სიკვდილის შემდეგ მიგრიაული კიდევ უფრო მეტის გაბოროტებით იძიებდა შურს. ლუხუმს ამქვეყნად საოცნებო და გასახარელი აღარაფერი დარჩენოდა. ერთადერთი, რის გამოც სიცოცხლე კიდევ სურდა, შურისძიება იყო. სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, მართალი ხალხის გამწარებლებს სასტიკად უსწორდებოდა და სხვის ჯავრს რომ ყრილობდა, საკუთარი ბოღმაც უნელდებოდა.

მიგრიაულის სახელი იზიდავდა ყველა ჩაგრულსა და უსამართლობისაგან გაუბედურებულს. აჯანყებულთა ახალ-ახალი ჯგუფები მისი იმედით გადიოდნენ ტყეში და მისივე მაგალითის მიხედვით უხდიდნენ სამაგიეროს მემამულეებსა და ხელისუფლების მოხელეებს.

კარი გულხელდაკრეფილი როდი უყურებდა მისთვის ესოდენ საშიშ გლეხთა ამ მღელვარებას: მეამბოხეებს ჯარებით დასდევდნენ, პირისპირ ბრძოლას არ სჯერდებოდნენ და ზურგიდან მოღალატეებისა და მოსყიდულების ხელითაც მოქმედებდნენ.

მეკობრეთა შემფარებელ და ხელისშემწყობ გლეხებს არბევდნენ და იკლებდნენ, სახლკარს უწვავდნენ და ძელზე ჰკიდებდნენ.

მაგრამ ცეცხლი არ ჰქრებოდა, უფრო შორსა და მაღლა მიიწევდა.

სამეფო კარი დარწმუნდა, რომ ვიდრე მიგრიაულსა და მის მეამბოხეებს არ მოსპობდა, ქვეყანაში შფოთი და მოუსვენრობა არ დაცხრებოდა, ხოლო შორეულ ლაშქრობაზე ფიქრი ხომ არც შეიძლებოდა, სანამ საკუთარ ზურგში

გლეხთა მღელვარების ეს მოგიზგიზე ხანძარი არ ჩაქრებოდა.

მეფემ გადაწყვიტა ერთი დაკვრით აჯანყებულთა განადგურება.

დიდ ჯარს ეგარსლან ბაკურციხელი უთავეს, მეკობრეთა ბანაკის მიწასთან გასწორება და მეამბოხეთა განუკითხავად გაჟლეტა დაავალეს.

ფრთხილი ბაკურციხელი სწრაფად და წინდახედულად მოქმედებდა.

ჯერ მსტოვრებისაგან მიგრიაულის ადგილსამყოფელის ასავალ-დასავალი გაიგო, მერე ღამით საიდუმლოდ დაიძრა მრავალრიცხოვანი ჯარით და აჯანყებულთა ბანაკს შემოადგა.

მეამბოხეებმა გვიან გაიგეს ხაფანგში მომწყვდევა.

წინ რომ დამსჯელი ჯარის გაუვალი კედელი ნახეს, უკან წასვლა და მთებში გახიზვნა განიზრახეს. მაგრამ ეს ერთადერთი გზაც გადაჭრილი აღმოჩნდა — ეგარსლანს მიუვალი გზებით შემოევლო და ჯარის ნაწილით ზურგში მოქცეოდა მეამბოხეებს.

ბაკურციხელს მბრძანებელი სიმაღლე ეჭირა, ბრძოლის შემთხვევაში იქიდან ერთ მოისარს ათი მოწინააღმდეგის მოსრვა შეეძლო.

აჯანყებულებს ცოტახნის სამყოფი სურსათი კიდევ ჰქონდათ. ბანაკი გაამაგრეს და ბაკურციხელის იერიშს დაუწყეს ლოდინი, რომ ძვირად დაესვათ თავიანთი სიკვდილი.

ბაკურციხელი არ ჩქარობდა, ხანგრძლივი ალყისათვის ემზადებოდა.

ერთ თვეს გაუძლო ბანაკმა სურსათის სიმცირესა და ალყის სიძნელეს.

მეორე თვეში საჭმელი გათავდა და შიმშილობა დაიწყო.

მეამბოხეების სიმტკიცე თანდათან ტყდებოდა.

უფრო უნებისყოფოებმა, აჯანყებულებთან შემთხვევით და ნაძარცვის საშოვნელად მიკედლებულებმა, ჯერ ჩუმად და მერე ხმამაღლა დაიწყეს დამორჩილებაზე ლაპარაკი.

მიგრიაული მკაცრად უსწორდებოდა გულგატეხილებს და სასოწარკვეთილებს, მაგრამ თვითონაც ხედავდა, რომ სხვა გზა აღარ იყო, ან ეგარსლანს უნდა დანებებოდნენ ან შიმშილით უნდა დახოცილიყვნენ.

იყო კიდევ ერთი გამოსავალი. ჩალხია ფხოველის რჩევით მიგრიაულმა ერთგულ მეამბოხეებთან მოითათბირა და ეგარსლანს შეუთვალა: უვნებლობის გზა მოგვეცი, სამეფოს საზღვარს გადავალთ, საქართველოს დავეხსნებით და უცხოეთში დავიკარგებითო.

ბაკურციხელმა მიგრიაულის პირობა არ მიიღო, მეამბოხეებს ერთი კვირის ვადა დაუდვა, თუ არ დამმორჩილდებით, იერიშს დავიწყებ და მთლად ერთიანად გაგჟუჟავთო. მიგრიაულს გადაწყვეტილი ჰქონდა ცოცხალი თავით მეფეს ხელთ არ ჩავარდნოდა, მაგრამ ალყაშემორტყმულებს არჩევანი აღარ ჰქონდათ და ლუხუმმა წინააღმდეგობა აღარ გაუწია მეკობრეებს. ეგარსლანს თხოვეს მეფე და ახალციხელი მობრძანდნენ და იმათ მიგვითვალონო.

ეგარსლანმა მეამბოხეების პირობა თბილისს აცნობა და პასუხს დაელოდა.

ვაზირებმა მეფეს წასვლა არ ურჩიეს. ყაჩაღებთან პირისპირ ლაპარაკი რა მეფის საკადრისია, ბაკურციხელს კიდევ ჯარი მივაშველოთ და საქმეს უთქვენოდ გაათავებსო.

შალვა ახალციხელმა თვით განაცხადა სურვილი მეამბოხეებთან შეხვედრისა— ძნელი ომისათვის ვემზადებით, მიგრიაულს ხალხში დიდი სახელი აქვს და აჯანყებულების მშვიდობიანი შემორიგება მეფის ხელისუფლებას ხალხის თვალში აღამაღლებს, მიგრიაულის მეკობრეები სულ რჩეული მეომრები არიან და მათ გაწყვეტას ისა სჯობს, ქვეყნის მტრებთან ომში გამოვიყენოთო.

მეფე ყოყმანობდა. ბოლოს მიგრიაულთან შეხვედრის უნდომლობამ დასძლია, ვაზირების რჩევას დაეთანხმა და მეამბოხეებთან მარტო შალვა ახალციხელი წარგზავნა.

ამასობაში ერთ კვირაზე მეტი გავიდა, აჯანყებულებმა თავიანთი უკანასკნელი პირობის შესრულების იმედიც გადაი-

წყვიტეს. ლუხუმი დარწმუნდა, რომ ალყიდან მხოლოდ მაშინ გავიდოდა მეკობრეთა ერთი ნაწილი მაინც, თუ მეორე უფრო დიდი ნაწილი გზას გაუკაფავდა და მტრის მოწოლისაგან დაიფარავდა. მეამბოხეთაგან უფრო ახალგაზრდები გადაარჩია და ქარუმას მეთაურობით გარემოცვიდან გასასვლელად მოამზადა.

გვიან ღამით ეკვეთნენ მთელი ძალით მტერს. დარტყმა ძლიერი და მოულოდნელი იყო. ალყა გაირღვა და მეამბოხეებმა იხუვლეს.

გონს მოსული ეგარსლანი თვითონ ეკვეთა მტერს და ხელჩართულ ბრძოლაში კვლავ შეიკრა უზარმაზარი წრე დარჩენილი მეამბოხეების ირგვლივ.

მიგრიაულმა ქარუმას რაზმი წინ გაუშვა, თავათ უკან შემობრუნდა და თავგანწირვით მიაგდო ცხენი ეგარსლანზე. ის იყო ლუხუმმა ხმალი აღმართა, რომ ზურგში ჩაკრულმა ლახვარმა ცხენიდან გადმოაგდო და მრისხანედ ანთებული ერთადერთი თვალიც სამუდამოდ დაუხუჰა.

ხოსიტა გაცეცხლებული მივარდა ლუხუმს, ჯერ კიდევ ცოცხალი ეგონა, ამოდენა ვაჟკაცი მხარზე მოიგდო და ძუნძულით გაიქცა.

გარბოდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, საით.

მტრის ისარმა მასაც ზურგში უწია და ორი მეამბოხის უსულო სხეული ერთად დავარდა გვამებით მოფენილ მიწაზე.

*

* *

ბანაკში ახალციხელი და თორელი ამოვიდნენ. უკვე ყველაფერი გათავებული იყო, მეამბოხეების უმრავლესობა გაექლიტათ, მხოლოდ მცირე გუნდი გასულიყო ალყიდან.

ცხენის ფლოქვებისგან თავგაჩეჩქვილი მეკობრეები და მეფის ჯარისკაცები ერთიმეორეში არეულიყვნენ.

მუცელგამოფატრულ ვაჟკაცს ხმალზე მარჯვენა ხელი შეჰყინვოდა, მარცხენათი ფანდურს ჩაფრენოდა და ზედ გაციებული თითები დაკრუნჩხვოდა.

თორელი დააცქერდა მოკლულს: ლაშარის ხატში ნანახი ბრმა მეფანდურე იცნო.

— ამ უბედურს რაღა უნდოდა აქ?! — აღმოხდა თორელს და ახალციხელისაკენ გაიხედა. ახალციხელი მომაკვდავ ფხოველთან დახრილიყო.

დაჭრილმა ფხოველმა ოდნავ წამოიწია, შალვას ხელი მოუფათურა და მარჯვნივ გაეხედა:

პირქვე დამხობილ უზარმაზარ ვაჟკაცს ლახვარი შიგ ზურგში ჰქონდა გაყრილი.

— ხედავ, შალვა? ლუხუმია, მიგრიაული!.. — ფრთებდალეწილი არწივივით გართხმული გოლიათის დანახვაზე ახალციხელს ყრუანტელმა დაუარა.

— ვიცოდი, რომ ეს ბოლო გვექნებოდა! — განაგრძობდა ფხოველი, — სანამ ყმა ყმის კვლაზე ხელს არ აიღებს, გლეხის საშველი არ იქნება. ეს დრო კი, ვინ იცის, როდის დადგება! ჩვენ გლეხების თავისუფლებისათვის ვიბრძოდით და მეფემ ჩვენი თავი ისევ ყმაგლეხებს ამოაჟლეტვინა. მაგრამ ეს იცოდე, შალვა, კარგი დღე არც მეფესა და ჩვენ ქვეყანას დაადგება: ეგ ლახვარი მარტო მიგრიაულს კი არა, საქართველოს ძლიერებას ჩასცეს ზურგში, რადგან საქართველოს ძლიერება, მიგრიაულისთანა პატიოსან ყმა გლეხების ძალასა და სიმტკიცეზე იყო მუდამ დამყარებული!..

ფხოველმა უკანასკნელი სიტყვები ამოიგმინა და გათავდა.

*

* *

მიგრიაულის სახელით ბევრი სხვა მეკობრეც ყაჩაღობდა.

ხალხს რომ მეამბოხეთა მეთაურის სიკვდილი ერწმუნებინა და სხვა აჯანყებულებიც დაეშინებინათ, ლუხუმის გვამი ძელზე ჩამოჰკიდეს ქალაქის მთავარ მოედანზე.

მოლოდინი არ გამართლდა.

ხალხი მოკლულის გვამის შეგინებასა და შეურაცხყოფას სულაც არ ფიქრობდა.

სახემოღუშულნი, თავჩაღუნულნი გროვდებოდნენ ძელთან, წარბშეკრულნი ახედავდნენ უსამართლობის მსხვერპლსა და თავის ქნევითა და გულში მჯიღის ცემით შორდებოდნენ იქაურობას.

ქალები ცრემლს არ იშურებდნენ უბედურისათვის და ზოგჯერ ხმამაღლაც მოსთქვამდნენ ყველას გასაგონად.

ერთ დღეს ეკიდა მხოლოდ ლუხუმი ძელზე.

მეორე დილას გაქრა მოედნიდან ძელიცა და მიგრიაულის გვამიც.

ხალხში ათასგვარი მითქმა-მოთქმა იყო, დანამდვილებით კი არავინ იცოდა, ვინ გაიტაცა მეფის მცველყოფილისა და მეკობრეთა მეთაურის სხეული.

ერთნი მეფეზე ლაპარაკობდნენ: ვერ გაუძლო ერთგულად ნამსახურისა და უდანაშაულოდ დასჯილის, მისგანვე ულვთოდ შეგინებულისა და უბრალოდ გაუბედურებულის ცქერას, სინდისმა შეაწუხა, ღამით მალულად ჩამოახსნევინა და დაამარხვინაო.

მეორენი გვამის გაქრობას ხელისუფალთ აბრალებდნენ: ხალხში ზიზღისა და სიძულვილის, შიშისა და მორჩილების გრძნობის ნაცვლად, ლუხუმის გვამის ძელზე ჩამოკიდება მსხვერპლისადმი სიბრალული და მხარდაჭერა, უსამართლობისადმი აღშფოთება და შეძრწუნება გამოიწვია და ხელისუფალნი იძულებული გახდნენ მიგრიაულის გვამი გაექროთო.

მესამენი ხმადაბლა ჩურჩულებდნენ: ქალაქის მდაბიოებმა, მუშებმა და ხელოსნებმა, მონებმა და მსახურებმა მოიპარეს ლუხუმის სხეული და ღამით ჩუმად მიაბარეს მიწასო.

*

* *

ჯვაროსნული ლაშქრობისათვის საქართველოს სამეფოს დიდი სამზადისი ჰქონდა და ეს სამზადისი ორი ხაზით მიმდინარეობდა. ერთის მხრივ, საკუთრივ ქართველთა და მათი ყმადნაფიცი ქვეყნების ჯარების შეიარაღება, მოსალოდნელი ლაშქრობისათვის სურსათით მომარაგება და საბრძოლო გაკაზმვა ხდებოდა, მეორეს მხრივ ტრაპიზონის იმპერიის გამალებული მომზადება იკონიის სასულტნოსა და ნიკეის იმპერიის დასაპყრობად, დასავლეთიდან მტრული ქეიქაუსისა და ლასკარისაგან ქართველთა ზურგის უზრუნველსაყოფად მომავალი დიდი ლაშქრობის დროს. ეს უკანასკნელი ამოცანა ძალთა დიდ დაძაბვასა, გეგმიან მოქმედებასა და დიდ სიფრთხილესაც მოითხოვდა, რადგან ტრაპიზონის მომავალი მოწინააღმდეგენი საკმაოდ ძლიერნი იყვნენ და მარტო ტრაპიზონის მცირე იმპერიისთვის კი არა, ძლიერი საქართველოსთვისაც ძნელად დასაძლევ მოპირდაპირეებად ითვლებოდნენ.

სამზადისი დიდი საიდუმლოებით მიმდინარეობდა.

ქართველი მხედართმთავრები და დიდებულები, ხედავდნენ, რომ მოსახლეობა მაინცადამაინც დიდ აღტყინებას არ იჩენდა მთავრობის ახალი წამოწყებისადმი.

გაღარიბებულ გლეხობას აღარც ცხენები გააჩნდა და აღარც იარაღი ებადა, სურსათ-სანოვაგეზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტი იყო.

გლეხები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ომში წასვლისაგან თავის ასარიდებლად. ზოგი სახლ-კარიდან იყრებოდა, ზოგი ტყეში გადიოდა და ზოგიც ძალით ისახიჩრებდა თავს, რომ ომში აღარ გამომდგარიყო.

მათი ნაწილიც, ვინც ხელთ რჩებოდა, ჯარიდან გაპარვაზე ფიქრში იყვნენ და ხელისუფალთა წინააღმდეგ აშკარა უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ.

ქართველ მხედართმთავართაგან გამოცდილები და ჭკვიანები ხედავდნენ, რომ ასეთი ლაშქრით შორს წასვლა და დიდი ბრძოლების გადახდა შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ მაინც გულს არ იტეხდნენ და იმედს არ კარგავდნენ, რომ,

როცა ლაშქრობის ნამდვილი მიზეზი — თამარის ნეშტის იერუსალიმს წასვენება და წმინდა ადგილების გამოხსნა გამოცხადდებოდა, მეომართა საბრძოლო სულისკვეთებაც ამაღლდებოდა.

ქართველები რომ ამ სამზადისში იყვნენ, მეზობელ ქრისტიან და მაჰმადიან ქვეყნებში საქართველოს ჭაბუკი მეფისადმი ყურადღება ცხოველდებოდა.

საქართველო ჯერ კიდევ თავისი ძლიერების მწვერვალზე იყო და მისი ჭაბუკი მეფის დამოყვრება ბევრ სამეფოს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული.

საქართველოს კარს ზედიზედ მოდიოდა ქრისტიან სამეფოთა ელჩები, რომლებიც თავიანთ მეფეთა ასულებს სთავაზობდნენ საქართველოს დედოფლად და ქართველთა მეფეს სამხედრო კავშირს გარდა, დიდძალ სიმდიდრეს და მამულებს აღუთქვამდნენ მზითვად.

მაჰმადიანი ქვეყნების ათაბაგები და მელიქები იქამდისაც კი მიდიოდნენ, რომ თავიანთი ასულებისაგან ქრისტეანობის მიღებაზე თანხმდებოდნენ თუ ლაშა მათ საქართველოს დედოფლობას აღირსებდა.

ამ წინადადებათაგან საქართველოს მთავრობისათვის ბევრი იყო სასურველი და სახარბიელო.

დარბაზი რამდენჯერმე შეიკრიბა, მეფეს ხან ერთი მეფის ასულის შერთვა ურჩიეს, ხან მეორის, ამასთან ქვეყნის სარგებლობა და მეფის ვალიც მოაგონეს, მაგრამ ლაშამ ყველა მოციქული და დესპანი უარით გააბრუნა უკან და ამით სამოყვროდ თავგადადებული ხელმწიფეები შეურაცხყო და სამტროდ გადაიკიდა.

ბოლოს, მეფის ჯიუტობით თავმობეზრებულმა დარბაზმა მეფეს პირდაპირ დაუდგინა ცოლის შერთვა, მაგრამ ლაშამ გადაჭრით გამოუცხადა თავის ვაზირებს:

— აღთქმა დავდევი ღვთის წინაშე, არა ვეგო ქორწინებად, არცა სხვა მემკვიდრე შევსძინო სამეფოსა ჩემსა, კიდეგან უფლისწულისა ძისა ჩემისა დავითისა!

დარბაზსა და მეფეს შორის ისევ განხეთქილება ჩამოვარდა.

ვაზირები კვლავ აეშალნენ მეფეს და სახელმწიფოსათვის ამ მძიმე ჟამს წონასწორობა ისევ დაირღვა.

*

* *

დიდი განცდის ზარი და სულიერი რღვევა უკვე განვლილი იყო.

დროს თავისი მიჰქონდა: მეფეს დარდი თანდათან შეუმჩნევლად უქარვდებოდა და თითქო ერთი მეორეზე ყოფილიყო დამოკიდებული, ქრისტიანული სარწმუნოებით აღტყინებაც თანდათან უნელდებოდა, გვიან მიღებული, დიდი სულიერი დამბლის შედეგად მოშველებული რწმენა თანდათან უსუსტდებოდა.

მის სულში კვლავ ძველი სკეპსისი და ქრისტეს რელიგიისადმი ეჭვი ილვიძებდა. მეფე კვლავ სულიერად ცარიელი, გამოფიტული და მიუსაფარი ხდებოდა.

ლაშა დარწმუნდა, რომ ღმერთი მხოლოდ მას სწამდა, ვინც ბავშვობიდანვე წმინდა გულით იწამა და შეიყვარა იგი.

რაკი მეფეს სულიერი და ზნეობრივი დასაყრდენი გამოეცალა და სამეფოს მართვის საქმეებიც კვლავ აერია, ლაშამ ისევ მარტოობა და უღონობა იგრძნო.

სულიერად გამოცალიერებულმა მეფემ კვლავ თავდავიწყების ძებნა იწყო და ისევ ძველ გზას დაადგა — დროს ტარებასა და თრობას მისცა თავი.

*

* *

საქართველოს განაპირა საერისთაოების, გაგისა და ჰერეთის საზღვრებში მონღოლთა ავანგარდის მოულოდნელმა გამოჩენამ, მამულებისა და მონასტრების რბევამ, ფეხზე დააყენა მთელი სამეფო.

ვარამ გაგელმა და ჰერეთის ერისთავმა მაშინვე აცნობეს უცხო ნათესავთა მოსვლა მეფესა და ამირსპასალარს. მტერი ქვეყნის საზღვრებში იყო შემოსული, მისი არც რიცხვი იცოდნენ და არც განზრახვა. ქართველებმა სასწრაფოდ შეკრიბეს ათიათასიანი ლაშქარი და მონგოლებს პირისპირ ეკვეთნენ.

მონგოლთა ავანგარდი მცირერიცხოვანი იყო და ამიტომ პირველი ძლიერი ბრძოლისთანავე უკან დაიხია. ქართველები დაედევნენ, მტერი დროდადრო ჩერდებოდა, მდევარს შემოუტევდა და კვლავ უკან დახევას განაგრძობდა.

ასე სდიეს ორი დღის სავალზე ბალისწყლამდე. მონგოლები ბალისწყალზე გადაიდნენ და წყალგალმაც არ შეჩერდნენ. ქართველები მიხვდნენ, რომ მტერი მახეს უგებდა, შორს მიჰყავდა, რომ მთავარი ძალების განლაგებაში შეეტყუებინა, ახალი ძლიერი ლაშქრით თავს დასხმოდა და მდევარი გაენადგურებინა.

ქართველების ლაშქარი ისეც მცირე იყო და ამ ბრძოლებსა და დევნაში ხომ საკმაოდ შეთხელდა.

ახალი დიდი ბრძოლის გამართვა ქართველებისთვის ხელსაყრელი არ იყო და ამიტომ მონგოლთა შემდგომ დევნას უკან შემობრუნება არჩიეს.

*

* *

დაჭრილი მონგოლებისა და მსტოვრებისაგან ქართველთა სარდლობამ შეიტყო, რომ მას ბრძოლა მხოლოდ მონგოლთა მეწინავე ჯართან ჰქონდა, მეწინავე ჯარის უკან მონგოლთა დიდი ლაშქარი იდგა, რომელმაც ხვარაზმშას დევნაში თითქმის მთელი შუააზია დაიპყრო. ამ მცირე ბრძოლამაც დაანახვა ქართველებს, რომ საქმე კარგად აღჭურვილი და ბრძოლებში ნაცად ძლიერ მტერთან ჰქონდათ. მონგოლები სწორუპოვარი მოისრები იყვნენ, ამტანი და სწრაფი ცხენები ჰყავდათ და ხერხიანად და დაკვირვებით იბრძოდნენ.

მათ წყობაში ერთნებობა, მკაცრი წესრიგი იგრძნობოდა, ყველანი თავგანწირვით იბრძოდნენ და მტერს ცოცხალი თავით ტყვედ არ ნებდებოდნენ.

თვითონ ლაშამ და მხარგრძელმა საკუთარი თვალით ნახეს მონგოლი მებრძოლის თავზე ხელაღება: ერთი მონგოლი ნუკერთაგანი მზვერავ რაზმს ჩამორჩა და ქართველებით გარშემორტყმული აღმოჩნდა, მონგოლმა გაქცევა და თავის დახსნა რომ ველარ შეძლო, ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩია — ცხენი ყალყზე შეაყენა, ქუსლი ჰკრა და ნაპრალში გადაიჩეხა.

ასეთი თავგანწირული მებრძოლებისაგან შემდგარი დიდი და ძლევამოსილი ლაშქრის შებმა სწრაფსა და გონიერ მოქმედებას მოითხოვდა. ქართველებს ჯვაროსნულ ლაშქრობისათვის სამზადისი აქ გამოადგათ.

სარდლობამ დაუყოვნებლივ იწყო ჯარის შეკრება.

ყმად ნაფიცი ქვეყნების ხლათისა და ერზერუმის სულთნებს ჯარის გამოყვანა დააკისრა, ხოლო ადარბადაგანის მფლობელს უზბეგს საერთო მტრის წინააღმდეგ ომში თანადგომა და ლაშქრით შეწევნა სთხოვა.

ადარბადაგანის მფლობელი ილდეგიზიანი, ჯეჰან ფეჰლევანის შვილი უზბეგი მხდალი და უნებისყოფო, ქეიფსა და ქალებს გადაყოლილი, აზიზი და ნებიერი ჭაბუკი იყო. მისი მთელი ცხოვრება გაუთავებელი დროსტარება და გამოუფხიზლებელი სმა იყო. ქვეყანას მისი ჭკვიანი ცოლი და ერთგული ვაზირები მართავდნენ, მას არაფერს ეკითხებოდნენ და არც თვითონ ერეოდა სახელმწიფოს საქმეებში.

როცა ზამთრის დიდი თოვლისა და სიცივისაგან შეწუხებული მონგოლები ჰამადანიდან ადარბადაგანისკენ დაიძრნენ თბილ ადგილებში გამოსაზამთრებლად, გზა-გზა რბევითა და ნგრევით უზბეგის სატახტო ქალაქს თავრეჟს მოადგნენ.

უზბეგი სულაც არ ფიქრობდა კარზე მომდგარი მტრის ხმალდახმალ დახვედრას. მისმა ვაზირებმა ომს მონგოლთაგან ხარკით თავის დახსნა არჩიეს: უთვალავ ოქროსთან ერთად, ურიცხვი ჯოგი და ჯორკიდებული, ძვირფასი ქსოვილები და სურსათი გაუგზავნეს და მონგოლებისაგან ზავი და უვნებლობა ითხოვეს.

მონგოლებმა უზბეგის თხოვნა შეიწყნარეს, ხარკი მიითვალეს და თავრეჯს უომრად გაეცალნენ.

უზბეგმა განსაცდელი გავლილად ჩასთვალა და ისევ განცხრომასა და ქეიფს მიჰყვა.

სწორედ ამ დროს მოუვიდა ქართველთა მეფის დესპანი ადარბადაგანის მფლობელს. საქართველოს მეფე საერთო მტრის — მონგოლების წინააღმდეგ ომში ჯარით შეწევნასა და თანადგომას სთხოვდა.

ადარბადაგანის მმართველებმა ქართველებს დახმარება აღუთქვეს: მონგოლები ამ ცივ და დიდ თოვლიან ზამთარში საომრად არ წამოვლენ, მუღანის თბილ ველებზე გამოიზამთრებენ, გაზაფხულისთვის კი ჩვენც მზად ვიქნებით და დიდი ლაშქრით დავკრავთ ზურგში საქართველოსკენ წამოსულ თათრებსო.

ხლათის მელიქმაც უჩვეულო ზამთარი მოიმიზეზა და მანაც გაზაფხულისთვის გადადვა თავისი ლაშქრის მოშველება.

ქართველთა სარდლობა ყოყმანობდა. სარწმუნოს ჰგავდა ადარბადაგანის მფლობელისა და ხლათის მელიქის მოსაზრება: ასეთ მკაცრ ზამთარში მონგოლებს ვერ უნდა გაებედნათ მთაგორიან საქართველოს ტყეებით დაფარულ ვიწრო ხეობებში შემოჭრა. გონიერება მონგოლებს რანის ველებზე გამოზამთრებას კარნახობდა.

მეზობლების რწმუნება თბილისში შიოს მოულოდნელმა გამოჩენამაც გაამაგრა. ტანფეხჩამოხეული, თმა-წვერგაბურძგვნილი შიო პირდაპირ სასახლეში გამოცხადდა და მეფისა და ამირსპასალარის ნახვა ითხოვა.

მეფე და ათაბაგი დარბაზის სხდომაზე იყვნენ. მონგოლთაგან დაპყრობილ ქვეყნებში დაკარგულ შიოს ნახვას აღარავინ ელოდა, მტრის გარემოცვიდან გამოსული ქართველი ვაჭრის მოსმენა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს და შიო პირდაპირ სხდომაზე შეიყვანეს.

სულგანაბული ისმენდა დარბაზი შიოსა და რუსთა ქარავნის თავგადასავალს. თათრებთან ტყვედ ყოფილმა ყოველივე უამბო, გაგონილი და თვალით ნახული, მონგოლთა სისასტიკესა და ულმობელობაზე.

მონაზნებისა და წინამძღვრის შეგინებისა და წამების ამბავმა დარბაზი შეაძრწუნა და აღაშფოთა.

— დააშინნეს ყოველნი სისასტიკითა და მრისხანებითა ბილწთა მათ მუღალთა, ესოდენ, რომ არავინა ჩანს წინააღმდგომი მათი. მასმია, რამეთუ ცხენოსანი ვინმე თათართაგანი გამოვალს გზასა ქვლად და ხოცვად კაცთა მართალთა და არავინ არს შემმართებელ ათი მარტოდენ ერთისა მიმართ, შიშისა გამო მათ ურჯულოთა. ხოლო ესეც უთქვამთ: მუღალმან ერთმან შეიპყრა თურმე კაცი ვინმე გზად მიმავალი. და არა აქვნდა მას მუღალს თანა არცა ხმალი, არცა მშვილდი და ისარი და არცა დანა მცირე.—დადევ თავი შენი ქვეყანასა ზედა — რქვა მუღალმან კაცსა მას — და არა მოიცვალო ფეხი ადგილისა ამისაგან, ვიდრე არა მოვიდოდე მე! მან კაცმან დადვა თავი თვისი ადგილსა მას ზედა გზისასა, ხოლო მუღალი მიბრუნდა მოტანად ხმლისა. აღიჭურვა მახვილითა და შემოიქცა უკან. იხილა კაცი იგი მუნვე დადებულითა თავითა ქვეყანასა ზედან. აღიღო მახვილი და მოკლა.

ქართველებს თვითონაც საკმაოდ ჰყავდათ დაშინებული ახლო სამაჰმადიანოს მცხოვრებნი და მაინც და მაინც არ გაკვირვებიათ ძლიერი მტრის წინაშე უიარაღო ხალხის ესოდენ კრთომა და მორჩილება.

— რაოდენ არიან მულალნი, რომელნი მოსულან საზღვრად სამეფოისა ჩვენისა? — იკითხა მეფემ.

აღურაცხელ არს სახლნი მათნი, კარავნი ველსა ზედა, ვითარცა ქვიშა წყალსა შინა და ვითარცა ვარსკვლავნი ცათა შინა მაღალთა. ხოლო წინამძღომელად ჰყავთ მთავარნი ორნი — ჯებე და სებე ერთგულნი და ფრიად ნამსახურნი დიდისა და მის ჩინგის ყაენისა, კაცნი მხნენი წყობასა შინა და დაუმშვრალნი ცხენოსნობასა და ომსა შინა. თავადი იგი სებე მცველყოფილსა ჰგავს მეფისასა ჩვენისასა ლუხუმს. ცალთვალობითა ესოდენ, რომ ვგონებდი ხილვასა პირველს მცველყოფილად.

მეფემ თავი ჩაღუნა და თვალი ათაბაგისკენ გააპარა: მხარგრძელის სახეზე დამცინავი ღიმილი თამაშობდა. ლაშამ მაშინვე საუბრის გეზი შესცვალა და შიოს მონღოლთა საქართველოში მოსვლის მიზანი გამოჰკითხა.

შიომ დაწვრილებით გააცნო დარბაზს მონღოლთა განზრახვა — დარუბანდის კარით ყივჩაღეთს გადასვლა და რუსთა ქვეყნის დალაშქვრა.

დარბაზმა მოიწონა შიოს გადაწყვეტილება კიევის მთავრისთვისა და ყივჩაღთა ხანისთვის ეცნობებია ტიხონის დანაბარები. საქართველოს მთავრობამ თავისი მხრივ კიევის დიდ მთავარსა და ყივჩაღთა ხანის წინაშე საერთო მტრის წინააღმდეგ ლაშქრის თანადგომისა და მოშველების მოციქულობა დაავალა შიოს და ორივესთან წიგნები მიუწერა.

იმ დღესვე ყივჩაღთა ხანისა და კიევის მთავრისადმი საქართველოს მეფის წერილებით შიო ჩრდილოეთის გზას გაუდგა.

* * *

ქართველების ფიქრშიც შიოს ნაამბობით ის აზრი მტკიცდებოდა, რომ მონგოლები საქართველოში შემოსევას და დარუბანდის გზით რუსეთს გადასვლას გაზაფხულისთვის გადასდებდნენ. დიდი თოვლი იდო და სასტიკი ყინვები იდგა. საქართველოს სარდლობა მონგოლებთან დიდ ომს გაზაფხულისთვის ელოდა.

მონგოლთა სამხედრო გამჭრიახობამ აქაც თავი იჩინა და სრულიად მოულოდნელად ყინვასა და უგზოობაში მტრის ლაშქარი საქართველოსკენ დაიძრა.

საქართველოს მეფეს მონგოლთა გაფრთხილება მოუვიდა: „ვაცნობებთ საქართველოს მეფეს, მის ემირებსა და ქვეშევრდომებს, რომ მთელი დედამიწის ზურგი, მზის აღმოსავლიდან დასავლამდე, განგებას ჩვენთვის მოუცია. ყოველი, ვინც, ჩვენ დაგვემორჩილება იხსნის თავს და სიკვდილისაგან გადაარჩენს ცოლშვილსა და ახლობლებს. ყოველი, ვინც გვეურჩება და წინაღგვიდგება, დაიღუპავს თავს, გასწირავს ცოლშვილს, ნათესავებსა და ახლობლებს. უკეთუ დაგვმორჩილდებით და მიგვიღებთ პატივით, არცა ჩვენ გავნებთ, გულმოწყალედ შეგივრდომებთ და მოგაგებთ ღირსეულ ნიჭსა და პატივს, ხოლო თუ ურჩობას გაბედავთ და მიენდობით თქვენი სამეფოს მიუვალობას, ციხეთა სიმტკიცესა და ლაშქრის სიმრავლეს, ყოველივე ამაო იქნება, შევმუსრავთ და დავამხობთ თქვენს ამპარტავნობას და მიწის პირისაგან აღვგვით თქვენს მოდგმას!“

ქართველებს მორჩილებაზე ფიქრი ერთ წამსაც არ მოსვლიათ. მეზობლებისა და ყმადნაფიცი ქვეყნების მაშველი ჯარის ლოდინის დრო აღარ იყო, სამოცი ათასი მეომარი შეკრიბეს და მტერს საბრძოლველად გაეგებნენ.

ქართველები მტკვრისა და ქციის შესართავთან ახლო, ხუნანის ველზე დაბანაკდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი მეოცდაექვსე

# ცალთვალა სარდალი

მტრისაგან გაქცევის არ რცხვენიათ, გაქცეულები შემობრუნდებიან და ისვრიან, ცხენები ძაღლებივით ჰყავთ გაწვრთნილი, რომელ მხარესაც უნდათ იქით ატრიალებენ ოტებულნი ისე მარჯვედ და ძლიერად იბრძვიან, თითქო მტერს პირისპირ უდგნენ. გარბიან და უკან იხედებიან, უცდომლად ისვრიან და ხოცავენ მდევრებსაც და მათ ცხენებსაც. მტერს ჰგონია, რომ აირივნენ და იძლივნენ, მაგრამ თვითონ აგებს ომს, რადგან ცხენებიც ბლომად დაეხოცა და ჯარიც შეუთხელდა. თათრები, როგორც კი დაინახავენ, რომ მტრის ცხენები და მდევრები საკმაოდ დახოცეს, უკან შემობრუნდებიან და მამაცურად იბრძვიან, ქლეტენ და ამარცხებენ მტერს.

**მარკო პოლო.**

დარბაზის საიდუმლო სხდომაზე შიოს ნათქვამი ხალხში როგორღაც გამოვიდა და გადასხვანაირებულად გავრცელდა:

— მეფის მცველყოფილი, მეამბოხე ლუხუმი ცოცხალი ყოფილა, საქართველოდან გაქცეულა, მონგოლების სარდალი გამხდარა და ახლა მეფეზე შურის საძიებლად მტრის ჯარს მოუძღვისო,— ამბობდნენ ლაშქარში.

სარდლები და ჯარის ნაწილების უფროსები ყველგან უარყოფდნენ ამ მონაჭორს. ამტკიცებდნენ, ლუხუმი კარგა ხანია მკვდარიაო, მაგრამ საომრად გამოყვანილ ყმა-გლეხებს მეთაურების მტკიცება არ სჯეროდათ და ერთხელ ნათქვამ ჭორს ასჯერ იმეორებდნენ:

— თუ ნამდვილად ლუხუმი იყო მოედანზე ჩამოკიდებული მეკობრე, რად გადამალეს, რატომ ხალხს არ აცალეს მისი ნახვაო.

მათი გადაჯერება მით უფრო ძნელი იყო, რომ მონგოლთა ცალთვალა სარდლისა და ლუხუმის მსგავსებას ყველა ერთპირად ადასტურებდა.

მონგოლები ერთი დღის სავალზე იყვნენ.

ქართველებმა ბანაკი მტკვრის ციხესთან დასცეს, გუშაგები დააყენეს. მეორე დღეს დიდი ომი და გარჯა ელოდათ, ლაშქარს კარგად უნდა დაესვენა რომ საბრძოლველად მოსწრაფე მტერს მხნე და ძალამოკრეფილი დახვედროდა.

მეფემ ძილისწინ საკმაოდ დალია და კარავში დაბანგულივით მიეძინა.

სიზმარი ნახა მეფემ:

სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრიდან გამოდიოდნენ ის და ლილე ჯვარდაწერილნი.

თავს ორივეს ოქროს გვირგვინები ედგათ, ორივე ლამაზები იყვნენ, ახალგაზრდები და ბავშვებივით ბედნიერები.

ხალხი თვალს ვერ აშორებდა, ვერ ძღებოდნენ მათი ჭვრეტით.

საქართველოს ყველა კუთხიდან მოსულიყვნენ მეფის ქორწილის დასასწრებად, ათასნაირი ტანსაცმელით ირეოდნენ ერთმანეთში, ათასნაირი სიმღერა სცვლიდა ერთი მეორეს.

გუნდ-გუნდად ეწყო ლაშქარი, დაუსრულებლად გუგუნებდა ძლიერი ვაშა და საქორწინო სიმღერებს მხედრული ცვლიდა.

მუხლზე ჩოქვით, ძვირფასი ძღვენით მოდიოდნენ საქართველოს ყმადნაფიცები შირვანშა და განძის ათაბაგი, არზრუმის სულტანი და ხლათის მელიქი.

დარახტულ ცხენებზე ისხდნენ სახელოვანი ქართველი სარდლები, ჭარმაგი მხარგრძელი და ბრგე ახალციხელი, ვარამ გაგელი და ბექა ჯაყელი, ქართლის ერისთავი და ეგარსლან ბაკურციხელი, დადიანი და სვანთა ერისთავი, რაჭის ერისთავი და მარგველი.

სიმღერით დაიძრა მაყრიონი, თვალუწვდენელ ყვავილოვან ველზე გამოვიდნენ და ნელი ნაბიჯით წამოემართნენ. მოდიოდნენ სიმღერითა და ლაღობით მუხლამდე ბალახსა და ყვავილებში.

უცებ შავმა ღრუბელმა დაჰფარა ცა და ვრცელ მინდორზე ჩამოწვა.

უცხო ლაშქარი მოვარდა, ყვავილები გაქელა და მაყრიონთან მიიჭრა. ჩაბალახით სახე დაბურულმა უცნობმა მხედარმა დედოფალი ლილე ცხენზე აიტაცა და გაჰქუსლა.

შეჩოჩქოლდა, შეინძრა მეფის მაყრიონი. დაბნეული ლაშა წამსვე გამოფხიზლდა, თავის სარდლებსა და ლაშქარს შეუძახა და ყველანი ერთად დაედევნენ დედოფლის გამტაცებელს.

აი, მიჰქრიან მიწას გაკრული ცხენები, ყურთან ზუზუნებენ გასროლილი ისრები და ცას სწვდება ცხენთა ფეხის მტვერი.

დაეწევიან ქართველები, შემოუბრუნდებიან უცხო მტრები, დაიწყება ხელჩართული, ფარ-ხმლის ჩახა-ჩუხი, ისევ მოსწყდებიან უცხო ცხენოსნები, ისევ მიჰქრიან და მისდევენ ქართველები.

ის კი, ის ჩაბალახით სახედაბურული ცხენოსანი, რომელმაც ლილე დედოფალი გაიტაცა, წამით არ ჩერდება, უკანმოუხედავად მიჰქრის. დაუჭედელი ღონიერი ცხენით და მეფეც სულმოუთქმელი მისდევს მწევარივით გრძელსა და გამხდარ კვიცზე ამხედრებული.

აი, მდინარესთან დაეწია მეფე უცხო მხედარს. ცხენოსანი გაჭენებულ ცხენზევე შემობრუნდა, შვილდის ლარს მოსწია და შიგ გულში აძგერა ისარი წამოწეულ ლაშას.

მეფე ფარის ფარებას, ან გვერდზე გახტომას მოასწრებდა, მაგრამ უცხო მხედარს ჩაბალახი მოხდოდა და მისი ნახვით გაოცებული შეყოვნდა. ან კი როგორ არ გაოცებულიყო ლაშა, როცა უცხო ცხენოსნის მაგივრად მის წინ ლუხუმ მიგრიაული იდგა და სისხლიანი ცალი თვალით მრისხანედ უყურებდა.

დაჭრილი მეფე ცხენზე გადმოეკიდა, ლილემ შემზარავად შეჰკივლა და ლაშასკენ გაიწია.

გამარჯვებულმა ცალთვალა ლუხუმმა გატაცებული დედოფალი დათვივით ჩაბღუჯა და მდინარეში შეაგდო გაქაფული ცხენი.

მინდორზე გდია დაჭრილი მეფე, სისხლისაგან იცლება და მშველელი არავინა ჰყავს. თავს დარახტული ლურჯა ადგას. აღარც გაქცეული უცხოთა ლაშქარია, აღარც მათი მდევარი ქართველები ჩანან...

წყალი წყურია სიცხისაგან პირგამშრალ ლაშას, მდინარესთან უნდა ხოხვით მისვლა, მაგრამ ძალა არა აქვს, რომ ადგილიდან დაიძრას. წყალგაღმა გახედა მეფემ და დაინახა: ცალთვალა უცხო ცხენოსანი ლილეს მიაქროლებდა.

არა, ლილეს კი არა, საქართველოს თავისუფლებისა და ბედნიერების დროშას...

უკან გაიხედა მეფემ: სპარსელთა და ბიზანტიელთა, არაბთა და თურქთა უღლისაგან გამათავისუფლებელ ბრძოლებში დაღუპული გმირები დაინახა. წყევა-კრულვას, შეჩვენებას უგზავნიდნენ სამშობლოსათვის სისხლდათხეულ მამულიშვილთა თაობები, მათ ძვლებზე აშენებული, დიდიხნის ნაოცნებარი ძლიერი და თავისუფალი საქართველოს დაღუპვის გამო.

ზიზღსა და აღშფოთებას, საყვედურსა და სინანულს გამოხატავდნენ ნაჭრევებით დაღარულ გმირთა სახეებიდან მოშტერებული მრისხანე თვალები.

ისეც ღონემიხდილმა, სულითა და ჯანით გატეხილმა ლაშამ ვეღარ გაუძლო მათ დაჟინებულ ცქერას, თვალი აარიდა მათ გატანჯულ სახეებს, თავი მხრებში ჩარგო დამნაშავესავით და გმირ წინაპართაგან პირი იბრუნა.

წინ გაიხედა, ოდნავ გახელილი თვალით და შორს, ძალიან შორს მისწვდა განწირული მეფის მზერა: უცხოთა ბატონების უღელში გაბმულ თაობებს თაობები მისდევდნენ კვნესითა და ზუზუნით, ოხვრითა და ტირილით. ეს ქართველთა მოდგმის ახალი თაობები იყვნენ, რომელთაც დიდი და ძლიერი საქართველოს ხელმწიფე მემკვიდრეობად მონის უღელს, უცხოთაგან ჩაგვ-

რასა და გაჩენის დღის წყევლას უტოვებდა.

უღელში გაბმულებმა წამით იბრუნეს პირი ლაშასკენ და მაწყევართა და მყვედრებელთა უთვალავ სახეებში ლაშამ თავისი ერთადერთი შვილიც იცნო დავითი. უკვე დავაჟკაცებულ ტახტის მემკვიდრეს ყელზე პირუტყვივით არკანიება და უცხოთა ბატონობისაგან დატანჯულ თავის ხალხს მიუძღოდა.

ხალხი გუგუნებდა, სწყევლიდა და კრულავდა ამ განსაცდელში ქართველთა ჩამგდებთ. ლაშას ძე დავითი ხმას არ იღებდა, ტკივილს არ ამჟღავნებდა და უდრტვინველად იტანდა ორმაგ ტანჯვას: ერთი სატანჯველი მონის ხვედრი იყო, მეორე — ქართველი ხალხის მიერ ამ უბედურების მიზეზად მისი საყვარელი მამის ლაშა-გიორგის მიჩნევა:

— რას გვემართლებოდი?! რად ჩაგვაგდე სატანჯველში?! რამდენი სისხლი უნდა დავღვაროთ, რამდენი უნდა ვეწამოთ, რომ შენს მიერ ასე უგუნურად გაფლანგული სამშობლოს ძლიერება და თავისუფლება დავიბრუნოთ!!

შეზმუვლეს და შეჰღაღადეს ქედწახრილმა თაობებმა ლაშას და მეფეს უდანაშაულოდ დასჯილი ბავშვივით გული ამოუჯდა სატირლად.

უნდოდა დაეყვირა ხმამაღლა, რომ ყველაზე შორეული თაობისთვისაც მიეწვდინა:

— ჩემი ბრალი არ არის. ჩემს ნებაზე ქვეყნის მომავლის კი არა, საკუთარი ბედის გადაწყვეტა არ დამანებეს ჩემმა დიდებულებმა. მე თქვენზე უბედური ვიყავ, მტერმა მარტო სამშობლოს თავისუფლება და ძლიერება კი, არა, სატრფოც მომტაცა გულის სატრფო!

ენა არ ემორჩილებოდა ლაშას და ყელში ხმა არ ამოდიოდა. ხარკით წელგაზნექილ და უცხოთა ომებით ილაჯგაწყვეტილ თაობებს ხმა ვერ მიაწვდინა, მათ წინაშე თავი ვერ იმართლა.

ყელი უშრება წყურვილისაგან ძლიერი და თავისუფალი საქართველოს უკანასკნელ ხელმწიფეს, უბედურსა და უილბლო ვაჟკაცს. მდინარესთან ხოხვით მისვლის ღონეც აღარა აქვს და მავედრებელი თვალით იხედება უკან მომდგარი წინაპრებისაკენ.

წვეთ წყალს, სულ ერთ წვეთ წყალს სთხოვს თავის დიდ წინაპრებს, თამარსა და დავითს, ვახტანგსა და ფარნავაზს განწირული მეფე.

წინაპართა კუშტ სახეებზე ზიზღი და მრისხანება აღბეჭდილა წყურვილით სულთმობრძავი შთამომავლისადმი.

გარემიაქციეს პირი მისი ტანჯვისაგან და არა მოიღეს წყალი მცირე მავედრებლის წინაშე.

მხოლოდ თამარს გადმოსცვივდა თვალთაგან მდუღარე.

— ვაი შენს დედას!

გულის დამწველად აღმოხდა და ტკივილისა და მწუხარებისგან შეშლილ სახეზე ხელი აიფარა.

სიცხისაგან გამხმარ ენას უღონოდ ატრიალებს გამომშრალ პირში მომაკვდავი ლაშა.

შეუბრალებელი წინაპრებისაგან ახლა შთამომავლებისაკენ იბრუნა პირი და მათ შესთხოვა წვეთი წყალი, მაგრამ ირანის უდაბურსა და ციმბირის ყინულოვან ველებზე მიმავალ ბორკილგაყრილ შთამომავლებს წყალი თავათაც ენატრებოდათ და ტვირთისაგან ქედდადრეკილმა შთამომავლებმა ნიშნის მოგებით მოხედეს ერთ წამს. სიძულვილი და დაცინვა ამოიკითხა ლაშამ მათ თვალებში, მხოლოდ მისი მემკვიდრე, მის შემდგომ ქართველთა უბედური თაობების პირველი მეფე შედგა წამით, მოყვარული შვილის გულმა მამის შველა უკარნახა დავითს და ის იყო წყლის გაწოდებას აპირებდა, რომ უცხო მბრძანებელმა არკანს მოსწია, უკან მოტრიალება არ აცალა და შოლტის ცემით გაიგდო წინ.

—ვაიმე! — დაიგმინა ოდნავ გასაგონად შოლტით ფეხაჩქარებულმა დავით-

მა და ლაშას ტკივილისა და დამცირებისაგან გულზე ცეცხლი მოეკიდა.

საშინელების წინაშე თვალი დახუჭა მომაკვდავმა და ხელახლა რომ გაახილა, უკვე აღარავინ ჩანდა აღარც თავდადებული წინაპრები და აღარც უბედური შთამომავლები.

თავს საყვარელი განუყრელი ლურჯა ადგა და ტორით მიწას სცემდა.

ფრუტუნით შეხედა ლურჯამ პატრონს, თვალგახელილი რომ დაინახა, ყელი მოიღერა და ხმამაღლა შესჭიხვინა.

ცხენების ჭიხვინმა და დაფდაფების ხმამ გამოაღვიძა ლაშა.

თენდებოდა. ცა შავ-წითლათ დაფლეთილიყო.

*

* *

უგუნებოდ გაღვიძებული მეფე კარავიდან გამოვიდა.

სარდლები უკვე ფეხზე იყვნენ. ბანაკში ბუკისა და დაფდაფის ცემა იყო. ლაშქარი ფეხზე დგებოდა და საომარ თადარიგს იწყებდა.

მეფეს სარდლები მოეგებნენ, კოშკზე აიყვანეს და მტრის ბანაკისკენ გაახედეს.

ხუნანის ველზე გარიჟრაჟის მკრთალი ნათელი იდგა. თვალუწვდენელი, დათოვლილი ველი მონგოლთა ლაშქარს მკალივით დაეფარა, მიწა აღარ ჩანდა. გაჩიანსა და ბერდუჯს შუა ცის დასალიერამდე უთვალავი შავი აჩრდილი მოძრაობდა. აქა-იქ უკვე ჩანავლებული კოცონები ბოლავდნენ.

ზღვასავით უნაპირო იყო იდუმალებით მოცული მტრის ბანაკი.

პირმოკუმულნი, შუბლშეკრულნი გაჰყურებდნენ მეფე და სარდლები მტრის თვალუწვდენელ ბანაკს.

— ფრიადნი ჩანან რიცხვით! — წარსთქვა მეფემ ბანაკისაგან თვალმოუშორებლად.

— უმრავლეს არიან ქვიშისა ზღვათა შინა და ვარსკვლავთა ცათა შინა, — დაუდასტურა მხარგრძელმა.

მეფე ციხეში შებრუნდა, მცირე ტაბლა მოიღო და სამხედრო ბჭობა გამართა.

სამხედრო საბჭოზე მტრის მრავალრიცხოვნება და ძლიერება ყველამ აღნიშნა.

ივანე მხარგრძელი, ვარამ გაგელი და ჰერეთის ერისთავი მტერზე დაუყოვნებლივ შეტევის დაწყებას მოითხოვდნენ. სამივე ქართველთა პოზიციის უპირატესობას აღიარებდა და მეფეს შორი გზით დაქანცულ მტერთან დაუყოვნებლივ ბრძოლის გამართვას ურჩევდნენ.

მეფე ყურადღებით უსმენდა.

ლიხთიმერელი სარდლები სდუმდნენ და არაფერს ამბობდნენ.

სამთავეს აზრი რომ მოისმინეს, უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, თავს არავინ სწევდა და ხმას არავინ იღებდა.

მეფემ იქ მყოფთ თვალი მოავლო და იკითხა:

— ვინ არს მსურველ განბრჭობად და რჩევის თქმად?

მძიმედ წამოდგა ახალციხელი, მეფეს და დიდებულებს თავი დაუკრა და დინჯად დაიწყო:

— მეფევ და დიდებულნო, ძლიერნო და უძლეველნო, დამამხობელნო მტერთა სამეფოთანო, გსმენიათ, ვითარ ძლევამოსილნი არიან თათარნი ველზე ბრძოლაში, რამეთუ არიან ველთა და მინდორთა შინა ზრდილნი და ველისა ბრძოლასა მარჯვენი. ხოლო ქვეყანა ჩვენი სავსეა იწროებითა და ხეობებით, სადაც უძლურნი აღმოჩნდებიან მუღალთა ნათესავნი ქართველთა წინააღმდეგ, წყობად რადგან უჩვევნი არიან კლდეთა და ხნარცვთა შორის წყობასა და კვეთებას. ჩვენს წინაშე ველი მდებარებს და ისიც თოვლით დაფარული. მუღალთა დაუჭედელ ცხენთათვის ადვილი იქნება თოვლიან ველზე რბევა, ხოლო ქართველთა ცხენებს გაუჭირდებათ დაჭედილი ფეხით სრბოლა. ვგონებ, უმჯობეს იყოს, არ შევებათ ველზე, სადაც უძლიერესნი იქნებიან მტერნი. უკუვდ-

გეთ იწროთა და სიმაგრეთა შინა და იქ ვაჩვენოთ ომი ძლიერი და ახოვანება, კვეთება ქართველთა მსგავსი გოლიათთა.

— ვითარ უკუვდგეთ! — წამოვარდა ფეხზე აღშფოთებული ვარამ გაგელი, — ვითარ უკუვდგეთ, ოდეს მტერთაგან კლებასა და ოხრებასა არს მამული და ყოველი სამკვიდრო ჩვენი!

— იქნებ თბილისიდან გახიზვნასაც გვირჩევს ახალციხელი, რამეთუ მთათა შინა კავკასიისა უმეტეს არიან ხევნი და იწრონი გამაგრებულნი, — ღვარძლით სთქვა ივანე მხარგრძელმა და დამცინავად მოხედა ახალციხელს.

— უკეთუ არა გული სტკივათ მეფესა და დიდებულთა ქართველთა, ოხრებისა და ტყვევნისა გამო მამულთა და სამყოფელთა ჩვენთა, ჩვენ მარტონი შევებმით მტერსა და ვერა უკუვდგებით ლაშქრითა ჩვენითა და თავითა ცოცხალითა, — მოსჭრა გაცეცხლებულმა ჰერეთის ერისთავმა და მეფე მიხვდა რომ კამათის გაგრძელება ზიანის მეტს არაფერს მოიტანდა.

მონგოლთა ლაშქრისაგან რბევასა და შეწუხებას სამი სანაპირო — გაგი, სომხითი და ჰერეთი განიცდიდა ჯერჯერობით. ამიტომ მეფისათვის გასაგები იყო საქართველოს ამ სამი უმნიშვნელოვანესი საერისთავოს მფლობელების აღშფოთება და თავის გამოდება.

მეფის გონება ახალციხელის რჩევისაკენ იხრებოდა. სხვა დროს, დაწყნარებული განსჯისას, მისი უპირატესობა აშკარად გამოჩნდებოდა, მაგრამ ახლა, როცა ყოველი დიდებული მთელი ქვეყნის ბედს საკუთარი მამულის ინტერესს უკავშირებდა, უკვე ძნელი იყო დამშვიდებული ბჭობა და სამხედრო თვალსაზრისით უკეთესის გამორჩევა.

ბრძოლა მაინც გარდუვალი იყო და მეფეს მტერზე გამარჯვების ყველაზე უკეთეს პირობად ამ ბრძოლაში ქართველთა ერთიანობა მიაჩნდა.

უკან, უფრო საიმედო პოზიციებისაკენ დაწევას, სარდალთა შორის განხეთქილება და საერთო ძალის დასუსტება მოჰყვებოდა. ასეთ პირობებში კი ძლიერ მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იქნებოდა.

რისხვისაგან გაფითრებული ახალციხელი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, ნაჭრილობევი ლოყა და მთელი ნახევარი სახე მღელვარებისგან უთამაშებდა და ამხედრებული დიდებულების დაწყნარებას უცდიდა, რომ სიტყვა გაეგრძელებინა.

— ადვილად განსჯის ახალციხელი, რამეთუ უშორეს არს აქედან სამკვიდრო მისი თორი და ახალციხე.

გესლიანად წარსთქვა მხარგრძელმა და ამირსპასალარის ეს სიტყვა უკანასკნელი წვეთივით დაემატა ახალციხელის მოთმინების ისედაც სავსე ფიალას.

— არა შურითა ვიტყვი, არცა შიშითა — გაცეცხლდა ახალციხელი — არამედ განვებრჭობ ჩვენი სამეფოსათვის უკეთესს. დაღათუ სარწმუნოდ არ გიჩნსთ და არა სათნოდ ჰყოფთ ჩემსა რჩევას, იყოს ეგრე, ვითარცა თქვენ განგიზრახავთ. და ომმან ფიცხელმან ცხადჰყოს უკეთესად მბრძოლი მეფისა და სრულიად საქართველოსათვის.

მეფის გული და გონება დაუმსახურებლად შეურაცხყოფილი ახალციხელისკენ იყო, მაგრამ მისი გამოსარჩლება უადგილოდ და დამღუპველად მიიჩნია და სარდალთაგან რომ შალვას სხვა ვინმეც არ გამოქომაგებოდა, თვითონვე მოსჭრა:

— მეც უმჯობეს მიჩნს ომი ამა ველსა ზედა. აწ აღვიმხედროთ და შეწევნითა ღვთისათა და წარმძღვარებითა ჯვარისა პატიოსნისა ვსძლოთ ნათესავნი უცხონი.

მეფის სიტყვის შემდეგ საბჭომ ივანე მხარგრძელის საომარი გეგმა მიიღო:

მარცხენა ფრთას ამირსპასალარი უთავებს, მარჯვენას — ვარამ გაგელი, ხოლო ლაშქრის შუაგული მეფეს ჩააბარეს.

სამთავ თორმეტს მეფის სარდლობით ბრძოლა ხვდა წილად.

*
* *

თითქო შავი ღრუბელი წამოვიდაო, უცებ მოსწყდა ცის დასავალს მონგოლთა ლაშქარი.

მტერს რომ დაეახლნენ, ცხენებს სადავე მიუშვეს და ისრის სეტყვა დაუშინეს მათკენ მიმქროლავ ქართველებს.

ისრის ტყორცნითვე შეხვდნენ ქართველები. შურდულებივით გამოქანებული მონგოლები ცხენების შეუყოვნებლად ისროდნენ ისრებს და უცნაური ხმით გაჰკიოდნენ:

— კხუ-კხუ! კხუ-კხუ! ურრაჰ-ურრაჰ! ურრაჰ-ურრაჰ!

ქუხილივით გრგვინავდნენ საშინელი კივილით და ეს ყურის წამღები და ცისა და მიწის შემძვრელი ყივილი ზარდამცემად გაისმოდა ისრების ზუზუნსა და გაჭენებული ცხენების ფეხისხმაში.

მონგოლ ცხენოსანთა მწყობრი ზღვაში შეჭრილი მთის მდინარესავით შევარდა ქართველთა წყობაში, თანდათან შემდორდა და ქროლვა შეაჩერა.

გამყივარი, შეშლილი სახეები დამხვდურთა გაოცებულ, აფორიაქებულ სახეებში აირია, ისრის წვიმა ნელნელა მისწყდა და თანდათან ხმლებისა და ფარების ჩახა-ჩუხით შეიცვალა.

შენივთებულ ბრძოლაში გრიგალივით ბრუნავდნენ ქართველი მეომრები. შუბის ნაღეწი და ჩაბალახზე მოქნეული ხმლების ნაკვესი ურიცხვ ნაპერწკლებად ირეოდნენ, შემზარავად მოისმოდა მომაკვდავთა კვნესა და უმხედროდ დარჩენილი ცხენების ჰიხვინი.

დიდხანს გაგრძელდა ხელჩართული ძლიერი ბრძოლა. ცხენმოკლული მხედრები ქვეითად უტევდნენ, ხმალ და აბჯარ დალეწილი მეომრები დაცემულთა იარაღს იშველიებდნენ. სისხლისაგან წითლად აჭრელდა თეთრი თოვლით დაფარული ველი.

ნელ-ნელა შეიძრა მონგოლთა წყობა, ნაბიჯ-ნაბიჯ უკან დაიხია და უცებ მოწყდა მტერს.

მონგოლებმა ზურგი აჩვენეს ქართველებს, ცხენებს ქუსლი ჰკრეს და უნაგირზე წახრილები სილტოლვად მიიქცნენ.

— ჰკა, მაგას! — შესძახა ლაშამ და ქართველთა ლაშქარი ვაშას გუგუნით გამოუდგა ოტებულ მტერს.

გარბიან მონგოლები, ირბენენ, ირბენენ, წუთით შეჩერდებიან და დადევნებულ მტერს მოუბრუნდებიან, ისრის სეტყვას დააყრიან და კვლავ ცხენხეთქებით მიჰქრიან თოვლზე. დაჭედილ ცხენებზე ამხედრებულ ქართველებს უჭირთ მონგოლთა უეცრად შემობრუნებისას ცხენების შეჩერება, მაინც ზედ აწყდებიან, მისდევენ გაქცეულებს, ზოგს ისრით ეწევიან, ზოგს ხმლით ჰყრიან უწყალოდ ცხენებიდან და კვლავ ვაშას გუგუნით მიჰქრიან წინ, სისხლითა და კვეთებით მთვრალნი და თავდავიწყებულნი.

ასე ირბინეს კარგა ხანს ლტოლვილებმა და მდევრებმა.

თოვლით დაფარულ ტრიალ ველზე მარჯვნივ ასწლოვანი მუხების ატეხილი ტყე იყო.

ბრძოლით ჩაუქროლეს დევნილებმა და მდევრებმა ტყეს, ცოტაც გასცდნენ და მტრის დევნით გართულ ქართველებს ტყის ბოლოს მზირად ჩასაფრებული მონგოლთა ჯარი ეკვეთა ზურგიდან ჯებე ნოინის მეთაურობით.

მოულოდნელი მძლავრი დარტყმისაგან ქართველთა ზურგი აირია. წინ მიმქროლავება, დინებას მიყოლილმა ცხენოსანმა ლაშქარმა ერთბაშად შეჩერება და შემობრუნება ვერ მოახერხა. ამდენხანს ოტებული მონგოლები უცებ შემოიქცნენ წინიდან და მდევრებს აქეთ შემოუტიეს.

ქართველები ორცეცხლშუა მოხვდნენ.

დარახტული ქურანით მიმქროლავ მხედარს მისდევდა ლაშა. როგორც კი ქართველთა ზურგში ატეხილი მონგოლების ყიჟინა გაისმა, გაქცეულმა თავისიანებს მონგოლურად შეუძახა და ცხენი შემოაბრუნა.

ლაშამ თოვლზე ფეხაცურებული ცხენის შეჩერება ვერ მოასწრო, მის წინ წამით მშვილდშემართული ცალთვალა ცხენოსანი აღიმართა.

ღმერთო, როგორ ჰგავდა იგი ლუხუმ მიგრიაულს!

მეფე დაიბნა, ვეღარც ხმალი დაძრა, ვეღარც ცხენი შეამაგრა.

ცალთვალა სუბუდაი ბაღათურმა ერთი კხუ-კხუ ამოიძახა და მეფეს შიგ მკერდში აძგერა ისარი.

სიხარულისაგან სახეგაბრწყინებული ლუხუმის სახე მოეჩვენა ლაშას, წამით წუხანდელმა სიზმარმა გაუქროლა თვალწინ და დაფეთებულ ცხენიდან გატყორცნილი დაეცა მიწაზე.

* * *

არეულად იბრძოდნენ ქართველები. დაქანცულებს ორივ მხრიდან მოწოლილი მტრის შეკავების ძალა აღარ ჰყოფნიდათ.

— მეფე მოჰკლეს! — გაისმა უცებ. წყობა ერთიანად დაინგრა და აიშალა. მეომრები შიშის ზარმა მოიცვა, მტერს ზურგი აქციეს და უწესრიგოდ გაიქცნენ.

ამაოდ გაჰკიოდნენ ახალციხელები, ბექა ჯაყელი და მემნი ბოცოს-ძე.

მათ ირგვლივ ერთი მუჭა ქართველობა-ღა ტრიალებდა. თავგანწირული ვაჟკაცების მცირე გუნდი ერთდროულად ცდილობდა ლტოლვილი თანამებრძოლების შეჩერებასაც და ორ მხრივ მოწოლილი ურიცხვი მტრის გამკლავებასაც.

აი კივილით წამოსულ მონგოლს მუცელში აძგერა შუბი და თავათ თავგაჩეხილი დაეცა ახალციხელის თვალწინ მეჭურჭლეთუხუცესს ყვარყვარეს ერთადერთი ვაჟი ბექა. ახალციხელი მარჯვნივ და მარცხნივ იქნევდა ხმალს და უცებ უკან მოიხედა: ბრძოლის ველიდან გარბოდნენ მისი ძველი თანამებრძოლებიც, ოროტისა და კერჩულის ბრძოლების გმირები.

მაშინ გაახსენდა შალვას ლუხუმ მიგრიაული, ოროტის აღების დროს, ფიცხელ ბრძოლაში შემდრკალ ქართველებს რომ შეუძახა, უკან შემოაბრუნა და იერიშზე გაუძღვა დამფრთხალ-გაფანტულ მეომრებს.

ბეჭში მოხვედრილმა ისარმა შეატორტმანა და კინაღამ მაშინვე ცხენიდან გადმოაგდო ახალციხელი. ზურგში ლახვარდარტყმული მიგრიაული მოელანდა და ფხოველის ხმა ჩაესმა:

— ეს ლახვარი მარტო მიგრიაულს კი არა, საქართველოს ძლიერებას ჩასცეს ზურგში, რადგან საქართველოს ძლიერება მიგრიაულისთანა პატიოსანი ყმაგლეხების ძალასა და სიმტკიცეზე იყო მუდამ დამყარებული!..

ბინდბუნდად ხედავდა ახალციხელი, როგორ შეიძრა და უკუიქცა მაღალი და საჩინო, სვესვიანი და უძლეველი გორგასლიანი და დავითიანი დროშა.

მარცხნივ მიიხედა შალვამ: ბრძოლის ველიდან გარბოდა ხმალ და ჩაბალახდალეწილი, დაკორტნილი მამალივით დასისხლიანებული მხარგრძელი.

ახალციხელს თვალთ დაუბნელდა და ცხენიდან გადმოვარდა.

* * *

ალყიდან ბრძოლით გასულმა ქარუმამ თავისი მცირე რაზმით ერთხანს ტყეს შეაფარა თავი. ზამთარი რომ დადგა და ყინვები დაიჭირა, ტყეც ძნელი გასაძლისი გახდა. ბარად ჩამოსვლა და სოფელში გამოჩენა სახიფათო იყო მცირერიცხოვანი მეამბოხეებისთვის. ქარუმა რჩევას დაჰყვა და უცხოობაში გასვლა, სამშობლოდან გადახვეწა გადასწყვიტა.

საქართველოს სამხრეთისაკენ ფარულად მიმავალმა მეკობრეებმა ჭორად იცოდნენ მტრის შემოსევის ამბავი.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ საზღვარს, მით უფრო ენანებოდათ მშობელი მიწის დატოვება, გული წყდებოდათ და სევდა ერეოდათ. სად უნ-

და წასულიყვნენ, ვის კარს უნდა მიდგომოდნენ, ვისთვის უნდა ეთხოვათ ლუკმა და თავშესაფარი?! ღირდა კია, უცხოობაში მწარე ლუკმისა და დამცირებული ჭერის ძებნა?! მიდიოდნენ და ფეხი უკან რჩებოდათ საცოდავებს. მარტო ფეხი კი არა, გულიცა და ფიქრიც, სიყვარულიც და ოცნებაც, განცდილიც და მოსაგონარიც, კარგიც და ავიც, ტკბილიცა და მწარეც... ყველაფერი, რაც ადამიანის ცხოვრებას შინაარსით ავსებს და მის მომავალ სიცოცხლესაც აზრს აძლევს.

მტკვრის ხეობას რომ გადმოხედეს, არეული ბრძოლის ველი დაინახეს.

ნელ-ნელა დაეშვნენ დაბლა.

ბრძოლის ველიდან ლტოლვილები მორბოდნენ.

მეკობრეებმა გამოქცეულთაგან გაიგეს ქართველთა მარცხი და განსაცდელი.

დაფეთებული ლტოლვილები შიშითა და კანკალით ჰყვებოდნენ უცხო ნათესავთა გაუგონარ სიმრავლესა და სიძლიერეზე, ქართველთა განადგურებასა და ერთიანად დაღუპვაზე.

— თუ მთელი ქვეყანა იღუპება, ჩვენ სადღა მივდივართ?!

— სადაც სხვა, იქ ჩვენ!

— უცხოობაში ძაღლურ სიცოცხლეს, სამშობლოში კაცური სიკვდილი გვიჯობს! — შემოადგნენ აქეთ-იქიდან ქარუმას.

ქარუმაც ამასვე ფიქრობდა, მაგრამ მაინც კიდევ ყოყმანობდა.

მეკობრეები რომ ამ საგონებელში იყვნენ, უცებ მათკენ მომქროლავი ცხენოსნები დაინახეს.

ცხენოსნები დაუახლოვდნენ და ყაჩაღებმა ბრძოლის ველიდან გამოქცეული ჰერეთის ბატონი იცნეს.

თავზე ჩაბალახჩამოფხრეწილ ერისთავს უკან რამდენიმე დაჭრილი და დაფეთებული გლეხი მოსდევდა.

— ჰაიტ, შე ლაჩარო! — შეუტია ქარუმამ და ბატონს ხმალამართული წინ გადაუდგა — უიარაღო ყმებზე და ქვრივ-ობლებზე გაქვს დიდი გული, განა! ახლავ შებრუნდი მტრისკენ, თორემ აქვე გაგათავებ!

ერისთავმა უაზრო, გაოგნებული თვალებით შეხედა ხმალშემართულ ქარუმას, ცხენი უსიტყვოდ შეატრიალა და ბრძოლის ველისაკენ მიიქცა.

მეკობრეთა მცირე რაზმმა ხმლები იშიშვლა, უკან მიჰყვა და ნიაღვარივით გადაეშვა ხელჩართულ ბრძოლაში.

*
* *

იმის გამო რომ მეფეს, ჩვეულებრივად, უბრალო დიდებულთაგანივით ეცვა, მისი დაჭრისათვის არც სუბუდაის მიუქცევია ყურადღება და არც ძარცვაგლეჯაზე დახარბებულ მონგოლ მეომრებს.

პირველად მეფის გამოკლება. მის მხარდამხარ მებრძოლმა თურმან თორელმა შენიშნა, შენივთებული ბრძოლიდან ხმლით გზა გაიკაფა და უკან დახეულ ქართველებისაგან დატოვებულ ნაომარ ველზე გავიდა.

გვამებით მოფენილ თოვლიან ველზე თავბრუდასხმულივით ტრიალებდა და ხმამაღლა ჭიხვინებდა ლაშას ფაფარგაშლილი ლურჯა. თორელმა უპატრონოდ მოყიალე ლურჯას მიაშურა. დაჭრილ-დახოცილებში მეფე მოძებნა, ცხენზე გადმოხდა და ლაშას წინ ჩაიჩოქა.

თვალმიხუჭული მეფე სისხლისაგან იცლებოდა. თორელმა საკინძი გაიღეღა, პერანგი ჩამოიხია და ჭრილობის შეხვევას შეუდგა.

— წყალი! — ძლივს წაიჩურჩულა მეფემ და სიცხიან პირში გამშრალი ენა გაასავსავა.

— ახლავე, მეფევ! — წასჩურჩულა თორელმა და ჭრილობის შეხვევას აუჩქარა. მეფემ ხმაზე იცნო თორელი, თვალი გაახილა და შეეხვეწა:

— მიმღერე რამე, თურმან... უკანასკნელად მიმღერე რამე!

მეფე ხელის ფათურით მისწვდა თორელის ხელს. მეფის ხელი ქვასავით გრილი იყო და თითქმის უგრძნობელი.

თორელი ლაშას გაფითრებულ, ოდნავ გალურჯებულ სახეს ჩააცქერდა და თვალთაგან ცრემლი წასკდა.

სახელოთი მოიწმინდა ცრემლი თურმანმა და ხმადაბლა, ნაღვლიანი ტკბილი ხმით წამოიწყო ლაშას საყვარელი სიმღერა:

წარმავალია ნათელი, სულ მოსაჩვენრად
ბრწყინდება,
ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო
ბინდდება.
რა არი ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით
გაგვიფრინდება,
ჩვენს ნასახლარზეც, ოდესმე ბალახი
ამიბინდება...

სიმღერით თუ საკუთარი დარდით თავდავიწყებულ თორელს მეფის მწარე ამოკვნესა ჩაესმა და ლაშას მოხედა.

ხელმწიფეს სახე ტკივილისაგან დაღრეჯოდა.

გახურებული ტუჩები შესძრა მეფემ და თორელმა ძლივს გაიგონა:

— გესმის თურმან?... მეძახის...

თურმანს არაფერი ესმოდა.

— ლილე მეძახის... ლაშა... ლაშარელაო... გესმის?..

თორელს ისევ ცრემლი მოერია და გულმოკლულმა, თვითონაც არ იცოდა რატომ, თავისდაუნებურად განაგრძო სიმღერა:

იმასაც მოკლედ უვლია, გრძლად ვინც
გვეგონა იარა,
შუქს ბნელი შესჭამს, ვარდს-ჭია,
კაცის გულს-ჯავრის იარა,
მოვა სიკვდილი უჩინო, ერთ წამში
ხგვურის იარაღს,
ჩვენ რას წავიღებთ ქვეყნიდან, სხვას
ვის წაუღია რა...

თურმანი მღეროდა და ტიროდა, მეფეს აღარც ერთი აღარ ესმოდა.

— ლაშა...ლაშარელა...

ლილეს ხმა თუ სიოს ჩურჩული უკანასკნლად მისწვდა მეფის ყურს და ხელმწიფემ თვალი წყნარად მიხუჭა.

მეფის სახეზე სიმშვიდე გამეფდა.

*

* *

მინდორზე შავტაიჭოსანი ვაჟკაცი გამოვარდა.

თორელთან მიიჭრა ეგარსლანი და ცხენიდან დასძახა:

— რა დროს სიმღერაა, თურმან?

ეგარსლანი ცხენიდან გადმოიჭრა, მეფის ლურჯას დაედევნა, აღვირში ხელი სტაცა და მეფესთან მოიყვანა.

ლურჯამ პატრონს დახედა და ერთი გულსაკლავად შესჭიხვინა უნაპირო ზეცას თუ თავის უხილავ ღმერთს.

თორელი ეგარსლანს მიეშველა, გრძნობადაკარგული ხელმწიფე ფრთხილად აიყვანეს. ეგარსლანი მეფის ლურჯას მოახტა, თორელმა ატატებული მეფე მისცა და მუხლებზე გადაწვენილი ლაშა მარჯვენა ფრთისაკენ გააქროლა ბაკურციხელმა.

იქ, ბრძოლის ველის მარჯვენა ფრთაზე, ქართველები ჯერ კიდევ მედგრად აწვებოდნენ მტერს.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იოჰან ვოლფგანგ გოეთე

(გარდაცვალებიდან 125 წლისთავი)

★

# ლირიკა

## 1. წინასწარ წუხილი

როგორც ვნებათა ბლუ ალსარებას
ზოგჯერ ველური სიშმაგეც ახლავს,
შევმდგარვარ კარით კარად მარებლად,
გაფანტულ ფურცლებს ვაგროვებ ახლა.

რასაც ამ ქვეყნად მანძილი გრძელი
ერთმანეთისგან სთიშავდა დიდად,
აწ გადაჰფურცლავს კეთილი ხელი
ერთი ჭერის ქვეშ მცხოვრებლებს
მშვიდად.

ნაკლის გრცხვენია? — ნუ შეშინდები,
დე საქმეს ბოლო მალე მოებას;
თვით ქვეყნად სუფევს უთანხმოება,
შენ ამგვარ რამეს ვით ასცილდები?

## 2. მინიონი

იცნობ იმ მხარეს, სად ლიმონნი ჰყვავიან ველად,
სად ხშირ ფოთლებში ფორთოხალი ოქროსფრად ღელავს,
სად ნაზი სიო ლურჯი ციდან უბერავს დაბლა,
სად უხმოდ დგანან ჩუმი ტვია, მაღალი დაფნა?
იცნობ იმ მხარეს? — მსგავს მშვენებას იხილავ ვერსად.
ო, იქით! იქით!

## მეგობარო. წავიდეთ ერთად!

იცნობ შენ იმ სახლს? — მსხვილ სვეტებზე ისვენებს თაღი
დარბაზი ბრწყინავს, მთლად ციმციმებს სავანე ლაღი,
ქანდაკებანი მიცქერიან თვალშემართული:
„რა გიყვეს, ბავშვო, რა ფიქრით ხარ ასე გართული?“
იცნობ შენ იმ სახლს? — მსგავს მშვენებას იხილავ ვერსად.
ო, იქით, იქით!

მბრძანებელო, წავიდეთ ერთად!

იცნობ იმ მაღალ და ღრუბლებით დაბურულ მთასა,
სად მიმავალი ჯორი ნისლში მიიკვლევს გზასა,
სადაც მღვიმეში ცხოვრობს დრაკონთ შთამომავალი,
მოჰქუხს ჩანჩქერი ციცაბ კლდეზე მსწრაფლმიმავალი?
იცნობ შენ იმ მთას? — მსგავს მშვენებას იხილავ ვერსად.
გზა იქით მიდის!
მამაჩემო, გაგვიშვი ერთად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 3. თულის მეფე

მოკვდავმა სატრფომ მეფეს თულისას,
კუბოს კარამდე ერთგულს და
მზრუნველს,
ნიშნად გულწრფელი სიყვარულისა
ოქროს ფიალა აჩუქა თურმე.
ხელმწიფეს თასი უღირდა ძვირად,
ყოველ ნადიმზე სცლიდა ფსკერამდე;
და ღვინის სმის დროს რატომღაც
ხშირად
მისი თვალები ცრემლით ელავდნენ.
როს თავს დაადგა სიკვდილი ცელით —
იგრძნო სიცივე გულშემზარავი,
შვილს უანდერძა სამეფო ვრცელი,
ოქროს თასი კი მისცა არავის;
და წინაპართა ძველ სასახლეში,
ზღვას რომ მაღლიდან გადმოსცქეროდა,
მეფურ ნადიმზე, რაინდთა წრეში,
ილხენდა იგი, ვით შეჰფეროდა.
ჰა, დარდიმანდი წამოდგა დინჯად,
უკანასკნელი დასცალა თასი
და განძი, ასე წმინდათა წმინდა,
გადაისროლა მღელვარე ზღვაში.
თასის დაძირვის სურათს საშინელს
უმზერდა მეფე, მოცული სევდით.
გადაებინდა თვალნი მაშინვე,
აღარც შეუსვამს არც ერთი წვეთი.

## 4. ნაპოვნი

ტყედ მივდიოდი მდუმარე,
გადაქცეული ფიქრადა
და, რომ რაიმე მეძებნა,
სულ არ მქონია მიზნადა.
ჩრდილში შევნიშნე ყვავილი,
შევხედე და გამიცინა
ნუკრის თვალივით ლამაზმა,
ცის ვარსკვლავივით ციმციმამ.
მსურდა მაშინვე მოწყვეტა,
მაგრამ სთქვა სახეცქრიალამ:
იმიტომ უნდა მომწყვიტო,
რომ დავჭკნე, დავრჩე ტიალად?
მაშინ მოვთხარე ფესვებით, —
დაე გადარჩეს გახმობას, —
და მოვიტანე ჩემს ბაღში,
ლამაზი სახლის მახლობლად.
იქ დავრგე ტურფა ყვავილი,
უჭკნობ სიცოცხლეს რომ ელტვის,
აწ იფურჩქნება ყოველ წელს
და ჰყვავის, ჰყვავის ყოველთვის.

## 5. ია

მდელოზე თავჩაღუნული მოჩანს პატარა ია;
მარტოკას, ჩუმად მდგომარეს გულ-მკერდი გაუშლია.
აგერ, გამოჩნდა უეცრად მწყემსი გოგონა მღერით:
„იქითკენ,
იქით,
იქ არის
ყვავილოვანი ველი!“
ია კი, ია, საბრალო, თავისთვის ფიქრობს ასე:
„ახ, ნეტა ვიყო ყვავილი მეც სილამაზით სავსე;
მაშინ ხომ გოგო მცირე ხანს ჩემთანაც შეიცდიდა
და თავის ქორფა ხელებით მომწყვეტდა იგი მშვიდად...
მომწყვეტდა ქორფა ხელებით და მიმიკრავდა მკერდზე!
ახ, შეიცადოს ნეტავი,
მცირე ხანს მაინც შედგეს!“
მაგრამ გოგონა მოვარდა სწრაფად, სულმოუთქმელად
და ია ვერც შეამჩნია, გასრისა, გადაქელა.
მაინც არ დარდობს, იძახის:
„დე მისგან მოვკვდე მხოლოდ,
მისი პატარა ფეხებით
დაე მომეღოს ბოლო“.

თარგმანი გერმანულიდან **ვახტანგ ბეწუკელისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ნადირაძე

★

## მიუწვდომელი

რომ შენზე ფიქრი მე მეწვევა სიამის მფენი,
რომ მთვარის სხივი მთის მწვერვალზე ახავერდდება, —
ფარულ ოცნებით ჩემი გრძნობა გაივარდება,
შენ გეტრფი მარად, შენ დაგეძებ ცრემლების დენით.

მიჰქრიან ძუნწად გადათვლილნი სიცოცხლის დღენი,
სადღაც უფსკრულში ჩემი გული კვნესით ვარდება...
როდეს ვერ გიმზერ — სულში ისევ დამიღამდება,
თითქოს ჩემს ირგვლივ თვით ბნელეთმა აღმართა კლდენი.

გამოვეთიშე მყუდროებას და მოსვენებას,
ვხედავ — ჩამომრჩა სიჭაბუკე ცხოვრების გზაზე...
მაგრამ მე მაინც გემონები — ციურ ჩვენებას.

ზოგჯერ ახლოს ხარ, — გულის სიმებს ვაწყობ შენს ხმაზე,
ზოგჯერ შორეთში ველარ გარჩევ შენი მდომელი,
და ისევ რჩები ჩემთვის მარად მიუწვდომელი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ქოიავა

★

# განვლილი გზები

პოემა

## I

მამა არ მახსოვს, აბა რა მოვყვე,
მაგრამ სოფელმა მადლი მომფინა,
ჩემს გასაგონად როდი ამბობდნენ,
მართლაც მართალი კაცი ყოფილა.
თუმც შესწრებია დიად განთიადს,
ადრე ჩამქრალა მამის ოცნება,
გამრჯეს და ლატაკს ცივ საფლავშიაც
ჩაჰყოლიაო პატიოსნება.
უმწეო დედა შემორჩა ქოხმახს,
ჩემს მომავალზე ფიქრმისეული,
პაპა ხელჯოხით ახლაც დაბორგავს,
ბრმა,
სიკვდილისგან მივიწყებული.
ცხენს თუ უხსენებ გულით გიწამებს,
სულს გადაგიშლის და მიგენდობა,
გაებადრება სახე იმწამსვე,
თითქოს შეგხვდაო სიყრმის მეგობარს.
...ეზოში ნერგი ბევრი დაურგავს
წინათ...
სულ წინათ, თავად არ ახსოვს,
ის ღმერთს იხსენებს მუდამ აუგად,
არც სწამებია იგი არასდროს.
დაბურულია ეზო ხეებით
და გამხმარ ფოთლებს ქარი მიაფრენს.
დამკვიდრებულა ირგვლივ ბნელეთი
და მხოლოდ ქოხში თუ ჩანს სინათლე.
ქრის ქარბორბალა, ავლებს ირაოს,
ღმუის და ცბიერ ხარხარს მოჰყვება,
ჯერ სადღაც ხევში დაბორიალობს,
მერე ეზოში გაბატონდება.
ზეცაში თითქოს სცივათ ვარსკვლავებს,
კვლავ ქრის ბორიო, არა, არ ცხრება,
ისევ იქუხებს, გაშლის მხარმკლავებს
და ლაფაროსთან დაენარცხება.
და აკრთობს მოხუცს ხეთა ჭრიალი,
უკუნ ღამეში ქარი რომ არწევს,
ფიქრებს აჰყვება ხელჯოხიანი
და მინიშნებულ თავხისკენ გასწევს.
უახლოვდება პაპა ხვლებით
და ეჩვენება, თითქო-და სჭრიან.
მთლად უსიცოცხლო, დამჭკნარ ხელებით
ეალერსება თავხეს კორძიანს.
და როცა ხელჯოხს ისევ შემართავს
ჩიფჩიფებს, თვალის სინათლეს ნატრობს,
თუმცა ამ ხეებს მაინც ვერა და...
სიცოცხლეს უფრო ადვილად დათმობს.
და ერთადერთი ნატვრით საზრდოობს,
ხმაც მოულბება, გულიც მაშინვე:
„მზე მიჩვენაო, ერთხელ, ბატონო!..“
იტყვის და ხვლას ასტეხს საშინელს.
დგას მარტოდმარტო, გაჰყურებს ბნელეთს
და თუმც ქვეყანა ასე ვრცელია,
მას თოხის ტარზე ოდნავად მაღლა
თავი არასდროს აუწევია.
ბრაზობს ნიადაგ, მეძახის, მიხმობს,
თან ყურს მიუგდებს ტოტებს გაფრენილს
და უსინათლო თვალებით, თითქოს,
ასე მგონია, გულში ჩამცქერის.

*

* *

უპატრონობა არ დამიტყვია,
დედას რომ გული არ დავუღამო,
მაგრამ ფსოუში ასე იტყვიან:
„ობოლიაო შვილი — უმამო!“
ვტოვებდი ქოხს და პაპა თავისას,
ჩამბუზღუნებდა ბრაზით და იჭვით.
დედა ნატრობდა რძალს, თვალმაისას,
დაქორწინებას ობოლი ბიჭის.
მე კი ყრმობიდან მზეს შევხაროდი
და გაზაფხულის ყვავილთა ფიფქებს,
ვით ნორჩს ჩვევია, გაზრდას ვჩქარობდი

გულანაძგერი მივდევდი ფიქრებს.
და როს ჭიშკარმა გაიჭრიალა,
ჩამესმა დედის გულისნადები
და მივხვდი
სოფლის გზაზე კი არა,
ცხოვრების გზაზე მარტო გაველი!..
„გამაგრდი, შვილო, კაცი იყავი!..
შემბრალდა,
დედას გავუცინებდი?

ასე ეგონა: ფრონტი პირდაპირ
მე მიმელოდა აუცილებლივ!..
და გული, გული ველარ დაშორდა,
ვინც მხარში მედგა მამის მაგივრად
და ჭიშკარს მიღმა დამრჩა ბავშვობა,
როგორც ანკესი ფსოუს ნაპირას.

ერთი გზა მქონდა, როგორ დავთმობდი
და ოცნებაშიც ერთი მეწადა.
მსურდა ბიჭუნა სოფლად ნაწრთობი
ჩვენს დედა-თბილისს გამოეცადა.
ვერ გადუდგება მართლაც ვერავინ
ოცნებას —
რაგინდ მაღალი იყოს,
და, რაც შორია გზა და მწვერვალი,
ძლევის სურვილი მით უფრო
გვიპყრობს!..

მშობლიურ ფსოუს ასე ვტოვებდი
და განშორებას ვაგვიანებდი,
სულ თვალწინ მედგნენ ჩემი ტოლები
ტანადები და ძარღვიანები.
მშობლიურ კუთხის გამყვა იმედი,
ფსოუს ქუხილი — დაუდგრომელი,
მიმაცილებდნენ პლანტაციები:
„გზა მშვიდობისა, ისევ მოგელით!“..
დავემშვიდობე ბროლის წყაროსაც
(დავტოვე ძველი ხოდაბუნები).
„შენ აქეთ მუდამ მოგიხაროდა,
ნუ მიგვატოვებ, ხომ დაბრუნდები?!“

„მხედრებს“ ვუძლვოდი, მეტი რა ვიყავ,
გზებიც ცხენჯოხით მომირბენია,
ქვაზე შიშველი ფეხი წამიკრავს
და...
უმწარესი ცრემლი მდენია!..
აგერ?
ის მუხაც, მზეს რომ დაცქერის,
განა შეცვლილა?
არა, სრულებით!
აქ თავს იყრიდნენ ბერიკაცები
მუხაზე უფრო ხანდაზმულები!..

ისევ ამაყად დგას ფესვმაგარი,
ბებერ ტოტებში უვლის ღრუბელი,
ქარში ლაღია, ყალყზე შემდგარი,
ჭექა-ქუხილშიც ქედმოუხრელი.
...გზაზე რამდენი სურათი ვნახე,
ალალ ოცნებებს ჩუმად დავნებდი
და ჩემი ქოხის ცადაჭრილ თავხეს
მარტოკა დიდხანს ვუთვალთვალებდი.
შორს დარჩა მთები დაბინდულები,
მეგზურად მახლდა ლაღი ნიავი:
„დადგება დღე და
დაგიბრუნდებით!“—
ვთქვი და ავჩქარდი მგზავრი გვიანი.

II

თბილისი...
მისი გულისხმა ვიგრძენ,
ცხადი —
ოცნება როდი მგონია.
გნახე, დავრწმუნდი შენს ლამაზ
ცისქვეშ,
დედა ნამდვილად ორი მყოლია!..

თქვენი ამაგი, ვით არ დაფასდეს,
საოცარია სიტყვაც ვერ მეთქვა,
თვალს ვადევნებდი სიას დაფაზე
და ჩემი გვარი შემომეფეთა.
თვალის შევლებაც ველარ მოვასწრე,
გული სიხარულს ლამის გადაყვა,
„ჩარიცხულია ვარდენ გორდაძე“!

გავიმეორე უფრო ამაყად.
და მე არ ვიცი სხვა ნეტარება,
არც მეგულება მისი ბადალი,
ფართო დარბაზი, შორს კი კათედრა
და პროფესორი დგას შუბლმაღალი.
მუხლგაწაფული მთების კალთებთან,
ფიქრებს ვებრძოდი განმარტოებით,
გახუმრებას ხომ ვერვინ მკადრებდა,
და გამირბოდნენ ერთხანს ტოლებიც.

უბრალო ვიყავ, ოდნავ ამაყი,
ალბათ ამ ჩვევებს მთაში ვიძენდი,
პროფესორს ხელი რომ ჩამოვართვი,
გაუთლელობაც მაშინ ვიგრძენი!
ბოხი ხმა მქონდა, კლდეს გავანგრევდი,
ფანჯრებს გაჰქონდათ თითქოს
ზანზარი,
მაგრამ გენახეთ მაშინ ვარდენი,
როს მოდგებოდა კარს იანვარი.

ვღელავდი, განა მსპობდა არცოდნა,
(გამოგიცდიათ თვითეულ თქვენგანს...)
მემატებოდა თითქო კაცობა
და მახარებდა აღმზრდელის ქება.
არ ვივიწყებდი წამით ამაგდართ,
ზურგს უკან მთელი სოფელი მედგა,
იქ, ჭიშკრის ზესერს ცრემლით
ნამავდა
საბრალო ჩემი ჭაღარა დედა!..
...ვერ ველეოდი უწიგნოდ წამსაც,
მასთან ჭიდილში გზას მივიკვლევდი
და როგორც მებრძოლს,
ვით მრავალნაცადს,
არ დამიკარგავს რწმენა, იმედი..

*
* *

როს მტკვრისპირული ქარი ჩადგება
და ცოცხალ ნაკადს ჩავუთვალთვალებ,
ნაცნობ ქუჩაში, ახლაც ჭადრებთან
თითქო საკუთარს ვეძებ ნაკვალევს.
ირგვლივ ოდნავი სიო ნანაობს,
ვერა, ვერ ვამჩნევ ვერსად ნატერფალს,
ჩამელიმება...
მაგრამ ამაოდ,
კვლავ სტუდენტობა მომენატრება!..
...სტუდენტობისას ცისკარს ვხვდებოდი,
წვიმა იყო თუ თოვლი ბარდნიდა,
„ოთახი“ მქონდა, შიგ ვეტეოდით
წიგნები, მე და... ერთი მაგიდა!..

III

ჩემი ოცნება ნამდვილად ახდა,
ფიცხი მაჭარი დაცხრა, დადუღდა,
ის ოთხი წელიც ნიავქარს გაჰყვა
და სტუდენტობაც ასე დასრულდა.
დასრულდა...
გზაზე ბრძოლით მივლია,
ახლა სხვა გავხდი, გამოვიცვალე,
თუ ნატვრა სიზმრად ორგზის ტკბილია,
რა შეედრება მაშინ სიცხადეს?!
წუხელ ოცნებამ ფრთები მოისხა,
რა დამავიწყებს მართლაც იმ წამებს!
და საფერხეში, როგორც ყრმობისას,
დედასთან ქოხში გადავილამე!..

დღეები სავსე სიამით, განცდით
წუთისოფელში თუმცა ბევრია,
მაგრამ სხვა არი, სულ სხვა წარმტაცი
აკვამლებული თბილი კერია.
რა სჯობს კერასთან ცრემლს რომ
დაიდენ,
იხარებ დედის ნაქსოვ წინდებით...
ჯერ ხომ ტოლებთან უნდა გავიდე,
მერე?
დროა და... დავქორწინდები!
ხვალ კი?
ფსოუსკენ! — ვღელავდი რარიგ,
და ფიქრში ვკრავდი ბარგი-ბარხანას,
უცებ გაიღო ოთახის კარი
და სიხარული მოჰყვა ამხანაგს.
— ვეფხვო! — შესძახა ზაზა კიტიამ,
— სტუმრიანობა თუმც არ გიხარის... —
მერე ყასიდად შემომიტია
— დღეს, წუხანდელი ახდა სიზმარი! —
და მიღიმოდა გულით კიტია,
თითქო ვინც იყო, ახლა მაცნობდა,
— სწავლაში ხელი არ დაგვიკლია,
მოდი, ღვინოშიც ვნახოთ კაცობა!
ლხინთან საერთო რა აქვს მოწყენას! —
მიდასტურებდა თავგამოდებით:
— ციდან სასურველ ვარსკვლავს
მოტყვეტ და...
ნუთუ სუფრაზე არ გამოდგები?! —
თურმე დღეობა ჰქონიათ სადღაც
და მეგობარი ვით დამტოვებდა.
„გვეპატიება“! — ხუმრობდა ზაზა
„მოვილხინოთო, ბიჭო, ტოლებმა!“
და როს დავხარე თავი დასტურით,
შედგა ძმობილი ალალმართალი,
სულ სხვაა სიტყვა ახალგაზრდული,
რაღაც სხვანაირ გრძნობით გამთბარი!...
გული რომ ერთხანს ვერ შეეთვისა,
დღეს ძმები იყვნენ ღვიძლზე
ღვიძლები,
როს გაიყარა, ბოლოს, ჩვენი გზა
ობლობა მართლა მაშინ ვიგრძენი!..

IV

ოჯახის გვარს ვერ დაგისახელებთ,
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება...
სულ თვალწინ მიდგას იმათი სახე
და ულაზათო მათი ცხოვრება.

ირგვლივ ავეჯი ამკობს ოთახებს,
სუნთქვა ჭირს, სიოც არ დაჩალიჩობს,
დგას ქანდაკება, როგორც მოახლე
და იჭვიანად დაცქერს ხალიჩებს.

დარბაზში სხივი ილვრება უხვად
და ზღვისფრად ელავს ფორტეპიანო,
ნოტები იქვე მიმოფანტულან
თითქოს ერთმანეთს შორდებიანო.

ისევ ოცნებამ დამიმარტოვა,
და თითქო თვალთა ჩაქრა ნათელი,
არ მასვენებდა არა, რატომღაც,
მასთან შეხვედრა ამაღამდელი.
პირისპირ იჯდა, დაუვიწყარი,
ის — დედისერთა მოუსვენარი,
თვალებში ენთო მართლაც ცისკარი
და გული ქონდა ზღვასებრ მღელვარი,
იჯდა ციცინო, წარბებშეყრილი,
თითქოს იდუმალ ჰანგებს ისმენდა,
გული კი არა, მისი შემყურე
თავად უტყვი ხეც
ცრემლს დაიდენდა!..
და გულდამწვრები, როგორც იტყვიან,
ჩვენც ვსაუბრობდით უხმოდ,
თვალებით,
სულში ჩამხედა მაშინ კიტიამ
და ჩამჩურჩულა: ვარდენ დანებდი!“
მაგრამ ვამჩნევდი ასულს მოწყენას,
ხან გაღიმებას, ხან გაავდრებას,
იქნებ სხვა გახდა მისი ოცნება,
და თვალს მიხვევდა ნაძალადევად?!
...და როცა სასმისს მიწვდა თამადა,
მაქო და ენა გაიფაქიზა,
მაშინ კიტიამ წელი გამართა
და მეცხრე ცამდე ტაშით ამზიდა.
— ხვალ აგრონომი ვარდენ გორდაძე
ნაცნობ-მეგობრებს გამოაკლდება,
დაე, ფსოუში ისე მომაგრდეს,
რომ თბილისიდან ჩავყვეთ
მაყრებად!.. —
და თუ ძმობილი ფსოუში მიდის! —
თითქო და თქმულმა გააგულადა,
ოჯახის დედას შეაკვდა ღიმი,
მოულოდნელად სიცილს უმატა,
— ერთი მსურს... — ზაზა გაფითრდა
ოდნავ,
შეკრთა და მზერით სუფრას გადაცდა
— წვივმაგარ ქალებს რა დალევს
სოფლად? —

ციცინოს დედამ ჩუმად დამარცვლა...
მოხდება, ზოგჯერ, მეც ხომ [illegible]
და თუ ვცოდავდე — გამაგებინეთ,
ერთი ულირსი მწარე დაცინვა
ხელს სიცოცხლეზე აგაღებინებს!
დიასახლისმა, დიახ, დამცინა.

აშკარად, განა ყური მოვკარი,
ჭიქასთან ერთად შემომაცივდა
სამადლობელი... პირზე მომდგარი.
თამადამ წარბი ისევ აზიდა,
და დიასახლისს გადაუშაქრა:
„მეც მწამს სოფელი...“ ტუჩი აბზიკა
„შემოდგომაზე არა უშავს რა!“
სუფრას ვტოვებდით... ბოლო
სასმისით,
ოჯახს ვუნატრეთ ზრდა და მატება,
აქაც შესცოდა ზაზამ მასპინძელს,
როს ერთი სიტყვა კიდევ გაბედა.
ციცინოს დედამ თვალი მოგვავლო,
— ცხრა შვილიშვილი?
შვილიც გავწირო?!
ჩემი ოჯახის საშთამომავლოდ
საკმარისია, ერთიც, ყმაწვილო! —
და ქმარს თვალები ისე მიასო,
როგორც ელვარე წყვილი მახვილი,
იჯდა მეუღლე, ო, ახლაც მახსოვს,
დამუნჯებული და თავდახრილი.
ღვინოც გამშორდა მაშინ ანაზდად,
მწვერვალზე მდგარი დარდმა
დამჩრდილა:
დედამ უფსკრული შემომთავაზა,
შვილის თვალებმა გადამარჩინა!

*

* *

ფერმილეულს და ღამეებნათევს,
ხმა იდუმალი ჩამხითხითებდა:
„ციცინო თუ გსურს, სოფელი დათმე,
დარჩი ქალაქად... შენი იქნება!“
ის კი უმწეო ჩანდა ბავშვივით,
რა უნდა ექნა, ან რა ეღონა,
როცა საკუთარ დედის აჩრდილი
მიუვალ ზღუდედ გადაეღობა.
გამოიღვიძა წამით წარსულმა,
აღსდგა, თვალნათლივ გადაიშალა...
გულს სიყვარული მოგვესათუთა
და აბა იგი ვით გაგვთიშავდა?!

როგორ დარდობდა მაშინ ციცინო,
როგორ ტანჯავდა მწველი ფიქრები,
მანუგეშებდა თვალმოციმციმე —
„სწავლას მოვრჩე და... შენი
ვიქნები!“
როგორ ვუყვარდი... თუნდ აწი ბედმა
ასჯერ რომ ხელი გამომიწვდინოს,
არა და არა, იმ ერთის მეტად,
არ ვინატრიდი მე სხვა ციცინოს.
და ყურს ვუგდებდი მის
გულისტკივილს:
„ჩვენი ოჯახი ხედავ, რაც არი,
დედაზე ნაკლებ როდია ტკბილი,
ზოგჯერ, კეთილი დედინაცვალი!“
...სანაპიროდან ბევრჯერ, მარტონი
მტკვრის მღვრიე ტალღებს თვალს
ვადევნებდით,
ქარს შეებერტყა ზეცის ტატნობი
და შიგ ცვიოდა ვარსკვლავთ
მტევნები.
ის... ოცნებაშიც ლანდივით მახლდა,
გზას მას ვუთმობდი განზე გამდგარი...
სიძულვილს მუდამ გავურბი, მაგრამ,
არც სიყვარული ვარგა ამგვარი.
გრიგალს გაუსწრებს კაცი ნამდვილად,
ტყვიას — ბნელში რომ ელვად
მოფრინავს,
მაგრამ სიყვარულს ასე ადვილად
გაექცე, რარიგ ძნელი ყოფილა!..

V

თუმც ქედმაღლობა დამიჯდა ძვირად,
მაგრამ ციცინომ არ მომაკვენა,
თითქოს ცეცხლივით დამწვა და მძლია
და გადავწყვიტე თბილისს დარჩენა.
ის, რაც გადამხდა მინდა გიამბოთ,
თავს რომ დამატყდა უეცარ მეხად
და ბევრი რომ არ გავაზვიადო
მშობლიურ ქალაქს შემოვრჩი ერთხანს.
უმუშევრობა ბევრად მერჩია,
(უსუსურ კაცზე ყველა ბატონობს),
აქ თავი როგორ გამომეჩინა
აქ — ქარხანაში რიგით აგრონომს?!
ციცინო შემრჩა — ჩემი იმედი,
გულიდან მუდამ გაურიყავი,
პროსპექტზე ხალხის ნაკადს მივსდევდი,
და მაინც მარტოდმარტო ვიყავი.

ამვლელ-ჩამვლელიც მე დამცინოდა,
თითსაც მიშვერდა ზოგი მარგანი,
ასე მეგონა: ყველამ იცოდა
გზადაბნეული ობლის ამბავი.
ამდენ ბრძოლაში სული გაორდა.
დარდი მახრჩობდა ლამის ხანისხან,
ნუთუ ყველა ცდა მახე გამოდგა
თავი ვერასდროს რომ ვერ დავიხსნა?!
ასე ვებრძოდი მოვარდნილ ფიქრებს,
მწვავდა ოცნება ნასათუთარი:
სასაცილოა,
სამშობლოს ცისქვეშ
ვერ ჰპოვო გზა და ნავსაყუდარი!..

*
* *

ცხოვრება მუდამ თავისას ითხოვს,
და ფათერაკიც უჩინრად მოგვსდევს,
სადაც არ უნდა გადაიხიზნო,
მოვა, მოგძებნის დანიშნულ დროზე.
დღეებმა დაღი ისე დამასვა,
წინსვლის და ბრძოლის ცეცხლი
მინელდა,
გადამიკეტა ყველა შარა-გზა
და უცაბედად ჩამომიბნელდა.
რარიგ მწარეა თურმე დაცინვა,
აგრე ყოფილა, საკვირველია...
ბრმა სიყვარულიც ასე გაგწირავს
თუ კი ფოლადი არ გირევია.
სად,
სად მეპოვა, რაც მიტაცებდა
და გულში უქრობ ჩირაღდნად მენთო,
ასეა, გზას რომ ერთხელ აცდები,
იმ გზაზე გვიან ინანებ ერთ დროს.
და მივხვდი როგორ შემაგვიანდა,
ის ერთი სიტყვა ბრმად რომ ვიხელთე,
როცა გულისხმა გრიგალს მივანდე,
უფსკრულთან რატომ არ მოვიხედე?!
ფსოუ, ქოხმახიც ნიავქარს გაჰყვა,
უეცრად, თვალის ერთი შევლებით,
მეზობლის ხელით დაწერილ ბარათს
აქა-იქ აჩნდა დედის ცრემლები:
ნეტავი პირმშომ რად დაიყოვნა?
ჰიშკარს გავცქერო გულანაძგერი...
და ცრემლის გარდა არა იყო რა,
იმ თეთრ ბარათზე დედის ნაწერი!..

*
* *

გზადაბნეული დღეებს ჩამოვრჩი,
გონს გვიან მოველ და... მიხარია,
მაგრამ თბილისში „ბედის წყალობით“
ჩემისთანები კიდევ არიან!..
ისევ საკუთარ გულისხმას ვენდე,
უქმად წრიალმა ვინ გაახარა?
და კლუბის გამგემ... ექვსი თვის
შემდეგ
ჩუმად დავტოვე მაინც ქარხანა.
ვტოვებდი თბილისს, ვტოვებდი, მაგრამ
ციცინოს როგორ დავუმალავდი...
შიგ ჩემი სოფლის ვწერდი მისამართს,
სამძიმარს უფრო გავდა ბარათი.
დავშორდი! არც კი დავემშვიდობე,
როგორც ლაჩარი, გულგანახეთქილი,
წყალს გაჰყვა, ბრძოლით რაც
მოვიპოვე,
და გავამართლე ობლის სახელი!
ფსოუსკენ როგორ მომიხაროდა,
და გზა უეცრად ორად გამეყო...
თითქო დამთავრდა ჩემი კაცობა
და დღეს ხელახლა უნდა დამეწყო!..
მაშინ ცხოვრება ასე მესმოდა,
ოცნება მწვავდა თუ... სიჯიუტე,
მაგრამ კაცს ნუთუ
ერთი შეცდომა,
ისე გათელავს, ვერვინ მიუტევს?

### VI

ისევ სოფელი...
მდუმარე მთები
იდგნენ და ნისლი ებურა ფიჭვნარს,
თითქო მგლისმუხლა, ტანბრგე
მწყემსები
ცეცხლს აღვივებდნენ კარვებთან
მიმქრალს.
მამლის ყივილი ნიავს მისდევდა,
იზმორებოდნენ ხევში ღრუბლები.
და მახსოვს: დედა რომ მაღვიძებდა,
უფრო ტკბებოდა ძილის წუთები.
ახლაც წარსული გამოჩენცხადა,
ლაღი, ბავშვური თავდავიწყება,
მაგრამ ძილისთვის როდი მეცალა,
დრო დამტოვებდა და გამისწრებდა.
და უთენია გავიჭერ გარეთ,
რა სჯობს სიცოცხლეს, დილა ადრიანს,
ნისლის მანდილით შემომხვდა მთვარე
ნეტავ ვის ეძებს, ვინ დაკარგვია?!
აღტაცებული ვიყავ ბავშვივით,
თითქო მიხმობდა ნაცნობი ხმები,

და ბუბუნებდნენ ეზოში დინჯად,
ცადაზიდული ბებერი მსხლები.
ლეგა ღრუბლები მთიდან დაიძრა,
წამოუქროლა... ელვამ დატორა,
გადაისარკა. გული აზვირთდა
და სიხარული დამეპატრონა.

ასე მეგონა, ჩიტსაც დავასწრე,
ბინდში ჩურჩული იწყეს ვერხვებმა,
მაგრამ შევცდი და ფართო შარაზე
ჩამოიარეს იქვე გლეხებმა.

აგერ? ისინიც... გზას მიჰყვებოდნენ
გამომცდელები — ფსოუს მკვიდრები,
დღეს თვალწინ წიგნად გამეშლებოდა
უბნის სანერგე და ველმინდვრები.
„გახსოვდეს, შვილო, დადგა ეს წუთი,
იმარჯვე, გული ნუ შეგიკრთება,
ვაჟკაცი მშობლებს როდი ეკუთვნის
ის მთელი სოფლის შვილად ითვლება“
თითქო მამის ხმა ჩამესმა ცხადად,
თითქო თვალებშიც შემომაჩერდა,
თუმც არ მინახავს არასდროს, მაგრამ
შვილს მამის ხსოვნა მუდამ დაყვება.
— ...წინაპრის ხვედრი მუდამ მძიმეა,
მათი ანდერძიც უნდა გვახსოვდეს,
სიკვდილო, შენთვის დაუცინიათ;
შთამომავლებზე კი არასოდეს.
ქოხი ქონდათ თუ კლდეზე ფაცხები,
არ დაჰკარგვიათ პირდაპირობა,
მამულს უჭირდა, მჯერა სავსებით,
ცხრა-ცხრა აკვანიც მიტომ ხშირობდა.
ოდითგან გლეჯდნენ აკვნის არტახებს,
იქნებ აწრთობდნენ ჩვილთ ამნაირად,
ან აკვნიდანვე ასე ჰბაძავდნენ
კლდეზე მიჯაჭვულ დევგმირ ამირანს!
დღეს კი?
სიცოცხლეს ასე რომ შევტრფით,
გვიხმობს მთები და ეზო-ბაღები,
ისე, ვით პირმშო, პირდაპირ გეტყვით...
ფსოუელებო — ჩეცოტავებით!..
ნერგები მოსჩანს ჯერაც ნორჩები,
ღელავს ჯეჯილი, ჰყვავის ვენახი:
— მომავალს, წინსვლას ნუ
ჩამორჩებით! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე ხვალინდელი გვიხმობს, გვეძახის!
მომრავლდით...
ფრთები მარჯვედ გაშალეთ,
ზღვასთან იქუხეთ ფსოუს ოდენა,
ხშირ ტყეს ხომ მუხაც ასე ახარებს
ტანს რომ აიყრის მოულოდნელად! —
მთებს გავძახოდი უქუდოდ, გზაზე
ცისკრის ნიავით განაგრილები,
გომშრიალებდნენ ყანები ზღვასებრ
ფესვმაგრები და გამარგლილები.
გულს მიღელვებდა ჩქამი მცირედი,
მშობლიურ მიწის სუნთქვამ დამათრო,
შარიშურობდნენ პლანტაციები
„სიცოცხლე უნდა გაგვიმარადო!“
ობოლი ბიჭი ისევ მოვედი,
მე ხომ სოფელმა შვილად მიგულვა,
ვიცი, მელოდნენ სიყრმის ტოლები
და გამარჯვებას ვგრძნობდი
იდუმალს...

VII

ფრთხილად მოივლის ბინდი
მთა-ველებს
და წყარო მკერდზე სიოს დაიბნევს,
ბაღში გოაბნევს ციცინათელებს,
გამოაცოცხლებს ცისფერ აივნებს.
როს თუთისხესთან მოვიკალათებ,
და ხეთა ჭრიალს მივაყურადებ,
წარსულზე ფიქრი მოდის, ამანთებს
და სურათები ცვლიან სურათებს.
განვლილი გზები ცოცხლდება თვალწინ,
განვლილი გზები, განა მამშვიდებს,
ოდას გავხედავ ოჯახის კაცი
და დავღონდები წამით მაშინვე:
ფსოუსპირ ჩემი ოდაც განათდა,
დღეს ოთხივ მხრიდან სხივი ადგება,
მაგრამ ოჯახი ელის პატარძალს,
დედა მაყვედრის დაგვიანებას.
პატარძალს ელის ზღვა კარ გიდამო,
პაპას ხომ გვერდით სულ ვერ ჩავუვლი
და დედაჩემმა, ვით არ იდარდოს,
გულს უკლავს შვილის „დანაშაული.!“
დედის სევდაზე მწარე რა არი...
გამომერიოს თუნდაც ჭაღარა,
ყურს არ დაუგდებს არა, არავის,
მუდამ დავრჩები მისთვის „ბალანა“
...მისგან ბარათი მიმეღო მაინც,
მეგრძნო გულისხმა, თუნდაც მცირედი,
დღეს დაედარა ყოველი წამი
და საბოლოოდ გაქრა იმედი.
მივხვდი: ციცინომ იუკადრისა.
ნაბიჯი მტკიცე, ახალგაზრდული,
ზურგი მაქცია იმ თვალმაისამ
და დაივიწყა ჩვენი წარსული.
ის წუთი ახლაც გულში ანთია,
შვილს, ალბათ, ჩემთვის ვერ იმეტებდა,
ვერ გავუღიმეთ ნამდვილ განთიადს,
ახალ სიცოცხლეს — დედისერთებმა.
ჩვენ ხომ ერთმანეთს ფიცი გავანდეთ,
და ჭირ-ვარამი გავუზიარეთ,
ასე მეგონა, ფართო შარამდე,
სულისსწორებმა ერთად ვიარეთ,
ერთად ვიარეთ... თუმც გზა შორია,
შორი ოცნებით მაინც მიგწვდები,
რატომღაც ახლაც ასე მგონია,
რომ არასოდეს დამავიწყდები.
და... ბროლის წყაროს ფიქრით
გავყვები,
ნაპირებს გთვარის ნათელი ქარგავს,
მიხითხითებენ ქვებზე ტალღები
და დასცინიან სიყვარულს ამგვარს!...
იქნებ... მეც შემხვდეს ბედის
ვარსკვლავი,
თუ ბრწყინავს იგი და არ ჩამქრალა,
და ამიღელვოს გული ზღვასავით
ფეხბედნიერმა ჩემმა შავთვალამ?
ვოცნებობ:
როცა დედა გახდება,
სწამდეს მამული — მისი სიმართლე
მტრის და მოკეთის მედგრად
დახვედრა,
როგორც ჩვეოდათ უკვდავ წინაპრებს.
უყვარდეს:
დიდი რუსთველის ენა,
არ დაივიწყოს ვაზი არასდროს
და ცხრა ვაჟკაცი შავლეგა ყველა
მამულისათვის მინდა დაზარდოს!..
ხარბად და დიდხანს გავყურებ სივრცეს,
და მამხნევებენ თითქოსდა მთებიც,
ვით ბროლის წყარო მივიწევ ზღვისკენ,
კვლავ გაგონდება განვლილი გზები.
და სძინავს სოფელს, ნაცნობ მიდამოს,
ისევ ფრთაგაშლილ ოცნებას ვენდე,
იქნებ... გულშიაც გამოიდაროს,
როგორც ქუქუნა წვიმების შემდეგ!

### მიხეილ ლაკერბაი

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

# ორი კარი

— შვიდ წელზე მეტია, არ მინახავს მშვაგა, — ამბობდა თავისთვის დაფიქრებული შახან კუპალბა, როცა იგი საყვარელი მეგობრის სახლს უახლოვდებოდა. — დიახ, შვიდ წელზე მეტია. წარმოიდგინე, როგორი სიხარულით შევხვდებით ახლა ჩვენ ერთიმეორეს!

ასეთი ტკბილი ფიქრით მიადგა იგი ცხენით მეგობრის ჭიშკარს და ეზოში გადაიხედა, იქნებ მასპინძელი დავინახოთ.

ბედნიერად დახვდა ძმაკაცის ეზო-გარემო. მართალია, მასპინძელი არ ჩანდა, მაგრამ მაღალ ბოძებზე შემდგარი ულამაზესი სახლი მწვანე ხეებში ჩაფლულიყო. შინაური ფრინველები თვალდაუთვლელად მოსდებოდნენ ფართო ეზოს. ინდაურები და ქათმები, ბატები და მოკუნტრუშე ხბორები მასპინძლის დოვლათზე ლაპარაკობდა. სახლის უკან დატოროვებული მწიფე სიმინდის ყანა ჩაღრუბლულიყო. მის გვერდით, ხეხილით დამძიმებულ ბაღში ზღვის ნიავი სანამ ბოლომდე ჩაიგრიალებდა, ალბათ, ილღებოდა კიდეც. ამიტომ იყო, რომ ხალხი ყოველთვის აქებდა მის ეზო-გარემოს.

— მშვაგას ხომ ყოველთვის უყვარდა შრომა და სიფაქიზე! — სიხარულით გაიფიქრა შახანმა და თან დაუმატა, — ასეც უნდა, კაცური კაცის ცხოვრება ყოველთვის ასეთია.

ეზოში გამაყრუებელი ყეფა ასტეხეს ძაღლებმა. მათ ყეფაზე ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. იგი ძირს არ ჩამოსულა, ისე დაუწყო ძაღლებს ყვირილი.

— მშვაგა შინ ბრძანდება? — შეეკითხა შახანი და პასუხი არც გაუგონია, ისე გადმოიხარა ცხენიდან, ჭიშკარი გააღო და ეზოში შევიდა.

— მშვაგა შინ ბრძანდება? — გაიმეორა მან.

— არა, არ არის! — ცივად ისროლა სიტყვა ქალმა.

შახანი წყნარად წავიდა ცხენის მისაბმელისაკენ და აჩქარებით მიაბა თავისი ლურჯა. იგი სახლისაკენ წამოვიდა. შახანი დარწმუნებული იყო, როგორც აფხაზურ ზრდილობას და წესს შეეფერებოდა, ქალი კიბეზე ჩამოირბენდა და გზაზე შემოეგებებოდა. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა, რომ ქალი ისევ აივანზე იდგა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ ძაღლები უფრო გახელებით და სიკაპასით უყეფდნენ, შახანი შემობრუნდა, მაღალი, ფოთლოვანი ალვის ხის ქვეშ მდგომი გრძელი სკამისკენ წავიდა და იქვე ჩამოჯდა.

ამან ქალი აიძულა ძირს ჩამოსულიყო. მან ჯერ ძაღლები გარეკა, მერე კი სტუმარს მიუახლოვდა.

— გამარჯობათ! — მოწიწებით მიესალმა შახანი ქალს, — მშვაგა სად ბრძანდება?

— არ ვიცი, — მოკლედ უპასუხა ქალმა.

— როდის დაბრუნდება? — ისევ იკითხა შახანმა.

— არ უთქვამს!

— თქვენ მარტო ხართ?

— არა, — ისევ უგულოდ ისროლა სიტყვა ქალმა.

— სირცხვილი ხომ არ იქნება, რომ გკითხოთ, — დარბაისლურად განაგრძო, შახანმა — თქვენ ვინ ბრძანდებით, მშვაგას მეუღლე ხართ?

პასუხის ნაცვლად ქალი მოიღუშა. პირში წყალი ჩაიგუბა.

— ჰა, შესანიშნავია, სასიამოვნოა, — განაგრძობდა ისევ შახანი. მაშ, ასე, დიასახლისი თქვენ ბრძანდებით. კეთილი, იცოდეთ, როგორ სიხარულს ვგრძნობ ჩემი უსაყვარლესი მეგობრის მეუღლით, ასეთ მშვენიერ ქმნილებას რომ

შევცქერი. თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, მშვაგა და მე სიყრმიდანვე განუშორებელი მეგობრები ვიყავით. ეჰ, რას იზამ, ცხოვრებამ გაგვყარა, ის აქ დარჩა, მე კი შორს გადავიკარგე. შვიდი წელია არ მინახავს, შვიდი წელი. ერთი საქმის გამო ისევ ამ მხარეში მოვხვდი, თავი ვერ შევიკავე, რომ აქეთკენ არ შემომეხვია, უნდა მენახა, რასა იქს როგორ ცხოვრობს.

ქალი უსმენდა და ხმას არ იღებდა.

— ძალიან ცხელა, — ისევ განაგრძო შახანმა, — დავიღალე, სასა გამიშრა წყურვილისაგან. იქნებ წყალს დამალევინებდით... ქალი უხმოდ წავიდა სამზარეულოსაკენ და იქიდან წყლით სავსე ჭურჭლით დაბრუნდა.

შახანი დაიხარა და ტუჩები ჭურჭელს შეახო. წყალი თბილი და გულის ამრევად უგემური აღმოჩნდა. მან მიწაზე დააქცია ის და ჭურჭელი დიასახლისს გადასცა.

— მადლობელი ვარ.

ქალმა ჭურჭელი წაიღო, მერმე დაბრუნდა და ისევ წყნარად გაჩერდა მის ახლოს.

— გთხოვთ დაბრძანდეთ, — სთხოვა და სკამის ერთ მხარეს გადაინაცვლა. ქალმა უარი თქვა დაჯდომაზე. გავიდა მძიმე და უხერხული რამდენიმე წუთი.

შახანმა კიდევ რამდენიმე არაფრის მთქმელი სიტყვა წაილუღლუღა. იკითხა მოსავალი, ამინდი, მაგრამ, რადგან სათქმელს თავი ვერ მოაბა, წამოდგა.

— რას იზამ, მე უკვე დავისვენე, თან მეჩქარება. ყველაფერ კარგსა და კეთილს გისურვებთ.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — გამოეხმაურა ახლა დიასახლისი და გასაცილებლად მოემზადა.

ჭიშკარგადაღმა შახანი შეჩერდა და წაილაპარაკა:

— ვწუხვარ, რომ მშვაგა შინ არ დამიხვდა. ძალიან მინდოდა მისი ნახვა, — განაგრძო მან.

ქალი ისევ პირში წყალჩაგუბებული იდგა.

— მოკითხვა გადაეცით თქვენს ქმარს. უთხარით, შახანი იყო-თქო. ძალიან შეწუხებული მივდივარ, რომ ვერ ვნახე! ისიც გადაეცით, შენმა დოვლათმა გულწრფელად გაახარათქო. ყველაფერი თვალწარმტაცი და მშვენიერია, ძვირფასი ეზო-გარემო, სახლიც დიდებული აუშენებია, მხოლოდ სახლის კარი არ მომეწონა, ვერ არის მისი შესაფერი, ვწუხვარ, რომ ეს წამომცდა, ასეთი ხასიათის კაცი ვარ, — შახანი შეჩერდა, მაგრამ ქალს გაოგნება შეამჩნია სახეზე თუ არა, დაუმატა, დურგალი კაცი ვარ, ხელოსანი, სახლებს ვაშენებ, ეჰ, რომ იცოდეთ, არც ისე ცოტა მიშენებია... როგორც ჩანს, იმთავითვე არ შეუნიშნავს მშვაგას ეს ნაკლი, შეიძლება ახლაც ვერ ხვდებოდეს, დაგვიანებულიც არის, მაგრამ ძალზე ცუდი კარია.

— მართალია? ჩვენ ვერც კი შევამჩნიეთ, — თქვა დიასახლისმა და პირველად გაიღიმა.

— გასაგებია, უცხო თვალი სხვაა, მზეს თუ პირისპირ უცქერით, თვალიც ბრმავდება და ველარაფერს ხედავთ. რა ვქნა, ბოდიშს მოვიხდი, ხალხს უთქვამს „ცუდი სტუმარი ოჯახის მარტო სიმახინჯეს ხედავსო“. კმარა, უნდა გამოვეთხოვოთ, — ასე დაასრულა შახანმა და გზას გაუდგა.

გვიან ღამით დაბრუნდა მშვაგა. იგი ძალზე შეწუხდა, როცა გაიგო, რომ მისი არყოფნის დროს მის ოჯახში სტუმრად შახანი ყოფილიყო.

— როგორ მწყინს, რომ გაუშვი, — წამოიძახა მან, — ნეტავი როგორ ცხოვრობს, არაფერი თქვა თავისთავზე, სად დასახლდა, რას აკეთებს?! წარმოგიდგენიათ, შვიდ წელზე მეტია, ერთმანეთი არ გვინახავს!

— ძალიან შეწუხდა, რომ ვერ გნახა, ისე კი ხელობით დურგალი ყოფილა, — ამბობდა ქალი, — მთხოვა და დამაბარა, გადმოგცე.

— რა სთქვა? — მოუთმენლად გააწყვეტინა სიტყვა ქმარმა.

— მთხოვა გადმომეცა, რომ ჩვენი სახლის კარები შეუფერებელია. სწორედ ასე დამიბარა. საოცარი კაცი სჩანს.

სიტყვა-სიტყვით ასე თქვა: „გადაეცით მშვაგას, ეზო-გარემო გაუმშვენიერებია, ქალი ტურფა ჰყოლია, ბედნიერებაც შეუქმნია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს, მის სახლ-კარს შესასვლელი კარები არ უვარგა, მთელ სილამაზეს არ ეგუება, ძალზე ცუდად მომეჩვენა, ასეთ ბედნიერ ოჯახს უფრო ლამაზი და კარგი ხის კარი შეეფერებაო.

გაოგნებული დააცქერდა მშვაგა სახლის შესავალ კარს. ბევრი ათვალიერა, მაგრამ ნაკლი ვერ უპოვა, სიცუდე ვერ შეამჩნია.

— მეტი ხომ არაფერი უთქვამს? — თქვა გაოცებით და მწუხარებით ქმარმა.

— მეტი რა უნდა ეთქვა. ისე კი უნდა გითხრა; თუ მართლაც შენი მეგობარია, ძალიან კმაყოფილი წავიდა, ყველაფერი მოეწონა, გარდა შესასვლელი კარისა.

ამის შემდეგ დიდმა დრომ გაიარა. შახანი არ გამოჩენილა. ხშირად გაიხსენებდა მშვაგა თავის მეგობარს და კარებისაკენ იყურებოდა — რა უპოვა ამ კაცმა ასე ცუდიო. რამდენიც არ ეცადა, ცუდი ვერაფერი შენიშნა და ისევ ორაზროვანი ფიქრებით დანაღვლიანდა.

გავიდა ერთი წელი.

მოხდა ისე, რომ საქმემ ისევ ამ ადგილებში მოიყვანა შახანი, ისევ შემოუხვია თავისი მეგობრის, მშვაგას ოჯახში.

— ძმაკაცი იქნებ ახლა მაინც ვინახულოო, — იმედოვნებდა იგი, მაგრამ მშვაგა არც ახლა დახვდა.

— ეი, მასპინძელო, სახლში ხარ? — დაიძახა ჭიშკარს მიახლოვებულმა მხედარმა.

ახალგაზრდა ქალი ქურციკივით გამოვარდა აივანზე. შახანმა თვალი შეავლო თუ არა, იმ წუთშივე მიხვდა, რომ ეს ის ქალი არ იყო. ქალი სწრაფად დაეშვა კიბეებზე, სტუმრის შესახვედრად ჭიშკრისაკენ სირბილით წამოვიდა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — მოკრძალებით თქვა ქალმა და თან სიჩქარით გამოაღო ჭიშკარი.

— მობრძანდით, მობრძანდით!

— მშვაგა შინ არის? — შემოვიდა ეზოში სტუმარი.

— არა, მაგრამ მალე გეახლებათ, — დაამშვიდა სტუმარი ქალმა.

— შემობრძანდით, შემობრძანდით, არ ისვენებდა ქალი.

როგორც პირველი მოსვლის დღეს, ახლაც თაკარა სიცხე წვავდა ყველაფერს და შახანი წყურვილისაგან კვდებოდა.

— არა, გმადლობთ, მე აქაც არა მიჭირს რა, — ამ სიტყვებთან ერთად იგი ფოთლოვან ალვის ხეებისაკენ წავიდა.

— როგორ გეკადრებათ! — შიშით და მოკრძალებით თქვა ქალმა,—შინ მობრძანდით, ღვთის მადლით სახლის თავანსახურავში წვიმა არ ჩამოდის, თუმცა... აქ თუ უფრო გესიამოვნებათ, ჩრდილშიაც ნება გაქვთ დაისვენოთ, მაგრამ, მე ვიცი, იქაც მოგეწონებათ, იქაც კარგია, ბატონო, შეევედრა ქალი.

მისი ვედრებით აღსავსე ხმა ისეთი გულწრფელი იყო, რომ კმაყოფილებით სავსე შახანმა მხიარულად გაიღიმა.

— კარგი, თქვენი ნება იყოს, უნდა დაგეთანხმოთ.

სახლში მართლაც გრილოდა და ყველაფერი სასიამოვნოდ გამოიყურებოდა. შახანმა კედლებს გახედა და გაქვავდა. კედელზე ნაცნობი დიდი სურათი იყო გადმოკიდებული. იქვე პატარაც იყო ჩარჩოში ჩასმული. მოსწავლის ფორმაში ჩაცმული ორი ბიჭი, მშვაგა და შახანი სურათიდან იმზირებოდნენ.

— დიდი ხანია არ მინახავს მშვაგა! — ნაღვლიანად თქვა შახანმა, — ეს სურათი სოხუმში გადავიღეთ. მაშინ სამთო სკოლაში ვსწავლობდით. ძალიან მინდოდა მისი ნახვა, მაგრამ არ გამიმართლდა, კიდევ ვერ შევხვდი. ბოდიში, ქალბატონო, შემობრუნდა ქალისაკენ შახანი, — თქვენ ვინ ბრძანდებით?! ალბათ მშვაგას და იქნებით.

— არაო! — წყნარად თქვა ქალმა და ისევ გაჩუმდა.

— მშვაგას ცოლი სად არის? — დაჟინებით ჰკითხა ახლა შახანმა, — მისი

მეუღლე სად არის, აი, ის, შარშან მე რომ ვნახე.

ქალი ისევ ჩუმად იდგა.

— მომიტევეთ, — თქვა ისევ შახანმა, — მე აქედან შორს ვცხოვრობ და არაფერი არ გამიგია. როგორც ჩანს, მშვაგას ცხოვრებაში დიდი ცვლილება მომხდარა.

ახლა ქალმა გაიღიმა.

— თქვენ მისი მეუღლე ბრძანდებით ხომ? — ჰკითხა მან.

თანხმობის ნიშნად ქალმა თავი დახარა.

— გილოცავთ, გულწრფელად გილოცავთ, — სიხარულით თქვა ახლა შახანმა, — მშვაგა შესანიშნავი ვაჟკაცია.

ქალმა მოუსმინა და საჩქაროდ გარეთ გავიდა. შახანმა თვალი გააყოლა ძმაკაცის მეუღლეს და მიხვდა, რომ ქალი სამზარეულოსაკენ გაეშურა. ეს ქალი სულაც არ ჰგავდა პირველს.

შახანს ძალზე სწყუროდა გაეგო, როგორ მოხდა ყველაფერი ეს, შეკითხვაც დააპირა, მაგრამ იფიქრა, უხერხულიაო და გაჩუმდა. ის ადგა და ნელი ნაბიჯით გარეთ გავიდა.

— წყურვილი მკლავს, — შესთხოვა მშვაგას ცოლს.

— ამ წუთში, ბატონო ჩემო, — პატივისცემით თქვა მან. ზემოთ აირბინა, პატარა სუფრა და წითელი ღვინო გამოიტანა. სუფრა წინ წამოსწია, ბოთლი დადგა და ჭიქაში ღვინომ დაირაკრაკა. ქალმა კრძალვით და მოფერებით შეხედა სტუმარს.

— შესვით, — წყნარად თქვა მან და თან დაუმატა, — მე კი ამ წუთს ახალ ცივ წყალს მოვარბენინებ.

იგი ისევ სამზარეულოში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა. ხელში თუნგი ეჭირა. აივნიდან გადააქცია ძველი წყალი, ჭურჭელი გაცალა და წყაროსაკენ გაემართა. ღვინომ წყურვილი მოუკლა შახანს. საოცარი სისწრაფით და მხიარული სახით დაბრუნდა მეგობრის მეუღლე. მან წყაროს წყლით სავსე თუნგი მაგიდაზე დადგა.

— ჯერჯერობით ღვინით ისიამოვნეთ, — ჩურჩულით თქვა მან, — [illegible] არის, ოჯახის უფროსიც გვეახლებათ.

იგი ისევ სამზარეულოსაკენ გაეჩქარა.

„აი, ჩინებული დიასახლისი!“ გაიფიქრა შახანმა. ქალი ისევ მალე დაბრუნდა და სუფრის გაშლა დაიწყო.

— დღეს რა დამემართა, არ ვიცი, სადილის გაკეთება დავაგვიანე და შიმშილით მოგკალით, — მოიბოდიშა მან. — უნდა მაპატიოთ ეს დანაშაული.

— ტყუილად ღელავთ, ჩემო ბატონო, დამერწმუნეთ, მე მაძღარი ვარ. მეორე, რატომ? მარტო ჩემთვის ამზადებთ სადილს, მშვაგასათვის მოგეცადათ.

— თუ ის მობრძანდა, რასაკვირველია, უკეთესია, მაგრამ თქვენ რატომ უნდა გაცდევინოთ?! შეიძლება დაიგვიანოს, თქვენ კი შორიდან ხართ მოსული და მომშეულიც იქნებით.

ქალმა მართალი თქვა. სტუმარი მადიანად შეექცა გულუხვი მასპინძლის მოტანილს.

მზე უკვე ჩადიოდა. მშვაგა ჯერ კიდევ არ ჩანდა. შახანი უნდა გამგზავრებულიყო. დიასახლისმა ბევრი ეხვეწა, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

ძალიან ვწუხვარ, — ამბობდა სტუმარი, — მაგრამ რას გავაწყობ! დღეს არ მცალია, მეორეც გზაზე თანამგზავრები მიცდიან.

— თუ თქვენ არ დაიცდით, ქმარი ძალზე ნაწყენი დარჩება, მეტყვის, არ დაგიპატიჟია, კარგად ვერ შეხვედრილხარო.

— სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ არ მიხერხდება, მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — გამოეთხოვა სტუმარი მეგობრის მეუღლეს, რომელიც ჭიშკარზე კრძალვით და პატივისცემით მიჰყვა.

— რა გადავცე, რა ვუთხრა?

— უთხარით, — ნელა ჩაილაპარაკა შახანმა, — სიყრმის მეგობარი შახანი გესტუმრა, დიდად გახარებულია რომ დოვლათიანად ცხოვრობს, სახლ-კარი კარგად მოგიწყვია-თქო, არ დაივიწყოთ, უთხარით, მეც მასთან ერთად ბედნიერი ვარ მისი სიკეთით. იმან იცის; ის ჩემი

უსაყვარლესი კაცია ამქვეყნად. ყველაზე უფრო მაინც სახლის შესასვლელი კარები მომეწონა. დიახ, დიახ, ასე გადაეცი. ეს კარები ახლა ძალზე შესაფერისია, ძალზე კარგი და ლამაზია. იცოდეთ, მე დურგალი კაცი ვარ, ბევრი სახლ-კარი მიშენებია. მაშ, ასე, არ დაივიწყოთ, უთხარით, თვალწარმტაცი და მშვენიერი კარები აქვს თქვენს სახლს-თქო.

— აუცილებლად ვეტყვი, — თქვა ქალმა და გაოგნებით დაუწყო კარებს ყურება. შახანმა ღიმილით შეათვალიერა ქალი და გზას გაუდგა. საღამოს დაბრუნდა მშვაგა. მასპინძელი ძალიან შეწუხდა, როცა მეგობრის მოსვლა და მის უნახავად გამგზავრება გაიგო.

— რა უბედურებაა, — წამოიძახა ნაღვლიანად მან, — ისეთი შესანიშნავი მეგობარია ჩემი, ისეთი გულწრფელი კაცია, თავგანწირული და გრძნობიერი, მე კი ვერ ვნახე. ეჰ, რომ იცოდე, როგორი ჭკვიანი კაცია!..

— ჭკვიანი კაცია? — გაიოცა მეუღლემ და მერმე ქმარს ჩაფიქრებით მოარიდა თვალი.

— იშვიათი ჭკვიანია. მახსოვს, ხშირად უყვარდა ჩვენთვის ბრძნული დარიგების მოცემა და ყოველთვის ჭკუაში გვიჯდებოდა მისი რჩევა.

— მე კი, არ მინდა გეწყინოს, მაგრამ მაპატიე, მისი სიტყვები უცნაურად მომეჩვენა, გამოგიტყდები და გეტყვი, ვიფიქრე კიდეც, რომ მის გონებაში ყველაფერი რიგზე არ არის-მეთქი.

— ეგ რამ გაფიქრებინა! — წამოიძახა მშვაგამ.

— ჩვენი სახლის კარებზე მელაპარაკა რაღაცა უცნაურად.

შენთან დამაბარა — ყველაფერზე უფრო თქვენი შესასვლელი კარები მომეწონა, მშვენიერია, თვალწარმტაცია, უნაკლოაო.

— გარკვეულად მითხარი, ქალო? როგორ გითხრა, მომეწონა თუ არაო.

— რასაკვირველია, მოეწონა და ძალიანაც მოეწონა. ჩვენს ეზო-გარემოში ყველაზე უფრო მშვენიერად კარები მიაჩნია. დურგალი ყოფილა, სახლებს აშენებს თურმე.

— მაშ, ეს კარები მოეწონა, არა? შარშან კი სწორედ ამ კარებზე ამბობდა... ერიჰაჰა! — წამოიძახა ახლა გახარებულმა მშვაგამ და ცოლს მოეხვია, — ასეთი იყო ყოველთვის ჩემი დაკვირვებული და სანდო მეგობარი, ჩემი განუყრელი შახანი. იტყოდა რაღაც ქარაგმას და ჩვენ კი თავს ვიტეხდით მის გასაგებად. შენ გაიგე რა უთქვამს?

— ახლა მეც მივხვდი, — წყნარად თქვა ქალმა და ორივე ხელით მოეხვია ქმარს კისერზე.

# ჩ Ა Ნ Ა Გ Ა

სამოქალაქო ომი თავისებურად დატრიალდა კავკასიაში. რუსეთში ადამიანებმა იცოდნენ, სად იყვნენ მოკალათებული თეთრგვარდიელები და სად იდგა წითლების ნაწილი. აქ კი ამის გარკვევა შეუძლებელი იყო. ერთ სოფელში რომ წითლები იდგნენ, მეორეში თეთრები თარეშობდნენ. ხშირად ერთ ხევში, ერთ მხარეზე ერთი ბანაკი იდგა, მეორე ნაწილში — მეორე. საფრონტო ხაზი გაურკვეველი იყო. არც ერთ მხარეს არავითარი განმასხვავებელი ნიშნები არ ჰქონდა. ეს ძალიან აძნელებდა ბრძოლების წარმოებას.

სერგეი მირონის-ძე კიროვმა აფხაზეთში საიდუმლო დავალებით გაგზავნა უშიშარი და მტკიცე კომუნისტი ჩანაგა. მაშინ აფხაზეთში მენშევიკები ბატონობდნენ და გულადმა ვაჟკაცმა კარგად იცოდა, რომ მის სამშობლოს დახმარება სჭირდებოდა.

საშიში გზა იდო წინ. მთის წრიახებში მიდიოდა ეს გზა. ერთადერთი ბილიკი თეთრებს ეკავათ. მხოლოდ ამ გზით შეი-

ძლებოდა გადასვლა. სხვა გამოსავალი არ იყო. ჩანაგას პირდაპირ მტრის ბანაკზე უნდა გაევლო. უშიშარმა მებრძოლმა „თხის ბილიკით“ არჩია წასვლა. კლდის დანისპირა თხემებზე ყოველთვის იყო მოსალოდნელი მოწყვეტა და უფსკრულში გადაჩეხვა. მთვარე უფერულად უნათებდა ბილიკს ჩანაგას, მაგრამ ხალხის გმირებს საკუთარი სიცოცხლის დაკარგვის როდი ეშინიათ! ისიც სულმოუთქმელად და წარბშეუხრელად მიიკვლევდა გზას სიკვდილ — სიცოცხლის შუა.

— შეჩერდით, ხელები ზევით! — მოესმა ერთი კლდის ჩამოთავების დროს. ეს შეძახილი ულმობელი და ცივი იყო.

ჩანაგმა მოიხედა. თოფის ლულები მის მკერდთან აღმოჩნდნენ მიბჯენილნი. იგი უნებლიეთ შეჩერდა. ჩანაგა მზად იყო ერთ ასს შებრძოლებოდა მაგრამ მან არ იცოდა, ვინ იყვნენ დამხდურნი. მხრების ნიშნები ვერ დაინახა. ჯარის გალარიბების გამო ეს ნიშნები არავის არ ჰქონდა. ჩანაგამ დამტვრეული რუსულით წაილუღლუღა:

— ოსი ვარ, გლეხკაცი.

— აქ რას აკეთებ!

— თხა დავკარგე, თხას ვეძებ.

— ვიცით, ვიცით, რომელ თხასაც ეძებ, ჯაშუში ხარ, ჩვენი მტერი.

— თხა არ ვიცი, ძმობილო, და შენი ხოკორა თავი კი ნამდვილად დაღუპე დღეს! — თქვა მეორემ და ამ სიტყვებზე მთელმა ნაწილმა გადაიხარხარა.

ჩანაგა დაკვირვებით შესცქეროდა მათ. იგი ცდილობდა გაერჩია, მტრები იყვნენ თუ მოყვრები, წითლები იყვნენ თუ თეთრები. მათი გარჩევა შეუძლებელი აღმოჩნდა.

— აბა უფსკრულის პირას დადექ — უბრძანა მათმა უფროსმა. უფსკრულის პირიდან ხომ ადვილია ქვესკნელში გადააგდო ადამიანი?! ჩანაგა გაინძრა.

— წინ გასწი-მეთქი! — ისევ დაიყვირა უფროსმა და თოფი შემართა.

ჩანაგას რა ჰქონდა შეცდომის უფლება. მას, რადაც უნდა დასჯდომოდა, უნდა გაეგო, ვინ იყვნენ მისი დამტყვევებლები. მან ისევ დაიწყო ლუღლუღი: —

— მე — ოსი ვარ, მე გლეხი ვარ, თხას ვეძებ.

— აქვე ჩავკლათ! — დაიძახა ახლა მეორემ.

მოულოდნელად ერთმა მათგანმა დაიყვირა:

— მიტრ, ხომ შეიძლება, მართლაც გლეხი იყოს მაშინ?!

— შენც ერთი! — დაიეჭვა პირველმა, — დაკარგულ თხას განა ასე ეძებენ?! ჯაშუშია და სასწრაფოდ უნდა მოვაშოროთ ამ ქვეყანას!

ჩანაგას ესმოდა ეს შეძახილები და შიში არ უგრძვნია. გული მხოლოდ ერთის გამო წყდებოდა, — კიროვის დავალებას ვერ ასრულებდა უშიშარი აფხაზი. იგი დუმდა. ნაღვლით სავსე გული სულ მთლად გაყუჩებულიყო. ვიღაცამ ხმამაღლა დაიძახა:

— ფედია, რას იტყვი! ხომ გვიბრძანა, უმისოდ არავინ დაგვეხვრიტა! ისევ გაბრაზდება, როცა გაიგებს...

— ცოდვაა მისი გაღვიძება. თუმცა, რას გააწყობ, თვითონ გვიბრძანა ჩემს გარეშე არავინ დახვრიტოთო.

ჩანაგა უფროსთან მიიყვანეს.

ბნელზე ბნელი ღამე იყო. მიწაში შეთხრილ ცარიელ მიწურს მთელ სიგრძეზე გასდევდა ხის მორისაგან ახლად გამოჯორკილი საწოლი. უფროსი ტანგაუხდელად იწვა. ბეჭები და მკერდი სავაზნეებით ჰქონდა შემოღობილი. ქამარზე ხელყუმბარები ეკიდა. მას ღრმად ეძინა. ყურადღებით ეძებდა ჩანაგა წითელ ვარსკვლავს მის გულზე და მკერდზე, მაგრამ იგი არ აღმოჩნდა. ტყვემ ახლა კი გადაწყვიტა, რომ ყველაფერი გათავდა. ის მიხვდა, რომ მტრების ხელში იყო ჩავარდნილი. მისი სიცოცხლის წუთები ახლა დათვლილი აღმოჩნდა. უფროსს გაღვიძება დაუწყეს. მას გოლიათურად ეძინა და გამოფხიზლება არ მოხერხდა. მიტიამ ზედ ყურის ძირში დაუცალა თოფი. ტყვია მიწაში ღრმად ჩაძვრა. ფედია ერთი შეინძრა, გაჭირვებით წამოჯდა და თვალების სრესა დაიწყო.

— რა მოგივიდათ, რა მოხდა?

— ჯაშუში დავიჭირეთ და შენთან მოვიყვანეთ. ეს გველაძუა თაღლითობს, ამბობს, ოსი ვარ, გლეხი ვარო.

ფედიამ ხელი ჩაიქნია:

— დახვრიტეთ!

— აბა, გამოეთრიე, ახლავე დღე უნდა დაგიბნელოთ, უფროსმა ბრძანა! — თქვა გაბოროტებული სიამოვნებით მიტიამ.

ჩანაგა უცებ წელში გაიმართა. ახლა ენააუბორძიკებლად მიახალა სუფთა რუსული სიტყვები:

— მე კომუნისტი ვარ და კომუნისტურად მოვკვდები, მესროლეთ, თუ ჟქვენ მართლაც თეთრგვარდიელი ძაღლები ხართ! — მან გადაიხია ხალათი და მკერდი თოფის ლულას მიუშვირა.

ფედიამ უცებ გამოიღვიძა, იგი წამოხტა და ჩანაგასთან მივიდა.

ბიჭები წითლები აღმოჩნდნენ და ჩანაგაც გადარჩა სიკვდილს, თუმცა ხალხის გმირები არასდროს კვდებიან.

# ფიფქი

— არა, მათ ოჯახში აღარ მიმესვლება, ყველაფერი ცუდად დასრულდება, გულში ასჯერ იმეორებდა სოფელ ხარაზიდან, მანჩას ოჯახიდან დაბრუნებული ხიბ შოუდიდი. თუმცა მეორე გული კი ისევ ქინით უკარნახებდა: წახვალ, უსათუოდ წახვალ. შენ სხვანაირად არ შეგიძლია, რა ღონე გაქვს. მიმზიდველი და კეკლუცია მზეთუნახავი შაზინა.

ორი გრძნობა შოუდიდის გულღვიძლში, ორივე შიგნეულს სწვავდა და უთუთქავდა. პირველი: შაზინასადმი თავდაუჭერელი ვნება და მეორე: მასი ქმრისადმი მოვალეობის უშრეტი ცეცხლი.

როგორი ნდობით ეპყრობოდა მანჩა, მომხიბლავი შაზინა კი მოსვენებას არ აძლევდა ხიბ შოუდიდს.

უკვე გვიანი იყო, როცა შოუდიდი თავის სახლს მიუახლოვდა. ყველას ეძინა. სანთელი არც კი აუნთია ისე გაიხადა და ჩაწვა ლოგინში. ძილი არ მოეკიდა, შაზინას სახე თვალის უპეზე აჯდა და არ ასვენებდა. გაიტანჯა კაცი. ქარიშხალი ტრიალებდა მის სულში, ჩაუქრობელი და ქვეყნის ამრევი ქარიშხალი.

— რა ვქნა, რა ვიღონო? — ჰკითხავდა იგი თავისთავს და მწუხარე და ამაფორიაქებელი ფიქრები ერთიმეორეზე აწყდებოდნენ. მის ისედაც გაცხელებულ ტვინს. იგი ფიქრობდა, სწყვეტდა, ისევ ფიქრობდა და ისევ თავიდან იწყებდა ყველაფერს. გათენებისას როგორც იქნა გადაწყვეტილება მიიღო და ღრმად ჩაეძინა.

მრავალმა დღემ განვლო, რაც შაზინამ და მანჩამ შოუდიდი ვერ მოიხელეს, მისი დაგვიანება გაუკვირდა ცოლქმარს, წინათ კი, სხვადასხვა ამბების მომიზეზებით, იგი მათი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ახლა დიდი ხნით გაუჩინარდა კაცი.

ერთ დღეს შოუდიდი მხარზე თოფგადადებული მიადგა მათ სახლს. ერთმანეთი მოიკითხეს თუ არა, შოუდიდმა თქვა: ჩაგიამელმა მწყემსმა მაცნობა ბაგადას კლდე-ფლატეში დიდი დათვი დაბუნაგებულა, კამეჩის ხელა არისო; სანადიროდ მივდივარ. არ წამოხვალ?

— რატომაც არ წამოვალ, სიამოვნებით წავინადირებ, — უპასუხა მანჩამ.— კამეჩის ოდენააო? კარგი, წამოვალ. დიდი ხანია მსურდა ჩემი ძალა მესინჯა ასეთ დარბაისელ სტუმართან. კარგია, კარგი! ისევ წამოიძახა მან და მხიარული სახით მიუბრუნდა ცოლს, — შაზინა! თუ მართლაც დათვი შეგვეყარა, შენ ყოველ დილით ლოგინიდან რბილბეწვიან მდიდრულ დათვის ტყავზე მოგიხდება შიშველი ფეხებით სიარული. ოთახი ისე მოგიფარდაგო...

— მართლა?! — სიხარულით გაიღიმა

შაზინემ და მერმე დაუმატა: — ვაიმე, დათვმა რომ დაგკენწლოთ რაღა მეშველება.

ქალი შემკრთალი თვალებით შეაჩერდა ქმარს.

— ერთი შენც, ტყუილა გულს ნუ იხეთქ, — დაამშვიდა ცოლი მანჩამ. ქალი მაინც შიშნაკრავი თვალებით უყურებდა ქმარს.

— აბა, მალე გამამგზავრე, ორი დღის საგზალიც დაგვჭირდება, ალბათ?! — მიუბრუნდა იგი შოუდიდს.

— დიახ, ვფიქრობ დღეს და ხვალ იქ დავრჩებით, — დაუდასტურა შოუდიდმა.

შაზინემ არ დააყოვნა, ყველაფერი გაუმზადა მონადირეებს და ჭიშკრამდე მიაცილა ისინი. გამომშვიდობებისას ორივეს გამარჯვება უსურვა.

შუადღე იყო, როცა ორი მეგობარი მაგადის ხიდს გასცდა. ახლა ცხვირწაწვდილ კლდეებს აუყვნენ ისინი.

— ნადირი, ალბათ ,ამ მხარეს იქნება დაბუნაგებული, ჩვეულებრივად ამ ადგილებში იციან დათვებმა ბორიალი, — თქვა მანჩამ და ხელი გაიშვირა ზემოთ.

— შეიძლება, — გამოეპასუხა შოუდიდი. ისინი კიდევ დიდხანს მიდიოდნენ ბილიკ-ბილიკ. თანდათან მაღლა იწევდნენ.

— მე კარგად ვიცნობ ამ მიდამოებს, — შენიშნა მანჩამ, — ნადირობის დროს აქ ხშირად მოვხვედრილვარ. დაუკვირდი, უცნაური ადგილია. ქვემოდან ღრუბელივით მოფრინავს ფიფქი...

მართლაც, ჰაერში გუფთაგუფთად მოფრინავდა თეთრი ფიფქი, კლდის ცხვირს ნისლივით ეხვეოდა.

— ცაცხვები ყვავიან ქვემოთ, ჭალებში, ხანდახან ისე სქლად მოედინება ეს ფიფქი, რომ ნადირის დანახვას გიშლის.

ამ საუბარში პატარა კლდოვან მოედანს მიაღწიეს. კლდეზე თოფები მიაყუდეს და ჩამოჯდნენ. გარშემო თვალუწვდენ კლდეთა წრიახები მოჩანდა, აქა-იქ ხავსი მოჰკიდებოდა შიშველ, ჟანგისფერ ფლატეებს. შორს, ქვემო ჭალებში მოჩანდნენ აყვავებული ცაცხვები. მათი რტოებიდან წამოფრენილი ფიფქი თეთრი ღრუბლებივით მოიწევდა ზემოთ. თვალჩაუწვდენელ ქვესკნელის ფსკერიდან მდინარე კოდორის მქუხარე ტალღების ღუღლული ყრუდ ამოდიოდა.

მანჩა მთელი სიგრძით გაიშოტა უფსკრულის პირას.

— ცოტა აქეთ მოიწი, — მოჩვენებითი სიფრთხილით შენიშნა შოუდიდმა, — უფსკრულში არ გადავარდე. განა უბედურება ადამიანს თან არ ახლავს ხოლმე?! — თავისთვის კი გულში გაიფიქრა: — ნეტამც მართლა, მაშინ იოლად მოხდებოდა ყოველივე.

— არაფერია, — უდარდელად შენიშნა მანჩამ, — ნაჩვევი ვარ. მახსოვს, ციდან დაკიდებულ შიშველ კლდის ნაპრალზე — ერაცხვზე მომიხდა ყოფნა. ჯიქს მივდიე. გაუვალ კლდის ყელში მავიმწყვდიე და ცოცხალი შევიპყარ. თუ იქ არ გადავჩეხილვარ, აქ რა უნდა მომივიდეს?! ერცახვთან შედარებით აქაურობა ტრიალი მინდორი მგონია...

— ხანდახან იქ გემუქრება ხიფათი, სადაც არ ელი.

— ნუ შიშობ, მეგობარო, სახიფათო არაფერია, — მშვიდად თქვა მანჩამ.

უბედურება კი მაინც მოხდა.

იმავე ღამეს შოუდიდმა მანჩას მეუღლეს თავზარდამცემი ამბავი მოუტანა. გაუნელებელი მწუხარება დაატყდა თავზე შაზინას. მისმა შეკივლებამ და ქვითინმა მთელი სოფელი შეჰყარა.

— ის უბედური ჯიქს გამოეკიდა, — უყვებოდა ხალხს დამწუხრებული შოუდიდი, — გაუსვლელ ადგილზე მოხვდა და სანამ იქამდე ავაღწევდი, ჩემს თვალწინ მოსწყდა და უფსკრულში გადაიჩეხა.

მონადირეებმა დიდხანს ეძებეს მანჩა, მაგრამ კვალიც ვერ იპოვნეს.

ერთ წელს იგლოვა შაზინამ საყვარელი ქმარი. მთელი წელიწადი დადიოდა მასთან შოუდიდი. მისი დამწუხრებული თვალები მეგობრისადმი თავდადებაზე მეტყველებდნენ. იგი მოწიწებით ეპყრობოდა შაზინას, გულით უვლიდა გარდაცვლილის ხსოვნას, არაფერს არ იშურებდა ქვრივისათვის, ეფერებოდა მის სურვილებს, ელოლიავებოდა მას.

შაზინას თანდათან მოაწონა თავი ქმრის მეგობარმა. ქალი გაოცებული იყო მისი ადამიანობით და ქმრისადმი მტკიცე მეგობრობით. მონდომებით, მოხერხებულად და წინასწარ განზრახვით ამზადებდა შოუდიდი ნიადაგს.

საათმაც დაჰკრა.

მან დრო შეარჩია და თავის უსაზღვრო სიყვარულში გამოუტყდა ქალს. ქმრის ერთგული შაზინა დიდხანს უარზე იდგა, დიდხანს მერყეობდა, მაგრამ შოუდიდის განუწყვეტელმა ხვეწნამ, ნათესავებისა და მეგობრების რჩევამ თავისი გაიტანა.

ერთი თვის შემდეგ შოუდიდმა თავისი სანუკვარი სატრფო შინ მიიყვანა. უჩვეულო სიყვარულით უვლიდა შოუდიდი შაზინას. ნიავს არ აკარებდა, მიწაზე ფეხს არ ადგმევინებდა. ახე გადიოდა დრო. უშფოთველად და სიყვარულით ცხოვრობდა ცოლ-ქმარი.

გავიდა ერთი წელი.

ერთხელ, შოუდიდს აივანზე ჩაეძინა. შაზინა გვერდით უჯდა. ძილში უჩვეულო შფოთი დაეტყო შოუდიდს. უცნაური ბოდვა დააწყებინა და შემდეგ უცებ გამოეღვიძა.

ჰაერში ცაცხვების ყვავილთა თეთრი ფიფქი წამოიშალა.

— რამდენი ფიფქია, — შენიშნა შოუდიდმა.

— მართლაც ბევრია, — ცას შეხედა შაზინამ.

— დღეს რატომღაც ძალზე უამრავია, — გაიმეორა შოუდიდმა.

— ფიფქი! — გაიღიმა შაზინამ — წელან სიზმარშიაც მაგას გაბოდებდა. ვერაფერი ვერ გავარკვიე, მხოლოდ ეს სიტყვები „ფიფქი, ფიფქი“ მომესმა.

შოუდიდმა ქალი მიიზიდა და აკოცა.

— მართალი ხარ, — თქვა მან, — სწორად მიხვდი, მართლა ფიფქი დამესიზმრა.

— ფიფქი? ყვავილის ფურცლები?

— ჰო, — უპასუხა ქმარმა და თვალები დახუჭა. — იმისთანა საზარელი ფიფქი იყო...

— რა? — გაიკვირვა შაზინამ, — საზარელი ფიფქი ვის გაუგონია. ამ სიტყვებზე ქალი მკერდით მიეკრა ქმარს და ყურში ჩასჩურჩულა: — მე თანდათან ძლიერ შემიყვარდი, შოუდიდ.

— არა, შენზე ლამაზი და საყვარელი ქალი არ დაბადებულა ქვეყანაზე. შენ ჩემი სანუკვარი სატრფო ხარ, მხოლოდ შენ უნდიხარ ჩემს გულს.

— მართლა?! თითქოს გაიოცა ქალმა და კოცნით ჩაეკრა ქმარს. მომიყევი შენი სიზმარი!

— არ შემიძლია. ნუ მთხოვ. გენაცვალე.

— რატომ?!

— შენ არ იცი. ამ სიზმარმა, უფრო მართალი რომ ვთქვა, იმ თეთრმა ფიფქმა გამახსენა ძველი დარდი.

— თუ ასეა, აუცილებლად უნდა მომიყვე.

— შემიძულებ.

შენი ძველი ეშმაკობა შენ თავს ვერ შემაძულებს, ახლა კი შეიძლება მართლაც გამაბრაზო.

— ვაი თუ ვერ გამიგო, არ მაპატიო.

— წინასწარ მიპატიებია, ეს ხომ მანამდე იყო, სანამ შენი გავხდებოდი?

— რასაკვირველია, მანამდე იყო. შენც იცი...—შოუდიდმა ხმა დაუწია.— მე ეს შენთვის ჩავიდინე.

— მით უკეთესი, მოყევი!

შოუდიდმა თვალები დახუჭა.

— მე შენ დიდი ხანია, რაც შემიყვარდი, — ნელა დაიწყო მან. — გახსოვს, შაზინა, თქვენსას რომ ხშირ-ხშირად დავდიოდი? შენი შემხედვარე მე ჩემს გონზე არ ვიყავი, ვეჰვიანობდი, ვიტანჯებოდი. ვხედავდი, როგორ გეფერებოდა ის და შენც მას სიყვარულით უპასუხებდი. ბევრი ჰირი გადავიტანე და ბოლოს გადავწყვიტე, რომ უშენოდ ჩემი ცხოვრება არ შეიძლებოდა. მივხვდი: მე და მანჩას ამქვეყნად ერთად არ გაგვეძლებოდა, ერთ-ერთი უნდა მომკვდარიყო...

შოუდიდი უცებ გაჩერდა.

— რა გადაწყვიტე მერე?

სიჩუმე ახლა აუტანელი გახდა.

— შემდეგ რა მოხდა... — ნაწყვეტნაწყვეტად, წყნარად იკითხა ქალმა ისევ.

შოუდიდი კარგახანს სდუმდა, სიტყვა ვერ მოენახა სათქმელად.

— იმ ღამით მე ტყუილი ვთქვი, მანჩა უცაბედად არ დაღუპულა, არ გადაჩეხილა. ბაგადას ნაპრალის პირზე დავისვენეთ. მანჩა წამოწოლილი იყო. მე ამით ვისარგებლე და...

შაზინა აკანკალდა, მის მკერდზე მიყრდნობილ ქმარის თავს ხელები შეუშვა, თავი დახარა.

— ახლაც თვალწინ მიდგას, — განაგრძობდა შოუდიდი — მაშინაც ბუმბლი ირეოდა ნაპრალის თავზე. რა გიყავი საამისო? — მეკითხებოდა მომაკვდავი და თვალებში მიყურებდა. მე ვერ გავუძელი, ვერ გავუძელი მის თვალებს და ზურგი შევიბრუნე. — მესმის, მიგიხვდი... მე არ შევმცდარვარ... შენ შაზინა გიყვარს, მე ვიცოდი ეს. ვხედავდი ამას. მე ვგრძნობდი, რისთვის მოდიოდი ჩვენს ეზოგარემოში, როგორი თვალებით უყურებდი შაზინას... ვიცოდი და ვხედავდი... ახლა კი მომკალი... შენ გეჩვენება, რომ ვერავინ გაიგებს ამას, შენ გგონია შაზინას დაემალება ეს ამბავი?! იცოდე, ღალატი არასდროს არ დაიფარავს თავს. ხალხს უთქვამს: „ადამიანმა რომ არ გაგთქვას, ჩიტები მაინც გაიგებენ. და იტყვიანო“. მე ვკვდები... მაგრამ ნახავ... — იგი შეჩერდა; სიკვდილის შხამი ჩაუდგა ტანში, უკანასკნელად გაიზმორა და თქვა: — ეს თეთრი ფიფქი გაგთქვამს... და გათავდა კიდეც.

— მე მაშინ ფეხი ვუბიძგე მის ცხედარს და უფსკრულში გადავჩეხე...

შოუდიდი წამოდგა, გაიმართა. ჰაერი ისე შეისუნთქა, თითქოს ყელში ვიღაც დასახრჩობად უჭერდა ხელებს, მერე ისევ წამოწვა, თვალები დახუჭა და ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო:

— წელან კი სიზმარი ვნახე, თითქოს მე და შენ ვეება ცაცხვის ჩრდილში ვისხედით. გარშემო ყვავილთა თეთრი ფიფქი ირეოდა. ჩვენ ვუცქეროდით და ვტკბებოდით. უცებ ერთი მათგანი დამსხვილდა, გაიზარდა, უზარმაზარი ბურთივით გაიბერა, ნელ-ნელა წამოვიდა ჩვენკენ. ჩვენ თავს ზემოთ გადაიხსნა და იქედან მანჩამ ჩამოგვხედა.

— რატომ მომკალი, რატომ?! — ჩამყვირა მთელი ძალღონით, — ადამიანები თუ არას იტყვიან, ყვავილთა ფიფქი გაგთქვამს უცილოდ.

მერე ფიფქი ისევ დაიხურა, გაფრინდა და სხვებს შეერია. გამოვედევნე, მაგრამ სხვებში ვერ გავარჩიე, მხოლოდ მივძახოდი „ფიფქი! ფიფქი!“

დადუმებული იჯდა შაზინა.

— მე ეს შენი სიყვარულით ჩავიდინე, სხვა გზა არ მქონდა, შაზინა! მაპატიებ თუ არა, ჰა?!

მან ხელები გაუწოდა შაზინას, ახლო მიიზიდა და მოხვევნა მოუნდომა.

შაზინამ ხელი ჰკრა შოუდიდს.

— ასეთ ვერაგობას ვერავინ გაპატიებს.

იგი სწრაფად ადგა და ფაცხაში შევარდა.

შოუდიდი ბალიშზე გადავარდა.

— ადექი, უბედურო! — შეჰკივლა შაზინამ, რომელიც საოცარი სისწრაფით გამოჩნდა ფაცხის ზღურბლზე. ხელში ჩახმახშეყენებული თოფი ეჭირა.

— რაც დაიმსახურე ის მიიღე! მანჩას სახელით ვიძიებ შურს...

შოუდიდმა ფეხზე წამოხტომაც ვერ მოასწრო, როცა ცოლმა ჩახმახი დააცემინა.

— შაზინა! — შეყვირა შოუდიდმა და გულში ტყვიადაკრული მიწაზე მოწყვეტით დაეცა.

თარგმანი **მამია ასათიანისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ჯანსუღ ჩარკვიანი

★

# სიჭაბუკის სიმღერები

## გახსენება

იმ ამბების გახსენება ისევ,
ახლა იყო, თუ დიდი ხნის წინათ,
არ გელოდი და შემომხვდი ისე,
როგორც ლობე, ანდა როგორც წვიმა.
იმის შემდეგ დამათოვა ცამა,
იმის შემდეგ ველარ გნახე ბავშვი.
არ ვყოფილვარ უშენოდ და ცალად,
შენა მყავდი წვიმაში თუ ქარში.
დრო იყო თუ გაფრენილი წერო,
დრო იყო თუ დაცემული ფიფქი,
ყველაფერი ვნახეთ, კარგო ჩემო,
დღეების და სიყვარულის იქით.
კარგი არის, ცუდი არის განა!
მაგრამ მაინც იქნებ სჯობდა, ჩემო,
იმ დღეების სულ თავიდან გავლა,
იგივ ლობე, ანდა იგივ ჩერო.
სიჭაბუკის სიმღერების გამოც,
ჰა, რას იტყვი, იქნებ სჯობდა, ქალო.

*
* *

აქეთ მოდი, უფრო კარგი ნაძვებია,
ჩუმად, ჩუმად... ფეხაკრეფით.
მზის სხივები კურცღლებივით
დაძვრებიან,
აქეთ მოდი, უფრო, უფრო...
მენატრები —

## სიყვარულის დრო

ბელურები შეფარვიან რტოებს,
ჭადრის ხეებს შერჩენიათ ფოთოლი,
მე მივდივარ, მივდივარ და გტოვებ,
მივდივარ და რაღა ამ დღეს მოთოვა!
გული შემრჩა, როგორც გუნდა თოვლის,
როგორც ნაძვი, ანდა როგორც ალერსი,
შენ დაგტოვე ისე, როგორც ტოლი,
როგორც თვალზე ცრემლი უნეტარესი.
ღამე მოდის, როგორც დილა მოვა,
რტოდან თოვლი ირხევა და იცინის.
თოვლისა და სიყვარულის დროა,
ნისლია და მე მივდივარ ნისლივით.
ბელურები შეჰფარვიან რტოებს,
ჭადრის ხეებს შერჩენიათ ფოთოლი.
მე მივდივარ, მივდივარ და გტოვებ,
მივდივარ და...
რაღა ამ დღეს მოთოვა.

## იმის შემდეგ

ტირიფები გაწუწული თმებით...
შენა ჰგავდი იმ თმაგაშლილ ტირიფს.
შენს თვალებში თეთრი ღამე თვლემდა,
შენს თვალებში კრთოდა სუნთქვა
დილის.
ქალაქები დასცინოდნენ ხევებს,
წვიმას ხევში ჩაეხატა მთვარე.
ვიხუტებდი შენს პატარა ხელებს,
ვუცინოდი შენს დარდიან თვალებს.
იმის შემდეგ ტირიფების დარდი...
იმის შემდეგ კარს არ ვუღებ სიცილს.
ნეტა კიდევ თუ შემხვდები სადმე,
ისე უცებ, როგორც წვიმამ იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემილიან ქურდიანი

★

## შეხვედრა წინანდლის ბაღში

მე გთხოვ შეჩერდე
ერთი წუთით,
თუნდ ერთი წამით.
მითხარ: ვინა ხარ,
ნუთუ ის ხარ...
წინანდლის ბაღში?..
წამოვიჩოქებ,
თავს მეფრქვევა ციური
ნამი,
დე, ჩავიძირო

შენთა თვალთა
სინათლის ტბაში.
ამბობ,
შეცდიო,
მაინც გლოცავ ამ სუფთა გულით:
შენმა ქალობამ ფრთა გაშალოს
კიდითი — კიდე.
წარსულისაკენ გადამტყორცნე თუმც
საუკუნით,
ამ შეხვედრიდან
საუკუნეს ვიცოცხლებ კიდევ-

## რა მოუვიდა?

გახსოვს ეს წყარო?
ჭადარი ერთი,
ჩვენთვის ფიორი, ჩრდილის მომცემი?
ანდა ეს მდელო თუ გახსოვს-მეთქი
და დასაბამი დიდი ოცნების.

წყაროს ლიკლიკი გვტაცებდა სმენას,
შენი ტიკტიკი მახალისებდა.
ჩვენ აქ გავიგეთ ფოთოლთა ენა,
შევიგრძენით რაღაც ახალი სევდა.

ის ცისარტყელას ვამსგავსეთ მაშინ,
მთიდან მთაზე რომ გადიჭიმება.
ერთად ვლაღობდით ოცნების მთაში,
გულები გვექცა ჩანგის სიმებად.

დღეს...
შენში არ ჩანს ის ანცი გოგო,
ჩემკენ ბილიკს რომ ჩამოუვლიდა.
შეხედე,
ეს ხე გაზრდილა როგორ,
მაშ, ჩვენს სიყვარულს რა მოუვიდა?

## თქვენ გაიხარეთ

სადაც ჯეჯილი მინდვრად ბიბინებს,
ცამდე აშლილა თელა ვეება,
ტბილად მიმიღეს
თელაველებმა.

მათი გულები ისე უხვია,
ვით საქართველოს ვრცელი ველები.

შემხვდნენ გულღიად
თელაველები.

თქვენი ალერსით ვერ დავიღალე,
ისევ ჩამოსვლა თქვენთან მენებოს.
თქვენ გაიხარეთ,
თელაველებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიმღერის ძალით

ზღვა ნაპირისკენ იწევს ხმაურით,
დაქრის ზღვაური, —
მეც მინდა მისებრ გაშლა ფრთებისა.
მწვერვალებს ჩემი ფიქრი მიათოვს...
მინდა თვალებში შუქმა ინათოს,
მშობლიურ ზეცის ლაჟვარდებისამ.
ხედავ, ძვირფასო! ზღვა რომ აპირებს
გასვლას ნაპირზე?
არ აცახცახდეს ნიჩაბი ხელში.

ზღვისკენ გიყვარდა მუდამ ყურება.
გწამდეს, ვრცელი ზღვის უდაბურებას
ქედს არ მოვუხრით სიცოცხლის ეშხით.
თავის სხეულში ზღვა ვერ ეტევა,
ტინებს ემტვრევა
მსურველი ლაღად ფრთების გაშლისა.
ძალუმად-მეთქი ნიჩაბი ხელში
და ზღვას შევებათ სიმღერის ეშხით
ჩვენი ცხოვრების გარიჟრაჟისას.

## გეხსომება?

ორღობეში
შენი ეშხით
ბულბულები განაბულან.
ასკილები აკისკისდნენ,
რომ კაკანებ კაკაბურად.

ვეფხი ვარ და კაკაბი ხარ,
მიგოგმანობ,
მივგრიალებ.
სად იჩქარი,
სად გარბიხარ,
საით გამიმინდვრიანე?

სად წაგივალ,
სად წამიხვალ.

გამენაზე,
გაგიყუჩდი,
ეჰ, არ მქონდეს ამის დარდი.
მაყვლის თვალი... მარწყვის ტუჩი...
ალაზნისპირ მაყვლის ბარდი...

მეხსომება...
გეხსომება?

## დედას

ანი
ბანი შენ მასწავლე,
შემაყვარე ჩვენი მხარე.
თავი ისე შემაყვარე
ყველა დედა შევიყვარე.
მეც მყავს შვილი,
ჩემო დედა,
და გავიგე შენი დარდი.

თუ არ იწყენ შემოგბედავ:
ახლა უფრო შემიყვარდი.

იმ უხილავს ახლა ვხედავ
და იმ გრძნობის მზე ვიფარე.
მე შენს გამო ყველა დედა
სათითაოდ შევიყვარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ჭყეშელაშვილი

★

# ლენინური „ისკრის“ ბრძოლა ლიტერატურის პარტიულობისათვის

განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ვ. ი. ლენინის მიერ დაარსებულ გაზეთ „ისკრას“ ჩვენი პარტიის ისტორიაში. „ისკრამ“ მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე გააერთიანა იდეურად და ორგანიზაციულად სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები, ჯგუფები და წრეები და საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის მარქსისტულ პარტიას.

ჯერ კიდევ „ისკრის“ გამოსვლამდე ვ. ი. ლენინმა მის წინაშე დააყენა ამოცანა ისეთი ლიტერატურის შექმნისა, რომელიც შესძლებდა მუშათა კლასის ხელმძღვანელი რაზმის — რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის იდეურ გაერთიანებას. ამ ამოცანის შესრულებისათვის „ისკრა“ დიდ ყურადღებას უთმობდა თავის ფურცლებზე მხატვრული ლიტერატურის საკითხებს, იგი კარგად ითვალისწინებდა იმას, რომ მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს მასების იდეური და პოლიტიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებას. ამიტომ „ისკრა“ თავიდანვე იბრძოდა რათა ლიტერატურა დამდგარიყო პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების სადარაჯოზე.

ერთის მხრივ, გაზეთის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდებოდა ცალკეული მწერლების შესახებ სტატიები და სხვა მასალები, რომლებშიც ამა თუ იმ ხელოვანის შემოქმედების შეფასება მოცემული იყო იმის მიხედვით, თუ რა წვლილი შეიტანა მან მშრომელი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მეორეს მხრივ, გაზეთი აქვეყნებდა მხატვრულ ნაწარმოებებს, რომელთა მიზანს წარმოადგენდა მასების რევოლუციური შეგნებულობის ამაღლება.

ლიტერატურის პარტიულობისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ გაზეთმა „ისკრამ“ ხმა აღიმაღლა პროლეტარული ლიტერატურის ფუძემდებლის მ. გორკის დასაცავად ცარიზმის შემოტევისაგან და დიდი როლი ითამაშა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

როგორც ცნობილია 1901 წელს მიმეოგრაფის შეძენის გამო მ. გორკი დააპატიმრეს. ავადმყოფობის გამო იგი ციხიდან გაათავისუფლეს, მაგრამ არ მისცეს მშობლიურ ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდში ცხოვრების უფლება და გასახლებულ იქნა იქედან. ცარიზმის თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 1901 წლის 7 ნოემბერს რსდმპ ნიჟნი-ნოვგოროდის კომიტეტმა მოაწყო პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდა მუშების დიდი ჯგუფი. ამ მოვლენას ლენინურმა „ისკრამ“ თავისი პოლიტიკური შეფასება მისცა და მტკიცედ გამოვიდა მ. გორკის დასაცავად. 1901 წლის 20 დეკემბერს „ისკრის“ № 13-ში გამოქვეყნებული მასალა ფართოდ აღწერდა დემონსტრაციის მსვლელობას და მიუთითებდა იმაზე, რამაც გამოიწვია მ. გორკის გადასახლება. „მას ჰქონდა— ვკითხულობთ გაზეთში — ერთი იარაღი — კალამი, ერთი ძალა — აზრი, გამოხატული თავისუფალ სიტყვაში და ამ თავისუფალი სიტყვისათვის იქნა გადასახლებული იგი“.

ვ. ი. ლენინმა „ისკრის“ იმავე ნომერში მოათავსა სტატია „დემონსტრაციების დასაწყისი“, რომელშიც მ. გორკის გადასახლებით გამოწვეული დემონსტრაცია ნიჟნი-ნოვგოროდში შეაფასა, როგორც საერთო რუსული მნიშვნელობის მოვლენა და ამასთანავე მიუთითა მ. გორკის როგორც მწერლის დიდ როლზე რევოლუციურ მოძრაობაში. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ მ. გორკიმ კარგი გავლენა მოახდინა რევოლუციურ მასებზე თავისუფალი სიტყვის საშუალებითო.

ნიჟნი-ნოვგოროდის პოლიტიკური დემონსტრაცია აღწერილია აგრეთვე „ისკრის“ № 15-ში (1902 წ. 15 იანვარი) გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში. გაზეთი ანალიზს უკეთებს 1901 წლის ნიჟნი-ნოვგოროდის დემონსტრაციებს, რომელთაგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს 7 ნოემბრის ამბებს. აღსანიშნავია ის, რომ მასში გაშუქებულია მ. გორკის დამოკიდებულება ლიბერალური ინტელიგენციისადმი და განხილულია მისი ნაწარმოები „მწერალზე, რომელიც გამედიდურდა“. გაზეთის შეფასებით, ამ ნაწარმოებში დაგმობილია მონობა, სილაჩრე და უმოქმედობა, რომლებიც გაბატონებული იყო მეფის რუსეთში. აქ სწორადაა გადმოცემული ნაწარმოების ცენტრალური იდეა. მართლაც გორკის ნაწარმოები — „მწერალზე, რომელიც გამედიდურდა“ (იგი პირველად დაიბეჭდა 1901 წლის მარტში) მიმართული იყო საზო-

გადოების ლიბერალური ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც მეშჩანობის ჭაობში იყო ჩაფლული და არ შესწევდა ძალა და უნარი თავისი წვლილი შეეტანა განმათავისუფლებელ მოძრაობაში. უფრო მეტიც. იგი დაბრკოლებას წარმოადგენდა ამ მოძრაობის გზაზე. ნაწარმოების დიდ პოლიტიკურ და შემეცნებით მნიშვნელობაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ვ. ი. ლენინმა თავის წიგნში „რა ვაკეთოთ" გამოიყენა იგი მარქსიზმის სამოსელში გახვეული ლიბერალური ინტელიგენციის დახასიათებისათვის.

ლენინური „ისკრა" 1902 წლის 1 აპრილს (№ 19) სასტიკად ილაშქრებს ცარიზმის წინააღმდეგ აკადემიიდან მ. გორკის გარიცხვასთან დაკავშირებით და მოუწოდებს მოწინავე მეცნიერებს პროტესტისაკენ.

აღსანიშნავია, რომ ლენინური „ისკრა" არაერთხელ მიუთითებდა მ. გორკის მნიშვნელობაზე რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში. მასში გაზეთი ყოველთვის ხედავდა დიდ ლიტერატურულ ძალასა და ხალხის ინტერესების დამცველს. ყოველივე ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მ. გორკიმ თავიდანვე მჭიდროდ დაუკავშირა თავისი შემოქმედება მშრომელი მასების განმათავისუფლებელ მოძრაობას და მართალი სიტყვით ხელს უწყობდა ამ მოძრაობის აღმავლობას. იგი გახდა ახალი ეპოქის მაუწყებელი ლიტერატურაში, რასაც ხაზს უსვამდა ლენინური „ისკრა".

ლენინური „ისკრა" იცავდა რა გორკის მეფის თვითმპყრობელობის თავდასხმისაგან და იძლეოდა რა მისი შემოქმედების სწორ შეფასებას, ამით იგი ხელს უწყობდა დიდი მწერლის იდეურ ზრდასა და პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. ამით უნდა აიხსნას მ. გორკის დაახლოება ლენინურ-ისკრულ ორგანიზაციებთან. 1901 წლიდან მ .გორკი უკვე არის გაზეთ „ისკრის" აქტიური მკითხველი და იდეური მომხრე. ამას ადასტურებს მისი შეხვედრა პოეტ იაკუბოვიჩთან, მასთან საუბარში გორკიმ პირდაპირ აღნიშნა, რომ იგი გაზეთ „ისკრის" მომხრეა. 1902 წელს „ისკრის" წარმომადგენელმა ვ. ი. ლენინს აცნობა, რომ მ. გორკი დიდ დახმარებას უწევს მოსკოვის მარქსისტებს და იდეურად ახლოა „ისკრასთანო". იგი მიუთითებდა, რომ მ. გორკისათვის ერთადერთი ორგანო, რომელიც პატივისცემას იმსახურებს, ესაა „ისკრა". მ. გორკი უკვე ამ დროს განსაკუთრებით დაინტერესებულია გაეცნოს მარქსისტების მიმართულებასა და პრაქტიკულ საქმიანობას. იგი შედის „ისკრის" მოსკოვის ჯგუფში და მატერიალურ დახმარებას ღმოუჩენს რსდმპ მოსკოვის ორგანიზაციასა და ლენინურ „ისკრას".

იმის შემდეგ, რაც „ისკრა" გადავიდა მენშევიკების ხელში, მ. გორკიმ კავშირი გაწყვიტა მასთან, შემდეგ კი აქტიური მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკური გაზეთების „ვპერიოდისა" და „ნოვაია ჟიზნის" დაარსებაში.

აქედან თავისთავად ცხადია, თუ რა გავლენა მოახდინა ვ. ი. ლენინმა და მის მიერ დაარსებულმა გაზეთმა „ისკრამ" მ. გორკის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში. უდავოა, რომ ამ გავლენის შედეგად მ. გორკიმ შემდგომ შექმნა ისეთი სრულფასოვანი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებნი, როგორიცაა „მტრები", „დედა", „შენიშვნები მეშჩანობაზე" და სხვ.

ლენინური „ისკრა" თავის ფურცლებზე დიდ ყურადღებას უთმობდა კლასიკურ ლიტერატურას. „ისკრაში" იბეჭდებოდა სტატიები დობროლიუბოვის, უსპენსკის, ლ. ტოლსტოის და სხვ. შესახებ. მათი შემოქმედება განხილულია კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით. გაზეთი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პროგრესულ მწერალთა შემოქმედებაში ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო დაყენებული დაჩაგრული კლასის ინტერესები და მათი პროგრესულობაც ამით განისაზღვრებოდა.

ნ. დობროლიუბოვის გარდაცვალებიდან 40 წლისთავზე გაზეთის № 13-ში (1901 წლის 20 დეკემბერი) მოთავსებულია სტატია „ნ. ა. დობროლიუბოვი", რომელშიც 60-იანი წლების დიდი რევოლუციონერი და ლიტერატურის კრიტიკოსი დახასიათებულია, როგორც დაუღალავი მებრძოლი ხალხის თავისუფლებისათვის. გაზეთის იმავე ნომერში მოთავსებულ სტატიაში „დემონსტრაციების დასაწყისი" ვ. ი. ლენინი დობროლიუბოვს აფასებს როგორც ისეთ მწერალს, „ვისაც ასე უსაზღვროდ სძულდა თვითნებობა და მოუთმენლად ელოდა ხალხის აჯანყებას „შინაური თურქების" — თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ" (ტ. 5, გვ. 400).

გაზეთმა „ისკრამ" № 20-ში (1902 წლის 1 მაისი) გლებ უსპენსკის გარდაცვალების გამო მოათავსა ნეკროლოგი, რომელშიც განხილულია გამოჩენილი რუსი მწერლის შემოქმედება. როგორც ცნობილია, გ. უსპენსკი იყო ნაროდნიკი მწერალი, რომლის იდეალურ გმირს წარმოადგენდა ნატურალური მეურნეობის დროინდელი გლეხი. მიუხედავად ამისა, ლენინური „ისკრა" მის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევს და აღნიშნავს, რომ 70-იანი და 80-იანი წლების ლეგალური მწერლებიდან ყველაზე მეტი გავლენა რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაზე მოახდინა გ. უსპენსკიმო. თუ რატომ მოხდა ეს ასე, ამის ახსნას თვითონ „ისკრა" იძლევა იმავე ნეკროლოგში. გაზეთი მიუთითებს, რომ გ. უსპენსკი იყო რა დიდი რეალისტი და ღრმად მოაზროვნე მწერალი, იგი სიმართლით ასახავდა სინამდვილეს და ამიტომ ყოველთვის გვიჩვენებდა რევოლუციური ნაროდნიკული პროგრამის უტიპიურობას. ამასთანავე მწერალი ნათლად გვიჩვენებდა იმ ადამიანთა იდეალების განუხორციელებლობას, რომლებიც ოცნებობდნენ ძველი ყოფისა და ძველი გლეხური დაწესებულებების შენარჩუნებაზე ახალი ეკონომიური წყობილების დროს. ნეკროლო-

გის ავტორი სწორად განმარტავს, რომ ყოველივე ამას მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში ახალი რევოლუციური მსოფლმხედველობის — მარქსიზმის გზის გაკაფვისათვის. სწორედ ამაში მდგომარეობდა გლებ უსპენსკის, როგორც მწერლისა და მოაზროვნის, მნიშვნელობა მშრომელთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც პროლეტარული რევოლუციით მთავრდება.

მეტად საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს „ისკრის" № 22-ში (1902 წლის ივლისი) დაბეჭდილი პროკლამაცია „მხატვრები და ბრძოლა თავისუფლებისათვის", რომელიც გამოაქვეყნა პეტერბურგის „თავისუფალ მხატვართა კავშირმა". ამ დოკუმენტის მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მასში ავტორი გადაჭრით აყენებს საკითხს პოლიტიკური მოტივებით ხელოვნების შინაარსის გაფართოების შესახებ და მტკიცედ ილაშქრებს მხატვრულ ნაწარმოებთა უიდეობის წინააღმდეგ. პროკლამაცია მოუწოდებს მწერლებსა და მხატვრებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. „მხოლოდ მაშინ ვიქნებით ხალხის მეგობრები—ნათქვამია პროკლამაციაში — მხოლოდ მაშინ ვიქნებით მისთვის გასაგები და საყვარელი, როდესაც დავუნათესავდებით მას და გავხდებით საზოგადოების სულიერი განწყობილების გამომხატველი". ამ დოკუმენტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროზე დეკადენტობისა და ხელოვნების უიდეობის მქადაგებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლენინური „ისკრა" იძლეოდა რა მშრომელთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში ცალკეული მწერლების მნიშვნელობის შეფასებას, ამასთანავე იგი თავის ფურცლებზე ზოგჯერ აქვეყნებდა მცირე ზომის პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებებს, რომლებიც წარმოადგენდნენ ახალი, პროლეტარული ლიტერატურის ჩანასახს და მიზნად ისახავდნენ მასების პოლიტიკურად და იდეოლოგიურად აღზრდას. ისინი პოლიტიკური პროზისა და პოეზიის ნიმუშებს წარმოადგენდნენ.

გაზეთის № 2-ში (1901 წლის თებერვალი) გამოქვეყნებულია ანონიმური მოთხრობა „ნაპერწკლები", რომელშიც აღწერილია მოწინავე მუშის სტეფანეს მოგზაურობა მატარებლით. იგი ხელფასის შემცირების გამო იძულებული გახდა ფაბრიკა მიეტოვებინა და წასულიყო შორეულ ქალაქში სამუშაოს საძებნად. მოთხრობაში სტეფანეს სულიერი განცდები ნაჩვენებია მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში. მას აღონებს ის მდგომარეობა, რომ ზოგიერთი მუშის თვითშეგნება ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას. ფაბრიკაში ხელფასის შემცირების გამო მოწინავე მუშები წინააღმდეგი არიან დარჩნენ სამუშაოზე, მაგრამ ზოგიერთები ცხვარივით ემორჩილებიან მეფაბრიკის გადაწყვეტილებას და ურიგდებიან მონურ ცხოვრებას. სტეფანეს აზრით, არც მას და არც სხვებს არ მოუხდებოდათ რუსეთის შორეულ კუთხეებში წასვლა სამუშაოსათვის, ყველას რომ მტკიცედ დაეცვა მუშათა საერთო ინტერესები და ერთსულოვნად გაელაშქრა მეფაბრიკის თვითნებობის წინააღმდეგ.

მოთხრობაში ავტორი ქმნის ნაპერწკლების სიმბოლიურ სახეს, რომელიც სტეფანეს სულიერი განცდებისა და ღრმა ოპტიმიზმის გადმოცემას ემსახურება. სტეფანე, მიჰქრის რა მატარებლით უცხო მხარეში, იგონებს ფაბრიკაში არსებულ მძიმე პირობებს. ამ დროს იგი დაინახავს თუ როგორ ამოვარდება ორთქლმავლიდან ნაპერწკალი, რომელიც თოვლზე ეცემა და უცბად ჰქრება. სუსტია ეს ნაპერწკალი და არ ძალუძს მას გაანათოს ბნელი გარემო. ორთქლმავლიდან კვლავ ამოვარდება ნაპერწკალი, რომელიც აგრეთვე ჰქრება. მას მიჰყვება მეორე... მესამე... და ა. შ. გარემო კი ისევ ბნელითაა მოცული. მაგრამ შემდეგ და შემდეგ ნაპერწკლების ჯერი ჰაერში ისე ძლიერდება, რომ სინათლის სხივები თანდათანობით ვრცელდება და წყვდიადით მოცული გარემო იძულებულია გზა დაუთმოს ხშირი ნაპერწკლების სიკაშკაშეს. სტეფანეს სულში სიმხნევე და მომავლისადმი ღრმა რწმენა შეიჭრება. ის მზადაა ახალი ბრძოლისათვის მუშა ხალხის საკეთილდღეოდ.

აშკარაა, რომ მოთხრობის ავტორი ნაპერწკლებისა და სიბნელის ურთიერთდამოკიდებულების ჩვენებით მიმდინარე საუკუნის გარიჟრაჟზე სიმბოლიურ ფორმაში გვეუბნება, თუ როგორ გაიკაფავს გზას რუსეთის მუშათა კლასის პოლიტიკური თვითშეგნება მეფის თვითმპყრობელობით გარემოცულ წყვდიადში.

ამგვარად, მოთხრობა „ნაპერწკლებს" წითელი ზოლივით გასდევს ის აზრი, რომ ცარიზმისა და ბურჟუაზიის დამხობისათვის აუცილებლად საჭიროა მუშათა კლასის შეგნებულობის ამაღლება. მოთხრობა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი ნათელ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რატომ ეწოდა გაზეთს „ისკრა" (ნაპერწკალი).

არა ნაკლებ საინტერესოა როგორც შინაარსით ისე იდეური მიზანდასახულობით მეორე მოთხრობა „ბრძოლა", რომელიც გამოქვეყნდა „ისკრის" № 28-ში (1902 წლის 15 ნოემბერი). ავტორი ეფარება ინიციალებს ნ. ლ. კ.

ავტორის მთელი ყურადღება მიპყრობილია მთავარი მოქმედი გმირისაკენ. ესაა პეტერბურგიდან შორეულ სოფელში გადასახლებული მოწინავე მუშა-ფეიქარი ვასილი. საზოგადოებრივი ცხოვრების აუტანელმა პირობებმა იგი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა და შემდეგ სულ გადატყორცნა უცხო მხარეში. ის კარგად ხედავს, რომ არსებულ საზოგადოებაში დემოკრატიული უფლებები ფეხქვეშაა გათელილი; მშრომელი ადამიანი მოკლებულია ელემენტარულ თავისუფლებას და მხოლოდ პირუტყვული შრომაა მისი ხვედრი. ვასილს განსაკუთრებით ის აწუხებს, რომ

ცხოვრების სიმართლე ყველამ არ იცის. ამიტომ იგი სტეფანესთან საუბარში მოითხოვს, რათა ადამიანები ცოდნას დაეწაფონ; ამისათვის კი საჭიროა ისეთი წიგნების კითხვა, რომლებიც ადამიანს სიბრძნესა და ძალას აძლევს. ვასილის აზრით, წიგნი ადამიანს ასწავლის თუ როგორ ცხოვრობდა იგი წინათ, როგორ ცხოვრობს ამჟამად და როგორ მიაღწევს მომავალში უკეთეს ცხოვრებას. არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნაში მონაწილეობა რომ მიიღო, უნდა იცოდე მისი განვითარების კანონზომიერება — აი რა დასკვნა გამომდინარეობს ვასილის აზრებიდან. ამიტომ მისი მიზანია, კლასობრივი თვითშეგნება შეიტანოს მშრომელ ხალხში, პირველ რიგში კი გლეხობაში, რომლის წარმომადგენლად ნაწარმოებში დახატულია სტეფანეს სახე.

ჯერ კიდევ 1901 წელს სტატიაში „მუშათა პარტია და გლეხობა“ ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ სოციალ-დემოკრატიამ ყოველნაირად დახმარება უნდა აღმოუჩინოს გლეხობას. ეს დახმარება, ლენინის აზრით, გამოიხატებოდა „სოფლად კლასობრივი ბრძოლის შეტანაში“, (თხზ. ტ. 4, გვ. 521). ვასილიც თავისი მოწოდებით სოციალ-დემოკრატების ამ მიზანს ემსახურება. იგი ცდილობს სოფლად იდეური და პოლიტიკური მოკავშირე შეიძინოს. მოთხრობაში ვასილისა და სტეფანეს დიალოგი ამ დებულების დამადასტურებელია.

როგორც ვხედავთ, მოთხრობა „ბრძოლაში“ მხატვრულადაა გადმოცემული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის პერიოდში საზოგადოების შეუგნებელი ფენების იდეურად აღზრდისა და გარდაქმნის ამოცანა, რასაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ლენინური „ისკრა“.

მოთხრობა „ბრძოლის“ ერთ ერთ არსებით ნიშანს წარმოადგენს ის, რომ იგი ოპტიმისტური ხასიათის ნაწარმოებია, რაც საერთოდ დამახასიათებელია პროლეტარული ლიტერატურისათვის, ვინაიდან იგი სულდგმულობს მარქსისტული იდეებით საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების შესახებ.

1903 წლის 1 იანვარს გაზეთ „ისკრაში“ (№ 31) გამოქვეყნდა მინიატურული მოთხრობა „ახალი წლის შეხვედრა“, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ შეეგება საპატიმროში ავტორი (იულია გოლდმანი) სხვებთან ერთად ახალი წლის დადგომას. ამ ამბის თხრობით ავტორი გვიჩვენებს რევოლუციონერთა პოლიტიკურ სიმტკიცესა და ბრძოლაში მამაცობას, მათს ღრმა რწმენას კლასობრივ მტრებთან საბოლოო გამარჯვებაში.

მეტად საინტერესოა „ისკრის“ № 8-ის (1901 წლის 10 სექტემბერი) დამატებაში ხელმოუწერლად გამოქვეყნებული ილუსტრირებული ლექსი „მილიონების მძებნელი“. („В погоне за миллионами“). იგი წარმოადგენს სატირას, მიმართულს რუსეთის მეფის ნიკოლოზ II-ის ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ. მასში მკაცრი სატირულ ფორმით აღწერილია საფრანგეთში ნიკოლოზ II-ის გამგზავრება და მისი შეხვედრა მაშინდელი საფრანგეთის ისეთ პოლიტიკურ ხელმძღვანელებთან, როგორიც იყვნენ ვალდეკ-რუსო, დელკასე და მილიერანი.

ოფიციალური გაზეთების ცნობით, რუსეთის მეფის მიზანს შეადგენდა კომპიენში საფრანგეთის ჯარების ნახვა. მაგრამ ლენინურმა „ისკრამ“ აღნიშნული ლექსით ამხილა ნიკოლოზ II-ის მოგზაურობის ნამდვილი მიზანი, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მას საფრანგეთისაგან უნდა აეღო სესხი და გამოეყენებინა იგი რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად. მეფის მთავრობაზე განსაკუთრებით მწარე დაცინვად ისმის ლექსის შემდეგი სტროფი:

„И будет хищникам-бичам земли
голодной —
Он с царской щедростью добычу
раздавать
Чтоб нам из золота республики
свободной
Покрепче кандалы сковать“.

ამგვარად, ლექსი „მილიონების მძებნელი“ ისეთი მძაფრი შინაარსის ნაწარმოებია, რომელიც, ამხელდა რა ცარიზმის პოლიტიკის არსს, ხელს უწყობდა მშრომელი მასების გათვითცნობიერებასა და მათი პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლებას.

ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, რომ ვ. ი. ლენინი ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის პერიოდში, ისე როგორც ყოველთვის, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრულ ლიტერატურას მასების პოლიტიკური და იდეოლოგიური აღზრდის საქმეში. ლენინი „ისკრის“ ფურცლებზე თავიდანვე იბრძოდა იმისათვის, რომ ახალ სოციალურ ვითარებაში ლიტერატურასაც ახალი შინაარსი შეეძინა და გამხდარიყო პროლეტარული პარტიის იდეურ იარაღად; დახმარებოდა პარტიას ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში და სოციალისტური იდეოლოგიის დანერგვაში. ლენინური „ისკრა“ მთელი სიცხადით აშუქებს ლიტერატურული მოძრაობის ისეთ საკითხებს, რომლებიც დღის წესრიგში იდგა პარტიის წინაშე რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში.

ლენინური „ისკრის“ ბრძოლამ ლიტერატურას პარტიულობისათვის თავისი ნაყოფი გამოიღო. მან ხელი შეუწყო პროლეტარული ლიტერატურის ჩასახვასა და განვითარებას. აქედან განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ „ისკრამ“ დიდი გავლენა მოახდინა მ. გორკის პროლეტარული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

შემდგომ პერიოდში ძველი „ისკრის“ ლიტერატურული ტრადიციები ბოლშევიკურმა პრესამ განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა და ხელი შეუწყო პროლეტარული მწერლობის ზრდასა და განვითარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუი არაგონი

★

# ქართული სიმღერა*

მე თერგი არ მინახავს, აფხაზეთს არ გავცილებივარ, მაგრამ საქართველოს ვიცნობ ქართველი პოეტების მეშვეობით. საქართველო... საქართველოს სამხედრო გზა, თოვლიანი მწვერვალები, ქართლის ბაღები, წინანდლის ვაზები, მტკვრისა თუ არაგვის ნაპირები, და ის, რაც პუშკინის ნაწერებიდან ვიცი, თითქოს მასთან ერთად ვინახულე არზრუმი, ლერმონტოვთან ერთად კი — მცხეთის ციხე-დარბაზის ნანგრევები...

იქ, სადაც ხდება პოემა „მწირის" მოქმედება, მუხლი მოვიყარე მეფე ერეკლეს საფლავის წინაშე ისე, როგორც ბარათაშვილმა 1842 წელს. მხატვარ პ. პ. კონჩალოვსკის ატელიეში გასულ წელს ვნახე მცხეთის სურათი — ციხე-დარბაზი, საიდანაც მოჩანს, თუ როგორ მოედინებიან —

Обнявшись, будто две сестры
Струи Арагвы и Куры.

მე ვიცნობდი მესხეთზე, სადაც სოფელი რუსთავია. ამ სოფელმა მისცა სახელი შოთას, პოეტს, რომელსაც უიმედოდ უყვარდა მეფე თამარი. ვიცნობდი მცხეთის მახლობლად, მტკვრის ნაპირას გადაშლილ პაწაწინა ქალაქზე, საიდანაც გასულ საუკუნეში იქაურმა მთიულებმა დეპეშა გაუგზავნეს ჰარიბალდის...

უთუოდ ყველაფერი ამერია თავში, — ძველი და ახალი, რუსთაველის სამშობლო და მეორე რუსთავი, რომელიც ამჟამად მეტალურგიის ცენტრია, სადაც აზერბაიჯანის ნავთი უერთდება ტყიბულისა და ტყვარჩელის მადნებს... მოუსმინეთ პოეტ გრიგოლ აბაშიძეს, რომლის ლექსიც გიტარის სიმთა ჟღერასავით გაისმის:

ახლა ღამეა, ყველგან ბინდია,
მთვარესაც ბინდი ეხვევა ნელა,
მთებზე ნისლები აღარ მიდიან
და მწვერვალებზე საოცრად ბნელა.
უფსკრულებს პირი შეუკრავთ ფართო
თეთრად აღარ ჩანს თოვლის ნარჩენი
ვით ზღვაში გემი, ღამეში მარტო
გაჩაღებული მოჩანს ტყვარჩელი.

ქუთაისი კი... ქუთაისი ახლა საავტომობილო მრეწველობის ცენტრად იქცა, — რიონზე, არაგვზე, იორზე, ალაზანსა და თერგზე აღმართულია მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები... ეს ის თერგია, რომელზედაც ითქვა: „от этого Терека в поэтах истерика..."

ძველი და ახალი, ის — რაც კვდება, ის — რაც იბადება და ის, — რაც უკვდავია...

მახსოვს არა მარტო მხატვართა ტილოები, მაგონდება საბჭოთა მწერალთა მეორე ყრილობის ტრიბუნიდან პოეტ გიორგი ლეონიძის გამოსვლის პირველი სიტყვებიც: „ჩვენი პოეზია, პოეზია საბჭოთა კავშირის ხალხებისა — ეს მრავალფეროვანი ხალიჩა კი არ არის, როგორც ზოგჯერ უყვართ თქმა, არამედ ერთიანი საბრძოლო დროშაა".

**თხუთმეტი საუკუნე**

საქართველო... მხარე, გადაჭიმული კავკასიონის სამხრეთით, შავი ზღვის ნაპირებიდან აზერბაიჯანამდე, ბაღებისა და მთების ქვეყანა. ეს ამქვეყნიური სამოთხე სამხრეთით ემიჯნება სომხეთსა და თურქეთს. ზღვისკენ ეშვება აჭარა, ჩრდილო-დასავლეთით — აფხაზეთის მხრიდან — საქართველოს მიწა-წყალი აღწევს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილამდე. სამხრეთ-აღმოსავლეთით იგი სოლივითაა შეჭრილი აზერბაიჯანში.

მე ვლაპარაკობ თანამედროვე საქართველოზე, რადგანაც ძველი სამეფოს საზღვრები, თავისთავად ცხადია, საუკუნეების მანძილზე შეიცვალა.

ამ უძველესი სამეფოს პროვინციებმა დღემდე შეინარჩუნეს ლეგენდარული სახელწოდებანი. აფხაზეთსა და აჭარას შუა, შავი ზღვის სანაპიროზე, მდებარეობს კოლხიდა. აჭარის იქით, თურქეთში, ძველი სამეფო ტრაპიზონია. აქამდე აღწევდა მე-12 საუკუნეში საქართველოს საზღვრები... გორი — ქართლის გულია. ქუთაისი — იმერეთშია. სოხუმი — აფხაზეთის მთავარი ქალაქია, ბათუმი — აჭარისა. აქ გადიოდა ჩრდილოეთი საზღვარი ალექსანდრეს იმპერიისა, აქაა პონტოს მეფე მიტრიდატის სამეფოს სამხრეთი ნაწილი. აქედან ემუქრებოდა იგი რომაელებს. აქ ის გურჯისტანია, საიდანაც მიჰყავდათ თურქებს ლამაზი ტყვე ქალები. ირანიდან აქ მოისწრაფოდნენ მეფეები, რომლებიც მეფობდნენ მეექვსე საუკუნემდე. ორი საუკუნით ადრე კი საქართველო გაქრისტიანდა. ბიზანტია საქართველოს მოკავშირე იყო არაბეთისა და სარკინოზების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართველ მეფეთა დინასტიამ — ბაგრატიონებმა გააერთიანეს თავიანთ მფლობელობაში საქარ-

* ლუი არაგონის წიგნიდან „საბჭოთა ლიტერატურა" ვბეჭდავთ ნაწყვეტს, რომელიც ქართულ ლიტერატურას შეეხება. ნაწყვეტი იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით. ცნობილი ფრანგი პროგრესული მწერლის ეს ნაშრომი ფრიად დიდმნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ შეიცავს ზოგიერთ ფაქტიურ შეცდომას. — რე დ.

თველო და სომხეთი. საუკუნეების მანძილზე ირანელთა, არაბთა, ბიზანტიელთა, თურქთა, მოგვიანებით ჩინგისხანისა და თემურლენგის ურდოებმა აოხრეს საქართველო. ერთ დროს მძლავრი და დამოუკიდებელი ქვეყანა დაქუცმაცდა პატარ-პატარა სამთავროებად. მეთვრამეტე საუკუნეში ქართველებმა რუსეთს მიჰმართეს დახმარებისათვის. საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გიორგი მე-13 მიიღო რუსეთის მფარველობა და მე-19 საუკუნის დასაწყისიდან საქართველო გახდა რუსეთის იმპერიის ნაწილი. გიორგი მე-13 შვილს დავითს უბოძეს გენერალ-ლეიტენანტის ჩინი.

ქართული ლიტერატურა ფაქტიურად არსებობს უკვე თხუთმეტი საუკუნეა. მე-12 საუკუნის ბოლოს შეიქმნა ეპოპეა, რომელიც დღემდე მეფობს ქართულს ლიტერატურაში. მაგრამ იმ დროისათვის ქართულ კულტურას უკვე დიდი გზა ჰქონდა განვლილი: ქრისტიანობის ცხრა საუკუნის ისტორიამ, შემოსევებმა, ომებმა, დაბოლოს, თამარის მეფობამ (რომელიც იყო მეუღლე რუსი თავადის ანდრეი ბოგოლუბსკის ვაჟისა), აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარეობამ საქართველო აქციეს სრულიად თავისებური პოეზიის სამშობლოდ. აქ გაისმის ბულბულის სტვენა და იგრძნობა მთის არწივის ლაღი ნავარდი. ამ პოეზიაში საბერძნეთისა და რომის პოეტური მემკვიდრეობა შერწყმულია ქრისტიანულ შთაგონებასთან, ირანული სიმღერები ინდოეთისა და ჩინეთის ლეგენდებთან, რომლებიც ქარავნებმა შემოიტანეს ევროპაში. აქ იგრძნობა იტალიისა თუ უფრო შორეული ქვეყნების მთრთოლვარე სუნთქვა, ევროპის გაშლილი სივრცეების სიდიადე, კაცობრიობის მხსნელ ამბოხებათა გამოძახილი, ტრუბადურთა ღრმა აზრები, აღორძინების ეპოქის ხძლვანი. ყოველივე ეს, კიდევ უფრო სრულქმნილი და მეტ სიმაღლეზე აყვანილი, გაბრწყინდა შეუდარებელ პოემაში — და საქართველომ წარმოშვა თავისი დანტე მაშინ როცა ჩვენ კრეტიენ დეტრუამდე ძლივს მივაღწიეთ.

თამარის მეფობის თარიღია 1186 — 1207. პოეტი, რომელმაც თამარის კარზე შექმნა პოემა „ვეფხისტყაოსანი“, დაიბადა რუსთავში, მისი სახელია შოთა რუსთაველი.

## „ვეფხისტყაოსანი“

სავსებით ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საშუალო საუკუნეების ყველაზე შესანიშნავი ქმნილებაა. დასავლეთ ევროპის იმავე ეპოქის დიდი პოემებისაგან განსხვავებით, იგი თავისუფალია, ყოველგვარი მისტიკისაგან და აღორძინების ეპოქის ქმნილებათა მსგავსად, ქრისტიანულ მოძღვრებაზე მაღლა დგას. ამასთან ერთად, მასში გაბიაბრუებულია მუსლიმანური ცრუმორწმუნეობა. ჯვაროსანთა გაშმაგებული ლაშქრობის ეპოქაში მასში ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი იერუსალიმის შესახებ. ეს უაღრესად დიდი ერუდიციის ნაწარმოებია, რომელშიაც აღმოსავლეთის მთელი ოსტატობა ჩაყენებულია დასავლეთის პროგრესული იდეის სამსახურში. ის ღრმა ხალხურია და ამიტომ ასაზრდოვებს საუკუნეთა მანძილზე ქართულ ფოლკლორს. პოემა წარმოადგენს ორი კულტურის სინთეზს. თუ ლირიკული ელემენტები აღებულია არაბული სამყაროდან, თუ მოქმედება პოემაში გადატანილია შორეულ არაბეთში, სამაგიეროდ, ნაწარმოების შინაარსში, აღწერილ ზნეჩვეულებებს არაფერი აქვთ საერთო მუსლიმანობასთან. აქ გამეფებულია დედოფალი, მამამისმა, მეფე როსტევანმა, სიცოცხლეშივე გადასცა ტახტი თავის ქალს თინათინს, ისევე როგორც 1184 წელს გიორგი მესამემ — თამარს.

ქალის ასეთი თაყვანისცემა, სქესთა თანასწორობის აღიარება უდევს საფუძვლად რუსთაველის ეპოპეას და ამსგავსებს მას ტრუბადურთა პოეზიას და რაინდულ მორალს, ე. ი. იმას, რაც იმ დროში, როგორც ენგელსი ამბობს, სათავეში ედგა კაცობრიობას. „ვეფხისტყაოსანი“ ახალი სიბრძნის საუნჯეა. იგი არა მარტო უზარმაზარი გაქანების ეპოპეაა, არამედ სიბრძნის საუნჯეა დღემდისაც. ამასთან ერთად, იგი ქართული პოეზიის მარგალიტია.

შოთა რუსთაველის ლექსი დაწერილია თექვსმეტმარცვლოვანი შაირით. ამასთან, ტაეპის ყოველი სტრიქონი ერითმება ერთმანეთს. მაჟორულ ან მაღალ შაირს ენაცვლება მინორული ანუ დაბალი შაირი. გადასვლები შეადგენს პოემის მუსიკალური ენის საფუძველს. პოემის სტროფებში ხანდახან 5-6-7 სიტყვა ზედიზედ იწყება ერთი და იმავე მარცვლით. რიტმის ცვალებადობას აღგილი აქვს ამ იმიტაციური ჰარმონიის დასასრულს. რუსთაველის პოეზია მაღალი მეტაფორების პოეზიაა. „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში დახასიათებულია რუსთაველის პოეტური ოსტატობა. „დიფირამბების პოეზია ემყარება დაახლოებით სამ ფორმას. უპირველესად: ეპოპეა სიბრძნის სამყაროა, ღვთაებრივი თავისი გონიერებით, გონებისათვის სასარგებლო, ის ატკბობს მსმენელს, იგი მიმართავს რაკურსებს — მოკლე თქმას — ღრმა იდეების გადმოსაცემად“.

დაახლოებით ასე იწყებენ გიორგი გვაზავა და ანი მარსელ პანი პოემის კომენტირებულ თარგმანს, რომელიც გამოსცა ფირმინ დიდომ 1938 წელს. მე ძალიან მინდა შევადარო ეს თარგმანი რუსულ თარგმანს, რომელიც გამოაქვეყნა პარიზში 1933 წ. პოეტმა ბალმონტმა [1].

[1] აქ ლუი არაგონი იძლევა გ. გვაზავას, კ. ბალმონტის თარგმანებისა და პწკარედის ზოგიერთი სტროფის დეტალურ შედარებითს ანალიზს. რედ.

მე უკვე გამოქვეყნებული მქონდა სამი თარგმანის შედარება (ბალმონტისა რუსულ ენაზე, გ. გვაზავასი ფრანგულზე და სიტყვასიტყვითი თარგმანისა რუსულ ენაზე), როცა შემთხვევით ხელში ჩამივარდა გ. ცაგარლის თარგმანი — შაირად — ვ. ელსნერის რედაქციით და პ. ანტოკოლსკის მონაწილეობით. ეს თარგმანი გამოცემული იყო მოსკოვში 1937 წელს რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის თარიღთან დაკავშირებით, წინასიტყვაობიდან გავიგე, რომ ბალმონტის თარგმანი გამოცემული ყოფილა საბჭოთა კავშირში 1936 წელს.

წინასიტყვაობის ავტორი სვანიძე წერს:

„ეს ბალმონტის თარგმანის პირველი გამოცემა არ არის, მაგრამ, მიუხედავად ავტორის ნიჭისა, გულმოდგინეობისა და საგნის სიყვარულისა, ამ თარგმანს ახასიათებს არსებითი ნაკლოვანებანი. არ იცოდა რა ქართული ენა და ძალზე თავისუფლად მოეკიდა ტექსტს, ბალმონტმა დაუშვა დიდი გადახვევანი ორიგინალიდან“.

მე მგონია, რომ საბჭოთა სპეციალისტების მხრივ ეს კრიტიკა ბალმონტის, როგორც მთარგმნელის, მიმართ საკმაოდ ლმობიერია, რადგან მან, ნაცვლად იმისა, რომ დაეცვა ორიგინალის სიზუსტე, გადააკეთა იგი სიმბოლისტურ ყაიდაზე.

ზემო განხილული თარგმანებიდან გ. გვაზავას თარგმანი უფრო განმარტებას ჰგავს, ვიდრე საკუთრივ თარგმანს, ბალმონტისა — ნამდვილი ფანტაზიაა, ტოროშელიძისა[1] — სიტყვასიტყვით გადმოსცემს შინაარსს. ცაგარელის ტექსტი საერთოდ უკეთ გამოიყურება: აქ უფრო ჩანს ორიგინალის სიღრმე, აღწერის ხატოვანება, თუმცა ზოგიერთი რამ აქაც საეჭვოა, რაც, როგორც ჩანს, გამოწვეულია ქართული ლექსთწყობის თავისებურებით.

## რუსთაველის აქტუალობა

რუსთაველზე უკეთ სიყვარულისათვის არავის უმღერია, არავის არ აუყვანია სიყვარული ისეთ სიმაღლეზე, როგორც ეს რუსთაველმა გააკეთა თავის პოემაში...

მაგრამ როგორი დიადიც არ არის რუსთაველი და რარიგ არაჩვეულებრივიც არაა ვეფხის ტყავით შემოსილი უცხო მოყმის თავგადასავალი, მაინც შეიძლება დაგვბადებოდა ეჭვი: ხომ არ გადავყავართ ყოველივე ამას შორეულ საუკუნეებში? ხომ არ ვშორდებით მეტისმეტად თანამედროვეობას? ჩემთვის სრულიად მოულოდნელად პასუხი ამ კითხვაზე მე მოვისმინე საკავშირო მწერალთა მეორე ყრილობაზე აზერბაიჯანელი პოეტის სამედ ვურღუნის მოხსენებაში საბჭოთა პოეზიის შესახებ.

„იმ დროს, როდესაც მსოფლიო და რუსული კლასიკური პოეზია ქმნიდნენ უშესანიშნავეს ეპიკურ ნაწარმოებებს, რომლებიც ღრმად წვდებოდნენ ცხოვრებისეულ სინამდვილეს, დეკადენტურ პოეზიას არ შეუქმნია პოემა, არ შეუქმნია ისეთი ნაწარმოები, რომელიც ღრმად და სრულყოფილად ასახავდა ცხოვრებას თავის განვითარებაში.

რევოლუციური ძვრების დიადი ეპოქა ისწრაფვის შექმნას დიდი მხატვრული ტილოები, სადაც ისტორიული მოვლენები მთელი სიღრმით იქნება მოცემული. ჯერ კიდევ ბელინსკი წერდა: „ეპოპეა — ეს არის ხალხის ცხოვრების ანარეკლი“.

წარმომიდგენია, რა კმაყოფილი იქნებოდა შოთა რუსთაველი, სამედ ვურღუნის სიტყვების მოსმენა რომ შეძლებოდა!

სამედ ვურღუნის მოხსენებაში ჩვენთვის, სხვა საზოგადოების ადამიანებისათვის, მეტად მნიშვნელოვანი იყო სწორედ ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ეპიკური პოემის — ამ უაღრესად შთაგონებული პოეტური ფორმის ქებას. მართლაც:

...„მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას
ერთი, ორი...“
...„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის
დიდი რბევა...“
...„დიდსა ვერ მოჰკლენ, ხელად აქვს ხოცვა
ნადირთა მცირისა...“

## რუსთაველიდან გურამიშვილამდე

მე კვლავ არ ძალმიძს მოვშორდე საქართველოს, თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ კიდევ რუსთაველის დროს საქართველოს საზღვარზე ახლანდელ აზერბაიჯანში, განჯაში, გაისმოდა ხმა ნიზამისა, რომელსაც დიდხანს ირანის პოეტად თვლიდნენ. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მეთორმეტე საუკუნის საქართველოში ფართო გასაქანი ჰქონდა ირანული ტრადიციების მატარებელ პოეზიას. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა, თამარის პაპამ, დააარსა ამ საუკუნის დასაწყისში თბილისში მუსლიმანი პოეტებისა და სუფიტების აკადემია, ქართველმა პოეტმა ჩახრუხაძემ კი თავისი პოემებით შემოიარა მთელი არაბეთი და ირანი. მაგრამ ამ აღმოსავლურ ტრადიციებს უერთდება ევროპული მიმდინარეობაც, რომელიც ასე იგრძნობა რუსთაველთან. თუ არ დავიცავთ დროის თანმიმდევრობას, ვიტყვი, რომ ფირდოუსის გავლენა გაძლიერდა მე-16 საუკუნეში, როდესაც ითარგმნა „შაჰ-ნა-

[1] აქ ლუი არაგონი, ცხადია, გულისხმობს ხ. იორდანიშვილის ცნობილ პწკარედს.

მე“... შემდეგ ნოდარ ციციშვილი, თეიმურაზი... და ასე, მე-17 საუკუნემდე, როდესაც ვითარდება ქართული ეროვნული მიმართულება პოეტ არჩილის (რომელმაც თავისი ცხოვრება დაასრულა რუსეთში) სახით. რუსეთში არჩილმა დააარსა ქართული სტამბა (1712 წ.), არჩილის შთამაგონებელი რუსთაველი იყო. არჩილი პირველი რეალისტი პოეტია ახალი ხანის ქართულ პოეზიაში. მან ცხოვრებისეული თხრობა დაუპირისპირა ირანულ ფანტასტიკას. ამავე ხანებში სულხან საბა ორბელიანმა დაწერა თავისი იგავ-არაკების კრებული — „სიბრძნე სიცრუისა“. ორბელიანის დიპლომატიურმა მისიამ დასავლეთ ევროპაში ხელი შეუწყო საქართველოს დაახლოებას ევროპულ კულტურასთან.

მაგრამ მე-18 საუკუნეში საქართველომ თანდათან შეიგნო ის როლი, რომელიც მის ცხოვრებაში უნდა ეთამაშა რუსეთს. იმხანად საქართველოში მეფობდა მეფე ვახტანგ VI. მან დააარსა სტამბა, დაბეჭდა რუსთაველის პოემა. ვახტანგმა ქართული ენის განვითარებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორიც საფრანგეთში მეფე-მზემ... ვახტანგ მე-6-მ დაამყარა კავშირი პეტრე დიდთან, რომელიც უნდა დახმარებოდა მას ლაშქრობაში ირანის წინააღმდეგ. მაგრამ ვახტანგი დამარცხდა და როცა თურქებმა და ირანელებმა დაიპყრეს მისი სამშობლო, მან თავშესაფარი პოვა რუსეთში. ვახტანგთან ერთად რუსეთში გადაიხვეწა მთელი ამალა მწერლებისა, მეცნიერებისა და ქართველი ინტელიგენციისა, რომლებმაც შექმნეს თავიანთი კოლონიები მოსკოვსა და უკრაინაში.

ამავე პერიოდში ლეკთა ბანდების მიერ დატყვევებულ იქნა დავით გურამიშვილი. გურამიშვილი გაიქცა ტყვეობიდან, გადალახა მთები და მიაღწია რუსეთამდე. აქ იგი შევიდა ვახტანგ მე-6-ის ლაშქარში, რომელიც შექმნილი იყო იმ მიზნით, რომ გაეთავისუფლებინა საქართველო თურქებისაგან. ვახტანგის ეს წამოწყებაც მარცხით დამთავრდა... მაშინ გურამიშვილი შედის რუსული არმიის იმ ნაწილში, რომელიც შედგებოდა რუსეთში გადახვეწილი ქართველებისაგან. იგი იბრძვის თურქებისა და შვედების წინააღმდეგ. შვიდწლიან ომში იგი ტყვედ ჩაუვარდა პრუსიელებს და იმყოფება ერთხანს მაგდებურგის ციხეში. ამის შემდეგ დ. გურამიშვილი სახლდება უკრაინაში.

გურამიშვილი ძალიან დიდი პოეტია და დიდი სიმბოლო. მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობაზე გ. ლეონიძემ ასე ახსენა გურამიშვილი: „გორკიმ გვიჩვენა, რომ ჩვენ შეგვიძლია დავძლიოთ ჩვენი ამოცანები მხოლოდ ყველა მოძმე ლიტერატურათა შეერთებული ძალებით, ეს კი შესაძლებელი გახდა ჩვენს ქვეყანაში, სადაც ლენინური ნაციონალური პოლიტიკის მეშვეობით დამყარებულია ხალხთა ურყევი მეგობრობა. და დავით გურამიშვილი, რომელიც რუსეთის მეომარი, უკრაინელი მთესველი და ქართველი პოეტი იყო — ჩემთვის თითქოს შორეული წინამორბედია ამ მეგობრობისა“.

აქ არ შევჩერდებით საიათნოვაზე, სომხეთის შვილზე, რომელიც თბილისში ცხოვრობდა, და ისევე თავისუფლად წერდა ქართულად, როგორც თავის მშობლიურ ენაზე. შესაძლოა საჭირო იყოს შევჩერდეთ მე-18 საუკუნის მეორე ლირიკოს პოეტზე — ბესიკზე, ირანული ტენდენციების უკანასკნელ მატარებელზე ქართულ ლიტერატურაში, რადგან მან გავლენა მოახდინა მომდევნო საუკუნის მწერლებზე — გრ. ორბელიანსა და ალ. ჭავჭავაძეზე.

ეს საუკუნე კი დაიწყო მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებით. დამპყრობლებთან გაუთავებელი ომებით დაუძლურებულმა საქართველოს მეფემ უარი თქვა თავის სამეფოზე და გადასცა იგი პავლე პირველს, რის საფუძველზეც ალექსანდრე პირველმა საქართველო გამოაცხადა რუსეთის იმპერიის ნაწილად.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ადგილი ჰქონდა თავად-აზნაურთა შეთქმულებებს რუსეთის თვითმპყრობელობის ჩაგვრის წინააღმდეგ. ხშირი იყო თვით ხალხის აჯანყებებიც: 1814 წ. მთიანეთში, 1812 წ. კახეთში, 1820 წ. იმერეთსა და გურიაში, ამ უკანასკნელში მეორედ 1841 წ. მაგრამ თავად-აზნაურთა „ნაციონალიზმი“ არ მისულა იქამდე, რომ მხარი დაეჭირა ამ აჯანყებებისათვის.

ეს ის დრო იყო, როცა პუშკინმა, შემდეგ კი ლერმონტოვმა, აღმოაჩინეს კავკასია და ასახეს თავიანთ ლექსებში. თუ „კავკასიის ტყვეში“ — პუშკინის ერთ-ერთ პირველ ნაწარმოებში — ფაბულა ჯერ კიდევ ნაკლებ რეალურია, სამაგიეროდ, შემდგომში კავკასიის პათეტიკა ღრმად იჭრება როგორც მის შემოქმედებაში, ასევე გრიბოედოვის (რომელსაც ცოლად ჰყავდა პოეტ ალ. ჭავჭავაძის ქალი), დეკაბრისტ ვ. კიუხელბეკერისა და, განსაკუთრებით, ლერმონტოვის შემოქმედებაში...

1832 წ. თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ მოაწყეს შეთქმულება. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი მწერლები — გრ. ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დრამატურგი გიორგი ერისთავი და ვახტანგ ორბელიანი...

## „მ ე რ ა ნ ი“

გრიგოლ ორბელიანისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ახლო ნათესავი ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა 1816 წელს. შეთქმულების დროს ის 16 წლისაც არ იყო. მისი ოცნება სამხედრო კარიერა იყო, მაგრამ ამაზე უარი უნდა ეთქვა, რადგან ფეხი მოიტეხა და სამუდამოდ დაკოჭლდა. ბარათაშვილი მე-19 საუკუნის უდიდესი პოეტია. მას არაფერი აკავშირებს თავისი ნათე-

სავების მიერ მოწყობილ შეთქმულებასა და ილუზიებთან. მას მიაჩნია, რომ ფეოდალური საქართველოს დრო წავიდა და, თუ თავის ლექსებში მაინც უთმობს მას ადგილს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უკანასკნელად გამოეთხოვოს მას. ბარათაშვილს სწამს, რომ საქართველოს მომავალი დაკავშირებულია რუსეთთან. გრიბოედოვის მეშვეობით ის ახლოს იყო პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებასთან. ვფიქრობ, რომ ის კარგად ხედავდა, თუ როგორ გადაიქცნენ გუშინდელი შეთქმულნი მეფის ჩინოვნიკებად, როგორ გაურბოდნენ ისინი ეროვნულ თემებს...

ბარათაშვილი პროგრესული ადამიანია, მაგრამ ფიზიკურმა ნაკლმა, უიმედო სიყვარულმა, მისი დროის რომანტიზმმა შეუშალეს მას ხელი, ნათლად დაენახა მომავლის პერსპექტივები. ნ. ბარათაშვილი გარდაიცვალა 1845 წ. ოცდაცხრა წლისა.

მირბის მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი
მერანი,
უკან მომჩხავის თავბედითი შავი ყორანი.
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, შენს
ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად
მღელვარი...

60-იანი წლების დამდეგიდან ქართული ლიტერატურული აზროვნების მესვეური ხდება ილია ჭავჭავაძე. ეს იყო ბატონ-ყმობის გაუქმების პერიოდში. ვერაფრით ვერ მიჩქმალავ მწერლის შეცდომებს, ვერ მიჩქმალავ მის მცდარ აზრებს, მაგრამ უნდა შეგეძლოს მათი წაკითხვა. იმ პირობების ისტორიული ანალიზი კი, რომლებშიაც მისი ნაწარმოებები შეიქმნა, მიუხედავად მწერლის ზოგიერთი სუბიექტური ტენდენციისა, გვაძლევს სინამდვილის ჭეშმარიტ გაგებას. იყვნენ უპატიოსნესი დემოკრატები, რომლებმაც ვერაფრის ჩვენება ვერ მოახერხეს, ხოლო ბალზაკმა გვაიძულა დაგვენახა ის, რასაც იმათ გვერდი აუარეს და ვერც კი შენიშნეს.

აი რატომ უნდა მოვიტანო რამდენიმე სტრიქონი ტოროშელიძის მოხსენებიდან საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე ილია ჭავჭავაძის შესახებ: „თუმცა ის არ იბრძოდა გლეხთა ინტერესებისათვის, მაგრამ ხედავდა მათ მდგომარეობას არა ნაკლებ, ვიდრე ხალხოსნები. ჭავჭავაძე ღრმად თანაუგრძნობდა გლეხობას, აიდეალებდა მას და მიაჩნდა იგი ყოველგვარი ღირსებით აღსავსენი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებში არ არის ე. წ. უარყოფითი ტიპები გლეხებისა. პირიქით, არისტოკრატის თითქმის ყველა ტიპი მასთან უარყოფითი თვისებების მატარებელია. მიუხედავად ყველაფრისა, ჭავჭავაძე უფრო რეალისტი, ვიდრე ყველა ეს ეპიგონი — ნამდვილი ხალხოსნები — ქართულ ლიტერატურაში.

ასეთ შეფასებას აძლევდნენ ოცი წლის წინათ ი. ჭავჭავაძეს. საბოლოოა თუ არა ეს შეფასება?

თუ ნათქვამს დავუმატებთ, რომ ჭავჭავაძისათვის, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურა წარმოადგენდა საზოგადოებრივი აქტივობის ბრძოლის იარაღს და რომ ამით უპირისპირდებოდა იგი თავის წინამორბედ რომანტიკოსებს, რომ ის იყო დამცველი ცოცხალი ენისა, წინააღმდეგ ძველისა, რომელიც ჩამოაყალიბა სამღვდელოებამ, მაშინ, ყველა ამ მოტივის საფუძველზე, შეგვიძლია ჭავჭავაძე ჩავთვალოთ თანამედროვე ქართული რეალიზმის წამომწყებად... ჩვენ ფაქტიურად უკვე ვთქვით, რომ ეს წარსულის მადიდებელი, რომელიც სავსებით ნათლად ვერ ხედავდა მომავალს და დასტიროდა აწმყოს, მიუხედავად ყველაფრისა, და მიუხედავად მის მიერ აშკარად გამოთქმული ზოგიერთი მცდარი იდეისა, საბოლოო ჯამში, ასრულებდა უთუოდ პროგრესულ როლს იმ აზრით, როგორც ჩვენ ეს ახლა გვესმის.

მართალი რომ თქვას კაცმა, 20-21 წლის განმავლობაში პერსპექტივები იცვლება და, თუ მე საყვედურს ვამბობ იმის შესახებ, რაც ითქვა ილია ჭავჭავაძეზე 1934 წელს, მაშინ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მის ბიოგრაფიაში, რომელიც მოთავსებულია მისივე რჩეული ნაწერების წიგნში (გამოცემულია 1955 წელს თბილისში გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მიერ) ტონი საგრძნობლად შეიცვალა!

აქ ნათქვამია, რომ პეტერბურგში სწავლის პერიოდში ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის გავლენით, როცა მან თავი დაანება უნივერსიტეტს „სტუდენტების გამოსვლებთან დაკავშირებით“ და დაბრუნდა სამშობლოში, იგი სათავეში ჩაუდგა ქართულ პროგრესულ ინტელიგენციას, სცემდა რა ჟურნალებს — ჯერ „საქართველოს მოამბეს“, შემდეგ კი „ივერიას“ — მათი ფურცლებიდან გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა რეაქციული არისტოკრატიისა და ბატონყმობის წინააღმდეგ“. ყოველივე ეს ადასტურებს ჩემს მოსაზრებას, და ბოლოს, სამი დასკვნითი სტრიქონი, რომლებიც ავსებენ მწერლის ბიოგრაფიას. მე მგონია, იმისათვის, რომ სწორად ვიმსჯელოთ ჭავჭავაძეზე, არ შეიძლება ამ სტრიქონებს დუმილით ავუაროთ გვერდი; „ხედავდნენ რა ილია ჭავჭავაძეში სერიოზულ მოწინააღმდეგეს, მეფის აგენტებმა 1907 წლის სექტემბერში მოკლეს ის თბილისის მახლობლად სოფ. წიწამურში“.

### ეს ისაა, რასაც ველოდით

აკაკი წერეთლის მდგომარეობაც არა ნაკლებ თავისებურია. როგორც ი. ჭავჭავაძე, ისიც სწავლობდა იმდროინდელ რუს ხალხოსნებს. როგორც ნეკრასოვი, აკაკიც ეკუთვნის იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც წინა პლანზე აყენებენ შინაარსს, იდეურობას. წერეთელიც, ჭავჭავაძის

მსგავსად, გამოდის მეფის მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ მას ჭავჭავაძისავით არ აინტერესებს თანამედროვეობის ეკონომიური მოვლენები. იგი თავგამოდებით აიდეალებს წარსულს. და მაინც მისი პოეზია ისეთია, რომ დღემდე საბჭოთა პოეტები რუსთაველის პოეზიას ადარებენ.

რაღაც არაჩვეულებრივი მოხდა ამ პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. 1905 წელს მარტში ის წერდა:

ასრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდით
ამ ჩვენ ნახევარ საუკუნეში
და როგორც სვიმონ მოხუცებულსა
მეც მომეფინა, მოხუცს, ნუგეში.

ის, რასაც პოეტი ელოდა, იყო 1905 წლის რევოლუცია რუსეთში. აკაკი ქართულად თარგმნის „ინტერნაციონალს", სცემს სატირულ ჟურნალს, წერს ლექსებს რევოლუციის სადიდებლად.

რა მოხდა? გესმით თქვენ რამე? ნაციონალისტი, უპირველეს ყოვლისა, ქართველი პატრიოტი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სამშობლოს სიმბოლოს ხედავდა თამარის, ერეკლეს, მეფეების, დედოფლების წარსულ დიდებაში... რუსეთის მეფე მისთვის იყო მჩაგვრელი და მას იგი ხშირად აიგივებდა რუსეთთან... შემდეგ ერთბაშად რუსი ხალხი აღდგა მეფის წინააღმდეგ, გაჩნდა ახალი სიმღერები, ამას მოჰყვა უცნობი გმირი — პროლეტარიატი... მოხუცი პოეტი მიხვდა, რომ ეს არ არის „ვეფხისტყაოსნის" გმირი ტარიელი. ეს რუსი მუშაა, რომელიც დაამხობს რუსეთის მონარქიას, რომ ის არის ქართველი ხალხის გამარჯვებაც და ეს გამარჯვება კი იქნება ერთადერთი საწინდარი ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა. მართალია, მის თანამოაზრეთა და მოწაფეთა ნაწილი უფრო გვიან, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მენშევიკებს მიემხრო, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც 1905 წ. შორიდან დაინახა მხცოვანმა პოეტმა, იყო ბოლშევიკური ცისკარი, რომელიც ამოდიოდა კავკასიაზე.

საჭირო იყო მოგვეხსენებინა აქ ბუმბერაზი პოეტი ვაჟა-ფშაველა, რომანისტი დანიელ ჭონქაძე, პოეტი რ. ერისთავი და ა. ყაზბეგი, რომელმაც თავისი რომანების ფურცლებზე აალაპარაკა უბრალო ადამიანები — ქართველი ხალხი. როცა ვლაპარაკობთ ამ საუკუნის დასასრულზე, უნდა მოვიგონოთ გ. წერეთელიც, რომელიც იცავდა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობის იდეას. უნდა მოვიხსენიოთ, აგრეთვე, ნინოშვილი, ღარიბი გლეხობის მწერალი. მას არ გააჩნდა მკაფიო პოლიტიკური პროგრამა, მაგრამ მაინც ესმოდა, რომ ერთადერთი გამოსავალი ხალხისათვის რევოლუცია იყო.

საინტერესო იქნებოდა თვალი გადაგვევლო მეოცე საუკუნის დასაწყისის იმ მწერალთა შემოქმედებისათვის, რომლებსაც უთუოდ შევხვდებით ოქტომბრის შემდეგ საბჭოთა მწერლების რიგებში. ესენია — გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, ალ. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე, შალვა დადიანი და სხვები. ჩემი აზრით, ასეთ შესწავლას შეუძლია მხოლოდ სარგებლობა მოუტანოს ქართულ ლიტერატურას. პირველმნიშვნელოვნად მიმაჩნია მწერლის განვითარების ის პროცესი, რომელიც დაკავშირებულია ისტორიულ მოვლენებთან. რევოლუციის პირველ წლებში ამ მწერლებს უყურებდნენ, როგორც დეკადენტიზმის წარმომადგენლებს, როგორც დამარცხებული ბურჟუაზიის გადმონაშთებს... უპირისპირებდნენ რა ე. წ. პროლეტარულ მწერლებს, უკეთეს შემთხვევაში, აგდებულად იხსენიებდნენ მათ. შემდეგ... გავიდა წლები და ბევრი რამ გამოირკვა. ბევრი მათგანი თავის დროზე უეჭველად გარდაიქმნა. თავისი ოსტატობისა და იმის წყალობით, რომ მათ ღრმად ჰქონდათ გადგმული ფესვები ხალხში, ისინი საბჭოთა ლიტერატურის პირველ რიგებში აღმოჩნდნენ. ეს პროცესი ყოველშემთხვევაში, დამაფიქრებელია. უფრო გასაგები რომ იყოს იგი, უნდა ვიცოდეთ, თუ რა მოხდა 1905 წლის შემდეგ.

### ქარიშხლის შემდეგ მზე ცხოვლად ანათებს

1905 წელი საქართველოში არა მარტო აკაკის შემოქმედებისათვის იყო გარდატეხის ნიშანსვეტი. 1905 წლის ამბებმა საერთოდ ღრმა კვალი დატოვა ქართულ ლიტერატურაში. კავკასიელები არ იყვნენ უბრალო მოწმენი იმისა, რაც რუსეთში ხდებოდა. რუსეთ-იაპონიის ომში მეფის სალდათებს შორის ქართველებიც იყვნენ. მთავრობა ცდილობდა წაესისიანებინა ხალხები ერთიმეორეზე. ამის საპასუხოდ, თბილისში 13 და 14 თებერვალს, მოეწყო მანიფესტაციები — სომხები, ქართველები, თათრები და რუსები გაერთიანდნენ წითელი დროშის გარშემო. მაგრამ ჰქონდა ადგილი მერყეობასაც შეშინებული წვრილი ბურჟუაზიის მხრივ, რომელიც რევოლუციის დამარცხების შემდეგ შავმა რეაქციამ ჩამოაშორა მუშათა მოძრაობას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ი. ევდოშვილი, რომელიც გამოხატავდა ჩაგრულთა სულისკვეთებას, ჰქონდა უზარმაზარი ავტორიტეტი, მაგრამ ახლა შეიცვალა ბრძოლის თემატიკა წარსულის რომანტიზმით.

ამ ხანებში მწერლები ეწაფებიან სიმბოლიზმს, მისტიკურ ფილოსოფიას, ეროტიზმს, უვითარდებათ პათოლოგიური გემოვნება, ექცევიან უცხოური გავლენის ქვეშ: ჰ. ლომთათიძიდან გ. ტაბიძემდე, ი. გრიშაშვილიდან ა. აბაშელამდე. მაგრამ, როგორც მომავალმა გვიჩვენა, განვითარების პროცესი ჯერ კიდევ დამთავრებული არ

იყო, თუმცა გზები დაიხლართა. ზოგიერთებმა, როგორც, მაგალითად, სანდრო შანშიაშვილმა ლეო ქიაჩელმა, უკვე 1905 წელს დააყენეს საკითხი მომავლის შესახებ. უმეტესობა გაიტაცა წარსულის იდეალიზაციამ. ბევრი მათგანი ცოტად თუ ბევრად გატაცებული იყო ფეოდალური საქართველოს იდეალიზაციით, ზოგნი კიდევ — ბოჰემური ცხოვრებით ან ძონძებში გახვეული პროლეტარიატის აღწერით. იმ დროს გამოჩნდნენ ნ. ლორთქიფანიძე, შალვა დადიანი... თეატრში კი ქართული დრამატურგია აგრძელებდა გ. ერისთავის, გ. სუნდუკიანცის, ა. ცაგარელის ხაზს. ამ უკანასკნელმა ცოტა მოგვიანებით გაკიცხა ბატონყმობა.

დიდი წარმატებით სარგებლობდა საზოგადოებაში ისტორიული პიესები... ასეთი პიესები ხალხს შეაყვარა სარდუს ქართულად გადმოკეთებულმა პიესა „სამშობლომ“ („ფლანდრია“), რომელშიაც ქართველი ავტორის დ. ერისთავის ჩანაფიქრით სცენაზე ფრიალებდა ქართული დროშა... აქაც იგრძნობოდა 1905 წლის გამოძახილი — სცენაზე ისეთ პიესებს დგამდნენ, რომლებშიაც კვლავ შეიმჩნეოდა სახალხო მოძრაობის, რევოლუციის სუნთქვა.

მაგრამ საქართველოს ბედი 1917 წელს შეაფერხა მენშევიკური მთავრობის შექმნამ რომელიც ეყრდნობოდა უცხოეთის ყუმბარებს, შეაჩერა ის, რაც მოამზადა 1905 წელმა.

### პარტიულობის აპოლოგი ლიტერატურაში

ადამიანებს ჰგონიათ, რომ ისინი თვითონ არიან საკუთარი აზრების შემოქმედნი, მათ ხშირად ავიწყდებათ, რომ ის, რაც მათ აღელვებთ, რაც მათ ამოძრავებთ, მათი პირადი სურვილებისაგან უფრო ნაკლებ არის დამოკიდებული, ვიდრე იმ საზოგადოებრივი წრისაგან, რომლისაგანაც ისინი ვერ ახერხებენ იზოლირებას. მე მგონია, მაგალითად, ევდოშვილს ვერც კი წარმოედგინა, რომ წარსულისაკენ, როგორც ერთგვარ სულიერ „გეტოსაკენ“, ის გაბატონებულმა რეაქციულმა ძალამ გადაისროლა. მას ეგონა, რომ თავისუფალი იყო თავის მისწრაფებებში.

1905 წელს ხელოვნების არსს მოეფინა ჭეშმარიტების შუქი. ჯერ-ერთი, იმ მოვლენების სახით, რომლებმაც ა. წერეთელს ათქმევინეს, ასრულდა ის, რასაც მთელი სიცოცხლე ველოდიო, და, მეორე მხრივ, ამ მოვლენების მიერ წარმოშობილი ფილოსოფიის სახით. სწორედ მაშინ განსაზღვრა ლენინმა თავის ცნობილ ნაშრომში თუ რას ნიშნავს პარტიულობა ლიტერატურაში და წამოაყენა ლოზუნგი ლიტერატურის პარტიულობის შესახებ.

მაგრამ მწერლებს არ შეეძლოთ უყოყმანოდ მიეღოთ ეს. ისინი ხომ საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდნენ თავიანთი თანამედროვე საზოგადოების იდეების შესატყვისად. რევოლუციის რომანტიკას კიდევაც რომ გაეტაცათ, ისინი მაინც არ დაემორჩილებოდნენ მის კანონებს. ლენინის ამ ნაშრომის მიმართ გაისმა შეშფოთების ხმები. კერძოდ, ხმა რუსი პოეტის ვ. ბრიუსოვისა.

ბრიუსოვი დიდი პოეტი იყო, ის დაიბადა 1873 წელს. 90-იანი წლების დეკადანსის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელიც იკვეხნიდა, რომ არაფრად აგდებს თავის საუკუნეს, წერდა: „ჩემთვის უცხოა ქვეყნის მღელვარება“... 1905 წელს იგი მხოლოდ 32 წლისა იყო. მას ქენჯნიდა ათასგვარი წინააღმდეგობა, რასაც იგი თვითონ ვერ ამჩნევდა. ბრიუსოვმა შემოიტანა რუსეთში დასავლეთის ესთეტიზმი და რუსულმა პატრიოტიზმმა შეითვისა მისი ისტორიული ლირიზმი. პირველ ხანებში ის, ისევე როგორც მეფის პრესა, ესალმებოდა რუსეთ-იაპონიის ომს. მაგრამ მეფის სამხედრო მარცხმა აუხილა ბრიუსოვს თვალები და აი დადგა 1905 წლის დღეები. სექტემბერში ის წერს: „ჩემთვის ეს იყო ქარიშხლისა და ძრწოლვის წელი, იყო წუთები, როცა მე მზად ვიყავი, გულწრფელად უარი მეთქვა მთელს ჩემს წარსულ ცხოვრებაზე და დავდგომოდი ახალ გზას, დამეწყო ცხოვრება თავიდან“... ეს განწყობილება იგრძნობა მის იმდროინდელ ლექსებში. მათში ჟღერს რევოლუციური ლირიზმი. ამავე წელს პოემაში — „ჩემს მახლობლებს“ ის წერს: „ნგრევაში თქვენთან ვარ, შენებაში — არა“.

აი, რატომ უწოდა მას ლენინმა „პოეტი-ანარქისტი“. როგორ შეეძლო მას მიეღო ხელოვნების პარტიულობის ლენინური თეორია? იგი ქადაგებდა ხელოვნების დამოუკიდებლობას, მოითხოვდა ბრძოლას „თავისუფალი ხელოვნებისათვის“. მიუხედავად ბურჟუაზიისადმი სიძულვილის ქადაგებისა, მისი პოზიცია არსებითად ემთხვეოდა თვით ბურჟუაზიის პოზიციას.

ის, რომ ისტორიის მსვლელობაში ადამიანები იცვლებიან, რომ მოვლენები სცვლიან იდეებს, ყველაზე უკეთ თვით ვალერი ბრიუსოვმა დაადასტურა. იგი 1917 წელს ბოლშევიკებთან ერთად იყო, მისი იმდროინდელი ლექსები მთლიანად გამოხატავენ ლენინური კონცეფციის სიმართლეს, იმ კონცეფციის წინააღმდეგ, რომლის წინააღმდეგაც იგი იბრძოდა 1905 წელს.

## დიადი გადასვლა

1921 წელს, როდესაც ქართველმა ხალხმა, საბჭოთა ხელისუფლებამ განდევნა საქართველოდან იმპერიალიზმის სამსახურში ჩამდგარი მთავრობა, დაიწყო ქართული ლიტერატურის აყვავება. ლიტერატურაში მოვიდა ახალი ძალები მუშათა კლასიდან. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ გადადიოდნენ საქართველოში მწერლები რევოლუციის პოზიციებზე. წინამორბედი ასეთი გადასვლისა 1905 წელს იყო აკაკი წერეთელი. 1917 წელს კი რუსეთში სხვებთან ერთად ეს გზა გვიჩვენა, ვალერი ბრიუსოვმა. ანტისაბჭოთა ჯგუფების რიცხვი ინტელიგენტებს შორის კავკასიაში არცთუ ცოტა იყო. ქაოსში თავს იჩენდა სხვადასხვა ტენდენცია. „დემოკრატთა“ შორის ბევრი იმედს კონტრრევოლუციაზე ამყარებდა. მეორე მხრივ, არსებობდა ავანგარდი ხელოვნებაში არტისტიზმით გატაცებული ჯგუფებისა: „ცისფერყანწელები“, „ფუტურისტები“, პოლიტიკური და ესთეტიკური ბრძოლები ერთმანეთში იყო გადახლართული და ქმნიდა დიდ არევ-დარევას. ამასთან, ერთად, თუ დავუკვირდებით ამ წლების ისტორიას და შევეცდებით გავიგოთ, რა მოუვიდა იმ ადამიანებს, რომლებიც თითქოს ასე შორს იდგნენ ერთმანეთისაგან, დავინახავთ, რომ ნეოსიმბოლისტების (ცისფერყანწელების) ჯგუფიდან საბჭოთა ლიტერატურაში მოვიდა გიორგი ლეონიძე, ფუტურისტების რიგებიდან — ს. ჩიქოვანი, დ. შენგელაია. რომ მთლიანად გადმოვიდნენ პროლეტარიატის მხარეზე მწერლები, რომლებიც 1917 წლამდე მისგან შორს იდგნენ, როგორც გ. ტაბიძე (რომელიც 1935 წელს იყო პარიზში დელეგატად ანტიფაშისტურ კონგრესზე). მოგვყავს ამ მწერალთა სია, რომლებიც მან იქ დაასახელა: მ. ჯავახიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ს. ჩიქოვანი, გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, დ. შენგელაია, ვ. გაფრინდაშვილი, ა. მაშაშვილი, ს. შანშიაშვილი... ჩანს, რომ 1917 წელს ცისფერყანწელ ლეონიძეს, რომელიც სიტყვით გამოვიდა საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობაზე, ჯერ კიდევ არ ჰქონდა უფლება, ორატორის აზრით, დასახელებული ყოფილიყო ზემოჩამოთვლილთა შორის, თუმცა მან დაასახელა ტიციან ტაბიძე და ვ. გაფრინდაშვილი, რომლებიც ეკუთვნოდნენ იმავე ჯგუფს. ადამიანის ევოლუცია ხომ მექანიკურად, ავტომატურად არ ხდება და ადამიანის განსჯა არცთუ ისე ადვილია. სად იყო მაშინ ლეონიძე? ყველაფერი ეს არც ისე უბრალოდ ხდება, კოლექტივი შეიძლება შეცდეს ადამიანის განსჯაში. როგორღა ვიმსჯელოთ ადამიანებზე? მე უკვე მოგახსენეთ, რომ ძნელია ვიმსჯელოთ ადამიანზე არაინდივიდუალურად. მაგალითად, 1934 წელს მომხსენებელმა ქართული ლიტერატურის შესახებ დაასახელა ტ. ტაბიძე ტიციან ტაბიძე რეალისტი პოეტი იყო, ერთ-ერთი ორატორი ყრილობაზე, კენჭისყრით არჩეული. მე გადავიკითხე მისი სიტყვა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს გარკვეულ ინტერესს ფრანგი მკითხველისათვის, იმიტომ რომ ამ გამოსვლაში უთუოდ ჩანს მისი სულიერი განცდები, რაც ეხმაურება ფრანგების გრძნობებს. ყოველშემთხვევაში, ეს ეხება მისი სიტყვის დასაწყისს. მან წინასწარ განაცხადა, რომ არ შეეხება ქართული პოეზიის ისტორიას, ამის შესახებ გამოვა ტოროშელიძეო. ტ. ტაბიძის დასკვნებს უნდა დაეკავშირებინა ქართული ლიტერატურა სოციალისტურ მშენებლობასთან საქართველოში. მისი გამოსვლა სავსე იყო კეთილი სურვილებით, მაგრამ, ამავე დროს, ძნელად მოსაგონებელ ოცნებასავით ბუნდოვანი იყო. მე მგონია, რომ ტ. ტაბიძის გამოსვლა დაგვეხმარება გავერკვიოთ იმაში, თუ რა ხდებოდა 20 წლის წინათ.

„ახალგაზრდა ადამიანის სახე ანუ გმირი XX საუკუნისა, — თქვა მან, ყოველგვარი შესავლის გარეშე, — პოეტებმა შემოიყვანეს ლიტერატურაში. ჩაილდ-ჰაროლდის და სანტიმენტალური ვერტერის სახეები ღრმად აღელვებდა მათ თანამედროვეებს და სწორედ აქ გამოაშკარავდა იმ პოეტების ღრმა ხალხური ფესვები, რომლებმაც ეს სახეები შექმნეს.

ბაირონისა და გოეთეს შემდეგ გამოჩნდნენ შატობრიანი, მიცკევიჩი, პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი, ბარათაშვილი; ყოველი მათგანი ქმნის თავის დროის გმირს. ტურგენევმა შექმნა ზედმეტი ადამიანის სახე. ევგენი ონეგინის, პეჩორინის, ჩაცკის წინამორბედია ჩაილდ ჰაროლდი — ლიტერატურაშიაც და ცხოვრებაშიაც. გასული საუკუნის გულგატეხილი ახალგაზრდა კაცი რომ დაეხატა, ბაირონმა შექმნა ინდივიდუალისტური პოემის განსაკუთრებული ჟანრი. ჩაილდ ჰაროლდისა და დონჟუანის სახეები ვერ თავსდებოდნენ ძველი პოემის ჩარჩოებში, როგორც იყო „ღვთაებრივი კომედია“, ან „დაკარგული სამოთხე“.

პოეტური ფორმის კრიზისმა გამოიწვია რევოლუციური აფეთქება.

მაგრამ რევოლუცია როგორც ცხოვრებაში, ასევე პოეზიაშიც ყოველდღე როდი ხდება. სიმბოლიზმის უდიდესმა ოსტატებმა რუსეთში, ისევე როგორც საფრანგეთში, ვერ შეძლეს შეექმნათ პოემის ახალი ფორმა. ძველი პოემების გზით კი არ უნდოდათ ევლოთ. მათ სავსებით უარი თქვეს პოემებზე — არჩიეს ეთარგმნათ ვირგილიუსი, კალიდასა, რუსთაველი.

მეოცე საუკუნემ წამოაყენა თავისი ახალგაზრდა კაცი-მოხუცი ეს ომამდელი თაობა რევოლუციამდე გაიცვითა, კაპიტალიზმის აგონიის პერიოდში .

შესანიშნავი ფრანგი პოეტების პატრიოტიზმით გაბრუებული მთელი თაობა დაიღუპა მარნასთან. სიკვდილის წინ ისინი იგონებდნენ

ბოდლერსა და მალარმეს. ისინი ხედავდნენ დეკადენტობის შავი მზის ჩასვენებას, თუმცა „სამშობლოს აღორძინებისათვის“ კვდებოდნენ.

მარინეტის მყვირალა მანიფესტები, რომლებიც წინ უძღოდნენ ფაშისტურ იდეოლოგიას, ადვილად შეგვიძლია მოვათავსოთ ბურჟუაზიულ პოეზიაში. მის შემდეგ კი დილით ჩნდებოდა ერთი ახალი სკოლა პოეტებისა, ხოლო საღამოს მეორე, კიდევ უფრო ანემიური.

ყველა ჩვენგანს, ოქტომბრის რევოლუციამდელ თაობას, ახსოვს პოეტების ეს სასაფლაო. ამ სასაფლაოზე შევხვდებით ველემირ ხლებნიკოვს... და კიდევ რამდენი „ნახლებნიკი“ დარჩა ხლებნიკოვის შემდეგ.

გვხვდებიან კიდევ პოეტები, რომელთაც განიცადეს ეს სიშმაგე და რომელნიც გადაურჩნენ სიკვდილს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გადაარჩინა ოქტომბრის ქარიშხალმა.

ერთი იმათგანი, ვინც მიწისძვრას გადაურჩა, იყო ვლ. მაიაკოვსკი.

ახალგაზრდა გმირის ცხოვრება იწყება ოქტომბრიდან. ახალგაზრდა კაცის ისტორია იწყება კომკავშირელებთან ერთად. ისტორია ახალგაზრდა კაცისა დაიწყო ძველი ბოლშევიკების გვარდიამ. ამ ხალხმა გამოიარა სამოქალაქო ომის მკაცრი სკოლა, ახლა კი დამკვრელები არიან ფაბრიკებსა, ქარხნებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე. ახალი ცხოვრება, სოციალიზმი, თავისუფალი შრომა — ამ ახალი ადამიანების მოქმედების ასპარეზია, წყაროა ოპტიმისტური პოეზიისა.

და ჩვენ უნდა მოვძებნოთ მათი ასახვის საშუალება. ამ ტრიბუნაზე მ. გორკი შეცვალა დონბასელმა მეშახტე იზოტოვმა. ისიც ხომ მწერალთა ყრილობაზე მოვიდა! ყოველშემთხვევაში, ის გავლენას ახდენს პოეტებზე, მიუხედავად იმისა, წერენ თუ არა ისინი რევოლუციურ ლექსებს. ეს ახალი აქილესია და ის ახალ სიმღერებს მოითხოვს. მე ხაზს ვუსვამ — სიმღერებს. და რამდენია ისეთი გმირი, რომელიც მოითხოვს სიმღერებს, როგორც ამას მოითხოვდა აქ საბჭოთა მეზღვაური.

ჩვენი ბობოქარი ეპოქა ვერ ითმენს კანონების არტახებს. ყველას როდი შეუძლია მიჰყვეს ტემპებს, კალაპოტიდან ამოვარდნაც ადვილია. განა ცოტანი იყვნენ ისეთი პოეტები, რომლებიც წამყვანად ითვლებოდნენ, დღეს კი მათი სახელიც არავის ახსოვს? მაგრამ რევოლუციის აღიარებულ პოეტებად მაინც დარჩნენ მაიაკოვსკი და პასტერნაკი...“

აქ მე შევჩერდები... ვფიქრობ, მოყვანილი ციტატიც საკმარისია გამოსვლის ტონის გასაგებად. აქ მთელი ამბავია, რომელიც არ ეხება საქართველოს, მაგრამ არ შეიძლება მას თვალი ავარიდოთ. მე ვგრძნობ პოეტის კეთილ სურვილებს („განა საჭიროა გავიმეოროთ, — თქვა კიდევ ტ. ტაბიძემ, — თუ როგორ უმძიმდა მაიაკოვსკის მთელი ხმით სიმღერა, რარიგ ხშირად უხდებოდა მას ჩაეხშო თავისი საკუთარი ხმა“, და მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ ქართველი პოეტის გამოსვლაში ბევრი რამ მეჩვენება შემთხვევითად და დაუსაბუთებლად. სხვა მაგალითი არცაა საჭირო, გარდა იმისა, რასაც ის ამბობს მაიაკოვსკის შესახებ, რადგან არ იქნებოდა სწორი მაიაკოვსკისათვის შეგვეხედნა, როგორც ისეთი ადამიანისათვის, რომელიც ქარიშხალს გადაურჩა. ოქტომბერმა უეჭველად წამოსწია იგი, მაგრამ ოქტომბერი მისთვის უცხო არ იყო. განა ის ოქტომბერზე არ ამყარებდა თავის ყველაზე ღრმა იმედებს, როგორც ადამიანი და პოეტი? განა ოქტომბერი არ იყო, — როგორც წერს თვით მაიაკოვსკი, პირველივე წუთიდან, მისი რევოლუცია?

დავუბრუნდეთ საქართველოს. საქმე ეხება მწერლების კლასიფიკაციას იმის მიხედვით, თუ რომელ ჯგუფს ეკუთვნიან ისინი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს კლასიფიკაცია თვითნებურია, თუ ამ მიმდინარეობებს იქით ვერ დავინახავთ იმას, რასაც ისინი ასახავენ, რადგან მწერლის ისტორია ეს არ არის მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი თავი.

თუ მაინც გსურთ მოახდინოთ კლასიფიკაცია თანამედროვე ქართველ მწერლებისა იმის მიხედვით, თუ რომელ მიმდინარეობიდან მოდიან ისინი, ასეთი კლასიფიკაცია უნებლიეთ მიგვიყვანს იქამდე, რომ მეტი მნიშვნელობა მიენიჭება იმას, თუ საიდან გამოვიდა მწერალი, ვიდრე იმას, თუ სად მივიდა იგი. ჩემი აზრით, ეს დამყარებულია ცხოვრებისაგან მოწყვეტილ, სრულიად აბსტრაქტულ თეორიაზე, რომელიც ეწინააღმდეგება ისტორიულ პროცესს. მე მგონია ქართველმა საბჭოთა მწერლებმა უთუოდ დიალექტიკურად უნდა იაზროვნონ, სწორედ ისე, როგორც მაიაკოვსკზე სთქვა ელზა ტრიოლემ 1953 წ. იანვარში მოსკოვში გამართულ დისკუსიაზე: „მთავარი ის კი არ არის, რომ მაიაკოვსკი იყო ფუტურისტი, არამედ ის, რაც მან ლიტერატურას მისცა“.

მე უკვე ვთქვი, რომ საბჭოთა ლიტერატურის ისტორია ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი, და როცა მის შესახებ ვლაპარაკობთ, უნდა მივმართოთ ეპოქის დოკუმენტებს, რომელთაც, რა თქმა უნდა, კრიტიკულად უნდა მივუდგეთ. მაგალითად, პროლეტარული მწერლების თვალსაზრისით, რომელიც თავის დროზე შესაძლოა სწორად გვეჩვენებოდა, მიგვიყვანდა ბევრი თანამედროვე მწერლის მეტ-ნაკლებად მექანიკურ შეფასებამდე. ადამიანისა და იდეების დაპირისპირება ხომ რთული პროცესია და აქ ადვილია ადამიანი შეცდეს, სიმართლეს უღალატოს. მაგალითად, ტოროშელიძემ 1934 წ. ყრილობაზე დაახასიათა კ. გამსახურდია, როგორც მისტიკოსი და იდეალისტი. იგი უეჭველად იყო ასეთი, მაგრამ მისი რომანი, რომელიც არც

მისტიკურია და არც იდეალისტური წელს შემოთავაზეს ფრანგულ ენაზე გადასათარგმნად. მეორე შემთხვევა მ. ჯავახიშვილს შეეხება, რომელიც მეთაურობდა 1926 — 28 წ. წ. მწერალთა დაჯგუფებას „არიფიონს“, რომლის შესახებაც ტოროშელიძემ თქვა: „ყალბი ასახვაა, რევოლუციური სინამდვილის დამახინჯება, წარსულის ავადმყოფური განდიდება, აშკარა ნაციონალიზმი, აი რა ახასიათებს არიფიონის შემოქმედებითი იდეის არსს“.. ამავე დროს, 1934 წელსვე ტოროშელიძეს ჰქონდა უფლება ეთქვა: „ჯავახიშვილი საბოლოოდ ჩამოშორდა წარსულის იდეალიზაციას, განთავისუფლდა ნაციონალისტური იდეოლოგიისაგან, იგი საზოგადოებივი ცხოვრების რევოლუციური ძალების მხარეზეა მთელი თავისი გრძნობებით“ და განა მის ჯგუფში არ იყვნენ ისეთი მწერლები, როგორიცაა ს. შანშიაშვილი, შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, რომლებიც დღეს ქართული ლიტერატურის პირველ რიგებში იმყოფებიან?

აქ ლაპარაკია სხვადასხვა თაობის აღმიანებზე, მაგალითად, ლ. ქიაჩელი დაიბადა 1884 წელს, 1905 წ. იგი უკვე მოწიფული კაცია და ეკუთვნის მოწინავე მწერალთა რიცხვს იმ წლებში. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში სამეგრელოში. 1906 წელს იგი ჩასვეს ქუთაისის ციხეში, საიდანაც გაიქცა. ამის შემდეგ 1912 წლამდე ქიაჩელი ცხოვრობდა არალეგალურად მოსკოვში, იმავე წელს წავიდა შვეიცარიაში ემიგრანტად. საქართველოში დაბრუნდა რევოლუციის შემდეგ, 1917 წელს. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მისი შემოქმედება ვითარდებოდა მეტად რთულ ხანდახან ინდივიდუალისტური და აპოლიტიკური გზით. შვეიცარიაში 1914 — 15 წლებში დაწერა მან თავისი „ტარიელ გოლუა“ — რეალისტური რომანი. მენშევიკური რესპუბლიკის დროს კი იგი კვლავ ვარდება აპოლიტიზმში და უბრუნდება პესიმისტურ განწყობილებებს. ის ეკუთვნოდა „არიფიონის“ ჯგუფს, მაგრამ 1927 წელს დაწერა „სისხლი“ — რომანი, რომელშიაც ავტორი აგრძელებს „ტარიელ გოლუას“ ხაზს.

ს. შანშიაშვილი ოთხი წლით უმცროსია ლეო ქიაჩელზე. 17 წლისა იყო, როცა დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები. 1909 წელს იგი დაითხოვეს სასწავლებლიდან არალეგალური ჟურნალის გამოცემისათვის. 9 თვე ციხეში იმყოფებოდა. 1911 წელს გაემგზავრა საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად. საქართველოში დაბრუნდა 1914 წელს. ამ დროიდან იგი იწყებს წერას თეატრისათვის. 1916 წელს დაწერა პოემა — მანიფესტი — „მე თუ მკითხავენ“ — ეს ნამდვილი გათიშვაა სიმბოლიზმისაგან, რეალიზმის პროგრამაა. მენშევიკების ბატონობის დროს შანშიაშვილი განმარტოვდა სოფლად, საბჭოთა ხელისუფლების დროს ეკუთვნოდა „არიფიონის“ ჯგუფს, მაგრამ სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის მისი ლექსები საბჭოთა თემაზე: „ბაქოს კომუნარები“, „ლენინი ჯავშანოზე“, „შენ მზიანეთის დედაქალაქო“, „ზაჰესი“ და სხვ., რაც აყენებს შანშიაშვილს ქართული საბჭოთა ლიტერატურის მოწინავეთა რიგებში. თავის ნაციონალურ ფორმას ის პოულობს თეატრში. ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში ორი ფიგურაა — შანშიაშვილი და შალვა დადიანი. პიესები დაწერილი აქვს ლექსად—ხშირად შერეულად პროზად და ლექსად—ქართულ ისტორიულ თემებზე: „არსენა“ „გიორგი სააკაძე“ (გადამუშავებული ტრაგედია, რომელიც დაწერილი იყო 1912 წელს — სახელწოდებით „უგვირგვინო მეფენი“) „კრწანისის გმირები“. ეს ორი უკანასკნელი დაიდგა თეატრში მეორე მსოფლიო ომის დროს.

**„ოქროს ვერძი“ დღეს**

კონსტანტინე ლორთქიფანიძე მეორე თაობის წარმომადგენელია. იგი დაიბადა 1905 წელს. 20 წლისამ დაიწყო თანამშრომლობა თბილისის კომკავშირულ გაზეთში. 1925 წელს გამოვიდა მისი პირველი მოთხრობა, 1926 წელს—რომანი „ხავსი“. ლორთქიფანიძე ეკუთვნის პროლეტარულ მწერალთა ახალგაზრდა კადრებს. წერს ლექსებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, თარგმნა ქართულ ენაზე „დავით სასუნელი“ ტარას შევჩენკო, მიცკევიჩი და მაიაკოვსკი. რომანი „კოლხეთის ცისკარი“ მისი მთავარი ნაწარმოებია. რომანის პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1933 წელს, მეორე ნაწილი კი ომის შემდეგ. კ. ლორთქიფანიძე — ომის მონაწილეა.

გიორგი ლეონიძე მე უკვე რამდენჯერმე ვახსენე ის .თითქმის ჩემი ასაკის კაცია, პოეტი,... მაგრამ... სიტყვა მივსცეთ მის პოეზიას:

„ვინ გიცნობდა, ვინ იცოდა
რომ შენ გერქვა ფორთოხალა?

. . . . . .

შენ დარბოდი ამ ზღვის პირად
შავი ზღველი ფორთოხალა“.

კიდევაც რომ გითხრათ, რომ „ფორთოხალა“ ახალგაზრდა ქალის სახელია, რომელიც გვხვდება მე-11 საუკუნის ქართულ ხელნაწერებში და ნიშნავს ფორთოხალს, — დამჭირდება კიდევ 400 სტრიქონის მოტანა, რათა გაიგოთ ის, რისი თქმაც სურს ავტორს.

ფორთოხალა კოლხიდის შვილია, მეთევზის ქალი, ამასთან დედა თავისი ბავშვებისა, რომელთა ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა... ეს სამართლიანია. არც იმას დაგიმალავთ, რომ ლეონიძე ავტორია დიადი ეპოპეისა — „ბავშვობა და ყრმობა“, რომელიც რუსულად ბრწყინვალეთ თარგმნა ნ. ტიხინოვმა.

მე ვერ შევძელი სრულფასოვნად გადმომეთარგმნა ნაწყვეტები ამ პოემიდან, არ მეყო რითმები და ასონანსები, მაგრამ ფუჭად არ ჩავთვლიდი ჩემს ნაშრომს, თუკი მოვახერხე მკითხველამდე მომეტანა ქართული პოეზიის სინარნარე. ახლა თქვენ იცით, რომ სამხრეთში არსებობს პოეტი.

და ერთი კი არა — საქართველო პოეტების ქვეყანაა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ საუკეთესო რუსმა პოეტებმა, ისეთმა ტალანტებმა, როგორიც არიან ტიხონოვი, პასტერნაკი, ზაბოლოცკი, დერჟავინი, ანტოკოლსკი, სვეტლოვი — შეისწავლეს და თარგმნეს ქართული პოეზია.

დავკმაყოფილდები იმით, რომ დავასახელებ ქართული ლიტერატურის კიდევ ერთ წარმომადგენელს, გამოსულს მწერლების მეორე ყრილობაზე — ირაკლი აბაშიძეს. ირ. აბაშიძე დაიბადა 1909 წელს. 1930 წელს დაამთავრა ფილოლოგიური ფაკულტეტი თბილისში. ლექსების პირველი კრებული გამოაქვეყნა 1931 წელს, ხოლო რუსულ ენაზე პირველად გამოსცა 1944 წელს.უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ირაკლი აბაშიძე წარმომადგენელია მწერალთა იმ პირველი თაობისა, რომელიც ჩამოყალიბდა უკვე საბჭოთა პირობებში. ყრილობის ტრიბუნიდან მან განაცხადა:

— „ვფიქრობთ, რომ ჩვენ, საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის წარმომადგენლებმა, უნდა შევავსოთ მომხსენებლის მიერ დახატული სურათი ჩვენი ნაციონალური ლიტერატურის ფაქტიური მასალების განვლილი 20 წლის მანძილზე.

სამწუხაროა, რომ საბჭოთა ლიტერატურის თეორიაში ჯერ კიდევ ძალიან სუსტად არის დამუშავებული სოციალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაციონალური ფორმის პრობლემა. მხატვრული ლიტერატურის ნაციონალურ ფორმას ვერ განვსაზღვრავთ მხოლოდ ენით. გარდა ენისა, ლიტერატურასა და ხელოვნებაში ნაციონალურ ფორმას უმეტესად განსაზღვრავს ქვეყნის თავისებური ბუნება, რომელიც ქმნის ნაციონალური ხელოვნების თავისებურ კოლორიტს, ბგერების განსაკუთრებულ შეხამებასა და მელოდიას.

დიდ სამამულო ომამდე ქართველმა მწერლებმა შექმნეს მთელი რიგი ნაწარმოებები, სადაც ასახულია ახალი სოციალისტური ნაციისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი. ამ ნაწარმოებებიდან ბევრი თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხების ენებზე და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

თუმცა შემდეგ ომისშემდგომ პერიოდში, ქართველი ხალხის ახალი სულიერი თვისებები ქართულმა ბელეტრისტიკამ ვერ ასახა სრულფასოვნად.

არსებითი ნაკლოვანებების დაძლევა და მხატვრული პროზის აყვანა ხალხის მოთხოვნილების დონემდე — წარმოადგენს ახლა მთავარ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანას, რომელიც დგას ქართული საბჭოთა ლიტერატურის წინაშე. და არა მარტო ქართულისა“..

როგორც ჩანს, ახლა სრულიად ახლებურად ხდება ნაციონალური საკითხის გადაჭრა და ამ სიახლეს ვხედავ მე ირაკლი აბაშიძის ლექსებში, სადაც ლაპარაკია კოლხიდის საგანძურზე, მედეასა და ფორთოხალას კოლხიდაზე:

„ჩვენი წარსული — მწარეც და ტკბილიც
მდიდრად გამჯდარა ქართლის ქვაშია,
და მოსაკითხად ფოთსა და თბილსს
ხშირად უგზავნის განძის ხვაშიადს.

. . . . . . . . . .

„მაგრამ ძველ განძზე მეტად მახარებს
მაინც კოლხეთი ახალ განძების,
მისი ბაღჩები, ტყე ტანმაღალი,
მისი ყიყინა ახალგაზრდების.

ლეგენდები, განძეული, სიმღერები — ყოველივე ეს გვაკავშირებს წარსულთან და თუ მტერმა გაბედა ამ სიძნელეთა შეურაცხყოფა, ჩვენ ალვდგებით მათ დასაცავად. მაგრამ მე არ ვუმღერი წარსულს, მე უფრო მიტაცებს ახალგაზრდობის სიმღერები, მათი შრომითი გმირობა...

აყვავებული კოლხიდა უკვე ეკუთვნის არა მრისხანე მეფეს, არამედ კოლმეურნეებს. ბარაქიანი მინდვრები სავსეა ოქროსფერი მანდარინებით. კოლმეურნეები მას საჩუქრად უგზავნიან სამშობლოს.

ოქროს ვერძიდან, რომელმაც იაზონი კოლხეთში მიიზიდა, საკოლმეურნეო მინდვრებამდე — დიდი არეა ფანტაზიისათვის. წინათ გადაუჭრელი ბევრი პრობლემა ამჟამად გადაჭრილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბელ კიკვიძე

★

# „ქართლის ცხოვრება" თუ „ახალი ქართლის ცხოვრება?"

ქართლის ცხოვრება ცნობილი ისტორიული ძეგლია და ძირითადი წყარო საქართველოს ისტორიისათვის. იმისათვის, რომ ძველი ხელნაწერების სახით დაცული ცოტად თუ ბევრად დაზიანებული ვარიანტებიდან დადგენილიყო საქართველოს ისტორიის საკითხებზე ამ უძვირფასესი და შეუდარებელი ისტორიული ძეგლის ტექსტი, ძალ-ღონე შეალია არა ერთმა მეცნიერმა-ისტორიკოსმა. მარი ბროსე, დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, და ექვთ. თაყაიშვილი გამუდმებით მუშაობდნენ ქართლის ცხოვრების ტექსტზე. თავის დროზე ბევრი რამ გამოარკვიეს და შუქი მოჰფინეს ამ ძეგლთან დაკავშირებულ საკითხებს. დ. ბაქრაძემ და მ. ჯანაშვილმა მოიპოვეს მანამდე უცნობი ხელნაწერი ვარიანტები ქართლის ცხოვრებისა და ამით დიდი სამსახური გაუწიეს ქართულ საისტორიო მეცნიერებას.

1916 წელს ივ. ჯავახიშვილმა თავის წიგნში — „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა"—მოგვცა ქართლის ცხოვრების ყოველმხრივი შეფასება. მანვე აღმოაჩინა ამ ძეგლის უძველესი ვარიანტი 1913 წელს. ესაა ე. წ. ანა დედოფლისეული ვარიანტი ქართლის ცხოვრებისა. უფრო გვიან ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა ერთი ძვირფასი ტექსტი — ქართლის ცხოვრების ჭალაშვილისეული ვარიანტი.

ქართლის ცხოვრების შემადგენელი შრომების რაობას ხანგრძლივად იკვლევდა კ. კეკელიძე. ამრიგად, საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროს — ქართლის ცხოვრების შესწავლის საქმეში ჩვენ მდიდარი მემკვიდრეობა მოგვეპოვება. ჩვენი მატიანის ტექსტზე ამ ბოლო დროს ფრიად ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს ს. ყაუხჩიშვილი, რომელმაც გამოსცა ქართლის ცხოვრების ერთი ნაწილი ყველა ხელნაწერის მიხედვით.

ამჟამად ჩვენს ყურადღებას იპყრობს კ. გრიგოლიას ნაშრომი „ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან — ახალი ქართლის ცხოვრება" (1954). ავტორს განუზრახავს ქართლის ცხოვრების ყველა ვარიანტის შესწავლის საფუძველზე დაადგინოს — XVIII საუკუნის ხელნაწერებიდან რომელია ყველაზე ადრინდელი, რომელზედაც დამოკიდებული ყოფილა ანუ რომლის გავლენა განუცდია სხვა ხელნაწერებს, როგორი რედაქციული ცვლილებები განუცდია უძველეს ვარიანტებს XVIII საუკუნეში ვახტანგ მეექვსის სარედაქციო მუშაობის შედეგად.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართლის ცხოვრების შესწავლის ეს საკითხები ახალი არ არის და ამ ძეგლის ისტორიის შესახებ ჩვენ საკმაოდ ბევრი დადგენილი და საფუძვლიანი დებულება მოგვეპოვება.

დოც. კ. გრიგოლიას შრომა შეიცავს ოთხ თავს. ესენია: 1. ქართლის ცხოვრება და მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, 2. ქართლის ცხოვრების ხელნაწერები, 3. ვახტანგისეული ქართლის ცხოვრების ძირითადი რედაქციული ნაწილები, 4. ძველი და ახალი ქართლის ცხოვრების რაობა, ქართლის ცხოვრებაში ვახტანგის შემდეგ მომხდარი ცვლილებები.

პირველ თავში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა — ქართველი ხალხის წარმოშობა და კავკასიის ხალხებთან მისი ნათესაობა, ქართველთა საზოგადოებრივი წყობილება, კლასობრივი ბრძოლის ანარეკლი ქართლის ცხოვრებაში, ხალხთა მეგობრობა ქართლის ცხოვრების მიხედვით, ქართლის დედაქალაქის უძველესი სახელწოდებისათვის, ქართლის ცხოვრების იდეოლოგიური მიმართულება.

ავტორის მსჯელობა ამ საკითხებზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ საინტერესო ჰიპოთეზს ქართველთა თავდაპირველი ენის შესახებ ქართლის ცხოვრების ზღაპრული ცნობის ასახსნელად, შრომის თემას — ქ. ცხ. რედაქციებს არ შეეხება. შევჩერდები შრომის იმ ნაწილზე, რომელიც იმსახურებს მოწონებას.

საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობაში კ. გრიგოლიას უდავო დამსახურებაა ქართლის ცხოვრების რუმიანცევისეული ხელნაწერის პირველი ორი დაკარგული თავის მოპოვება და ამით ხელნაწერის შევსება. მან აღწერა ქართლის ცხოვრების რუმიანცევისეული ვარიანტი და საფუძვლიანად უარყო თედო ჟორდანიას მიერ ხელნაწერის დათარიღება. კ. გრიგოლიამ სწორად დაათარიღა ეს ძეგლი.

უნდა აღინიშნოს, რომ თ. ჟორდანიას დაკვირვება და კვლევის ხერხი, რომლითაც მკვლევარი ათარიღებდა ქართლის ცხოვრების აღნიშნულ

ვარიანტს, მეცნიერულად სრულიად გამართლებულია, მაგრამ კ. გრიგოლიამ ყურადღება მიაქცია იმ საკითხს, რომელიც თავის დროზე განთქმულ წყაროთმცოდნეს გამორჩა და მის მიერ დადგენილი თარიღიც არ აღმოჩნდა ზუსტი.

ქართლის ცხოვრების რუმიანცევისეული ხელნაწერისა და ყველა სხვა გვიანდელი ხელნაწერის შესწავლის შედეგად კ. გრიგოლიამ გამოარკვია, რომ რუმიანცევისეული ხელნაწერი მისი ტიპის ცნობილ ხელნაწერთა შორის ყველაზე ადრინდელია. მისაღებია, აგრეთვე, მის მიერ ჰალაშვილისეული ვარიანტის დათარიღება. მაჩაბლისეული ვარიანტის მნიშვნელობის დადგენაც კ. გრიგოლიას ეკუთვნის.

აქამდე ქართლის ცხოვრების ვარიანტთაგან სრულიად უცნობი იყო ე. წ. სხვიტორული ხელნაწერი. 1948 წ. იგი აღმოაჩინა შ. გოზალიშვილმა, ხოლო პირველად ეს ვარიანტი გაარჩია სარეცენზიო შრომის ავტორმა. მანვე შეიტანა შესწორება ძველი ქართლის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ვარიანტის — მარიამ დედოფლისეული ვარიანტის დათარიღებაში.

დოც. გრიგოლიას დასკვნა ქართლის ცხოვრების ხელნაწერების შესახებ, — რომ XVIII საუკუნის ხელნაწერებიდან რუმიანცევისეული ვარიანტი ვახტანგისეულ თავდაპირველ რედაქციას წარმოადგენს, — ჩვენ სწორად მიგვაჩნია. ჯერ კიდევ ექ. თაყაიშვილი გამოსთქვამდა ასეთ მოსაზრებას.[1]

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავტორის მიერ ჩატარებული მუშაობა ვახტანგისეულ ქართლის ცხოვრებაში ჩანართი ძველი ისტორიული ძეგლებისა და ძირითადი ტექსტის დამოკიდებულების შესახებ. ამ კვლევა-ძიების შედეგად ქართლის ცხოვრების შესწავლის საქმემ კიდევ უფრო წაიწია წინ. შეადარა რა ერთმანეთს ქართლის ცხოვრების უძველესი და გვიანდელი ხელნაწერი ვარიანტები, კ. გრიგოლიამ, დ. ბაქრაძის შემდეგ რიგით მეშვიდემ, ჩამოაყალიბა რედაქციული სხვაობანი მათ შორის.

ამასთანავე, კ. გრიგოლიამ წამოაყენა ამ რედაქციულ სხვაობათა საფუძველზე ორიგინალური აზრი, სახელდობრ, ის, რომ „ახალ ქართლის ცხოვრებად“ იწოდებოდეს არა ქართლის ცხოვრების გაგრძელება, შექმნილი ვახტანგისაგან მოწვეულ სწავლულ კაცთა მიერ, არამედ თვით ვახტანგისეული ქართლის ცხოვრება, რომელიც შეიცავს ძველი ქართლის ცხოვრების კრებულს და მის გაგრძელებას ანუ ქართლის ცხოვრების გაგრძელებას. თავის შრომასაც ავტორი ამ გაგებით უწოდებს „ახალი ქართლის ცხოვრებას“.

„ახალ ქართლის ცხოვრებად“ ქართულ საისტორიო მეცნიერებაში დიდი ხნიდან მიღებულია და ცნობილი ქართლის ცხოვრების გაგრძელება, ე. ი. თხზულება, რომელიც ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით შეადგინა, უკეთ რომ ვთქვათ, შექმნა სწავლულ კაცთა კომისიამ. ცნობილია ის განსხვავებანიც, რომლებიც არსებობს ქართლის ცხოვრების ძველ ვარიანტებსა და ვახტანგისეულ ქართლის ცხოვრებას შორის. მაგრამ ქართლის ცხოვრების არც ერთ მკვლევარს ფიქრად არ მოსვლია „ახალი ქართლის ცხოვრება“ ეწოდებინა იმ ძეგლისათვის, რომელიც მხოლოდ ძველი ქართლის ცხოვრების განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს.

ჯერ კიდევ დიმიტრი ბაქრაძე წერდა 1884 წელს, როცა ის ადარებდა მარიამ დედოფლის ვარიანტს ვახტანგისეულ ქართლის ცხოვრებას, რომ ერთადერთი, რაც ამ ვარიანტმა შეგვძინა, ის არის, რომ სუმბატის ცხოვრება აღმოჩნდა ცალკე და ჩვენ საშუალება გვეძლევა გამოვარკვიოთ თუ რა ეკუთვნოდა სუმბატსო. მაშასადამე დ. ბაქრაძე ვერ პოულობდა განსხვავებას მ. დ. ვარიანტსა და ვახტანგისეულ ქართლის ცხოვრებას შორის. დ. ბაქრაძე მთლიანად მართალი არ იყო. ბევრი შესძინა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობას მარიამ დედოფლისეულმა ვარიანტმა, და ეს ცხადი გახდა ამ საკითხზე შემდგომი მკვლევარების შრომების შედეგად. მაგრამ საკითხი სწორედ იმას ეხება — იძლევა თუ არა რედაქციული განსხვავებანი საფუძველს შინაარსეულად ძველის განმეორებას ახალი ვუწოდოთ? რასაკვირველია, არ არსებობს ასეთი საფუძველი.

ძველი ქართლის ცხოვრება ჟამთააღმწერლის თხზულებით წყდება. საქართველოს პოლიტიკური ისტორია აქ მოთხრობილია გიორგი ბრწყინვალის (მეხუთის) მეფობის დასაწყისამდე. მას შემდეგ განვლო თითქმის ოთხმა საუკუნემ და მხოლოდ XVIII საუკუნის დასაწყისში გახდა შესაძლებელი აღმოჩენილიყო შეწყვეტილი ისტორიის გაგრძელების ინიციატორი. როგორც მაშინ, ისე შემდეგაც, და ჩვენ დროშიც, სწამდათ და სწამთ რომ ქართლის ცხოვრების გაგრძელება ახალ ქართლის ცხოვრებას წარმოადგენს.

კ. გრიგოლიამ კარგად, იცის რომ XVIII საუკუნიდან მომდინარეობს ასეთი კლასიფიკაცია — ძველი და ახალი ქართლის ცხოვრება.

ბერი ეგნატაშვილიც ხომ ამბობს: „და თუ რაცა იქმნა ჟამსა მას, ანუ რა ქნა მეფემ ბაგრატ, ანუ რაცა იქმნა ყოველივე ძველის ქართლის ცხოვრებიდან აღგვიწერია“ (ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, თბ. 1940 წ. გვ. 34).

არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ქართლის ცხოვრების გამგრძელებელი სწავლული კაცები აქ „ძველ ქართლის ცხოვრებას“ უწოდებენ იმას, რაც არსებობდა მათ დრომდე და „ახალ ქართლის ცხოვრებას“ კი მათ მიერ

---

[1] „Румянцевский список есть один из ранних списков Вахтанговской редакции, который уже был готов до 1709 года“. (Описание рукописей общества распространения грамотности среди груз. населения, II, в. I, გვ. 46.

დაწერილ — ქართლის ცხოვრების გაგრძელებას. შეუძლებელია, რომ ქართლის ცხოვრების გაგრძელების ავტორებს ახალი ქართლის ცხოვრება ეწოდებინათ იმ შრომისათვის, რომელიც ოთხი საუკუნით ადრე არსებობდა და რომელსაც მათ მხოლოდ რედაქცია გაუკეთეს, მაინცდამაინც არცთუ ისე დიდი, როგორც სარეცენზიო ავტორს წარმოუდგენია.

ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ხელნაწერებში არსად ქართლის ცხოვრების გაგრძელებას ცალკე სათაური არა აქვს, მაგრამ ეს იმის საბუთად არ გამოდგება, რომ გაგრძელება „ახალ ქართლის ცხოვრებად“ არ იწოდებოდეს, რადგან იგი უშუალოდ მისდევს ჟამთააღმწერელს.

რაკი სწავლულ კაცთა მიერ შესრულებული ეს შრომა მიჩნეული იყო ქართლის ცხოვრების გაგრძელებად, მას ცალკე ზოგადი სათაური, ბუნებრივია, არ ექნებოდა, მაგრამ გაგრძელება გაბმულ ტექსტს როდი წარმოადგენს, რომ მასში თვით ავტორებისაგან არ იყოს განსაზღვრული ცალკე ნაწილები. გაგრძელების შესავალი აშკარად მოწმობს სწავლულ კაცთა ამ შრომის ცალკე დასათაურებულ ნაწილებს. იქ ვკითხულობთ: „ჟამამდე ღ˜ვთივ გვრგვნოსნისა მეფისა გიორგისამდე, ძისა თავდადებულისა მეფისა დმიტრისამდე, ეწერათ ცხოვრებანი ქართველთანი. ხოლო ძისა მეფისა გიორგისა, მეფისა ბაგრატისა არღარა წერებულ იყო ვიდრე მეფისა გიორგისა ძისა ბაგრატისამდე. ხოლო ამის ბაგრატისა და ძისა მისი კოსტანტინესი დაეწერათ და ვპოვეთ ძველთა წიგნთა შინა და ქუემორე რიგსა მისა ზედა დაგვიწერია: და ესე ამბავი მის ზემოთნი გუჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებისაგან გამოვიღეთ და აღვწერეთ. ხოლო მეფისა ალექსანდრესა და ძისა მისისა კონსტანტინესი და შემდგომი ძველთა კაცთა და სპარსთა ცხოვრებისა, ქორანიკონთა და გუჯართაგან აღგვიწერია, ვიდრე მეფისა როსტომისადმდე. ხოლო მეფისა როსტომის აქათი თვალით მნახველთა და მისთა ომებთა შინა მყოფთა კაცთაგან აღგვიწერია“[1]. მაშასადამე აქ გარკვეულად არის მოცემული გაგრძელების ცალკე სათაურები, და ამაზე ჯერ კიდევ ექ. თაყაიშვილმა[2], ხოლო შემდეგ ივ. ჯავახიშვილმაც მიუთითა[3]. მაგრამ ქართლის ცხოვრების გაგრძელების შემცველ სწავლულ კაცთა ნაშრომად, ცნობილი ხელნაწერის გარდა[4], ხომ არსებობს კიდევ სხვა ვარიანტები, რომლებიც სათაურიან ძეგლებს წარმოადგენენ. ასეთია ქართლის ცხოვრების გაგრძელება, რომელიც იწყება 1452 წლით და თავდება 1605 წლით. მას ეწოდება: „სახელითა ღმრთისათა აწ ვიწყოთ ცხოვრება ბაგრატონიანთა მეფობისა“[1].

ასეთია, აგრეთვე, ცნობილი „პარიზის ქრონიკა“, გაცილებით უფრო დიდი პერიოდის მომცველი გაგრძელება (1373-1700 წ. წ.). მას ეწოდება „ცხოვრებაჲ საქართველოჲსა“[2].

მართალი იყო ექ. თაყაიშვილი, რომ „პარიზის ქრონიკის“ სახელით ცნობილი შრომა ვახტანგის დავალების თანახმად შესრულებულ შრომად მიიჩნია. მაშასადამე, ამაოდ ცდილობს კ. გრიგოლია დაამტკიცოს, რომ ქართლის ცხოვრების გაგრძელება უსათაურო ძეგლია. რაც შეეხება იმას, რომ ნუსხებში გაგრძელებას არსად ეწოდება „ახალი ქართლის ცხოვრება“, ჯერ საჭიროა ამაზე გვიპასუხოს ავტორმა: რომელ ვარიანტში ეწოდება ძველ ქართლის ცხოვრებას ზოგადი სახელი „ქართლის ცხოვრება“? ავიღოთ ჩვენი განთქმული ქრონიკის ისეთი ვარიანტი, როგორიც არის მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება. ძეგლი იწყება ასეთი სათაურით — „ვიწყოთ მოთხრობაჲ ცხოვრებასა ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა...“ ანა დედოფლისეული ვარიანტი, როგორც ცნობილია, დაზიანებულია და პას არათუ სათაური, წინა ნაწილიც აკლია. სხვა ვარიანტიც რომ აღმოჩნდეს (რაც მეტად საეჭვოა), ვახტანგის დრომდე ამ ძეგლს არც ერთ ვარიანტში არ ექნება ასეთი ზოგადი სახელწოდება „ქართლის ცხოვრება“. მაგრამ ეს სახელწოდება მას შეარქვა ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურულმა ცხოვრებამ და მისი მოშლა არავის შეეძლო. ასევე ცხოვრებამ დააკანონა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება „ახალ ქართლის ცხოვრებად“, რომელიც იმას ამტკიცებს, რომ იყო და არის ძველი მატიანე—ქართლის ცხოვრება. ჯერ კიდევ XIII საუკუნეში უწოდებდნენ „ქართლის ცხოვრებას“ იმ კრებულს, რომელიც მხოლოდ ლ. მროველის, ჯუანშერისა, მატიანე ქართლისაის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსებისაგან შედგებოდა. რა თქმა უნდა, ქართლის ცხოვრების ტრადიცია გამომდინარეობდა თვით ამ ძეგლის შინაარსიდან და ჯუანშერის ცნობილი ანდერძიდან (მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 215). მაშასადამე, ჯერ კიდევ XI საუკუნეში, როცა ქართლის ცხოვრების კრებული მარტო მროველისა და ჯუანშერის თხზულებათაგან შედგებოდა, დაედო საფუძველი ქართლის ცხოვრების ტრადიციას. ჯუანშერის ანდერძში ვკითხულობთ: „წიგნი ესე ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი ჟა-

---

[1] Е. Такайшвили, Описание рукописей общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, в V, გვ. 120—121.

[2] იქვე, გვ. 121-123.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916 წ. გვ. 275-276.

[4] Е. Такайшвили, Описание рукописей, გვ. 120—121.

[1] იქვე, გვ. 91.

[2] იქვე; ზ. ჭიჭინაძე, პარიჟის ქრონიკა. 1903 წ.

მაღ, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან... ამიერითგან შემდგომთა მომავალთა და ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ..." არა „ქართველთა ცხოვრებას", არამედ მეფეთა ცხოვრებას წერდნენ შემდგომი მემატიანენი, ხოლო ფეოდალურკულტურული წრე ამ მატიანეთაგან შემდგარ კრებულს უწოდებდა „ქართლის ცხოვრებას", რომელსაც არ ჰქონდა ერთიანი სახელწოდება ისე, როგორც არა აქვს ეს სახელწოდება მარიამ დედოფლისეულ ნუსხას.

თავისი დებულების შესამაგრებლად, თითქოს ვახტანგისეული ქართლის ცხოვრების მიხედვით არავითარ ძველ ქართლის ცხოვრებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, კ. გრიგოლია მიუთითებს რუმიანცევისეული გვიანდელი ვარიანტის წინასიტყვაობის[1] ერთ ადგილს: „ვინაიდგან მას ჟამსა, რომელიც ძუელი ქართლის ცხოვრება იყო, იგი ვერ ჰპოვეს, მრავალთა აღრეულებათა და ამბოხებათა გამო". ძველი ქართლის ცხოვრება დაკარგულა, — ამბობს კ. გრიგოლია, — ის ვეღარ უპოვიათ და სწორედ ამიტომ ეს ძეგლი ვახტანგს ხელახლა შეუმზადებიაო (გვ. 283).

როგორ მოხდა, რომ ვახტანგს ძველი ქართლის ცხოვრება ვერ უპოვია, თვით შეუდგენია ახალი, რომელიც არ განსხვავდება ვახტანგის შემდეგ აღმოჩენილ ძველ ქართლის ცხოვრებიდან?

ამ აშკარად ყალბი შესავლის წინააღმდეგ ჩვენ მივუთითებთ ვახტანგისეული ქართლის ცხოვრების ცნობილი შესავლის ორ რედაქციას: 1. „პატიოსანნო და დიდებულნო ქართუჱლნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლსა შინა ქართლის ცხოვრება შ ე მ ც ი რ ე ბ უ ლ ი ყ ო; ხ- მე მეფემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმისწულმან მეფის გიორგისამან, შევჰკრიბენ სწავლულნი კაცნი და სხუათა წერილთა და გუჯართაგან და რომელნიმე ენათაგანცა გამოვიღევით და ესრეთ შევთხზენით და აღვწერეთ".

2. პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება განრყვნილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულიყო...[2] მაშასადამე, კი არ მომსპარა სრულიად ქართლის ცხოვრება, არამედ შემცირებულა, ე. ი. ძალიან ცოტა იშოვებოდა და საჭიროდ მიუჩნევიათ მისი გამრავლება. და ვახტანგმა არათუ უბრალოდ გაამრავლა ძველი ქართლის ცხოვრება, მისი თაოსნობით სათანადო რედაქციაც გაუკეთდა მას და გაგრძელებაც დაიწერა.

რატომ ყალბ წინასიტყვაობას მიუთითებს ავტორი, როცა მის ხელთ არის თვით მის მიერ ნაპოვნი შესავალი რუმიანცევისეული ხელნაწერისა? ეს იმიტომ, რომ დაამტკიცოს — ძველი და
რისა? ეს იმიტომ, რომ დაამტკიცოს—ძველი ცხოვრებად უნდა იწოდებოდეს ვახტანგისეული ქართლის ცხოვრებაო, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ XIII საუკუნის შუა წლებში ყოფილა განმტკიცებული ქართლის ცხოვრების ტრადიცია. 1263 წლის ახალი ხანების საეკლესიო კრების ძეგლში ვკითხულობთ, მრავალი უფრო მძიმე ჟამი ყოფილა ვითარცა მოგვითხრობს ქართლის ცხოვრებაო. გასაგებია, რომ XIII საუკუნეში ქართლის ცხოვრებად ცნობილი ძეგლის ახალ ქართლის ცხოვრებად მიჩნევა XVIII საუკუნეში, იმის გამო, რომ იგი უფრო გამრავლდა, ხელოვნურია და საფუძველს მოკლებული.

უფრო ანგარიშგასაწევია კ. გრიგოლიას მიერ მოტანილი ცნობა თეიმურაზ ბატონიშვილის შრომიდან, რომელმაც, ერთი შეხედვით, შეიძლება დააეჭვოს კაცი ქართლის ცხოვრებაზე არსებული ისტორიულ-მეცნიერული ტრადიციის შეურყევლობაში. იქ ნათქვამია: „ისტორიკოსნი საქართველოსანი ვრცელთა მატიანეთა შინა ძველთა და ახალთა მოიხსენებენ ესრეთ: „ქართლოს იყოო ძე თარგამოსისა" და სხვა. (დასახ. შრომა, გვ 284).

მაშასადამე, ყოფილა ძველი და ახალი — როგორც ვრცელი, ისე შემოკლებული თუ ნაკლულოვანი მატიანენი. მაგრამ ასეთი მრავალი ქართლის ცხოვრება მხოლოდ ხელნაწერებადაა წარმოსადგენი. თ. ბატონიშვილიც უეჭველად აქ ძველ და გვიანდელ ვრცელ ხელნაწერებს გულისხმობს და მეტს არაფერს. ქართლის ცხოვრების ერთ-ერთი ხელნაწერი ხომ თეიმურაზისეულ ქართლის ცხოვრებად შემოინახა? ერთი და იგივე ძეგლი „ძველთა და ახალთა მატიანეებად" არ შეიძლებოდა არსებულიყო. თუნდაც რომ თეიმურაზ ბატონიშვილს ეთქვას — ძველი და ახალი ქართლის ცხოვრება, როგორც ეს ავტორს წარმოუდგენია, მაინც ამით ვერ დამტკიცდება, რომ ვახტანგისეული ქართლის ცხოვრება ახალ ქართლის ცხოვრებას წარმოადგენდეს, რადგან თ. ბატონიშვილი XVIII ს. ისტორიკოსი არ არის.

რაც შეეხება ვახუშტი ბატონიშვილის „ქორონიკონების" წყაროთა შორის „ქართლის ცხოვრების" დასახელებას, სწორედ ვახუშტი თავის ქორონიკონების ერთ-ერთ წყაროდ — ახალ ქართლის ცხოვრებად აქ ქართლის ცხოვრების გაგრძელებას გულისხმობს და სხვას არაფერს. იგი წერს: „აღმოწერილი ქორონიკონები... ქართლის ცხოვრებათაგან ძველთა და ახალთა"[1]... ქორონიკონები მოიცავს პერიოდს 1201 წლიდან 1755 წლამდე. მაშასადამე, ვახუშტიმ აღმოწერა ქორონიკონები როგორც ძველი ქართლის ცხოვრებიდან, ისე მისი გაგრძელებიდან, ე. ი. ახალი ქართლის ცხოვრებიდან. და რომ ახალ ქართლის

---

[1] E. Такайшвили, Описание рукописей, II, გვ. 9.

[2] Описание рукописей, II, в. I, გვ. 10, 38.

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი, 1913 წ. გვ. 360; კ. გრიგოლია შეცდომით უთითებს ვახუშტის შრომის 275 გვ. თანაც არასწორად გადმოგვცემს ვახუშტის სიტყვებს.

ცხოვრებად ვახუშტის ვახტანგისეული რედაქცია ეცნო, მაშინ რაღა საჭირო იქნებოდა მისთვის დაესახელებინა ძველი ქართლის ცხოვრება? და თუ ის ძველ და ახალ ქართლის ცხოვრებას ასახელებს, ამას აკეთებს იმიტომ, რომ ქრონიკონები ძველი ქართლის ცხოვრებიდან უწევს პერიოდს 1201 წლიდან — 1346 წლამდე, ხოლო ახალ ქართლის ცხოვრებიდან 1346 წლიდან 1755 წლამდე.

ამრიგად, არ მტკიცდება, რომ ვახტანგისეული ქართლის ცხოვრება XVIII საუკუნის მასალების მიხედვით წარმოდგენილ იქნეს „ახალ ქართლის ცხოვრებად“. მაშინ „ძველ ქართლის ცხოვრებას“ უწოდებდნენ იმ ძეგლს, რომელიც მაშინდელ საზოგადოებას ხელთ ჰქონდა მარიამ დედოფლისეული და ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრების სახით. ახალი კი, ე. ი. „ახალი ქართლის ცხოვრება“, ქართლის ცხოვრების გაგრძელების სახით ჰქონდათ წარმოდგენილი. 1940 წელს ივ. ჯავახიშვილმა ქართლის ცხოვრების გაგრძელება გამოსცა „ახალი ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებით. ივ. ჯავახიშვილი“ ქართლის ცხოვრების“ ისტორიის დიდი მკვლევარია და მას შესწავლილი ჰქონდა ყველა ხელნაწერი, რომლებსაც ავტორი ემყარება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორის კვლევის სფერო და მეთოდი წმინდა ფილოლოგიურია და ეს მას ხელს უშლის სწორად გადაწყვიტოს საკითხი, რომელიც ფილოლოგიურ მიდგომასთან ერთად თხოულობს ისტორიულ-პერსპექტიულ თვალსაზრისს. იმის გამო, რომ XIV ს. დასაწყისში შეწყვეტილი ქართლის ცხოვრების გაგრძელებას, რომელიც თითქმის ოთხი საუკუნის შემდეგ დაიწერა, ცალკე სათაური არა აქვს (მოიცავს კი მთელი ოთხი საუკუნის ისტორიას), ამიტომ არ უნდა ვუწოდოთ მას „ახალი ქართლის ცხოვრება“? XIII ს. ქართლის ცხოვრებაში ჟამთააღმწერელის თხზულება არ იყო შეტანილი (არც შეიძლებოდა შეტანილიყო), მაგრამ უამისოდაც ეს ძეგლი „ქართლის ცხოვრებად“ იწოდებოდა და მას, XVIII ს. გაგრძელებისაგან განსხვავებით, კანონიერად უწოდეს „ძველი ქართლის ცხოვრება“. რატომ არ უნდა იწოდებოდეს ქართლის ცხოვრების გაგრძელება „ახალ ქართლის ცხოვრებად“, მაშინ, როდესაც იგი მოიცავს ოთხი საუკუნის ისტორიას?

ავტორის კვლევის მეთოდისათვის დამახასიათებელი ისიც არის, რომ მას გამოანგარიშებული აქვს, სად იწერებოდა ქართლის ცხოვრება და ამბობს, რომ თითქმის ყველა ხელნაწერი ქართლურია და არც ერთი კახური და იმერული. ისტორიკოსს შეუძლია თქვას, რომ, როგორც წესი, ქართლის ცხოვრება ყოველთვის პოლიტიკურ ცენტრში, მეფის სასახლეში, მეფის ან მისი უახლოესი პირის, სასახლის წევრის თაოსნობით უნდა დაწერილიყო. მიუხედავად საქართველოს პოლიტიკური დანაწილებისა, ქართლის სამეფომ შეინარჩუნა ქართული სახელმწიფო ერთიანობის ტრადიცია და ეს ტრადიცია თავგამოდებით ებრძოდა კახეთის და იმერეთის სახელმწიფოებრიობას. ამის უტყუარ ნიშანს იძლევა ის, რომ კახეთის სამეფოს მესვეური იწოდებოდა არა მეფედ, არამედ კახთ ბატონად. თავის დროზე საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის შექმნის ნიადაგზე, ამ ერთიანობის ხანაში წარმოიშვა „ქართლის ცხოვრება“ — როგორც იდეოლოგიური სიმაგრე ერთიანობისა და ყოველთვის მისი გადაწერა და, ამრიგად, გავრცელება, თუ ახალი ნაწარმოებით შევსება გამოწვეული იყო პოლიტიკური საჭიროებით და პოლიტიკურ წრეებს ეს ძეგლი არც სცილდებოდა. იგი არ იყო ჩვეულებრივ მასობრივად მოსახმარი, საკითხავი წიგნი.

აქ სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, რომ ცდება ქართლის ცხოვრების ახალი გამომცემელი პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, რომელიც ამ ძეგლს სასკოლო სახელმძღვანელოდ აცხადებს XI-XII სს. საქართველოში. თითქოს მართლაც ჰქონოდეს ადგილი სახალხო სკოლების ქსელს ფეოდალურ საქართველოში და, რაც მთავარია, სასკოლო სახელმძღვანელოს საჭიროებას გამოეწვიოს ქართლის ცხოვრების კრებულის შექმნა. მეცნიერება ასეთ მოსაზრებებს ვერ შეიწყნარებს. თუკი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური აღმავლობის ხანაში ქართლის ცხოვრების, როგორც ძეგლის, შექმნა პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენს, მით უმეტეს, მისი განმეორება საჭირო უნდა ყოფილიყო პოლიტიკური დანაწილების ხანაში, როცა მოწინავე პოლიტიკური წრეები იბრძოდნენ ერთიანობის აღდგენისათვის. არსებობს ისტორიკოსის ასეთი მსჯელობისათვის შეურყეველი საფუძველი — ეს არის ვახტანგ VI-ის სახელმწიფო-კულტურული მოღვაწეობა, რომ სწორედ პოლიტიკური ერთიანობის იდეოლოგიის გასავრცელებლად იყო საჭირო XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლის ცხოვრების აღდგენა და მისი გაგრძელების დაწერა. სწორედ ამიტომაა, რომ ქართლის ცხოვრების გამგრძელებლები მხოლოდ ქართლის სამეფოზე წერენ, იმერეთის და კახეთის შესახებ ბოდიშობენ, ნამდვილად კი მათ არც სცნობენ სამეფოებად. ამის შემდეგ განა არ გვმართებს საყვედური ავტორის მიმართ, როცა ის შესდგომია კვლევა-ძიებას, თუ ქართლის ცხოვრების რამდენი ვარიანტი დაიწერა ქართლში, რამდენი კახეთში და იმერეთში?!

სწორედ რომ, ფილოლოგიის ტყვეობაში ისტორიკოსის ჩავარდნა იწვევს ამ უნაყოფო მუშაობას, რომლის ერთ მაგალითს კიდევ მივუთითებთ. კ. გრიგოლიამ ყურადღება მიაქცია მარიამ დედოფლის მიერ გაცემულ სითარხნის ერთ-ერთ წიგნს, რომელიც 1634 წლით თარიღდება. ამით

მან შეიტანა შესწორება მარიამ დედოფლისეული ვარიანტის (ქართლის ცხოვრების) დათარიღებაში. თუ მანამდის ეს ძეგლი 1638—1646 წლებით თარიღდებოდა, კ. გრიგოლიამ დაათარიღა 1633—1646 წლებით. რატომ? 1634 წელს მარიამ დედოფლის მიერ გაცემული საბუთი,— აღნიშნავს ავტორი,— ამტკიცებს რომ ამ წელს ის უკვე მოყვანილია ქართლის დედოფლად. მაგრამ შეიძლება ის ერთი წლის წინათ მოეყვანათ? ამიტომ შეიძლება ერთი წლით უკან დავიხიოთ, სავარაუდოდ ავიღოთ 1633 წელი. ასეთია კ. გრიგოლია არგუმენტაცია.

რა საჭიროა ასეთი ვარაუდი, როცა ფაქტია, რომ მარიამის დედოფლად დამსმელი როსტომი ქართლში 1633 წელს გამეფდა, ურომლისოდაც მარიამ დადიანის ასული ქართლში ვერ მოხვდებოდა, ანუ მისი დედოფლობა არ მოხდებოდა.

ახლა შევეხოთ იმ საკითხებს, რომლებიც კ. გრიგოლიას შრომის თემას არ შეეხებიან, მაგრამ ავტორს საჭიროდ დაუნახავს ქართლის ცხოვრების რედაქციებთან დაკავშირებით გაემართა მათზე მსჯელობა. ავტორის მიერ ქართველი ხალხის აღრინდელი საზოგადოებრივი წყობილების დახასიათება მცდარია. ლეონტი მროველის შრომიდან ავტორის მიერ მოტანილი ცნობები ქართლში გვაროვნულ წყობილებას არ მოწმობს. მცხეთის მეუფე მამასახლისი ყველა სხვა მამასახლისზე მაღლა დგას და განაგებს როგორც უმაღლეს სასამართლოს, ისე დიპლომატიურ საქმეებს. განა შესაძლებელია, გვაროვნული წყობილების საფეხურზე იქონიოს ქვეყანამ დიპლომატიური ურთიერთობა რომელიმე ხალხთან თუ ქვეყანასთან?

მოვუსმინოთ ლ. მროველს — უძველეს ქართველ მემატიანეს — და ვნახოთ, მართლა გვაროვნულ წყობილებაზე ლაპარაკობს მისი ცნობები თუ არა. „ხოლო ვითარცა მოკუდა მცხეთოს, ძე ქართლოსისი, შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსისათა: იწყეს ბრძოლად და ჴდომად ურთიერთას. რამეთუ უფლოსს ძესა მცხეთოსისასა არა ერჩდეს, არცა ხადოდეს უფლად, რომელი დატევებულ იყო საყდართა ქართლოსისათა, რამეთუ მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლობა ქართლოსიანთა. იწყეს ბრძოლად და ჴდომად ურთიერთას და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა... და არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილოთი — ადვილად თავადნი იჩინიან, ხოლო ვინცა ივყის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის ყოველიყვის მცხეთას, რეცა და არცა სახელედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ და იგი იყვის მაზავებელი და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებული იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდეს დედაქალაქად. მათ ჟამსა დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი" (ქართ. ცხ., თბილისი, 1955 წ. გვ. 10-11).

ამ ტექსტის შინაარსი ასეთია: ქართლის მფლობელის მცხეთოსის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ასულა მისი შვილი უფლოსი, მაგრამ მცხეთოსის ძმები არ დამორჩილდნენ მას. პირველ ხანებში თუმცა ბატონად მას არ სცნობდნენ, მაგრამ არც ებრძოდნენ. ხოლო მალე მათ შორის დაწყებულა ბრძოლა, რომელიც დიდხანს გაგრძელდა. ქართლის კუთხეებს ეპატრონებოდნენ ქართლოსიანნი, როგორც თავადნი ანუ სრულუფლებიანი მფლობელნი, ასე რომ მათ შორის არავინ არ გამოიყოფოდა უპირატესობით, გარდა მცხეთაში მჯდომი მამასახლისისა, რომელიც არც მეფედ იწოდებოდა და არც ერისთავად („ადგილითი-ადგილად თავადნი იჩინიან. ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხუათა ზედა").

აქედან არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ ლ. მროველის ეს ცნობები გვაროვნულ წყობილებაზე მიუთითებდეს.

განა გვაროვნული წყობილების დროს შეიძლება არსებობდეს ქვეყნის დედაქალაქი და, რაც მთავარია, მემკვიდრეობით ამ დედაქალაქის მფლობელის უფლებებში იყვნენ მოქცეული პროვინციის მფლობელები? განა გვარის მიერ არჩეული მეთაურები ერთი უწარჩინებულესი გვარის გარდაცვლილ წარმომადგენელს აღმერთებენ? ანდა თუა შესაძლებელი გვაროვნულ წყობილებაში კერპებს მსხვერპლად სწირავდნენ ადამიანებს?

მაგრამ შრომის ავტორი ლ. მროველის მსჯელობას მთლიანობაში კი არ წარმოადგენს, არამედ მას მოტანილი აქვს ამ მსჯელობიდან ამოგლეჯილი ადგილი: „ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა სხუათა ზედა და არც სახელ ედებოდეს მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ". ავტორი დაასკვნის: რაკი არც მეფედ, არც ერისთავად იხსენიებოდა მცხეთაში მჯდომი მფლობელი — უთავადესი ქართლის თავადთა შორის, არამედ იგი მამასახლისად იწოდებოდა, იგი ყოფილა არჩეული გვარის მეთაური და მთელ ქართლშიც მიუხედავად იმისა, რომ მამასახლისი გარდა მცხეთისა არსად ჩანს, გვაროვნულ წყობილებას ჰქონია ადგილი. „ქართლის საზოგადოება მაშინ წინაკლასობრივ მდგომარეობაში ყოფილა და მას აშკარად გამოხატული გვაროვნული წყობილება ჰქონია" (დასახ. შრომა, გვ. 13). გასაგებია, რომ ავტორის დებულება მცდარია.

იგივე ლ. მროველი ამბობს, რომ ქართლის პირველი მეფე ფარნავაზი „იყო ძმისწული სამარისი, რომელი მოსვლასა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილიყო. ესე სამარ და ძმა მისი, მამა ფარნავაზისი, მოკლულ იყო ალექსანდრესგან". (ქართლის ცხოვრება, 1955 წ., გვ. 20).

როგორ მოხდა, რომ მცხეთელი მამასახლისის მოკვლისთანავე მისი ძმისწული მეფედ გამოცხადდა? შეუძლებელია, რომ მამულ-დედულობით გამორკვეული და დადგენილი ისტორიული პირი — მცხეთის მამასახლისი წინაკლასობრივ საზოგადოებაში მოვაქციოთ. კიდევ უფრო შეუწყნარებელია დოც. გ. გრიგოლიას მსჯელობა „პუნალუა“ ოჯახის შესახებ ლეონტი მროველის ცნობის მიხედვით.

მართლა იყო თუ არა ალ. მაკედონელი საქართველოში, ამ საკითხს აქ არ შეიძლება შევეხოთ, და არც გვაინტერესებს ამ შემთხვევაში. მაგრამ ალ. მაკედონელის მიერ ქართლში ლაშქრობის შესახებ ლ. მროველის მოთხრობიდან ავტორს მოტანილი აქვს ერთი ცნობა, რომელზედაც ის ამყარებს თავის დასკვნას ქართველობაში ისტორიულ ხანაში „პუნალუა“ ოჯახის არსებობის შესახებ. აი ეს ადგილიც: მაკედონელის მიერ ქართლში დასმული მმართველის აზონის მძლავრობის შიშით ფარნავაზის დედა ეუბნება შვილს: „შვილო ჩემო, დაუტევე სოფელი მამათა შენთა და წარმიყვანე მამულსა ჩემსა ასპანს, ძმათა ჩემთა თანა და განერე შენ ცოცხალი ქელისაგან აზონისა“ (ქართ. ცხ. გვ. 21).

ფარნავაზს, კ. გრიგოლიას სიტყვით, ბევრი მამა ჰყოლია. ეს აშკარად პუნალუალურ ცოლქმრობაზე მიუთითებს, მაგრამ უკვირს კი, რომ „თვითონლა მროველის დროს (XI ს) მონოგამური ოჯახის ბატონობის პირობებში ასეთი რამ, რასაკვირველია (!), ვერ მოხდებოდა. ყოველ ცალკე პიროვნებას მაშინ ერთზე მეტი (მრავალი) მამა ვერავითარ შემთხვევაში ვერ ეყოლებოდა. აშკარაა, ეს გამონაქთვამი უფრო ადრინდელი ვითარების გამომხატველია (დასახ. შრომა, გვ. 17).

პუნალუალური ცოლქმრობა ანუ ოჯახი პირველყოფილი საზოგადოების, მისი ველურობის გარკვეული საფეხურია და არავითარი საერთო არა აქვს ისტორიულ ხანასთან. მაშასადამე, არ შეიძლება ისტორიკოსი მსჯელობდეს, რომ „პუნალუა“ ოჯახი ქართველობაში XI საუკუნეზე ადრინდელია, რომ „ლეონტის („XI საუკუნის ისტორიკოსი, ა. კ.) დროისათვის ის უკვე დიდი ხნის მკვდარია“ (დასახ. შრომა, გვ. 18).

მაგრამ ახლა ვიკითხოთ: მართლა ჰყავდა ფარნავაზს ბევრი მამა? ქართლის ცხოვრების ტექსტიდან, ანუ ლ. მროველის შრომიდან, მსგავს რაიმეს ვერ ამოვიკითხავთ.

„დაუტევე საყოფელი მამათა შენთა და წარმიყვანე მამულსა ჩემსაო“ — ამბობს ფარნავაზის დედა, ანუ დასტოვე შენი მამაპაპეული, მამა-პაპათა სამყოფელი, იგივე მამული და ჩემს მამულს წარმიყვანეო. მაშასადამე, ფარნავაზის დედის მიმართვა თავისი შვილისადმი „პუნალუა“ ოჯახს სრულიად არ მოწმობს, და გასაოცარია ავტორის „მტკიცება“, თითქოს მამულ-დედულს გამოხატავდეს „პუნალუა“ ოჯახის ცხოვრება.

„პუნალუა“ ოჯახის ცნება მომდინარეობს მორგანის შრომიდან იროკეზების ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად და ეს ფრ. ენგელსმა სათანადოდ განაზოგადა. შეუძლებელია, ლეონტი მროველს რაიმე სცოდნოდეს „პუნალუა“ ოჯახის შესახებ, და სწორედ გაკვირვებას იწვევს კ. გრიგოლიას ასეთი დასკვნა: „პუნალუალური“ ოჯახის არსებობა ძველად ქართველ ტომებშიაც... საკმაოდ დასაჯერებელია. XI საუკუნის მოწინავე ქართველ საზოგადოებას ამ დიდი და ჯგუფობრივი ოჯახის შესახებ გარკვეული წარმოდგენა ჰქონია“ (გვ. 18).

ეს გარკვეული წარმოდგენა იგივეა, რაც ენგელსის კონცეფცია „პუნალუა“ ოჯახის შესახებ, და გამოდის, რომ ქართველი მემატიანე მროველი ენგელსზე 8 საუკუნით ადრე მივიდა ამ დასკვნამდე. შეიძლებოდა ავტორს მოეხსენებინა მორგანიც, რომელსაც თვით ენგელსი ემყარება, მაგრამ განა მარქსიზმის კლასიკოსი საკმარისი არ არის? კ. გრიგოლიაც ასე მოიქცა. მან მიუთითა ენგელსზე და შემდეგ ენგელსისებურად მროველი აალაპარაკა.

გასაგებია, რომ ქართლის უძველესი საზოგადოებრივი წყობილების შესახებ ლ. მროველს არ შეიძლებოდა ასეთი წარმოდგენა ჰქონოდა მარტო იმის გამოც, რომ არც მროველს და არც თანამედროვე მეცნიერებას შეუძლია დაამტკიცოს თუ რომელი ხალხი წარმოიშობა „პუნალუა“ ოჯახიდან. ასევე საფუძველს მოკლებულია ავტორის მსჯელობა კლასობრივ ბრძოლაზე ქართლის ცხოვრების შემდგენელთა შეხედულებების შესახებ.

დოც. კ. გრიგოლიას საზოგადოებრივ კლასთა ბრძოლის მაგალითად მიაჩნია დავით აღმაშენებლის მიერ საიდუმლო პოლიციის დაარსება, სახელდობრ ის, რომ მეფე განდიდებულ ფეოდალებს ამ საშუალებით ებრძოდა. თითქოს დავით აღმაშენებელი და განდიდებული ფეოდალები სხვადასხვა კლასების წარმომადგენლები იყვნენ და, რაც მთავარია, დ. აღმაშენებლის ზომებით კლასთა ბრძოლას ბოლო მოჰღებია საქართველოში (გვ. 34 — 35). ასეთი დასკვნით ავტორი არ კმაყოფილდება. მას ქართლის ცხოვრების ცალკე ნაწილების ავტორები ისეთ ისტორიკოსებად ჰყავს წარმოდგენილი, რომელთაც შესძლებიათ თურმე დაენახათ ანტაგონისტური საზოგადოება და აეხსნათ კლასთა ბრძოლის თვალსაზრისით ესა თუ ის მოვლენა (გვ. 29).

ავტორის მთელი მსჯელობა სიმდიდრით აღზევებულთა შესახებ, ყუთლუ არსლანის დასზე ახალს არაფერს შეიცავს და დიდი ხნის დადგენილი, ცნობილი დებულებების განმეორებაა. ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილს ამომწურავად ჰქონდა მოცემული ავტორის მიერ თავის შრომაში მითითებული ყველა მომენტი სიმდიდრით აღზევებულთა შესახებ. მხოლოდ ავტორს, როგორც ჩანს, უნდა „აღმოეჩინა“ რომ ძველ საქართველოში კლასობრივ ბრძოლას ჰქონდა ადგილი.

განა ამა თუ იმ ხალხის ისტორია კლასთა

ბრძოლის ისტორიას არ წარმოადგენს? მაშ, რა ფასი აქვს იმის გამორკვევას და დადგენას, რომ საქართველოშიც იყო გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლა?

ვერ დავეთანხმებით ავტორს უძველეს დროს ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის საფუძვლების ახსნაშიც.

XI საუკუნეში, საქართველოს გაერთიანებისა და მისი პოლიტიკური აღმავლობის ხანაში თავს იჩენს იდეური მოძრაობა ქართული სახელმწიფოს, ქართველობის ვინაობის, ქართული ენისა და, საერთოდ, ქართული კულტურის საფუძვლების გამოსარკვევად. ეს მოძრაობა მიმართულია ფეოდალური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ და ემსახურება ფეოდალური სახელმწიფო ცენტრის გამაგრების საქმეს. ამიტომაა, რომ ცენტრალისტური მმართველობის იდეოლოგები ქმნიან არა მარტო ქართველი ტომების, არამედ მთელი კავკასიელი ხალხების ნათესაობისა და საერთო ჩამომავლობის სქემას.

აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ ლეონტი მროველის მსჯელობა კავკასიელ ხალხთა ნათესაობის შესახებ ამ ხალხთა მეგობრობას აღნიშნავდეს.

სომეხ-ქართველთა მეგობრობის უტყუარ საბუთად ავტორს ის მიაჩნია, რომ გუარამ მამფალს თავისი ცოლისძმისათვის — სომეხთა მეფისათვის აბოცი გადაუცია ან ის, რომ არაბთა ხალიფას მიერ წარმოგზავნილი დამსჯელი ექსპედიციების საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის დროს სომეხთა მეფე ტაოკლარჯეთის მფლობელებს ეხმარებოდა ჯარებით დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში (გვ. 55, 56).

ავტორი საგანგებოდ ჩერდება ქართლის ცხოვრების ერთ ცნობაზე. ეს არის ცნობა იური ბოგოლუბსკის და თამარ მეფის შეუღლების შესახებ. თავის თავად ეს საყურადღებო ფაქტი ავტორს მიაჩნია დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის შეურყეველ საბუთად. იგი აღნიშნულ ცნობაზე დამყარებით წერს: „ქართველებს ძველათაც მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებდა დიდ რუს ხალხთან“ (გვ. 60).

ცნობილია, რომ იური ანდრიას-ძე გადმოხვეწილი იყო სამშობლოდან და ყივჩაღთა მეფეს აფარებდა თავს, იმყოფებოდა სუნჯაში. აქედან მოიყვანეს იგი საქართველოში. არც რუს ხალხს და არც ქართველ ხალხს ამის შესახებ არაფერი სცოდნიათ, ხოლო მეფე თამარის თანამშრომელი ფეოდალური წრეებიდან იურის უფრო მეტი მტრები აღმოუჩნდნენ, ვიდრე თანამგრძნობნი და თამარი აიძულეს უფლისწული მოეცილებინა. იური ანდრიას-ძემ შეურაცხყოფად მიიღო თამარის გადაწყვეტილება და ომი გაუმართა მას. დიდი სისხლი დაიღვარა. ამას უწოდებს ავტორი რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას და, რაც მთავარია, ავტორის „მტკიცებისათვის“ ეს მეგობრობა „ხანმოკლე აღმოჩნდა“ (გვ. 63).

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა იწყება სხვა პირობებში და სხვა დროს, და, რადგან ეს წარმოდგენილი შრომის თემას — ქართლის ცხოვრების რედაქციებს — არ შეეხება, ამიტომ აქ ამაზე ვერ ვილაპარაკებთ.

ქართლის ცხოვრება, რასაკვირველია, მრავალ გეოგრაფიულ საკითხს ჰფენს შუქს დ ძვირფას ცნობებს იძლევა ამა თუ იმ ქალაქისა თუ დასახლებული პუნქტის შესახებ, მაგრამ ავტორს რატომღაც მარტო ქართლის უძველესი დედაქალაქი აურჩევია კვლევის ობიექტად, თუმცა არც საერთოდ საისტორიო გეოგრაფიის, არც, კერძოდ, ქართლის დედაქალაქის გეოგრაფიის საკითხები შრომის თემას არ უკავშირდება.

უნდა ითქვას, რომ ავტორმა ვერ წასწია წინ ქართლის უძველესი დედაქალაქის მდებარეობისა და მისი სახელწოდების კვლევის საქმე. ავტორი ქართლის უძველესი დედაქალაქის სახელწოდების საკითხზე მხოლოდ იმას იმეორებს, რაც ადრე მოცემული ჰქონდა ი. ყიფშიძეს.

ავტორი უარყოფს პროფ. ს. კაკაბაძის ჰიპოთეზას, რომ „ქართლი“ აღნიშნავდა მაღლობებსა და მაღალშენებულებს, მაგრამ რას ნიშნავს „ქართლი“, ამის შესახებ იგი არაფერს ამბობს.

ქ. გრიგოლიას ცალკე პარაგრაფად აქვს გამოყოფილი „ქართლის ცხოვრების იდეოლოგიური მიმართულება და მისი საფუძვლები“ (გვ. 77—91). აქაც ახალი არაფერია და მხოლოდ ცნობილი ამბებია განმეორებული.

ავტორი ქართლის ცხოვრების შესანიშნავ კრიტიკოსად XIX საუკუნეში მხოლოდ ილ. ჭავჭავაძეს აღიარებს და მას მიაწერს ქართლის ცხოვრებაზე იმ შეხედულებას, რომელიც ილიაზე 7 წლით ადრე გამოთქვა დიმ. ბაქრაძემ. 1878 წელს დ. ბაქრაძე წერდა: „ხალხის ისტორიად, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მიჩნეული უნდა იქნეს არა აღწერა გარეგან მოვლენათა ან ცალკეულ პიროვნებათა ბიოგრაფიები, არამედ ნამდვილი და საფუძვლიანი დახასიათება ხალხის შინაგანი ცხოვრებისა მისი ეკონომიური და სოციალური ყოფისა... ძველი საქართველოს შინაგანი ცხოვრების შესახებ ჩვენ მაინცდამაინც არა ვიცით რა... ქრონიკები უმთავრესად ეხებიან მის საგარეო მოვლენებს, საქართველოზე მტრის დაცემას და განდევნას“ („Археологические путешествия по гурии и Аджаре“).

ქ. გრიგოლიას შრომის პირველი ნაწილი, სადაც ავტორს დაშვებული აქვს ზოგიერთი შეცდომა, თვით შრომის თემას — ქართლის ცხოვრების ვარიანტების რედაქციულ რაობას არ შეეხება, მეორე ნაწილი კი უეჭველად იმსახურებს ყურადღებას. მაგრამ შრომის მთავარი საკითხი სადავოდ მიგვაჩნია. „ახალი ქართლის ცხოვრება“, ჩვენი დასკვნით, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ კვერენჩხილაძე

★

# სიუჟეტი და მხატვრული სახე

სიუჟეტის განსაზღვრაში აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ერთი მაინც ცხადია: სიუჟეტი მხატვრული ნაწარმოების ღერძია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიუჟეტი არის რაღაც შინაარსისაგან დამოუკიდებელი ან მხატვრული ნაწარმოების შინაარსზე გაბატონებული რამ. სიუჟეტი, რომელსაც აიღებს, გამოიგონებს მწერალი, იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ მასში კონკრეტული ადამიანების, მათი ურთიერთობის ასახვის, ცალკეული მოვლენების ჩვენების საშუალებით შეიძლება გაშუქდეს სოციალურ-ისტორიული სინამდვილის ტიპიური, არსებითი პროცესები. მაშასადამე, სიუჟეტი არ განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ტექნოლოგიის სფეროს. სიუჟეტი არაა წმინდა ფორმა, უშინაარსო ფორმა, როგორც ეს ფორმალისტებს მიაჩნდათ. რუსი ფორმალისტების აზრით, არსებობდა სიუჟეტის შექმნის განსაკუთრებული იმანენტური კანონები, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ შინაარსს. ამ საკითხში ფორმალისტები აგრძელებდნენ ზოგიერთი ბურჟუაზიულ-ლიბერალური ლიტერატურისმცოდნის შეხედულებებს სიუჟეტის შესახებ.

სიუჟეტი არის შინაარსიანი ფორმა. სიუჟეტის უდიდეს მნიშვნელობაზე ძველი დროიდანვე მიუთითებდნენ. ჭეშმარიტი ტრაგედიის შესაქმნელად არისტოტელეს აუცილებლად მიაჩნდა ამბავისა და მოქმედების სისტემის არსებობა („პოეტიკა"). ეს „ამბავი" და „მოქმედებათა სისტემა" სხვა არაფერია, თუ არა ფაბულა და სიუჟეტური ქარგა. არისტოტელეს „ამბავი" და „მოქმედებათა სისტემა" მიაჩნდა მკაცრად გამიზნულად. მან იცოდა, რომ პოეტები „მოქმედებათა ასახვის საშუალებით თან ხასიათსაც იჭერენ ხოლმე".

ადამიანთა ხასიათების გამოვლინებისა და ზრდა-განვითარების ჩვენებაში ამბავთა სისტემის, სიუჟეტის უდიდეს მნიშვნელობაზე მიგვითითებს მ. გორკი. მისი აზრით სიუჟეტი გამოხატავს „ადამიანთა კავშირს, წინააღმდეგობებს, სიმპათიებს, ანტიპათიებს და, საერთოდ, ადამიანთა ურთიერთობებს, ამა თუ იმ ხასიათის ზრდისა და ჩამოყალიბების ისტორიას".

სიუჟეტი — სოციალურ-ისტორიული სინამდვილის არსებითი პროცესების გაშუქების, ტიპიური გარემოს შექმნის საშუალებაა. სიუჟეტი არაა რაღაც თვითმიზნური, რომელიც ყველაფერზე ბატონობს, განცალკევებით დგას მხატვრული მასალისაგან და იმორჩილებს ამ მასალას. სიუჟეტი ადამიანთა ხასიათების გამოვლენასა და ზრდა-განვითარების ჩვენებას, ყოველმხრივ სრულყოფილი სახეების შექმნას უნდა ემსახურებოდეს. კარგად, მოხერხებულად შექმნილ-გამოგონილი სიუჟეტით მწერალს შეუძლია ღრმად ჩასწვდეს სოციალურ-ისტორიულ კონფლიქტებს, ნათლად ასახოს საზოგადოების ცხოვრება.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ეხმარება მწერალს კარგად შერჩეული სიუჟეტი სოციალურ-ისტორიული სინამდვილის ტიპიური, არსებითი პროცესების გაშუქებაში, მოვიტანთ ერთ მაგალითს: ემილ ზოლამ მიზნად დაისახა ეჩვენებინა ფრანგი არისტოკრატიის, ბურჟუაზიისა და სამღვდელოების ნამდვილი სახე, მათი ბნელი საქმეები, რაც დაფარული იყო სიმდიდრითა და სახელით, ფულითა და განძით, ანაფორებითა და ეკლესიის თაღებით.

ღარიბი ბურჟუაზიული ოჯახიდან გამოსულ ფილიპე კაიოლს მდიდარი არისტოკრატი ბიძის კაზალისის დაუკითხავად ცოლად გაჰყვა ბლანში. კაზალისი საჯაროდ გაჰყვირის თავისი არისტოკრატიული სახილის შეურაცხყოფაზე. სინამდვილეში კი ბლანშის ქონება აწუხებს. ამიტომ იგი ქორწინების ნებას არ რთავს. მისი სიმდიდრე და სახელი თავისას გაიტანს — ფილიპეს პასუხისგებაში აძლევენ, ბრალს დებენ რა ქალის ძალით გატაცებაში (სუსტი ნებისყოფის ბლანში ბიძის გავლენისა და მუქარის ქვეშ ამბობს, რომ იგი გაიტაცა ფილიპემ).

ფილიპეს ციხიდან გამოსახსნელად საჭიროა 15 ათასი ფრანკი და აი, მისი ძმა მარიუსი იწყებს ამ ფულის ძებნას. ავტორი არ სჯერდება იმას, რომ ამჟღავნებს კაზალისის ნამდვილ ბუნებას. მწერალს მარიუსი ფულის სასესხებლად თუ სხვადასხვა თხოვნისათვის მიჰყავს სხვადასხვა ჯურის ხალხთან და ზოლას საშუალება ეძლევა გულუბრყვილო მარიუსსა და, მასთან ერთად, მკითხველს თვალწინ გადაუშალოს, ნიღაბი ახადოს ბნელ საქმეებს იმ ადამიანებისას, რომლებსაც საზოგადოებაში თავი კეთილსინდისიერად მოაქვთ.

აი, რა შესაძლებლობა მისცა კარგად შერჩეულმა სიუჟეტმა მწერალს შეახვედროს თავისი გმირი სხვადასხვა ადამიანებს, გადახლართოს მათი ინტერესები და ამის საშუალებით გამოკვეთოს მათი სახეები. ამ სიუჟეტმა, აგრეთვე, საშუალება მისცა მწერალს ორგანულად დაეკავშირებინა რომანში აღწერილ მოვლენებთან რესპუბლიკისათვის ბრძოლა მარსელში. მისმა გმირებმა ამ ბრძოლაში თავიანთი

სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობებისა და შეხედულებების შესაბამისად სხვადასხვა პოზიცია დაიკავეს.

ო. ბალზაკის სიუჟეტები ხომ კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორ იყენებს მწერალი სიუჟეტს საზოგადოების სოციალ-ისტორიული ცხოვრების ტიპიური მხარეების ასასახავად.

ასევე, დ. კლდიაშვილმა ბეკინას ახირებული სურვილი ცოლის შერთვისა და ორნაქმარევ, უშვილო პატარძლის ძებნის ისტორია იმიტომ კი არ აირჩია, რომ იგი კომიკური იყო თავისთავად, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ ამ ისტორიაში კარგად ჩანდა არსებითი პროცესები გაღარიბების გზაზე დამდგარ თავად-აზნაურთა ცხოვრებისა და ამ ტიპიურ გარემოში მას ცოცხლად შეეძლო ეჩვენებინა გაღარიბებულ აზნაურთა ტიპიური სახეები.

პ. კაკაბაძემ „ყვარყვარე თუთაბერში“ შექმნა კარგი სიუჟეტი. რომელშიც ტიპიურად აისახა დრომოჭმული, დახავსებული მეფის წყობილების ნგრევა და საქართველოში მენშევიკთა ბატონობის ხანა. უსაქმური და ფუჭი მეოცნებე ყვარყვარე მეფის ოფიცრებმა რევოლუციონერად ჩათვალეს, შემდეგ მენშევიკურ საქართველოში მას გასაქანი მიეცა, ჭკვიანად აღიარეს, გმირად აქციეს. აი, ეს ამბავი უკვე ტიპიურად ასახავს მენშევიკების დაბნეულობას, უსუსურობას. შემდეგ, სიუჟეტის დაწვრილებით გაშლისას მწერალმა ამ ტიპიურ გარემოში ტიპიურადვე, ცოცხლად ასახა ადამიანები.

აკ. ბელიაშვილი თავის ცნობილ რომანში მხოლოდ ბესიკის თავგადასავალით, სატრფიალო — სამიჯნურო ამბებით რომ შეზღუდულიყო, ეს იქნებოდა ცალმხრივობა. ასეთი ნაწარმოები კითხვის პროცესში გაიტაცებდა მკითხველს, მაგრამ მასზე ვერ მოახდენდა ღრმა შთაბეჭდილებას. აკ. ბელიაშვილმა საინტერესო სიუჟეტი გამოიყენა, როგორც ბესიკის ხასიათისა და მთელი მისი ცხოვრების მხატვრულად წარმოსადგენად, ასევე იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ისტორიული ცხოვრების სახეობრივად ჩვენებისათვის, სოციალურ ძალთა თანაფარდობისა და ბრძოლის საჩვენებლად, გარეშე მტრებთან ბრძოლის ასასახავად.

მაგრამ აკ. ბელიაშვილმა ასევე ვერ გამოიყენა სიუჟეტი ტიპიური გარემოს, ტიპიური მდგომარეობათა შესაქმნელად რომანში „უღელტეხილი“, რომელშიც ამბავთა, მოვლენათა ორი ჯგუფია:

პირველში თავმოყრილია მოწინავე, ჩვენი საზოგადოების წამყვანი ძალები, მეორეში — ჩამორჩენილი, ხელისშემშლელი ძალები. ამასთანავე, პირველ შემთხვევაში დახატულია ფრონტი და ფრონტისპირი, მეორეში — ზურგი, კერძოდ, თბილისი და იმის გამო, რომ ამბების ამ ორ ჯგუფს ერთმანეთთან სიუჟეტური კავშირი არა აქვს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნათელი, მოწინავე ძალები ფრონტზე იყვნენ, ხოლო ზურგში, თბილისში მეშჩანები, ხულიგნები და გარყვნილები დარჩნენ; ასეთი შთაბეჭდილება არ დარჩებოდა, ამბავთა ეს ორი ჯგუფი ერთმანეთთან რომ ყოფილიყო სიუჟეტურად დაკავშირებული, გადახლართული, ნათელი და ბნელი ერთმანეთს რომ კვეთდეს, ენაცვლებოდეს, ებრძოდეს.

სიუჟეტში მართლად უნდა აისახოს სოციალურ-ისტორიული სინამდვილის განვითარების ტენდენცია, სოციალურ ძალთა თანაფარდობა, ყოველდღიური წვრილმანებითა და არაარსებითი ამბებით დაფარული არსებითი, ტიპიური პროცესები საზოგადოების განვითარებისა. მხოლოდ მაშინ მივიღებთ სინამდვილის მართალ სურათს. ტიპიური გარემოს აუცილებლობაზე მიგვითითებენ მარქსი და ენგელსი. კ. მარქსი თავის წერილში მ. გარკნესისადმი ამ მწერლის მოთხრობის ნაკლებად თვლის იმას, რომ მასში ასახული გარემოებანი არატიპიურია. მარქსი და ენგელსი თავიანთ წერილებში ლასალისადმი აკრიტიკებენ ამ უკანასკნელის ტრაგედიას „ფრანც ფონ ზიკინგენს“ იმისათვის რომ მასში ასახული ისტორიული სინამდვილის არსებითი პროცესები არასაკმაოდ სწორად, არასაკმაოდ ღრმადაა ნაჩვენები.

აქ საქმე, ერთი მხრივ, მწერლის იდეურ-პოლიტიკურ მრწამსზეა დამოკიდებული, ხოლო, მეორე მხრივ, სიუჟეტის შერჩევა-შექმნის უნარზე. სხვადასხვა იდეურ-პოლიტიკური მრწამსის მწერალი სხვადასხვანაირად იყენებს სიუჟეტს: დაცემის გზაზე დამდგარ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში სიუჟეტის შესაძლებლობანი მიჩქმალულია. მთავარი ყურადღება ექცევა უცნაურ, საიდუმლოებებით აღსავსე მოვლენებს, რომლებიც სიუჟეტში შემთხვევითაა დაკავშირებული ერთმანეთთან. იმპრესიონისტულ, სიმბოლისტურ პროზაში სიუჟეტს დაკარგული აქვს ტიპიური გარემოს შექმნის ფუნქცია. იმპრესიონიზმი მთავარ ყურადღებას უთმობს არა სინამდვილის ობიექტურ ასახვას, არამედ ისე ასახვას, როგორც წარმოუდგება იგი სხვადასხვა სუბიექტს სხვადასხვა განწყობილების დროს. სიმბოლიზმიც არა სინამდვილის ობიექტური სურათების, ობიექტური სახეების შესაქმნელად იყენებს სიუჟეტს, არამედ რაღაც მიღმა, არაამქვეყნიური ცხოვრების სურათების შესაქმნელად. ნატურალიზმში მთელი სისავსით არაა გამოყენებული სიუჟეტი ტიპიური სახეების შესაქმნელად. აქ სიუჟეტი გადატვირთულია მეტისმეტი წვრილმანებით, რაც ჩრდილავს არსებითს, ტიპიურს. ამბავი იწყება და თავდება არა მკაცრად გამიზნულად. სიუჟეტის უგულებელყოფას ჰქონდა ადგილი აგრეთვე საბჭოთა ლიტერატურის დასაწყის პერიოდში, კერძოდ, „ლეფში“ და „ლიტფრონტშიც“. მხოლოდ კრიტიკული რეალიზმი და ყველაზე უფრო კი სოციალისტური რეალიზმი იყენებს მთელი სისავსით სიუჟეტს სოციალურ-ისტორიული სინამდვილის არსებითი პროცესების გადმოსაცემად, ტიპიური

გარემოს, ტიპიური მდგომარეობების შესაქმნელად.

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ სიუჟეტის უდიდეს მნიშვნელობაზე სოციალურ-ისტორიული სინამდვილის ტიპიური პროცესების, ტიპიური გარემოს ასახვის საქმეში. მაგრამ ამ დიდი მნიშვნელობის საქმის გაკეთება მხატვრულ ლიტერატურაში, სიუჟეტში ხდება ცალკეული მოვლენების, კონკრეტული ადამიანების ცხოვრებისა და შრომის ასახვის, ცალკეული ადამიანების ინდივიდუალიზებული ქცევა-მოქმედების ჩვენების საშუალებით, კონკრეტული სახეების შექმნის საშუალებით.

სიუჟეტი უნდა ემსახურებოდეს მხატვრული სახეების შექმნას. სწორედ კონკრეტული სახეების საშუალებით უნდა აისახოს სოციალურ-ისტორიული სინამდვილე, თორემ ისეთი ნაწარმოების შექმნა, რომელშიც ზოგადი სქემებითა და მშრალი მსჯელობითაა ასახული სინამდვილე, ძალიან ადვილია და ასეთი ნაწარმოები ვერ ახდენს მკითხველზე ემოციურ, ესთეტიკურ ზეგავლენას.

დიდი ოსტატობა ისაა ,შექმნა მეტად საინტერესო სიუჟეტური ქარგა, რომელიც, ამავე დროს, ემსახურება მთავარ მიზანს — ღრმა მხატვრული სახეების შექმნას, შემდეგ, ისე საინტერესოდ, ცოცხლად გაშალო ეს სიუჟეტი, ისე შეასხა ხორცი, რომ იგი მაქსიმალურად უწყობდეს ხელს ხასიათების გამოვლენას, შეჯახებას, ამ შეჯახებებით ხასიათების სულ ახალ-ახალი, მანამდე დაფარული მხარეების გამომჟღავნებას, ამ ხასიათების ზრდასა და განვითარებას.

მხატვრული ლიტერატურა სახეთა სისტემაა როდესაც ნაწარმოებში გვაქვს არა სახეთა სისტემა, არა მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება მოვლენათა შორის, არამედ გაუმართლებელი თავმოყრა მოვლენებისა — ასეთი ნაწარმოები ვერ აკმაყოფილებს მკითხველის ესთეტიკურ გემოვნებას, ვერ ტოვებს მშვენიერის შთაბეჭდილებას, რადგან მას აკლია მთლიანობა.

ხშირია შემთხვევა, როცა სიუჟეტში შეაქვთ რომელიმე ამბავი მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თავისთავად საინტერესოა, ლამაზია, მაგრამ ანგარიში არ ეწევა იმას ესაჭიროება თუ არა ნაწარმოებს მის მთლიანობაში ეს ნაწილი.

ამგვარად, სიუჟეტში უნდა იყოს მოცემული ტიპიურ მოვლენათა სისტემა და არა ნებისმიერად თავმოყრილი ამბები. მწერალი არჩევს მოვლენებს, მოვლენათა ჯაჭვს; ამბავს იწყებს და ამთავრებს გამიზნულად და არა იქ, სადაც მოესურვება. ამის საჭიროებაზე ჯერ კიდევ არისტოტელე მიუთითებდა: „... სავალდებულოა, რათა კარგად შედგენილი ფაბულა იწყებოდეს არა იქიდან, საიდანაც მოგვეპრიანება, და თავდებოდეს არა იქ, სადაც მოგვეპრიანება“ („პოეტიკა“).

მწერალი ყველაფერს განურჩევლად არ აღწერს. მას აინტერესებს ის, რაც ნაწარმოების იდეის სრულყოფილ, ცოცხალ გამუქებას ემსახურება. ამიტომ როცა იგი სახეს ქმნის, არჩევს დეტალებს, ფერებს, არსებითს და არ-არსებითს. სახის ჩამოყალიბებაში, ტიპიზებაში სიუჟეტი თავის დიდ როლს ასრულებს: სიუჟეტი იმგვარად ხლართავს ადამიანთა ბედს, იმ კუთხიდან გვიჩვენებს გმირს, მოვლენას, რომელიც ხელს შეუწყობს მისი არსებითი თვისების გახსნა-გამოვლენას.

სიუჟეტი და გარემოს, მოვლენათა, სახის ტიპიზაცია რომ მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ეს კარგად ჩანს იმ ხერხში, რომელსაც ხშირად მიმართავენ მწერლები და რომელსაც სიუჟეტის გამძაფრება-გამახვილება ჰქვია[1].

ზოგი ფიქრობს, რომ მწერალმა უნდა შექმნას ისეთი დახლართული, საიდუმლოებით აღსავსე სიუჟეტი, რომელიც უცნაურობებითა და მოულოდნელობებით გააოცებს მკითხველს. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ საინტერესო, ინტრიგებით დახლართული სიუჟეტისა, მაგრამ საჭიროა, რომ ყველაფერი ეს მოტივირებული იყოს და ცხოვრების კანონებს ემორჩილებოდეს. არაჩვეულებრივი სიუჟეტის შექმნა არაა ძნელი, როგორც ამბობდა ა. ნ. ოსტროვსკი „საქმე ის კი არ არის, გამოიგონო არაჩვეულებრივი ინტრიგა არამედ ის, რომ ამბავი თუნდაც დაუჯერებელი, ახსნა ცხოვრების კანონებით“.

ლესინგი თავის „ჰამბურგის დრამატურგიაში“ აკრიტიკებს კორნელის ტრაგედიას — „როდოგიუნა“, რომელშიც ავტორი, ნაცვლად სახეების ნათლად, ღრმად დამუშავებისა, გატაცებულია ურთულესი დრამატული სიტუაციებით, არაჩვეულებრივი პერიპეტიებითა და კვანძის „ეფექტური“ გახსნით. ყველაფერი ეს ზიანს აყენებს ხასიათების ცოცხალ და ღრმად ასახვას, მაშინ როცა „ხასიათები პოეტისათვის ფაქტებზე გაცილებით ძვირფასი უნდა იყოს“.

აი რას წერს ლესინგი: „ბუნებრივი გზა იტაცებს გენიოსს, მაგრამ აშინებს უნიჭოს. გენიოსი შეიძლება დაინტერესდეს მხოლოდ ისეთი მოვლენებით, რომლებიც ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ მხოლოდ მიზეზთა და შედეგთა კავშირით. ახსნას უკანასკნელი პირველით, შეუფარდოს ერთი მეორეს, ყველგან გულმოდგინედ უკუაგდოს შემთხვევითი და მოქმედება წაიყვანოს ისე, რომ ყველაფერი, რაც ხდება მოხდეს ასე და არ შეეძლოს მოხდეს სხვანაირად — აი მისი საქმე, თუკი ის მუშაობს ისტორიულ საფუძველზე და მეხსიერებაში უნაყოფოდ დაგროვილ მარაგს აქცევს ჭკუისათვის საზრდოს მიმცემ მასალად. ყალბი გონებამახვილობა კი პირიქით, არჩევს არა ერთიმეორისაგან გამომდინარე ფაქ-

[1] იხ. ამის შესახებ საინტერესო წერილი: „Заострение в сюжете“, Е. Добин, „Новый мир“, № 3, 1955 г.

ტებს, არამედ მხოლოდ მსგავსსა და დაპირისპირებულ ფაქტებს".

მხატვრულ ნაწარმოებს უნდა ჰქონდეს საინტერესო სიუჟეტი, მხოლოდ საჭიროა და აუცილებელია სიუჟეტი ემორჩილებოდეს მთავარს: საზოგადოების სოციალური ცხოვრების ღრმად ჩვენებას, სახეების, ხასიათების, ტიპების ღრმად ჩვენებას, მათი ზრდა-განვითარების ასახვას. ბურჟუაზიულ ლიტერატურაში გავრცელებულ დეტექტურ-სათავგადასავლო რომანებში კი მოულოდნელობითა და უცნაურობით სავსე სიუჟეტებს, უცნაურ ინტრიგებსა და „ეფექტურ" დამთავრებას ეწირება მთავარი და ძირითადი — სახეების ღრმად, სრულყოფილად ხატვა. ამიტომ იქ სახე თითქმის არასოდეს არ მაღლდება ხასიათამდე, ტიპამდე და სინამდვილე აისახება ზერელედ, ცალმხრივად.

თანამედროვე ბურჟუაზიულ დეტექტურ-სათავგადასავლო რომანებში ეს ცალმხრივობა უკიდურესობამდეა მიყვანილი, ხოლო დანიელ დეფოს, ჟიულ ვერნის და ფენიმორ კუპერის საუკეთესო ტრადიციები დავიწყებულია. ე. წ. „შემაძრწუნებელ" რომანებში სიუჟეტი გამოყენებულია იმისათვის, რომ მკითხველის გონება შეაძრწუნოს, გააღვიძოს ადამიანში მხეცურ-აგრესიული ინსტიქტები. ამ მიზნის მისაღწევად სიუჟეტიდან განდევნილია ცოცხალი ადამიანების ხასიათები და მათ ადგილას მოქმედებენ აჩრდილები. ეს არის მკვლელობათა, დახრჩობათა და ძარცვის სიუჟეტები.

სიუჟეტის მნიშვნელობა დიდია. მაგრამ მისი შექმნა-გამოყენება თვითმიზნური არ უნდა იყოს. გავიხსენოთ, რომ კლასიკოსთა ნაწარმოებებში სიუჟეტი ემსახურებოდა სახეთა სრულყოფილად დახატვას. მაგ., „გლახის ნაამბობში" დათიკოს, გაბრიელისა და თამარის ურთიერთობანი იმიტომ აიღო (შექმნა) ილიამ, რომ მასში ყველაზე დამახასიათებლად, მოტივირებულად გამოჩნდა თავადაზნაურთა კლასობრივი სახე, დაუნდობლობა და გახრწნილება, თავადისა და გლეხის ეფემერული სიამტკბილობის მიღმა მათი კლასობრივი შეურიგებლობა. „გლახის ნაამბობის" სიუჟეტი არ არის რაღაც განსაცვიფრებელი, მაგრამ ამ ამბავს ისე შეასხა ილიამ ხორცი, ე. ი. ისე გაშალა კონკრეტულად, სიუჟეტი, რომ მივიღეთ უაღრესად ტიპიური სურათები ბატონყმური ურთიერთობისა. ამ სიუჟეტმა მოიცვა იმდროინდელი სოციალური ძალების ტიპიური ურთიერთობანი.

„ბაში-აჩუკს" მეტად საინტერესო სიუჟეტი აქვს. ეს სიუჟეტი შეეფარდებოდა აკაკის მიზანს — წარსულის გმირული ბრძოლების ჩვენებით მის თანამედროვე ქართველებში გაეღვიძებინა ეროვნული შეგნება. სწორედ ამიტომ აირჩია აკაკიმ იგი. მართლაც, აბდუშაჰილის საინტერესო ისტორია სიუჟეტში ჩაქსოვილია არა იაფი ეფექტისათვის, არამედ იმიტომ, რომ მასში დამახასიათებლად ჩანდა ქართველი ხალხის ეროვნული უბედურება, ფიზიკური გადაგვარება — გადაშენების საფრთხე.

ისე როგორც კლასიკურ რეალისტურ მწერლობაში, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაშიც სიუჟეტი ღრმა მხატვრული სახეების შექმნას, სოციალურ-ისტორიული სინამდვილის ტიპიურ ასახვას ემსახურება. ამ მიზანს ემსახურება სიუჟეტი მ. ჯავახიშვილის, ლ. ქიაჩელის, კ. გამსახურდიას, ს. კლდიაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, ა. ჭეიშვილის, აკ. ბელიაშვილის და სხვათა საუკეთესო ნაწარმოებებში.

თვით სათავგადასავლო რომანებშიც საბჭოთა მწერლები სიუჟეტს იყენებენ სოციალურ-ისტორიული სინამდვილის, ტიპიური გარემოს ასასახავად. მაგალითად, ს. მთვარაძის სათავგადასავლო მოთხრობაში „უცნაური ცხოველი" დამაინტერესებელი ამბავი მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გასაღიზიანებლად კი არ შექმნა მწერალმა, არამედ იმისათვის, რომ ეჩვენებინა ჩვენი ცხოვრება, კერძოდ, მეცნიერებისა და კოლმეურნე მწყემსების შრომა, მათი შემოქმედებითი მეგობრობა.

ჭეშმარიტად მხატვრულ ნაწარმოებს ძალიან რთული სიუჟეტიც რომ ჰქონდეს, იქ მაინც უბრალო და ნათელია ყველაფერი, რადგან სიუჟეტი სახეების ღრმად დასახატავადაა გამოყენებული და არა თვითმიზნურად. ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებში ხშირია რთული სიუჟეტი, მაგრამ არ გვხვდება სიუჟეტის ხელოვნური გართულება და გაუცნაურება.

სიუჟეტში სინამდვილე აისახება მოქმედებაში, დინამიკაში, ხოლო ყველასათვის ცხადია და ლიტერატურული პრაქტიკით დადასტურებული, რომ მოქმედებაში, ქცევაში ყველაზე უფრო დამაჯერებლად, ობიექტურად, ნათლად ვლინდება ხასიათები, კლასთა თუ ცალკეული ადამიანთა ურთიერთობათა არსი.

ჰეგელი აღნიშნავდა, რომ მოქმედება „არის ყველაზე უფრო ნათელი მხილება ინდივიდუუმისა, როგორც მისი აზრთა წყობის, ისე მისი მიზნების მიმართ; ის, რაც ადამიანი არის თავისი ყოფის ულრმეს საფუძველში, სინამდვილეში მჟღავნდება მხოლოდ მოქმედებაში".

ერთი ადამიანის ურთიერთობაში მეორე ადამიანთან თუ ადამიანთა ჯგუფთან, ადამიანების სხვადასხვა მოვლენისადმი დამოკიდებულებაში გამოჩნდება ამ ადამიანთა ინდივიდუალური და საზოგადოებრივი „მე", მათი სოციალურ-პოლიტიკური, მორალურ-ეთიკური შეხედულებანი, ფიზიკური თუ სულიერი თვისებები. სიუჟეტი ეხმარება მწერალს იმაში, რომ გმირი ურთიერთობაში შეიყვანოს სხვა გმირებთან, გადაკვეთოს გმირის ცხოვრების გზა სხვა გმირთა ცხოვრების გზებით და ამ გადაკვეთის წერტილებში წარმოქმნილი ურთიერთობებით ახალი მხრიდან გვიჩვენოს გმირის სახე.

მწერალი სიუჟეტს უნდა ავითარებდეს გეგმაზომიერად, უკავშირებდეს და უქვემდება-

რებდეს მთავარ მიზანს — სრულყოფილი მხატვრული სახეების შექმნის, ნაწარმოების იდეის სრულყოფილად გამოხატვის საქმეს. ამისათვის იგი ისე ავითარებს სიუჟეტს, ისეთ მდგომარეობაში აყენებს გმირებს, გვიჩვენებს ადამიანებთან მის ისეთ ურთიერთობებს, რომლებშიც უფრო ნათლად, ცოცხლად, კონკრეტულად გამოჩნდება გმირის არსებითი თვისებები, მოვლენის არსებითი მხარე.

ავიღოთ ჩვენი ცნობილი მწერლის ს. კლდიაშვილის პიესა „დაბრუნება". ამ პიესის მთავარი გმირის გარდაქმნა, რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ავტორმა იგი სწორედ მაშინ გამოთიშა მოქმედებიდან, სიუჟეტიდან, როცა ყველაზე უფრო საჭირო იყო მისი სიუჟეტის განვითარებაში ყოფნა. სწორედ ის პერიოდი, როცა ამ გმირის გარდაქმნა — გარდატეხა ხდება, მიმდინარეობს სიუჟეტის მიღმა.

შეიძლებოდა მწერალს სიუჟეტის მიღმა დაეტოვებინა სხვა რამე, მაგრამ დათას გარდაქმნა-დაბრუნება კი აუცილებლად მკითხველისათვის ცოცხლად უნდა დენახვებინა, რადგან მთავარი ამ პიესაში გარდაქმნაა, დაბრუნებაა და არა, ვთქვათ, სახლიდან წასვლა.

სიუჟეტისა და სახის, მოქმედებისა და სახის გათიშვა ყოველთვის ქმნის ნაწარმოებში ხარვეზს.

სიუჟეტის შექმნის უნარის სისუსტეზე მიუთითებს ისეთი შემთხვევები, როცა მწერალი გამოიყვანს რომელიმე გმირს, ერთხანს ჩააყენებს მას სხვა გმირებთან ურთიერთობაში, მაგრამ ბოლომდე არ ყოფნის სიუჟეტური გამომგონებლობა და ეს გმირი სიუჟეტიდან ითიშება.

სიუჟეტის საფუძველი ადამიანთა ურთიერთობანია. მაგრამ ურთიერთობაცაა და ურთიერთობაც. ზოგჯერ ნაწარმოებებში ადამიანები შემთხვევითაა თავმოყრილი. მოვლენები მიზეზშედეგობრივად კი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, არამედ ნაძალადევად. ადამიანთა ხასიათები კი სხვა ადამიანთა ურთიერთობაში მჟღავნდება და ყალიბდება.

ბევრ თანამედროვე ნაწარმოებში მთელი კონფლიქტი, ადამიანთა შეჯახებები ამოიწურება უბრალო წაკინკლავებითა და შეკამათებით. მიზეზი ამისა ისაა, რომ ყველა ხასიათი ერთმანეთს ჰგავს, მათი ინტერესები რაიმე არსებითში არ განსხვავდება და მათი შეჯახებაც არასერიოზულია, ე. ი. პოტენციაში მოქმედების ენერგია არაა და სინამდვილეშიც არ ხდება დიდი ძვრები. სწორედ ამაზე მიუთითებდა გორკი: „თუ არის მკვეთრად გამოკვეთილი ხასიათები — მათი შეჯახება აუცილებელია".

სიუჟეტი მოდუნებულია, როცა მწერალი ვერ მიაგნებს მოქმედების წყაროს — სხვადასხვა ხასიათს და ასახავს ერთნაირი ან ოდნავ განსხვავებული ინტერესების მქონე ადამიანებს, რომელთა ურთიერთობა კინკლაობას იქეთ არა მიდის. ასეთ შემთხვევაში მწერალი ვერ სწვდება მოვლენების სიღრმეს, სინამდვილის არსებით მხარეებს, თორემ მასში აუცილებლად აღმოაჩენდა სხვადასხვა ხასიათს, განსხვავებულ ინტერესებს.

სიუჟეტი შინაარსიანი ფორმაა. ავიღოთ რომელიმე ნაწარმოების შინაარსი, მაგალითად, „ვეფხისტყაოსნისა": „არაბეთის მეფეს როსტევანს ჰყავდა ერთადერთი მემკვიდრე — ქალიშვილი თინათინი. მამამ იგი თავის სიცოცხლეშივე გაამეფა. მეფის ჯარების სარდალს ავთანდილს უყვარდა თინათინი. მას ძალიან ესიამოვნა ქალის გამეფება, რადგან ამიერიდან ხშირად ნახავდა მას..." და ა. შ. ასე გადმოსცემენ ნაწარმოების შინაარსს. თვით ნაწარმოებში კი ეს შინაარსი გაშლილია სიუჟეტში და ქცეულია სახეებად, ე. ი. სიუჟეტში შინაარსი გადადის სახეში, იძენს მხატვრული ლიტერატურისათვის სპეციფიკურ ფორმას — სახეობრივ ფორმას.

მაშასადამე, სიუჟეტი არის შინაარსიანი ფორმა და არა გარეგნული, ცივი, ცარიელი ფორმა, წმინდა ტექნოლოგიური საკითხი, როგორც ეს მიაჩნდათ ფორმალისტებს.

მარტო შინაარსი რომ გადმოსცე, ე. ი. არ გადმოსცე ის სახეები, რომელშიც ეს შინაარსია მოქცეული, ნაწარმოების ზემოქმედების ძალა იკარგება. სწორედ ეს ქმნის განსაკუთრებულ სიძნელეს პოეტური ნაწარმოების თარგმნისას, რადგან მეტად ძნელია ზუსტად იმ პოეტურ სახეებით, ზუსტად იმგვარი სახეობრივი ფორმით გადმოსცე პოეტური ნაწარმოები ერთი ენიდან მეორეზე, როგორც ის ორიგინალშია. შინაარსის სიზუსტის დაცვა ჯერ კიდევ არაა დიდი ღირსება. საქმე ისაა, ეს შინაარსი ისე გამოთქვა, როგორც ორიგინალშია გამოთქმული, „ვეფხისტყაოსნის" შინაარსი შეიძლება ზედმიწევნით ზუსტად გადაიტანო სხვა ენაზე, მაგრამ ასეთი შესანიშნავი შინაარსიც კი სათანადო დაფასებას ვერ პოვებს თუ სხვათა ენაზე ეს შინაარსი ისე არაა გადატანილი სახეებში, როგორც ორიგინალშია. ზოგი მწერალი იმნაირად შლის სიუჟეტს, რომ შინაარსის არასახეობრივად გადმოცემის იქეთ ვერ მიდის, სახეობრივ ქსოვილს ვერ ქმნის, წერს ისე, თითქოს გადმოსცემდეს სხვა ნაწარმოების შინაარსს. ამ გზით რომ წასულიყო ი. ჭავჭავაძე მას, მაგალითად, ლიტონი სიტყვებით უნდა ეთქვა — ლუარსაბი უვიცი, უცოდინარიაო, მაგრამ ილია სახეობრივად გვიჩვენებს ამას, ე. ი. ხატავს ისეთ სიტუაციას, რომლის აღქმისას მკითხველს გადაეცემა, ამასთანავე ცხოვლად გადაეცემა, სათანადო იდეა.

მხატვრული ლიტერატურა მაშინაა მხატვრული და მაშინ ახდენს მკითხველზე ემოციურ, ცოცხალ ზეგავლენას, როცა სინამდვილე ასახულია მხატვრული ლიტერატურისათვის სპეციფიკურ — სახეობრივ ფორმაში.

# ლიტერატურული მემკვიდრეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე შაფათავა

★

## კარლო გოლდონი

მშვიდობის საერთაშორისო საბჭოს გადაწყვეტილებით მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა იტალიური თეატრის რეფორმატორისა და დიდი დრამატურგის კარლო გოლდონის დაბადების 250 წელი, რადგან გოლდონი ეკუთვნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთა შემოქმედებაც მსოფლიო კულტურის უძვირფასეს საგანძურს წარმოადგენს.

კარლო გოლდონი დაიბადა 1707 წელს და გარდაიცვალა 1793 წელს. თითქმის მთელი ერთი საუკუნის მანძილზე იგი მოწმე იყო უდიდესი ისტორიული ძვრებისა ევროპაში. მართალია, იმხანად იტალია აღარ იყო მოწინავე ქვეყანა, მაგრამ კარლო გოლდონი უტყუარად გრძნობდა საუკუნის ძირითად, წამყვან ტენდენციას. ამიტომაც მისი სოციალურ-ყოფითი პიესები პროგრესულ იდეას ემსახურებოდნენ, გამოხატავდნენ მესამე წოდების პროტესტს არსებული წყობის წინააღმდეგ...

მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ წელმაგარი, მან მაინც შეძლო მე-18 საუკუნის პირველსავე ნახევარში ბრძოლა გამოეცხადებინა არისტოკრატიული მმართველობისათვის და ზოგიერთ საგრძნობ შედეგსაც მიაღწია.

თეატრის დარგში პროგრესული მიმართულებისათვის მებრძოლი და მისი აქტიური დამნერგავი კარლო გოლდონი იყო.

წარმოშობით გოლდონი მესამე წოდებას ეკუთვნოდა. მამა მისი ექიმი იყო, დედა — ყოფილი მსახიობი. თეატრმა ყრმობიდანვე გაიტაცა კარლო გოლდონი. ჯერ კიდევ ბავშვი, იგი ხშირად ესწრებოდა საშინაო წარმოდგენებს თავისი პაპის სახლში. მისი საყვარელი საკითხავი წიგნი — პიესა იყო, პირველი გასართობი — სათამაშო თოჯინების თეატრი. თერთმეტი წლისამ პიესა დაწერა, თორმეტისამ ითამაშა ქალის როლი სცენისმოყვარეთა სპექტაკლში. ცამეტი წლისამ გაიცნო პროფესიული მსახიობები, დაუმეგობრდა მათ, გაიპარა სასწავლებლიდან და მოხეტიალე დასთან ერთად იმგზავრა რიმინიიდან კიოჯამდე, სადაც იმხანად მისი დედა ცხოვრობდა. ჯერ კიდევ ჭაბუკს ხელთ ჩაუვარდა მაკიაველის შესანიშნავი კომედია „მანდრაგორა“ და. თეატრით გატაცებული ახალგაზრდა მივიდა დასკვნამდე, რომ ლიტერატურული დრამატურგიის უგულვებელყოფას ბოლო უნდა მოეღოს: „დროა იტალიამ დაამტკიცოს, რომ მასში კარგი ავტორების თესლი არ ჩამკვდარა, ავტორებისა, რომლებმაც ბერძნებისა და რომაელების შემდეგ პირველებმა გაამდიდრეს და განადიდეს თეატრი“, წერდა გოლდონი უფრო გვიან თავის საპროგრამო ხასიათის პიესაში „კომიკური თეატრი“. ერთი სიტყვით, გოლდონის ინტერესი და მისწრაფება თეატრის გარშემო ტრიალებდა, მაგრამ გოლდონის მამას უნდოდა მის ვაჟს შემოსავლიანი პროფესია ჰქონოდა: ყოფილიყო ექიმი, ან ვექილი და მიაღწია კიდეც ამას. მართალია, დიდი ვაივაგლახით, მაგრამ მაინც გოლდონიმ მიიღო იურიდიული განათლება და 1731 წელს ჩაირიცხა ვენეციის ადვოკატთა კოლეგიაში.

ახალგაზრდა ვექილს კლიენტები ძლიერცოტა ჰყავდა. თეატრში მუშაობის სურვილი კი მეტად დიდი ჰქონდა. ამიტომ ადვოკატურასთან პარალელურად მან დრამატურგიასაც მოჰკიდა ხელი, ჯერ დაწერა ოპერის ლიბრეტო „ამალასუნტა“, მაგრამ მომღერლებმა დაუწუნეს: მიღებული სტანდარტის მიხედვით არ არის დაწერილიო. გულდაწყვეტილმა ავტორმა „ამალასუნტა“ ბუხარში შეაგდო და ფიცი დადო, აღარ დაეწერა ოპერის ლიბრეტო. მართალია, შემდგომში მას არა ერთგზის მოუხდა ამ ფიცის გატეხა, მაგრამ ეს უკვე მაშინ, როდესაც იგი დიდად სახელმოხვეჭილი კომედიოგრაფი შეიქმნა.

გოლდონის შემოქმედებითი გზა მიმართული იყო დრამატული თეატრის რეფორმისაკენ, და ეს ისტორიული მისია მან ბრწყინვალედ შეასრულა კიდეც.

XVIII საუკუნის თეატრის ისტორიული ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი უნდა ქცეულიყო ბასრ იარაღად ახალგაზრდა იტალიური ბურჟუაზიის ხელში. თეატრს უნდა ეკისრა ახალი იდეების პროპაგანდა. კონკრეტულად: მას თავს უნდა ედო იტალიის მესამე წოდების კლასობრივი თვითშეგნების განმტკიცების ამოცანა. ეს მეტად მძიმე საქმე იყო თუნდაც იმიტომ, რომ იმდროინდელ იტალიაში თეატრის მხოლოდ ისეთი ფორმები ბატონობდნენ, რომელთაც მინიმალური იდეური შინაარსი გააჩნდათ. ეს იყო ოპერა და ნიღაბთა კომედია ანუ კომედია დელ არტე.

მართალია, XVI საუკუნეში, როდესაც წარმოიშვა ნიღაბთა კომედია, იგი აქტიური ძალა იყო ესპანელ დამპყრობელთა და ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ, მაგრამ თავისი არსებობის ორი საუკუნის მანძილზე ნიღაბთა კომედია გამოიფიტა, და არსებითად სამსახიობო ტექნი-

კის, თვითმიზნური ვირტუოზობის დემონსტრაციის საშუალებად იქცა.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ახალი მიზნებისათვის უდავოდ თვისებრივად ახალი თეატრის შექმნა იყო საჭირო. მაგრამ უბედურება სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ძველი თეატრი ე. ი. კომედია დელ არტე ისე ფესვგადგმული იყო მთელ იტალიაში, ისეთი საყოველთაო პოპულარობით სარგებლობდა, რომ მისი დამსხვრევა ან გადაკეთება უდიდეს სიძნელეს წარმოადგენდა. აი ამ უაღრესად მძიმე საქმეს მოჰკიდა ხელი კარლო გოლდონიმ.

ნიღაბთა კომედია საჭიროებდა რეფორმას ორი მიმართულებით: მას უნდა მისცემოდა ახალი შინაარსი და ამ შინაარსის გამოხატვის შესატყვისი ახალი ფორმა. შინაარსის წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ დრამატურგია — ავტორის მიერ დაწერილი პიესა, — და გოლდონიმაც აქედან დაიწყო თავისი რეფორმა. გარდა ამისა, აუცილებელი იყო ნიღბების შეცვლა კონკრეტული, ცოცხალი პერსონაჟებით. ეს თავის მხრივ საჭიროებდა თვითმიზნური სამსახიობო ტექნიკის შეცვლას სადა და ბუნებრივი თამაშით, ხოლო უაზრო ბუფონადისა — ლოგიკური კომიზმით.

გოლდონიმ ჯერ შექმნა პიესა ერთი დაწერილი როლით, შემდეგ დაწერილ როლთა რაოდენობა უმატა და ამ გზით განდევნა იმპროვიზაცია და საბოლოოდ დაამკვიდრა თეატრში მთლიანად დაწერილი პიესა. რაც შეეხება ნიღბებს, ბევრი მათგანი კი არ გააუქმა, არამედ მოახდინა მათი ტრანსფორმაცია. ასე, მაგალითად, თუ მანამდე პანტალონე მხოლოდ აბსტრაქტული ხასიათის სასაცილო ნიღაბი იყო, ახლა გოლდონის კალმის ქვეშ იგი კეთილგონიერ ოჯახის მამად, ბურჟუაზიული წრეების დადებითი იდეალების გამომხატველ პერსონაჟად იქცა ჩერჩეტი მსახურის ნიღაბი კი — ცოცხალ, გონებამახვილ და გამჭრიახ მდაბიო ახალგაზრდად. ასე გადაამუშავა გოლდონიმ სხვა ნიღბებიც, მისცა მათ არა მარტო მხატვრული სისრულე და ყოფითი ბუნებრივობა, არამედ სოციალური დახასიათებაც, რადგან გოლდონის დრამატურგიის თემატიკა მიზნად ისახავდა დაეგმო ფეოდალური არისტოკრატიის პარაზიტიზმი, ყბად აელო უქნარა გრაფები და მარკიზები, ცხადეყო ბურჟუათა ნაკლოვანებანიც.

1733 წელს გოლდონიმ დაწერა ინტერმედია „ვენეციელი მეგონდოლე". ეს იყო მისი პირველი ნაწარმოები, შესრულებული პროფესიონალი აქტიორების მიერ. ამის შემდეგ გოლდონი დაბრუნდა ვენეციაში და ათი წლის განმავლობაში სენსამუელის თეატრისათვის წერდა პიესებს.

ეს ათი წელი ითვლება გოლდონის შემოქმედების პირველ პერიოდად, ამ ხნის განმავლობაშიაც იგი თანდათან ახორციელებდა თავის რეფორმას. გოლდონიმ მრავალ ჟანრში მოსინჯა კალამი. წერდა ტრაგიკომედიებს, ინტერმედიებს, სცენარებსაც კი ნიღაბთა კომედიისათვის, მაგრამ, ამასთანავე, ერთი წუთითაც არ ივიწყებდა თავის ძირითად მიზანს და მეთოდურად ახორციელებდა რეალისტური პიესის დანერგვის საქმეს. ასე, მაგალითად, თუ 1738 წელს მის პიესაში „მაღალი წრის კაცი მომოლო" დაწერილი იყო მხოლოდ მთავარი როლი, დანარჩენ როლებს კი მსახიობები იმპროვიზაციის წესით ასრულებდნენ, ხუთი წლის შემდეგ, წარმოადგინეს გოლდონის პიესა „ნამდვილი ქალი", რომელშიც უკვე ყველა როლი დაწერილი იყო და ადგილი არ ჰქონდა იმპროვიზაციას.

1743 წლიდან — ვიდრე 1747 წლამდე გოლდონი მხოლოდ ორ სცენარს წერს მისი დროის უდიდესი მსახიობ-იმპროვიზატორის ჯოვანი ანტონიო საკის თხოვნით. ეს სცენარებია „არლეკინის დაკარგული და ნაპოვნი შვილი" და „ორი ბატონის მსახური", რომელიც მან შემდეგ ლიტერატურულ კომედიათ გადააკეთა.

ამ ხნის განმავლობაში გოლდონიმ საფუძველი ჩაუყარა ორ კომედიურ ჟანრს იტალიაში: ეს იყო ზნე-ჩვეულებათა კომედია ბურჟუაზიის ცხოვრებიდან, დაწერილი წმინდა ლიტერატურული ენით, და ყოფითი კომედია უბრალო ხალხის ცხოვრებიდან, დაწერილი ვენეციურ დიალექტზე. პირველი ჟანრის პიესებს გოლდონიმ ჩაუყარა საფუძველი კომედიით „ეშმაკი ქვრივი" ხოლო მეორე ჟანრისას — კომედიით „პატიოსანი ქალიშვილი". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გოლდონის საუკეთესო პიესების უმრავლესობა სწორედ ყოფითი კომედიის ჟანრს მიეკუთვნება.

პროგრესულად მოაზროვნე მწერალს — კარლო გოლდონის თავის პიესებში მესამე წოდების წარმომადგენლები გამოჰყავდა, აგრეთვე პატიოსანი და გამჭრიახი მსახური ქალები და ვაჟები და უბრალო ადამიანები — მეთევზეები, მენავეები, მზარეულები, მრეცხავები და სხვა. ამის გამო გოლდონის ბრძოლა გამოუცხადეს კონსერვატიულმა წრეებმა და დასწამეს მას ლიტერატურის წაბილწვა მდაბიო გემოვნებით.

ბევრი მწარე წუთები აგეს გოლდონის მისმა მოწინააღმდეგეებმა და მეტოქეებმა. მოწინააღმდეგე და მეტოქე კი ბლომად ჰყავდა, ზოგს პრინციპული უთანხმოება ამოძრავებდა, ზოგს კი — შურის მდაბალი გრძნობა, მაგრამ მალე გოლდონის გამოუჩნდა დაუნდობელი, ნამდვილად პრინციპული და ამიტომ საშიში მოწინააღმდეგე. ეს იყო კარლო გოცი. იგი მიხვდა, რომ ბრძოლაში მარტო მაშინ მოიპოვებდა წარმატებას, თუ კი ნიღაბთა კომედიას ავტორიტეტს აღუდგენდა. ამისათვის მან მეტად ეფექტურ ხერხს მიმართა: შექმნა ზღაპრულ თემაზე აგებული ბრწყინვალე პიესა — სცენარები, ეგრეთწოდებული ფიაბები, გადასცა დასადგმელად მსახიობთა დასს და ამ გზით შეეცადა ხელოვნურად გამოეცოცხლებინა კომედია დელ არტე. ამ სპექტაკლებმა სენსაციური პოპულარობა მოიპოვა ვენეციაში და ერთხანს გოლდონის რეალისტური პიესები დაჩრდილა. უკიდურესად აღელვებული გოლდონი 1761

წელს გამოემშვიდობა მაყურებლებს კომედიით „კარნავალის უკანასკნელი საღამო“, დატოვა სამშობლო და გაემგზავრა პარიზში.

როდესაც გოლდონი პარიზში ჩავიდა, იქაური იტალიური თეატრი ფაქტიურად უკვე გაუქმებული დახვდა და იგი იძულებული შეიქმნა საარსებო წყარო იტალიური ენის გაკვეთილებით ეშოვა.

ამ დროიდან გოლდონი არსებითად ჩამოშორდა დრამატურგიულ მოღვაწეობას და 32 წლის განმავლობაში (პარიზში ცხოვრობდა) დაწერა მხოლოდ რამდენიმე ლიბრეტო ოპერისათვის, რამდენიმე პატარა პიესა იტალიურ ენაზე და ერთი კომედია ფრანგულ ენაზე „კეთილისმყოფელი ბუზღუნა“, რომელიც 1771 წელს დიდი წარმატებით დაიდგა ფრანგული კომედიის თეატრში. ამასთანავე, პარიზში ყოფნისას გოლდონიმ დაწერა მემუარები, რომელიც ძვირფას მასალას წარმოადგენს, თეატრის ისტორიის შემსწავლელთათვის.

მის სამშობლოში კი ამ დროს გოლდონის სახელი ყველას უკვე მივიწყებული ჰქონდა, ხოლო გოლდონის პიესები მტკიცედ შედიოდა იტალიის თეატრების რეპერტუარში და რეფორმა, რომელსაც მან მთელი თავისი ნიჭი და ენერგია მოანდომა, სულ უფრო და უფრო მკვიდრდებოდა, ცალკე სამფლობელოებად დაქუცმაცებულ იტალიაში მისი დრამატურგია საერთო ნაციონალურ მოვლენად იქცა და იტალიის გაერთიანების საქმეში უდიდესი კულტურული ფაქტორის როლი შეასრულა, მაგრამ გოლდონი აღარ დაბრუნებულა სამშობლოში, იგი სამუდამოდ დარჩა პარიზში და იყო მოწმე საფრანგეთის რევოლუციისა.

1793 წლის 7 თებერვალს კონვენტის სხდომაზე გამოვიდა დრამატურგი — იაკობინელი შენიე და მოახსენა კრებას, რომ რევოლუციურმა მთავრობამ უნდა უპატრონოს საფრანგეთში მცხოვრებ ღრმად მოხუცებულ და უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ კარლო გოლდონის. კონვენტმა ერთხმად მიიღო შენიეს წინადადება და დაადგინა მიეცათ გოლდონისათვის პენსია 4 ათასი ლივრის რაოდენობით. მაგრამ მისი მიღება გოლდონის აღარ ეღირსა — დადგენილების გამოტანის წინა ღამეს იგი გარდაცვლილიყო.

ჯერ კიდევ გოლდონის სიცოცხლეშივე მისი დრამატურგიის პოპულარობა გასცილდა იტალიის ფარგლებს. გოლდონის იცნობდა და პატივს სცემდა მთელი ევროპა. მისი გავლენით დაწერა დიდმა ფრანგმა განმანათლებელმა დენი დიდრომ თავისი პიესა „უკანონო შვილი“. დიდად აფასებდნენ გოლდონის ვოლტერი, ლესინგი, გოეთე, გოგოლი, ოსტროვსკი. რუსეთში გოლდონის პიესების თარგმნა 1772 წლიდან დაიწყეს. პირველად ითარგმნა „კეთილისმყოფელი ბუზღუნა“ მ. ხრაპოვიცკის მიერ. ამ დროიდან ინტერესი გოლდონისადმი რუსეთში არ შენელებულა. რევოლუციამდელ რუსეთში მისი მთარგმნელები იყვნენ: ე. იანკოვიჩი, ა. შახოვსკოი, პ. მობორიკინი, ა. ამფიტეატროვი, ფ. კომისარჟევსკი, ა. უსოვა და დიდი ოსტროვსკი.

რევოლუციამდელ საქართველოში გოლდონის კომედიები თარგმნეს: ივ. მაჩაბელმა, ვ. გუნიამ და ა. ყალაბეგიშვილმა.

უდიდესი პოპულარობა მოიპოვა გოლდონიმ ჩვენში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. საბჭოთა კავშირში თითქმის არ ყოფილა თეატრი, რომელშიც გოლდონის პიესა არ დაედგათ, ბრა ერთგზის არის გამოცემული მისი კომედიები.

ს. მოკულსკის მიერ რუსულად თარგმნილია და ბრწყინვალედ კომენტირებული კარლო გოლდონის მემუარები. არსებობს მემუარების ქართული თაგმანიც (გ. მუმლაძისა), რომელიც ჯერჯერობით გამოცემული არ არის.

შესანიშნავი გამოკვლევები გოლდონის შესახებ რუსულ ენაზე გამოქვეყნებული აქვთ ს. მოკულსკისა და ა. ჯივულეგოვს.

დიდი წარმატებით იდგმებოდა და იდგმება საბჭოთა ქართულ სცენაზე გოლდონის პიესები. მისი კომედიების დამდგმელები ქართულ საბჭოთა სცენაზე არიან რეჟისორები: დ. ალექსიძე, გ. ტოვსტონოგოვი, გ. ლაღიძე, შ. ინასარიძე, მ. მრავლაძე, გ. ლორთქიფანიძე, ო. ალექსიშვილი, ა. გამსახურდია, ო. ანდრონიკაშვილი, გ. აბრამაშვილი, ი. შერაზადიშვილი და ჯ. ანჯაფარიძე. კომედია „საპატარძლო აფიშით“ (თარგმანი დ. კასრაძისა) დაიდგა რუსთაველის თეატრში; „ორი ბატონის მსახური“ (თარგმანი გ. ფრონისპირელისა) დადგმული იქნა იმავე თეატრში და აგრეთვე ბათუმის, ქუთაისის, გორის, თელავის, ხაშურის, ახალციხის და ყვარლის თეატრებში. „სასტუმროს დიასახლისი“, რომელიც თარგმნა ი. გრიშაშვილმა, წარმოადგინეს კ. მარჯანიშვილის სახელობის, სოხუმის და ქუთაისის თეატრებში. კომედია „სასეირო შემთხვევა“ წარმოდგენილი იქნა ბათუმის თეატრში რ. დოდაშვილის თარგმანით, ქუთაისში — ა. ფალავას თარგმანით და გორში — გ. ლაღიძის თარგმანით.

წარმატებით არის გამოყენებული გოლდონის დრამატურგია სასცენო კადრების აღზრდა-გაწვრთნის საქმეშიც. რუსთაველის თეატრთან არსებული სტუდიის აჭარის სექციამ 1936 წელს გამოსაშვებ სპექტაკლად წარმოადგინა „სასტუმროს დიასახლისი“, ხოლო რუსთაველის სახელობის თეატრალურმა ინსტიტუტმა გოლდონის კომედიათა მთელი წყება განასახიერა სტუდენტთა ძალებით სხვადასხვა დროს. აქ დაიდგა „ჭორიკანა ქალები“, „საპატარძლო აფიშით“, „სასტუმროს დიასახლისი“, და „ორი ბატონის მსახური“.

ასე ინტენსიურად ცოცხლობს XVIII საუკუნის იტალიელი მწერლის — კარლო გოლდონის შემოქმედება ჩვენში, და ეს საუკეთესო დასტურია იმისა, რომ ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის არ არსებობს არც დრო და არც საზღვრები.

# ხელოვნების საკითხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. გიქიმყრელი

★

## რეჟისორის ფანტაზიის შესახებ

წინათგრძნობა მიკარნახებს და ამიტომ, სანამ უშუალოდ საკითხს შევეხებოდე, მსურს ჩემს კოლეგებს ასე მივმართო: დარწმუნებული ვარ, რომ ამ წერილის სათაური თეატრის ყოველ მუშაკს დააინტერესებს. ამასთანავე, ზოგიერთის მხრივ დარწმუნებული არა ვარ, რომ ამ სათაურის წაკითხვისთანავე ინტერესი ერთგვარი გაკვირვებით და ასეთი შეკითხვით არ შეიცვლება: განა შეიძლება შემოქმედის ფანტაზიაზე თეორიული მსჯელობა? ეს ხომ ისეთი საგანია, რომელიც მხოლოდდამხოლოდ პიროვნების ბუნებრივ მონაცემებზეა დამოკიდებული. ფანტაზია... აბა დაუკვირდით ამ ცნებას, განა იგი თავისთავად უკვე არ გამორიცხავს რაიმე კანონების, სისტემის თუ თეორიის ჩამოყალიბების საშუალებას? რა აზრი აქვს ამ საგანზე თეორიულ მსჯელობას?

ამ კითხვაზე უშუალო პასუხის გაცემა ადვილიც რომ იყოს, ვფიქრობ, იგი ვერავის დააკმაყოფილებს. მხოლოდ კონკრეტული მაგალითების ანალიზის შედეგად ნათელი გახდება გარკვეული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა.

პირველყოვლისა, საჭიროა შევთანხმდეთ თვით ამ ცნების ერთნაირ გაგებაში რომელიმე კონკრეტულ მაგალითზე.

ავიღოთ ასეთი მაგალითი.

მკერავმა ძველი კოსტუმი გადმოაბრუნა და მის ნამუშევარს ისევ ახალი იერი მიეცა. და აი მანეკენზე აცმული ეს გადმობრუნებული კოსტუმი სულ ახალს ჰგავს.

წარმოვიდგინოთ ორი მხატვარი, რომელმაც მიზნად დაისახეს მკერავის ნამუშევრის მხატვრულ ტილოზე გადმოტანა, ე. ი. ხსენებული კოსტუმის ერთგვარი პორტრეტის შექმნა; ისიც დავუმატოთ, რომ ორივე მხატვარს სურს გამოავლინოს კოსტუმის მოჩვენებითი სიახლე, ამხილოს მისი ნამდვილი ღირებულება. ამ მიზნით პირველი მხატვარი პოულობს ისეთ რაკურს, რომლის შედეგადაც მაყურებელს თვალში ეცემა პიჯაკის ზედა პატარა ჯიბის მარჯვენა მხარეზე აღმოჩენილი ჭრილი. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ სურათზე გამოსახული კოსტუმი ახალი არ არის.

მეორე მხატვარი ამავე მიზნით ახალ დამატების საშუალებას მიმართავს. იგი, კოსტუმის გადმობრუნების შედეგად, მარცხენა მხრიდან მარჯვენა მხარეზე გადმოტანილ პიჯაკის ზედა პატარა ჯიბეში ყვავილს ათავსებს.

პირველმა მხატვარმა რეალური ობიექტი უცვლელად გამოხატა, მეორემ კი თავის მხრივ ყვავილი დაუმატა. სურათში შეტანილი ყვავილი მხატვრის ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მხატვართ კი არ სცილდება, კი არ ამახინჯებს ცხოვრების სიმართლეს, პირიქით, შემოქმედებითი ფანტაზიიდან სწორედ მიგნებული დეტალის სურათზე გადატანით მხატვარი მაყურებლის ყურადღებას — თავისი იდეის შესაბამისად — კიდევ უფრო ამახვილებს.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ზემოხსენებულ კოსტუმზე პიესა დაიწერა. ავტორის რემარკაში ნათქვამია: სცენაზე მანეკენი დგას და ზედ კოსტუმია აცმული. ასეთი რემარკა რეჟისორს არ აკმაყოფილებს და, მანეკენის მაგივრად, რეჟისორს კარადა გამოაქვს და კოსტუმს შიგ ათავსებს. აქაც სცენაზე გამოტანილი კარადა რეჟისორული ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს, მაგრამ ასეთი ფანტაზია არათუ ხაზს უსვამს ავტორის მიზანსწრაფვას, არამედ, პირიქით, მის აზრს ეწინააღმდეგება.

რეჟისორის ფანტაზია მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს, როცა იგი პიესის იდეის ნათლად შთამბეჭდავ გამოხატვას ემსახურება. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე შენიშნავდა: ნიჭი აფრაა, ხოლო მეცნიერება — საჭე გემის მმართველიო. რეჟისორული ფანტაზიის უნარი იგივე აფრაა, რომელიც განსაკუთრებით სანდო და მტკიცე საჭეს მოითხოვს. ასეთი საჭე რეჟისორს ხელთ ექნება მხოლოდ მაშინ, როცა იგი პიესის იდეურ მიმართულებას სწორედ შეიცნობს. „На сцене не может быть ничего „черезчур“ если ето верно. И все становится лишним и претенцнозным, если это не верно“, ამბობდა ნემიროვიჩ-დანჩენკო. ეს თითქოსდა ადვილად გასაგები დებულება, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დეტალურ შესწავლას მოითხოვს. ჩვენ, რეჟისორები, პრაქტიკულ საქმიანობაში გვერდს ვუვლით ამ დებულებას, თავის გამოჩენის მიზნით ვცდილობთ, წარვდგეთ მაყურებლის წინაშე, როგორც დამოუკიდებლად მოაზროვნენი და თავისთავად ნიჭიერი ხელოვანნი და რეჟისორული ფანტაზიის გაქანებას ავტორზე მიტანილი იერიშით გამოვხატავთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორის ინტერესების უგულვებელყოფას ყოველთვის პირადი ამპარტავნობა როდი გვიკარნახებს. უფრო ხშირად მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ჩვენ ჯეროვნად მაინც არ ვაფასებთ პიესის იდეისა და რეჟისორული ფანტაზიის პრინციპული დამოკიდებულების აუცილებლობას.

მეორე მხრივ, ზოგიერთი რეჟისორი სხვა უკიდურესობაში ვარდება და საკუთარ შემოქმედებითს ფანტაზიას არაფრით არ ამჟღავნებს. ამის შედეგად, ცხადია, დუნე, ულაზათო და უფერულ სპექტაკლს ვღებულობთ. ასეთი სპექტაკლის დამდგმელი თავს იმით იმართლებს, რომ მან თურმე ავტორისადმი უაღრესი მოკრძალება გამოიჩინა და შეგნებულად არაფერი ზედმეტი არ დაუმატა. საკითხავია: რა ფუნქცია ეკისრება რეჟისორს?

ჩვენ წარვდექით ერთი, უაღრესად პრინციპული საკითხის წინაშე. რეჟისორის ამოცანაა, შეინარჩუნოს და გამოხატოს ავტორის იდეა. პიესის იდეის გამოხატვისათვის მან უნდა მოძებნოს სათანადო სცენური საშუალება, გარკვეული რეჟისორული ხერხი, კონკრეტული სცენური ფორმა.

სპექტაკლი — ეს არის პიესა, გამრავლებული რეჟისორის ფანტაზიის უნარზე, ე. ი. თუ ერთ-ერთი მათგანი უდრის ნულს, ამის შედეგად ისევ ნულს მივიღებთ. ამიტომ ავტორის შთანაფიქრი, რომ მაყურებლამდე სრულად მივიდეს, მას რეჟისორული ხედვა უნდა დაემატოს. ბელინსკი აღნიშნავს: „Актер дополняет своею игрою идею автора, и в этом-то дополнении состоит его творчество". ეს დებულება შესაძლოა მთლიანად რეჟისორსაც მივუყენოთ.

„სტანისლავსკი ასე მუშაობდა XIX საუკუნის მწერლის ალექსი ტოლსტოის ცნობილ პიესა — „Царь Феодор Иоанович"-ზე. მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს. პიესის ტექსტი ამბობს რემარკით: „ქალაქის ჭიშკარიდან გამოდიან ცხენოსანი მედოლეები. მათ შემდეგ — თავადი ტურენინი. ტურენინის შემდეგ „სტრელცებს" მოჰყავთ ბორკილგაყრილი თავადი ივან პეტროვიჩი და სხვა შუისკები (ვასილის გარდა). სტანისლავსკი ასეთ კომენტარს აკეთებს: სიტყვები წარმოთქვას ნაწყვეტ-ნაწყვეტ მხოლოდ სრული ხმით ჯერ კიდევ არა, პროცესია კი ასე წარიმართოს:

1. სტრელეცი ხალხს ერეკება, 2. მეორე სტრელეციც ასევე, 3. მოდიან მედოლე სტრელცები, 4. ორი გრიმშეცვლილი შიკრიკი აგრეთვე ერეკება ხალხს, 5. როდესაც ზემოხსენებულნი ხალხთან ვერას გახდებიან, გამოვარდება 9 ჯარისკაცი, რომელთა დანახვაზე ბრბო ხიდისაკენ გაიწევს, 6. გამოდის ჯალათი უზარმაზარი მოყვანილობისა, უშველებელი წვერით, აცვია წითელი პერანგი და სახელოები აკაპიწებული აქვს, 7. მის შემდეგ ივანე შუისკი (თმაშეკრეჭილი და შებაწრული, როგორც სხვა შუისკებიც), 8. ივანეს შემდეგ — ანდრეი დიმიტრით და მეორე ივანე, 9. მათ შემდეგ — ცხენოსანი ტურენინი, 10. მას მოჰყვება ორი მხედარი, 11. ისინი, ვინც სცენიდან (უკანა მარცხენა კულისებთან) იყო მირეკილი, გადმოირბენენ მარჯვენისაკენ და ერთიმეორეს აწვებიან (შ. დადიანი, „რჩეული წერილები", გვ. 117. „ხელოვნება" 1950).

სტანისლავსკის ზემომოყვანილი რეჟისორული პარტიტურის შესახებ შალვა დადიანი სწერს: „როგორც ხედავთ, აქ თითქო მხოლოდ ფიზიკური მიზანსცენაა დასახული, მაგრამ როგორ ამდიდრებს ავტორის მიერ განზრახული სალიანგო სცენას და როგორი სიცოცხლე შეაქვს ამ ეპიზოდში, რომ უჩვენოს, თუ ბრბო როგორი ცნობისმოყვარეობით ეხვევა გარშემო დასასჯელად გამზადებულ შუისკებს, რა ზომებს ღებულობენ წესრიგის დაცვისათვის ბორის გოდუნოვის მცველები და მომხრეები.

აი რა ყოფილა თურმე რეჟისორის ფანტაზია. ეს ხომ პირდაპირ ავტორის დახმარებაა, შევსება და დამშვენება ავტორის განზრახვისა. ავტორმა რომ მარტო ერთი რეპლიკა მისცა, რეჟისორმა კი როგორი ამბები დაატრიალა (სიცოცხლე მისცა ეპიზოდს). ვიმეორებ: ეს არის ნამდვილი შევსება და დახმარება ავტორისა. ეს არის რეჟისორის ფუნქცია, თეატრის დანიშნულება. აი ამგვარი მუშაობით იქმნება ახალი აქტი მონათესავე ხელოვნებისა.

სტანისლავსკი გაჰყვა ავტორს, მის თანმიმდევრობას. არაფერი არ გადაუკეთა, მხოლოდ განავრცო და გაამდიდრა ეპიზოდები და ამით გააკეთა ახალი და მშვენიერი საქმე ხელოვნებისა."

სტანისლავსკის მუშაობის ამ მაგალითმა შესაძლოა ზოგიერთის შეკითხვა გამოიწვიოს: რეჟისორული ფანტაზიის გამოვლენისათვის ავტორი სათანადო საბაბს უნდა იძლეოდეს, პიესის ცალკეული სცენები ბიძგის მიმცემი უნდა იყოს რეჟისორული ფანტაზიის ფართოდ გაშლისათვის, ისევე როგორც ეს ზემო მოყვანილ მაგალითშია ნაჩვენები. მაგრამ, როგორ მოიქცეს რეჟისორი იმ შემთხვევაში, როდესაც პიესა მას არავითარი გასაქანის საშუალებას არ აძლევს, თუკი ავტორის მიერ ყველაფერი იმდენად სრულადაა აღნიშნული, რომ რეჟისორს აღარაფერი რჩება. მაგალითისათვის გავიხსენოთ საყოველთაოდ ცნობილი საფინალო რემარკა გოგოლის „რევიზორი-"დან

**„მუნჯური სცენა".**

გოროდნიჩი შუა სცენაზე გაქვავებული სვეტივით, გაშლილი ხელებით და თავი უკან აქვს გადახრილი. მარჯვნივ მისი ცოლი და ქალიშვილი მთელი სხეულის მოძრაობით მისკენ მოისწრაფვიან. მათ უკან დგას კითხვის ნიშნად გაქვავებული ფოსტმეისტერი, მაყურებლისაკენ მიმართული. მის უკან — ლუკა ლუკიჩი, სრულებით გულწრფელად დაბნეული. მის შემდეგ სცენის გა-

ნაპირას სამი სტუმარი ქალია, ერთიმეორეზე მიყრდნობილი, სახის მეტად დამცინავი გამომეტყველებით; ეტყობა, ეს დაცინვა მიმართულია გოროდნიჩის ოჯახისადმი. გოროდნიჩის მარცხენა მხარეს ზემლიანიკა დგას, თავი ოდნავ გვერდზე გადაუხრია თითქო რაღაცას ისმენსო. მის უკან მოსამართლეა, რომელსაც ხელის თითები გაფარჩხული აქვს, თითქმის მიწამდი ჩამჯდარა და ტუჩები ისე აქვს აპრუწული, თითქოს ეს-ეს არის უნდა დაუსტვინოს ან წარმოთქვას, „აი, სეირი თუ გინდა, ეს არისო". მის უკან კორობკინია, რომელიც მაყურებელს შეჰყურებს ოდნავ თვალმოხუჭული, რაშიაც დაცინვა იხატება. კორობკინის შემდეგ სცენის განაპირას დგანან ბობჩინსკი და დობჩინსკი, რომლებიც ხელების მოძრაობით ერთმანეთისაკენ მოისწრაფვიან, პირი დაღებული აქვთ და თვალები დაჭყეტილი. დანარჩენი სტუმრები კი სვეტებივით უძრავად დგანან, თითქმის წუთნახევარი ამ მდგომარეობაშია გაქვავებული ჯგუფი." ძნელი წარმოსადგენია, თუ რეჟისორი დიდი კლასიკოსის მიერ ასე დაწვრილებით დაწერილ მიზანსცენას რაიმეს მიუმატებს. გოგოლი აგვიწერს მოქმედ პირთა არა მარტო საერთო განლაგებას, არამედ ისეთ დეტალებსაც კი, თუ რომელ მათგანს დაღებული აქვს პირი, რომელს აპრუწული აქვს ტუჩი და რომელს გაფარჩხული აქვს ხელის თითები.

მიუხედავად იმისა, რომ გოგოლის რემარკა კლასიკურ მიზანსცენადაა აღიარებული, შესაძლოა ზოგიერთს მაინც მოეჩვენოს, რომ მიზანსცენის გადაწყვეტის ამგვარი დეტალიზაცია ბოჭავს რეჟისორს, აქარწყლებს მის ინდივიდუალობას. ფრიად საყურადღებოა, რომ „რევიზორის" სცენურ ისტორიაში ცალკეული რეჟისორები საფინალო სცენის გადაწყვეტაშიაც თავს იჩენდნენ, მაგრამ რეჟისორთა თავგამოდება ყოველთვის ნაწარმოების იდეის დამახინჯების ხარჯზე ხდებოდა. ყველაფერმა ამან რეჟისორთა შემდგომი თაობები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ავტორის მიერ მოცემული კლასიკური მიზანსცენა ასევე ხელუხლებლად და უცვლელად უნდა იყოს დატოვებული.

მაგრამ საინტერესოა: თუ რეჟისორის სცენური ისტორიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მასალას ჩავუკვირდებით, საგულისხმო დასკვნამდე მივალთ.

შჩეპკინისადმი გაგზავნილ წერილში საფინალო სცენის შესახებ, რომლის მიხედვითაც კორობკინი დანარჩენსავით უმოძრაოდაა გაჩერებული, გოგოლი წერდა: „Минуту или две непременно должна продолжаться эта немая сцена, так чтоб Коробкин соскучившись успел попотчивать Ростаковского табаком, а кто-нибудь из гостей даже довольно громко сморкнуть в платок".

რისთვის სჭირდებოდა გოგოლს ისედაც დეტალურად აღწერილი რემარკისათვის კორობკინის ცხვირის დაცემინების დამატება?

გოგოლი ისწრაფოდა იმისაკენ, რომ შთამბეჭდავად და სრულად გადმოეცა გოროდნიჩის შიში, საბოლოო თავზარდაცემის გარდაუვალობა გოგოლს სწამდა, რომ გაიძვერა სკვოზნიკ-დმუხანოვსკების პარპაშს ოდესმე აღსასრული დაუდგება. სწორედ ამიტომ ეძებდა გოგოლი ასეთი მონდომებით საფინალო სცენის ყოველ ახალ დეტალს, რომელიც მის იდეას გამოსახავდა. ასეთ დრამატულ მომენტში გაშტერებული გოროდნიჩის გვერდით უკვე გონებამოსული კორობკინის ესოდენ უცერემონიო მოქმედება ხაზს უსვამს გოროდნიჩის თავზარდაცემისა და შიშის სიძლიერეს. ამ მხრივ პიესის დაკანონებული ტექსტის (1842 წ.) და ხსენებული წერილის (1846 წ. ) შედარება იდეის გამომსახველ სცენური ხერხების განვითარებაზე მიგვითითებს.

— რამდენადაც არ უნდა მოეჩვენოს რეჟისორს, რომ „ავტორმა უკვე ყველაფერი თქვა", რეჟისორი კიდევ უფრო გაამდიდრებს ავტორის ჩანაფიქრს, თუკი — პიესაზე დაყრდნობით — ავტორის ძირითად აზრს განვითარებაში დაინახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია თავაძე

★

# მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა დამუშავების საკითხისათვის

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები დიდ ყურადღებას აქცევდნენ კატეგორიების პრობლემის დამუშავებას. საკმარისია აღინიშნოს კ. მარქსის „კაპიტალი", რომელიც კაპიტალისტურ მეურნეობის შესახებ მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა სრულიად გარკვეული, ღრმა მეცნიერულად დასაბუთებულ კატეგორიათა სისტემას წარმოადგენს. მარქსის „კაპიტალში" საქონლის, ფულის და კაპიტალის კატეგორიების ანალიზი, მათი ურთიერთ კავშირ-გადასვლები სანიმუშოა საერთოდ მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების დამუშავებისა და შესწავლის საქმისათვის. ვ. ი. ლენინის თქმით [1], „კაპიტალი" მარქსისა დიალექტიკური ლოგიკის კერძო შემთხვევას წარმოადგენს. ამ „კერძო შემთხვევის" ძირითადი დებულებები საშუალებას მოგვცემენ ანალიზი გავუკეთოთ და დავამუშაოთ მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების სისტემა.

მეორე ნიმუში კატეგორიათა შესწავლის და დამუშავებისა — ეს არის ფ. ენგელსის „ანტი-დიურინგი", სადაც ფ. ენგელსი იძლევა მატერიალისტურ დიალექტიკურ მოძღვრებას კატეგორიების შესახებ, არკვევს, მაგ., ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა აუცილებლობის და შემთხვევითობის, აუცილებლობის და თავისუფლების, იგივეობის დაპირისპირების, წინააღმდეგობის და სხვა კატეგორიებს.

მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების დამუშავების დასაყრდენს და გამოსავალს უნდა წარმოადგენდეს ვ. ი. ლენინის ისეთი შრომა, როგორიცაა „ფილოსოფიური რვეულები", სადაც მოცემულია მატერიალისტური დიალექტიკის თითქმის ყველა კატეგორიის გარჩევა, დახასიათება თუ განსაზღვრება. ამ შრომაში მოცემულია წამყვანი და ფუძემდებელი დებულებები მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა სისტემისა. ვ. ი. ლენინი მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების შესწავლისათვის აუცილებელ საჭიროებად თვლის მარქსამდელ მოაზროვნეთა შეხედულებების გარჩევას, პირველ რიგში, ჰეგელის თვალსაზრისის გარჩევას. მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლებმა მოგვცეს სახელმძღვანელო დებულებები კატეგორიების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები დიდ ყურადღებას აქცევენ კატეგორიების პრობლემას, ჯერჯერობით ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში არ არის კატეგორიების შესახებ მოძღვრება ყოველმხრივ დამუშავებული.

მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების დაუმუშავებლობის გამო გადაუწყვეტელია, მაგ., ისეთი საკითხი, როგორიცაა დიალექტიკის, შემეცნების თეორიის და ლოგიკის ერთერთ დამოკიდებულების საკითხი. ამ საგანზე სახელმძღვანელო და ფუძემდებელი დებულებები მოცემულია ვ. ი. ლენინის მიერ „ფილოსოფიურ რვეულებში".

ჩვენ მიზნად ვისახავთ მხოლოდ ერთი საკითხის დამუშავებას, სახელდობრ, საკითხისა, თუ როგორ უნდა გვესმოდეს კატეგორიის ბუნება საერთოდ.

კატეგორიის ბუნების მარქსისტულ-ლენინურმა გაგებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის სიძნელეები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სხვადასხვა მოძღვრებაში კატეგორიების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფიის ისტორიის, კერძოდ მარქსამდელი ფილოსოფიის ისტორიის ცოდნის გარეშე შეუძლებელია კატეგორიის ბუნების გაგება. მაგრამ ასევე უნდა ითქვას, რომ მოძღვრება კატეგორიებზე, კატეგორიების თეორიის დამუშავება სრულიად შეუძლებელი და განუხორციელებელია სპეციალურ მეცნიერებებშიც.

დიალექტიკური მატერიალიზმის სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში დღემდე გამოყოფილი არ ყოფილა თავი კატეგორიების შესახებ; კატეგორიები შეისწავლებოდნენ, უმთავრესად, სხვა საკითხების გარჩევების დროს. მაგ., დიალექტიკის ძირითადი ნიშნების შესწავლისას განიხილებოდნენ ზოგიერთი კატეგორია მატერიალისტური დიალექტიკისა, რადგან მოვლენათა შორის ურთიერთ კავშირისა და განვითარების ბუნება კატეგორიების გარჩევის გარეშე გაუგებარი იქნე-

[1] ვ. ი. ლენინი „ფილოსოფიური რვეულები", 1947 წ., გვ. 328 (რუს. გამოც.).

ბოდა. საკითხი, თუ რომელი კატეგორია სად უნდა ყოფილიყო განხილული, ყურადღების გარეშე იყო დატოვებული. მაგ., ფორმისა და შინაარსის კატეგორიები განხილულია დიალექტიკის მეოთხე ნიშნის გარჩევასთან დაკავშირებით, მაგრამ არც ისმოდა საკითხი, თუ რატომ არ შეიძლებოდა ეს კატეგორია სხვაგან განხილულიყო. ის საბუთი, რომ ფორმისა და შინაარსის კატეგორია დაპირისპირებულთა ბრძოლისა და ერთიანობის კანონს ექვემდებარება და ამიტომ ის ამ კანონთან ერთად უნდა იყოს განხილული, არ გამოდგება აღნიშნული გარემოების საბუთად, რადგან დიალექტიკის მეოთხე ძირითად ნიშანს ყველაფერი ექვემდებარება და მათ შორის ყველა კატეგორიაც, მით უმეტეს, ე. წ. ფარდობითი კატეგორიები, რომლებიც აუცილებლად წყვილ-წყვილად უნდა იქნენ განხილული (მაგ., არსება და მოვლენა, აუცილებლობა და შემთხვევითობა, ფორმა და შინაარსი და სხვ.).

უნდა ითქვას, რომ მთელი დიალექტიკური ლოგიკის შინაარსისა და კატეგორიების სისტემის შინაარსი ერთი მეორეს პირველად ჰეგელმა გაუთანაბრა. ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკის კატეგორიების სისტემა იგივეა, რაც მისი ლოგიკა, მართალია, ჰეგელმა „რაციონალური მარცვლის“ მიცემასთან ერთად კატეგორიების ბუნება მისტიკურ გარსში გაახვია და იდეალიზმის ნიადაგზე დგომით კატეგორიები ყალბად წარმოგვიდგინა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარი ვთქვათ დიალექტიკური ლოგიკის კატეგორიების გარკვეულ სისტემასთან გათანაბრებაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის მთელი შინაარსი დალაგებული უნდა იქნეს კატეგორიათა სისტემის სახით.

რადგან კატეგორია გარკვეული ბუნების ცნებაა, ხოლო ყოველი ცნება არ არის კატეგორია, ამიტომ ვფიქრობთ, რომ პირველი საკითხი, რომელიც უნდა გაირკვეს, ეს არის ცნებისა და კატეგორიის დამოკიდებულების საკითხი.

ლოგიკის ისტორიის მთელ მანძილზე გადაუწყვეტელ პრობლემად ითვლება ცნებისა და კატეგორიის დამოუკიდებლობის საკითხი. ფილოსოფიის ისტორიაში ყოველ დიდ მოაზროვნეს თავისებურად ესმოდა ცნების, კატეგორიისა და მათი დამოკიდებულების ბუნება. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არაა გამოყენებული მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ფუძემდებელი დებულებები ამ პრობლემის შესახებ.

ფორმალური ლოგიკა, განიხილავდა და განიხილავს რა აზროვნების ლოგიკურ ფორმებს, ცხადია, დიდ ყურადღებას აქცევს ცნების პრობლემას, ფორმალური ლოგიკის ერთ დიდ ნაწილს და ხშირად პირველ და უმთავრეს ნაწილს ცნების თეორია წარმოადგენს. ფორმალურმა ლოგიკამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა კატეგორიების ბუნების სისტემატური განხილვა, მან კატეგორია, როგორც განსაკუთრებული ცნება, შეიძლება ითქვას ვერც გაიგო. ლოგიკოსთა უმრავლესობა იმასაც ფიქრობს, რომ კატეგორიების საკითხი ლოგიკის საკითხს სრულიადაც არ წარმოადგენს, თუმცა შესაბამისი დამაჯერებელი და საკმარისი არგუმენტები ჯერჯერობით არავის მოუყვანია. ზოგიერთი საბჭოთა ლოგიკოსი იმასაც კი ფიქრობს, რომ კატეგორიები მატერიალისტურმა დიალექტიკამ, როგორც შემეცნების თეორიამ, და სპეციალურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიამ უნდა განიხილოს და არა ლოგიკამ, რომელსაც საქმე აქვს მხოლოდ აზროვნების სისწორესთან, აზრთა აუცილებელ გამომდინარეობასთან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მცდარია ლოგიკის დიალექტიკისაგან გათიშვა: თუ კატეგორიები მატერიალისტურმა დიალექტიკამ უნდა განიხილოს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სწორედ ლოგიკაში, სახელდობრ, დიალექტიკურ ლოგიკაში უნდა იქნეს განხილული; ის მასალა კი, რომელიც ფორმალური ლოგიკის მიერ არის წარმოდგენილი, მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების გამოყენებით შეიძლება გავიგოთ. მაგ., მსჯელობა „ცუგა არის ძაღლი“, ვ. ი. ლენინის მიხედვით, კატეგორიების — ერთეულისა და ზოგადის კავშირს წარმოადგენს. ამიტომ უნდა ითქვას, რომ შემეცნების თეორიისა და ლოგიკის პრობლემატიკა მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების გაგების საფუძველზე უნდა იქნეს გადაწყვეტილი.

ცნებისა და კატეგორიის დამოკიდებულების გარკვევა წინასწარ ცნების ბუნების ზოგად დახასიათებას მოითხოვს.

მეცნიერების მიზანი საგნების შესახებ წარმოდგენების შემუშავება კი არ არის, არამედ ცნებების შემუშავებაა. მეცნიერებას აინტერესებს, მაგ., არა რომელიმე საგნის ჩამოვარდნა დედამიწაზე, არამედ საერთოდ მასებს შორის მიზიდულობა, რომელიც მასებსა და მათ შორის მანძილზეა დამყარებული, ე. ი. მეცნიერებას აინტერესებს კანონი და არა მხოლოდ რომელიმე კერძო მოვლენა. გრამატიკას რომელიმე სიტყვა ან წინადადება კი არ აინტერესებს, არამედ საერთოდ სიტყვის ცვლილებას და წინადადებებში სიტყვათა შეკავშირების კანონები და წესები. ასე ითქმის გეომეტრიისა და სხვა მეცნიერების შესახებაც.

ყველაფრის წარმოდგენა არ შეიძლება, მოაზრება კი ყველაფრის შეიძლება; ცნებებს სწორედ მოაზრება იძლევა. მაგ., ათასკუთხედის სურათის ჩვენს ცნობიერებაში გაჩენა, ე. ი. მისი წარმოდგენა შეუძლებელია, ცნება კი სრულიად გარკვეული გვაქვს ათასკუთხედის შესახებ. სინათლის სხივის სისწრაფის წარმოდგენა არ შეგვიძლია, მოაზრება კი — სინათლის სხვის სისწრაფის შესახებ სრულიად გარკვეული ცნება გვაქვს. მხოლოდ წარმოდგენების საფუძველზე მეცნიერების შემუშავება შეუძლებელია. მეცნიერებას ცნებითი აზროვნება გვაძლევს.

საგანი მრავალგვარი ნიშნებით ხასიათდება, საგნის შესახებ წარმოდგენის შემუშავება მისი ნიშნების ასახვას ნიშნავს. წარმოდგენაც აზრია საგნის ნიშნების შესახებ და ცნებაც, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავება არსებობს. წარმოდგენა საგნის ნებისმიერი ნიშნების ასახვაა, ცნება კი მხოლოდ არსებით ნიშნებს ასახავს. არსებითი და არაარსებითი ნიშნების ერთიმეორეში არევა დაუშვებელია მეცნიერებისათვის.

რით განსხვავდება საგნის არსებითი და არაარსებითი ნიშნები ერთიმეორისაგან? არაარსებითი ნიშნები შეიძლება საერთოც იყოს და არც იყოს სხვადასხვაგვარი საგნებისათვის, ისინი გულგრილი არიან ამ საგნების არსებისადმი. არსებითი ნიშნები კი ისეთი ნიშნებია, რომელთაგან თითოეული აუცილებელია, ყველა კი საკმარისი ერთი საგნის სხვა საგნებისაგან განსხვავებულად. ამიტომ არსებითი ნიშნები უნდა შეადგენდნენ საგნის სპეციფიკურობას. საგნის სპეციფიკურობა მის არსებაში ჩანს. ცნება არის აზრი, რომელიც საგნის სპეციფიკურობას, როგორც არსებას, ასახავს. ცნება არის საგნის არსების ამსახველი აზრი. მაგ., ადამიანის სპეციფიკურობა და მისი არსება არის იარაღის მკეთებლობა. ამიტომ ადამიანის ცნებაში მოიაზრება იარაღის მკეთებლობის ნიშანი. მართალია, ადამიანი ცხოველია და ამ ნიშნით იგი ცხოველებთან არის გაერთიანებული, ე. ი. ცხოველობის ნიშანი საერთო ადამიანისა და ცხოველისათვის და, ამავე დროს, ცხოველობა აუცილებელია ადამიანისათვის, ამდენად არსებითიც, მაგრამ არსებითი ნიშანი არ უდრის არსებას.

საგანს შეიძლება მრავალი არსებითი ნიშანი ჰქონდეს, მაგრამ არსება მხოლოდ ერთი აქვს, ამიტომ საგნის ცნება ერთია, სახელდობრ, ის არის აზრი ამ საგნის არსების შესახებ. არსებითი ნიშნები ერთ არსებას ექვემდებარებიან. მაგ., იარაღის მკეთებლების ნიშანს ექვემდებარება ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა სხვა არსებითი ნიშანი.

ჩვენ აქ მხოლოდ ერთი გვინდა აღვნიშნოთ: საგნის ცნებაში ამ საგნის არსებითი ნიშნები იგულისხმება, მაგრამ ის გარემოება, რომ არსება საგნისა ერთია და ცნება სწორედ ამ არსებას უნდა ასახავდეს, ამიტომ არსებობს შესაძლებლობა ცნების და კატეგორიის ურთიერთობის ნათლად წარმოდგენისათვის.

როგორც ცნობილია, ცნებას ორი მხარე აქვს: შინაარსი და მოცულობა. შინაარსი არის ცნების მიერ ნაგულისხმები არსებითი ნიშანთა ერთიანობა, მოცულობა კი — საგანთა ერთობლიობა, რომელიც გათვალისწინებულია ცნების მიერ. მაგ., ადამიანის ცნების შინაარსი იქნება ერთიანობა ნიშნებისა: ცხოველობა, ორფეხიანობა, იარაღის მკეთებლობა, ცნობების ნიშანი და სხვა, ამ ცნების მოცულობა კი — საგანთა ერთობლიობა, რომელსაც შეეხება ეს ცნება, ე. ი. ყველა ადამიანი, რომლებიც წარსულში არსებობდნენ, აწმყოში არსებობენ და ამიერიდან იარსებებენ.

საგნის ცნება შეიძლება მრავალი ნიშნის მქონე იყოს. ეს ნიშნები საგნის ნიშნებია, რომლებიც ამ საგნის ცნებაშია მოაზრებული. ნიშნების მიმატება და გამოკლება ცნებას ცვლის და ცნების იმ მხარესაც, რომელსაც მოცულობა ჰქვია.

როგორც ცნობილია, ცნების შინაარსსა და მოცულობას შორის შებრუნებითი დამოკიდებულებაა, რამდენადაც ცნების ნიშნების მატება ცნების მოცულობის შემცირებას იწვევს, კლება კი — მოცულობის მატებას. თუ ადამიანის ცნებას მოვაკლებთ იარაღის მკეთებლობის ნიშანს, მაშინ მივიღებთ ცხოველის ცნებას, რომელიც ადამიანის ცნებაზე უფრო ფართოა. ცნების მოცულობის სიფართოვე ამ ცნების ზოგადობას ნიშნავს. ადამიანის ცნება ცხოველის ცნებაზე ნაკლებ ზოგადია. თუ ადამიანის ნიშანს კიდევ სხვა ნიშანს მივუმატებთ, მაშინ ამ ცნების მოცულობა, ზოგადობა შემცირდება და მივიღებთ უფრო კონკრეტულ ცნებას, რომელსაც მეტი შინაარსი ე. ი. მეტი ნიშნები ექნება, ვიდრე ადამიანს. თუ ადამიანის ცნებას თეთრკანიანების ნიშანს მივუმატებთ, მივიღებთ თეთრკანიან ადამიანს. თუ ადამიანს ქართველობის ნიშანს მივუმატებთ, მივიღებთ ქართველს, რომელსაც მეტი შინაარსი აქვს და ნაკლები მოცულობა, ვიდრე წინა ცნებებს. ამრიგად, ვღებულობთ ერთგვარ კიბეს („პორფირის ხე“), რომელსაც თავიც აქვს და ბოლოც: არსებობს ისეთი ცნება, რომელსაც მდიდარი შინაარსი აქვს ,მაგრამ მოცულობა არა აქვს, ეს ცნებაა ერთეული საგნის ცნება; მეორე მხრით, არსებობს ისეთი ზოგადი ცნება, რომელსაც უფრო ზოგადი ცნება, ე. ი. გვარი აღარ გააჩნია. სწორედ ასეთ ცნებას ეძახიან კატეგორიას. მაშასადამე, ჩვეულებრივი გაგებით, კატეგორია არის ისეთი ცნება, რომელსაც გვარი არა აქვს, ე. ი. კატეგორია უზოგადესი ცნებაა. კატეგორია ფორმალურ ლოგიკაში სწორედ ამგვარადაა განსაზღვრებული. მაგ., კატეგორია იქნება რიცხვობრიობა, თვისებრიობა, დრო, სივრცე, არსება მატერია და სხვა.

პირველი ზოგადი საკითხი კატეგორიების შესახებ მოძღვრებისა, ჩვენი აზრით, უნდა იყოს გარჩევა ფილოსოფიის კატეგორიებისა სპეციალურ მეცნიერებათა კატეგორიებისაგან. კატეგორიებზე ლაპარაკობენ როგორც სპეციალურ მეცნიერებაში, ისე ფილოსოფიაშიც. ჩვენი მიზანი სწორედ ფილოსოფიის, სახელდობრ, მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების ბუნების ზოგადი დახასიათებაა.

იმ უძირითადეს ცნებებს, რომლებსაც ესა თუ ის სპეციალური მეცნიერება განიხილავს, ამ მეცნიერების კატეგორიები ეწოდება. მაგალითად, დიფერენციაციის ინტეგრალის ზღვრის ცვლადი სიდიდისა და სხვა. ცნებები მატემათიკისათვის ძირითად ცნებებს შეადგენენ. პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებია: ღირებულების, საქონლის,

ფულის, წარმოებითი ურთიერთობის ცნებები და სხვ.

მარქსის „კაპიტალში“ მოცემულია კაპიტალისტური მეურნეობის ანალიზი, რომელიც იგივეა, რაც კაპიტალისტური პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიების ანალიზი. მარქსის „კაპიტალი“ კაპიტალისტური პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა სისტემას წარმოადგენს. „კაპიტალის“ შინაარსი სხვადასხვა კატეგორიების სისტემის შინაარსია. ამ სისტემის ყველაზე უკეთეს ნიმუშებს წარმოადგენს „კაპიტალის“ სამივე ტომის კავშირი და „კაპიტალის“ I ტომის დასაწყისი, სადაც გარჩეულია კატეგორიები: საქონელი, ფული, კაპერელი და ამ კატეგორიების სისტემაა მოცემული. ეს სისტემა სინამდვილის, ისტორიულის ამსახველი ლოგიკური ხასიათისაა, „კაპიტალში“ გატარებულია ლოგიკური, სახელდობრ, დიალექტიკურ-ლოგიკური მეთოდი და ამ მეთოდით არის დალაგებული მთელი შინაარსი, რომლის უზოგადეს მხარეებსაც კატეგორიები წარმოადგენენ. „კაპიტალში“ მიცემული სისტემა კატეგორიებისა წარმოადგენს განვითარებას, სადაც „დალაგება“ კატეგორიებისა შესრულებულია მარტივიდან რთულისაკენ, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლის გზით. ამ მხრივ მარქსის „კაპიტალი“ სანიმუშოა სხვა მეცნიერებისათვის. ყველა მეცნიერება უნდა წარმოადგენდეს საკუთარი ძირითადი ცნებების განვითარებას სისტემის სახით.

მარქსის „კაპიტალის“ I ტომში გარჩეულია კაპიტალისტური მეურნეობის არსება, ზედმეტი ღირებულების წარმოება, მესამე ტომში კი — ამ არსების მოვლენა. მაგ., ფასი არის ღირებულების მოვლენა. ზედმეტი ღირებულებისა და ფასის კატეგორიები კაპიტალისტური პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებია. მაგრამ არსება და მოვლენა ფილოსოფიის კატეგორიებს წარმოადგენენ.

მაშასადამე, მეცნიერებისა და ფილოსოფიის კატეგორიებს შორის დიდი განსხვავებაა, როგორც ეს მოყვანილი მაგალითიდან ჩანს. როგორ უნდა განვასხვაოთ ისინი ერთიმეორისაგან? ამ კითხვაზე ასეთი პასუხი შეიძლება გავცეთ.

ამა თუ იმ მეცნიერების ან, საერთოდ, სპეციალურ მეცნიერებათა და ფილოსოფიის კატეგორიების განსხვავებისათვის აუცილებლად უნდა გამოვიდეთ იქიდან, თუ რას წარმოადგენს ფილოსოფიის საგანი და რას — სპეციალური მეცნიერების საგანი. მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ მისი საგანი არის ბუნების, საზოგადოების და აზროვნების განვითარების უზოგადესი კანონები, სპეციალურ მეცნიერებათა საგანს კი მოძრაობის ესა თუ ის ფორმა წარმოადგენს. მაგ., მექანიკა მექანიკურ მოძრაობას — საგნის მიერ სივრცეში ადგილის მონაცვლეობას სწავლობს, ქიმია — ქიმიურ პრინციპებს, ე. ი. ისეთ პრინციპებს, სადაც ნივთიერების ცვალებადობას აქვს ადგილი. ბიოლოგია სასიცოცხლო პრინციპებს შეისწავლის, საზოგადოებრივი მეცნიერებანი კი — ადამიანთა საზოგადოების, სოციალური მოძრაობის კანონებს და სხვა. თავისებური მოძრაობის ფორმის მქონე საგანი თავისებურ განსაზღვრულობებს შეიცავს; ეს განსაზღვრულობები სხვადასხვაგვარია. კატეგორიები საგნის უძირითადეს განსაზღვრულობების გამომხატველი ცნებებია.

საგნის განვითარება მარტივიდან იწყება და სირთულისაკენ — კონკრეტულისაკენ მიემართება. კონკრეტული მრავალ განსაზღვრულობათა ერთიანობას წარმოადგენს. კონკრეტული იმიტომაა კონკრეტული, რომ იგი მრავალ განსაზღვრებათა შეერთებაა, მაშასადამე, მრავალსახეობის ერთიანობაა“ [1]. საგნის უზოგადესი განსაზღვრულობები, რომლებიც მისი განვითარების პროცესში ყალიბდებიან, შეიძლება ითქვას, წარმოადგენენ კატეგორიების საგანს, რამდენადაც კატეგორიები ის ცნებებია, რომლებიც ამ უზოგადეს განსაზღვრულობებს ასახავენ. მაგ., საქონელი სასაქონლო მეურნეობის კატეგორიაა; ის არის მისი უზოგადესი და, ამავე დროს, არსებითი განსაზღვრულობა. ასე ითქმის ფულის შესახებაც. საქონელი და ფული, მართალია, საერთოდ სასაქონლო მეურნეობის კატეგორიებს წარმოადგენენ, მაგრამ ისინი კაპიტალისტური მეურნეობის დროს უფრო განვითარებული და სრულყოფილი სახით არსებობენ, ვიდრე კაპიტალიზმამდელ ფორმულებში. ამიტომ მათი კაპიტალისტური მეურნეობის უზოგადეს განსაზღვრულობებად განხილვა მათ უფრო ღრმა გაგებას მოგვცემს. კაპიტალი გარკვეული ხასიათის ფულის ტრიალია, ე. ი. ისეთი, რომელშიაც ზედმეტი ფული წარმოიშობა. კაპიტალის კატეგორია მთავარი განმსაზღვრელია კაპიტალისტური მეურნეობის ყველა განსაზღვრულობისა. სწორედ ამიტომ ჰქვია მარქსის შრომას „კაპიტალი“, რომელიც კაპიტალისტური მეურნეობის ანალიზს იძლევა და უჩვენებს იმ გზას, თუ საით მიდის და რას ამზადებს ეს მეურნეობა, როგორი წყობით უნდა შეიცვალოს იგი.

კაპიტალისტური წარმოების ურთიერთობებს კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია სწავლობს, სოციალისტურ წარმოებითს ურთიერთობებს სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომია შეისწავლის და სხვ. ამ მეცნიერებებში განიხილება გარკვეული კატეგორიები და თვითონ მეცნიერებანი ამ კატეგორიათა სისტემას წარმოადგენენ, მაგრამ მათ მიერ ისეთი კატეგორიებიც მოიხმარებიან, რომელთა გარეშე არაფრის გაგება არ შეიძლება არც ამ მეცნიერებაში და არც სხვა მეცნიერებებში, თუმცა არც ერთ სპეციალურ მეცნიერებაში ისინი არ შეისწავლებიან, რადგან საერთოდ სინამდვილის უზოგადეს განსაზღვრელობებს წარმოადგენენ. აი ასეთი კატეგორიები ფილოსოფიურ კატეგორიებს წარმოადგენენ.

მაგ., ესა თუ ის სპეციალური მეცნიერება ამა

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 281.

თუ იმ კატეგორიებს შეისწავლის, მაგრამ არა იმას, თუ კატეგორია, როგორც ასეთი, რას წარმოადგენს. ყოველი მეცნიერების საგანი არსებობს, მაგრამ არსებობა თვითონ არის კატეგორია, რომელიც ამა თუ იმ სპეციალურ მეცნიერებაში არ შეისწავლება, რადგან არსებობს ყველა მეცნიერების საგანი და არა მარტო რომელიმე მეცნიერებისა. არსებობა არ შემოიფარგლება ამა თუ იმ მეცნიერების ფარგლებით. ყველა მეცნიერების საგანი არსებობს, მაგრამ ეს საგანი, როგორც მატერიალური საგანი, დროში და სივრცეშია. მართალია, დროისა და სივრცის მოვლენებს მათემატიკა შეისწავლის, მაგრამ თვითონ დროისა და სივრცის კატეგორიებს არც მათემატიკა და არც სხვა რომელიმე სპეციალური მეცნიერება არ შეისწავლის; მათ ფილოსოფია სწავლობს, რადგან დრო და სივრცე, საერთოდ, სინამდვილის და არა მხოლოდ რომელიმე სპეციალური მეცნიერების საგნის განსაზღვრულობებს წარმოადგენენ. ფიზიკა ფიზიკურ მოვლენებში არსებულ მიზეზობრივ კავშირს სწავლობს, მაგრამ თვითონ მიზეზობრიობა, როგორც ასეთი, ფილოსოფიის მიერ შეისწავლება, რადგან იგი მხოლოდ ფიზიკური მოვლენების ზოგად განსაზღვრულობას კი არ წარმოადგენს, არამედ, საერთოდ, სინამდვილის ერთ-ერთი უზოგადესი განსაზღვრულობათაგანია. ყველაფერი ურთიერთკავშირშია და ყოველი მეცნიერება იმ მოვლენებს, რომელთაც ის შეისწავლის, ურთიერთკავშირში განიხილავს; ნიუტონის კანონიც აუცილებელი და არსებითი კავშირია, ფუნქციონალური კავშირიც ასეთივე კავშირია და სხვ. მაგრამ საერთოდ ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულება, როგორც ცნობილია, დიალექტიკის პირველ ნიშანს წარმოადგენს და მხოლოდ დიალექტიკაში შეისწავლება.

ყოველგვარი მოძრაობა წინააღმდეგობის განხორციელებას წარმოადგენს; ყოველგვარი მოძრაობის წყაროს შინაგანი წინააღმდეგობა შეადგენს; სხვადასხვაგვარი ხასიათის მოძრაობებში შინაგანი წინააღმდეგობები სხვადასხვანაირია; ამა თუ იმ მეცნიერების მიზანს სწორედ ასეთი წინააღმდეგობების აღმოჩენა შეადგენს, რადგან სწორედ შინაგანი წინააღმდეგობებია მოვლენათა მოძრაობა-განვითარების ამსახველი. მაგრამ, საერთოდ, წინააღმდეგობის ბუნების დახასიათება ფილოსოფიის საგანში შედის; დაპირისპირებულთა ბრძოლა და ერთიანობა ყოველგვარი მოძრაობის ამხსნელია და დიალექტიკის „ბირთვს“ წარმოადგენს. ქიმია მეცნიერებაა, რომელიც ნივთიერების რიცხობრივი ცვლილებების საფუძველზე მომხდარ თვისებრივ ცვლილებებს სწავლობს, მაგრამ თვითონ რიცხობრიობის თვისებრიობაში გადასვლის კანონი კი დიალექტიკის ერთ-ერთ კანონს წარმოადგენს და ფილოსოფიაში, სახელდობრ, დიალექტიკურ მატერიალიზმში შეისწავლება. ყოველი განვითარება შესაძლებლობის სინამდვილეში გადასვლას წარმოადგენს, ამიტომ მასთან ყოველ მეცნიერებას აქვს საქმე; ყოველ მეცნიერებაში გამოიყენება ასეთი კატეგორიები, როგორიცაა სინამდვილის, შესაძლებლობის, შემთხვევითობის, აუცილებლობის: ფორმის, შინაარსის და სხვა კატეგორიები, რომლებიც სინამდვილის უზოგადეს მხარეებს ასახავენ, მაგრამ ეს მხარეები არც ერთი მეცნიერების მიერ არ შეისწავლებიან; ისინი ფილოსოფიის საგანს შეადგენენ. სწორედ ამიტომ ფილოსოფია სპეციალურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიას წარმოადგენს.

მაშასადამე, თავისებური მოძრაობის ფორმის მქონე საგნის უზოგადესი მხარეების ამსახველ ცნებებს მეცნიერების კატეგორიები წარმოადგენენ. საერთოდ, სინამდვილის, ბუნების, საზოგადოების და აზროვნების უზოგადესი მხარეების ამსახველი ცნებები კი ფილოსოფიის, როგორც მეცნიერებათა მეთოდოლოგიის, კატეგორიებს წარმოადგენენ.

კატეგორიებისა და მეცნიერების კანონების დამოკიდებულების საკითხიდან აქ მხოლოდ ერთი რამ გვაინტერესებს, — ეს არის კატეგორიების მეცნიერების კანონებისაგან განსხვავება.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ მეცნიერების კანონები კი არ არიან კატეგორიები, არამედ, საერთოდ, კანონი არის ერთ-ერთი კატეგორიათაგანი. განვიხილოთ მოკლედ მეცნიერების კანონის ბუნება და შემდეგ მოვახდინოთ მისი შედარება კატეგორიასთან, რათა კატეგორიის ბუნების ზოგადი დახასიათება მოვახერხოთ. ჩვენ აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს არა სპეციალური მეცნიერების კატეგორიები, არამედ ფილოსოფიისა.

დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ მეცნიერების კანონი უსათუოდ ობიექტური ხასიათისაა. არ არსებობს სუბიექტური კანონი. კანონის სუბიექტურობა აღიარება თვითონ კანონის უარყოფაა. მეცნიერების კანონის არც დადგენა შეიძლება და არც გაუქმება, ის ობიექტურია, ადამიანისაგან დამოუკიდებელია.

აქ „ობიექტური“ ორგვარი მნიშვნელობით იხმარება. მეცნიერების კანონი, მაგ., მიზიდულობის კანონი მოვლენათა შორის არსებული გარკვეული კავშირია და ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ჩვენ მისი შემეცნება და ჩვენი ინტერესებისათვის გამოყენება შეგვიძლია. ობიექტურია ნიუტონის ფორმულაც ამ კანონისა. კანონი, როგორც ფორმულა, ჩვენი აზრია, მაგრამ ის ჩვენგან დამოუკიდებლად არსებულის გამოთქმაა, აზრში გამოხატვაა. ამ შემთხვევაში „ობიექტური“ იხმარება ობიექტური ჭეშმარიტების აზრით.

დიალექტიკურ მატერიალიზმში ზუსტად არის გარკვეული, რომ მეცნიერების კანონთა ობიექტურობის უარყოფა მეცნიერების უარყოფას წარმოადგენს, რადგან მას უსაგნოდ ტოვებს; მეცნიერების საგანს შეადგენს აღმოაჩინოს სინამ-

დვილეში არსებული ობიექტური კანონები. ამ უკანასკნელთა უარყოფა პირველის უარყოფაცაა.

მაშასადამე, ობიექტურობა აუცილებელია მეცნიერების კანონისათვის. ობიექტურობა მეცნიერების კანონის არსებით ნიშანს წარმოადგენს. კატეგორიაც ობიექტურია. მაგრამ კატეგორია ცნებაა. ცნების ობიექტურობა ობიექტური ჭეშმარიტების ხასიათისაა. ჭეშმარიტების ობიექტურობა ასახვის ობიექტურობაა. ასახვა არ არსებობს ჩვენი ცნობიერებისგან დამოუკიდებლად, ის ცნობიერებაშია, ცნობიერება თვითონ არის ასახვა ჩვენგან დამოკიდებულად არსებული სინამდვილისა. ამ ასახვის ერთ ფორმას ცნება წარმოადგენს. კატეგორია არის ერთ-ერთი ცნებათაგანი, ის უძირითადესი და უზოგადესი ცნებაა. ცნებას კი ახასიათებს ობიექტურობა მხოლოდ ობიექტური ჭეშმარიტების აზრით. სინამდვილეს გარკვეული უზოგადესი განსაზღვრულობები გააჩნია, კატეგორიები კი, როგორც ეს ზემოთ გავარკვიეთ, ამ უზოგადესი განსაზღვრულობების ამსახველ ცნებებს წარმოადგენენ. კატეგორიების, როგორც ცნებების, მათ მიერ ასასახავ უზოგადეს განსაზღვრულობებთან გაიგივება ჰეგელიანურ შეცდომას წარმოადგენს, სახელდობრ, იმ შეცდომას, რომელიც სინამდვილის აზრთან გაიგივებაში მდგომარეობს. ასეთი გაიგივება, როგორც ცნობილია, აზრსაც უკარგავს თვისებურებას და სინამდვილესაც; ორივეს ყალბად წარმოადგენს.

ობიექტურობა მეცნიერების კანონის არსებითი და აუცილებელი ნიშანია, მაგრამ იგი სრულიადაც არ არის საკმარისი. მხოლოდ ობიექტურობა მეცნიერების კანონს ვერ დაგვიხასიათებს. რომ ობიექტურობა აუცილებელიც იყოს და საკმარისიც მეცნიერების კანონისათვის, მაშინ ობიექტურად არსებული და კანონი ერთი და იგივე იქნებოდა; ასეთი თვალსაზრისისათვის მოვლენები აღარ არსებობდნენ, მაშინ სინამდვილე კანონებთან იქნებოდა გაიგივებული; აღარ იარსებებდა ის, რაც კანონს ექვემდებარება, — უარყოფილი გამოვიდოდა თვალხილულობა, ის, რაც შეგრძნებებში გვეძლევა. ეს იქნებოდა მისტიკური თვალსაზრისი.

ობიექტურად მოვლენაც არსებობს და არა მხოლოდ კანონი. კანონის მოვლენისაგან გამორჩევა მხოლოდ ობიექტურობის ნიშნით არ შეიძლება. ობიექტურობა ერთნაირად ახასიათებს როგორც კანონს, ისე მოვლენას. ამიტომ კანონს ახასიათებს სხვა ნიშნებიც, რომლებიც მას მოვლენისაგან განასხვავებს.

დედამიწის ზედაპირიდან ასროლილი ქვა ქვევით ვარდება არა შემთხვევით, არამედ აუცილებლობით. მასებს შორის კავშირი აუცილებელი კავშირია. ამ აუცილებლობას გამოხატავს კანონი. კანონს აუცილებლობის ნიშანი აქვს და არა მხოლოდ ობიექტურობის ნიშანი. ობიექტურად შემთხვევაც არსებობს, მაგრამ ის არ არის კანონი. მეცნიერება შემთხვევითობის მტერია, რადგან ის მხოლოდ აუცილებლობის მქონე კანონებს უნდა დაემყაროს და არა შემთხვევითობას, თუმცა ეს უკანასკნელი სინამდვილეში არსებობს.

შემთხვევითობა არ არის კანონი, მაგრამ კატეგორიას წარმოადგენს, რადგან შემთხვევითობა ობიექტურად არსებობს და სინამდვილის ერთ-ერთი უზოგადესი განსაზღვრულობაა. მოვლენის ერთი მხარე უსათუოდ შემთხვევითია, სახელდობრ, ის მხარე, რომელიც შექმნილია სხვა საგანთა დამოუკიდებლობის შედეგად და უშუალოდ არ გამომდინარეობს ამ მოვლენის არსებისაგან.

შემთხვევითობა არის ცნება-კატეგორია, რომელიც მოვლენათა ერთ მხარეს ასახავს, მაგრამ კანონს არ წარმოადგენს. ყველა კანონი მეცნიერებისა კი აუცილებლობის კანონებს წარმოადგენენ; აუცილებლობა კანონის არსებითი ნიშანია; მისი უარყოფა შემთხვევითობის ქაოსის მონებად გახდის ადამიანებს.

მოვლენათა შორის კავშირები ორგვარია: გარეგანი და შინაგანი ანუ არსებითი. კანონი არის არა გარეგანი, არამედ შინაგანი არსებითი კავშირი მოვლენათა შორის. ამიტომ კანონი ჩვენ უშუალოდ არ გვევლინება. არც ერთი კანონის შეგრძნება არ არის შესაძლებელი. კანონს არც ერთი გრძნობადი თვისება არა აქვს. მაგ., ნიუტონის კანონს, მიზიდულობის კანონს არა აქვს არც ფერი, არც სუნი, არც გემო და არც ერთი გრძნობადი თვისება. ის მხოლოდ აზროვნებით მიიწვდომება.

კანონი არსებითი კავშირია; კანონები საგნის არსებას გვიჩვენებენ. თვითონ არსება, ისე როგორც, საერთოდ ,კანონი, როგორც კანონი, კატეგორიას წარმოადგენს. მეორე მხრით, კანონი მოვლენათა ამხსნელია, ე. ი. იმის ამხსნელია, რაც არსებას გამოავლენს, მაგრამ თვითონ მოვლენა ცხადია, კანონს არ წარმოადგენს. მოვლენა როგორც ასეთი (და არა რომელიმე მოვლენა), კატეგორიას წარმოადგენს და არა კანონს, რადგან მოვლენა სინამდვილეს და სინამდვილეში არსებული ყოველი საგნის, ერთ მხარეს შეადგენს ერთ უზოგადეს განსაზღვრულობას, რომლის ამსახველი ცნება — კატეგორიას წარმოადგენს.

მაშასადამე, კატეგორიის და კანონის გაიგივება შეუძლებელია, თუმცა კანონი, როგორც ასეთი, თვითონ არის ერთ-ერთი კატეგორიათაგანი.

ღირებულების კანონი მართლაც კანონია, თვითონ ღირებულება კი — პოლიტიკური ეკონომიის კატეგორია. ღირებულების კანონი საქონელთა გარკვეული შინაგანი, არსებითი, აუცილებელი კავშირია. ღირებულება კი, რომლის მიხედვით უკავშირდება საქონლები და მყიდველ-გამყიდველი ერთიმეორეს, კატეგორიას წარმოადგენს. საქონელი პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიაა, მაგრამ იგი კანონს არ წარმოადგენს. ფულიც კატეგორიაა და არა კანონი და სხვ.

კანონი შეიძლება კატეგორიების კავშირიც იყოს, მაგ., დიალექტიკის ისეთი ძირითადი კა-

ნონი, როგორიცაა თვისებრიობის და რიცხობრიობის ურთიერთ გადასვლის კანონი, არის აუცილებელი და არსებითი კავშირი თვისებრიობის და რიცხობრიობის კატეგორიებისა. აქ კანონი კატეგორიების კავშირია და არა თვითონ კატეგორია; და ეს კატეგორიები კანონებს სრულიადაც არ წარმოადგენენ; თვისებრიობა და რიცხობრიობა სინამდვილის (და მასში არსებული ყოველი საგნის) უზოგადეს განსაზღვრულობებს წარმოადგენენ.

უარყოფის კანონიც წარმოადგენს კატეგორიების გარკვეულ კავშირს, რომელიც სხვადასხვა კატეგორიებს გულისხმობს, მაგ., თვისებრიობას, რიცხვობრიობას, ძველს, ახალს, უარყოფას და სხვ. არსებობს უარყოფის უარყოფის კანონი, მაგრამ უარყოფა, როგორც ასეთი, კატეგორიაა. არსებობს იგივეობის კანონი, მაგრამ თვითონ იგივეობა კანონი კი არაა, არამედ კატეგორიაა. წინააღმდეგობის კანონი არსებობს, მაგრამ თვითონ წინააღმდეგობა ერთ-ერთი კატეგორიაა მატერიალისტური დიალექტიკისა.

მატერიალისტური დიალექტიკის მრავალი კატეგორია ურთიერთკავშირში იმყოფება, თანახმად შინაგანი წინააღმდეგობის კანონისა. მაგ., არსების და მოვლენის კატეგორიები, შესაძლებლობის და სინამდვილის, ფორმისა და შინაარსის, აუცილებლობისა და შემთხვევითობის, აუცილებლობისა და თავისუფლების კატეგორიები ერთიმეორეს უკავშირდებიან წინააღმდეგობის ერთიანობის კანონის თანახმად. ამ წყვილ-წყვილი კატეგორიების კავშირები თვითონ წარმოადგენენ წინააღმდეგობის კანონის მაგალითებს.

*

* *

კატეგორიები არის შემეცნების ისტორიის საფეხურები და საკვანძო პუნქტები.

შემეცნება პროცესს წარმოადგენს. ჭეშმარიტება პროცესსა და განვითარებაშია. შემეცნებას ისტორია არ ექნებოდა, რომ სინამდვილე არ ვითარდებოდეს და საგნის შემეცნება უცბად, ერთბაშად ხდებოდეს. მხოლოდ დიალექტიკურმა მატერიალიზმმა მოახერხა გადაეწყვიტა შეფარდებითი და აბსოლუტური ჭეშმარიტების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

სინამდვილის განვითარება აუცილებლობით მოითხოვს ამ სინამდვილის შემეცნების განვითარებას. სინამდვილის ისტორია მისი შემეცნების ისტორიასა ჰქმნის. განვითარებაში მყოფი სინამდვილის ერთბაში შემეცნება შეუძლებელია სწორედ იმიტომ, რომ სინამდვილე განვითარებაშია და, რაც ამიერიდან იქნება, ის მანამდე არ შეიმეცნება ,სანამ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ყოველი მეცნიერება იმდენად არის მეცნიერება, რამდენადაც მას წინასწარჭვრეტა შეუძლია. წინასწარჭვრეტა შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ მეცნიერების საგანს ზოგადი წარმოადგენს. ზოგადი კი ისაა, რაც იყო, არის და იქნება. მაგრამ, ცნობილია, რომ აწმყოში მოცემულის განვითარების გარკვეული მომენტის მხოლოდ ტენდენციები და ზოგადი ხაზები შეიმეცნება. ყველაფრის შემეცნება, რაც მომავალში იქნება, ცხადია, შეუძლებელია აწმყოში განხორციელდეს.

სოციალური პრაქტიკის განვითარების მიხედვით ვითარდება უნარი შემეცნებისა; სოციალური პრაქტიკის საფუძველზე ჩვენ სინამდვილეს თანდათან, ნაწილ-ნაწილ შევიმეცნებთ და ამიტომ არ შეიძლება, რომ შემეცნებას ისტორია არ ჰქონდეს.

პირველად შემეცნება ისტორიის სახით ჰეგელმა წარმოადგინა, მაგრამ ეს „ისტორია“ არ იყო ნამდვილი ისტორია; იგი მისტიკურად გაყალბებული იყო, თუმცა მასში „რაციონალური მარცვალი“ უსათუოდ იყო მოცემული. ჰეგელი შეეცადა მეცნიერებისა და ფილოსოფიის ისტორია თავისი სისტემის საფუძვლად გამოეყენებინა. ჰეგელის სისტემა — ეს არის ფილოსოფიის ისტორია, ზოგად ხაზებში აღებული, თუმცა ხშირად ხელოვნურად შეკეთებული.

ჰეგელმა ისტორიული და ლოგიკური ერთიმეორესთან გააიგივა. ჰეგელის აზრით, მეცნიერებისა და ფილოსოფიის ისტორია არის ღმერთის თვითშემეცნების ისტორია. კატეგორიები სხვა არაფერია, თუ არა აბსოლუტის თვითშემეცნების საფეხურები. აბსოლუტმა ჯერ თავისი თავი იცოდა როგორც არსი, შემდეგ არარა, ისინი ერთსა და იმავეში გადავიდნენ, შეიქმნა ქმნადობის საფეხური (ჰერაკლეს ფილოსოფია) და ასე შემდეგ აბსოლუტურ იდეამდე, როცა აბსოლუტმა თავისი თავი მთლიანად ამოწურა და შეიმეცნა. ეს მოხდა თვითონ ჰეგელის ფილოსოფიაში.

მიუხედავად მისტიკისა, ჰეგელთან ღირებულია შემეცნების ისტორიულობის აღიარება. თუმცა ეს ისტორიულობა იგივე ლოგიკურობა იყო, მაგრამ „რაციონალური მარცვალი“ მაინც რჩებოდა; ლოგიკურ ისტორიაში სინამდვილის ისტორიას მაინც „მიხვდა“ ჰეგელი.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ლოგიკური ისტორიულის მხოლოდ ასახვას წარმოადგენს.

ისტორიული ლოგიკურში აისახება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ლოგიკური ისტორიულის ქრონოლოგიური აღწერაა; ასეთ შემთხვევაში ლოგიკური არც იარსებებდა. დროში თანმიმდევრობა სრულიადაც არ არის აუცილებლობა. მაგრამ ისტორიული განვითარება არსებითად პროგრესული პროცესია. საქონელი წინ უსწრებს ისტორიულად ფულს, ფული — კაპიტალს. მარქსის „კაპიტალი“, როგორც ლოგიკა, მცირეა. ისინი კატეგორიათა ლოგიკურ თანმიმდევრობას განიხილავენ, სახელდობრ, იმ თანმიმდევრობას, რომელიც ისტორიულს ასახავს.

ამავე დროს, შესაძლებელია, რომ ისტორიუ-

ლად ადრე არსებული ლოგიკური დალაგების დროს შემდეგ იქნეს განხილული.

მეცნიერების, საერთოდ, შემეცნების მიზანს საგანის არსების შემეცნება წარმოადგენს. ამიტომ მთავარი კატეგორია არსების კატეგორიაა, რომლის სხვადასხვა მხარე წარმოადგენს მასზე დაქვემდებარებულ განსაზღვრულობებს, რომლებიც არსების კატეგორიის ქვემდებარე კატეგორიებში აისახებიან. მეცნიერების ისტორია იწყება მაშინ, როცა აზროვნება ცდილობს საგნების, სწორედ მატერიალური საგნების არსების აღმოჩენას.

მეცნიერებისა და ფილოსოფიის ძველ საფეხურზე (მაშინ მეცნიერება და ფილოსოფია ერთიმეორისაგან არ განირჩეოდა) არსება ზოგმა მატერიალურ ნივთიერებად წარმოადგინა, ზოგმა მოძრაობად (ჰერაკლიტე), ზოგმა—უცვლელ არსად, ზოგმა — ერთად, ზოგმა—სიმრავლედ და სხვა. ამრიგად, ჩამოყალიბდა სხვადასხვა კატეგორიები. მეცნიერებისა და ფილოსოფიის ისტორია კატეგორიების ჩამოყალიბების ისტორიაა, ე. ი. ისტორია სინამდვილის სხვადასხვა უზოგადესი მხარეების აღმოჩენისა და მათი ამსახველი ცნებების — კატეგორიების ჩამოყალიბებისა.

* * *

კატეგორიათა კავშირის ხასიათის და კატეგორიათა სისტემის შედგენის შესაძლებლობის გასაგებად უნდა გამოვიდეთ კ. მარქსის „კაპიტალში“ მოცემული კატეგორიათა კავშირის და სისტემის ბუნებიდან.

როგორ უკავშირდება ერთი კატეგორია მეორეს და როგორ შეიძლება კატეგორიათა სისტემა შევადგინოთ? სისტემა კატეგორიებისა სხვა არაფერია, თუ არა კატეგორიების კავშირი, ამიტომ ორი კატეგორიის კავშირის საფუძველზე შეგვიძლია გავიგოთ, საერთოდ, კატეგორიათა სისტემის შედგენის ხასიათი და შესაძლებლობა.

ერთი კატეგორიის მეორესთან კავშირი უნდა გამოხატავდეს, ცხადია, იმას, თუ როგორ უკავშირდება ერთი კატეგორიის, როგორც ცნების, მიერ ასახული უზოგადესი განსაზღვრულობა მეორე კატეგორიის მიერ ასახულ განსაზღვრულობას. მაგ., როგორ უკავშირდება საქონელი ფულს, ან ფული — კაპიტალს, ეს თვითონ საქონლისა და ფულის ანალიზის შედეგად აღმოჩნდება.

ფული წყვეტს საქონლის წინააღმდეგობას. ამრიგად, ვღებულობთ საქონლისა და ფულის კავშირს. საქონელი უფრო მარტივია, ფული კი უფრო რთული. საქონლის საფეხურიდან — კატეგორიიდან ავდივართ ფულის კატეგორიაზე — საფეხურზე, შინაგანი უარყოფის და წინააღმდეგობის გახსნისა და დაძლევის საშუალებით.

ამრიგად, კატეგორიათა, როგორც სინამდვილის უზოგადეს განსაზღვრულობათა, კავშირი დიალექტიკურია, ის სრულდება შინაგანი უარყოფისა და წინააღმდეგობის საშუალებით.

მაშასადამე, კატეგორიათა კავშირი და სისტემა წინააღმდეგობის ერთიანობის პრინციპს და კანონს უნდა ემყარებოდეს და მის განხორციელებას უნდა წარმოადგენდეს.

* * *

კატეგორიის განსაზღვრება შეიძლება გამოითქვას ერთი წინადადებით, რომელშიც მოცემული იქნება ძირითადი იმისა, რაც ზემოთ კატეგორიის ბუნების შესახებ ითქვა. მაგრამ ჯერჯერობით საჭიროა კატეგორიის განსაზღვრების ხერხის შესახებ ითქვას რამდენიმე სიტყვა.

ცნების განსაზღვრების ხერხი, რომელიც ფორმალურ ლოგიკაშია შემუშავებული, კატეგორიის განსაზღვრებისათვის არ გამოდგება, როგორც ამას ფორმალური ლოგიკა აშკარად აღიარებს. ცნების განსაზღვრების ჩვეულებრივი ხერხი, როგორც ცნობილია, იმ უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის ჩვენებაში მდგომარეობს, რომლებიც მიეყენებიან იმ ცნებებს, რომელთაც გვარი გააჩნიათ. კატეგორიები ასეთ ცნებებად არ არიან მიჩნეული და ამიტომ მათ მიმართ აღნიშნული ხერხი განსაზღვრებისა არ გამოდგება. ფორმალურმა ლოგიკამ ვერ შეძლო კატეგორიის განსაზღვრების ხერხისა და წესის მოცემა. ასეთი ხერხისა თუ წესის მოცემა შესაძლებელია მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკაში, რომელიც ყველაფერს განვითარებაში, სუბორდინაციის გარკვეულ სისტემაში განიხილავს.

ცნების განსაზღვრების ჩვეულებრივი ხერხი გამოიყენება ისეთი ცნებების მიმართ, რომელთაც გვარი აქვთ; ასეთ ცნებებს უსათუოდ რამდენიმე ნიშანი უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. ისეთ შემთხვევაში, როცა ცნებას მხოლოდ ერთი ნიშანი აქვს, მას გვარი არ ექნება, და მისი განსაზღვრება ჩვეულებრივი ხერხით შეუძლებელი იქნება და არის. ადამიანის ცნებას რამდენიმე ნიშანი აქვს; ერთი ასეთი ნიშანი ცხოველების ნიშანია, რომელიც მის მიმართ გვარს წარმოადგენს. ამიტომ ადამიანის განსაზღვრების დროს უჩვენებენ ცხოველის ნიშანს, როგორც გვარს და ადამიანის იმ სპეციფიკურ ნიშანს, რომლითაც ადამიანი ცხოველების სხვა სახეებისაგან განსხვავდება. მაგრამ თუ ავიღებთ კატეგორიებს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ მათ თითო ნიშანი აქვთ, ამიტომ არც გვარი გააჩნიათ. აუცილებლობას, შემთხვევითობას, თავისუფლებას და სხვ. გვარი არ გააჩნიათ. მართალია, ყველა კატეგორიის გვარი კატეგორიაა, მაგრამ თვითონ კატეგორიას არა აქვს გვარი; ასევე აუცილებლობას არა აქვს გვარი; არსებობს ნამდვილად გაგებული მხოლოდ ერთი აუცილებლობა, ასევე — შემთხვევითობა, თავისებურება, რიცხვობრიობა, თავისუფლება და სხვ. ამიტომაა, რომ კატეგორია უზოგადესი და უძირითადესი

ცნებაა, რომელიც განსაზღვრების გარკვეულ ხერხს მოითხოვს.

ეს ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ რომელიმე კატეგორიის განსაზღვრება იმ კატეგორიის აღნიშვნას ნიშნავს, რომელიც პირველს განსაზღვრავს, ამ აზრით მას წინ უსწრებს. მაგალითად, თავისუფლება აუცილებლობით განისაზღვრება (თავისუფლება არის შეგნებული აუცილებლობა), ცნობიერება არსით განისაზღვრება (ცნობიერება, მარქსის თქმით, ასახული გაცნობიერებული ყოფიერებაა). კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა კატეგორიათა სისტემაში. იმის გაგება, თუ რომელი კატეგორია რომელს უსწრებს წინ, არის ამ კატეგორიების განსაზღვრება.

მახისტი ბოგდანოვი მოითხოვდა, რომ მატერია განსაზღვრულიყო ფორმალურ-ლოგიკური ხერხით. ამჩნევდა რა ბოგდანოვი იმ ფაქტს, რომ მატერიის განსაზღვრება ამ ხერხით შეუძლებელია, მატერიის უარყოფამდე მიდიოდა. ვ. ი. ლენინმა გამოააშკარავა ბოგდანოვის თვალთმაქცობა. დაამტკიცა, რომ ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრა ფორმალურ-ლოგიკური წესით შეუძლებელია, ამასთანავე, ლენინმა მატერიის კლასიკური განსაზღვრება მოგვცა.

„არსებითად შეუძლებელია სხვა განსაზღვრის მიცემა გნოსეოლოგიის ორი უკანასკნელი ცნებისათვის (ლაპარაკია მატერიის და ცნობიერების შესახებ) გარდა იმის აღნიშვნისა, რომელი მათგანია მიღებული პირველად"[1].

სწორედ ამიტომ ამბობდა ფ. ენგელსი, რომ ჩვეულებრივი დეფინაცია მეცნიერებისათვის არ არის საკმარისი (თუმცა აუცილებელი კია).

კატეგორია, როგორც ითქვა, არის უზოგადესი ცნება, რომელიც სინამდვილის უზოგადეს განსაზღვრულობის ჩვენს ცნობიერებაში ასახვას წარმოადგენს.

დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ შემეცნება იწყება უშუალო, ცოცხალი აღქმისაგან. ამიტომ შემეცნების ამოსავალი პუნქტი ყოველთვის რთული და კონკრეტულია. უშუალო აღქმაში არ გვეძლევა საგანთა და მოვლენათა კავშირურთიერთობის კანონზომიერება. მხოლოდ უშუალო აღქმით საგნებისა და მოვლენების კანონზომიერებას ვერ აღმოვაჩენთ. მართალია, შემეცნება უშუალო აღქმიდან იწყება, მაგრამ იგი შემეცნების მიზანი როდია. მეცნიერული შემეცნების მიზანი საგანთა და მოვლენათა კანონზომიერების აღმოჩენაა, რათა ისინი პრაქტიკაში იქნენ გამოყენებული. ყოველი მეცნიერება, ცხადია, იწყებს კონკრეტული საგნებისა და მოვლენების შესწავლით, უშუალო აღქმაში აისახება. საგნებისა და მოვლენების შემეცნებაში რომ მეცნიერება მხოლოდ უშუალოდ აღქმით დაკმაყოფილდეს და ამაზე შორს არ წავიდეს, მეცნიერებაც აღარ იქნება. ჭეშმარიტი მეცნიერება იქ იწყება, სადაც იგი კონკრეტულში, მრავალფეროვანში აღმოაჩენს ზოგადს, არსებითს, რომელიც განაპირობებს კონკრეტულის არსებობას და განვითარებას. ზოგადი, არსებითი კი, როგორც მეცნიერებისა და ფილოსოფიის განვითარების ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, კონკრეტულის ზედაპირზე არ დევს, იგი სიღრმეშია და უშუალო აღქმაში არ გვეძლევა. ზოგადის, საგნის არსების უშუალოდ აღქმით ასახვა რომ შეიძლებოდეს, მაშინ მეცნიერება საჭირო აღარ იქნებოდა და ადამიანები სინამდვილის კანონებს უშუალო ჭვრეტით აღმოაჩენდნენ. სინამდვილის ზოგადი, არსებითი მხარე კანონებში, კატეგორიებში გამოიხატება.

ყოველი მეცნიერება სინამდვილის კანონთა და კატეგორიათა გარკვეულ სისტემას წარმოადგენს. ყოველ მეცნიერებას გააჩნია თავისი საკუთარი კანონთა და კატეგორიათა ნომენკლატურა, რომელიც ამა თუ იმ მეცნიერების მიერ არის აღმოჩენილი და მის მიერ მოიხმარება. არის ისეთი კანონები და კატეგორიები, რომლებიც აღმოჩენილია არა რომელიმე სპეციალური მეცნიერების, არამედ ფილოსოფიის მიერ. ეს კანონები და კატეგორიები სინამდვილის საყოველთაო კანონები და კატეგორიებია, რომლებიც ყველა მეცნიერებაში გამოიყენება, მაგრამ არც ერთი სპეციალური მეცნიერება მათ არ იკვლევს. ასეთი კანონი და კატეგორიებია, მაგალითად, რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთში გადასვლის, უარყოფის უარყოფის, დაპირისპირებულთა ერთიანობის და ბრძოლის კანონი. ამ სამი ძირითადი, საყოველთაო კანონის გარდა, არსებობს საყოველთაო კატეგორიები — მატერიის, ცნობიერების, ჭეშმარიტების, არსებისა და მოვლენის, მიზეზისა და შედეგის, აუცილებლობისა და შემთხვევითობის, სინამდვილისა და შესაძლებლობის, თავისუფლებისა და აუცილებლობის, ფორმისა და შინაარსისა და სხვა. ეს კანონები და კატეგორიები მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კვლევის საგანს წარმოადგენს, მათ შესახებ საერთო მეცნიერულ თეორიას მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია შეიმუშავებს. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია სინამდვილის საყოველთაო კანონებსა და კატეგორიებს აღმოაჩენს და მათზე მწყობრ მეცნიერულ თეორიას აგებს არა მარტო ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის განზოგადების, არამედ მეცნიერებათა მიღწევების განზოგადების საფუძველზე.

სპეციალურ მეცნიერებათა წარმატება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ესმის და იყენებს იგი სინამდვილის საყოველთაო კანონებს, როგორი სოფლმხედველობა გააჩნია მეცნიერს, მწერალს, ხელოვანს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცნიერებისა და, საერთოდ, ცოდნის ყველა დარგის განვითარება ყოველთვის ემყარება გარკვეულ მსოფლმხედვე-

[1] ვ. ი. ლენინი. მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, გვ. 177.

ლობას, — მსოფლმხედველობა კი სხვა არაფერია, თუ არა სინამდვილის ზოგადი, საერთო, საყოველთაო კანონთა და კატეგორიათა ერთობლიობა.

ერთადერთი მეცნიერული მსოფლმხედველობა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიაა, იგი საყოველთაო მეთოდოლოგიაა და სინამდვილის გარდაქმნის იდეური იარაღი და ინსტრუმენტი.

მეცნიერების, ხელოვნების, ცოდნის სხვა დარგთა განვითარების ისტორია მიგვითითებს მრავალ ფაქტებზე, რომლებიც იმას ადასტურებენ, რომ ხშირად მეცნიერების, ხელოვნებისა და სხვათა ჩამორჩენა, კრიზისი, სხვათაშორის, გაბატონებული რეაქციული მსოფლმხედველობით აიხსნება. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ფიზიკაში რომ კრიზისი გაჩნდა, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იდეალისტური და მეტაფიზიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობაა, რომელიც გავრცელებული იყო ბუნებისმეტყველთა მნიშვნელოვან ნაწილში. ცნობილია, რომ ამ პერიოდში ბუნებისმეტყველების, კერძოდ ფიზიკის, განვითარება სწრაფი ტემპით მიდიოდა. არაიშვიათი იყო ახალ-ახალი აღმოჩენები. ბუნებისმეტყველებამ დააგროვა უამრავი ფაქტი, რომელთა განზოგადებამ დიდი დავა გამოიწვია. ცხადია, ეს დავა და დისკუსია ახალი აღმოჩენების ფაქტობრივ მხარეს კი არ ეხებოდა, არამედ მათ ფილოსოფიურ განზოგადებას. ფიზიკოსის მნიშვნელოვან ნაწილს, სუბიექტურად, მეტაფიზიკურად ჰქონდა წარმოდგენილი სამყაროს საყოველთაო კანონები და კატეგორიები. ამის გამო ახალი, ეპოქალური აღმოჩენების ყალბი განზოგადების საფუძველზე ობიექტური სინამდვილის უარყოფამდე მივიდნენ, მეცნიერების განვითარებას გზა დაუხშეს და ფიდეიზმს ქადაგებდნენ.

ზემოთ ზოგადად განხილული იყო დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიათა საერთო ბუნება. ამ წერილის მიზანი არ არის მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კატეგორიათა მთელი სისტემის გადმოცემა. აქ ჩვენ საილუსტრაციოდ განვიხილავთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კატეგორიას — ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის კატეგორიას, რომელიც, ყველა სხვა კატეგორიათა შორის ძალზე გავრცელებულია და იგი გამოიყენება ცოდნის ყველა სფეროში. ფორმისა და შინაარსის კატეგორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სინამდვილის სწორი შემეცნებისათვის, არამედ უმთავრესად ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ბუნების, საზოგადოებისა და ცნობიერების ყველა მოვლენა გარკვეულია, ისინი ერთიმეორისაგან არსებითად თავიანთი გარკვეულობით განსხვავდებიან, მათ გარკვეული ფორმა და შინაარსი გააჩნიათ. შინაარსი საგნის, მოვლენის ის მხარეა, რომელიც მის შემადგენელ ძირითად ელემენტებს გამოხატავს, ამ ელემენტთა ერთობლიობაა. ასე, მაგალითად, საზოგადოებრივი საწარმოო ძალების ძირითადი ელემენტებია: სამუშაო ძალა (ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ შრომის ჩვევები და სათანადო საწარმოო გამოცდილება) და წარმოების იარაღები (მანქანა-იარაღები). საწარმოო ძალების ამ ძირითადი ელემენტების გარეშე საზოგადოებრივი მატერიალური წარმოება შეუძლებელია, ეს ელემენტები წარმოების მთავარი და გადამწყვეტი ძალაა. მათი უბრალო მექანიკური ერთობლიობა არ წარმოადგენს საზოგადოების საწარმოო ძალებს. საზოგადოების საწარმოო ძალებად, წარმოების გადამწყვეტ პირობად ისინი იქცევიან მხოლოდ მაშინ, როცა გარკვეული წესით ურთიერთდაკავშირებული არიან. საწარმოო ძალების ამ ძირითად ელემენტთა ურთიერთ კავშირის წესი წარმოებითი ურთიერთობაა, წარმოებითი ურთიერთობა საწარმოოს ძალების ფორმაა, საწარმოო ძალების ელემენტთა გარკვეული ორგანიზაციაა. ამ ფორმის გარეშე საზოგადოებრივი წარმოება არ შეიძლება განხორციელდეს. აქედან ცხადი ხდება, რომ ფორმა საგნის, მოვლენის ძირითად ელემენტთა, შემადგენელ ნაწილთა კავშირურთიერთობის გარკვეული წესია, მათი გარკვეული ორგანიზაციაა. მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ დაასაბუთა, რომ შინაარსი და ფორმა ერთიანობაშია, არ არსებობს უფორმო შინაარსი და, პირიქით, ფორმა შინაარსიანია და შინაარსი გაფორმებული. მხოლოდ იდეალისტებს შეუძლიათ ილაპარაკონ ცარიელ ფორმაზე, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს. ცარიელი, უშინაარსო ფორმის აღიარება/ ე. ი. ფორმალიზმი ნამდვილი იდეალიზმია.

შინაარსი და ფორმა განუყრელ ერთიანობაშია ამ ერთიანობაში, შინაარსს ეკუთვნის პრიმატი, იგი გადამწყვეტი და განმსაზღვრელი მხარეა, რომლის განვითარება-ცვალებადობაზე დამოკიდებულია ფორმის განვითარება-ცვალებადობა. შინაარსის პრიმატობის აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ ფორმა პასიური, გულგრილი, ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში იყოს თავისი შინაარსისადმი. ასე შეუძლიათ იმსჯელონ მხოლოდ მეტაფიზიკოსებმა.

დიალექტიკური მატერიალიზმი, აღიარებს რა შინაარსის პრიმატობას ფორმის მიმართ, მტკიცედ დგას იმ თვალსაზრისზე, რომ ფორმა საგნებისა და მოვლენების აქტიურ მხარეს წარმოადგენს, უკუმოქმედებას ახდენს თავისი შინაარსის განვითარებაზე, იგი ან ხელს უწყობს, ან ბოჭავს მის განვითარებას. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა ფორმის აქტიურ მხარეზე; ფორმის გადაგდება, მისი შეცვლა, წერს ვ. ი. ლენინი, შინაარსის გარდაქმნას იწვევს[1]. მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლებმა დაასაბუთეს, რომ ფორმას გარკვეული დამოუკიდებლობა აქვს.

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, стр. 192—193.

ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია ისეთი მცდარი თვალსაზრისი ფორმისა და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომელიც ცდილობს დაასაბუთოს, რომ მხოლოდ შინაარსია არსებითი, დამოუკიდებელი. რაც შეეხება ფორმას, იგი არარსებითი და არადამოუკიდებელი მხარეა. ასეთი მეტაფიზიკური თვალსაზრისი სინამდვილის დამახინჯებულად წარმოდგენაა. მეცნიერებამ დიდი ხანია დააგროვა მრავალი ფაქტი, რომლებიც ასაბუთებენ ფორმის აქტიურ მნიშვნელობას შინაარსის მიმართ, ფორმის შედარებით დამოუკიდებლობას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ფორმის სხვაგვარი გაგებაც არსებობს, მასში სხვადასხვა აზრს დებენ. ხშირად ფორმის ქვეშ გულისხმობენ საგნის გარეგან გამოხატულებას (მრგვალი, ბრტყელი, ოთხკუთხედი და სხვ. ნიშნები), რომელიც უშუალოდ აღქმაში გვეძლევა. ცხადია, ასეთი ფორმაც არსებობს, ფორმის ასეთი გაგებაც გარკვეული აზრით მართებულია. მაგრამ ეს ფორმა, არაა ის ფორმა, რომელიც შინაარსზე აქტიურად მოქმედებს, მასთან განუყრელ ერთიანობაში და შინაარსით არის განპირობებული. საგნის გარეგანი ფორმა შინაარსის მიმართ გულგრილია, ინდიფერენტულია. წიგნის შინაარსისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ წიგნი ხელნაწერია თუ დასტამბული, მუყაოს ყდაშია ჩასმული თუ უბრალო ყდით არის გამოცემული. ეს წიგნის მხოლოდ გარეგანი ფორმაა. მაგრამ შეიძლება ისეთი წიგნიც, რომელსაც გარეგანი ფორმა გააჩნია ანუ, როგორც იტყვიან, „შესანიშნავად არის გაფორმებული", მაგრამ იგი უფორმო აღმოჩნდეს შინაარსის მხრივ. ეს იმას არ ნიშნავს, ცხადია, რომ მას არა აქვს ფორმა საერთოდ, არამედ მას არ გააჩნია სათანადო ფორმა, რომელიც გულგრილი არაა შინაარსის მიმართ. ამ შინაარსის საშუალებით შეიცნობა შინაარსი. ხელოვნების ნაწარმოები, რომელსაც არ გააჩნია შინაარსთან ერთიანობაში მყოფი სათანადო ფორმა, არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოებად, რარიგ ჩინებულად არ უნდა იყოს იგი გარეგნულად გაფორმებული. ჰეგელი სამართლიანად მიუთითებს, რომ არაფრით არ გაამართლებს მხატვარს, თუ ვიტყვით, რომ შინაარსის მხრივ მისი ნაწარმოები კარგია, მაგრამ მას არ ჰყოფნის სათანადო ფორმა. ამბავი ტარიელისა გენიალურ „ვეფხისტყაოსნად" იქცა მხოლოდ მას შემდეგ, როცა შოთამ იგი „ნახა და ლექსად გარდაქმნა".

ფორმა და შინაარსი საგნის, მოვლენის ორი სხვადასხვა მხარეა. მართალია, ისინი განუყრელ ერთიანობაშია, მაგრამ მაინც სხვადასხვა მხარეს ასახავენ. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ფორმისა და შინაარსის ერთიანობა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ მათ შორის სრული ჰარმონია არსებობს და წინააღმდეგობა გამორიცხულია. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ფორმა თავის შინაარსს უნდა შეესაბამებოდეს. მაგრამ შესაბამისობა წინააღმდეგობას როდი გამორიცხავს. შესაბამისობა სხვადასხვა მხარის იგივეობას არ ნიშნავს. შესაბამისობა თვითონ მოითხოვს წინააღმდეგობას, წინააღმდეგობის გარეშე შესაბამისობაც კარგავს აზრს. სხვადასხვა მხარეთა შესაბამისობა გარკვეულ წინააღმდეგობის ბაზაზეა შესაძლებელი. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ფორმასა და შინაარსს შორის წინააღმდეგობა იმთავითვე კი არ არსებობს, არამედ იგი წარმოიშვა განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ე. ი. მაშინ, როცა შინაარსის განვითარება გაუსწრებს ფორმას, რომელიც მოძველდება და ჩამორჩება.

ფორმასა და შინაარსს შორის წინააღმდეგობა იმთავითვე არსებობს. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ შინაარსი და ფორმა არასოდეს ერთმანეთს არ ფარავენ, ისინი საგნის განსხვავებული სხვადასხვა მხარეებია. შინაარსი პირველადია, რომელიც შედარებით უფრო სწრაფად, განუწყვეტლად ვითარდება და იცვლება, ამიტომ ყოველთვის წინ უსწრებს ფორმის განვითარებას. ფორმას, როგორც ითქვა, შედარებით დამოუკიდებლობა აქვს, შედარებით მყარია, ნელა იცვლება. ფორმის ამ თავისებურებათა გამო შინაარსი გარკვეულ პერიოდამდე „იძულებულია" დარჩეს შედარებით მყარ მდგომარეობაში, ე. ი. იყოს ფორმასთან მთლიანობაში, მოთავსდეს მასში. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ წინააღმდეგობა შინაარსსა და ფორმას შორის მხოლოდ გარკვეულ საფეხურზე წარმოიშობა, მაშინ აუხსნელი რჩება ფორმისა და შინაარსის განვითარების, ძველი ფორმის გაქრობისა და ახლის წარმოშობის წყარო, ან ასეთ წყაროდ რაღაც გარეგანი ძალა უნდა იქნეს აღიარებული. ეს კი იდეალიზმის ჭაობში მიგვიყვანს.

მეცნიერება და საზოგადოებრივი პრაქტიკა გვიჩვენებენ, რომ პირველ რიგში იცვლება და ვითარდება შინაარსი, საგანთა შემადგენელი ელემენტები, გარკვეულ საფეხურამდე ეს განვითარება თავის ძველ ფორმაში რჩება, ე. ი. არ ხდება საგნის, მოვლენის ძირეული ცვლილება, თვისებრივი ცვლილება. შინაარსის შედარებით სწრაფი განვითარება იწვევს ფორმის ჩამორჩენას, ჩამორჩენილი, ძველი ფორმა კი შინაარსის განვითარების შემბოჭავ, დამამუხრუჭებელ ფაქტორად იქცევა, ახალი განვითარებული შინაარსი ველარ თავსდება ძველ ფორმაში, მის შეცვლას მოითხოვს. ახალი შინაარსი, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, თავიდან იშორებს, გადააგდებს დრომოჭმულ ფორმას. როცა ფორმასა და შინაარსს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობა არსებობს, მაშინ ეს წინააღმდეგობა კონფლიქტამდე მიდის და წინააღმდეგობის დაძლევა რევოლუციის გზით ხდება. ზემოთქმული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს შინაარსის განვითარებას თან არ სდევდეს ფორმის განვითა-

რებაც. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ შინაარსი ისეთი წამყვანი ძალაა, რომელიც უფრო სწრაფად ვითარდება და განსაზღვრავს ფორმის განვითარებას. ფაქტები მოწმობენ, რომ ფორმა შინაარსის განვითარებას ასე თუ ისე ყოველთვის ასახავს, შინაარსში მომხდარ ცვლილებას თავის თავზე უსათუოდ განიცდის. კაპიტალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ძალების განვითარება თავდაპირველად სწრაფად მიმდინარეობდა, საწარმოო ძალების ფორმა — წარმოებითი ურთიერთობანი შედარებით მყარ მდგომარეობაში იყო, მაგრამ იგი უცვლელი მაინც არ დარჩენილა. იმპერიალისტურ ეპოქაში კაპიტალისტურ წარმოებითს ურთიერთობაში გარკვეული ცვლილება მოხდა, თუმცა იგი არსებით იგივე დარჩა.

შინაარსის ან ფორმის კატეგორიის განხილვისას ჩვენ წინა პლანზე წამოვაყენეთ მათი ურთიერთობის გამორკვევა ზოგადად. თუ როგორ კონკრეტულ გამოვლენას იღებს ეს ურთიერთობა სხვადასხვა სფეროში — ეს სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს. შინაარსისა და ფორმის კატეგორიას, როგორც ითქვა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

თუ სწორია დებულება, რომ შინაარსი განსაზღვრავს ფორმას, რომ შინაარსი უფრო სწრაფად იცვლება და ვითარდება, რაც ფორმის შეცვლას იწვევს, მაშინ ადამიანთა სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობის ფორმა არ შეიძლება აღიარებული იქნეს ისეთ ფორმად, რომელიც უცვლელია, ერთხელ და საბოლოოდ მოცემული რამაა, რომელიც თავისთავად უზრუნველყოფს ადამიანთა პრაქტიკულ და თეორიულ მოღვაწეობას. მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები, კომუნისტური პარტია პრაქტიკულ-რევოლუციურ და თეორიულ მუშაობის ფორმას არასოდეს არ აძლევდნენ გადამწყვეტ მნიშვნელობას, ასეთად აღიარებდნენ მხოლოდ შინაარსს. ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ფორმა — საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ფორმა — კოლმეურნეობა, ცხადია, თავისთავად ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს კომუნიზმის გამარჯვებას სსრ კავშირში, თუ ამ ფორმაში შესაბამისი შინაარსი არ იქნა მოქცეული და მის სწრაფ განვითარებას არ მიექცა ყურადღება. საბჭოთა ხელისუფლება და კოლექტიური მეურნეობა მაშინ ასრულებენ თავის დანიშნულებას, როცა ისინი თავის შინაარსს შეესაბამებიან.

თუ შინაარსის სწრაფი განვითარება იწვევს ფორმის შეცვლას, მაშინ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ განვითარების ფორმების, ადამიანთა ურთიერთობის, კომუნიზმისათვის ბრძოლის ფორმების ცვლილება-განვითარებაზე. ახალი შინაარსის შესაბამისი ფორმების გამონახვის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური პარტიის სწორ პოლიტიკას, რომელიც საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების ცოდნას ემყარება. პარტიის სწორი მეცნიერული პოლიტიკა ითვალისწინებს ფორმისა და შინაარსის დიალექტიკას, თავის დროზე (როცა ამისათვის მომწიფდება შინაარსი) ახდენს კომუნიზმისათვის შემოქმედებითი ბრძოლის ერთი ფორმის შეცვლას მეორე, უფრო ახალი, განვითარებული შინაარსის შესაბამისი ფორმით.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფორმის აბსოლუტიზაცია ყველა პირობის, ადგილის და დროისათვის ერთი და იმავე ფორმისადმი ხელის ჩაჭიდება, მისი ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ ფორმად აღიარება ოპორტუნიზმის ერთ-ერთი სახეა. სკკპ XX ყრილობის თეორიული დებულებები და დასკვნები ომის თავიდან აცილების შესაძლებლობის შესახებ, სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის სხვადასხვა ფორმებისა და პარლამენტის გამოყენების შესახებ—წარმოადგენენ იმის ბრწყინვალე ნიმუშს, თუ როგორ ითვალისწინებს პარტია განვითარების იმ თავისებურებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მშრომელთა ბრძოლის ახალ ფორმებს ახალ ვითარებაში. ვ. ი. ლენინი თავის შრომაში „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ დაუნდობლად აკრიტიკებს II ინტერნაციონალის ოპორტუნისტ ლიდერებს — კაუცკის, ადლერს და სხვებს, რომ ისინი უარყოფდნენ იმ ფაქტს, რომ იმპერიალიზმის პერიოდში კლასობრივი ბრძოლის ძველი ფორმები ივსება ახალი შინაარსით და ამიტომ აუცილებელია ბრძოლის ფორმების შეცვლა ახალი შინაარსის შესაბამისად [1].

თუ ფორმა პასიური არაა, თუ იგი გულგრილ დამოკიდებულებაში არ არის თავისი შინაარსის მიმართ და აქტიურად უწყობს ხელს შინაარსის განვითარებას, მაშინ მშრომელთა ხელისუფლებისათვის და კომუნიზმისათვის ბრძოლის ფორმებს, ამ ბრძოლის ორგანიზაციების ფორმებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მათი როლის უგულებელყოფა, მათი შეუფასებლობა, ისევე როგორც მათი აბსოლუტიზაცია, ოპორტუნიზმში პოზიციებზე დაგვაყენებს.

კომუნისტური პარტია მთელ მისი არსებობის განმავლობაში იბრძოდა მშრომელთა ბრძოლისა და მათი ორგანიზაციების ფორმების განვითარებისათვის, რათა ეს ფორმები უფრო და უფრო მოქნილი გაეხადა.

საყოველთაოდ ცნობილია ვ. ი. ლენინის დაუნდობელი ბრძოლა მენშევიკების წინაალმდეგ რსდმპ II ყრილობაზე და ყრილობის შემდეგ პარტიის ორგანიზაციული ფორმის შესახებ. ჩვენი პარტიის ისტორია გვიჩვენებს, რომ მენშევიკებს სურდათ შეექმნათ რაღაც უფორმო პარტია, პარტია, რომელსაც არ ექნებოდა მტკიცე

[1] იხ. ტ. 31, გვ. 82.

ორგანიზაციული საფუძვლები. ამასთანავე, მენშევიკები თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს მათთვის რევოლუციური ბრძოლის შინაარსს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მის ფორმას. ლენინმა დაამტკიცა, რომ პარტიის ორგანიზაციული ფორმის განუვითარებლობა არ იძლევა საშუალებას პარტიის მუშაობის შინაარსის განვითარებისათვის, ეს განუვითარებლობა ხელს უშლის, ბოჭავს მუშათა კლასის რევოლუციონერ-კლასობრივი ბრძოლის განვითარებას[1].

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ძლევამოსილი გამარჯვება ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი, ჩინეთისა და სხვა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების გამარჯვება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მშრომელებს სათავეში უდგას მარქსისტულ-ლენინური პარტია, რომელიც შეიარაღებულია მარქსისტულ-ლენინური ძლევამოსილი თეორიით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები თავიანთ პრაქტიკულ-რევოლუციონერ მოღვაწეობაში, სხვათაშორის, ყოველთვის ეყრდნობიან მარქსისტულ-ლენინურ დებულებებს ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის შესახებ. კომუნისტური პარტიის მთელი ისტორიის გამოცდილება ცხადყოფს, რომ პარტია ყოველთვის ირჩევდა ბრძოლის ისეთ ფორმებს, რომლებიც შეესაბამებიან მუდამ მზარდ, მოძრავ და განვითარებაში მყოფ შინაარსს.

---

[1] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 7, გვ. 360 — 35, და საკ.კ.პ.(ბ) რეზოლუციების დადგენილებები, X ყრილობის რეზოლუცია.

# წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ხალხური ნოველები

*

ქართული ზღაპრული ეპოსი უმდიდრეს მასალას წარმოადგენს ქართველი მშრომელი ხალხის, როგორც სოციალ-ეკონომიური ყოფის შესასწავლად ისე მისი მხატვრული აზროვნების, შემოქმედებითი პოტენციის გამოსავლენად. ზღაპარი მშრომელი ხალხის ცხოვრების ზეპირი, დაუწერელი ისტორიაა და ამიტომ ამ დარგის ნიმუშების შეკრება და გამოცემა უსათუოდ მოწონებისა და მისალმების ღირსია.

„ქართული ხალხური ნოველების“ კრებულში დაბეჭდილია 87 ქართული ხალხური ზღაპარი. მასალის ჩამწერისა და რედაქტორის დოც. ალ. ღლონტის ვრცელი გამოკვლევა, რომელიც ნაშრომს წინ უძღვის, ხალხური ნოველის რაობის გასარკვევად მრავალ მნიშვნელოვან მოსაზრებას შეიცავს.

უპირველეს ყოვლისა, მკვლევარი უარყოფს აქამდე მიღებულ ყველა ტრადიციულ ტერმინს და საყოფიერო-რეალისტურ ზღაპარს დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე „ხალხურ ნოველას“ უწოდებს.

ალ. ღლონტი სწორად განსაზღვრავს ხალხურ ნოველას, საინტერესოდ ხსნის მის ხასიათსა და არსს, მართლაც „ნოველა თავისუფალია ირეალური, ფანტასტიკური ძალებისა და გარემოცვისაგან“, რომ „ჯადოსნური ეპოსის ფანტაზიის პლასტები ან მითოლოგიური აზროვნების ნალექები... მისი არა თანდაყოლილი, არამედ შეძენილი სამკაულებია. ჯადოსნური თუ მითოლოგიური მოტივები ხალხურ ნოველაში გარედანაა შეჭრილი“ (6) და სხვ.

სრული ჭეშმარიტებაა ისიც, რომ „ხალხური ნოველის ჰორიზონტი მუდამ ფართოვდებოდა და ის ზღაპრული ეპოსიდან, ანეგდოტთან ერთადერთია, რომელიც ინარჩუნებს თავის პროფილს და ახლაც ამჟღავნებს არსებობა-განვითარების შესაძლებლობას“ (იქვე), მაგრამ ვერ დავეთანხმებით მკვლევარს, თითქოს „ნოველები ხალხურ შემოქმედებაში ღია ღარბაზებს ნახულობდნენ, ჯადოსნური კი ვიწრო კარებს“. ჯადოსნური ზღაპრების არსებობას არც ისე მოკლე ისტორია აქვს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ისინი საზოგადოებრივი განვითარების ვრცელ მანძილზე მოქმედებდნენ და საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ სხვადასხვა ერის ზღაპრულ ეპოსში. რაც შეეხება ქართულ ჯადოსნურ ანუ ფანტასტიკურ ზღაპრებს, როგორც ავტორსაც კარგად მოეხსენება, ქართული ზღაპრული ეპოსის უმდიდრეს ნაწილს შეადგენენ.

ალ. ღლონტი ხალხური ნოველისა და ჯადოსნური მოთხრობების შინაარსის, კომპოზიციის, თემატიკის, პერსონაჟების დაპირისპირების საფუძველზე მკვეთრად აყალიბებს ამ ორი ჟანრის სპეციფიკას. ამავე დროს, მიუხედავად პრინციპული სხვაობისა, მკვლევარი აღნიშნავს მათ ჟანრობრივ სიახლოვეს და ურთიერთშორის ორგანულ კავშირს.

ამ კავშირის საილუსტრაციოდ ალ. ღლონტი ერთმანეთს ადარებს ორ ზღაპარს — „ედემის ყვავილს“ (ჯადოსნური ციკლიდან) და „ხელმწიფის შვილს ქალი რომ არ მისთხოვდა, სანამ ხელობას არ ისწავლიო“ (ნოველისტურიდან). მართლაც, პირველ ზღაპარში, მიუხედავად ირეალური პერსონაჟებისა, ფანტასტური გარემოსა და სხვ. ქალის სახე ნოველისტურია (რაც მის რეალისტურობაში მდგომარეობს). მასთან დაპირისპირებულად მოყვანილ ნოველისტურ ზღაპარში მკვლევარი, ფანტასტიკურ ელემენტად, ჯადოსნურ მოთხრობებიდან ნასესხებად თვლის ხელმწიფის ვაჟის სახესა და ზოგ ისეთ პასაჟს, რასაც ცხოვრებაში ადრეულ პერიოდებში რეალური საფუძველი ჰქონდა. რატომ მიაჩნია მკვლევარს ფანტასტიკურ მოტივად ზღაპარში ხელმწიფის ვაჟის სავსებით რეალისტური სახე და მოქმედება? უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ აღნიშნული ზღაპრის შექმნის მომენტში მშრომელი ხალხის ძალაა წინ წამოწეული და მეფის ტახტი უკვე საძირკველშერყეულია.

გამოკვლევაში ალ. ღლონტი ხალხურ ნოველებსა და ჯადოსნურ მოთხრობებს ერთმანეთისაგან ასხვავებს ამბის განვითარებით, პერსონაჟთა სამყაროთი და არქიტექტონიკით. იგი ხაზს უსვამს ხალხური ნოველის სიუჟეტის რეალისტურ განვითარებას ჯადოსნურ-მისტიკური მოტივების გარეშე, რითაც ხალხური ნოველა ემიჯნება ჯადოსნურ მოთხრობებს. მკვლევარი სრულიად სამართლიანად აყენებს სხვადასხვა პოლუსზე ჯადოსნური ზღაპრებსა და ხალხურ ნოველებს პერსონაჟების მიხედვით. თუ ჯადოსნური მოთხრობების პერსონაჟები ფანტასტიკური არსებანი არიან: დევები, გველე-

ალ. ღლონტი, ქართული ხალხური ნოველები, 1956.

შაპები, არწივ-ფასკუნჯები, კუდიანი დედაბრები, ხალხური ნოველების პერსონაჟთა სახით ჩვენს წინაშე წარმოდგენილია ადამიანთა საზოგადოების სოციალური ცხოვრება. აქ წინა პლანზე წამოწეულია ისტორიის შემოქმედი ძალა-ხალხი თავისი მისწრაფებებით, იდეალებითა და რწმენით. აქ არიან უბრალო ადამიანები — მონადირეები და მებადურები, მწყემსები და მოჯამაგირეები; ბატონები და ყმები, ვაჭრები და მათი მსახურნი, მღვდლები და დიაკვნები, შრომისმოყვარენი და ზარმაცები.

ასევე განასხვავებს მკვლევარი ჯადოსნურ მოთხრობებს თავისი მრავალფეროვანი და რთული სიუჟეტური რკალით, ხალხური ნოველის მარტივი კომპოზიციისაგან.

ალ. ღლონტი სავსებით სწორად იქცევა, როცა ხალხური პროზაული ეპოსის კლასიფიკაციისათვის მოითხოვს როგორც ზღაპრის სიუჟეტის ისე მისი მხატვრული მხარის გათვალისწინებასაც. ეს უთუოდ კვლევის ჭეშმარიტი გზა არის.

ზემოთქმულის საფუძველზე ავტორი იძლევა ქართული ზღაპრული ეპოსის ახლებურ კლასიფიკაციას, რაც სამ ნაწილად ჰყოფს ხალხურ პროზას: ნოველად, მოთხრობად და რომანად.

აღნიშნულ კლასიფიკაციაში შეიძლება ზოგი რამ სადავო იყოს. კერძოდ, ხალხურ მოთხრობის განსაზღვრისას ყველაფერში ვერ დავეთანხმებით ავტორს. მას ხალხურ მოთხრობაში ცხოველთა ზღაპრებთან და ჯადოსნურ მოთხრობებთან ერთად შეაქვს ლეგენდა-გადმოცემები და საგმირო თქმულებები (გვ. 30). ალ. ღლონტი იქვე წერს, რომ „ხალხური მოთხრობა იტევს საკუთრივ ყველაფერ იმას, რასაც ფართო გაგებით ზღაპარს ვეძახითო“, არასდროს, არც ერთ მკვლევარს ლეგენდა-გადმოცემები ან თქმულებები ზღაპრად არ მიუჩნევია. თვითონაც ავტორი ქვემოთ, როდესაც ხალხური მოთხრობის ნიშანდობლივ თვისებებს გადმოგვცემს და ჯადოსნურ ზღაპრებს გვიხასიათებს ლეგენდა-გადმოცემების ან საგმირო თქმულებების შინაგან თუ გარეგან ერთ საერთო ნიშანზეც კი ვერ მიგვითითებს.

საერთოდ, თქმულება თავისი შინაგანი სტრუქტურით თუ მხატვრული ფორმით უფრო ახლოს დგას ნოველებთან, ვიდრე ჯადოსნურ ზღაპრებთან, იგი მარტივი კომპოზიციის მოკლე მოთხრობაა და ამბავს გადმოგვცემს რეალისტურად. გარდა ამისა, ვფიქრობთ, თავისი ახალი კლასიფიკაციით გატაცებულმა მკვლევარმა არასწორად მოაქცია ჯადოსნური მოთხრობების რკალში საგმირო ეპოსის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა „ამირანი“ და „როსტომი“. ამ ნაწარმოებებს თავისი სპეციფიკის მიხედვით სხვა ადგილი უჭირავთ ქართულ ფოლკლორში. ალ. ღლონტის მიერ წარმოდგენილ ხალხურ მოთხრობას კლასიფიკაციის თვალსაზრისით სჭირდება უფრო მეტი დამუშავება და დაზუსტება.

გამოკვლევაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხალხური ნოველის წარმოქმნის საკითხები (გვ. 31 — 49). მკვლევარი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პოზიციებიდან ეკამათება ბურჟუაზიულ მკვლევარებს, რომელთა აზრით, ჯადოსნური ზღაპრები ადრინდელია, ხოლო რეალისტური მოთხრობები მათ შემდეგაა აღმოცენებული. ტომების ჯგუფური ცხოვრების პრაქტიკა, არსებობისათვის ბრძოლის კოლექტიური გამოცდილება განაპირობებდა ხალხური პროზის თავდაპირველ რეალისტურ თემატიკას. ფრ. ენგელსის მიერ მორგანის ვარაუდის მეცნიერულად დასაბუთებას, რომ ხელოვნურად გაკეთებული საქმლის პირვანდელ სახედ თევზი უნდა იყოს მიჩნეული, ალ. ღლონტი მოხდენილად უკავშირებს ხალხური ნოველის მეთევზე-მებადურების მხატვრულ სახეებს.

საინტერესოა მკვლევარის მიერ ქართული ხალხური ნოველების საფუძვლების ძიება. საზოგადოებრივი განვითარების ადრინდელ საფეხურზე თევზის საკვებად გამოყენებასა და შემდეგ მის საკულტო საგნად ქცევას ალ. ღლონტი საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიაც ადასტურებს კონკრეტული ეთნოგრაფიული მონაცემებით.

დავას იწვევს ალ. ღლონტის ერთი მოსაზრებაც. მისი აზრით, „ხალხური ნოველა აღმოცენებულა პირვანდელი ადამიანის რეალური ცხოვრების ნიადაგზე და მისი შინაგანი სარჩულიც ამ ცხოვრების ათეულ-საუკუნოებრივი პრაქტიკის უშუალო ანარეკლია“. ავტორის ეს მოსაზრება უცილოდ საგულისხმოა, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მას ტერმინის საკითხში. კაცობრიობის ცხოვრების დასაწყისში აღმოცენებული ხალხური პროზა, თვითონ მკვლევარის აზრითაც, ერთგვარი ჩანასახია რეალისტური პროზისა, ამ ჩანასახისათვის განვითარებული ჟანრის — ნოველის დარქმევა, ჩვენი ფიქრით, სწორი არ იქნებოდა.

იმ ხალხურ მარტივ პროზას, რომელიც ავტორს სრულიად სამართლიანად „შრომის სიმღერების უმცროს თანამედროვედ“ მიაჩნია, წიგნში წარმოდგენილ ნოველებთან საერთო მხოლოდ რეალიზმი აქვს. აქედან გამომდინარე, პირვანდელ რეალისტურ-საყოფიერო თემატიკასთან ჯადოსნური მოტივების დასაპირისპირებლად, ჩვენი აზრით, არ გამოდგება ავტორის მიერ დასახელებული ზღაპარი ნაცარქექიას შესახებ, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების საფუძველზე რეალისტური ნოველების ხელმეორედ დაბადების შემდეგ აღმოცენებულად უნდა ჩაითვალოს.

ნარკვევში ყურადღებას იქცევს ავტორის მიერ ხალხური ნოველების ეროვნული ხასიათის დასაბუთება. მას მართებულად მიაჩნია, რომ მარტოოდენ თემატიკა არ არის ეროვნული თვითმყოფობის ნიშანი. აღნიშნული დებულე-

ბის დასადასტურებლად გამოკვლევაში ავტორს მოყავს საყოველთაო ცნობილ თემებზე აგებული სხვადასხვა ეროვნების ნოველები, სადაც თითოეულ მათგანს შენარჩუნებული აქვს ეროვნული კოლორიტი, რომელსაც უმთავრესად ქმნის ხალხის სული, მხატვრული გამომსახველობის საშუალებანი და პერსონაჟთა ხასიათები.

საყურადღებოა დაკვირვება ხალხური ნოველის დადებით პერსონაჟებზე, რომლებშიაც მკვლევარის აზრით, მოცემულია ზოგადი სახეები, ზოგადი ტიპები. ხალხური ნოველის ასეთი წამყვანი პერსონაჟები (მამა, ცოლი, გერი, მოჯამაგირე, გლეხი და სხვ.) გადმოგვცემენ „იმ მაღალ მორალურ თვისებებს, რომლებსაც ეპოქის მსოფლმხედველობა მოითხოვს დადებითი ტიპისაგან“. ალ. ღლონტი ხალხურ ნოველებში გამოყოფს ერთმანეთისაგან წინაკლასობრივ და კლასობრივ საზოგადოებაში შექმნილ პერსონაჟებს და ხაზს უსვამს იმ მეტამორფოზას, რომელსაც უძველესი თემატიკის ნოველათა პერსონაჟები განიცდიდნენ ახალ საზოგადოებრივ ვითარებაში. მაგრამ აქ მკვლევარის მოსაზრებაში ერთგვარ წინააღმდეგობას ვხვდებით. დედინაცვლისა და გერის სახეები ალ. ღლონტს ხალხური ნოველის ტიპებად მიაჩნია (გვ. 73), მაშინ როცა ისინი ჯადოსნური ზღაპარისა და სამიჯნურო-რომანტიკული ეპოსის, ხოლო ავტორისეული ახლებური კლასიფიკაციით არა ხალხური ნოველის, არამედ ხალხური მოთხრობისა და ხალხური რომანის ძირითადი პერსონაჟებია.

ავტორი კარგად გვიჩვენებს ხალხური შემოქმედების მოტივების თანმიმდევრულ ცვლას საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებსა და კლასებს შორის არსებულ წინააღმდეგობების საფუძველზე. შრომითმა კოლექტივმა, რომელიც ქმნიდა ნოველების სიუჟეტებს, განაპირობა მისი ტენდენციურობა, იგი „ხალხურმა ნოველამ შეიძინა კლასობრივ საზოგადოებაში და მან განსაკუთრებით მახვილი ხასიათი მიიღო სოციალური წინააღმდეგობის გამწვავების შედეგად“. ხალხური ნოველა, ისევე როგორც მთლიანად პროზა, მკვლევარს მიაჩნია ადამიანთა კოლექტიური ურთიერთობის, წარმოებითი დამოკიდებულების პროცესში შექმნილად. ნოველა ასახავს ჯგუფის, კოლექტივის რეალურ ცხოვრებას, მის წარმატებებსა თუ წარუმატებლობას.

გამოკვლევას ერთვის საკითხის მოკლე ისტორია, სადაც ავტორს აღნიშნული აქვს მე-19 საუკუნის მოღვაწეთა გრიგოლ და თეიმურაზ ბაგრატიონების, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ღვაწლი ზღაპრული ეპოსის შეკრებისა და პუბლიკაციის საქმეში.

გამოკვლევაში სრულიად დამსახურებულად არის გამოყოფილი თ. რაზიკაშვილის მოღვაწეობა ქართული ხალხური ზღაპრული ეპოსის შეკრება-პუბლიკაციის ხაზით.

გამოკვლევაში მიმოხილულია საბჭოთა პერიოდი, რომლის დროსაც ქართული ზღაპრული ეპოსის ჩაწერა-პუბლიკაციას სისტემატური ხასიათი მიეცა და ნამდვილ მეცნიერულ საფუძვლებზე დამკვიდრდა.

ალ. ღლონტის ქართული ხალხური ნოველების კრებული მნიშვნელოვანი და საინტერესო წიგნია. სასურველი იქნებოდა ქართული ზღაპრული ეპოსის სხვა ჟანრის ნიმუშების ასევე ცალკე კრებულად გამოცემა.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲝᲥᲠᲝᲨᲘᲫᲔ

## Ნ. ᲝᲡᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ

★

ქართველ მკითხველთა შორის ნ. ოსტროვსკის შემოქმედება დიდი მოწონებით სარგებლობს. ქართველმა ხალხმა შეიყვარა ნ. ოსტროვსკი, მწერალი-პატრიოტი, რომელმაც თავისი სიცოცხლე საბჭოთა ხალხის ნათელ იდეალებს შესწირა მსხვერპლად.

და ამიტომ ფრიად სასიხარულოა, რომ საქართველოს საბლიტგამმა ნ. ოსტროვსკის გარდაცვალებიდან ოცი წლისთავზე ხელახლა გამოსცა მისი სახელგანთქმული რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, რომელიც თარგმნილია მწერალ რ. ქორქიას მიერ.

„როგორ იწრთობოდა ფოლადი“ მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ერთი პირველი ნაწარმოებთაგანია, რომელშიც გადმოცემულია დიადი გარდატეხის წლის შემდეგ წარმოშობილი და ისტორიული გარდაქმნებით გაპირობებული სოციალისტური მშენებლობის პათოსი. მაგრამ ოსტროვსკის რომანი არა მარტო სამშობლოსადმი უანგარო ერთგულების, გმირობისა და მამაცობის აღმზრდელ-განმამტკიცებელი ნაწარმოებია, არამედ უანგარო შემოქმედებითი მუშაობის, ახლებური სოციალისტური შრომა-საქმიანობის შთამაგონებელი ნიმუშიც.

ნ. ოსტროვსკის რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ უსაყვარლესი საკითხავი წიგნია არა მარტო საბჭოთა ადამიანებისათვის, არამედ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მკითხველთათ-

---

**ნ. ოხტროვსკი. როგორ იწრთობოდა ფოლადი. საბლიტგამი. 1956.**

ვის და მთელი პროგრესული მსოფლიოს მილიონიანი მასებისათვისაც.

დიდი სიყვარულით სარგებლობს ნ. ოსტროვსკის შესანიშნავი რომანი ქართველ მკითხველთა შორისაც. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ ქართულ ენაზე სამჯერ გამოიცა დიდ ტირაჟით.

1936 წელს მოსკოვში „მოლოდაია გვარდიამ“ ცალკე წიგნად გამოსცა ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ (ორივე ნაწილი). იმავე წელს ეს რომანი, რომელმაც თავიდანვე უდიდესი ინტერესი გამოიწვია მთელ საბჭოთა კავშირში, როდიონ ქორქიას მიერ ქართულად ითარგმნა და გამოცემულ იქნა სახელგამის მიერ. 1947 წელს გამოვიდა ამ წიგნის მეორე ქართული გამოცემა და გასულ წელს კი მესამე.

ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ თარგმნა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. რომანის მრავალფეროვანი და თავისებური ლექსიკა, სამხრეთ რუსეთის დიალექტის გამოყენება, სამოქალაქო ომის ადამიანების ენობრივი დახასიათებისას ყარგონით სარგებლობის აუცილებლობა, ამასთან ერთად, ლაკონიური, მოკვეთილი ფრაზები, რუსულ იდიომებისა და სპეციფიური გამოთქმების სიმრავლე — ძნელად სათარგმნელსა ხდის ამ წიგნს. ამას გარდა ნ. ოსტროვსკის მძიმე ცხოვრებისა და შემოქმედებითი მუშაობის სპეციფიკურმა პირობებმა აქა-იქ სტილის ხორკლიანობის კვალი მაინც დატოვეს და ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს თარგმნის საქმეს.

უნდა ითქვას, რომ როდიონ ქორქიამ კარგად დაძლია ეს წინააღმდეგობანი და გულისყურიანი, პასუხისმგებლობის გრძნობით გაწეული შემოქმედებითი მუშაობის შედეგად ნ. ოსტროვსკის სახელმოხვეჭილი წიგნის კარგი ქართული თარგმანი მოგვცა. ქორქიას თარგმანში შემონახულია ოსტროვსკის ფრაზების სინათლე, გარკვეულობა და მიმზიდველი სისადავე. მთარგმნელმა შეძლო ავტორისეული გამოთქმებისათვის კარგი ქართული შესატყვისების გამოძებნა და ქართველ მკითხველამდე მიტანა იმ რომანტიული პათოსისა, რევოლუციური აღტკინებისა, რომელიც ოსტროვსკის რომანის თვითეულ ფრაზასა და სიტყვაშიც კი იგრძნობა.

მაგრამ, რ. ქორქიას თარგმანში, ღირსებებთან ერთად, აქა-იქ შეინიშნება არასწორად თარგმნილი ადგილები, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, რამდენადაც თარგმნის შემდეგ გამოცემაში სასურველია, რომ ისინი შესწორებული იქნენ.

არის შემთხვევა როცა თარგმანში დედნის აზრი, მართალია, ოდნავ, მაგრამ მაინც შეცვლილია, ასეთი არაზუსტი თარგმნის ნიმუშია: „Отсюда они управляли артиллерийской стрельбой“, რაც ასეა გადმოქართულებული: „ისინი აქედან განაგრძობდნენ საარტილერიო სროლას“ (გვ. 121) სროლის გაგრძელება სხვაა და მისი ხელმძღვანელობა კი სხვა. ანდა: „Им было видно каждое движение осадивших город красных. Сегодня у большевиков большое оживление“ ასეა თარგმნილი: „ხედავდნენ წითლების ყოველ მოძრაობას. ბოლშევიკებმა ქალაქს ალყა შემოარტყეს“. საქმე ისაა, რომ „წითლებმა“ ახლა კი არ შემოარტყეს ალყა, როგორც თარგმანიდან ჩანს, არამედ მათ უკვე ჰქონდათ ქალაქისათვის ალყა შემორტყმული.

არის შემთხვევები როცა ზმნის დრო თარგმანში შეცვლილია, მაგალითად, „Они взбирались по железным ступенькам, идущим внутри трубы“ ასეა თარგმნილი „ისინი მილის შიგნით მოთავსებულ რკინის საფეხურებით ამოვიდნენ აქ“ (გვ. 121). „Взбирались“ — აწმყოა, „ამოვიდნენ აქ“ — კი წარსული. გარდა ამისა „ამოვიდნენ აქ“ აზრსაც ცვლის.

გვხვდება უხერხული გამოთქმებიც, მაგალითად, „Отскоч, а то наколешься!“ ასეა თარგმნილი — „მოწყდი თავს, თორემ წამოეგები“ (გვ. 27) ამ შემთხვევაში ძნელად გადმოსაცემი „Отскоч“-ის თარგმნა როგორც „მომწყდი თავიდან“ ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ მთარგმნელის მიერ შერჩეული „მოწყდი თავს“ — არ ვარგა. „В комнате было слышно, как размеренно стучали часы“ ქართულად „ოთახში საათის გამოზომილი კაკუნი ისმოდა“. „საათის კაკუნი“ ქართული ენისათვის უხერხული გამოთქმაა. „Туго натягивает повод“ — „მაგრად მოუჭირა სადავე“ (გვ. 275) — „И даже псы заползли под амбары“ — „ძაღლებიც კი შეძვრნენ ბეღლებში“ (285) (უნდა „ბეღლებ ქვეშ“) და სხვ.

მაგრამ ამგვარი შეცოდებანი წიგნში იშვიათად გვხვდებიან. შეიძლება ითქვას, რომ როდიონ ქორქიას მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანს გარკვევით ამჩნევია კარგი მთარგმნელის ხელი.

**გიორგი ციციშვილი**

## პარმენ ლორიას რომანი „შვილები“

★

პარმენ ლორიას რომანი „შვილები“, რომლის პირველი წიგნი შარშან გამოვიდა, უთუოდ მკითხველთა ყურადღებას იპყრობს. რომანი ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობასა და აჭარაში კოლმეურნეობათა ჩამოყალიბებას ეხება. ამ რომანში ძირითადად ასახულია აჭარის განაპირა სოფლებში არსებული ადათწესები წინათ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სარწმუნოების

---

პარმენ ლორია. „შვილები“. აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა. 1956.

კლანჭებში მომწყვდეული ადამიანთა ბრძოლა, ნავთობგადამუშავებელი ქარხნის მშენებლობის დაწყება-დამთავრება, კოლმეურნეობათა შექმნა და ის წინააღმდეგობანი, რომლებიც თან სდევენ ამ დიდ საქმის განხორციელებას.

როგორც ცნობილია, ბათუმის განაპირა ადგილს საბჭოთა ხელისუფლების დროს აგებული იყო ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა. ეს მშენებლობა მოითხოვდა საკმაო რაოდენობის მუშახელს, წვრილ-მესაკუთრული მეურნეების ხამრეწველო მუშებად გადაქცევას.

რომანის მთავარი გმირი რამინ ცისკარაძე აჭარის ერთ-ერთი სოფლის ღარიბი გლეხის შვილია. უფროსი ძმის მურადის მიერ ცოლის შერთვის შემდეგ რამინი იძულებული გახდა ოჯახი დაეტოვებინა და ქალაქ ბათუმში ვაჭარ იუსუფ ცირამაძესთან დაეწყო მუშაობა. აქ ის გაეცნო, თუ ვაჭრები როგორ აძრობენ ტყავს ხალხს. რამინს მეორე ვაჭარი ფართალაძე მისცემს წინადადებას გადავიდეს მასთან და საკუთარი სავაჭრო გახსნას, მაგრამ ის არ თანხმდება. რამინი გადაწყვეტს მოშორდეს ამ საქმიანობას.

ცირამაძე რამინს ანგარიშის გასწორებისას კუთვნილ ფულსაც დააკლებს. რამინი ტოვებს ბათუმს და ჩაქვში ჩაის პლანტაციაში მზიდავად მოეწყობა. იქ გაიცნობს გურულ გოგონას, ესმას, ცოლად შეირთავს და როცა ჩაის მუშაობა შეწყდება სოფელში წაიყვანს. აქ ერი რძალი დახვდება მათ. ისინი ესმას შეიძულებენ, როგორც ურწმუნოს; წინადადებას აძლევენ რჯული შეიცვალოს. ესმა იძულებულია მიიღოს ასეთი წინადადება, მაგრამ რამინი არ ეთანხმება, ამის გამო მურადი და ემინა ათასგვარ ჭორს ავრცელებენ ესმას შესახებ, გარყვნილად მონათლავენ და ხანგრძლივი ჩხუბი ძმების გაყოფით მთავრდება.

ქონების გამყოფად სოფლის განთქმულ მოსამართლეს ისკანდერ ჯაფარიძეს მოიწვევენ, რომელიც ულალატებს სამართალს და რამინს ხელს აალებინებს ქონებაზე. აღელვებულ რამინს ესმა ამშვიდებს. ისკანდერი ქალს შეეკითხა:

— „როგორ მოგწონს განაჩენი?“

ამ შეკითხვისას ესმამ იგრძნო, რომ თვით ისკანდერიც არ იყო თავისი გადაწყვეტილებით კმაყოფილი. „მიუდგომელი“ განაჩენისათვის მოსამართლეს რამინის მაგიერაც მადლობა გადაუხადა და მოხუცს თვალი გაუსწორა. ისკანდერი დაიბნა, გააკვირვა ესმას ჭკუამახვილობამ.

— „მაშ განაჩენით შენ და შენი ქმარი კმაყოფილი ხართ? უფრო ტკბილად შეეკითხა ესმას და გამომცდელის თვალებით შეხედა...

— ჩემი პასუხი მოგახსენეთ, ძია ბატონო, მიუგო მან. და თუ ფიქრობთ რომ მართალი არ მითქვამს, როცა ამაღამ ლოცვად დადგებით და თქვენს ღმერთს პირდაპირ შეხედავთ, ერთი წუთით მაშინ დაფიქრდით თქვენი განაჩენის სისწორეზე და რაც გონებამ შთაგაგონოთ, ის ჩათვალეთ ჩემს პასუხად“. ისკანდერმა დანაშავეli იგრძნო, ესმას სიტყვებმა მას სამართლიანობისაკენ მოუწოდეს. მურადისა და მისი მეუღლის ემინეს გინება-ლანძღვის მიუხედავად, რამინის ოჯახს საბძელი და ერთი ბერწი ძროხა არგუნა. ისკანდერი ამ ოჯახის მფარველი გახდა. რამინი ტრაპიზონის გზის მშენებლობაზე სამუშაოდ წავიდა. ესმას ოჯახობა, უფროს რძალს შეშურდა. ბოსტნის ნერგები გაუფუჭა. ესმას ემინემ ბებერი დედაკაცი მიუგზავნა, რომელმაც ალქაჯებითა და ეშმაკებით შეაშინა იგი და ურჩია დაეტოვებია ეს სოფელი. ისკანდერმა გაიგო თუ არა ეს, ესმას თავისი შვილიშვილი, თოთხმეტი წლის თუთია გამოუგზავნა. თუთია პირველ ღამესვე თოფით მოვიდა ესმას ოჯახში. მათ სიბნელეში ფეხის ხმა მოესმათ, ესმას გაფრთხილების მიუხედავად, თუთიამ კარები გამოაღო და ბოსტანში მოძრაობა რომ შენიშნა, თოფი გაისროლა. მეორე დღეს ბოსტნის სარზე ემინეს კაბის ნაგლეჯი იპოვეს და ეს ამბავი მთელ სოფელს მოედო.

თუთია საღამოობით ესმასთან მოდიოდა დასაძინებლად. ესმამ თუთიასაგან გაიგო, რომ რამინის და ნურიფე ისე აიძულა ემინემ, რომ თავის დასახრჩობად გაიქცა, მაგრამ ვიღაც რუსმა გადაარჩინა და ცოლად შეირთო. ისიც უთხრა, რომ თუთია ობოლი იყო, დედა და ძმა მას მამის დაპატიმრების შემდეგ გარდაეცვალა და სხვა. რამდენიმე ხნის შემდეგ ნურიფე თავის ქმრით ესტუმრა და გაეცნო ესმას, ნურიფეს ქმარი პეტრე, იმ დროს ექიმი იყო, თვით ნურიფე კი ფერშალი.

რძლის კარგმა ოჯახობამ ემინე უფრო გააბოროტა, მაგრამ ესმას ბევრი მეზობელი დაუახლოვდა და უმრავლესობისათვის საყვარელ ადამიანად აქცია.

რამინი რომ დაბრუნდა, გადაწყვიტეს ბარში დასახლებულიყვნენ. ეს რომ მურადმა გაიგო, ემინეს რჩევით, ძმას ეახლა და სთხოვა იქაურობა მისთვის მიეყიდა. თუმცა აცნობა, რომ მას ამჟამად ფული არ ქონდა. მურადი კვლავ აგინებდა ესმას და ათასნაირ ჭორებს უყვებოდა ძმას, თუ წინათ, როგორც ურწმუნოს, ახლა როგორც გარყვნილი და უშვილო დედაკაცის,— გაშვებას უკარნახებდა.

რამინი და ესმა ბარში გადასახლდნენ, მათ ჯემალ წივაძისაგან იყიდეს სახლ-კარი და მიწა. რამინმა იშვილა ვაჟი, რომელსაც ბორისი დაარქვა... შემდეგ კი ესმას ოთხი შვილი შეეძინა. რამინი დაუღალავად შრომას ეწეოდა. ჭირნახული საკმაო მოჰყავდა. ურმით შეშას

ქალაქს ეზიდებოდა, კარგ ფასშიც ყიდდა და ოჯახის სახარჯავს აკმაყოფილებდა. ერთ დღეს ტყიდან შეშა რომ მოჰქონდა ურმით, გზაზე ტირილი მოესმა, გაკვირვებულმა რამინმა ახალშობილი ბავშვი აიყვანა და სახლში წაიყვანა. რამინმა ცოლს ბავშვი დაუტოვა, და ამ დღიდან ოჯახს მხიარულება მოემატა. ბავშვს ბეჟანი დაარქვეს. ემინე ავად ხდება და მურადს იგი ქალაქს მიყავს საექიმოდ. ძმები ერთმანეთს ხვდებიან. ემინე თავს იკლავდა მამაკაც ექიმს ვერ ვეჩვენებიო, მაგრამ ქმრის წინააღმდეგობა ვერ დაძლია. ისინი რამინმა მიიპატიჟა და რომ უარი არ ეთქვათ, სახლში გაყოლაზე — უთხრა, თითქოს ესმა გაუშვა, ახალი ცოლი შეირთო და ბევრი შვილი ჰყავს მასთან. ასე მოტყუებით სახლში მიყვანილი ცოლ-ქმარი ესმასთან უხერხულად გრძნობდნენ თავს. რამინმა და ესმამ ემინე პეტრეს ოჯახში წაიყვანეს ამ დროისათვის ნურიფესაც დაემთავრებინა საექიმო და მუშაობდა. მულსა და ემინეს შორის პირველი შეხვედრა ქეიფით აღინიშნა. ემინე მიხვდა თავის დანაშაულს. ნურიფემ მას ჩადრის გახდა თხოვა. ემინე ყოყმანობდა, მაგრამ მურადის თანხმობით მან ჩადრი გადააგდო და ახალი ცხოვრების გზას დაადგა.

მთავრობის კომისიამ ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ასაგებად ის ფართობი აირჩია, რომლის ახლოს რამინი ცხოვრობდა. პირველ ხანებში ფართობის გაწმენდა რომ დაიწყეს, ჯემალ წივაძემ სხვა მეზობელთან ერთად რამინი აიყოლია, შეთანხმდნენ, უსიკვდილოდ არ დაუთმობდნენ თავიანთ ეზო-მიდამოს, სახნავ-სათესს, სახლ-კარს მთავრობას, მაგრამ როცა რამინი ღრმად ჩაწვდა ამ ქარხნის მნიშვნელობას საქმეს ჯემალს გამოეთიშა. მან მთელი ოჯახიც აიყოლია. სახლში მშენებლობის ახალგაზრდა ინჟინერი ოლგა ანდრეევნა დააყენა და სოფლქო კომიტეტის მდივნის სანდრო გვარამაძის რჩევით ქარხნის მშენებლობაში თავის ხარ-ურმით გავიდა. გვარამაძე რამინს იცნობდა ტრაპიზონის გზის მშენებლობიდან.

რამინს ბევრი თაღლითი მუშა გადაეკიდა და როცა პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს, ჯემალ ცივაძე ჩაუსაფრდა და ურმით მიმავალს თოფი ესროლა, ურემზე რამინის მაგიერ სხვა მუშა იჯდა და დასჭრა იგი. უკან მომავალ. რამინს ჯემალი შეეფეთა. ერთმანეთს ხელიხელ შეებნენ. რამინმა ბებუთი წაართვა და თავი გადაირჩინა. ჯემალი დააპატიმრეს.

რამინი ქარხნის მუშებისათვის ახლად აშენებულ სახლში გადასახლდა. ამ დროისათვის სოფელში კოლმეურნეობა შექმნეს და მურადი კოლმეურნეობის ბრიგადირად აირჩიეს. ისკანდერი გარდაიცვალა. თუთიას მამა ჩამოუვიდა და ქალაქის აღმასკომში დაიწყო მუშაობა. თუთიამ სკოლა დაამთავრა, მშენებლობის კომკავშირის კომიტეტის მდივნადაც აირჩიეს. სამუშაოს მაშინდელი უფროსი თეოფილე სანაძეს ადგილას ქარხანაში საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ინჟინერი ბოკერია გამოგზავნეს.

ბოკერია მეტი დისციპლინის მოყვარული აღმოჩნდა, რამდენიმე მუშა დაითხოვა, ცუდი ხარისხის მასალის მიღებაზე უარი განაცხადა, მის წინააღმდეგ საკითხი აღძრეს და როგორც საზღვარგარეთ უმაღლეს დამთავრებული კონტრრევოლუციონერად გამოაცხადეს, მაგრამ საოლქო კომიტეტის მდივანმა მას მხარი დაუჭირა და პარტკომის მდივნის, დავით ბარამიძის წინადადება უარყო. ბოკერია მშენებლობას ჩინებულად უძღვებოდა. საოლქო კომიტეტის მდივნის რჩევით ინჟინერი უფრო დაიახლოვეს. ერთ დღეს რამინისასაც კი მიიწვიეს სადილზე და ახლოს გაცნობის შემდეგ დარწმუნდნენ მის ერთგულებაში.

რომანში კარგადაა ასახული იმდროინდელი, შემდეგში სამართლიანად დაწუნებული შეხედულება იმის შესახებ, რომ თითქოს კომკავშირელს, ახალგაზრდას და, საერთოდ, მუშას არ უნდა ეცვას კარგად, არ ატარებდეს თეთრ საყელოს და ოჯახში ღარიბად, უბრალოდ ცხოვრობდესო, აგრეთვე დაგმობილია სოციალისტური შეჯიბრების საქმეში ადმინისტრირება და სხვა.

ქარხნის მშენებლობაზე სხვა ახალგაზრდებთან ერთად მუშაობდა ელიზბარ კეშელავა. იგი ფიზიკურად ძლიერია, მაგრამ გაუნათლებლობა უშლის ხელს ცხოვრებაზე სწორი შეხედულება იქონიოს. წინააღმდეგია სწავლის. ერთ დღეს უეცრად ატეხილი ქარიშხლისას ქარხნის სახურავიდან რამინი და სხვა მუშები ჩამოვარდებიან. აქ ის თავს გამოიჩენს, დაუახლოვდება თუთიას. ბოლოს იგი მძღოლის კურსებზე შევა და მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, ხელს მოაწერს თუთიასთან.

პარტკომის მდივანი და ბოკერია საამქროებს შემოივლიან, მუშებთან საუბრისას მდივანი მივა იმ დასკვნამდე, რომ მშენებლობის დამთავრება ვადაზე ადრე შეიძლება. ბოკერიას ნორმები კანონად მიაჩნია, ამ საკითხზე მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდება. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ის დაეთანხმა მდივანს მშენებლობის დაჩქარებაში. ბოკერიას მეშვეობით გამჟღავნებული იქნა უცხოელი სპეციალისტი, რომელიც მშენებლობის დამთავრებას აჭიანურებდა, ვიღაც ნავთმწარმოებლის

მოსყიდვით. იგი დაითხოვეს კიდეც სამუშაოდან. ნიკოლოზ ბოკერიამ და ოლგა ანდრეევნამ იკისრეს საოპერატორო საამქროს დამონტაჟება და აპარატების დადგმა. მათ ერთად ღამეების გათენება მოუხდათ, მიზანს მიაღწიეს. განზრახ გაუგებრად შედგენილი ნახაზები ერთად გაასწორეს და აქ დარწმუნდა ბოკერია, რომ საბჭოთა კავშირში მიღებული ცოდნა არათუ ჩამორჩება, არამედ უპირატესობით ხასიათდება. ბოკერია და ოლგა ანდრეევნა საქმით დაუკავშირდნენ ერთმანეთს და ინტიმური გრძნობებიც აღეძრათ. დადგა დრო ბათუმის ნავთდამმუშავებელი ქარხნის — პირველი ხუთწლედის პირველი შენაძენის გაშვებისა. ციბრუტივით ტრიალში მყოფი ბოკერია ისე ღელავდა, როგორც სტუდენტი დიპლომის დაცვისას. იგი ოლგა ანდრეევნამ წვერგაუპარსავად, უბრალოდ ჩაცმული რომ დაინახა, უსაყვედურა, ნიკოლოზ რევაძის ძე მიუხვდა ანდრეევნას და როცა მიტინგზე სტუმრებთან გამოჩნდა ახოვანი 35 წლის ვაჟკაცი, გოგონა გაკვირვებული დარჩა.

რომანი ასე მთავრდება: 1929 წელს ქარხანა რომ გაუშვეს და მილებიდან შავი და მუქი ფერის ბოლი აღიმართა, ტაშმაც იგრიალა. პარტკომის მდივნის სიტყვას მილოცვის დეპეშების წაკითხვაც მოჰყვა. მიტინგის დამთავრებისას უეცრივ ყუმბარასავით გასკდა რაღაცა და გრეხილ შავ კვამლში გახვეული ცეცხლის ალი ჰაერში ალაპლაპდა.

— „ხანძარი! დაიძახა ვიღაცამ და ხალხი დაიძრა, ინჟინერი ბოკერია გაუჩინარდა. ნავსადენი მილი ჩაკეტეს. ბაქოდან ჩამოსულმა სტუმარმა ნავთობის გადამუშავების საუკეთესო ოსტატმა, მირზა ბახატოვმა-თქვა უბრალო ამბავიაო. ხანძარი ნელ-ნელა ჩაქრა და ქარხანა კვლავ ამუშავდა. ბოკერია ღელავდა. მიმღებმა კომისიამ ნავთობპროდუქციის გადამუშავების დიდი მცოდნის, იაკობ დენისოვის აზრი გაიზიარა, სამუშაო ფრიადზე შეაფასა და ბოკერიას ახალი წარმატებები უსურვა.

როგორც აღვნიშნეთ, პარმენ ლორია მთელი გულისყურითა და მონდომებით მუშაობს ნაწარმოების გმირთა ცხოვრების მხატვრულად ასახვისათვის. მაგრამ რომანში მაინც გვხვდება ზოგიერთი ნაკლოვანებანი. ნაწარმოებში მენშევიკურ ბატონობის შესახებ არაფერია თქმული, თუმცა რომანის გმირებს იმდროინდელი გაჭირვება საკუთარი ბეჭებით ჰქონდათ გადატანილი. გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს, რომ თუთიამ „კედელზე რამინისა და ესმას ერთად გადაღებული სურათი შეამჩნია და მასთან მიიჭრა — ნენევ, ეს რაა—ჩამოიღო, დააცქერდა. შემდეგ ახედა რაფრა გააკეთა ეს?“ (გვ. 86). ეს ამბავი ხდებოდა პირველი მსოფლიო ომის დროს. თუთიას მამა რევოლუციონერი იყო, ხოლო ბაბუა სოფელში გამოირჩეოდა. აკი ამიტომ ითვლებოდა იგი მოსამართლედ. ასეთ ოჯახის წევრს, ისეთ გამჭრიახ 14 წლის გოგონას, როგორც თუთია იყო, არ შეეძლო ფოტოსურათი პირველად ენახა.

რომანში ვეცნობით, რომ ჯემალ წივაძეს ყველაზე მეტი მიწა ეკუთვნოდა იმ ჰალაზე და მას მიმართეს „დაგვითმეთ გინდ სამაგიერო მიწა მიიღეთ, გინდ ღირებულებაო ,მაგრამ მან კატეგორიულად უარი განაცხადა“ (გვ. 200) როგორც ცნობილია ნავთგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო და სახნავ-სათესი მიწა მთავრობას არ შეეძლო ეყიდნა.

„სიამოვნებით მოგისმენთ ნიკოლოზ რევაზისძევ, სიამოვნებით, ბრძანეთ და ლევანი მოსასმენად მოემზადა“ (იხ. გვ. 330). აქ ლევანი არაფერ შუაშია, უნდა იყოს დავითი.

აღნიშნული და მსგავსი სხვა ნაკლოვანებანი ოდნავადაც ვერ ჩრდილავს ამ რომანის ღირსებას. მკითხველები მოელიან წიგნის მეორე ნაწილში ქარხნის შემდგომი მუშაობის, ბოკერიასა და ოლგა ანდრეევნას ურთიერთობის, ნაზიკოსა და მისი შვილის, ბექანის — „ნაპოვნელას“ და სხვათა ამბავს.

დავით კომახიძე

## ოთარ მამფორიას ლექსები და პოემა

★

ახალგაზრდა პოეტის ლექსების წიგნი მოგვითხრობს ერთ ცხოვრებაზე, რომელიც ჩვენი დროის ახალგაზრდა თაობის ცხოვრებასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. პოეტის შემოქმედების წყაროა ის თემები და სახეები, რომლებიც საბჭოთა ახალგაზრდობისათვის ესოდენ ახლობელი და ძვირფასია. მის ლექსებში შეხვდებით სამშობლოს აყვავებით გამოწვეულ დაუტეველ სიხარულს და პირველი წარუმატებელი სიყვარულის გამო გაჩენილ სევდასა და სინანულს. პოეტის შთაგონება საბჭოთა სამშობლოს სიყვა-

რულითაა გასხივოსნებული და მისი შემოქმედება ამ გრძნობითაა გამთბარი.

როცა ლექსს ვწერ, დილაა თუ ბინდია,
საქართველო ჩირაღდანად მინთია, —

ასე იწყებს ავტორი ლექსების ამ კრებულს. სამშობლოსადმი პოეტის სიყვარული მოკრძალებულია, მაგრამ უსაზღვრო და უნაპირო. იგი ლექსის თქმაში დიდების სახელს კი არ ეძებს, არამედ მშობლიურ მხარეს სამადლობელს ეუბნება:

მე უკვდავების არ ვარ მთხოველი,
ისეც მეყოფა მიწა ცვრიანი.
ვიტყვი: ულექსოდ ქვეყნად მოვედი,
ლექსით წავედი ადამიანი, —

ასე ამთავრებს პოეტი აღნიშნულ კრებულს.

ოთარ მამფორია თავისებური პოეტური ენით მოგვითხრობს ახალი თაობის შესახებ, იგი ცდილობს ასახოს თანატოლთა ცხოვრება, მათი მებრძოლი სულისკვეთება და გატაცება, სიხარული და ტკივილები. კრებულში მოთავსებული ლექსების დიდი ნაწილი, აგრეთვე პოემა „ლაჯანური“, თანატოლებისადმია მიძღვნილი. ეს გასაგებიცაა: ავტორს სურს გამოხატოს ახალგაზრდა თაობის ცხოვრება, იმ თაობისა, რომლის ზრახვები და ოცნებები მას განსაკუთრებით კარგად ესმის, იმ თაობისა, რომელსაც თვითონ ეკუთვნის. პოეტი წრფელი სიყვარულით უმღერის ომში დაცემულ მეგობარს და უნგრელ ქალიშვილს, უკრაინელ ვაჟკაცს და ჩაის მკრეფელ გოგონას, პავკა კორჩაგინს და სარეცელზე მიკრულ მეგობარ პოეტს, სკოლის ამხანაგებს და საოცნებო ქალიშვილს.

ჩვენი დროის ახალი თაობისადმი მიძღვნილი ლექსებიდან აღსანიშნავია „ომში დაცემულ მეგობარს“. პოეტს თან დაჰყვება დარდი შინ მოუსვლელ მეგობარზე, რომელსაც სიჭაბუკის სიმღერები უთქმელი დარჩა და ადრე გაუცივდა ტრფობით ანთებული გული, რომელსაც გამარჯვების მაისის ნახვა არ ეღირსა და თავისი ცხოვრების ადრიან გაზაფხულზე ფრთები დაეკეცა. პოეტს ლექსის სტრიქონებისათვის ადამიანური მწუხარება და დარდი გაუყოლებია და ღრმა სინანული მკითხველებამდე გულისტკივილით მიუტანია. პოეტისათვის წმიდათა წმიდა გამხდარა იმ ქართველი ვაჟკაცის სახელი,

ვისაც ბინდი გადაეკრა თვალზე
გათენებისას,
ვისაც ნახვა თვისი კერის, ძმებო,
აღარ ეღირსა,
ვისაც ქარი უკოცნიდა ძუძუსთავთან
ნატყვიარს
და სამშობლოს დასაცავად მაინც
ღამე ათია, —
მე მის ხსოვნას დავატარებ, ვეტრფი
როგორც განთიადს.

ახალგაზრდობის გმირული ცხოვრების თემა პოეტისათვის განსაკუთრებით [illegible]. მამფორია უშუალოდ განიცდის ამ თემას და ცდილობს დაგვიხატოს თანამედროვე ადამიანის რთული და მრავალმხრივი სულიერი სამყარო. პავკა კორჩაგინი სამშობლოსადმი თავდადებისა და გმირობის სიმბოლოა. მისი სახელის ხსენება საშუალებას აძლევს პოეტს, საზოგადოებრივ ჟღერადობამდე აიყვანოს ლექსი და საკუთარ ლირიკულ ხმას ძალოვანება შემატოს. საყურადღებოა აგრეთვე ლექსები „უნგრელი ქალიშვილი“ და „ვოლგა-დონი“. მართალია, ამ ლექსებში და თანატოლებისადმი მიძღვნილ ზოგიერთ სხვა ლექსში პოეტს ზოგჯერ არ ყოფნის მხატვრული საღებავები ცხოვრების მოვლენათა ასახვისათვის, ზოგჯერ იგრძნობა განყენებული მსჯელობა, მაგრამ ძირითადად სწორადაა გადმოცემული ახალი თაობის მჩქეფარე ცხოვრების ამსახველი პოეტური სურათები.

პოეტის სატრფიალო ლირიკაშიც გამოძერწილია თანამედროვე ახალგაზრდის მორალური სახე, მისი მრავალფეროვანი და მრავალმხრივი სამყარო. სიყვარულის უსპეტაკესი გრძნობა ლირიკულ გმირს ალამაზებს და დიადი საქმეებისაკენ მოუხმობს. საოცნებო ქალიშვილისადმი მიძღვნილი ლექსებიდან აღსანიშნავია „კიდევ ამოვალთ ერთად“?, „წვიმაში“ „ყაყაჩო“. პირველი ლექსი პოეტის ინტიმური აღსარებაა, მაგრამ აქ ვერ შეხვდებით გადამღერებულ კილოს უიმედო სიყვარულისა. პოეტის ტრფიალება გულის რჩეულთან ფაქიზია, ლექსის სტრიქონები სავსეა სათუთი პოეტური განწყობილებით, გამთბარია ქალიშვილისადმი მზრუნველობითა და ჭაბუკური გულისხმიერებით:

აი ტაძარი — მაღალთაღება,
მკერდზე ეხვევა ქარი...
წინ ნუ იჩქარი, მე კარს გაგიღებ,
დალი!
შენ წინ მიდიხარ, ცვარდაყრილ
ბალახს
აკანკალებას ჰგვრი და,
ახლა გიჩვენებ ბაგრატის
სამარხს,
გინდა?

პოეტი გაბედულად ლაპარაკობს თავის გრძნობაზე და ლექსის კილოსაც სითამამეს მატებს: „გეხვევი, ფეთქავ, როგორც მერცხალი, გეშინია და ღელავ“. მაგრამ პოეტი სატრფიალო ლექსების წერისას ყოველთვის როდი აღწევს გამარჯვებას. ლექსებში „გაცილება“, „რუსთაველის პროსპექტზე“, „თეთრი თითები“ ორი-

გინალური სახეების ძიების ნაცვლად მოცემულია პოეტური შედარებისათვის ლიტერატურაში მრავალჯერ ნახმარი ისეთი ეპითეტები, როგორც, მაგალითად: „გიშრის თმები“, „ბროლის ყელი“, „წარბი-შავი ღრუბელი“, „ბაგე ვარდი“, „მკერდი მტევანი“, და სხვ. ან და რას ეუბნება მკითხველს ასეთი სტრიქონები:

ცისკრის მკერდივით ათეთრებული,
შენი ხელები არის მზის ქება,
როგორც ირმები დაფეთებული —
თეთრი თითები ისე ირხევა.

გულწრფელი გრძნობების ნათელსაყოფად, საკუთარი განწყობილებების გამოსამჟღავნებლად საჭიროა ახალი, ორიგინალური ფორმების და სახეების ძიება.

ო. მამფორია რამდენიმე ლექსს უძღვნის სახელოვან წინაპრებს, რომლებიც „უსაქართველოდ არ ილამებდნენ, არ ითენებდნენ უივერიოდ“. ამ ლექსებში წარმოგვიდგება ძველი საქართველოს სურათის ფერგადასული კონტურები. ლექსში „მშვიდობა შენდა“ პოეტი წერს იმ ქართველ მამულიშვილზე, რომლის სახელიც არ დარჩენილა:

მტერი გატეხე, ხმალის ჯახანით
იყავ დამცველი ნათელ მთებისა.
და როცა ციხე ისევ დამეხეს,
აქ დაიღუპე გათენებისას.

მაგრამ ეპოქასთან ორგანული კავშირის გარეშე პოეტური შემოქმედება აქტუალობას მოკლებულია. პოეტმა ისტორიულ ამბავს მშვიდობისათვის ბრძოლის თანამედროვე თემა დაუკავშირა და ლექსს კარგი ლოგიკური ფინალი მოუნახა. გარდა ამისა ლექსში კარგადაა შერწყმული პირადად განცდილი და ისტორიის მიერ გადმოცემული ამბები, ერთი ემოციური ტონალობითაა აგრეთვე შეერთებული სურამის ციხის ძველი ლეგენდა და დიდი სამამულო ომის რეალური სურათები ლექსში „ახალი ლეგენდა“: „ქართველი ხალხის დიდი ლეგენდა ცხადად ვაქციეთ ვლადიკავკავთან“ — მიმართავს პოეტი უკრაინელ თანამებრძოლებს.

გმირული წარსულის სურათებია აგრეთვე გაცოცხლებული ლექსებში „სააკაძის ძახილი“, „ციხის ნაამბობი“, „შოთას ძეგლთან“, „ჩუქურთმისმჭრელი“ და სხვა.

პოეტს ეხერხება პეიზაჟების ხატვა. მის მინიატურულ ლექსებში „დილა“, „ცისფერ ნისლში ბოლავს მთები“, „აპრილი საირმეში“, „ყინვა“ მოცემული ფერწერული სურათები გამოირჩევიან პოეტური განწყობილებით, რომანტიკით, ბუნების ღრმა გრძნობითა და სიფაქიზით მოვიყვანთ უკანასკნელ ლექსს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკანკალებს ყინვა ნაგაზებს,
ბეღურა ცრემლებს ხეს დააპკურებს.
აბა, ამაღამ გარეთ რა გაძლებს
ირგვლივ ატეხილ ყინვის კაკუნზე.
მცივანა ქარი ღრუბლის ნაფაზებს
მიაბოლებს და ფიფქებს დაპყურებს,
და შეთეთრებულ მიწის დაფაზე
ჩამოვარდება მთვარის საყურე.

სარეცენზიო წიგნში მამფორია მარტო ლირიკოს პოეტად როდი წარმოგვიდგება. მას აგრეთვე პოეტური ფერწერის ფართო ტილო იტაცებს და ამ მხრივ საკმაო შემოქმედებითს გამბედაობას ამჟღავნებს. ის ცდილობს პასუხი გასცეს თანამედროვეობის მწვავე საკითხებზე დროულად და მხატვრულად აღწეროს ჩვენი ეპოქის მოვლენები, მოგვითხროს საბჭოთა ახალგაზრდობის პატრიოტულ საქმიანობაზე. პოემაში „ლაჯანური“ ავტორს მიზნად აქვს დასახული დაგვიხატოს ლაჯანურჰესის მშენებელ და ნაწილობრივ ყამირი მიწების ათვისებისათვის მებრძოლ პატრიოტთა შემოქმედებითი ცხოვრება, პოეტი ცდილობს ცალკეული პერსონაჟების ფსიქოლოგიურ დახასიათებას, თვითეული მათგანის განცდის თავისებურებათა გადმოცემას, მათი ბიოგრაფიის მხატვრულად გახსნას.

პოემაში არის კარგად შესრულებული მთელი რიგი სურათები, რომლებიც ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში ორგანულადაა ჩამჯდარი. პოეტის თხრობა დინჯია და დახვეწილი. მაგრამ ძირითადში ავტორი დასახულ მიზანს მაინც ვერ აღწევს. პოემაში არა ჩანს პერსონაჟების გაბედულად გამოკვეთილი ხასიათები, ნაკლებად ვხვდებით დრამატიულ კოლიზიებს, არაა გამძაფრებული სიუჟეტი. მოგონილი, ხელოვნურად გატკბილებული ფინალი მკითხველზე ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს. პოეტი არ უნდა მორიდებოდა სიუჟეტის გამძაფრებას, რაც ნაწარმოებს უფრო მეტ რეალურ ელფერს მისცემდა და ცხოვრების ნამდვილ მოვლენებთან დააახლოვებდა. ვფიქრობთ, ავტორს დაკვირვებით რომ ემუშავნა სიუჟეტზე, თავიდან აიცილებდა აღნიშნულ ნაკლს და ჩვენ გვექნებოდა მაღალმხატვრული პოემა საბჭოთა ახალგაზრდობაზე.

ოთარ მამფორიას „ლექსები და პოემა“ პოეტის მომავალი საინტერესო და ნაყოფიერი მუშაობის დასაწყისია.

ჯ. ჭანტურაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ენის სინტაქსი

დიდი ხანია ჩვენი რესპუბლიკის როგორც პედაგოგიური, ისე, განსაკუთრებით, უმაღლესი სასწავლებლები მწვავედ განიცდიან ქართული ენის სინტაქსის უქონლობას. თუ საშუალო და უმაღლესი სკოლები უზრუნველყოფილია მორფოლოგიის სახელმძღვანელოებით, რომლებიც ქართული ენის დიდი მოამაგის პროფ. ა. შანიძის კალამს ეკუთვნიან (ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი I, მორფოლოგია, რამდენჯერმე გამოცემული საშუალო სკოლებისათვის; ქართული გრამატიკა, 1, მორფოლოგია, 1930 წ.; ქართული ენის გრამატიკა, 1, მორფოლოგია, 1955 წ. აგრეთვე დოც. შოთა ძიძიგურის ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, სახელმძღვანელო პედაგოგიურ სასწავლებელთათვის, 1956 წ.), იგივე არ შეიძლება ითქვას სინტაქსის შესახებ. იმავე ავტორის ერთადერთი სახელმძღვანელო სინტაქსისა (ა. შანიძე „ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი“, რამდენიმე გამოცემა საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით), რომლითაც სავსებით უზრუნველყოფილია ჩვენი საშუალო სკოლები, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს უმაღლესი სკოლების, განსაკუთრებით ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტების, მოთხოვნილებას. იგი ვერ ფარავს მთლიანად პედაგოგიურ სასწავლებელთა ქართული ენის პროგრამის მოცულობასაც.

დოც. ლ. კვაჭაძის ახლად გამოსული სახელმძღვანელო, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს ბოლოსიტყვაობაში, „დიდ ნაწილში შეიცავს პროფ. ა. შანიძის სასკოლო გრამატიკით შესწავლილი მასალის უფრო ვრცლად და სრულად გადმოცემას. საკითხების ერთი ნაწილი შიგ სრულიად ახალია. სიახლეა შეტანილი ზოგიერთი საკითხის გაშუქებაშიც“.

თითოეული საკითხი სახელმძღვანელოში ვრცლადაა გაშუქებული კონკრეტული თვალსაჩინო მაგალითების მოშველიებით, რასაც მოსდევს სათანადო სავარჯიშოები. ამ სავარჯიშოებს უსათუოდ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მოსწავლეთათვის გავლილი საკითხების შეთვისების საქმეში. მეტად სასარგებლოა აგრეთვე სასვენ ნიშანთა ხმარების ახსნა-განმარტება როგორც შიგადაშიგ სახელმძღვანელოში ცალკე საკითხებთან დაკავშირებით, ისე ამ „სასვენ ნიშანთა ხმარების ძირითადი წესების“ ცალკე გამოყოფა წიგნის ბოლოში.

ზოგი საკითხი ახლებურად, სხვაგვარადაა განხილული, ვიდრე ეს დღემდის იყო ცნობილი სინტაქსის სახელმძღვანელოებითა და სათანადო ლიტერატურით. ასეთია, მაგალითად: პირდაპირი და ირიბი დამატებების გამოცხადება წინადადების მთავარ წევრებად; ისეთი რთული წინადადების გაგება თანწყობილად, სადაც თანწყობაც გვაქვს და ქვეწყობაც და სხ. ზოგი ასეთი ინტერპრეტაცია შეიძლება რამდენადმე საცილობელი იყოს.

სასურველი იყო სინტაქსური დამოკიდებულების (შეთანხმება, მართვა, მირთვა) ზოგადი წესები ცალკე ყოფილიყო ჩამოყალიბებული და იგი წინ წამძღვარებოდა კონკრეტულ სინტაქსურ ურთიერთობებს წინადადების ცალკეულ წევრებს შორის, როგორც ეს უკანასკნელი სრულიად სწორად არის მოცემული სახელმძღვანელოში.

მასალა სწორი თანმიმდევრობითაა დალაგებული და მაგალითები როგორც ცალკე საკითხების ანალიზისათვის, ისე სავარჯიშოებისათვის მოხერხებულადაა შერჩეული.

სახელმძღვანელო შედგენილია პედაგოგიური სასწავლებლების პროგრამის მიხედვით, მაგრამ იგი სავსებით გამოსადეგია იმ პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის, სადაც ქართული ენა ისწავლება როგორც არაპროფილური დისციპლინა.

წიგნი სინტაქსის სხვა სათანადო სახელმძღვანელოს ჯერჯერობით უქონლობის გამო დახმარებას გაუწევს უმაღლეს სასწავლებელთა ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებსაც.

დოც. ლ. კვაჭაძის „ქართული ენის სინტაქსის“ გამოსვლა დროულია და მისასალმებელი.

**სტ. ჩხენკელი.**

---

**ლ. კვაჭაძე. ქართული ენის სინტაქსი (პუნქტუაციის საკითხებითურთ) სახელმძღვანელო პედაგოგიურ სასწავლებელთათვის. რედ. პროფ. შანიძე. 1956.**

18

# ახალი წიგნები

## სახელმწიფო გამომცემლობა

**აკაკი გოცირიძე** — ეპოქის შვილები. რედ. ი. არაბული, გვ. 90, ფასი 1 მან.

**გეორგ ვეერთი** — ლექსები. თარგმანი გერმანულიდან აკაკი ჭკადუასი. რედ. ხარიტონ ვარდოშვილი, გვ. 115, ფასი 4 მან.

**გ. ა. გურევი** — მეცნიერული წინასწარგანჭვრეტანი და რელიგიური ცრურწმენები. თარგმანი ვახტანგ კახიანისა, რედ. მ. ტყემალაძე. გვ. 93, ფასი 1 მან. 20 კაპ.

**ხ. ფ. კუშნერი** — ჯიშთაშორის შეჯვარება სასაქონლო მეფრინველეობაში. რედ. ნ. მელითაური, გვ. 82, ფასი 1 მან. 10 კაპ.

**ოსური პოეზიის ანთოლოგია** — შემდგენლები: გაფეზი, ნ. ჯუსოითი, რედ. ვ. ჯავახაძე, ირ. არაბული, გვ. 352, ფასი 15 მან. 20 კაპ.

## საბლიტგამი

**ქართული საბავშვო ლიტერატურა** — წიგნი II, შედგენილი ანა ღვინიაშვილის მიერ, რედ მ. ბერჱულაძე, გრ. აბაშიძე, გრ. ბარამიძე. გვ. 638, ფასი 19 მან. 40 კაპ.

**ჯეიმზ ფენიმორ კუპერი** — უკანასკნელი მოჰიკანი. თარგმანი ინგლისურიდან ალ. გამყრელიძისა. რედ. ვ. ჭელიძე, გვ. 430, ფასი 15 მან. 70 კაპ.

**მელიას არაკები** — თარგმანი ფრანგულიდან ლეილა კაკაბაძისა, რედ. გ. ქიქოძე, გვ. 27, ფასი 2 მან. 20 კაპ.

## საქმედგამი

**დ. კახიძე** — სისხლდენა მომყოლის ხანაში და ლოგინობის ხანის პირველ საათებში. რედ. ა. უსტიაშვილი, გვ. 48, ფასი 1 მან. 10 კაპ.

**გ. ადამია** — ღვიძლის ძირითადი ფუნქციების, ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების ცვლილებები აქტიური მალარიით დაავადებულებში. რედ. პროფ. ი. ცინცაძე, გვ. 220, ფასი 7 მან. 80 კაპ.

**ექიმის ბიბლიოთეკა** — სამედიცინო რადიოლოგია, პროფ. ა. კვალიაშვილის რედაქციით. რედ. ა. კვალიაშვილი, გვ. 138, ფასი 4 მან.

## შრომის წითელი დროშის ორდენის საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა

ლ. კალანდაძე, ირ. ბათიაშვილი, ს. ქურუმიძე, გ. ყანჩაველი — ენტომოლოგია. ნაწ. 1, პროფ. ლ. კალანდაძის საერთო რედაქციით. გვ. 488, ფასი 13 მან. 90 კაპ.

**პროფ. ი. ფ. სარიშვილი, პროფ. ა. ჯ. მენაღარაშვილი, დოც. ბ. ა. გერასიმოვი** — აგროქიმიის პრაქტიკუმი — რედ. ი. ნაკაიძე, გვ. 440, ფასი 13 მან. 35 კაპ.

## აფხაზეთის ასსრ გამომცემლობა

**უ. შექსპირი** — ოტელო (აფხაზურ ენაზე), გვ. 174, ფასი 6 მან.

**გ. პაპასკირი** — მოთხრობები (აფხაზურ ენაზე), გვ. 98, ფასი 2 მან. 15 კაპ.

**დ. გულია** — კრიტიკული ნარკვევები (აფხაზურ ენაზე) გვ. 144, ფასი 2 მან. 45 კაპ.

---

### შეცდომის გასწორება

გოეთეს ლექსში — „მინიონი“, რომელიც დაბეჭდილია ჩვენი ჟურნალის ამავე ნომერში, მეშვიდე სტრიქონი — „მეგობარო, წავიდეთ ერთად“ აწყობილია მსხვილი შრიფტით, აწყობილი უნდა იყოს ტექსტის ჩვეულებრივი შრიფტით.

„მნათობის“ № 3-ში, შოთა ძიძიგურის წერილში, გვ. 146, 27 სტრ. (ქვემოდან) სწერია: „ამ ფორმებს ზოგჯერ სტილისტური დამუშავება და დახვეწა აკლიათ, ისინი ჯერ კიდევ ამაღლებულან...“ უნდა იყოს: „ამ ფორმებს ზოგჯერ სტილისტური დამუშავება და დახვეწა აკლიათ, ისინი ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულან...“

ფასი 8 მ.

6 24/74

3-4/152

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ